ნადიმ ვარშანიძე

საქართველოს ისტორია

(უძველესი დროიდან XX საუკუნის 80-იანი წლები)

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

ნადიმ ვარშანიძე

საქართველოს ისტორია

(უძველესი დროიდან XX საუკუნის 80-იანი წლები)

(სალექციო კურსი განკუთვნილია არაპროფილური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის)

გამომცემლობა

სალექციო კურსში გადმოცემულია საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XX საუკუნის 80 - იანი წლების ჩათვლით. უმაღლეს სასწავლებლებში საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები ითვალისწინებს განსახილველი პერიოდის სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული საკითხების სიღრმისეულ შესწავლას. ასევე ისტორიული პროცესების მთლიანობაში გააზრებას.

წინამდებარე ლექციების კურსი ყოველივე ამის გათვლისწინების შედეგადაა დაწერილი. ლექციების კურსი ძირითადად ეყრდნობა ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა აღიარებულ შრომებს.

ლექციების კურსი განკუთვნილია ბაკალავრიატის არაპროფილური სპეციალობის სტუდენტთათვის, დაინტერესებული მკითხველისათვის.

სამეცნიერო რედაქტორი: ***ავთანდილ სონღულაშვილი,*** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები:

შ ი ნ ა ა რ ს ი

ლექცია #1 საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული და ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება; ქართველთა ეთნოგენეზი; საქართველო უძველეს ხანაში..... 5

ლექცია # 2 პირველი ქართული სახელმწიფოები და ძველი მსოფლიო. საქართველო აქამენიდურ და ანტიკურ ხანაში..... 17

ლექცია # 3 რომის იმპერიასთან საქართველოს ურთიერთობის საკითხები ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე; საქართველო ფეოდალიზმის გზაზე. ქრისტიანობა. ვახტანგ გორგასალი..... 35

ლექცია # 4 ირან-ბიზანტიის ჭიდილი და საქართველო VI საუკუნეში. „არაბობა“ საქართველოში; ფეოდალური სამეფო-სამთავროები საქართველოს ტერიტორიაზე VIII-X სს..... 53

ლექცია #5 საქართველო IX-XII საუკუნეებში..... 79
ლექცია #6 მონღოლთა ბატონობის დამყარება და ბრძოლა მათი უღლის
გადაგდებისათვის..... 98
ლექცია # 7 საქართველო XIV-XV საუკუნეებში..... 134
ლექცია # 8 საქართველო XVI საუკუნეში. ოსმალურ-ყიზილბაშური აგრესიის გაძლიერება.
ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ..... 162
ლექცია # 9 საქართველო XVII საუკუნეში..... 171
ლექცია #10 საქართველო XVIII საუკუნეში..... 181
ლექცია #11 ქართლ-კახეთის სამეფო XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში. . 188
ლექცია #12 საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში. 197
ლექცია #13 საქართველო XIX საუკუნის მეორე ნახევარში. 217
ლექცია #14 საქართველო XX საუკუის პირველ ნახევარში 228
ლექცია #15 საქართველოს XX საუკუნის 40-80-იან წლებში. 249
ძირითადი თარიღები..... 272
საქართველოს ისტორიის ტესტები 279

ლექცია #I

საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული და ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება; ქართველთა ეთნოგენეზი; საქართველო უძველეს ხანაში

<u>ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები</u>. საქართველო მდებარეობს კავკასიონის სამხრეთი კალთის შუა და დასავლეთ ნაწილში, მცირე კავკასიონის ჩრდილოეთ კალთაზე და მათ შორის მდებარე დაბლობზე. მისი ტერიტორია 69.7 ათასი კვადრატული კილომეტრია. ჩრდილოეთით მას ესაზღვრება კავკასიონის მთავარი ქედი, დასავლეთით _ შავი ზღვა, სამხრეთით თურქეთი და სომხეთი, აღმოსავლეთით _ აზერბაიჯანი. ქვეყნის ტერიტორიის ნახევარზე მეტი მდებარეობს ზღვის დონიდან 1000 მეტრზე უფრო მაღლა, ხოლო დაბლობს უკავია ქვეყნის მხოლოდ 13%. საქართველოს ბარი შედგება: კოლხეთის დაბლობის, შიდა ქართლის ვაკის (ტირიფონისა და მუხრანის ველები), ქვემო ქართლის ბარისა და ალაზნის ველისაგან (კახეთის ბარი). ლიხის ქედით საქართველო იყოფა დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად. დასავლეთ საქართველოში თბილი და ტენიანი ჰავაა, აღმოსავლეთში კი _ მშრალი და კონტინენტური. საქართველოს მთაში მისდევენ მესაქონლეობას, დაბლობსა და მთისწინეთში კი მოჰყავთ მარცვლეული კულტურები და მისდევენ მეხილეობა-მებოსტნეობას, ზღვისპირა ზოლში გაშენებულია სუბტროპიკული კულტურები.

საქართველოს მდინარეები განაწილებულია ორ აუზს შორის: შავი ზღვის _ რიონი, ენგური, ყვირილა, ცხენისწყალი, კოდორი და სხვა, და კასპიის ზღვის _ მტკვარი, არაგვი, ლიახვი, იორი, ალაზანი, ქსანი, ხრამი, ალგეთი და სხვა. მდინარეები გამოიყენებოდა მიწების მოსარწყავად და სატრანსპორტო-სანაოსნო დანიშნულებითაც. სამეურნეო ფუნქციები ჰქონდა ტბებსაც: ფარავანი, ჯანდარა, ტაბაწყური, რიწა, პალიასტომი და სხვა.

გეოგრაფიულად საქართველო მდებარეობს ორი კონტინენტის _ ევროპისა და აზიის საზღვარზე. აქ გადიოდა მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო გზები, რომლებიც ერთმანეთს აკავშირებდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს, სამხრეთსა და ჩრდილოეთს. ესეც ხელს უწყობდა ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ წინსვლას. თუმცა ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა იყო იმის მიზეზიც, რომ საქართველო ყოველთვის ექცეოდა დიდი პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური ინტერესების სფეროში.

<u>ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება</u>. საქართველოში ისტორიული გეოგრაფიის, როგორც ისტორიული დისციპლინის ჩამოყალიბება ვახუშტი ბატონიშვილის (1696-1757 წწ.) სახელს უკავშირდება. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის მეცნიერული შესწავლა კი პირველად ივანე ჯავახიშვილმა (1876-1940 წწ.) დაიწყო. მანვე დაადგინა ძველი ქართული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინები. დასახლებული ადგილები იწოდებოდა სოფლად, დაბად და ქალაქად. იმას რასაც, დღეს ჩვენ ქვეყანას ვუწოდებთ, ეწოდებოდა სოფელი. დაახლოებით VIII საუკუნიდან შემოდის ტერმინი ქუეყანა. ქუეყანა შეიძლება ყოფილიყო დიდი და პატარა, მთა და ბარი.

ჩრდილოეთიდან საქართველოს საზღვარი თითქმის ყოველთვის კავკასიონი იყო. დასავლეთიდან მოსაზღვრე შავ ზღვას ეწოდებოდა ზღუა პონტოსა ანუ ზღუა სპერისა. სამხრეთით და აღმოსავლეთით საზღვარი ხშირად იცვლებოდა, რომელიც დამოკიდებული იყო ისტორიულად შექმნილ საერთაშორისო მდგომარეობაზე. ისტორიულად საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა: სამხრეთ-დასავლეთით _ მდინარე ჭოროხის აუზი და მტკვრის ზემო წელი; სამხრეთ-აღმოსავლეთით _ მდინარე

დებედას ხეობა და საზღვარი მიუყვებოდა ლორე-ბამბაკის ქედს; აღმოსავლეთით _ ჰერეთი _ დღევანდელი საინგილო.

საქართველო შედგებოდა რამდენიმე მხარისაგან. უმთავრესი იყო ქართლი. საკუთრივ ქართლი შედგებოდა: შიდა, ზემო და ქვემო ქართლისაგან. დროთა განმავლობაში ტერმინი ,,ქართლი'' გაფართოვდა და ის გამოიყენებოდა არა მხოლოდ გეოგრაფიული, არამედ პოლიტიკური გაგებითაც _ ყოველი ქართლი. XI საუკუნიდან კი ,,ყოველი ქართლის'' ნაცვლად უკვე იყენებენ ,,საქართველოს''.

<u>შიდა ქართლი</u> _ ეს არის ტერიტორია ლიხის ქედიდან მდინარე არაგვამდე და კავკასიონიდან თრიალეთის ქედამდე. <u>ქვემო ქართლი</u> _ მოიცავდა ქვეყანას თრიალეთის ქედიდან ლორე-ბამბაკის ქედამდე. <u>ზემო ქართლი</u> ანუ მესხეთი _ იწყებოდა ტაშისკარიდან და სამხრეთ- დასავლეთისაკენ მოიცავდა მდინარე მტკვრის ზემო წელს და ჭოროხის მთელ ხეობას. მტკვრის ზემო წელზე მდებარეობდა: სამცხე, ჯავახეთი, არტაანი და კოლა. ჭოროხის ხეობა მოიცავდა: შავშეთი, კლარჯეთი, ტაო (ის იყოფოდა ამიერ და იმიერ ტაოდ), თორთუმი და სპერი.

ქართლს აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა კახეთი, თავად კახეთს კი აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან _ ჰერეთი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში შემდეგი ისტორიული მხარეები იყო: შიდა ქართლის ჩრდილოეთით _ დვალეთი; არაგვის ხეობაში _ მთიულეთი და მისგან ჩრდილოეთით ხევი; კახეთის ჩრდილოეთით _ ფშავი და შემდეგ ხევსურეთი (ფშავსა და ხევსურეთს ერთად ეწოდებოდა ფხოვი). ხევსურეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა თუშეთი.

დასავლეთ საქართველოში, რომელსაც, უძველეს დროში_ ეგრისი, VIII საუკუნიდან_ აფხაზეთი, ხოლო, XI საუკუნიდან მის ნაწილს იმერეთი ერქვა, შედიოდა შემდეგი მხარეები: არგვეთი (დღევანდელი ზემო იმერეთი), სამოქალაქო (ქუთაისის შემოგარენი, ვაკე იმერეთი), ოდიში ანუ სამეგრელო, ჩრდილო-დასავლეთით _ აფხაზეთი, მის ჩრდილოეთით კი _ ჯიქეთი. ოდიშის (სამეგრელო) სამხრეთით მდებარეობდა გურია და აჭარა. დასავლეთ საქართველოს მთიანეთში შედიოდა სვანეთი, რაჭა და ლეჩხუმი (რაჭას და ლეჩხუმს ერთად ეწოდებოდა თაკვერი).

ქართველთა ეთნოგენეზი

ეთნოგენეზი ბერძნული სიტყვაა _ `ეთნოს" ნიშნავს ხალხს, ტომს, ხოლო `გენესის" _ წარმომავლობას. მეცნიერება იცნობს ორი სახის ეთნოგენეზს. Ppირველი, ისტორიულად გეოგრაფიულ გარემოში მონათესავე ტომები ქმნიან ერთ ერს. უყალიბდებათ საერთო მატერიალური, კულტურული, სულიერი, სამეურნეო ტრადიციების მსოფლაღქმა, რაც ერთობლიობაში ეროვნების თვითშეგნებას განსაზღვრავს. მეორეა, როცა მიგრაციების გზით ყალიბდება. მაგალითად, ამერიკა, რომელიც სხვადასხვა კონტინენტიდან ჩამოსული ხალხებისგან არის დაკომპლექტებული. მაგრამ მიგრაციების შემდეგ, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულები ისტორიულ რეალობაში გვერდიგვერდ ცხოვრების შემდეგ ნელ-ნელა ყალიბდებიან ერთ ერად.

ეთნოგენეზის პრობლემის კვლევის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება არქეოლეგიურ, ეთნოგრაფიულ, ენათმეცნიერულ მონაცემებს და სხვა მასალებს. იმის გამო, რომ ქართველი ხალხის ჩამოყალიბება შორეულ წარსულში მიმდინარეობდა და იმ პერიოდის წერილობით წყაროებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ, ჩვენ ძირითადად ვეყრდნობით მოგვიანო პერიოდის ისტორიკოსების მოსაზრებებს და გადმოცემებს,

რომელთა ნაწილიც არ უნდა იყოს სწორი. ქართველთა ეთნოგენეზის ირგვლივ არსებულ წყაროთა კრიტიკული ანალიზის დროს ხშირად ვერ ხერხდება ზოგადი და ყველასათვის მისაღები დასკვნების გაკეთება, ამიტომაც, ბოლომდე ჩამოყალიბებული და ყველას მიერ გაზიარებული თეორია ქართველთა ეთნოგენეზის შესახებ დღემდე არ არსებობს.

ამა თუ იმ ხალხების წარმომავლობის დადგენა ძირითადად გულისხმობს სამი საკითხის გარკვევას: 1) ენის მონათესაობა; 2) რასობრივი კუთვნილება: 3) უძველესი საცხოვრისი.

ენობრივი ნათესაობის მხრივ მსოფლიოს ხალხები დაყოფილია დიდ ჯგუფებად და ქვეჯგუფებად. ესენია: **ინდოევროპული, თურქული, სემიტური, უნგრო-ფინური და სხვა.** მაგრამ არსებობს ენები, რომელთაც მკვლევრები ვერ აერთიანებენ ვერც ერთ ჯგუფში. ასეთი ენებია: ქართული, ჩრდილო-კავკასიის ხალხების, წინა აზიის უძველესი ხალხების, ამჯერად უკვე მკვდარი ენები _ ხურიტული, შუმერული, პროტოხეთური და ასე შემდეგ. ეს გარემოება აძნელებს ამ ხალხების და, მათ შორის, ქართველთა ეთნოგენეზისის კვლევას.

ქართველთა წარმოშობის შესახებ ძველ ბერძენ და ლათინ ისტორიკოსებს მრავალი ცნობა აქვთ მოცემული. ისინი მოგვითხრობენ ქართველთა და საქართველოს მოსაზღვრე რეგიონებში მცხოვრებთა წარმოშობის შესახებ, მათ ეთნიკურ კუთვნილებასა და განსახლების არეალზე; სტრაბონი, ტაციტუსი, დიოდორე სიცილიელი, პოლიბიოსი, პლინიუსი, ოვიდიუსი, აპოლონიოს როდოსელი და სხვანი გადმოგვცემენ ცნობებს აქეელების, ჰენიოხების, კოლხ-იბერების, ალბანელების, ჩრდილო სომხების და ჩრდილო მიდიელთა წარმოშობის შესახებ.

დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის (კოლხების) წარმოშობით დაინტერესებულა განთქმული ბერძენი ისტორიკოსი **ჰეროდოტე** (ძვ. წ. 484–425წწ.) და იმ დასკვნამდე მისულა, რომ კოლხები ეგვიპტური წარმოშობისანი არიან. მისი აზრით, ისინი უნდა იყვნენ შთამომავლები ეგვიპტის მეფის_სესოსტრისის მოლაშქრეებისა, რომლებიც მდინარე ფაზისთან (რიონთან) დარჩენილან. ამის საბუთად ჰეროდოტეს მიაჩნდა ის, რომ კოლხები, ეგვიპტელების მსგავსად, შავგვრემანები და ხუჭუჭთმიანები არიან, ერთნაირად ამუშავებენ სელს და ა. შ. თუმც, აღსანიშნავია, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს მოსაზრება არ არის გაზიარებული.ჰეროდოტეს მოხსენიებული ჰყავს, აგრეთვე, ქართული ტომი_ სასპერებიც.

ძველმა ბერძნებმა კოლხების მეზობელ იბერებსაც – აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობასც – "მოუძებნეს" პირვანდელი სამშობლო. მათი აზრით, ესპანეთი, რომელსაც ისინი ძველთაგანვე, აგრეთვე, "იბერიას" ეძახდნენ. ძველ ბერძნულ სამყაროში პოპულარული იყო აზრი, რომ აღმოსავლეთის (კავკასიის) იბერები დასავლეთის იბერიიდან (ესპანეთიდან) გადმოსახლდნენ. ამ გადმოსახლებას კიდევ ძვ. წ. VI ს. ცნობილ ბაბილონელ მეფეს, ნაბუქოდონოსორს, მიაწერდნენ.

ანტიკურ სამყაროში ასევე არსებობდა თეორია, რომ ესპანეთის ანუ დასავლეთის იბერები წარმოშობილი იყვნენ კავკასიელი იბერებისაგან. ამ მოსაზრებას ეხმიანება დიოდორე სიცილიელი.

ლეგენდარული ცნობა ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქართლის მმართველად თავისი სარდლის დანიშვნის შესახებ დაცულია ძველ ქართულ წყაროებში. "მოქცევაჲქართლისაჲს" საისტორიო ქრონიკაში ნათქვამია, რომ როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა ქართლი დაიპყრო (ცნობა ლეგენდარულია; სინამდვილეში ალექსანდრე მაკედონელს ქართლი არ დაულაშქრავს), მან აქ მმართველად დატოვა "არიან- ქართლის

მეფის ძე აზო". ეს აზო წავიდა თავის სამშობლო არიან-ქართლში და იქიდან მოიყვანა მრავალი "სახლი" (ე. ი. გვარი) თანამემამულეთა, აგრეთვე კერპები, გაცი და გაიმი: ამავე ქრონიკაში ნათქვამია, რომ ჩვენ, ქართველნი, მემკვიდრენი ვართო ამ არიან-ქართლიდან გადმოსახლებულებისა. ძველი ქართლის კერპების აღწერისას, რომლებიც არმაზის მთაზე იდგნენ, ქართლის გამაქრისტიანებელი ნინო გაცისა და გაიმის კერპებზე ამბობს: ,,რომელნი – იგი ღმრთად ჰქონდეს მამათა თქუენთა არიან ქართლით". მეფე მირიანი მიმართავს რა იმავე ნინოს, გაცსა და გას უწოდებს: "ძუელნი ღმერთნი მამათა ჩუენთანი". მაშასადამე, ქართლის მოსახლეობა თავის უშუალო წინაპრებად ("მამებად") განიხილავდა სწორედ აზოს მიერ არიან–ქართლიდან მოყვანილ ხალხს. ბევრი მკვლევარი დაინტერესებულა საკითხით, თუ რა შეიძლება იგულისხმებოდეს "არიან-ქართლში". Aარსებობს მისი ახსნის მრავალი ცდა, მაგრამ ეს საკითხი ჯერჯერობით გადაჭრილი არ არის.

<u>ბიბლიური წინაპარი</u>. **`ქართლის ცხოვრების" (ლეონტი მროველის)** მიხედვით, ქართველებისა და სხვა კავკასიელი ხალხების საერთო წინაპარი თარგამოსი იყო "ძე თარშისი, ძისწული იაფეთისი, ძისა ნოესი". მას შემდეგ, რაც ბიბლიური ბაბილონის გოდოლის შენება ვერ მოხერხდა და ღმერთმა ადამიანები სხვადასხვა ენაზე აალაპარაკა, ისინი დაიფანტნენ მთელ მსოფლიოში. თარგამოსიც წამოვიდა ,,ნათესავითურთ მისით" ჩრდილოეთით და დაემკვიდრა არარატისა და მასისის (თანამ. ტურაბდინი) მთათა შორის. აქ მისი შთამომავლობა ძალიან გამრავლებულა, რადგანაც თვითონ ექვსას წელს უცხოვრია, ამიტომაც ბოლოს ,,ვერღარა იტევდა ქუეყანა არარატისა და მასისისა" მის ამ მრავალრიცხოვან შთამომავლობას. რვა გამოჩენილი, ,,ძლიერი და სახელოვანი" შვილი ჰყოლია **თარგამოსს: ჰაოს, ქართლოს, ბარდოს, მოვაკან, ლეკ, ჰეროს, კავკას, ეგროს.** Aაი, ამათ გაუყო თავისი სამფლობელო თარგამოსმა და ყველა ისინი თავისთვის სამფლობელოში დაასახლა. მათგან მოდიან: ჰაოსიდან – სომხები (არსებობს მოსაზრება, რომ ისინი უნდა იყვნენ სვანო-მესხები), ქართლოსიდან – ქართველები (ქართები), ბარდოსიდან _ რანნი, მოვაკნიდან _ მოვაკნელნი, ლეკიდან – ლეკები, ჰეროსიდინ – ჰერები, კავკასიიდან - კავკასიანნი, ხოლო ეგროსიდან _ მეგრელნი.

მეტად სიცოცხლისუნარიანი გამოდგა ამავე ბიბლიურ ტექსტთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინ, I საუკუნის ებრაელი მწერლის, **იოსებ ფლავიუსის,** მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ ბიბლიური თუბალები მერმინდელი იბერები (ქართები) არიან. XIX ს. პირველსავე ნახევარში ამაზე მსჯელობს თეიმურაზ ბატონიშვილიც: ,,სულ ძველად ქართველთა, ესე იგი ივერთა, თობელი ეწოდებისო, ვინაჲდგან იგინი შთამომავლობანი არიან იაფეთის ძის იობელისანი". თეიმურაზ ბატონიშვილი ამ შემთხვევაში სარგებლობდა იოსებ ფლავიუსის თხზულებით, რომელიც ქართულად უთარგმნია იოანე პეტრიწს.

იოსებ ფლავიუსისგან მოდის, აგრეთვე, ბიბლიური "მეშეხის" (მოსოხის) დასახვა შემდეგდროინდელი კაბადოკიელების წინაპრად და კაპადოკიის დედაქალაქ მაზაკასათვის მისი სახელის დაკავშირება.

XIX საუკუნეში ამ მოსაზრებების განმტკიცებამ მოულოდნელად ახალი სტიმული მოიპოვა, რადგანაც გამოვლინდა ძველი ასურული ლურსმული წარწერები, სადაც ბიბლიური თუბალი და მეშეხი სავსებით კონკრეტული სახით წარმოდგნენ ჩვენ წინაშე, როგორც ძვ. წ. II–I ათასწლეულებში მცირე აზიაში არსებული დიდი გაერთიანებები – ტომთა კავშირები თუ სამეფოები. ქართველთა (ქართ-იბერთა) წინაპრების წრეში შემოიყვანეს, აგრეთვე, ქსენოფონტეს მიერ ძვ. წ. V ს. დასასრულის ზემო მესოპოტამიაში (ისტორიული "გორდუენეს" – კორდუქის მიწა-წყალზე) მოხსენიებული კარდუხები, რომელთა

სახელი მართლაც საოცრად ჰგავს ქართების ადგილობრივ სახელს (“ქართუ”). კ. ფ. Lემან-ჰაუპტი თვლიდა, რომ ქართები (იბერები) ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან მოსული კარდუხებისა და მცირე აზიიდან მოსული მესხების შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდნენ.

ზოგ მკვლევარში ამ ფაქტმა კვლავ გააცოცხლა ასოციაციები მესხებთან და ცნობილმა ხეთოლოგმა_ ვ. კავენიაკმა XII ს. ზემო მესოპოტამიაში გამოჩენილი მუშქები ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის ოლქებიდან ჩამოსულად მიიჩნია. მსგავსი მოსაზრება გამოთქმულია ,,მოქცევაი ქართლისაშიც’’.

XX საუკუნის 40-50-იანი წლების ქართულ საისტორიო და საენათმეცნიერო ლიტერატურაზე დიდი გავლენა იქონია **აკად. სიმონ ჯანაშიას** კონცეფციამ ქართველი ხალხის წარმოშობის შესახებ. ს. ჯანაშიამ ფაქტობრივად მოხსნა თვალსაზრისი ქართველთა გადმოსახლების შესახებ. “საქართველოს ისტორიის” სახელმძღვანელოში, რომელიც პირველად 1943 წელს გამოქვეყნდა, ს. ჯანაშიას კონცეფცია ასეთი სახით არის წარმოდგენილი: ქართველები წარმოშობით წინა აზიის ძველ მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნიან. უძველეს დროში, დაახლოებით ექვსი ათასი წლის წინათ, წინა აზიის უზარმაზარ მიწა-წყალზე და სამხრეთ ევროპაშიც (ბალკანეთის, აპენინისა და პირენეის ნახევარკუნძულებზე) ერთი მოდგმის ხალხები ცხოვრობდნენ, რომელთა არეალი თანდათან მცირდებოდა. ძვ. წ. II ათასწლეულის დამდეგისათვის წინა აზიის მკვიდრი ხალხებიდან ცნობილი იყვნენ ხეთები და სუბარები. ხეთა-სუბარები ქართველ ტომთა წინაპრები არიან. ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთათვის იმ დროის მოწინავე ევროპულ მეცნიერებაში ფართოდ გავრცელებული თეორია ქართველთა წარმოშობის შესახებ მძლავრი იარაღი ხდებოდა ეროვნული თვითშეგნების განმტკიცების, მისი თავისთავადობისა და ასიმილატორთა შემოტევისაგან დაცვაში. ამ მხრივ დიდი როლი შეასრულა ილია ჭავჭავაძის გამოსვლამ XIX საუკუნის 80-90-იან წლებში პოლემიკური წერილების სერიით, სადაც იმ დროის გამოჩენილი ევროპელი მკვლევრების ნააზრევზე დაყრდნობით დაიწყო მტკიცება იმისა, რომ თვით ლურსმულით ნაწერი ქვანიც კი ღაღადებენ იმათ წინააღმდეგ, ვისაც სურს ქართველი ხალხის მდიდარი ისტორიული წარსულის უარყოფა და შებღალვა. ამ საქმეში ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლად გვევლინება XIX ს. გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი _ დიმიტრი ბაქრაძე.

ღრმა კვალი დაამჩნია საქართველოს უძველესი მატერიალური კულტურის შესწავლას XXს. 30-40-იან წლებში ბ. კუფტინმა. მის სახელს უკავშირდება ლითონის წარმოების ადრეული ეტაპების მკაფიო გამოყოფა საქართველოს უძველესი მატერიალური კულტურის ისტორიაში (ენეოლითი, ადრებრინჯაო, შუა ბრინჯაო). მეცნიერი გადაჭრით აღნიშნავდა, რომ მის მიერ გამოვლენილი უძველესი კულტურა “ეკუთვნოდა სამხრეთ კავკასიის უძველეს მოსახლეობას, რომელიც სწორედ ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ეთნიკურად და აქ ქმნიდა თავის ისტორიას. აღარავითარი საფუძველი აღარ მოგვეპოვება იმისათვის, რომ ამ კულტურის ცენტრები სადღაც შორეულ მესოპოტამიასა და მცირე აზიაში ვეძიოთ. სწორედ სამხრეთი კავკასია წარმოადგენდა ქართველი ხალხის სამშობლოსაც და უძველეს სამშობლოსაც”. ბ. კუფტინი ასე კატეგორიულად და უყოყმანოდ იცავდა საქართველოს და, საერთოდ, კავკასიის მიწა-წყალზე მიმდინარე ადგილობრივი უწყვეტი კულტურული განვითარების იდეას.


საბოლოოდ უნდა დავასკვნათ, რომ ქართველების სამშობლო უძველესი დროიდან არის დღევანდელი საქართველოს ტერიტორია. ქართველები ავტოქტონები ვართ (ანუ აბორიგენები), ამის უტყუარი დასტურია მდიდარი და მრავალფეროვანი არქეოლოგიური

მასალა. საქართველოში შეინიშნება არქეოლოგიურად აღმოჩენილი მასალების ერთიანი განვითარების უწყვეტი ხაზი. ანუ, უმარტივესი ქვის იარაღებით დაწყებული, მრავალი ორნამენტებით შემკული რკინის იარაღებით დამთავრებული საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნივთები ერთმანეთის მონათესავე ტომების შექმნილი უნდა იყოს და ამავე დროს ეს ტომები აქ უნდა ცხოვრებულიყვნენ უძველესი დროიდან. მათ ქრისტეშობამდე IV-III საუკუნეებში შექმნეს ერთიანი საქართველოს სახელმწიფო, ერთი ქართული სახელმწიფო ენითა და კულტურით.

ამრიგად, დღეისთვის არსებული მასალებისა და ცოდნის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: ქართველური ენების დიალექტებისა და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური მასალის ანალიზი მოწმობს, რომ ძვ. წ. III ათასწლეულში არსებობდა წინარექართველური ფუძე ენა, რომელსაც ძვ.წ. II ათასწლეულში გამოეყო სვანური, ხოლო ძვ. წ. VIII საუკუნეში_ქართული და მეგრულ-ჭანური. ამრიგად, ქართველური ენები შედგება საკუთრივ ქართულისაგან, მეგრულ-ჭანურისა და სვანური ენებისგან. ქართველური ენები ივანე ჯავახიშვილმა მიაკუთვნა იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფს.

წინარექართულზე მოლაპარაკე ხალხი ცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე სამხრეთით მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში.

დანართი



პირველყოფილი საზოგადოება ქართველურ ტომებში

ქვის ხანა. სამხრეთ კავკასიაში ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები უნდა ყოფილიყო პირველყოფილი ადამიანის ცხოვრებისათვის. დმანისში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა პირველყოფილი ადამიანიების (ქალისა და მამაკაცის) ჩონჩხის ფრაგმენტები, რომელიც უძველესია მთელს ევრაზიაში. იგი 1.6-1.8 მილიონი წლის წინანდელია. მათ პირობითად უწოდეს ზეზვა და მზია. ამ აღმოჩენამ შეძრა მთელი მსოფლიო და თავდაყირა დააყენა აქამდე მსოფლიოში გაბატონებული გაადამიანების პროცესებზე არსებული შეხედულებები. Eეს აღმოჩენა საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სხვა ძეგლებთან ერთად (ახალქალაქის ,,ამირანის გორა", საგარეჯოს რაიონის სოფელი უდაბნო, თერჯოლის რაიონის სოფელი საკაჟია, სოხუმთან ახლოს იაშთხვა, ფარავნის ტბის მიდამოები), სადაც მიკვლეულია დმანისელი ადამიანის შემდგომი პერიოდის ძველი ადამიანის ადგილსამყოფელი, იმაზე მეტყველებს, რომ ,,ჰომოსაპიენსის'' ანუ გონიერი ადამიანის ფორმირება მოხდა კავკასიაშიც.

დმანისელ ადამიანის ჩონჩხის ნაწილებთან ერთად აღმოჩნდა სირაქლემას, ბიზონის, გიგანტური ირმის, ცხენის, მარტორქას, სამხრეთული სპილოს, მგლის, დათვის და სხვათა ძვლები. აღმოჩენილი მასალები გვაძლევენ წარმოდგენას იმ პერიოდის ფლორასა და ფაუნაზეც. დმანისელ ადამიანზე უფრო ძველი ჩონჩხები ნაპოვნია აფრიკაში(ოლდუვაის კულტურა). როგორც ჩანს, დმანისელი ადამიანი საქართველოს ტერიტორიაზე აფრიკიდან უნდა წამოსულიყო წინა აზიის გავლით.

პირველყოფილი ადამიანის ძირითადი იარაღი იყო ქვა, ამიტომაც, კაცობრიობის ისტორიის იმ პერიოდს, როდესაც ძირითადი იარაღი ქვაა, ეწოდება ქვის ხანა. ქვის ხანა იყოფა სამ პერიოდად: პალეოლითი (ძველი ქვის ხანა), მეზოლითი (შუა ქვის ხანა), ნეოლითი (ახალი ქვის ხანა). თავის მხრივ, პალეოლითი იყოფა ქვედა, შუა და ზედა პალეოლითად.

ქვედა პალეოლითი ყველაზე ხანგრძლივი ხანაა კაცობრიობის ისტორიაში. იგი იწყება 1.8-1.6 მილიონი წლიდან და ჩამოდის ძვ. წ. 40-35 ათას წლამდე. თავის მხრივ, ქვემო პალეოლითში გამოყოფენ შემდეგ ქვეპერიოდებს: წინა შელი, შელი, აშელი და მუსტიე.

ზედა პალეოლითი მოიცავს 40-35 ათასი წლიდან 12-10 ათას წლამდე პერიოდს, რომელშიც გამოყოფენ აგრეთვე ქვეპერიოდებს: ორინიაკის, სოლუტრეს, მადლენისა და აზილტარდენუას.

ქვედა პალეოლითის ნასახლარები მრავლადაა აღმოჩენილი საქართველოში: დმანისში, კაცხში, ლაშებალთაში, ჭიქიანის მთაზე, წოფიში, კუდაროში (1 600 მ.) და წონა (2 100მ.). ქვის მარტივი იარაღით აღჭურვილი ადამიანი, ბუნებრივია, მარტო ცხოვრებას ვერ შეძლებდა, ამიტომ ერთიანდებოდნენ და ქმნიდნენ ჯოგებს. პირველყოფილი ადამიანები 20-30 კაციან პირველყოფილ ჯოგებს შეადგენდნენ. მათ ძირითად საქმიანობას ნადირობა და შემგროვებლობა წარმოადგენდა. მათ მიერ ქვისგან დამზადებული იარაღები- ხელცულები, საფხეკები და წვეტანები ძალიან პრიმიტიული იყო. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცეცხლის გამოყენებას. ცეცხლზე შემწვარი ხორცი ხელს უწყობდა ადამიანის გონებრივ და ფიზიკურ განვითარებას.

ქვედა პალეოლითის ბოლოს დაიწყო გამყინვარება, რის გამოც კავკასიაში საგრძნობლად აცივდა. ჩვენი წინაპრები ჩამოვიდნენ მთიდან და ბარში დასახლდნენ. უპირატესობა მიანიჭეს ისეთ საცხოვრებლებს, სადაც ბუნებრივი თავშესაფარი არსებობდა. ამ პერიოდის ადამიანის სადგომები აღმოჩენილია: დევის ხვრელში, საკაჟიაში, საგვარჯილეში, სამერცხლე კლდეში, სამელე კლდეში და სხვაგან.

<u>ზედა პალეოლითი</u> დაიწყო ძვ. წ. 40-35 ათასი წლიდან და დამთავრდა ძვ. წ. 14-12 ათასი წლის წინ. ამ დროისათვის ადამიანი ძირითადად დასავლეთ საქართველოში, უპირატესად მდინარეების _ რიონისა და ყვირილას აუზში ცხოვრობდა. თანდათან იხვეწება ქვის იარაღი. იქმნება ადამიანთა უფრო მყარი გაერთიანებები. პირველყოფილი ჯოგი შეცვალა გვაროვნულმა თემმა, რომელშიც ერთიანდებოდნენ ერთი გვარის მონათესავე წარმომადგენლები. გვარში წამყვანი როლი ქალს ეკუთვნოდა და ნათესაობაც დედის მხრიდან გადადიოდა. ამას განაპირობებდა რამდენიმე მიზეზი: ოჯახის არარსებობა, შემგროვებლურ მეურნეობაში ქალის წამყვანი როლი. სანადიროდ წასული მამაკაცები რამდენიმე დღე არ ბრუნდებოდნენ (ზოგჯერ ხელცარიელიც კი მოდიოდნენ უკან). ყველაფერს შინ დარჩენილი ქალები აკეთებდნენ. Aამრიგად, ქალების საქმიანობა უფრო შემოსავლიანი და სტაბილური იყო. კაცობრიობის ისტორიაში ამ პერიოდს **მატრიარქატი ანუ დედამთავრული** გვარი ეწოდა. უკვე პალეოლითის ხანაში ჩნდება პირველი რელიგიური წარმოდგენები. არის მოსაზრება, რომ საქართველოში იყო ,,დათვის კულტი''. ამის საბაბს იძლევა გამოქვაბულებში აღმოჩენილი დათვის თავები, რომლებიც საგანგებო ადგილზე იყო მოთავსებული. ამავე პერიოდში ჩაისახა ხელოვნებაც. ადამიანი იწყებს პრიმიტიულ ხატვას და ძერწვას.

შემდეგ მოდის <u>მეზოლითის ხანა.</u> რომელიც მოიცავს ძვ. წ. 14-12 ათასი წლიდან მოყოლებული ძვ. წ. 10-8 ათას წლამდე პერიოდს. ამ დროს ყალიბდება ის გეოგრაფიული გარემო და ლანდშაპტი, რომელიც დღეს არსებობს.

მეზოლითს აგრძელებს <u>ნეოლითის ხანა</u>, რომელიც იწყება ძვ. წ. 10-8 ათასი წლიდან და ჩამოდის ძვ. წ. VI ათასლეულის ბოლომდე. საქართველოს ტერიტორია შედიოდა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ნეოლითურ კულტურაში, რომელიც წინააზიური ცივილიზაციის ნაწილს წარმოადგენს. სწორედ ამ დროს ხდება უმნიშვნელოვანესი ცვლილებები ადამიანის ცხოვრების წესში, რომელიც ნეოლითური რევოლუციის სახელითაა ცნობილი. იწყება მწარმოებლური მეურნეობის განვითარება. საფუძველი ეყრება მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას. მიწას ამუშავებენ ქვის თოხით, ხის საჩიჩქნით და რქით. მოსავალს იღებენ კაჟისგან დამზადებული ნამგლის პირებით. ამ

დროისთვის მარცვლეული კულტურებიდან, ძირითადად, გავრცელებულია ფეტვი. მოყავთ, აგრეთვე, ხორბალი და ქერი. მიწათმოქმედების განვითარება მოითხოვდა ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლას. გაჩნდა სოფლის ტიპის სამოსახლოები. იწყება პრიმიტიული საცხოვრებლების აგება. უმჯობესდება ქვის იარაღების დამუშავება. ხდება ქვის გახვრეტა, გახეხვა და გაპრიალება. საფუძველი ეყრება მეთუნეობას. ის განსაკუთრებით ვითარდება სამეთუნეო დაზგის გამოგონების შემდეგ. ადამიანი იყენებს თიხის ჭურჭელს. მან ისწავლა რთვა და ქსოვა.

ნეოლითური ხანის ძეგლები ძირითადად დასავლეთ საქართველოშია აღმოჩენილი. კერძოდ: ხუცუბანში, ანასეულში, კისტრიკში, ქობულეთში, თეთრამიწაში, აპიანჩაში, მახვილაურში.

<u>ენეოლითის ხანა.</u> განვითარების გარკვეულ ეტაპზე ადამიანი ქვის იარაღის პარალელურად იწყებს ლითონის იარაღის გამოყენებას. პირველი ლითონი, რომლისგანაც ამზადებდნენ იარაღს, იყო სპილენძი. სპილენძი რბილი ლითონია და ადვილად შეიძლებოდა მისი გამოჭედვა. სპილენძისაგან დამზადებული იარაღი გაცილებით მოსახერხებელი იყო, ვიდრე ქვის, მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში კვლავ ფართოდ გამოიყენებოდა ქვის იარაღი. იმ ხანას, როდესაც ერთდროულად გამოიყენებოდა ქვისა და სპილენძის იარაღი ენეოლითის ხანა ეწოდება. საქართველოში იგი მოიცავს ძვ.წ. V ათასწლეულს მთლიანად და IV ათასწლეულის პირველ ნახევარს. ენეოლითის ხანა ლითონების გამოყენებაზე გადასვლას მოასწავებს და წარმოადგენს ერთგვარ ადრე სამიწათმოქმედო კულტურის განვითარებას. ამ პეიოდის სამოსახლოებია: შულავერის გორა, ხრამის დიდი გორა, იმირის გორა (ქვემო ქართლი), რომლებიც გაშენებულია ხელოვნურ ბორცვებზე (,,გორებზე'') და ეკუთვნის ძვ. წ. აღ. V-IV ათასწლეულებს. დასავლეთ საქართველოში საცხოვრებლად იყენებდნენ მღვიმეებსაც. აშკარაა, რომ მოსახლეობა უკვე ბინადარ ცხოვრებას ეწევა. მათ საქმიანობაში წამყვანია მიწათმოქმედება. ამ ხანის ძეგლებზე დადასტურებულია ურწყავი და სარწყავი მიწათმოქმედების თანაარსებობა. აქაური მოსახლეობა, აგრეთვე, მისდევდა მესაქონლეობასაც. უნდა ითქვას, რომ ენეოლითის ხანაში საქართველოში ყალიბდება ბინადარი მოსახლეობის სამიწათმოქმედო კულტურა, რომელიც ცნობილია შულავერ-შომუთეფეს კულტურის სახელწოდებით. ამ კულტურის მატარებელი მოსახლეობა ცხოვრობდა ალიზით ნაგებ მრგვალ სახლებში, მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ფეტვი. განვითარებული იყო მესაქონლეობა. არქეოლოგიური მასალა ძირითადად მიწათმოქმედების დიდ როლზე მიუთითებს. ნასოფლარებზე აღმოჩენილია: ნამგლის ჩასართები, ხელსაფქვავის ქვები, როდინები, ძვლისა და რქის თოხები და მიწის საჩიჩქნი იარაღები, მარცვლეულის შესანახი თიხის ჭურჭლები, ზოგჯერ მარცვლეულის ნაშთით. აღმოჩენილია სადღვებლის ფრანგმენტებიც, რაც იმას მოწმობს, რომ ამ პერიოდში იცოდნენ რძის პროდუქტების მიღება. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეურნეობის დამხმარე დარგად მაინც რჩება ნადირობა, შემგროვებლობა და თევზჭერა.

<u>ბრინჯაოს ხანა.</u> ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარში საქართველოში იწყება ბრინჯაოს ხანა. ბრინჯაო თვითნაბადი სახით ბუნებაში არ არსებობდა. ის მიიღება სპილენძში სხვადასხვა ნივთიერების (ანთიმონი, კალა, დარიშხანი) შერევით. სპილენძისგან განსხვავებით ბრინჯაოს იარაღი გაცილებით უფრო მაგარია. ბრინჯაოს ხანა იყოფა სამ პერიოდად: ადრე, შუა და გვიან ბრინჯაოს ხანად.

ადრე ბრინჯაოს ხანაში სამხრეთ კავკასიაში დაწინაურდა <u>მტკვარ-არაქსის კულტურა.</u> განვითარების კიდევ უფრო მაღალ დონეს აღწევს მიწათმოქმედება,

მესაქონლეობა, მეთუნეობა. ამ პერიოდის ნასახლარებზე აღმოჩენილია თიხის ყალიბები, ქურის ნაშთები. როგორც ჩანს, ხელოსნობის ცალკე დარგად ყალიბდება მეტალურგია. საფუძველი ეყრება გუთნურ მიწათმოქმედებას. მიწის დასამუშავებლად გამწევ ძალად უკვე გამოიყენება ხარი. მოსავლის ასაღებად იხმარება ნამგალი. შედარებით უფრო გვიან ჩნდება ცხენი. ცხენის გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს: იოლი ხდება შორს მანძილზე გადაადგილება, რაც თავის მხრივ ხელს უწყობდა კავშირ-ურთიერთობების გაფართოებას. ცხენოსანი ჯარის გამოყენება ცვლის სამხედრო სტრატეგიას. მეურნეობაში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებები აისახა საზოგადოებრივ ურთიერთობებზეც. ნელ-ნელა წინაურდება მამაკაცი. გვარში ახლა ის ასრულებს წამყვან როლს. მატრიარქატი ირღვევა და მის ადგილს პატრიარქატი (მამათავრული გვარი) იკავებს.

ცალკეული გვარები შედგებოდა მონათესავე ოჯახებისაგან. საერთო საგვარეულო საკუთრება იყო მიწა და საძოვრები, მაგრამ სავარაუდოა, რომ ცალკეული ოჯახები მარტოც ამუშავებდნენ მათთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთებს. თუმცა, ოჯახს ჯერ კიდევ არ შეეძლო გვარისაგან დამოუკიდებლად არსებობა. მტკვარ-არაქსის კულტურა დაახლოებით ათასი წელი არსებობდა. აღმოსავლეთ საქართველოში ბევრგან არის აღმოჩენილი იმდროინდელი ნასახლარები (ქვაცხელები, ხიზანაანთგორა...). დასავლეთ საქართველოში მტკვარ-არაქსის კულტურა რიონის შუა წელამდე აღწევდა.

მტკვარ-არაქსის კულტურისათვის ერთ-ერთი ყველაზე მახასიათებელი გახლავთ შავლაკიანი ხელით ნაკეთები ჭურჭელი. რაც შეეხება დაკრძალვის წესს, გავრცელებული იყო ინდივიდუალური საფლავები, სადაც გვამები ძირითადად, ქვის ყუთებში იყო ჩამარხული. გვხდება, აგრეთვე, სახლის იატაკის ქვეშ ბავშვების დაკრძალვის ფაქტებიც.

მტკვარ-არაქსის კულტურის ბოლო ეტაპზე საქართველოს ტერიტორიაზე დაბლობში სამოსახლოები მიტოვებულია და ინტენსიურად ხდება ათვისება მთისწინა და მთიანი რაიონებისა. სახეზე გვაქვს სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ცვლილებები. ეს დაკავშირებული უნდა იყოს მიგრაციასთან. საქართველოს ტერიტორიაზე მოსულმა სხვა ეთნიკურმა ტომებმა მოიტანეს მათი ყოფისათვის დამახასიათებელი ელემენტები, რომელიც გაიზიარეს ქართველურმა ტომებმაც. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქართველური ტომები მათი ზეგავლენის ქვეშ მოექცნენ, პირიქით, დროთა განმავლობაში მათ მოსულთა ასიმილაცია უნდა მოეხდინათ. მაგრამ ერთი კი ფაქტია, რომ ყოველივე ამან განაპირობა გლობალური ცვლილებები და მტკვარ-არაქსის კულტურის საფუძველზე ახალი, **თრიალეთის** შუაბრინჯაოს კულტურა ჩამოყალიბდა.

მტკვარ-არაქსის კულტურა შეცვალა ახალმა კულტურამ, რომლისათვის დამახასიათებელია დაკრძალვის განსხვავებული წესი _ ყორღანული სამარხები. ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლოს იწყება **შუა ბრინჯაოს** ხანა. ყორღანული კულტურის მატარებელი ტომები საქართველოში შემოიჭრნენ ჩრდილოეთიდან III ათასწლეულის მეორე ნახევარში. ადრეყორღანული კულტურის ხანაში დასავლეთ საქართველოში განსახლებულნი იყვნენ სვანურ ენაზე მოლაპარაკე ტომები. ამ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოში ვრცელდება ბედენური კულტურა (ეს სახელი მომდინარეობს ქვემო ქართლში აღმოჩენილი ბედენის გორასამარხებიდან). ამ პერიოდის ნასხლარები აღმოჩენილია როგორც ბარში, ასევე მთის ზოლში (ბერიკლდეების ნასახლარები). კიდევ უფრო ვითარდება მეტალურგია. ჩნდება უფრო მაგარი კალიანი ბრინჯაოს ნივთები (მანამდე გავრცელებული იყო დარიშხანიანი ბრინჯაო). კავკასიაში კალა არ მოიპოვებოდა და სავარაუდოა, რომ ის სამხრეთიდან შემოჰქონდათ. განვითარების მაღალ დონეს აღწევს

ოქრომჭედლობა. აღმოჩენილია ოქროსა და ვერცხლის მძივები. წნორის ყორღანში ნაპოვნია ლომის პატარა ოქროს ქანდაკება.

შუა ბრინჯაოს ხანაში დაწინაურდა **თრიალეთის კულტურა.** მისთვის დამახასიათებელია დიდი ყორღანების არსებობა. ყორღანების სიმაღლე 10-15 მეტრს, ხოლო დიამეტრი 100 მეტრამდე აღწევდა. ყორღანების ცენტრში მდებარეობდა დიდი დასაკრძალავი დარბაზი (სიმაღლე 6 მ. ფართობი 150 კვ.მ.). ამ ტიპის ყორღანების აგება სამშენებლო ცოდნის მაღალ დონეს მოითხოვდა. ყორღანებში კრძალავდნენ ტომის ბელადებს, ცალკეული გვარის წინამძღოლებს. წესად იყო მიღებული მიცვალებულის კრემაცია და შემდეგ ეტლით ან ხის სარეცლით დასაფლავება. ყორღანებში გვხდება მიცვალებულისთვის ჩატანებული სხვადასხვა ნივთი: ბრინჯაოს საბრძოლო იარაღი, კერამიკული ნაწარმი, ოქროსა და ვერცხლისაგან დამზადებული თასები, სასმისები. თრიალეთის ერთ-ერთ ყორღანში აღმოჩნდა ოქროს სასმისი, რომელიც გარედან შემკულია სარდიონისა და მინის თვლებით. ძალიან საინტერესოა ვერცხლის სასმისი, რომელზეც რიტუალური სცენაა აღბეჭდილი. ასეთივე რიტუალური სცენაა მეორე ვერცხლის სასმისზე. ქვედა რიგში გამოსახულნი არიან ირმები, ზედაზე კი _ 22 ადამიანის ფიგურაა, რომლებიც თითქოს მიემართებიან ცენტრში სკამზე მჯდომი ადამიანისკენ. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ესენი არიან ქურუმები.

კარგადაა განვითარებული ამ დროისთვის ხის დამუშავება. ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში იწყება **გვიან ბრინჯაოს ხანა**. ამ პერიოდში ვითარდება აღმოსავლეთ ქართული და დასავლეთ ქართული გვიან ბრინჯაოს ხანის კულტურა. განსაკუთრებით ცნობილია კოლხური კულტურა, რომლის ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს კოლხური ცული, თოხი და ტყის გასაკაფი იარაღი. საკუთრივ კოლხური კულტურა ჩაისახა კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, რასაც ხელი შეუწყო ჭოროხის აუზში სპილენძის მადნების სიუხვემ და წინააზიურ სამყაროსთან სიახლოვემ. ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში კოლხური კულტურა თავისი განვითარების მწვერვალს აღწევს. ნელ-ნელა ისახება რკინის მეტალურგიაც. რკინის ფართო გავრცელება ძვ.წ. VIII საუკუნიდან იწყება. ბერძნული წყაროებით რკინის მეტალურგიის ჩასახვა-განვითარება ქართველურ ტომ ხალიბების სახელთანაა დაკავშირებული. ბერძნულ ენაში რკინის სახელწოდებას ფუძედ ,,ხალიბ'' უდევს.

მეურნეობის განვითარებამ გამოიწვია გვაროვნული თემის დაშლა. ცალკეულ ოჯახებს შეუძლიათ სხვა გვარის ტერიტორიაზეც კი დამოუკიდებლად იცხოვრონ. გვაროვნული თემი იცვლება სამეზობლო თემით. ამ დროსვე ჩნდება კერძო საკუთრება. მეურნეობის განვითარებამ წარმოშვა ჭარბი პროდუქტი და იწყება მათი ერთმანეთში გაცვლა. nაწილი _ მდიდრდება, ნაწილი _ ღარიბდება. ღარიბი მდიდარს სთხოვს დახმარებას და სანაცვლოდ რაიმეს სთავაზობს. წინაურდება ტომის არისტოკრატია: ტომის ბელადი და მასთან დაახლოებული წრე, ქურუმები. ისინი ცდილობენ ბელადის არჩევნები მემკვიდრეობითი გახადონ. ხშირია ტომებს შორის ომები. თუ ადრე გამარჯვებულები ალაფს თანაბრად იყოფდნენ, ახლა მას მხოლოდ არისტოკრატია ითვისებს. ტყვეებს მონებად აქცევენ; იქმნება ტომთა კავშირები, **ყალიბდება სამხედრო დემოკრატია, რკინის ხანაში სრულდება პირველყოფილი-თემური წყობილება, წარმოიქმნება კლასობრივი საზოგადოება, ყოველივე ეს კი სახელმწიფოს წინა დღეა.**

ლექცია #II

პირველი ქართული სახელმწიფოები და ძველი მსოფლიო. საქართველო აქამენიდურ და ანტიკურ ხანაში

საქართველო ძველი წელთაღრიცხვის II და I ათასწლეულის პირველ ნახევარში. ქართველ ტომთა ადრეკლასობრივი გაერთიანებები საქართველოს ტერიტორიაზე (დიაოხი, კოლხა)

უძველესი ცნობები ქართველური ტომებისა და ტომთა კავშირების შესახებ შემონახულია ძველ აღმოსავლურ წყაროებში: ხეთურ, ასურულ და ურარტულ

წარწერებში. ამ წყაროებში მოხსენიებულია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სამი დიდი გაერთიანება კილხა (ანუ კოლხა), დიაოხი, რომელიც ასურულ ლურსმულ ტექსტებში მოხსენიებული დაიაენია და სასპერები.

კარგად, რომ წარმოვიდგინოთ, თუ რა პირობებში და სახელმწიფოთაA შორისი კონკურენციის პირობებში უწევდა ქართველურ ტომებს და მათ პირველ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებს არსებობა, თვალი გადავავლოთ ძვ.წ. II ათასწლეულში საქართველოს მეზობლად არსებულ სახელმწიფოებს, რომელიც დაგვეხმარება კარგად შევიგრძნოთ იმ პერიოდის გეოპოლიტიკის მაჯისცემა. ქართულ ტომებთან ურთიერთობა ჰქონდათ წინა აზიის უძლიერეს **ხათი-ხეთების** სახელმწიფოსთან.

წინა აზია გეოგრაფიულად მოიცავს საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას. მასში შედის: მცირე აზია, არაბეთის ნახევარკუნძული, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო, მესოპოტამია და თანამედროვე ირანის ტერიტორია. წინა აზიის აღმოსავლეთით მდებარეობს ირანის ზეგანი, დასავლეთით _ ანატოლიის ზეგანი, რომლის აღმოსავლეთ ნაწილს ეწოდება კაპადოკია. წინა აზიაში ნალექიანობის სიმცირის გამო მიწათმოქმედება სუსტად იყო განვითარებული.

წინა აზიაზე გამავალმა სავაჭრო გზებმა რამდენადმე განაპირობეს ამ რეგიონის ათვისება. ძვ.წ. II ათასწლეულში აღნიშნულ ტერიტორიებზე ჩამოყალიბდა სახელმწიფოები, რომელთა შორის აღსანიშნავია ხეთების ქალაქ-სახელმწიფოები. **ხეთები ძირითადად** მცირე აზიაში ცხოვრობდნენ და თავიდან ათამდე ქალაქ-სახელმწიფო ჰქონდათ ჩამოყალიბებული.

ამ ქალაქებს შორის დაიწყო ბრძოლა პირველობისათვის, რომელიც ძვ.წ. XVIII საუკუნეში დამთავრდა. პირველობისათვის ატეხილ ბრძოლებში გაიმარჯვა **ქუსარას** მეფემ და ერთიან ხეთურ სახელმწიფოს ჩაუყარა საფუძველი.

განსაკუთრებით გაძლიერდა ხეთების სამეფო **მეფე ლაბარნას** პერიოდში, რომელმაც დაიპყრო ჩრდილოეთ სირია, ბაბილონი და შეიჭრა ეგვიპტეში.

ძვ.წ. XV საუკუნეში ხეთების სამეფო დასუსტდა, რაც მნიშვნელოვანწილად გამოწვეული იყო ხეთების მიერ დაპყრობილი ხალხების აჯანყებებით. ეს გამოიყენა ეგვიპტის სამეფომაც და ხეთები გამოაძევა სირიიდან.

ძვ.წ. XIV საუკუნეში ხეთები კვლავ გაძლიერდნენ. მათ მოახერხეს მცირე აზიაში ძველი სამფლობელოების შემოერთება და დაიწყეს ბრძოლა სირიისათვის ეგვიპტელების წინააღმდეგ. ბრძოლა ურთიერთშეთანხმებით დასრულდა. ხეთებს ერგოთ ჩრდილოეთი სირია, ეგვიპტელებს კი_სამხრეთი.

ძვ.წ. 1200 წლისათვის ხეთების სამეფო საკმაოდ დასუსტებული იყო. მისთვის გამანადგურებელი აღმოჩნდა ეგეოსის ზღვის სამხრეთიდან მოსული ე.წ. **,,ზღვის ხალხების" თავდასხმები და მან, როგორც სახელმწიფომ, არსებობა შეწყვიტა.**

ხეთებს ბრძოლები ჰქონდათ ასევე **ქასქების (ქაშქების)** ტომებთან, ქასქების გვერდით ცხოვრობდნენ **მუშქები,** რომლებიც **ქართულ ტომებს** წარმოადგენდნენ. ძვ.წ. XII საუკუნეში მუშქები სამხრეთისკენ გაიჭრნენ და მოუხდათ შეტაკება **ასურელებთან. რაც შეეხება ასურეთს, იგი იმ პერიოდის მსოფლიოს წამყვანი** სახელმწიფო გახლდათ და დიდ როლს თამაშობდნენ ქართულ სახელმწიფოთა ისტორიაშიც.

ასურეთის სამეფოს დიდი ისტორია აქვს. ძვ.წ. III ათასწლეულის II ნახევარში **მდინარე ტიგროსის შუა** წელზე დასახლდნენ **სემიტური ტომები,** რომლებმაც აქ ააშენეს ქალაქი **ასური.** მალე ამ ქალაქის ირგვლივ შეიქმნა სახელმწიფო, რომლის ცენტრადაც

ასური იქცა. ქალაქის სახელი _ ასურეთი, მალე მთელ სახელმწიფოზე გავრცელდა. ძველ ბერძნულ წყაროებში ამ სახელმწიფოს უკვე ასურეთის სახელით მოიხსენიებენ.

ძვ. წ. XIII საუკუნეში, მას შემდეგ რაც დაეცა მითანას სახელმწიფო, ასურეთმა შეძლო ნელ-ნელა შემოეერთებინა მისი ჩრდილოეთი ნაწილი. ასურელი მეფეები (ტიგლათ ფილესერ I, ტუკულთი-ნინურთა I და სხვა) თავიანთ წყაროებში ასახელებენ სამ დიდ დაჯგუფებას, რომელთანაც მათ უწევდათ ბრძოლები, ესენია: სუბართუს, ნაირისა და ზემო ზღვის ქვეყნები. სუბართუს სახით ასურელებს წინ აღუდგა ხურიტული გაერთიანება, ნაირის ქვეყნების სახით კი_ძირითადად, მდინარე ევფრატის, ყარა სუსა და მურად სუს მიდამოებში მცხოვრები ხალხები. მათი ეთნიკური ვინაობის საკითხთან დაკავშირებით საინტერესო ცნობას იძლევა ტიგლათ ფილესერ I, როდესაც საუბრობს, რომ ის შეებრძოლა ნაირის ქვეყნების 23 მეფეს, რომლის დასახმარებლად მოსულა ნაირის 60 ქვეყნის მეფე. გიორგი მელიქიშვილი ამ 60 ქვეყანას კილხის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს. ნაირის დაპყრობილ ქვეყნებს შორის ასურეთის მეფე მოიხსენებს დაიაენს. ნაირის ქვეყნებში ჩვენ ძირითადად ქართველური წარმოშობის ტომები უნდა ვიგულისხმოთ. რაც შეეხება `ზემო ზღვას'', მასში ისტორიკოსები ძირითადად შავ ზღვას გულისხმობენ.

ასურეთის მეფე ტიგლათფილისერ I (ძვ. წ. 1115-1077 წწ.) სიამაყით იუწყება, რომ შეებრძოლა 20 000 მუშქს, რომელსაც 5 მეფე ხელმძღვანელობდა. დაამარცხა ისინი და 6 000 კაცი ტყვედ ჩაიგდო. როგორც ჩანს, საქმე გვაქვს მუშქების რამდენიმე ტომის გაერთიანებასთან, ,,მეფეში'', ალბათ, ტომის ბელადი უნდა ვიგულისხმოთ.

ძვ.წ. 1112 წელს ტიგლათფილესერმა ილაშქრა ჩრდილოეთისკენ და შეებრძოლა **დაიაენის მეფე სიენს.** შეიპყრო იგი და წაიყვანა ქალაქ ასურში. სადაც შეავედრა ღვთაება ასურს და შეიწყნარა. ეს არის დაიაენის (ურარტული წყაროების მიხედვით დიაოხის) პირველი მოხსენიება.

დაიაენის ტოპონომიკა ხურიტულ მითანური წარმომავლობისაა. სავარაუდოა, რომ იგი ადრე მითანის სამეფოს ნაწილი იყო. ძვ.წ.ა. XIII საუკუნის ბოლოს ასურეთის მეფე თუქულთი ნინურტა პირველს (1245-1209) ბრძოლა მოუხდა ნაირის 40 ქვეყნის გაერთიანებასთან, რომელთა სათავეში დიაოხს ვხედავთ, რაც დიაოხის პოლიტიკურ პირველობაზე მეტყველებს.

ასურეთის სახელმწიფო სამხედრო ყაიდაზე იყო მოწყობილი, როგორც ძირითადად ყველა ძველი სახელმწიფო, მაგრამ მათგან განსხვავებით ასურელებს ჰყავდათ ძლიერი სამხედრო ძალები, რომლებიც კარგად შეიარაღებულნი იყვნენ. ასურეთის სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ძირითადი ნაწილი შედგებოდა რკინის იარაღით აღჭურვილი და ცხენიან საომარ ეტლებში მსხდომი მებრძოლებისაგან. ასურელმა მეფეებმა ჯარში მკაცრი სამხედრო დისციპლინა დაამყარეს. ასურელი მეომრები გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული სისასტიკით, რომლებიც ანადგურებდნენ ქალაქებსა და სოფლებს. ისინი განურჩევლად ხოცავდნენ ყველას, მიუხედავად ასაკისა და სქესისა.

ასურელებმა მიზანმიმართულად შეძლეს მთელი **აღმოსავლეთის საშუამავლო ვაჭრობის ხელში ჩაგდება.** ანატოლიის ზეგანზე და მცირე აზიაში მათ **დააარსეს 120-მდე სავაჭრო ახალშენი, რომლიდანაც უზარმაზარი შემოსავალი შემოდიოდა.** განსაკუთრებული წარმატება ასურეთმა მოიპოვა ძვ.წ. I ათასწლეულში. ასურელებმა მათთვის ჩვეული სისასტიკით **დალაშქრეს ფინიკია, სირია, ისრაელი და ბაბილონი.** ქვეყანამ თავისი განვითარების ზენიტს მიაღწია ძვ. წ. IX-VII საუკუნეებში. ბაბილონზე არაერთგზის თავდასხმის შემდეგ, ძვ. წ. I ათასწლეულში, ასურეთის მეფეებმა შექმნეს ერთიანი _ ასურეთ-ბაბილონის სამეფო. ძვ.წ. VIII საუკუნის ბოლოს ქვეყნის მბრძანებელმა სარგის II-მ

სასტიკად დასაჯა ასურეთის წინააღმდეგ აჯანყებული ხალხები. მან ისრაელიდან 24 ათასზე მეტი ებრაელი ასურეთში გადაასახლა. ასურეთის სახელმწიფოს დიდი დარტყმა მიაყენა ურარტუმ, რომლის შედეგადაც ასურეთმა საკუთარი მიწების ნაწილი დაკარგა.

ასურეთი დაწინაურდა მეფე ასურბანიფალის დროს. ასურბანიფალის სიკვდილის შემდეგ დაიწყო ასურეთის სახელმწიფოს დაცემა. ამით ისარგებლეს მის მეზობლად მყოფმა სახელმწიფოებმა_მიდიამ და ბაბილონმა, რომლებმაც ერთობლივი ძალებით შეუტიეს და გარკვეულწილად დაასუსტეს ასურეთი. ძვ.წ. 605 წელს ასურეთი საბოლოოდ დაეცა, რომელშიც ლომის წილი ეკუთვნოდა მიდიის სამეფოს.

ასურეთის სახელმწიფოს დაცემამდე, ძვ.წ. VII საუკუნის დასაწყისში ასურეთის დედაქალაქი გადატანილ იქნა ნინევიაში, რომელიც იმდროინდელი მსოფლიოს ერთ-ერთი ლამაზი ქალაქი იყო. **ასურბანიფალის ბრძანებით ნინევიაში მსოფლიოში პირველი ბიბლიოთეკა დაარსდა. მისივე ბრძანებით, ასურელმა მეცნიერებმა დაიწყეს** ასურეთის ძველ მეფეთა ბრძანებების, შუმერების, აქადელებისა და ბაბილონელების ლიტერატურული ნაწარმოებების, ჰიმნებისა და ლოცვების შეგროვება. ნინევიის ნანგრევებში მეცნიერებმა აღმოაჩინეს 30 000 ,,თიხის წიგნი'', რომელიც უძვირფასესი მასალაა გახლავთ ძველი მსოფლიოს კულტურის კვლევით დაინტერესებული პირებისთვის.

<u>დიაოხი და კოლხა</u>. ასურეთის მეფეები ლაშქრობდნენ ჩრდილოეთის მიმართულებით, სადაც მათ ძირითადად მუშქების, ქაშქების წინააღმდეგ უხდებოდათ ბრძოლები, რაც მათი იძულებითი თავდაცვით იყო განპირობებული. ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ საუკუნეში ამიერკავკასიის სამხრეთ ტერიტორიებზე ჩამოყალიბდა პატარა სახელმწიფოები, რამაც ხელი შეუწყო დიაოხის გაძლიერებას, მაგრამ ეს დროებითი აღმოჩნდა, რადგან ერთის მხრივ, IX საუკუნეში მისდამი აგრესიულად განწყობილი ასურეთი მომძლავრდა, მეორეს მხრივ, დიაოხს დაუმეზობლდა ურარტუს ძლიერი სამეფო.

ურარტუს ტერიტორია მდებარეობდა ასურეთის სამეფოს ჩრდილოეთით, ამიერკავკასიის სამხრეთით და ურმისა და ვანის ტბების მიდამოებში. მისი დედაქალაქი, **ტუშპა, ვანის ტბის** აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობდა. ურარტუელებსა და ასურელებს შორის ტერიტორიული სიახლოვის გამო საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა ხასიათის ურთიერთობა მყარდებოდა. მათ შორის ხშირი იყო ომებიც.

ურარტუს მოსახლეობა ხურიტების და მითანელების მონათესავე ხალხია. მისი აღზევება რამდენადმე განაპირობა ძვ.წ. XIII-XI საუკუნეებში შექმნილმა საერთაშორისო ვითარებამ. ასურეთის სახელმწიფოს განსაკუთრებულმა სისასტიკემ, რომელსაც ის იჩენდა ურარტუელთა მიმართ, ცხადყო, რომ საჭირო იყო ურარტუელებს ჩამოეყალიბებინათ ერთიანი და ძლიერი სახელმწიფო, რომელსაც ისინი დაუპირისპირებდნენ ასურეთის მეფეების აგრესიას.

სწორედ ამით იყო ნაკარნახევი ურარტუელების მიერ ძვ.წ. IX-VIII საუკუნეებში ერთიანი სახელმწიფოსა და მრავალრიცხოვანი კარგად შეიარაღებული ჯარის შექმნა.

ასურეთ-ურარტუს ბრძოლები ხანგრძლივი აღმოჩნდა. **ურარტუს ყველაზე ძლიერი მოწინააღმდეგე ჩრდილოეთით იყო დიაოხი. სწორედ ამიტომ, დიაოხის მეფე ასიამ მხარი დაუჭირა უფრო შორს მყოფ ასურეთს და მის მეფეს სალმანასარ III**-დაახლოებით ძვ. წ. ა. 845 წელს ძღვენით ეახლა. მაგრამ ურარტუმ დაამარცხა ასურეთი და დიაოხი მარტო აღმოჩნდა მრისხანე მტრის წინააღმდეგ. Dდიაოხისა და ურარტუს შორის ბრძოლები აღწერილია ურარტუს მეფის მენუას(ძვ. წ. 819-786 წწ.) წარწერებში. ურარტუს მეფეებმა _ მენუამ და არგიშთი I-მა (ძვ. წ. 786-764 წწ.) ძვ.წ. IX-VIII საუკუნეებში რამდენჯერმე

დალაშქრეს დიაოხი. დიაოხის მეფე უტუფფურსი ურარტუს წინააღმდეგ გამუდმებით აჯანყებებს აწყობდა.

მენუას მეფობის დროს ურარტუმ დიდი დარტყმა მიაყენა დიაოხის ქვეყანას. არგიშთი I-მა დიდი ბრძოლები გადაიხადა დიაოხთან. პირველი შეტაკება მეფობის მეორე წელსვე უნდა მომხდრიყო (785 წ.). ამ ლაშქრობის შესახებ ცნობები დაცულია ვანის კლდეზე არსებულ წარწერებში. დიაოხს, ამ ბრძოლაში მოკავშირეები გამოუჩნდა სამხრეთ ამიერკავკასიის ხალხების სახით. მათ შორის აღსანიშნავია ლოსა (ლაზები), ვიტერუხი (ოძრახენი), ქათარზა (კლარჯნი) და სხვ.

დიაოხის მეფე უტუფფურსმა იკისრა ხარკი 41 მინა სუფთა ოქრო, 37 მინა ვერცხლი 10 000 მინა სპილენძი (მინა ურარტული საზომი ერთეულია, უდრის 505 გრამს), 1000 ცხენი, 300 მსხვილფეხა პირუტყვი. ეს ხარკი მას ყოველწლიურად უნდა ეხადა, მაგრამ მისი ოდენობა შემდგომ წლებში საგრძნობლად მცირდებოდა. ხარკის ეს რაოდენობა უტყუარი დასტურია დიაოხის ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერისა, რომელიც არგიშთი პირველის დროსაც ინარჩუნებდა თავის სიძლიერეს. აქ განსაკუთრებით განვითარებული იყო მესაქონლეობა და მეტალურგია. არგიშთი პირველის მიზანს შეადგენდა დიაოხი ურარტუს რიგით პროვინციად გადაექცია, მაგრამ მან ეს ვერ შეძლო. მისი მეფობის მე-19 წელს დიაოხის მეფე უტუფფურსი, ძვ. წ. 768 წელს, მას კვლავ აუჯანყდა. არგიშთი პირველი კლდეზე ამოკვეთილ წარწერაში საუბრობს, რომ: ,,შევევედრე მე ღვთაება ხალდის, მეუფეს, ღვთაება თეიშებას, ღვთაება შივინის, ბიაინილის ქვეყნის ყველა ღმერთს იმის შესახებ რაც სურდა მომემოქმედა მეუფის სიდიადოთ..."

აქ წყდება ურარტული წარწერები დიაოხის შესახებ. როგორც ჩანს, ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა საგრძნობლად დაასუსტა დიაოხის სახელმწიფო.

ძვ.წ. 750-748 წლებში ურარტუს მეფემ სარდურ II-მ (ძვ. წ. 764-725 წწ.) ილაშქრა ჩრდილოეთით. Aამჯერად მისი მოწინააღმდეგე იყო კოლხას ქვეყანა. Bსაფიქრებელია რომ, დასუსტებული დიაოხის სახელმწიფო ძვ.წ. VIII საუკუნის 60-იან წლებში განადგურდა, მისი ნაწილი კოლხამ დაიკავა, ნაწილი _ ურარტუმ. ამრიგად, კოლხა და ურარტუ დამეზობლდნენ. კოლხა სარდურ II-ის (764-735 წწ.) მართველობის პერიოდში ძლიერი სახელმწიფოა. მან თავის გავლენის ქვეშ მოაქცია დიაოხის მოკავშირენი და უშუალოდ შემოიერთა დიაოხის ჩრდილო რაიონების ნაწილი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა მკვლევარმა თ. მიქელაძემ. მისი აზრით, დაიაენის სამეფოს არავითარი დაყოფა არ მომხდარა. მკვლევრის მოსაზრებით, ძველ ბერძნულ წყაროებში მოხსენებული `აია", ძველაღმოსავლურ ეპიგრაფიკულ ძეგლებში მოხსენიებული დაიაენი და ურარტული წყაროების კულხა ერთი და იგივე სახელმწიფოა. თ. მიქელაძის ვარაუდით, ამ ქვეყნის სათავეში ჯერ ჰეგემონობდა პროვინცია (ან შეიძლება დინასტია) დიაოხი და შემდეგ იგი შეიცვალა კოლხათი. მეცნიერს აღნიშნული მოსაზრება მრავალი არგუმენტით აქვს გამყარებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღეისთვის იგი მაინც ჰიპოტეზად ითვლება და ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მოსაზრება არ გახლავთ.

ურარტუს მეფემ სარდურ II-მ ძვ.წ. 747-741 წლებში ილაშქრა კოლხას წინააღმდეგ. აიღო სამეფო ქალაქი ილდამუსა და გაჟლიტა მეფისნაცვლები.

სარდურ II-ის ჩანაწერებში კოლხას სახელმწიფოს მეთაურად მეფეა მოხსენიებული. ამ პერიოდის კოლხეთში საკმაოდ განვითარებულია ეკონომიკა. ამას ადასტურებს კოლხა-ში ურარტუელთა ლაშქრობისას ლურსმულწყაროებში დაცული ცნობები, სადაც ნადავლი-

ს ფანტასტიკური ციფრებია დასახელებული, კერძოდ 1500 ცხენი, 17300 მსხვილფეხა და 31600 წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი. კოლხაში განვითარებულია მეტალურგიაც.

ქართული ისტორიოგრაფია იმდროინდელი კოლხური სამეფოს ცენტრის 2 არეალს მოიხსენიებს. პირველად კოლხეთი თავისი დედაქალაქით შედარებით სამხრეთით უნდა მივიჩნიოთ, კერძოდ, ჭოროხის აუზში, რითაც უფრო გასაგები ხდება ურარტუსთან კოლხეთის ურთიერთობების ინტენსიური ხასიათი. სწორედ ჭოროხის აუზი უნდა იყოს ძველი კოლხური კულტურის სამშობლო. შესაძლებელია კოლხეთის სამეფოს გაძლიერება-გაფართოების შემდეგ მის დედაქალაქს მდინარე ფაზისის (რიონის) მიდამოებში გადაენაცვლა.

კოლხეთისთვის ურარტუელებთან ბრძოლა მძიმე იყო. მაგრამ სასიკვდილო დარტყმა მას მიაყენეს ძვ.წ. VIII საუკუნის 20-იან წლებში შავი ზღვის აღმოსავლეთით მოსულმა კიმერიელებმა, ხოლო 50-60 წლის შემდეგ კასპიის ზღვის დასავლეთით მოსულმა სკვითებმა. თუმც კოლხეთს ჰქონდა აღმავლობის პერიოდიც, რაც დასტურდება თქმულებით **არგონავტების შესახებ,** რომელიც დაცულია აპოლონიოს როდოსელის (ძვ.წ. III ს.) **„არგონავტიკაში" და ევრიპიდეს (ძვ.წ. V ს.) „მედეაში".** არგონავტების მოგზაურობა მოხდა ტროას ომამდე (ძვ.წ. XIII ს-ში). **1984 წელს** ინგლისელმა მეცნიერმა და მოგზაურმა **ტიმ სევერინმა** ისეთივე გემით, როგორითაც ძველი ბერძნები დაცურავდნენ, მოაწყო ექსპედიცია არგონავტების მარშრუტის მიხედვით. მან დაადასტურა, რომ იმ შორეულ ეპოქაში სავსებით შესაძლებელი იყო ასეთი ნაოსნობის მოწყობა. არქეოლოგიურმა კვლევამ ცხადყო ძვ.წ. XIV-XII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ქართველ ტომთა ძლიერი გაერთიანებების არსებობა. ძალიან საინტერესოა თქმულება არგონავტების შესახებ, რომელშიც მრავალი რეალურ-ისტორიული ფაქტია ასახული. ამ თქმულებაში საუბარია, რომ: ორქომენის მეფე ათამანტს ქალღმერთ ნეფელესაგან ჰყავდა 2 შვილი: ფრიქსე და ჰელე. ათამანტმა უღალატა მეუღლეს და დაქორწინდა ინოზე, რომელმაც გადაწყვიტა გერების თავიდან მოშორება. სამეფოს როცა გაჭირვების ხანა დაუდგა, ინოს შთაგონებით გადაწყდა მეფის ძის ფრიქსეს მსხვერპლად შეწირვა. მეფე თანახმა იყო, მაგრამ ფრიქსეს მხსნელად მისი დედა-ქალღმერთი ნეფელი მოევლინა, რომელმაც ოქროსმატყლიანი ვერძით გამოსტაცა დედინაცვალს ფრიქსე და ჰელე და შორს, ჩრდილოეთისაკენ, გააფრინა. გზაში ჰელე გადმოვარდა და დაიხრჩო ზღვაში. ამ ადგილს ამიერიდან ჰელესპონტი-ჰელეს ზღვა ეწოდა (დღევანდელი დარდანელის სრუტე). ღვთაებრივი ცხვარი ფრიქსესთან ერთად დაეშვა კოლხეთში. აქ მეფობდა მზის ღმერთის_ ჰელიოსის შვილი_აიეტი. მან ფრიქსეს თავისი ქალიშვილი ქალკიოპე მიათხოვა. ვერძი ზევსს შესწირეს, ხოლო ოქროს საწმისს დარაჯად ურჩხული დაუყენეს. ამ ამბავმა საბერძნეთშიც ჩააღწია. ათამანტის შთამომავლებმა გადაწყვიტეს დაებრუნებინათ ოქროს საწმისი. ამგვარად, იაზონის მეთაურობით 50 კაცი მოვიდა "არგოთი" კოლხეთს. აიეტმა მიიღო ბერძნები და 3 დავალება მისცა საწმისის სანაცვლოდ იაზონს: ,,სპილენძის ჩლიქებიან, ცეცხლისმფრქვეველ ხარებს მიწა მოახვნევინე, ურჩხული მოკალი და მისი კბილები დათესეო, ამ ნათესიდან ამოსული დევგმირები დახოცეო''. იაზონი შეიყვარა აიეტის ქალმა მედეამ, რომლის დახმარებითაც ბერძნებმა შეძლეს დავალების შესრულება. აიეტი მაინც არ აძლევდა ოქროს საწმისს, მაგრამ მედეას დახმარებით იაზონმა შეძლო მოეპარა იგი. ბერძნები მედეასთან ერთად გაიქცნენ, გზაში მათ წამოეწიათ კოლხი მდევრები, მედეას ძმის_აფსირტეს მეთაურობით. ბერძნებმა მდევარი დაამარცხეს, ბრძოლაში აფსირტეც დაიღუპა (მედეას მზაკვრული რჩევის წყალობით). აი, ასეთია ბერძნული მითის ძირითადი შინაარსი. ამ ლეგენდის თანახმად არსებობდა ძლიერი და მდიდარი კოლხას სახელმწიფო, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბერძნებზე.

საყურადღებოა, რომ ბერძნები, რომლებიც ყველა არაბერძენს ,,ბარბაროსს" უწოდებდნენ და ზემოდან დასცქეროდნენ, დიდი პატივისცემით მოიხსენიებდნენ მეფე აიეტსა და მის სამეფოს.. ნიშანდობლივია, რომ იაზონთან ერთად ბევრი ბერძენი გმირი მონაწილეობდა ამ მოგზაურობაში. რაც შეეხება ბერძნების მიერ კოლხეთიდან მოტაცებულ ოქროს საწმისს, ძნელია ზუსტად თქმა, თუ რას წარმოადგენდა იგი. Eეს, შესაძლოა, ოქროს მოპოვების ძველი წესი ყოფილიყო. ეს წესი კოლხებისათვის დიდი ხნის უკან უნდა ყოფილიყო ცნობილი. მეფე აიეტი მზის ღმერთის ჰელიოსის შვილი იყო. მისი სამეფო ბერძნული სამყაროს ღირსეულ პარტნიორად აღიქმებოდა

<u>კიმერიელები და სკვითები</u>. სკვითები (ირანული წარმოშობის ტომები), რომლებიც ცენტრალურ აზიაში ცხოვრობდნენ, წამოვიდნენ და ილაშქრეს ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში. სკვითებმა დაამარცხეს აქ მცხოვრები კიმერიელები (თრაკიული ტომები). ეს უკანასკნელნი თავის გადარჩენის მიზნით სამხრეთისკენ დაიძრნენ. მათი ლაშქარი ძირითადად იყო ცხენოსანი. კიმერიელებმა ილაშქრეს კავკასიაში და მცირე აზიაში, მათ კი ფეხდაფეხ მოყვებოდნენ სკვითები. კიმერიელთა შესახებ ცნობებს გვაწვდის ასურეთის მეფე სარგონ II (ძვ. წ. 722-705 წწ.),რომლის თანახმადაცდაახლოებით715 წელს კიმერიელებმა სასტიკად დაამარცხეს ურარტუელები და ასურელები, მაგრამ პირველი დარტყმა მიიღო კოლხამ. მან ამ დარტყმას ვერ გაუძლო და არსებობა შეწყვიტა.

ძვ.წ. VIII საუკუნეში მცირე აზიის ნ.კ-ზე ძლიერდება ფრიგიის სამეფო. ფრიგიელები თავის დროზე აქ ძვ.წ. II ათასწლეულში მოვიდნენ ევროპიდან და გარკვეული როლი შეასრულეს ხეთების განადგურებაში. ფრიგიის მეფეს ბერძნები მუშქების მეფედ მოიხსენიებენ. ალბათ, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ მუშქები ამ სახელმწიფოში დიდ როლს თამაშობდნენ.

ძვ.წ. 676 წელს ურარტუმ კიმერიელთა დახმარებით გაანადგურა მუშქების სამეფო. სწორედ ამის შემდეგ დაიძრნენ მუშქები ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ და დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე შემოვიდნენ. არც ასურეთსა და ურარტუს ეწერა დიდი დღე. ნელ-ნელა ძლიერდებოდა მიდია. მიდიელები ირანის ზეგანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ. მიდიამ ჯერ ასურეთი გაანადგურა (ბაბილონის სამეფოსთან ერთად) ძვ. წ. 605 წ. ხოლო შემდეგ, ძვ.წ. 590 წელს_ურარტუ.

ამის შემდეგ დაწინაურდა ანატოლიის ზეგნის აღმოსავლეთ ნაწილში ჩამოყალიბებული სპარსეთის სამეფო. ის თავიდან მიდიის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. სპარსეთს აქემენიდების საგვარეულო მართავდა. სპარსეთის მეფე კიროს დიდმა (ძვ. წ. 550-530 წწ.) ძვ.წ 550 წელს დაამარცხა მიდია (აიღო მისი დედაქალაქი ეკბატანა) და მიდიისა და სპარსეთის მეფის ტიტული მიიღო, რითაც საფუძველი ჩაეყარა აქემენიდთა მმართველობას.

კიროსის ჯარმა თითქმის უბრძოლველად დაიპყრო ბაბილონი. კიროსმა ამის შემდეგ დაიკავა პალესტინა, ფინიკია და შორეული ინდოეთის დასავლეთი მიწები მდინარე ინდამდე. კიდევ უფრო გაფართოვდა სპარსეთის სამეფოს საზღვრები კიროსის ვაჟის მიერ, რომელმაც ძვ.წ. 525 წელს დაიპყრო ეგვიპტე და ფარაონის ტიტულიც კი მიიღო.

აქემენიდური სპარსეთის იმპერია განსაკუთრებით გაძლიერდა დარიოს I-ის მეფობის ხანაში (ძვ.წ. 522-486 წწ). დარიოსმა მთელი სამეფო სატრაპიებად ანუ სამეფისნაცვლოებად დაყო, რომელსაც სათავეში სპარსელი _ სატრაპები ჩაუყენა. სატრაპი შეუზღუდავი უფლებებით სარგებლობდა. იგი თავის ტერიტორიაზე აგროვებდა ჯარს და

მოსახლეობისაგან იღებდა გადასახადებს, რომელსაც ქვეყნის ერთიან ხაზინას აბარებდა. სატრაპი იყო უმაღლესი მსაჯული და შეეძლო ფულიც მოეჭრა. აქემენიდური სპარსეთი დარიოს I-ის დროს 20 სატრაპოდ იყო დაყოფილი.

დარიოსის მიერ გამოცემული კანონები ყველა სპარსელს ყოველგვარი გადასახადისაგან ათავისუფლებდა. მათ ჰქონდათ მიწები, შეეძლოთ, ემსახურათ მეფის ჯარში და ალაფის განაწილებაში მიეღოთ მონაწილეობა, რითაც კიდევ უფრო გაიუმჯობესებდნენ ეკონომიკურ მდგომარეობას მათ მიერ დაპყრობილ ხალხებთან შედარებით. გარდა ამისა, ეთნიკურ სპარსელებს მეფის მიერ გამოცემული კანონების თანახმად შეეძლოთ გამხდარიყვნენ ვაჭრები, ხელოსნები, მიწათმოქმედები, მოხელეები და სხვ. დარიოსმა განაგრძო კიროსის მიერ დაწყებული ინდოეთის დაპყრობა და მთელი დასავლეთ ინდოეთი დაიკავა. ამრიგად, სპარსეთის იმპერია გადაიჭიმა ინდოეთიდან ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთ სანაპირომდე.

დიდი ბერძნული კოლონიზაცია და კოლხეთის სამეფო, იბერიის სამეფოს წარმოქმნა, მისი საზოგადოებრივი წყობა. ფარნავაზი, რომის გავლენის დამყარება საქართველოში.

კოლხეთის სამეფო ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში

კიმერიელებისა და სკვითების გამანადგურებელმა შემოსევებმა და მცირე აზიაში განვითარებულმა მოვლენებმა შეაფერხა ქართველი ტომების შემდგომი განვითარება. თუმცა, ეს დროებითი მოვლენა იყო. დასავლეთ საქართველოში კვლავ ყალიბდება სახელმწიფო, რომელიც ქართული ტომის კოლხების სახელს უკავშირდება. კოლხების შესახებ ცნობები მოგვეპოვება ძველი ბერძენი ისტორიკოსის ჰეროდოტეს ნაშრომებში, სადაც სასპერებსა და კოლხებს მიდიელებისა და სპარსელების გვერდით მოიხსენიებს, რაც ამ ქართული ტომის სიძლიერეზე მიუთითებს. სასპერები ძველი ქართული ტომი იყო, რომლებმაც ძლიერების მწვერვალს მიაღწიეს ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში.

რაც შეეხება კოლხეთის საზღვარს, ამასთან დაკავშირებით მოგვეპოვება ჰეროდოტეს ცნობა. ის წერს, რომ ,,მეოტიდის ტბიდან (ე.ი. აზოვისზღვიდან), ვიდრე მდინარე ფაზისამდე (რიონი) და კოლხთა სამფლობელოებამდე ოცდაათი დღის სავალია კარგი, მსუბუქად ჩაცმული ქვეითისათვის". ახ. წ. V საუკუნის ანონიმი გეოგრაფოსი კი საუბრობს, რომ დიოსკურიიდან ანუ სებასტოპოლისიდან (დღევ. სოხუმი) ვიდრე მდინარე აფსარამდე (აფსაროსი) (დღევ. ჭოროხი) ძველად ცხოვრობდა ხალხი, რომელსაც კოლხებს ეძახდნენ. დაახლოებით ამავე საზღვრებში მოიაზრებს კოლხეთის სამეფოს სხვა ანტიკური პერიოდის ავტორებიც (სკილაქს კარიანდელი, აპოლონ როდოსელი, სტრაბონი და სხვ.). ამრიგად, კოლხეთი, როგორც ჩანს, მოიცავდა სივრცეს მეოტიდის ტბიდან (აზოვის ზღვიდან) აფსაროსამდე (ქალაქი მდინარე ჭოროხის შესართავთან). აღმოსავლეთით იგი სარაპანისამდე (შორაპანი) იყო გადაჭიმული. ამ ტერიტორიაზე სხვა ტომებიც ცხოვრობდნენ, მაგრამ გაბატონებული იყვნენ კოლხები.

კოლხეთი ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში ძლიერი სახელმწიფოა. მაღალ დონეს მიაღწია რკინის მეტალურგიამ. გამოიყენება რკინის სახნისი. მარცვლეულის მოყვანას დიდი წილი ეჭირა. განვითარდა მევენახეობა-მეღვინეობა. მაღალ საფეხურზე ავიდა ოქრომჭედლობა. დასავლეთ საქართველოს ცხოვრება ამ პერიოდში წარმოუდგენელია ბერძნულ სამყაროსთან ურთიერთობის გარეშე. ამ დროისათვის ბერძნული სამყარო ძალიან განვითარდა. იქ ერთიანი სახელმწიფო არ შექმნილა, წარმოიშვა ქალაქ-სახელმწიფოები

(მაგალითად ათენი, სპარტა, კორინთო, თებე და სხვა). ამ ქალაქ-სახელმწიფოების სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა განვითარებამ გამოიწვია ბერძნული კოლონიზაცია, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ: საჭირო იყო ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების მზარდი მოსახლეობის მომარაგება პროდუქტებითა და ნედლეულით; საჭირო იყო მონები, რადგან ფართოდ იყენებდნენ მონათა შრომას; ქალაქ-სახელმწიფოებში თავს იყრიდა ხალხი, რომელთაც არ გააჩნდათ საკუთრება და საჭირო იყო მათი დასაქმება; ხშირი იყო არისტოკრატიასა და დემოს შორის ბრძოლები, დამარცხებულები ეძებდნენ თავშესაფარს; ჭარბი მოსახლეობა ველარ ეტევა;

ახალი ბერძნული კოლონიები ორი სახის იყო: 1. ჩვეულებრივი ქალაქ-სახელმწიფოები ანუ პოლისები და 2. სავაჭრო დასახლებები ე. წ. ემპირიონები. რაიმე სახის დამოკიდებულება კოლონიასა და მის დამაარსებელ მეტროპოლიას შორის არ არსებობდა და ახლად დაარსებული კოლონია არ ექვემდებარებოდა მას. ერთადერთი კავშირი, რომელიც იყო კოლონიასა და მის დამაარსებელ პოლისს შორის, იყო რელიგიური კულტი. აღსანიშნავია, რომ კოლონიები ისეთივე დამოუკიდებელნი იყვნენ, როგორც მეტროპოლიები. მათ ჰქონდათ თავიანთი სახელმწიფო წყობა, ჭრიდნენ საკუთარ ფულს.

კოლონიზაციის საწყის ეტაპზე ტრადიციად ჩამოყალიბდა დელფოსში, აპოლონის ორაკულისათვის რჩევით მიმართვის წესი. ბერძნები ახალი კოლონიების ასაშენებლად ადგილს სპეციალურად არჩევდნენ. ის უნდა ყოფილიყო რამდენადმე გამორჩეული, მოსახერხებელი სანავსადგურე ადგილი, მნიშვნელოვან სავაჭრო გზათა თანკვეთა, ან, უბრალოდ, ნოყიერი მიწა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნებოდა წყლითაც, რათა ბერძნებს თავის გამოკვება არ გასჭირებოდათ. ბერძნების მიერ ჩამოყალიბებულ კოლონიებს ჰქონდათ დამოუკიდებელი ადმინისტრაციული აპარატი, სამართალი და სახელმწიფოს არსებობისათვის საჭირო ყველა პირობა. ბერძნული კოლონიზაცია მიმდინარეობდა ძვ.წ. 750-550 წლებში. ბერძნებმა ხმელთაშუა და შავი ზღვის სანაპიროებზე დააარსეს თავიანთი კოლონიები. პირველი კოლონიები ხნელთაშუა ზღვისპირეთში დაარსდა ქვემო იტალიასა და სიცილიაში და შენდეგ განივრცო სამხრეთ საფრანგეთისა და ჩრდილო ესპანეთის მიმართულებითაც. მოახალშენეთა ადგილზე დამკვიდრების პროცესი უამრავ ხიფათთანაც იყო დაკავშირებული. მათ უხდებოდათ ადგოლობრივ აბორიგენ მოსახლეობასთან შეტაკებებიც, რაც არქეოლოგიური გათხრებითაც დასტურდება. დროთა განმავლობაში ისე დაშორდა ერთმანეთს მეტროპოლიები და კოლონიები, რომ მათ შორის ზოგჯერ ომებიც კი ჩაღდებოდა. ამის მაგალითია, კოლონია კორკირსა და მეტროპოლია კორინთოს ომი, რაც პელოპონესის ომის საბაბადაც გადაიქცა. დღემდე მოაღწია, კოლონიების ძველბერძნულმა სახელებმაც, რომელთა შორის აღსანიშნავია: ბიზანტია, სირაკუზი, მასილია (მარსელი), ნეაპოლი და სხვ.

ძვ.წ. VI საუკუნიდან ბერძენთა ახალშენები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე _ კოლხეთშიც ჩამოყალიბდა. ეს ახალშენები იყო შემდეგი: ფაზისი (დღევანდელი ქალაქი ფოთის მახლობლად), დიოსკურია (დღევანდელი ქალაქ სოხუმის მახლობლად), გიენოსი (დღევანდელი ქალაქ ოჩამჩირეს მახლობლად), პიტიუნტი (ბიჭვინთა, დღევანდელი ქალაქ გაგრის მახლობლად), ქობულეთ-ფიჭვნარი. ბერძნები კოლხეთში სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით ადგილობრივ მოსახლეობაზე ვერ გაბატონდნენ. მათ, როგორც ჩანს, ვერც თავიანთი დამოუკიდებელი ქალაქ-სახელმწიფოები ანუ პოლისები შექმნეს. ბერძნებმა დააარსეს მხოლოდ სავაჭრო დასახლებები ანუ ემპირიონები.

შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიებიდან ასევე ცნობილია კოტიორა, ტრაპეზუნტი, ამისოსი, სინოპე, ჰერაკლეა, ქალკედონი, ბიზანტიონი (ეს კოლონიები გაშენებული იყო დღევანდელი თურქეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე). კოლხეთის ჩრდილოეთით, ყირიმის ნახევარკუნძულსა და აზოვის ზღვისპირეთში ჩამოყალიბდა ე. წ. ბოსფორის სამეფო დედაქალაქით _ პანტიკაპეიონით, რომელიც წარმოადგენდა ბერძნულ კოლონიათა გაერთიანებას. აქვე მდებარეობდა ოლვია და ხერსონესიც,

შავი ზღვისპირეთში ბერძნული კოლონიათაგან პირველობა მცირე აზიის ბერძნულ ქალაქს _ მილეთს ეკუთვნის. დასავლეთ საქართველოს ბერძნული კოლონიებიდან თუ ყველა არა, დიოსკურია და ფაზისი მაინც მილეთის დაარსებული უნდა იყოს. პონპონიუს მელას თანახმად, ფაზისი დააარსეს მილეტელებმა თემისტაგორეს მეთაურობით.თუ როდის უნდა მომდხარიყო ეს, ამასთან დაკავშირებით მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული. ზოგიერთი ისტორიკოსი მას მიიჩნევს ძვ. წ. VIII საუკუნეში დაარსებულად. მკვლევართა უმეტესობას იგი ძვ. წ. VI საუკუნის ძეგლად მიაჩნია. მაგრამ, იგი რომ ძვ. წ. V საუკუნეში ნამდვილად არსებობდა, ამაზე მეტყველებს ძვ. წ. V საუკუნით დათარიღებული ყუბანისპირეთში ნაპოვნი მრგვალი ვერცხლის ფილა წარწერით: ,,აპოლონ წინამძღოლისავარ, რომელიც ფაზისშია". სკილაქს კარიანდელის თანახმად, ამავე პერიოდშივე უნდა იყოს დაარსებული ბერძნული ახალშენები გიენოსი და დიოსკურია. Aმას კიდევ ერთხელ ადასტურებს XX საუკუნის მეორე ნახევარში სოხუმში, ზღვაში ნაპოვნი მარმარილოს სასაფლაო სტელა, რომელსაც მკვლევრები ძვ. წ. V-IV საუკუნეებით ათარიღებენ.

ყველაზე მნიშვნელოვანი ბერძნული კოლონია იყო ფაზისი. მის დაწინაურებას ხელი შეუწყო იმან, რომ მასზე გადიოდა დიდი სავაჭრო გზა, რომელიც ინდოეთიდან მოდიოდა. ეს გზა მიუყვებოდა მდინარე ამუ-დარიას, კასპიის ზღვას და მდინარე მტკვრით ლიხის ქედამდე აღწევდა, შემდეგ _ მდინარე ფაზისით (რიონით) შავ ზღვამდე და აქედან ბერძნულ სამყაროსკენ მიდიოდა. აღსანიშნავია, რომ ფაზისს გააჩნდა ვერცხლის საბადოები. ბერძნები რომ დასახლდნენ ფაზისში, აქ ადგილობრივი მოსახლეობა ცხოვრობდა, მაგრამ მოსულებსა და დამხვდურებს შორის არ იყო კონფლიქტური ურთიერთობა.

კოლხეთიდან ბერძნებს გაჰქონდათ: მარცვლეული, სელი, ხე-ტყე, ლითონი, ოქრო. მთელ ანტიკურ სამყაროში განთქმული იყო კოლხური ხოხობი. გაჰყავდათ მონებიც. თუმც მონების გაყვანას ინტენსიური ხასიათი არ უნდა ჰქონოდა, ფიქსირდება თითო-ოროლა შემთხვევა. კერძოდ, ათენის სასამართლოს აღმასრულებელთა მიერ ძვ. წ. 415-414 წლებში მონების გრძელ სიაში იხსენიებსკ ოლხ მონას, რომელიც 153 დრაქმად იყო შეფასებული. მსგავსი ცნობა დაცულია ბერძენ მწერალ ქსენოფონტესთანაც, რომელმაცძვ. წ. 401 წელსბერძენთა 10-ათასიან ლაშქართან ერთადსამხრეთკოლხეთის მიწებზე გადაიარა. როდესაც, მისი ჯარი მაკრონებს მიუახლოვდა, ბერძენთა ერთ-ერთმა ჯარისაცმა მათი ენა იცნო. როგორც ჩანს, ეს ბერძენი მეომარი წარმოშობით იყო მაკრონი და ბავშობაში ტყვედ მიჰყიდეს ბერძენ კოლონისტებს...

ბერძნებს კოლხეთში შემოჰქონდათ: კერამიკული ნაწარმი, სამკაული, ზეთი, ღვინო (ღვინო უფრო თავისთვის ჩამოჰქონდათ, რადგან კოლხებს საკუთარი ღვინო ჰქონდათ). ძვ. წ. VI ს. კოლხეთთანსავაჭრო-ეკონომიურ ურთიერთობაში აქტიურ როლს ასრულებდნენ იონიური სავაჭრო-სახელოსნო ცენტრები, რომლებიც ძირითადად ნაპოვნია ბათუმის, ქობულეთ-ფიჭვნარის, ფოთის მიდამოებში და კოლხეთის შიდა რაიონებში. კოლხეთში შემოჰქონდათ, აგრეთვე, კუნძულ როდოსის, სამოსის

სახელოსნოების პროდუქცია, რომელიც კოლხეთში მილეტის გზით აღწევდა; გარდა ამისა, აქ ჩვენ ვხდებით ქიოსურ, ლესბოსურ, იონიურდა ატიკურ ნაწარმსაც. საიდანაც იგი აღმოსავლეთ საქართველოშიც ვრცელდებოდა.

კოლხები ბერძნული კოლონიებით უკავშირდებოდნენ ბერძნულ სამყაროს, რომელიც იმ დროს ყველაზე მოწინავე იყო. კოლხებს ურთიერთობა ჰქონდათ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთთან და მცირე აზიის ქალაქებთან. კოლხებს ურთიერთობა ჰქონდათ აგრეთვე, ეგვიპტესთან და სირიასთან.

კოლხეთში იყო ადგილობრივი ქართული ქალაქები _ საირხე, ვანი, დაბლაგომი, რომლებიც არაფრით არ ჩამოუვარდებოდნენ ბერძნულ ახალშენებს. ძვ.წ. IV საუკუნის ისტორიკოსის სკილაქსკარიანდელის ცნობით, მდინარე ფაზისის გაყოლებაზე 180 სტადიონზე (დაახლოებით 30 კილომეტრზე) არის დიდი ბარბაროსული ქალაქი, საიდანაც იყო მედეა. ე.ი. წყაროს თანახმად ქალაქი ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნოდა. კოლხეთის მთავარ ქალაქად ჩვენ მაინც ციხე-გოჯი (დღევანდელი ნოქალაქევი) უნდა მივიჩნიოთ. ბიზანტიელი ავტორები მას ,,არქეოპოლისს" ანუ ძველ ქალაქს ეძახიან, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის სიძველეზე.

კოლხეთის მაღალგანვითარებულობაზე მეტყველებს ადგილობრივი ფულის არსებობაც. ძვ.წ. VI-III საუკუნეებში კოლხეთში იჭრებოდა ვერცხლის ფული, რომელსაც კოლხური თეთრი ეწოდებოდა. ეს მონეტები დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ხშირად გხვდება. ის წარმოადგენს მცირე ზომის ვერცხლის მონეტას, რომლისერთმხარეზეადამიანისთავიაგამოსახული, მეორეზეკი – ხარის, უფროიშვიათადკი _ ლომის. აღნიშნულ მონეტებზე დამწერლობის ნიშნები არაა გამოსახული, მხოლოდრამდენიმეზეგვხვდებაასოები: MO, A, O, ანΦ. რომელთაგან ყველაზეხშირია MO-ასოებიანიმონეტები. კოლხური თეთრი აღმოჩენილია კოლხეთის ფარგლებს გარეთაც (ყირიმში, ტრაპიზონის მახლობლად, შუა აზიაში _ ფერგანის ველზე), რაც მიუთითებს მის გამოყენებაზე საერთაშორისო ვაჭრობაშიც. კოლხეთი, რომ აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო აღებ-მიცემობაში, ამაზე მეტყველებს აქ აღმოჩენილი სხვადასხვა სახელმწიფოს მონეტები. მაგალითად, ვანში 1895 წელსნაპოვნიიქნაკუნძულსამოსისძვ. წ. VI ს. ოქროსსტატერი. ამ კუთხით აღსანიშნავია, აგრეთვე,პანტიკაპეიონურიდასინოპურიმონეტები (ქობულეთისგანძი), ქიზიკისძვ. წ. 550-475 წლებისელექტრონისმონეტები – ქიზიკინები (ქობულეთ-ფიჭვნარი) დაძვ. წ. IV საუკუნით დათარიღებულიათენურიტეტრადრაქმები (მწვანეკონცხი, სოხუმი) დასხვ.

კოლხებს ურთიერთობა ჰქონდათ სპარსელებთან. ძვ.წ. VI საუკუნეში აქემენიდური სპარსეთი დარიოს I-ის დროს თავისი ძლიერების ზენიტს აღწევს. ამ დროს სპარსეთმა დაიპყრო მთელი მცირე აზია. სპარსეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა რამდენიმე ქართული ტომიც. კოლხეთი აქემენიდების სახელმწიფოს შემადგენლობაში არ შედიოდა, მაგრამ ჰეროდოტესთქმით, კოლხებისპარსელებს აძლევდნენ ნებაყოფლობითძღვენს,,ყოველმეხუთეწელსისინიგზავნიდნენ 100 გოგოსადა 100 ბიჭს". კოლხეთის სამეფოს გარკვეული სამხედრო ვალდებულებაც ჰქონდათ ნაკისრი სპარსელთა სასარგებლოდ.

ძვ.წ. V საუკუნეში ბერძნული რაზმის მეთაურმა ქსენოფონტემ გაიარა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, სადაც ცხოვრობდნენ ქართული ტომები: კარდუხები, ხალიბები, ტაოხები და სხვა. მას კოლხეთზე არ გაუვლია, მაგრამ ამბობს იქ აიეტის შთამომავალი მეფობსო.

აკად. ბ. Kუფტინის თანახმად, კოლხეთის სამეფო ადრეკლასობრივი სახელმწიფო იყო, სადაც მკვეთრად იყო გამოხატული ქონებრივი დიფერენციაცია არა მარტო ქალაქური, არამედ სოფლური ტიპის დასახლებებშიც.Aამის უტყუარი დასტურია მკვეთრად განსხვავება სამარხეულ ინვენტარისა.

ამრიგად, კოლხეთის სამეფო წარმოადგენდა პოლიტიკურად და ეკონომიკურად დაწინაურებულ, განვითარებული კულტურის მქონე სახელმწიფოს, რომელსაც ურთიერთობა ჰქონდა იმდროინდელ ცივილიზებულ სამყაროსთან.

ქართლი (იბერია) ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში

ძვ. წ. VIII-VII საუკუნეების შემდეგ იწყება ანტიკური ხანა. ანტიკურ ხანას ყოფენ ორ პერიოდად: 1. ადრეანტიკური ხანა, რომელიც მოიცავს ძვ. წ. VI საუკუნიდან, ვიდრე ძვ. წ. I საუკუნის 30-იან წლებამდე პერიოდს; 2. გვიან ანტიკური, რომელიც იწყება ძვ. წ. I საუკუნის 30-იანი წლებიდან და გრძელდება ახ. წ. V საუკუნის ბოლომდე;

ადრეანტიკურ ხანაში (ძვ. წ. VI-IV სს.) ქართის ტომები ცხოვრობდნენ სამხრეთ საქართველოს (მესხეთი) და აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. სავარაუდოდ, ისინი ადრიდანვე იქნებოდნენ განსახლებული დღევანდელი დასავლეთ საქართველოს სამხრეთ (აჭარა, გურია) და ზემო იმერეთის რაიონებშიც. ამაზე მიგვითითებს, ჯერ ერთი, ,,ქართლის ცხოვრებაში'' დაცული ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია, რომელიც სამცხეს, აჭარას და არგვეთს თავიდანვე ისტორიული ქართლის შემადგენლობაში გულისხმობს.

საკუთრივ სახელები ,,იბერია'' ან ,,ქართლი'' საკმაოდ გვიან შექმნილი უნდა იყოს და იგი თავდაპირველად უფრო მეტად პოლიტიკური ან გეოგრაფიული შინაარსის მატარებელი იყო, ვინემ ეთნიკური სახელწოდება. ,,იბერია''– ლიხის ქედის, აღმოსავლეთით მდებარე ქვეყანა იყო. ,,იბერ'' სახელს ზოგი ქართულ ,,იმერ''-სიტყვას (იქითა მხარე) უკავშირებს, ზოგიც ძველ (აღმოსავლურ და ანტიკურ) სამყაროში ცნობილ სუბარ-სასპერ-სპერ სახელს. ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში ამ სახელს შეეძლო მართლაც მრავალგზისი ტრანსფორმაცია განეცადა და სასპერიდან მიგვეღო სახელი იბირი ანუ იბერია.

ბერძნებთან ,,იბერიად'' ცნობილ ქვეყანას შემოდგომში ,,ქართლი'' სახელი დაუმკვიდრდა. ,,ქართლის ცხოვრების'' მიხედვით ,,ქართლი'' ერქვა იმ ადგილს, სადაც დაემკვიდრა ქართველთა ლეგენდარული მამამთავარი ქართლოსი. ამ ადგილს შემდეგ ეწოდა არმაზი და აქ აშენდა ,,დედა-ციხე''. ანტიკურ მწერლობაში ეს პუნქტი ხან ,,არმაზციხედ'' და ხან ,,აკროპოლისად'' იწოდება. აქ იყო იბერიის უძველესი დედაქალაქი – სამეფო რეზიდენცია. მას სახელი სწორედ ამ თავისი დედაქალაქის სახელწოდების მიხედვით შეერქვა.

ადრეანტიკურ ხანაში სამხრეთი და აღმოსავლეთი საქართველოსა და დასავლეთი საქართველოს აღმოსვლეთ ნაწილში, სადაც მრავალი სხვადასხვა ტომი სახლობდა, ყველაზე უფრო აქტიურნი იყვნენ საკუთრივ მესხური ან მათი ჰეგემონობით შექმნილი გაერთიანებები. ისინი თანდათან სულ უფრო და უფრო ავრცელებდნენ თავიანთ გავლენას კოლხეთიდან აღმოსავლეთითა და მესხეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით.

ფიქრობენ, რომ სამხრეთი ქართის ტომები ადრეანტიკურ ხანაში სასპერების სახელით არიან ცნობილი. ისინი, ჰეროდოტეს გადმოცემით, ალაროდიებთან და მატიენებთან ერთად, შედიოდნენ სპარსეთის მე-18 სატრაპიაში, რომელიც

ყოველწლიურად ხარკის სახით 200 ტალანტ ვერცხლს იხდიდა. საფიქრებელია, რომ უკვე ამ დროს ისტორიული იბერიის (ქართლის) ტერიტორიაზე უნდა არსებულიყო ადრეკლასობრივი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები. საკუთრივ შიდა ქართლის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი გაერთიანების ცენტრი უნდა ყოფილიყო უფლისციხის მიდამოებში. ქართულ ისტორიოგრაფიაში უფლისციხის კლდეში გამოკვეთილ კომპლექსს სამხრეთიდან, მცირე აზიიდან, შემოღწეულ მესხურ ელემენტს უკავშირებენ. ამ შესანიშნავი კომპლექსის ზუსტი აგების დრო სადავოა. მხოლოდ ის ვიცით, რომ მის შესახებ ცნობები დაცულია ,,მოქცევაჲ ქართლისაჲს'' ძეგლში. სადაც საუბარია, რომ ძვ. წ. I საუკუნეში იბერიის მეფეებმა იქ ჩაატარეს სარესტავრაციო სამუშაოები. ამავე პერიოდის მნიშვნელოვანი კერაა უფლისციხის მახლობლად გათხრილი სოფელ ხოვლეს უძველესი ნამოსახლარიც.

უფლისციხის გარდა, რომელსაც ძველი ქართული ქრონიკა (,,მოქცევაჲ ქართლისაჲ'') იხსენიებს როგორც ქალაქ კასპიის ციხეს, ამავე ხანის მნიშვნელოვან ცენტრებად ასახელებს სარკინეს (სოფ. ძეგვთან) თავისი ,,ციხე დიდით'', ურბნისს და ოძრხეს (თანამ. აბასთუმანი). ერთგვარად, ადრეანტიკურ ხანაში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ადრეკლასობრივი სახელმწიფოებრივი გაერთიანების არსებობამ საფუძველი მოუმზადა ელინისტურ ხანაში ქართლის სამეფოს (იბერიის) ჩამოყალიბებას.

ქართლის სამეფო ელინისტურ ხანაში (ძვ. წ. III-I საუკუნეებში)

ქართველი მემატიანეები ალექსანდრე მაკედონელის (ძვ.წ. 336-323 წწ.) სახელს უკავშირებენ აღმოსავლეთ საქართველოში სახელმწიფოს შექმნას. ლეონტი მროველის (XI ს.) მიხედვით, მაკედონელმა დაიპყრო ქართლი და აქ მმართველად დატოვა თავისი სარდალი აზო, რომელიც იყო მაკედონიიდან. აზომ დაიმორჩილა არა მარტო ქართლი, არამედ კოლხეთიც და 24 წლის მანძილზე მართავდა მას. მის მმართველობას ბოლო მოუღო ფარნავაზის აჯანყებამ. აზო დაიღუპა და ფარნავაზი გამეფდა.

საინტერესოა, რომ ალექსანდრე მაკედონელამდე ქართლის უზენაეს მმართველად ითვლებოდა მცხეთის მამასახლისი. ძვ.წ. VI საუკუნეში სწორედ მცხეთის მამასახლისს სთხოვეს ქართლში დასახლება იერუსალიმიდან ლტოლვილმა ებრაელებმა, მას შემდეგ, რაც იერუსალიმი აიღო ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა. ქართლში ყველა თემს თავისი მამასახლისი ჰყავდა. მცხეთის მამასახლისი კი უზენაესი იყო. მას ძირითადად მოსამართლისა და მრჩევლის ფუნქცია ჰქონდა. სწორედ უკანასკნელი მცხეთელი მამასახლისის, სამარას ძმისშვილი იყო ფარნავაზი. Aმიტომაც, პირველობა კანონიერად მას ეკუთვნოდა. რამდენადმე განსხვავებულად აღწერს ამ მოვლენებს მეორე ქართული წყარო, IX საუკუნის ძეგლი ,,მოქცევაი ქართლისაი" _ აქაც საუბარია ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქართლის დაპყრობაზე, ოღონდ აქ დასმული უზენაესი მმართველი აზო არიან-ქართლის მეფის ძედ არის მოხსენიებული. სწორედ არიან-ქართლიდან ჩამოიტანა აზომ კერპები _ გაც და გაიმ და მოიყვანა მისი ხალხი მცხეთაში დასასახლებლად. ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ გამეფდა ფარნავაზი. ამრიგად, ამ წყაროს თანახმად, აზო არის არიან-ქართლიდან და არა მაკედონელი. თუ ზუსტად სად არის არიან-ქართლი, ამასთან დაკავშირებით მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული. აზო სამხრეთ ქართულ ტომთა რომელიღაც გაერთიანების წარმომადგენელი იყო. არიან-ქართლის ლოკალიზაციის საკითხი დღემდე აქტუალურია ქართულ ისტორიოგრაფიაში.

,,მოქცევაი ქართლისას'' ადრინდელ გამოცემაში აზონის მამა ,,არან-ქართლისა'' მეფედ არის მოხსენიებული. არიან-ქართლის საკითხი საგანგებოდ აქვს შესწავლილი აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილს, რომლის თანახმადაც: ,,ჩვენს მემატიანეს თავდაპირველად ქართლი სადღაც სამხრეთით ეგულება, იქა ყოფილა ქართველი ერის სამშობლო. რაკი, ჩვენი ავტორის სიტყვით, აზოის, ახალ სამფლობელოს სამხრეთით სომხითი ჰსაზღვრავდა, ქართველთა თავდაპირველი სამშობლო ქართლი სომხითზე უფრო სამხრეთით უნდა ყოფილიყო. ამნაირი წარმოდგენა ჰქონია ჩვენს მატიანეს ქართველთა უძველესი ისტორიის შესახებ.'' ქართველთა სამხრეთიდან მოსვლის ივანე ჯავახისშვილისეული თეორია თანამედროვე ისტორიოგრაფიაში გაზიარებული არაა და არიან-ქართლი ისტორიული საქართველოს საზღვრებში უნდა ყოფილიყო.

მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული არიან-ქართლის ლოკალიზაციასთან დაკავშირებით. Gმელიქიშვილის თანახმად ,,არიან-ქართლში ჩვენ... სპარსული (ariyana - ,,არიული'' ე. ი. სპარსული) ქართლი'' უნდა ვიგულისხმოთ. იგივეს ამბობს სხვა სომხური (მოვსეს ხორენაცი და სხვ.) წყაროებიც. ისტორიკოსი გრ. ქავთარია მიიჩნევს, რომ აქ ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს აქემენიდური ირანის მეთვრამეტე სატრაპიაში მოქცეული ისტორიული ქართლის სამხრეთ ნაწილზე, რომელიც ,,მოქცევაი ქართლისაის'' ავტორის თანახმად, ,,არიან-ქართლის ტერმინით არის მოხსენიებული. არიან-ქართლის ლოკალიზაციის შესახებ არსებობს სხვა არანაკლებ ყურადსაღები მოსაზრებებიც. ერთ-ერთის თანახმად, არიან-ქართლი უნდა ვეძიოთ კლარჯეთში. იმდენად, რამდენადაც აზოს როცა გაუჭირდა ფარნავაზთან ბრძოლა გაიქცა კლარჯეთში, იქ, სადაც ყველაზე მეტად ეიმედებოდა დახმარებისა და თავშესაფრის პოვნა. ჩვენც, ვიზიარებთ ამ მოსააზრებას.

ორივე ქართულ წყაროში დაცული ცნობა ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობის შესახებ მცდარია. მას აქ არასოდეს ულაშქრია, მაგრამ არაა გამორიცხული მის ერთ-ერთ სარდალს ელაშქროს ქართლში და აქ გაბატონებულიყოს. ბრძოლა კავკასიისათვის და მასზე გამავალი დიდი სავაჭრო გზისათვის განსაკუთრებით მაკედონელის მემკვიდრეებს, დიადოქოსებს, შორის გაიმართა.

rogorc mogexsenebaT aleqsandre makedoneli aziaSi gasabatoneblad ebrZvis irans, arian-qarTli e.i. iranis qarTli, anu mis mier dapyrobili qarTlia, xolo azo rogorc arian-qarTlis mefis Ze ibrZvis makedonelTan erTad sakuTari qveynis gasaTavisufleblad. swored am movlenis Semdeg aleqsandre makedonelma mcxeTa azos uboZa, rogorc mis erTgul mokavSires.

ლეონტი მროველის თქმით, ფარნავაზის მამა და მისი ძმა _ სამარა გმირულად დაეცნენ ალექსანდრე მაკედონელის წინააღმდეგ ბრძოლაში. დაობლებილი სამი წლის ფარნავაზი დედამ კავკასიის მთებში გახიზნა. დავაჟკაცებული ფარნავაზი კვლავ ქართლში მობრუნდა. მალე იგი დაუახლოვდა აზოს. ეს კი დედას ძალიან აშინებდა, რადგანაც იცოდა აზოს ვერაგობის ამბავი,Aამიტომაც ერთხელ სთხოვა შვილს: დავტოვოთ მამის სამემკვიდრეო და თავი შევაფაროთ ჩემს სამშობლოს, ირანს. იქნებ, ამით გადაურჩე აზოსო.

ფარნავაზი დათანხმდა და წასვლას აპირებდა, მაგრამ იხილა სიზმარი: თითქოს მიტოვებულ სახლში იმყოფებოდა, რომლის სარკმელში მზის სხივი შემოიჭრა, შემოერტყა მას წელზე და იმავე სარკმლით გარეთ გამოიყვანა. ფარნავაზს გაეღვიძა და ფრიად გაკვირვებული დარჩა ამ სიზმრით. მეორე დღეს იგი სანადიროდ წავიდა ირმებზე. დიღმის ველიდან თბილისის ნაპრალებამდე სდია. ერთ-ერთი ირემი დაჭრა კიდეც ისრით, რომელიც კლდის ძირას დაეცა. რადგან საღამო იყო ფარნავაზმა იქვე გადაწყვიტა ღამის გათევა. უეცრად გაწვიმდა, ფარნავაზმა კლდეში შემავალი ამოქოლილი კარი შეამჩნია, შეანგრია იგი და შიგ შევიდა. კლდეში აურაცხელი განძი ოქრო-ვერცხლი და თვალ-

მარგალიტი იპოვა. ნანახით გაკვირვებულ ფარნავაზს გაახსენდა სიზმარი და გახარებულმა ისევ ამოქოლა შესასვლელი და შინისაკენ გასწია. განძი საიმედოდ გადამალა და დაიწყო ფიქრი თუ როგორ გამოეყენებინა იგი სამშობლოს აზოსაგან გასათავისუფლებლად.

ლეონტი მროველის თანახმად, ფარნავაზი დაუკავშირდა ეგრისის (დასავლეთ საქართველოს) მმართველს ქუჯის, რომელსაც შესთავაზა ერთობლივად ებრძოლათ აზოს წინააღმდეგ. თავის მხრივ ქუჯიმ უთხრა ფარნავაზს: ,,შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა და შენ გმართებს უფლება ჩემი''. აქ ჩანს ლეონტი მროველისეული პოზიცია, რომელიც იმჟამად უნდა ყოფილიყო მიღებული, კერძოდ, XI საუკუნეში ფორმირდება ერთიანი ქართული სამეფოს მცხეთის ირგვლივ. ამიტომაც ეგრისის მმართველის ქუჯის, პოზიცია სავსებით გასაგებია.

ფარნავაზმა, აგრეთვე, გამოიყენა ჩრდილო კავკასიელ მთიელთა ძალაც და მხარდაჭერა სთხოვა სელევკიდების სამეფოს. ბრძოლის დროს აზოს განუდგა და ფარნავაზის მხარეს გადავიდა 1 000 ბერძენი მხედარი. აზომ კი, რომელიც კლარჯეთს აფარებდა თავს, საბერძნეთიდან მიიღო დახმარება. აზო დამარცხდა არტაანთან გამართულ ბრძოლაში, რომელსაც ქაჯთა ქალაქი ჰური ეწოდებოდა. აზო ბრძოლის ველზე დაეცა. აზოს ლაშქრის ნარჩენები გაიქცა და მათ ფეხდაფეხ სდია ფარნავაზის ჯარმა. ქართველები შეიჭრნენ საბერძნეთში, ბრძოლით აიღეს და მოაოხრეს ქალაქები ანძიაძორა და ეკლეცი. საბერძნეთში დღეისთვის პონტოს სამეფოს გულისხმობენ. აზოს მისგან უნდა მიეღო დახმარება. ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით, ფარნავაზმა ქართლის მეფედ გამოცხადების შემდეგ სირიის მეფე ანტიოქოზისაგან მიიღო სამეფო ნიშნები.

ფარნავაზმა გაატარა რეფორმები. ქართლი დაყო 8 ადმინისტრაციულ ერთეულად. ერისთავებს ევალებოდათ ჯარის შეკრება და სარდლობა, ხარკის აკრეფა და ადმინისტრაციული საკითხების გადაწყვეტა. სტრატეგიულად ყველაზე მნიშვნელოვანი იყო შიდა-ქართლის პროვინცია, რომელიც სპასპეტს დაუქვემდებარა. სპასპეტი სამეფოში მეფის შემდეგ მეორე პირი იყო და ერისთავებიც პირადად მას ემორჩილებოდნენ. 8 საერისთაოდან ერთ-ერთი იყო ეგრისიც. ფარნავაზმა ქუჯის თავისი და შერთო ცოლად. ქუჯიმ დიდი ციხესიმაგრე ციხე გოჯი ანუ ქუჯის ციხე ააშენა. მეორე და მან ოვსთა ხელმწიფეს მიათხოვა. თავად კი ცოლად ჩრდილო კავკასიელი (დურძუკი) მოიყვანა. ფარნავაზმა დინასტიური ქორწინების გზით ქართლის პოლიტიკური მდგომარეობა განამტკიცა. ფარნავაზმა შემოიღო ახალი კერპი _ არმაზი, რომელიც ქართული პანთეონის უზენაესი ღვთაება გახდა. იგი აღმართა იმ მთაზე, რომელსაც ქართლი ეწოდებოდა და შემდეგ ეწოდა არმაზის მთა. მანვე განავრცო ქართული ანბანი. ლეონტი მროველის თანახმად, ,,განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდსა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული''. მცხეთას ისევ შემოავლო ზღუდე და აღადგინა სხვა მრავალი დანგრეული ციხე-ქალაქი. ფარნავაზის მეფობის ზუსტი ხანის განსაზღვრა ძნელია. ის ძვ.წ. III საუკუნის 90-80-იან წლებში გამეფდა და მეფობდა 65 წლის განმავლობაში. იგი დაკრძალეს არმაზის მთაზე, არმაზის კერპის წინ.

დიდია ფარნავაზის დამსახურება ქართველი ერის და ქართული სახელმწიფოს წინაშე, მან პირველმა სცადა ქართველური ტომებით დასახლებული ტერიტორიების გაერთიანება და ახალი ქართული სახელმწიფო მოდელის (საერისთავებად დაყოფა) შექმნა, რომლის მოდერნიზება ვახტანგ გორგასალმა სცადა, ხოლო საბოლოო ხორცშესხმა ბაგრატ-III დროს ჰპოვა. ასევე ფარნავაზმა დაამკვიდრა ერთიანი ქვეყნისათვის საერთო კერპი

(მონოთეისტურთან მიახლოებული),არმაზის ღვთაება, რომელმაც დიდი როლი ითამაშა იმ ეპოქის ქართველური ტომების კონსოლიდაციის პროცესში.

რომის გავლენის დამყარება საქართველოში.

ძველი წელთაღრიცხვის II საუკუნის ბოლოსათვის რომის ხელში იყო იტალია, სიცილია, სარდინია, კორსიკა, ესპანეთი, ჩრდილოეთ აფრიკა, მაკედონია, საბერძნეთი და მცირე აზიის ნაწილი. ძვ. წ. 118 წელს გალიის (თანამედროვე საფრანგეთი) სამხრეთი ნაწილი რომის პროვინციად გადაიქცა.

რომის წინააღმდეგ ბრძოლა ითავა პონტომ და სომხეთმა. ძვ. წ. I საუკუნის დასაწყისში საქართველოს სამხრეთით გაძლიერდა პონტოსა და მეზობელი სომხეთის სახელმწიფო. უკვე მეფობის დასაწყისში პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორმა (ძვ. წ. 111-63 წწ.) თავის სამეფოს შეუერთა ჩრდილო შავიზღვისპირეთი, კერძოდ, ბოსფორის სამეფო, კოლხეთი და ”მცირე არმენია”. მითრიდატეს დამორჩილდა სამხრეთ და დასავლეთ შავიზღვისპირეთის ქალაქების დიდი ნაწილიც. ამის შემდეგ მითრიდატემ ბრძოლა გააჩაღა მთელი მცირე აზიის დაუფლებისათვის. ამ საქმეში მისი მოკავშირე გახდა სომხეთის მეფე ტიგრან II.

პონტოსა და სომხეთის გაძლიერებას წინ აღუდგა რომი, რომელიც უკვე ძვ. წ. II საუკუნიდან აქტიურად ერეოდა მცირე აზიის საქმეებში და მას საკუთარი ინტერესების სფეროდ თვლიდა. მითრიდატემ მოხერხებულად გამოიყენა ანტირომაული განწყობილება მცირე აზიის მოსახლეობაში, რომლებმაც საკმაოდ იგემეს რომაელთა მხრივ ძარცვა და ექსპლუატაცია. მითრიდატე VI-მ მოახერხა რომაელთა განდევნა მცირე აზიიდან და ერთხანს საბერძნეთსაც კი დაეუფლა, მაგრამ რომაელებმაც თავისი ძალების კონცენტრაცია მოახდინეს და რამდენჯერმე გაიმარჯვეს მითრიდატეს ჯარებზე. მითრიდატე თავს დამარცხებულად მაინც არ სცნობდა. ძვ. წ. 73 წელს მან გააჩაღა ახალი, მესამე ომი რომთან. რომაელებმა ლუკულუსის სარდლობით ამჯერადაც რამდენჯერმე დაამარცხეს მითრიდატე და შეიჭრნენ სომხეთის მეფის – პონტოს მოკავშირე ტიგრან II-ის სამფლობელოებში. ძვ. წ. 69 წ. რომაელებმა აიღეს, ხანგრძლივი ალყის შემდეგ, სომხეთის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი – ტიგრან II-ის მიერ დაარსებული ქალაქი ტიგრანაკერტი. ქართლის სამეფო, ისევე როგორც მეზობელი ალბანეთი, ამ დროს პონტოსა და სომხეთის მოკავშირე იყო. პლუტარქეს ცნობით, ტიგრანაკერტთან ბრძოლაში სომხების მხარეზე იბრძოდნენ იბერები და ალბანელები მომდევნო, 68 წ. რომაელებმა გეზი აიღეს სომხეთის დედაქალაქ არტაშატისაკენ. არტაშატის მისადგომების დამცველთა შორის პლუტარქე კვლავ იბერებს ასახელებს. ძვ. წ. 66 წ. მითრიდატესა და ტიგრანის წინააღმდეგ ომის წარმოება რომის სენატმა ლუკულუსის ნაცვლად გნეუს პომპეუსს დაავალა და იგი აღმოსავლეთის პროვინციებში განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვა. მითრიდატეს ამ დროისათვის ძალები ფაქტიურად აღარ გააჩნდა და სასტიკად დამარცხდა. მითრიდატემ სასწრაფოდ მიატოვა პონტო და მცირე ლაშქრით კოლხეთისაკენ გაიქცა. აქ მას დიოსკურიაში მოუხდა ზამთრის გატარება, რადაგანაც ბოსფორის სამეფო, საითკენაც იგი მიემართებოდა, მისმა ვაჟმა _ მახარემ ჩაიგდო ხელში. მეორე წელს მითრიდატემ მეოტური ტომების დახმარებით ხელთ იგდო ბოსფორი. იგი ოცნებობდა რომის წინააღმდეგ ბრძოლის განახლებაზე, ჩრდილოეთიდან იტალიაში შეჭრაზე და სხვ., მაგრამ 63 წ. მეორე ვაჟის, ფარნაკის მიერ მოწყობილი აჯანყების შედეგად დაკარგა ძალაუფლება და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ამრიგად, უკვე 66 წ. პონტომ ფაქტიურად შეწყვიტა წინააღმდეგობა, ამიტომაც გნეიუს პომპეუსმა საომარი მოქმედება პონტოს ამიერკავკასიელი მოკავშირეების – სომხეთის, ალბანეთისა და იბერიის წინააღმდეგ გააჩაღა. სომხეთი მალე გამოვიდა მწყობრიდან. ტიგრან II დანებდა პომპეუსს და ძვ. წ. 66 წელს ზავი დადო, რომლის ძალითაც სომხეთმა დაკარგა მის მიერ ახლად შემოერთებული ბევრი ოლქი და ექვსი ათასი ტალანტის კონტრიბუციის გადახდაც იკისრა. ტიგრან II-მ ,,რომის მეგობრისა და მოკავშირის" წოდება მიიღო, რაც ამ სიტუაციაში რომისადმი პოლიტიკური დაქვემდებარების აღიარებას მოასწავებდა.

ამის შემდეგ პომპეუსის დღის წესრიგში ალბანეთის, იბერიისა და კოლხეთის დალაშქვრა დადგა. როგორც ჩანს, ამიერკავკასიის ქვეყნების მიმართ რომაელებს სხვა, უფრო სპეციფიკური ინტერესებიც ამოძრავებდათ. მათთვის კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი ამიერკავკასიის, როგორც სტრატეგიული ბარიერის, მნიშვნელობა კავკასიის ქედს იქით მცხოვრებ მომთაბარეთათვის გზების ჩასაკეტად. ამის გარდა, ამიერკავკასია იყო უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-სატრანზიტო არტერია, რომელიც აკავშირებდა შორეულ აღმოსავლეთს (ჩინეთი, ინდოეთი, შუა აზია) შავი ზღვის გავლით ხმელთაშუაზღვის აუზის ქვეყნებთან.

მომდევნო (ძვ. წ. 65) წელს პომპეუსმა გადაწყვიტა თავდაპირველად იბერიაზე ელაშქრა და მხოლოდ ამის შემდეგ გადასულიყო კოლხეთში.

იბერიაში ამ დროს მეფობდა არტაგი (ანტიკური წყაროები მას არტოკს უწოდებენ). პლუტარქე ლაპარაკობს დიდი ბრძოლის შესახებ, რომელშიც იბერიელებმა სასტიკი მარცხი განიცადეს, მათ 9000 მოკლული და 10000-ზე მეტი რომაელთა მიერ იქნა დატყვევებული. ასე გაიკვლია, პლუტარქეს თქმით, კოლხეთში გზა პომპეუსმა, სადაც მას ქალაქ ფაზისთან სერვილიუსი უცდიდა ფლოტით. პომპეუსის ლაშქრობა იბერიაში დაწვრილებით აღწერა დიონ კასიუსმა. ძვ. წ. 65 წელს პომპეუსს, მისი თქმით, ბრძოლა მოუხდა როგორც ალბანელების, ისე იბერიელების წინააღმდეგ. პირველად იბერიელებზე ილაშქრა. ამ უკანასკნელთა მეფე არტოკმა დესპანი გაგზავნა პომპეუსთან მეგობრობის აღთქმით, მაგრამ მალულად უეცარ თავდასხმას ამზადებდა. დიონ კასიუსი აქ, რომაულ ვერსიას გადმოგვცემს. პომპეუსმა ეს შეიტყო, არ აცალა მომზადება, იგი თვით შეიჭრა მოულოდნელად ისე, რომ არტოკმა მხოლოდ მაშინ შეიტყო პომპეუსის შემოსევის შესახებ, როდესაც ეს უკანასკნელი აკროპოლისს (შიდაციხეს, არმაზციხეს) მოადგა. არტოკმა ვერ მოახერხა ციხის დაცვა და საჩქაროდ მიატოვა იგი, გადავიდა მტკვრის მეორე (მცხეთის) მხარეზე და ხიდი დაწვა. არმაზციხის გარნიზონი დამარცხდა ბრძოლაში და დანებდა პომპეუსს. პომპეუსმა დაიმორჩილა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე მთელი მხარე.

პომპეუსი ემზადებოდა, აგრეთვე, მტკვრის მეორე მხარეზე გადასასვლელად. იქ იმყოფებოდა არტაგი, მაგრამ ამ უკანასკნელმა დესპანები გამოგზავნა და პირობას იძლეოდა, თვით აეგო ხიდი და სურსათიც მიეწოდებინა რომაელთა ლაშქრისათვის. ეს პირობები შეასრულა კიდეც, მაგრამ ცბიერმა პომპეუსმა, ეტყობა დაივიწყა მიცემული პირობა და მტკვარზე იწყო გადასვლა. არტაგი გაიქცა მდ. პელორისაკენ (ალბათ არაგვისაკენ, სადაც იყო მცხეთის მეორე მთავარი ციხე: სევსამორა ანუ ზადენციხე), მაგრამ პომპეუსი დაეწია მას და მათ შორის გაიმართა ბრძოლა, რომელიც ქართველთა დამარცხებით დასრულდა. Uუკუქცეულმა არტაგმა პელორზე გადასვლის შემდეგ დაწვა ხიდი. აქეთა მხარეს დარჩენილი არტაგის მეომრები შეეცადნენ გადაეცურათ მდინარე, მაგრამ უმრავლესობა ადიდებულ მდინარეში დაიხრჩო. ბევრი იბერიელი მეომარი დაეცა

ბრძოლაში. ბევრმა მათგანმა, ვინც, ეტყობა, ვერ მოასწრო არტაგთან ერთად პელორზე გადასვლა, ტყეებს შეაფარა თავი და მაღალი ხეებიდან უშენდა ისრებს რომაელებს. მაშინ რომაელებმა ხეები მოჭრეს და გაუსწორდნენ მათ. დახოცილთა შორის მრავალი ქალი აღმოჩნდა. პლუტარქეს გადმოცემით, რომში ხმა ჩასულა შორეულ იბერიაში პომპეუსი ამორძალებს ებრძვისო. ასე დაიღუპნენ იბერიელი მეომრები.

პომპეუსსა და არტაგს შორის კვლავ მოლაპარაკება გაიმართა. პომპეუსი მძევლად არტაგის შვილებს ითხოვდა. არტაგი, ჩანს, ამაზე არ თანხმდებოდა, მაგრამ, როდესაც ზაფხულის სიცხეების გამო პელორი ადვილად გადასალახავი გახდა და პომპეუსის ლაშქარიც გადავიდა მასზე, არტაგმა მძევალი მისცა და ზავიც შეიკრა. პლუტარქეს ცნობით, ძღვენის სახით პომპეუსმა არტაგისაგან მიიღო ოქროს საწოლი, ტახტი და მაგიდა.

იბერიიდან პომპეუსი კოლხეთში გადავიდა, უეჭველია უმოკლესი გზით – ლიხის უღელტეხილით. დიონ კასიუსის ცნობით, პომპეუსმა იბერიაში ყოფნისას შეიტყო, რომ აქვე ახლო იყო მდ. ფაზისი და გადაწყვიტა მისი დინების გაყოლებით კოლხეთში ჩასულიყო. პომპეუსმა მიაღწია ქალაქ ფაზისს. აპიანეს და ზოგი სხვა ანტიკური ავტორის ცნობით, პომპეუსმა კოლხეთის მმართველად დააყენა ვინმე არისტარქე. აქ ელოდებოდა მას პუბლიუს სერვილიუსი რომაული ესკადრით. ფაზისში პომპეუსმა თავისი ლაშქრობა კოლხეთში დამთავრებულად ჩათვალა. მან შეიტყო, რომ მითრიდატე შორს, ბოსფორში გახიზნულიყო. იქ მისი გამოდევნება შეუძლებელი ჩანდა. გზა ჩრდილოეთისაკენ, გადიოდა მრავალი უცნობი და მეომარი ტომის მიწა-წყალზე. საშიში იყო საზღვაო გზაც _ არ იყო ნავმისადგომები, ხოლო ზღვის პირას, აგრეთვე, მეტად მკაცრი ტომები სახლობდა... პომპეუსმა აქედან არმენიაზე გავლით ალბანეთზე ილაშქრა. ალბანელები დამარცხდნენ და ზავი შეკრეს. მათი მეფე ოროისი, ისევე როგორც იბერიელთა მეფე არტაგიც, პომპეუსმა ალბათ ”რომაელთა მეგობრად და მოკავშირედ”, ე.ი. რომისადმი დამოკიდებულ მმართველად გამოაცხადა.

ამრიგად, სომხეთი, ალბანეთი და იბერია რომისადმი დამოკიდებულებაში მოექცნენ. სომხეთმა, ამასთანავე, დაკარგა ტიგრან II-ის დროს შემენილი მიწების დიდი ნაწილი და საგრძნობლად დასუსტდა. უფრო დასავლეთით მდებარე ქვეყნებში (პონტო, მცირე არმენია, კოლხეთი) რომაელები კიდევ უფრო მტკიცედ დამკვიდრდნენ.

რომაელებს შორის ატეხილი ბრძოლით ისარგებლა მითრიდატე VI ევპატორის ვაჟმა ფარნაკმა, რომელიც ბოსფორის (შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპირო) მმართველი იყო და მამის სამეფოს აღდგენა განიზრახა, მაგრამ კეისარი დაიძრა მის წინააღმდეგ და ფარნაკი ადვილად დაამარცხა. კეისარმა გამარჯვების ამბავი სენატს სამი სიტყვით აცნობა: ,,მივედი, ვნახე, დავამარცხე".

ამ დროს არამყარი იყო მდგომარეობა რომის მიერ დაპყრობილი ქვეყნების აღმოსავლეთ პერიფერიაზე, იქ, სადაც მდებარეობდა იბერიაც. ძვ. წ. 53 წ. პართიელებმა კარასთან მომხდარ ბრძოლაში თითქმის მთლიანად ამოჟლიტეს ”პირველი ტრიუმვირატის” (პომპეუსი, კეისარი, კრასუსი) ერთ-ერთი წევრის მარკუს ლიცინიუს კრასუსის მეთაურობით შემოჭრილი რომაელების ლაშქარი. ბრძოლაში დაიღუპა კრასუსიც. ამ ბრძოლამ საზღვარი დაუდო რომაელთა წინსვლას აღმოსავლეთისაკენ და შექმნა პოლიტიკური წონასწორობის ატმოსფერო რომსა და პართიას შორის, რაც თითქმის პართიაში არშაკიდების დინასტიის დაცემამდე (ძვ. წ. III ს. დასაწყისი) გაგრძელდა.

რომში ძვ.წ. 49 წელს პომპეუსსა და იულიუს კეისარს შორის დაიწყო ბრძოლა პირველობისათვის, რომელიც კეისრის გამარჯვებით დასრულდა. იულიუს კეისარი

გახდა სახელმწიფოს მმართველი. მაგრამ მალე დაემხო შეთქმულების შედეგად (ძვ. წ. 44 წ. 15 მარტი). 43 წელს შეიქმნა ”მეორე ტრიუმვირატი” (ანტონიუსი, ლეპიდუსი და ოქტავიანე), მათ მიითვისეს ხუთი წლით სახელმწიფოში უზენაესი ძალაუფლება. მალე ტრიუმვირატის წევრებს შორის ბრძოლა გაიშალა, რაც ძვ. წ. 30 წელს ოქტავიანეს სრული გამარჯვებით დამთავრდა ანტონიუსზე, რომელიც იმჟამად ეგვიპტეს აფარებდა თავს. ეს თარიღი მიჩნეულია რომში რესპუბლიკის საბოლოო დამხობისა და იმპერიის დასაწყის თარიღად. იგი ამთავრებს აგრეთვე ე. წ. ელისნისტურ ხანას და რომის იმპერიის პერიოდს იწყებს.

ამ ამბების დროს, ძვ. წ. 50-30-იან წლებში, იბერია და მეზობელი ალბანეთი, უეჭველია, სავსებით განთავისუფლდნენ რომისადმი დამოკიდებულებისაგან. რომს უფრო ახლობელი სომხეთის დამორჩილების თავიც არ ჰქონდა, მით უმეტეს იბერია და ალბანეთი მისთვის სრულიად ხელმიუწვდომელი იყო.

ძვ. წ. 36 წ. შემდეგ რომაელები, ალბათ, დიდხანს აღარ გამოჩენილან იბერიაში. სტრაბონი, რომელიც თავის თხზულებას წერდა ავგუსტუსისა და ტიბერიუსის მეფობაზე, (ახ. წ. I სს. პირველ ათეულ წლებში), აღწერს იბერიაში შესასვლელ გზებს და დასძენს, რომ ამ გზებით შეიჭრნენ იქ ჯერ პომპეუსი (65 წ.), შემდეგ კი _ კანიდიუსი (36 წ.). ეტყობა, რომელიმე სხვა ლაშქრობის შესახებ მან არაფერი იცის. ამ პერიოდში, იბერიაც ალბანეთის მსგავსად, სავსებით დამოუკიდებელი იქნებოდა რომისაგან.

ამასთანავე, შეიძლება სწორედ ამ დროს ჩაეყარა საფუძველი ნებაყოფლობით კავშირზე და ინტერესთა თანხვდენილობაზე დამყარებულ ურთიერთობას რომსა და იბერიას შორის, რომელიც უფრო მკაფიოდ ჩანს ცოტა უფრო გვიან, ახ. წ. I-II სს. რომს, რომელსაც ძალა არ შესწევდა იარაღის ძალით მორჩილებაში ჰყოლოდა ეს შორეული ქვეყანა, სავსებით აწყობდა, მისი სახით ჰყოლოდა ერთგული მოკავშირე პართიასთან და სომხეთზე კონტროლისათვის. იბერიას ამ ბრძოლაში არსებითი როლის შესრულება შეეძლო იმითაც, რომ მის ხელში იყო კავკასიონის გადმოსასვლელები და ჩრდილოელ მომთაბარეთა პართიასთან ბრძოლაში გამოყენების შესაძლებლობა. მეორე მხრივ, რომთან კავშირი დიდ პერსპექტივებს შლიდა იბერიის წინაშე საკუთარი საზღვრების გასაფართოებლად.

ასეთი სამოკავშირეო ურთიერთობის დამყარების თვალსაზრისით საყურადღებოა რომის იმპერატორის ავგუსტუსის ცნობა, სადაც იმათ შორის, ვინც მის მეგობრობას ეძიებდნენ, ასახელებს, ალბანელების, იბერიელებისა და მიდიელების მეფეებსაც.

ლექცია #III

რომის იმპერიასთან საქართველოს ურთიერთობის საკითხები ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე; საქართველო ფეოდალიზმის გზაზე. ქრისტიანობა. ვახტანგ გორგასალი;

ახალი წელთაღრიცხვის დამდეგიდან ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ქართლის სამეფოს გაძლიერებისათვის. ეს, პირველ რიგში, გამოიწვია საგარეო პოლიტიკურმა ვითარებამ. კერძოდ, ამიერკავკასიაში რომსა და პართიას შორის პირველობისათვის გაჩაღებული ბრძოლა ახალ სტადიაში შევიდა. ისინი ძალიან ფრთხილობდნენ და შიშობდნენ, არ დაეკარგათ თავიანთი პოზიციები ამიერკავკასიაში, რამაც განაპირობა მათი ლოიალური დამოკიდებულება აქ არსებული სახელმწიფოებისადმი. ამას დაემატა, ისიც, რომ ქართლის სამეფომ ალანებთან მეგობრული ურთიერთობა დაამყარა და კიდევ უფრო ანგარიშგასაწევ ძალად იქცა საერთაშორისო არენაზე. ყოველივე ეს მიმდინარეობდა სომხეთის სახელმწიფოს დასუსტების ფონზე, რამაც მისცა საშუალება ქართლის სამეფოს გაეფართოებინა სახელმწიფოს საზღვრები.

ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან სამოკავშირეო ურთიერთობები ყალიბდება რომისა და იბერიის სახელმწიფოებს შორის. ისტორიკოს ტაციტუსის ცნობით, ახალი წელთაღრიცხვის 23 წელს, სირიიდან ევფრატამდე ოთხი რომაული ლეგიონი იდგა, რომლებიც გარეშე მტრებისაგან იცავდნენ რომის მფარველობაში მყოფ იბერთა, ალბანელთა და სხვა მეფეებს.

რომსა და პართიას შორის მიმდინარე ბრძოლაში ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სომხეთის საკითხს. ასეთ ვითარებაში ქართლისთვის რომის მოკავშირეობა სასარგებლო იყო, რადგან ისახებოდა სამეფო საზღვრების გაფართოების პერსპექტივა. ამ ბრძოლის შესახებ საკმაოდ ვრცლად საუბრობენ რომაელი ისტორიკოსები ტაციტუსი და დიონ კასიუსი თავიანთ თხზულებებში.

ავგუსტუსის შემდეგ რომში იმპერატორი გახდა ტიბერიუსი (14-37 წწ.). ის აქტიურად ერეოდა აღმოსავლეთის საკითხებში. მისი მეფობის დასაწყისში რომაელებმა სომხეთი დროებით დაუთმეს პონტოს მეფის პოლემონის ძეს, ზენონს (18-34 წწ.), რომელიც იქ მეფობდა არტაშესის სახელით. მისი გარდაცვალების შემდეგ პართიის მეფე არტაბან III-მ (13-38 წწ.) სომხეთში თავისი ვაჟი, არშაკი, გაამეფა.

35 წელს პართიაში შაჰის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. აჯანყებულთა თხოვნით ტიბერიუსმა პართიაში გასამეფებლად რომში მძევლად მყოფი პართიელი უფლისწული ტირიდატი გაგზავნა და შემწეობა ქართლის მეფეს, მითრიდატეს, სთხოვა. ქართლის მეფემ თავისი ძის, ფარსმანის, სარდლობით ჯარი გაგზავნა სომხეთში, რომელიც იმხანად პართიას ემორჩილებოდა. ქართველებმა სომხეთის ტახტზე ქართველი უფლისწული, ფარსმანის ძმა _ მითრიდატე დასვეს. პართელებმა სცადეს სომხეთის დაბრუნება და დიდი ჯარი გამოაგზავნეს სომხეთში გაბატონებულ იბერთა წინააღმდეგ, რომელსაც პართიის უფლისწული ოროდი სარდლობდა. იბერებმა, ტაციტუსის ცნობით, ალბანელები და სარმატები მოიხმეს და დაამარცხეს ისინი. ქართლის უფლისწულმა ფარსმანმა დაჭრა ოროდი, რომელიც მისმა ცხენმა გადაარჩინა. ტაციტუსის თქმით, ამან პანიკა გამოიწვია პართელებში და დამარცხდნენ. სომხეთში ტახტი მითრიდატემ შეინარჩუნა.

პართიაში კიდევ ერთი გადატრიალება მოხდა და ყოფილმა მეფე არტაბანმა ტირიდატი ტახტიდან ჩამოაგდო, რომლის შემდეგაც სომხეთში გაბატონებულ იბერებს შემოუტია. თუმც რომაელთა დახმარებით იბერებმა კვლავ შეინარჩუნეს სომხეთი.

ქართლის უფლისწულმა მითრიდატემ რომთან შეუთანხმებელი პოლიტიკის გატარება დაიწყო, რის გამოც იგი იმპერატორმა გაიუს კალიგულამ (37-41 წწ.) დაატყვევა. მომდევნო იმპერატორმა კლავდიუსმა (41-54 წწ.) მითრიდატე საპყრობილედან გაათავისუფლა და 47 წელს სომხეთის ტახტი უკან დაუბრუნა.

ამ დროს დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას იწყებს ქართლის მეფე ფარსმანი. მან 51 წელს სომხეთის დაუფლება და თვისი ძმის, მითრიდატეს, ტახტიდან ჩამოგდება განიზრახა. ამისთვის მან ეშმაკური გეგმა მოიფიქრა. მითრიდატესთან მივიდა და თავშესაფარი სთხოვა, ვითომდა მამასთან წაჩხუბებულმა ფარსმანის ძემ _ რადამისტმა. ბიძამ შეიფარა რადამისტი. რადამისტმა სომხეთში ყოფნის დროს დიდებულთა ნაწილი თავის მხარეზე გადაიბირა. შემდეგ ქართლში დაბრუნდა მამასთან. ტაციტუსის გადმოცემით რადამისტმა ფარსმანს განუცხადა: ,,რაც მზაკვრობით შეიძლება გაკეთებულიყო, გაკეთებულია, დანარჩენი იარაღით უნდა აღსრულდეს!". სომხეთში ქართლის ჯარით შესულმა რადამისტმა ბიძა დაამარცხა და ტახტი დაიკავა. რადამისტის წინააღმდეგ დაიძრა პართიის მეფე. ამ ბრძოლაში პართიელებმა გაიმარჯვეს. რადამისტი ქართლში გამოიქცა, სადაც მალევე მოკლეს მამის ბრძანებით. ფარსმანის მოქმედებამ რომს სომხეთი დააკარგვინა. ფარსმანმა შესაძლოა, რომთან ურთიერთობის გართულების თავიდან ასაცილებლად მოაკვლევინა რადამისტი, ვითომ მე არაფერი ვიცოდიო, თუმცა, არც ისაა გამორიცხული, სომხეთში ტახტის დაკარგვის შემდეგ რადამისტს მამისეული ტახტის დაკავებაც ეცადა. ტაციტუსი საუბრობს რადამისტის მოკვლის მესამე მიზეზზეც. მისი აზრით, არაა გამორიცხული, რომ იგი სასახლის ინტრიგების მსხვერპლი გამხდარიყო. რადამისტი სძულდა მის დედინაცვლს, რომელსაც სურდა რადამისტის თავიდან მოშორება, რათა ტახტისაკენ გზა გაეკაფა თავისი შვილისათვის. ზუსტად, რამ გამოიწვია რადამისტის მკვლელობა დღემდე ბურუსითაა მოცული.

რომის ახალი იმპერატორი გახდა ნერონი (54-68 წწ.), რომელმაც გადაწყვიტა სომხეთის დაბრუნება. ის დაუკავშირდა იბერებს და მათთან ერთად 58 წელს დალაშქრეს სომხეთი. რომაელთა ჯარებს მეთაურობდა გნეიუს დომიციუს კორბულონი. პართელებმა ამჯერად დათმეს სომხეთი და მათმა უფლისწულმა ტირიდატმა გაქცევით უშველა თავს. რომაელთა დახმარების სანაცვლოდ ქართლმა სომხეთის ნაწილი მიიღო საჩუქრად.

პართელები ვერ შეეგუენ სომხეთის დაკარგვას და ტირიდატმა ისევ უკან დაიბრუნა სომხეთი. საბოლოოდ, 63 წელს რომსა და პართიას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც სომხეთი ორმაგი დამოკიდებულების ქვეშ ექცეოდა. ამ ზავმა საკმაოდ დაასუსტა ამიერკავკასიაში იბერიის პოზიციები. I საუკუნის მეორე ნახევარში იბერიასა და სომხეთს შორის ბრძოლები მიმდინარეობდა იბერიის სამხრეთი ოლქების გამო, რომლის დაკავებასაც ცდილობდნენ სომხები. იბერები ამ ბრძოლებში ჩრდილოელ მომთაბარეებს_ალანებს იყენებდნენ, რომლებმაც I საუკუნის 60-იან წლებში დიდად შეაწუხა პართელებიცა და რომაელებიც. I საუკუნის 70-იან წლებში ქართლის მეფემ გახსნა გადმოსასვლელები და ალანები შეუსია სომხეთსა დ პართიას.

მოსე ხორენელის თანახმად, ალანებმა დაარბიეს სომხეთი, რაშიც მათ ეხმარებოდნენ მთიელები და იბერიის ნახევარი. ,,ქართლის ცხოვრების'' თანახმად, ამ ლაშქრობის ინიციატორად ქართლის მეფეები – აზორკი და არმაზელი უნდა ყოფილიყვნენ. მათ სურდათ სომხების მიერ წართმეული მიწების დაბრუნება და ამ მიზნით კოალიციური ლაშქარი შეკრიბეს, რომელშიც შედიოდნენ ოსები, ლეკები, ჩრდილოელი ტომები _ პაჭანიკები და ჯიქები, დურძუკები და დიდოელები. ოვსთა ჯარს სათავეში ედგა ორი ძმა – ბუმბერაზი ბაზუკი და აბაზუკი. ისინი შეიჭრნენ სომხეთში, ააოხრეს შირაქი და ვანანდი ბაგრევანამდე და ბასიანამდე. პარალელურად კი _ დაშტი, ვიდრე ნახჭევანამდე. ისინი დიდი ნადავლითა და ტყვეებით დაბრუნდნენ უკან, მაგრამ მდინარე იორთან დაეწია მათ სომეხთა ლაშქარი სმბატის მეთაურობით, რომელმაც დაამარცხა ქართველთა კოალიციური ლაშქარი.

I საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე ქართლის სამეფო ტახტზე მითრიდატეს ნაცვლად ავიდა ქართამი, რომელსაც მოღვაწეობა მოუწია იმპერატორ დომიციანეს (81-96 წწ.) დროს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულმა წყაროებმა არ იცის ქართლის მეფის ქართამის სახელი და ისინი ამ დროს მომხდარ ამბებს აზორკისა და არმაზელის ორმეფობის პერიოდს მიაწერენ.

I-II საუკუნეთა მიჯნაზე ახალ სტადიაში შევიდა რომისა და პართიის დაპირისპირება. რომის იმპერატორმა ტრაიანემ (98-117 წწ.) 114-116 წლებში დაამარცხა პართიელები. ტრაიანეს მემკვიდრე ადრიანე (117-138 წწ.) კვლავ ცვლის პოლიტიკას და პართიასთან მშვიდობიან ურთიერთობას ამყარებს. II საუკუნის პირველ ნახევარში ქართლის სამეფო საკმაოდ გაძლიერდა. ამ დროს, II საუკუნის 30-50-იან წლებში, მას სათავეში ედგა ფარსმან II, რომელიც ქართულ წყაროებში (”მოქცევაჲ ქართლისაჲ”, ”ქართლის ცხოვრება”) ”ქველად” იწოდება. მისი მოღვაწეობის პერიოდში ქართლის სამეფოს ტერიტორიები მეტად გაფართოვდა. სამხრეთ-დასავლეთით მის შემადგენლობაში შედიოდა ძიდრიტებით დასახლებული ტერიტორია მდინარე აფსარიდან (ჭოროხიდან) მდინარე არხაბისამდე (დღევ. არხავე-სუ). ამ ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა სამცხე, აჭარა, არგვეთი და კლარჯეთი. ფარსმან II ალანებთან და სხვა ჩრდილოელ ტომებთან ერთად უპირისპირდებიან რომსა და პართიას ერთდროულად.

იმპერატორ ადრიანეს (117-138 წწ.) მმართველობის პერიოდში რომსა და იბერიას შორის ვითარება უკიდურესობამდე იყო დაძაბული. ელიუს სპარტიანეს თანახმად, ადრიანე ცდილობდა ურთიერთობა გამოესწორებინა ფარსმანთან. მაგრამ, ეს უკანასკნელი დათმობაზე არ მიდიოდა.

ადრიანე ჩადის მცირე აზიაში და მოკავშირე სახელმწიფოთა მეფეებს იბარებს, მათ შორის ქართლის მეფე ფარსმან ქველსაც. ადრიანემ ფარსმანს გამოუგზავნა ძვირფასი საჩუქრები სპილო და ორმოცდაათკაციანი კოჰორტა. ფარსმანმაც მეფური საჩუქარი გაუგზავნა მას, რომელთა შორის იყო მოოქროვილი წამოსასხამები, მაგრამ იმპერატორთან არ გამოცხადდა. ადრიანემ მის დასაცინად არენაზე გამოუშვა სამასი დამნაშავე, რომლებსაც ეს მოოქროვილი წამოსასხამები ჩააცვა. ამის შემდეგ ფარსმანსა და ადრიანეს შორის ვითარება სულ დაძაბული იყო.

ქართლსა და რომს შორის ურთიერთობა მომდევნო იმპერატორის _ ანტონინე პიუსის (138-161წწ.) დროს გაუმჯობესდა. ფარსმანი ამალით ეწვია რომში იმპერატორს და იმპერატორმაც მისი პატივისცემის ნიშნად ცხენზე ამხედრებული ქანდაკება დაადგმევინა მარსის მოედანზე. ფარსმანს ნება დართეს მსხვერპლი შეეწირა კაპიტოლიუმში; რომმა დაუმტკიცა ფარსმანს გადიდებული ქართლის საზღვრები. ლეონტი მროველის ცნობით, ქართლში დაბრუნებული ფარსმან ქველი ირანელებმა მოწამლეს.

ფარსმანის გარდაცვალების შემდეგ ქართლში მეფე გახდა ხსეფარნუგი. ის მოხსენიებულია მცხეთაში, არმაზისხევის ნეკროპოლში აღმოჩენილი მისი ,,ეზოს მოძღვრის” იოდმანგანის უდროოდ გარდაცვლილი მეუღლის, სერაფიტის, საფლავის ქვის წარწერაზე. ამ წარწერიდან ირკვევა, რომ ხსეფარნუგის მმართველობის დროს ქართლის სამეფოს წარმატებული საგარეო ომები უნდა ეწარმოებინა.

III საუკუნის 20-იან წლებში დიდი ცვლილებები მოხდა აზიაში. თანამედროვე ირანის ტერიტორიაზე ძველ პერიოდში მდებარეობდა ელინისტურ სახელმწიფოებს შორის ერთ-ერთი უდიდესი პართიის სამეფო. ირანის სამხრეთს ფარსის პროვინციას უწოდებენ. ახ.წ. III საუკუნის დასაწყისში ამ მხარის მმართველი იყო არდაშირი.

არდაშირის პაპა გახლდათ სასანი, რომელიც ცეცხლთაყვანისმცემელთა ქურუმი იყო. არდაშირიც ფარულად აღიარებდა ცეცხლთაყვანისმცემელობას ანუ მაზდეანობას. სასანიანმა არდაშირმა 224 წელს დაამარცხა უკანასკნელი არშაკიდი მეფე არტაბან V და 226 წელს თავი მეფედ გამოაცხადა. არდაშირი ითვლება ირანის სასანიანთა დინასტიის ფუძემდებლად.

არდაშირს სურდა ძველი აქემენიდური ირანის დიდების აღდგენა და ამ მიზნით მან ქვეყანაში ბევრი რეფორმა გაატარა. მან სახელმწიფო რელიგიად ძველ ირანული ცეცხლთაყვანისმცემლობა ანუ მაზდეანობა გამოაცხადა. დედაქალაქად კი აქემენიდური ქალაქი პერსეპოლისი აქცია, თუმცა თვითონ ხშირად ქალაქ ქთეზიფონში იყო. არდაშირმა ქვეყანა 18 სატრაპიად დაყო. სატრაპის მეთაური უშუალოდ ემორჩილებოდა შაჰს. ქვეყანაში გატარდა სამხერდო რეფორმაც. შეიქმნა მრავალრიცხოვანი, კარგად შეიარაღებული და ბრძოლისუნარიანი ქვეითი და ცხენოსანი ჯარი. ხაზინის შესავსებად მოსახლეობას დააკისრეს დიდი გადასახადები. აღნიშნულმა რეფორმებმა განაპირობა ირანის სახელმწიფოს გაძლიერება.

ირანსა და რომს შორის საომარი მოქმედებანი ძირითადად მიმდინარეობდა შუამდინარეთსა და ამიერკავკასიაში. ამდენად, ამიერკავკასიის ქრისტიანული სახელმწიფოები _ ქართლი, ალბანეთი, სომხეთი და ლაზიკა ამ ომების უშუალო მონაწილენი აღმოჩნდნენ.

მაგრამ, III საუკუნის 80-90-იან წლებში ირანმა რამდენიმე მარცხი იწვნია ზედიზედ რომაელებთან ბრძოლაში. 298 წელს რომაელებთან მორიგი წარუმატებელი შეტაკების შემდეგ, სპარსელები იძულებული გახდნენ 40 წლის ვადით ნისიბინში (მესოპოტამია) დაედოთ საზავო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც რომაელებს გადაეცა მესოპოტამია და ზოგი სხვა ოლქი. რომის პროტექტორატი გავრცელდა სომხეთსა და იბერიაზეც.

ეკონომიკური განვითარება. სოციალური წყობა. ფეოდალიზმის ჩასახვა და განვითარება

1) ეკონიმიკური განვითარება. kolxeTis და ქართლის სამეფოები ეკონომიკურად საკმაოდ კარგად განვითარებული სახელმწიფოები იყვნენ. მეურნეობაში ტრადიციულად წამყვანი ადგილი ეკავა მიწათმოქმედებას, მევენახეობას, მებაღეობას, მესაქონლეობას. ძირითადი მარცვლეული კულტურები იყო: ხორბალი, ქერი, ფეტვი. კოლხეთმა სახელი გაითქვა სელით, რომელიც იალქნების დასამზადებლად გამოიყენებოდა.

კოლხეთისა და ქართლის ეკონომიკურ წინსვლას ხელს უწყობდა საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი აღმოსავლეთისა და დასავლეთის სამყაროთა დამაკავშირებელი სავაჭრო გზა. კოლხეთსა და ქართლს აქტიური სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ ბერძნულ, რომაულ და აღმოსავლურ სამყაროსთან. ვაჭრობის განვითარებაზე მიუთითებს ქალაქების სიმრავლე როგორც აღმოსავლეთ (მცხეთა, ურბნისი, წუნდა, უფლისციხე), ისე დასავლეთ (კუტაია, როდოპოლისი, დიოსკურია, ფაზისი) საქართველოში. ქალაქებში ძირითადად ვაჭრები და ხელოსნები ცხოვრობდნენ. ქალაქებში განვითარებული იყო ხელოსნობის სხვადასხვა დარგი: მეთუნეობა (ჭურჭლის, აგურის, წყალსადენი მილების წარმოება), ჭიქათმოქმედება (მინის ჭურჭლის დამზადება), ოქრომჭედლობა და ქსოვა. საქართველოში დიდი ტრადიცია ჰქონდა რკინის დამუშავებას. სტრაბონის მიხედვით ქალაქ დიოსკურიაში 70 სხვადასხვა ტომის წარმომადგენელი ჩამოდიოდა სავაჭროდ.

მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრი იყო ქართლის დედაქალაქი მცხეთა. მცხეთის ირგვლივ შემოკრებილი იყო ცალკეული დასახლებები და გამაგრებული პუნქტები, რომლებიც ერთობლივად ქმნიდნენ კომპლექსს _ ,,დიდი

მცხეთა", რომლის თავდაცვითი სისტემა ძირითადად ორი ციხე-სიმაგრისაგან შედგებოდა: არმაზციხე, რომელიც კეტავდა კოლხეთიდან, სომხეთიდან და ალბანეთიდან მომავალ სტრატეგიული მნიშვნელობის გზებს და ზადენციხე, რომელიც მცხეთას ჩრდილოეთიდან იცავდა. ,,დიდი მცხეთის" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანი იყო არმაზის ხევი. აქ უნდა ყოფილიყო პიტიახშის რეზიდენცია. სამეურნეო თვალსაზრისით ,,დიდი მცხეთის" ერთ-ერთი მთავარი უბანი იყო სარკინე, სადაც მეტალურგიის ცენტრი მდებარეობდა.

2) სოციალური წყობა. ქართლის სამეფოს მდგომარეობა აღწერილი აქვს სტრაბონს. სტრაბონის მიხედვით: ,,ადამიანთა ოთხი გვარი მოსახლეობს ამ ქვეყანაში: ერთი და პირველი რომლისგანაც მეფეებს სხამენ მახლობლობისა და ასაკის მიხედვით უხუცესს. ხოლო მეორე (ამ გვარიდან) მოსამართლეობს და მხედართმთავრობს. მეორე გვარი არის ქურუმთა, რომლებიც ზრუნავენ აგრეთვე მეზობლებთან სამართალზე. მესამე გვარი არის მხედართთა და მიწის მოქმედთა. მეთხე გვარი არის ხალხისა, რომლებიც სამეფო მონები არიან და აკეთებენ ყველაფერს, რაც ცხოვრებისათვის არის საჭირო".

ქვეყანაში არსებობდა მსხვილი მიწათმფლობელური მეურნეობები. ისინი ეკუთვნოდენ მეფესა და მისი ოჯახის წევრებს (სეფეწულებს), ერისთავებს და ქურუმებს. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი წარმოადგენდა თავისუფალ მეთემეებს, რომლებიც თავის კუთვნილ მიწის მცირე ნაკვეთს ამუშავებდნენ. თვით მეთემეებს შორისაც არსებობდა ქონებრივი დიფერენციაცია. იყვნენ მონებიც. მაგრამ მონათმფლობელობას საქართველოში არასოდეს მიუღია ისეთი ხასიათი, როგორიც ჰქონდა საბერძნეთსა და რომში. განსხვავებული ვითარება იყო მთის რეგიონში, სადაც ფაქტობრივად გვაროვნული საზოგადოება რჩებოდა.

3) ფეოდალიზმის ჩასახვა და განვითარება. თავისუფალ მეთემეთა შორის სწრაფი ტემპით წარიმართა ქონებრივი დიფერენციაციის პროცესი. ხდებოდა თემის დაშლა. თავისუფალ მეთემეთა მხოლოდ მცირე ნაწილი მდიდრდებოდა, უმეტესი ნაწილი კი ღარიბდებოდა. ეს კი ნელ-ნელა პიროვნული თავისუფლების დაკარგვას იწვევდა. მდიდართა მიწათმფლობელური მეურნეობები კი იზრდებოდა. თავისუფალი მიწები მცირდებოდა. დაიწყო ბრძოლა მათი დასაკუთრებითსთვის. ღარიბ მეთემეს აღარ შეეძლო საომრად წასვლა, რადგან საჭურველის შეძენა ძვირი ღირდა. ჯარში მიდიოდა ეკონომიკურად დაწინაურებული ფენა. სამსახურის სანაცვლოდ სამეფო ხელისუფლებისაგან იგი იღებდა პრივილეგიებს, ახალ მიწებს, მონაწილეობდა ალაფის განაწილებაში და კიდევ უფრო იმტკიცებდა თავის მდგომარეობას.

საზოგადოება ძირითადად იყოფოდა ორ ფენად: წარჩინებულები (ისინი ეკონომიკურად დაწინაურებული იყვნენ, ჰქონდათ პოლიტიკური ძალაუფლება და მონაწილეობდნენ ქვეყნის მართვაში), მათ აზნაურები ეწოდებოდათ. მეორე ფენას შეადგენდნენ გლეხები. მათ არ ჰქონდათ პირადი თავისუფლება. Mმიწა, რომელზეც ისინი სახლობდნენ, აზნაურებს ეკუთვნოდათ. გლეხები ამუშავებდნენ აზნაურთა მიწას. თუმც, მათ ჰქონდათ მემკვიდრეობით სარგებლობის უფლებით გამოყოფილი მიწის ნაკვეთებიც. ამ მიწიდან მიღებული შემოსავლის ნაწილი გლეხს რჩებოდა.

აზნაურთა ფენაც არ იყო ერთგვაროვანი. მას თანდათანობით გამოეყვნენ დიდაზნაურები, რომლებსაც თავიანთი ქვეშევრდომი აზნაურები ჰყავდათ. Dდიდაზნა-ურებსა და სამეფო ხელისუფლებას შორის ყოველთვის არსებობდა დაპირისპირება. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ დიდაზნაურებს სურდათ სრული დამოუკიდებლობის მიღება და გადასახადებისაგან განთავისუფლება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აზნაურთა უმრავლესობა ყოველთვის გმირულად იბრძოდა თავისი ქვეყნის დასაცავად.

Fფეოდალიზმის განვითარება ხანგრძლივი პროცესი იყო და იგი საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა.

რელიგია და კულტურა

1) რელიგია. პირველი რელიგიური რწმენა-წარმოდგენები უკვე პალეოლითის ხანაში ჩნდება. თავისი ღვთაება ჰქონდათ თემს, გვარს და ტომს. ჩამოყალიბდა ღვთაებათა შორის უფროს-უმცროსობა. ქართველები ყველაზე დიდ პატივს სცემდნენ: მზეს, მთვარეს და ვარსკვალევებს. მთვარე უზენაესი ღვთაება იყო და მამაკაცის სახით აღიქმებოდა. მის წმინდა ცხოველად ითვლებოდა ხარი. ხარის კულტს საქართველოში ხანგრძლივი ტრადიცია აქვს, რაც იმან განაპირობა, რომ საქართველო მიწათმოქმედების უძველესი კერაა. ხარის თავი გამოსახული იყო კოლხურ თეთრზე. საქართველოში ასევე ფართოდ იყო გავრცელებული მზის კულტი. მზე ქალი ანუ დედა ღმერთი იყო.

ძვ.წ. IV საუკუნის ბოლოსა და III საუკუნის დასაწყისში მცხეთაში დამკვიდრებულმა აზომ ორი კერპი აღმართა: გაც და გაიმ. იმავე ადგილზე ამ ორ კერპს შუა ფარნავაზმა აღმართა არმაზის კერპი, რომელიც მთელი ქართლის სამეფოს უზენაესი ღვთაება გახდა. სწორედ ეს იყო ფარნავაზის რელიგიური რეფორმის მთავარი მიზანი. ქვეყნის მტკიცე გაერთიანებას აუცილებლად სჭირდებოდა ერთი უზენაესი ღვთაების არსებობა. არმაზს მსხვერპლად სწირავდნენ ბავშვებს. ეს წესი III საუკუნეში მეფე რევმა აკრძალა. სავარაუდოდ, ალბათ მას ამიტომაც უწოდეს ,,მართალი". არმაზობის დღესასწაული აგვისტოს დასაწყისში ეწყობოდა.

როგორც ჩანს, მესხების შემოტანილი უნდა იყოს ქართლში მეორე ღვთაებაც _ ზადენი. მისი კერპი დღევანდელ სოფელ წიწამურთან უნდა მდგარიყო.

ქალაქ ფაზისის შესასვლელში იდგა ტახტზე მჯდომი ქალღმერთის ქანდაკება. მის ფეხებთან კი ლომები იწვნენ. ლომების თავები გამოსახულია კოლხურ თეთრზე. ბრინჯაოს ხანის ერთ-ერთ სამარხში ნაპოვნია ლომის ოქროს ქანდაკება. სწორედ ამიტომაც სავარაუდოა, რომ საქართველოში არსებობდა ლომის კულტი.

2) კულტურა. კოლხეთისა და ქართლის სამეფოებს აქტიური ურთიერთობა ჰქონდათ ბერძნულ სამყაროსთან, რომთან და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან. ყოველივე ეს კი ხელს უწყობდა კულტურის განვითარებას. იმდროინდელი ქართული კულტურის შესახებ ძირითადად არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალებით ვმსჯელობთ. მაღალ დონეზე იყო განვითარებული არქიტექტურა. ამაზე მიგვანიშნებს ქალაქების სიმრავლე. რომლებსაც ჰქონდათ ქვაფენილით მოკირწლული ცენტრალური მოედნები, სასახლეებითა და სახლებით აღსავსე ლამაზი ქუჩები და აბანოები. აბანო არ იყო მხოლოდ სანიტარულ-ჰიგიენური დაწესებულება, არამედ ეს იყო საზოგადოების თავშეყრის ადგილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვანის ნაქალაქარი. სადაც აღმოჩენილია ქუჩები, სხვადასხვა დანიშნულების შენობები, კარგად დაგეგმარებული ტაძრები და სხვა. უნიკალური ძეგლია კლდეში ნაკვეთი უძველესი ქალაქი უფლისციხე, რომლის აგება მხოლოდ ეკონომიკურად ძლიერ და ხუროთმოძღვრული მაღალი ცოდნით აღჭურვილ მშენებლებს შეეძლოთ.

სტრაბონის ცნობის თანახმად მესხების ქვეყანაში იყო **ლევკოთეას (ქალაქი მესხეთში)** დიდი ტაძარი. სავარაუდოა, რომ იგი მდებარეობდა აწყურსა და ვანში.

მაღალ დონეზე იყო განვითარებული ოქრომჭედლობა. ოქროსა და ვერცხლის შესანიშნავი ნაკეთობებია აღმოჩენილი სამთავროს, ბორის და არმაზხევის სამაროვნებში. ვანში ნაპოვნია გამარჯვების ქალღმერთის _ ნიკეს ქანდაკება.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა ბერძნული და არამეული დამწერლობის ძეგლები. მცხეთაში, არმაზის ხევში აღმოჩენილია II საუკუნის ბილინგვა-ორენოვანი წარწერა. ძალზე საინტერესოა აპოლონიოს როდოსელის ,,არგონავტიკაში" დაცული ცნობა, რომ კოლხებს ,,შენახული აქვთ მამათაგან ნაწერი კირკები, რომლებზეც მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყოველი გზა და საზღვარი". დღემდე საბოლოოდ დადგენილი არ არის თუ რა იყო ეს კირკები.

ქრისტიანობის გავრცელება და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება ქართლში

ქრისტიანთა თემები I საუკუნეში შეიქმნა რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში: პალესტინაში, ეგვიპტეში, მცირე აზიაში. თავდაპირველად, ქრისტიანობა იდევნებოდა და მის მიმდევრებს განსაკუთრებით სდევნიდა რომის იმპერატორი _ დიოკლეტიანე. კარდინალურად შეიცვალა ვითარება იმპერატორ კონსტანტინეს დროს. 313 წელს მიღებულ იქნა ,,მილანის ედიქტი", რომლის მიხედვითაც, ქრისტიანებს უფლება მიეცათ, თავისუფლათ ჩაეტარებინათ ღვთისმსახურება. 325 წელს ქალაქ ნიკეაში მოიწვიეს პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება. 383 წელს კი იმპერატორმა თეოდოსიუსმა ბრძანა, დაეხურათ ყველა წარმართული ტაძარი.

<u>ქრისტეს მოციქულთა ქადაგება საქართველოში.</u> საქართველოში ქრისტიანობის გავრცელება უკვე I საუკუნიდან დაიწყო. ქართული და უცხოური წყაროების მიხედვით, საქართველოში იქადაგეს ქრისტეს შემდეგმა მოციქულებმა: ანდრია პირველწოდებულმა და სიმონ კანანელმა(ეს უკანასკნელი დაკრძალულია აფხაზეთში, ახალ ათონში). ეფრემ მცირე, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა ქართული ეკლესიის ისტორიასთან დაკავშირებული ბერძნული წყაროები, წერდა, რომ საქართველოში უქადაგია ქრისტეს მოწაფეს, ბართლომეს. სხვა წყაროებით ირკვევა, რომ საქართველოში უმოღვაწიათ მოციქულებს: თომას, თადეოზს და მატათას, რომელიც დაკრძალულია ციხესიმაგრე აფსაროსში _ გონიოში. აღსანიშნავია, რომ ანდრია პიველწოდებულის ოთხი მისიონერული მოღვაწეობიდან სამი უკავშირდება საქართველოს.

ქრისტეს ამაღლების შემდეგ (33 წ.) ქრისტიანული მოძღვრების გავრცელების მიზნით მოციქულებმა წილი ყარეს, თუ ვის, რომელ ქვეყანაში უნდა ექადაგა. ამ წილის ყრით საქართველო ერგო ყოვლადწმინდა ღვთისმშობელ მარიამს. მას გამოცხადებია ქრისტე და უთქვამს, პირველწოდებული ანდრია გააგზავნე შენ წილხვედრ ქვეყანაში და თან გაატანე ხატი შენი პირის-სახის დადებით გამოსახული. მარიამს გამოუტანებია ანდრიასათვის საქართველოში ხელთუქმნელი ხატი.

უძველესი წერილობითი ცნობები ანდრია მოციქულის დასავლეთ საქართველოში მოღვაწეობის შესახებ მიეწერება დოროთეოს ტვირელს (III საუკუნის დასასრული) და ეპიფანე კვიპრელს (IV საუკუნის II ნახევარი). დოროთეოს ტვირელის მიხედვით: ,,ანდრია ... მოვიდა დიდ სებასტოპოლისში, სადაც არის აფსარის ციხესიმაგრე და მდინარე ფასისი, სადაც ცხოვრობენ უშინაგანესნი ეთიოპნი (კოლხნი)".

ანდრიას დასავლეთ საქართველოში მოღვაწეობის შესახებ ცნობა მეორდება იერონიმეს თხზულების დამატებაში. ეს თხზულება მიეწერება IV საუკუნეში მოღვაწე სოფრონს. ამავე ტექსტში საუბარია მატათაზეც.

ანდრია პირველწოდებულის საქართველოში ქადაგებასთან დაკავშირებით დაცული აქვს, აგრეთვე, IX საუკუნის ბიზანტიელ მწერალს, ნიკიტა პაფლაგონიელს.

რაც შეეხება ქართველ ავტორებს, ის, ვინც იცოდა ანდრია პირველწოდებულის საქართველოში ქადაგების შესახებ ჭეშმარიტი ისტორია, ერთ-ერთი პირველი არის VIII საუკუნის მოღვაწე იოანე საბანისძე. გადმოცემებს მოციქულთა საქართველოში ქადაგების შესახებ იცნობს, აგრეთვე, IX საუკუნის დასავლეთ საქართველოში მოღვაწე ანონიმი ავტორი, რომელსაც ეკუთვნის პოემა მიქაელ საბაწმინდელის შესახებ. გადმოცემას ქრისტეს მოწაფეთა საქართველოში ქადაგების შესახებ იცნობენ XI საუკუნის გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები და მწერლები: ექვთიმე მთაწმინდელი, გიორგი მთაწმინდელი, გიორგი მცირე მთაწმინდელი, ეფრემ მცირე და ლეონტი მროველი. XI საუკუნის დასაწყისში ქრისტეს მოწაფეთა საქართველოში მოღვაწეობას სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა დიდმა ქართველმა მოღვაწემ ექვთიმე იბერიელმა (958-1028 წწ.) თავის ნაშრომში ,,მოსახსენებელი მიმოსვლათათვის და ქადაგებათა მოციქულისა ანდრეასი''.

ამრიგად, ქრისტეს მოციქულთა ქადაგება საქართველოში უტყუარი ფაქტია. გარდა ამისა, ხაზგასასმელია ისიც, რომ მათ პირველად ქრისტიანობა იქადაგეს დიდ-აჭარაში სადაც უნდა აშენებულიყო პირველი ეკლესიაც.

<u>წმიდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევა</u>. ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება დაკავშირებულია წმიდა ნინოს სახელთან, რომელიც ღვთიშობლის დავალებით გამოეშურა საქართველოში თავისი მისიის აღსასრულებლად. ქართლის გაქრისტიანების შესახებ ცნობები, გარდა ქართული წყაროებისა, დაცულია უცხოურ წერილობით წყაროებშიც. მათგან აღსანიშნავია, ბერძენი ისტორიკოსი გელასი კესარიელი (IV ს.), მაგრამ მის თხზულებას ჩვენამდე არ მოუღწევია. ცნობები ქართლის გაქრისტიანებაზე დაცულია, აგრეთვე, რომაელ ისტორიკოსთან_რუფინუსთან (Vს.), თეოდორიტე კვირელთან (Vს.) და გელასი კვიზიკელთან (V ს). ქართლის გაქრისტიანებაზე ცნობები მოეპოვება, აგრეთვე, სომეხ ისტორიკოს აგათანგელოსს (IV ს.), რომელსაც ეყრდნობა მეორე სომეხი ისტორიკოსი მოვსეს ხორენაცი (V ს.).

ეს წყაროები ძირითადად ავსებენ ერთმანეთს, რაც ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია. მაგალითად, ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის სახელს, ბერძნული და ლათინური წყაროები საერთოდ არ იცნობენ, ხოლო ქართული და სომხური წყაროებით იგი არის მეფე მირიანი.

,,ქართლის ცხოვრება'', რომელიც ძირითადად ემყარება ,,მოქცევაი ქართლისაის'', ქართლის მოქცევის შესახებ გადმოგვცემს შემდეგს: IV საუკუნეში ქართლის განმანათლებელი იყო ნინო, ასული კაპადოკიელი სარდლის, ქრისტიანობის გამავრცელებლის ზაბილონის და იერუსალიმის პატრიარქ იუბენალის დის _ სუსანასი. როდესაც ნინო 12 წლის შეიქმნა, მისმა მშობლებმა თავიანთი ქონება გლახაკებს დაურიგეს და ღმრთის სამსახურს შეუდგნენ. ნინო მარტო დარჩა და იერუსალიმში ორი წელიწადი ცხოვრობდა დვინელ სომეხ ქალთან, რომელმაც ის განაწყო ქრისტეს მსახურებისთვის. შემდეგ ნინო მოხვდა სამეფო წარმოშობის ქალ რიფსიმესთან. რიფსიმეს ცოლად შერთვა მოუსურვებია კეისარს, მაგრამ რიფსიმეს უბიწობის აღთქმა ჰქონია დადებული, რის გამოც ის ორმოც სხვა ქალწულთან ერთად გაქცეულა სომხეთში. მათ შორის ყოფილა ნინოც. სომხეთის წარმართმა მეფემ თრდატმა ისინი აწამა. ნინო გადარჩა და ღმერთის ჩაგონებით ჩრდილოეთისაკენ წავიდა. გადავიდა ჯავახეთში, გაუყვა მტკვარს და ჩავიდა ქართლის ქალაქ ურბნისში. აქ ის ერთხანს ცხოვრობდა ურიათა უბანში, შემდეგ ის სავაჭროდ და სამლოცველოდ მიმავალ ხალხს გაყვა ქართლის დედაქალაქ მცხეთაში. აქ მან იხილა ხალხი, როგორ სცემდა თაყვანს კერპებს: არმაზს, გაცსა და გაიმს. ნინოს ვედრებით ღმერთმა სეტყვით დაამსხვრია კერპები. ნინო ცხრა თვე ცხოვრობდა მეფის ბაღის

მცველთან (იქ, სადაც დღეს სვეტიცხოველია). შემდეგში ნინოს ღვთისმშობლის მიერ ვაზის ნასხლავისაგან გაკეთებული და მისთვის მიცემული ჯვარი დაუდგამს მაყვლის ბუჩქთან და იქ დასახლებულა (იქ სადაც ახლა სამთავროს ტაძარია). ექვსი წლის მანძილზე ცხოვრობდა აქ ნინო და ქადაგებდა ქრისტეს რჯულს. მან უკურნებელი სენისაგან განკურნა ნანა დედოფალი და მოგვთა თავი. მალე ერთმა შემთხვევამ მირიან მეფეს მიაღებინა გადაწყვეტყილება, მოქცეულიყო ქრისტეს რჯულზე. როცა მირიან მეფე ნადირობდა მუხრანის მიდამოებში, თხოთის მთაზე, მზე დაბნელდა. მეფემ ჯერ თავის წარმართულ ღმერთებს მიმართა საშველად, მაგრამ ამაოდ. შემდეგ ის შეევედრა ნინოს ღმერთს, რასაც მოჰყვა განათება. მირიანმა ამით იწამა ქრისტეს ღვთაებრივი ძალა და მეორე დღესვე ელჩების პირით სთხოვა კეისარს მოსანათლად მღვდლების გამოგზავნა, ამასთან, ბრძანა მეფის ბაღში ეკლესიის აშენება. მშენებლობისას ღმერთმა მოავლინა სასწ-აული: მშენებლებმა ვერ ასწიეს მთავარ სვეტად გამზადებული ნაძვის ხის ბოძი. საღამოს ნინოს ლოცვის შემდეგ, ციდან დაეშვა ცეცხლის ზეწარში გახვეული ჭაბუკი, რომელმაც ბოძი ზევით აიტაცა. შემდეგ, ცეცხლში გახვეული ბოძი ძირს დაეშვა და თავის საფუძვლის ზემოთ, ჰაერში გაჩერდა. როდესაც ამის სანახავად მეფე და ხალხი შეიკრიბა, სვეტი თავისით დადგა საფუძველზე. მირიანმა გადაწყვიტა სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა გამოეცხადებინა და ამ მიზნით იმპერატორ კონსტანტინეს სთხოვა, საქართველოში გამოეგზავნა მღვდელი, რათა, ერთის მხრივ, თვითონაც და ხალხიც მონათლულიყო და მეორეს მხრივ, აღეზარდათ სხვა სასულიერო პირებიც და ესწავლებინათ მათთვის რელიგიური ღვთისმსახურება.

ქართლის ეკლესიის პირველი მამამთავარი გახდა **იოანე**, რომელიც ორ მღვდელთან და სამ დიაკვანთან ერთად გამოგზავნა ქართლში იმპერატორმა კონსტანტინემ.

შემდეგ ღვთის მითითებით სამი ჯვარი აღმართეს: ერთი იქ, სადაც ახლა ჯვრის მონასტერია, მეორე თხოთის მთაზე, სადაც მირიან მეფემ ირწმუნა ქრისტეს ძალა და მესამე _ ქალაქ უჯარმაში.

შიდა ქართლის გაქრისტიანების შემდეგ ნინო წავიდა ქრისტიანობის გასავრცე-ლებლად ქართლის მთიანეთში _ წობენს, იქიდან ერწო-თიანეთში, კუხეთში, სადაც დასნეულდა და გარდაიცვალა. დაკრძალეს დაბა ბოდბეში.

„მოქცევაი ქართლისაის" თანახმად, წმინდა ნინოს აურჩევია ეკლესიის აშენების ადგილიც. ეს ადგილი შემთხვევით არ ყოფილა არჩეული. ქრისტეს ჯვარცმის ჟამს იერუსალიმში იმყოფებოდა ორი ებრაელი საქართველოდან: ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი. სწორედ **ელიოზმა** ჩამოიტანა მცხეთაში **კვართი**, პერანგი, რომელიც ჯვარცმისას ეცვა ქრისტეს. მცხეთაში მოსულ ელიოზს პირველი მისი და, სიდონია, შეეგება, გამოართვა კვართი, მკერდში ჩაიკრა და მყის მიიცვალა. სიდონია დაკრძალეს კვართთან ერთად. მისი საფლავის ადგილზე ნაძვი ამოვიდა. სწორედ ეს ადგილი აირჩია ეკლესიის ასაშენებლად წმინდა ნინომ. ამ ეკლესიას ეწოდა სვეტიცხოველი, რომელიც ცოცხალ სვეტს ნიშნავს. ასე ეწოდა სვეტს იმ სასწაულის გამო, რაც მოხდა მშენებლობის დროს. სიდონიას საფლავიდან მოჭრილი ხისაგან გააკეთეს ძელი, რომელიც ვერაფრით ვერ აღმართეს. წმინდა ნინო მთელი ღამე ლოცულობდა, დილით მოხდა სასწაული: ციდან დაეშვა ნათლით შემოსილი ჭაბუკი, ძელი ცაში აიტაცა, შემდეგ სვეტი თავისით დაეშვა დაბლა და განკუთვნილი ადგილი დაიკავა.

საქართველოს ეკლესიამ მეფე მირიანი და ნანა წმინდანებად შერაცხა და მათი ხსენების დღედ 1 (14) ოქტომბერი დააწესა. რაც შეეხაბა ეგრისის გაქრისტიანებას, 325 წლისთვის აქ ქრისტიანობა უკვე ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული, რადგან

ბიჭვინთაში არსებობდა საეპისკოპოსო. ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე დაესწრო ნიკეის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებას. ქრისტიანობამ უზარმაზარი კულტურა შექმნა, რომელიც ნამდვილი მარგალიტია მსოფლიო ცივილიზაციაში. დედაეკლესიის თანახმად, ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა 326 წელს, **ქართულ ისტორიოგრაფიაში კი მიღებულია ივანე ჯავახიშვილისეული ვერსია 337 წელი.**

<u>ვახტანგ გორგასალი.</u> ქართლის სამეფოს გაძლიერება უკავშირდება ლეგენდარული მეფის - ვახტანგ გორგასლის სახელს. V საუკუნის მეორე ნახევარი უმნიშვნელოვანესი პერიოდია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. მაგრამ, მის შესახებ მეტად მცირე ცნობებმა მოაღწია ჩვენამდე. ამ პერიოდს ეხება რამდენადმე ,,მოქცევაჲ ქართლისაჲს" მატიანე. მაგრამ, მასში არცე რთი სიტყვით არ არის მოხსენიებული ის დიდი ბრძოლა, რომელიც ვახტანგ გორგასალმა აწარმოა ირანელთა წინააღმდეგ. არსებობს ვახტანგ გორგასლისადმი მიძღვნილი სპეციალური საისტორიო თხზულება ,,ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა", რომელიც ეკუთვნის ჯუანშერს, მაგრამ ეს თხზულება დღეისთვისაც კი არასაკმარისადაა შესწავლილი; ბოლომდე არაა დადგენილი, თუ რომელ საუკუნეში მოღვაწეობდა იგი. მეტად მნიშვნელოვანი წყაროა, აგრეთვე, იაკობ ცურტაველის ,,შუშანიკის მარტვილობა". იმის გამო, რომ ძეგლი ჰაგიოგრაფიული ხასიათისაა, მასში საქართველოს ზოგად პოლიტიკურ ვითარებაზე ცოტა რამაა ნათქვამი. მეტად მნიშვნელოვანი ცნობები აქვს შემონახული V საუკუნის სომეხ ისტორიკოსს - ლაზარ ფარპეცის, მაგრამ ეს ცნობები მხოლოდ ვახტანგ გორგასლის მიერ ირანელთა წინააღმდეგ აჯანყებას შეეხება. ამავე პერიოდის შესახებ გარკვეული ცნობები მოეპოვება ბიზანტიელ ისტორიკოსს, პრისკე პანიონელს.

V საუკუნის ოციან წლებში, ქართლის მეფე გახლდათ არჩილი (თრდატის შტო).. სპარსეთის შაჰს რანსა და მოვაკანში ჰყავდა დანიშნული ერისთავი ბარზაბოდი, რომლის დაქვემდებარებაშიც ყოფილა ქართლის სამეფოც. ბარზაბოდმა კოალიციური ჯარით გაილაშქრა მეფე არჩილზე, მაგრამ იგი დამარცხდა. არჩილს რანიც კი დაულაშქრავს. ეს დაპირისპირება, მათ შორის, დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ ბოლოს დამთავრდა იმით, რომ მეფე არჩილის ძე მირდატს შეყვარებია ბარზაბოდის ქალიშვილი და ცოლად შეურთავს იგი.

არჩილის შემდეგ მოღვაწეობდა მირდატი, რომელიც V საუკუნის 30-40-იან წლებში განაგებდა ქართლის სამეფოს. ისიც ცდილობდა ქვეყნისათვის სუვერენიტეტის მოპოვებას, მაგრამ ამ ეტაპისათვის ეს ვერ მოხერხდა.

V საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში სპარსეთის შაჰმა იეზდიგერდ II-მ (438-457 წწ.) თავის ქვეშევრდომ ქვეყნებს და მათ შორის ქართლსაც უბრძანა სამხედრო ბეგარის სახით გამოეყვანათ ჯარები და დახმარებოდნენ სპარსელებს შუა აზიაში ქუშანების წინააღმდეგ ბრძოლაში. 449 წელს სპარსეთმა დაამარცხა ქუშანები, მაგრამ მიუხედავად ამისა, ქართველი მეომრები სამშობლოში არ დააბრუნა. აშკარა იყო, რომ შაჰი შეგნებულად არ აბრუნებდა მათ უკან, რათა ქართლის მეფე მირდატს არ დახმარებოდნენ ისინი ქვეყნის სუვერენიტეტის მოპოვებაში.

პარალელურად, სპარსელებმა ამიერკავკასიის ქვეყნების ეკონომიკურად წელში გატეხვის მიზნით აქ თავიდან ჩაატარეს აღწერა და ახალ საგადასახადო სისტემაში ეკლესიაც შეიყვანეს. თანაც გადასახადები უკიდურესობამდე დაამძიმეს. ამაზე მეტყველებს სომეხი იტორიკოსის ელიშეს (V ს.) ჩანაწერები, რომ ირანელებს ,,თვითონაც დიდად უკვირდათ საიდან მოდის მთელი ეს განძი, ან როგორ არის კიდევ ეს ქვეყანა შენებულიო". ცხადი იყო, რომ ირანელები ცდილობდნენ ამიერკავკასიის ქვეყნები

დაეკნინებინათ, როგორც სამხედრო თვალსაზრისით, ასევე ეკონომიკურად და ისინი ბრძოლას უცხადებდნენ ქრისტიანულ ეკლესიასაც.

ამრიგად, V საუკუნის პირველ ნახევარში სპარსეთმა გააქტიურა თავისი დამპყრობლური პოლიტიკა კავკასიის ქვეყნების მიმართ. სპარსელებმა 428 წელს გააუქმეს მეფობა სომხეთში. აშკარა იყო, რომ ანალოგიური პერსპექტივა ელოდა ქართლსაც. სპარსეთის შაჰმა მეტად აგრესიული რელიგიური პოლიტიკის გატარება დაიწყო. მან გადაწყვიტა ქართლში, ალბანეთსა და სომხეთში მაზდეანობის (ცეცხლთაყვანისმცემლობის) გავრცელება. შაჰის კარზე დაიბარეს ქართველი, ალბანელი და სომეხი დიდაზნაურები. ქართველებს შორის იყო ქვემო ქართლის პიტიახში არშუშა. სომეხი ისტორიკოსის ლაზარ ფარპეცის (V ს.) თანახმად, ,,ქართველთა ქვეყნიდან (წავიდნენ) ბდეშხი აშუშა და ამ ქვეყნის სხვა ტანუტერები". ამასთან ერთად შაჰს თავისთან მძევლად დაუტოვებია სომხეთის მარზპანის - ვასაკ სიუნის ორი ვაჟი.

სამივე ქვეყნის წარმომადგენელს შაჰმა ქრისტიანობის უარყოფა და მაზდიანობის მიღება მოსთხოვა. დიდაზნაურები იძულებული გახდნენ შაჰის პირობა მიეღოთ და მოჩვენებით უარეყოთ ქრიასტიანობა. მათ იმედი ჰქონდათ, რომ სამშობლოში დაბრუნებისთანავე მოექცეოდნენ თავიანთ რწმენაზე. შაჰი ამით არ დაკმაყოფილდა. უკან გამობრუნებულ დიდებულებს მან მოგვები (ცეცხლთაყვანისმცემელთა ქურუმები) გამოაყოლა. მოგვებს უნდა დაეწყოთ მაზდეანობის ქადაგება, ეკლესიების დახურვა, ქრისტიანი ღვთისმსახურების განდევნა, სპარსული წეს-ჩვეულებების გავრცელება. შაჰმა თავისთან მძევლები დაიტოვა, რომელთა შორისაც იყო არშუშა პიტიახში. მარტო სომხებს შაჰმა 700 მოგვი გამოაყოლა. ქართლს, ალბანეთსა და სომხეთს უდიდესი საფრთხე დაემუქრა. შაჰის განზრახვის შესრულების შემთხვევაში, ეს ქვეყნები სპარსეთის პროვინციებად გადაიქცეოდნენ. ჩამოსვლისთანავე მოგვებმა აქტიური საქმიანობა დაიწყეს შაჰის დავალების შესასრულებლად. ყოველივე ამას სომხეთსა და ალბანეთში დიდი აჯანყება მოჰყვა. თავიდან აჯანყება წარმატებით განვითარდა, მაგრამ სპარსეთმა მოახერხა მისი ჩახშობა.

ამ 450-451 წლების აჯანყებაში ქართლის სამეფოს მონაწილეობა არ მიუღია. რით იყო ეს გამოწვეული? იმის გამო, რომ წყაროებში ამის შესახებ არაფერი წერია, ჩვენ გამოვთქვამთ რამდენიმე არგუმენტებულ ვარაუდს – 1) ქართლი შედარებით უფრო შორს მდებარეობდა სპარსეთიდან, ვიდრე ამიერკავკასიის სხვა სახელმწიფოები - ალბანეთი და სომხეთი, შესაბამისად, იგი ნაკლებ ჩაგვრას განიცდიდა; 2) სპარსელებმა ერთმანეთს დაუპირისპირეს, ერთის მხრივ, მეფე და ფეოდალები და მეორეს მხრივ, უთანხმოება შეიტანეს საკუთრივ ფეოდალებს შორის და დაქსაქსეს ქვეყანა; 3) სპარსეთში მძევლად მყოფი არშუშა პიტიახშის გამო, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოკლავდნენ; 4) სომეხი ისტორიკოსის ელიშეს ცნობით, სომხეთში აჯანყების ერთ-ერთმა მეთაურმა ვასაკმა ,,დაარღვია ერთიანობა ქართლის ქვეყნისა სომხეთთან". იგი განუდგა აჯანყებულებს და ყველგან დააგზავნა ცრუ ცნობები, რომ აჯანყება განწირულია, მას აზრი არა აქვს და აჯანყებას არავინ უჭერს მხარსო. ვასაკმა გზაც კი გადაუკეტა აჯანყებულთა დასახმარებლად წამოსულ ჰუნთა ჯარს. ამაში მას ქართლის მთიელთა ჯარიც ეხმარებოდა.

Aაჯანყების დამარცხების მიუხედავად შაჰი იძულებული გახდა თავის განზრახვაზე ხელი აეღო. მან ამიერკავკასიაში აღადგინა სარწმუნოებრივი თავისუფლება, შეამსუბუქა სამხედრო ბეგარა და გადასახადები.

451 წელს გაიმართა ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელმაც დაგმო მონოფიზიტობა. აღმოსავლეთ რომის იმპერიასა (ბიზანტია) და ქართლში დიოფიზიტობა

იყო აღიარებული. ირანი ყოველთვის უჭერდა მხარს იმ რელიგიურ მიმდინარეობას, რომელიც ბიზანტიის იმპერიაში იდევნებოდა. ამ შემთხვევაში ირანმა მხარი მონოფიზიტობას დაუჭირა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ზუსტი ცნობა იმის შესახებ, თუ როდის გამეფდა ვახტანგ გორგასალი, არ მოგვეპოვება. ჯუანშერის თანახმად, მირდატის (ვახტანგის მამის) გარდაცვალებისას ვახტანგი შვიდი წლისა ყოფილა. ვახტანგის მეფობა დაემთხვა ქართლის ისტორიის მეტად მძიმე ხანას. 450–451 წლების სომხეთსა და ალბანეთის აჯანყების შემდეგ ირანელები ზოგიერთ დათმობაზე წავიდნენ. მაგრამ ძალიან მალე დაიბრუნეს დაკარგული პოზიციები ამიერკავკასიაში და ისევ დაიწყეს ქრისტიანობის დევნა და ცეცხლთაყვანისმცემლობის გავრცელება. ჯუანშერის ცნობით, ვახტანგის ბავშვობისას მცხეთაში მოსულა ცეცხლმსახურთა ეპისკოპოსი ბინქარანი, რომელიც დაუფარავად ქადაგებდა თავის რწმენას. მეტად აქტიურად დაიწყეს ირანელებმა დამორჩილებული ქვეყნების შინაგან საქმეებში ჩარევაც.

ამ დროს ირანს მართავდა შაჰი პეროზი (459–484 წწ.), რომლის დროსაც ქვეყანას ხანგრძლივი ომი ჰქონდა გაჩაღებული შუა აზიაში. ეს ომი შაჰმა პეროზმა დაიწყო თავისი გამეფებიდან ცოტა ხნის შემდეგ. 468 წელს მან სძლია კიდარებსა და ქუშანებს, მაგრამ ჰეფთალებთან სასტიკად დამარცხდა. პეროზმა მთელი თავისი ჯარი დაკარგა, თვითონ კი ტყვედ ჩავარდა. ტყვეობიდან განთავისუფლება მან შეძლო მხოლოდ უზარმაზარი გამოსასყიდის გადახდითა და თავისი ვაჟის, კავადის, მძევლად დატოვებით. კავადს ორ წელიწადს მოუხდა ჰეფთალებთან ყოფნა, სანამ პეროზი მთლიანად არ გადაიხდიდა გამოსასყიდს. Aმან, ბუნებრივია, ძალიან მძიმე დღეში ჩააგდო ირანელების მიერ დამორჩილებულ ქვეყნები (მათ შორის ქართლიც), რომლებსაც, ცხადია, გადასახადსაც და ჯარსაც გაათკეცებით ახდევინებდნენ.

ქართლის მეფეს, ვახტანგს, მდგომარეობა გართულებული ჰქონდა ქვეყნის შიგნითაც. ირანელთა პოლიტიკის წყალობით, ფეოდალთა ნაწილი სრულებით არ ემორჩილებოდა მეფეს. ამ მხრივ აღსანიშნავია ,,შუშანიკის მარტვილობაში” მოხსენიებული ქვემო ქართლის პიტიახში, ვარსქენი. ის 466 წელს გამგზავრებულა პეროზის კარზე და ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, უარუყვია ქრისტიანობა და მაზდეანობა მიუღია. ვარსქენი თავის სამფლობელოში, სავსებით შეუზღუდველი მმართველი ყოფილა. სარწმუნოებრივ ნიადაგზე მას გაემიჯნა ცოლი, შუშანიკი, სომხეთის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამოჩენილი გვარის შვილი, 450-451 წლების სომხეთის აჯანყების გმირის, სახელგანთქმული ვარდან მამიკონიანის ასული. შუშანიკს ხანგრძლივი წამებითა და სიმტკიცით სახელი გაუთქვამს მთელს ქართლში. შუშანიკის სიკვდილის წინ მის სანახავად მისულა უმაღლესი საზოგადოებაც – ,,აზნაურნი დიდნი და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი”. ამრიგად, ვარსქენისა და შუშანიკის დამოკიდებულება შორს გასცდა ოჯახურ ფარგლებს და მან რამდენადმე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიიღო. მიუხედავად ამისა, ვარსქენი არავის არ ერიდება: სცემს თავის ძმას - ჯოჯიკს, რომელიც გამოექომაგა შუშანიკს; ჯოხს დაატრყამს ერთ ხუცესს; თვით უმაღლესი სამღვდელოებაც კი ერიდება პიტიახშის რისხვას. ვარსქენის ეს შეუზღუდველი ძალაუფლება და სრული შეუვალობა, ალბათ, ძირითადად ეყრდნობოდა ირანელების ძალას. ირანელები, ჩანს, ქართლის მეფეს უპირისპირებდნენ ვარსქენსა და მის მსგავს ქართლის ფეოდალებს. უეჭველია, ვარსქენი მეფის ოპოზიციაში მდგომი ფეოდალების ერთ-ერთი ბელადი იყო.

ჯუანშერის თანახმად როდესაც V საუკუნის 40-იან წლებში გარდაიცვალა ქართლის მეფე მირდატი, მისი ძე ვახტანგი 7 წლისა იყო. ვახტანგის მცირეწლოვნობის გამო ქვეყანას დედამისი საგდუხტი განაგებდა. 10 წლის იყო ვახტანგი, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიიდან ალანები გადმოვიდნენ, ააოხრეს ქართლი და ტყვედ წაიყვანეს ვახტანგის და, მირანდუხტი. ,,მაშინ ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა ათისა, გარდამოვიდეს ოვსნი სპანი, ურიცხუნი მოტყუენეს ქართლი თავიდგან მტკურისად ვიდრე ხუნანამდე, და მოაოხრნეს ველნი, არამედ ციხე-ქალაქნი დაურჩეს, თვინიერ კასპისა. ხოლო ქალაქი კასპი შემუსრეს და ტყუე ჰყვეს, და წარიყვანეს დაი ვახტანგისი მირანდუხტ... ამრიგად, ოვსები დარიალის გადმოსასვლელებით გადმოსულან ამიერკავკასიაში და დაულაშქრავთ ქართლის სამეფო.

მეფე ვახტანგი შეეცადა, ჯერ ჩრდილო კავკასიური გადმოსასვლელები ჩაეკეტა საიმედოდ. მანამდე ამ გადმოსასვლელებს სპარსელები აკონტროლებდნენ. ქართლი, რომ აუჯანყდებოდა სპარსეთს, ისინი ამ გზით ჰუნთა ჯარს გადმოიყვანდნენ და ქართლს ზურგიდან შეუსევდნენ. ორ ფრონტზე ბრძოლა ვახტანგს ძალიან გაუჭირდებოდა. მან შეკრიბა ქართლის ჯარი, რომელსაც შეემატა მისი ბიძის, რანის ერისთავის, ვარაზ-ბაკურის 12 000-იანი ჯარი. ეს კოალიციური ჯარი დაბანაკებულა მუხრანის ველზე და ხერკში, რომელიც მდებარეობს დღევანდელ საგურამოს მიდამოებში. ამის შემდეგ ,,წარვიდა ვახტანგ და დადგა თიანეთს. და მუნ მიერთნეს ყოველნი მეფენი კავკასიანნი".16 წლის იყო ვახტანგ გორგასალი, როდესაც ქართველებმა საპასუხო ლაშქრობა მოაწყვეს ჩრდილო კავკასიაში, დაამარცხეს ალანები და გაათავისუფლეს ტყვეები. ბრძოლის დროს მეფემ პირადად განგმირა მოწინააღმდეგის რამდენიმე საუკეთესო მეომარი. ვახტანგ გორგასალმა ქართველი მეომრები ჩააყენა ციხეებში და საიმედოდ ჩაკეტა ჩრდილოეთიდან მომავალი გზები. ჯუანშერის მიხედვით, ამის შემდეგ ვახტანგმა დასავლეთ საქართველოში ილაშქრა. ციხე-გოჯამდე მიაღწია და დაამარცხა ბიზანტიელები. მეფემ ბიზანტიელთა ბატონობისაგან გაათავისუფლა კლარჯეთი, სადაც ააშენა მნიშვნელოვანი ქალაქი არტანუჯი. ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა ჰერეთიც. ჯუანშერის თანახმად, ,,უკუმოსცა კეისარმან საზღვარი ქართლისა, ციხე თუხარისი და კლარჯეთი ყოველი, ზღვითგან ვიდრე არსიანთამდე, და ხევნი რომელიც მოსგმანან ღადოთა". ამრიგად, მეფე ვახტანგს არა მარტო კლარჯეთი, არამედ აჭარა, სამცხე და არტაან-ჯავახეთიც შემოუერთებია ქართლის სამეფოსათვის. ეს უნდა მომხდარიყო V საუკუნის 70-იან წლებში.

ამის შემდეგ, ვახტანგ გორგასალმა უდიდესი ყურადღება მიაქცია ეკლესიას. ,,მოქცევაჲ ქართლისაჲს" შატბერდული რედაქციის თანახმად ,,წარიყვანეს ვახტანგ სპარსთა და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოიქცა და მთავარ ეპისკოპოსი იყო მიქაელ და მან მიამთხჳა ფერჴი პირსა მეფისასა ვახტანგს. ხოლო მეფემან წარავლინნა მოციქულნი საბერძნეთს და ითხოვა მეფისაგან და პატრეაქისაგან კათალიკოზი. აღნიშნულ საკითხზე უფრო ვრცელი ცნობები არის დაცული ჯუანშერთან, რომლის თანახმად, მეფე ვახტანგს ადრევე ჰქონია გადაწყვეტილი ქართლში ეკლესიის რეორგანიზაციის ჩატარება და აქ კათალიკოსობის დაწესება. ჯუანშერის ცნობით, ვახტანგი ირანის შაჰის ბრძანებით ირანელთა ჯართან ერთად ბერძნენთა წინააღმდეგ ბრძოლობდა და იქ გაუცნია მას პეტრე (მომავალი კათალიკოსი) და სამოელ წინასწარმეტყველი, რომელსაც უწინასწარმეტყველებია მისთვის, რომ პეტრე ქართლის კათალიკოსი გახდებოდა. ეს მართლაც ასე მოხდა, რომელზეც ქართლის მთავარეპისკოპოსს მიქაელს ,,დაუმძიმდა მას ზედა, და იწყო რეცა ამბოხებად და მიზეზობად". მას ვახტანგისთვის შეუთვლია: ,,შენ დაგიტეობია ქრისტე და ცეცხლსა ესავ". ვახტანგმა შეუთვალა, რომ იგი კათალიკოსის

ჩამოყვანას ბიზანტიიდან მართლაც აპირებდა. ,,ვითარცა ესმა ესე ეპისკოპოსსა, დაიდასტურა; და ჰგონებდა, რათა შფოთითა დააცადოს საქმე იგი და მოსლვა მათი, და კრულყო მეფე და ყოველნი სპანი მისნი". მეფე ვახტანგი მაინც მივიდა მასთან ,,და გარდაჴდა საჴედარსა, რათამცა შეემთხჳა ფერჴთა ეპისკოპოსისათა. და განძრა მან ფერჴი, და მიამთხჳა პირსა მეფისასა ფანდაკითა და შემუსრა კბილი მისი". განრისხებულმა ვახტანგმა მიქაელი კონსტანტინოპოლის პატრიარქთან გაგზავნა და ქართლის კათალიკოსად აკურთხეს პეტრე და მასთან ერთად თორმეტი ეპისკოპოსი.

ქართული წყაროებიდან არ ჩანს, თუ რა იყო მიზეზი მეფე ვახტანგისა და მთავარეპისკოპოს მიქაელის დაპირისპირებისა. შესაძლოა, იგი მეფის მოწინააღმდეგე დასის ერთ-ერთი ლიდერი ყოფილიყო.

ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალობის მინიჭებითა და კათალიკოსობის დაწესებით ვახტანგი ერთდროულად რამდენიმე მიზნის მიღწევას ცდილობდა: 1) ეკლესიის დამოუკიდებლობა ქვეყნის პოლიტიკური სუვერენიტეტის ერთგვარი გარანტი იქნებოდა; 2) ამით მეფე საერო ხელისუფლებასაც აძლიერებდა; 3) ოპოზიციურად განწყობილ ფეოდალებს შეასუსტებდა, სავარუდოდ, მათი ერთ-ერთი ლიდერის, მიქაელის, ჩამოცილებით და სხვ.

თუკი ქართლში თავიდან სულ ოცამდე საეპისკოპოსო იყო: მცხეთის, სამთავისის, რუისის, ნიქოზის, წილკნის, თბილისის, მანგლისის, ბოლნისის, ცურტავის, ჭერემის, რუსთავის, ნინოწმინდის, ხორნაბუჯის, ბოდბესი, ჩელთას, აწყვერის, წუნდას, ახიზის, ერუშეთისა და სხვა, 506 წლისათვის ქართლში 33 საეპისკოპოსოა, რაც, უდავოდ, მეფე ვახტანგის დიდი დამსახურებაა.

რაც შეეხება ქართლის ეკლესიის ავტოკეფალიისა და კათალიკოსის დანიშვნის თარიღს, უნდა ითქვას, რომ 472 წელს ,,შუშანიკის წამებაში" ჯერ კიდევ მთავარეპისკოპოსი არის მოხსენიებული, მაგრამ უკვე 506 წლის ერთი საეკლესიო კრების საბუთებში უკვე კათალიკოსი არის მოხსენიებული. ამიტომ, ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა, სადღაც 70-80-იან წლებში უნდა მომხდარიყო.

როგორც უკვე აღინიშნა, ირანელებს მოკავშირეები ჰყავდათ ქვეყნის შიგნით. ესენი იყვნენ დიდაზნაურები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ მეფის ხელისუფლების განმტკიცებას. ქვემო ქართლის პიტიახში ვარსქენი ერთ-ერთი მათგანი იყო, მაგრამ ყველაზე ცნობილი და გავლენიანი. 482 წელს მეფის ბრძანებით ვარსქენი მოკლეს. ლაზარ ფარპეცის თანახმად ,,ქართლის ქვეყანაში მოხდა შფოთი და არეულობა. ვახტანგმა მოკლა ურჯულო ბდეშხი ვაზგენი მეფე პეროზის ზეობის ოცდამეხუთე წელს", რაც ირანელთა წინააღმდეგ აჯანყებას მოასწავებდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროს სპარსელებს აუჯანყდა ალბანეთიც და შაჰმა სომხები აიძულა ამ აჯანყების ჩაქრობაში მიეღოთ მონაწილეობა. მაგრამ, როგორც კი ქართლი აუჯანყდა სპარსეთს, სომხებმა ქართველების მხარე დაიკავეს უმალ, რაც განპირობებული იყო რამდენიმე მიზეზით: 1) ვახტანგ გორგასალს უდიდესი პოლიტიკოსის სახელი ჰქონდა და მისი გამჭრიახობისა სჯეროდათ სომხებს; 2) მეფე ვახტანგი საუბრობდა ამ აჯანყებაში ჰუნების ჩართვაზე, რომელთაც უზარმაზარი სამხედრო პოტენციალი ჰქონდათ და შესწევდათ ძალა და უნარი სპარსელების დამარცხებისა.

აჯანყებაში მონაწილეობდნენ სომხები ცნობილი სომეხი დიდებულის ვაჰან მამიკონიანის მეთაურობით. მათ უნდა შეერთებოდნენ ჰუნების დაქირავებული ჯარი. ჰუნებმა პირობა დაარღვიეს და მხოლოდ 300-კაციანი ჯარი გამოგზავნეს. 483 წელს

სპარსელებმა ორი უდიდესი ლაშქარი გამოგზავნეს აჯანყებული ქართველებისა და სომხების დასამარცხებლად. ქართლში მოსულ სპარსელთა ჯარს მეთაურობდა მიჰრანი. სომხეთში კი - ატრნერსე. სომხებმა დაამარცხეს სპარსელები. წინდახედულმა მეფე ვახტანგმა თავი აარიდა მათთან დაპირისპირებას და ქართლისა და სომხეთის საზღვარზე არსებულ მთებს შეაფარა თავი. ვაჰან მამოკონიანი სომეხთა ჯარით მოვიდა ვახტანგის დასახმარებლად და ისინი დაბანაკდნენ კანგარის მთებში, რომელიც მდებარეობდა ქართლის სამეფოს სამხრეთ საზღვარზე.

მეფე ვახტანგი ცდილობდა, დაერწმუნებინა სომხები და ჩასულიყვნენ ბარში სპარსელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მას ასეთი ხერხისათვის მიუმართავს: ქართველთა და სომეხთა ჯარიდან გაუგზავნია მზვერავები, რომლებმაც შორიდან დაინახეს ვახტანგის მიერ ხელოვნურად, წინასწარ მოწყობილი ჰუნთა ბანაკი. ვახტანგის თქმით, თითქოს თავის მხრივ ჰუნებსაც არ სჯეროდათ ამ აჯანყებაში სომეხთა მონაწილეობა და ამბობდნენ, ერთი აჯანყებული სომხები ბარში ჩამოიყვანეთ, ჩვენ გვაჩვენეთ და მერე თქვენ განზე გადექით, სპარსელებს საკუთარი ძალებით დავამარცხებთო.

ამ მოტივით ჩამოიყვანა ვახტანგმა სომხები ბარში. ჰუნები, რომ არ გამოჩნდნენ, ლეგენდარულმა ქართლის მეფემ, ვახტანგმა, დაარწმუნა სომხები, რომ საკუთარი ძალებითაც შეძლებდნენ სპარსელების დამარცხებას.

ქართველთა და სომეხთა ლაშქარი დაბანაკდა ჭარმანაინის ველზე, რომელიც მდებარეობდა გარდაბანში, მტკვრის პირას. მარცხენა ფრთაზე იდგა ქართველთა ლაშქარი, ცენტრსა და მარჯვენა ფრთაზე კი - სომხები. თითქმის გაიმარგვეს, რომ უეცრად სომეხთა ნაწილმა უღალატა მეფე ვახტანგს და ბრძოლის ველი მიატოვა. ამ ბრძოლაში დამარცხდა ვახტანგი, მაგრამ ამით ყველაფერი არ მთავრდებოდა. ამას სპარსელებიც კარგად ხვდებოდნენ და მომდევნო - 484 წელს, სომხეთში დიდი ჯარი გამოგზავნეს ზარმიჰრ ჰაზარავუხტის მეთაურობით. ვაჰან მამიკონიანმა თავი აარიდა მასთან ბრძოლას და ჭანეთს შეაფარა თავი. მას ფეხდაფეხ დაედევნენ სპარსელები. ბასიანში მისულ სპარსელ სარდალს პეროზისაგან ბრძანება მიუვიდა, რომ ,,ქართლის მეფე ვახტანგი ან შეეპყრო, ან მოეკლა, ანდა იმ ქვეყნიდან განედევნა". ჰაზარავუხტი მართლაც გადავიდა ქართლში, მაგრამ ვახტანგმა მასთან ომს აარიდა თავი და ეგრისში გაიხიზნა. ამრიგად, 482-484 წლების აჯანყება მარცხით დამთავრდა, რომლის მთავარი მიზეზი ღალატი იყო.

შაჰი პეროზი 484 წელს ჰეპტალიტებთან გამართულ ბრძოლაში ტყვედ ჩავარდა და სპარსელთა ჯარები მთლიანად განადგურდა. სპარსეთში ჯერ გამეფდა ვალარში (484-488 წწ.), ხოლო შემდეგ - პეროზის შვილი კავადი (488-531 წწ.). 484 წელს ჰაზარავუხტი იძულებული გახდა სპარსეთში წასულიყო. სპარსეთი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა და იძულებული გახდა ამიერკავკასიის ქვეყნებთან მიმართებაში გარკვეულ დათმობებზე წასულიყვნენ. მათ პირობა დადეს, რომ სომხეთში ქრისტიანებს აღარ დევნიდნენ. 485 წელს აჯანყების მეთაური ვაჰან მამიკონიანი სომხეთის მარზპანად დანიშნეს. სპარსელებმა მეფობა აღადგინეს ალბანეთშიც. თუ, რა დათმობაზე წავიდნენ სპარსელები ქართლთან მიმართებაში, ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით, თუმც გარკვეულ დათმობებზე ისინი აუცილებლად წავიდოდნენ. ქართლში დაბრუნებული მეფე ვახტანგი კვლავ იწყებს ბრძოლას სპარსელთა წინააღმდეგ.

უჯარმის ბრძოლა ვახტანგისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. ჯუანშერის თანახმად, ,,და ცისკარი რა აღეღებოდა, (ვახტანგი) დაესხა და შევლო ვიდრე პალამდე მეფისა. შევიდა კარავსა შინა (სპარსთა) მეფისასა და მეფე შეესწრა ცხენსა ზედა, და ძე ბარტამ მოკლა

(ვახტანგმა) და მუჰკუეთა თავი მისი. და მუნ შინა სპარსმან ვინმე სცა ისარი მკერდსა ვახტანგისსა, და იყო ბრძოლა ვიდრე შუადღემდე. სძლო ვახტანგ სპარსთა მათ". დამარცხებულნი სპარსელნი ,,და აიყარა მუნით სპარსთა მეფე, და ჩადგა რუსთავს. და დამძიმდა წყლულება ვახტანგისი, რამეთუ შეწეულ იყო ისარი ფირტუად. და წარვიდა უჯარმოს". მეფე ვახტანგი ამავე ციხეში გარდაიცვალა. ,,ციხესა შინა უჯარმოისასა, რომელი აგებულ იყო ვახტანგ გორგასლისაგან რომელსა შინა აღესრულა ლომი იგი ლომთა და გოლიათი გოლიათთა". ვახტანგი დაკრძალეს ,,მცხეთას, საკათალიკოსოსა ეკლესიასა შინა სუეტსა თანა... არს საფლავი მისი წინაშე სუეტისა ცხოველისა და ზედა საფლავსა მისსა წერილ არს ხატი მისი, სწორი ჰასაკისა (სიმაღლისა) მისისაი". ქართულმა ეკლესიამ ვახტანგ მეფე წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ 30 ნოემბერი (13 დეკემბერი) დააწესა.

ჯუანშერის სიტყვებით, ვახტანგ გორგასალი 60 წლის იყო, როცა გარდაიცვალა. ის, რომ V საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა ეს უდავოა, მაგრამ, სამწუხაროდ, წყაროებმა არ შემოგვინახეს მისი მოღვაწეობის ზუსტი წლები. ისტორიკოსი ვახტანგ გოილაძე, ვარაუდობს, რომ იგი 491 წლის ახლო ხანებში უნდა გარდაცვლილიყო. იგი ეყრდნობა სირიელი ისტორიკოსის იეშუ სტილიტის ცნობას, რომ ბერძენ-სპარსელთა ომში დაიჭრა სასიკვდილოდ მეფე ვახტანგი და ეს ომი მიმდინარეობდა სწორედ 491 წელს. ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ მოსაზრებას საპატიო ადგილი უჭირავს, მაგრამ უფრო მეტად გავრცელებულია მოსაზრება, რომ ბერძენ-სპარსელთა ომი მიმდინარეობდა 502-506 წლებში და სწორედ ამ შუალედში უნდა გარდაცვლილიყო მეფე ვახტანგიც., ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით ვახტანგის გარდაცვალების თარიღად 502 წელი უნდა მივიჩნიოთ.

ლექცია #IV

ირან-ბიზანტიის ჭიდილი და საქართველო VI სს. „არაბობა“ საქართველოში; ფეოდალური სამეფო-სამთავროები საქართველოს ტერიტორიაზე VIII-X სს.

VI საუკუნე სამხრეთ კავკასიაში ირანის აქტიურობით დაიწყო. ქართლში ჯერ კიდევ რჩებოდა მეფობა, მაგრამ ცხადი იყო, რომ ირანი მალე ქართლსაც შეუტევდა. მეფე ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების შემდეგ ქართული წყაროების მიხედვით, ,,დაჯდა საყდარსა მისსა ძე მისი დაჩი”, იგი ,,მოქცევაი ქართლისაის” ცნობით, ,,უჯარმელადაც” იწოდებოდა. დაჩის მეფობა არ იყო მშვიდობიანი. მისი მოღვაწეობის პერიოდში დაიწყო ქართლის სამეფოს თანდათანობითი დაშლა. VI საუკუნეში ქართლში მეფობდნენ მეფენი შემდეგი თანმიმდევრობით: დაჩი, ბაკური, ფარსმანი, ფარსმანი (“სხვაი”), ბაკური. მაგრამ, ბიზანტიური წყაროები, ამ პერიოდის, სხვა სახელის მქონე მეფეებს ასახელებენ ქართლის სამეფოში, კერძოდ, პროკოფი კესარიელის თანახმად, 523 წელს ქართლის მეფე გახლავთ გურგენი, ხოლო იოანე მალალას (VI ს.) და თეოფანე ჟამთააღმწერლის (IXს.) თანახმად, 527-535 წლებში ქართლში მეფობს ძამანარძე. ქართლში მეფობა 535 წელსაც კი არ არის გაუქმებული. თუ ქართლისათვის ირანი სასტიკი დამპყრობელი იყო, სულ სხვაგვარად უყურებდნენ ამ ქვეყანას დასავლეთ საქართველოში. ლაზებისათვის ირანი პირველ რიგში ბიზანტიის მოწინააღმდეგედ და ლაზიკის შესაძლო მოკავშირედ აღიქმებოდა. როგორც ჩანს, ამით იყო ნაკარნახევი, რომ ლაზიკის მეფის შვილმა წათემ ცეცხლთაყვანისმცემლობა მიიღო, როცა ლაზთა მეფე გარდაიცვალა, წათე მიხვდა, რომ წარმართ მეფეს ქრისტიანულ სამეფოში ვერ აიტანდნენ და კვლავ ქრისტიანობას დაუბრუნდა. წათე I ქრისტიანი ავიდა სამეფო ტახტზე. მან ბიზანტიის იმპერიას სთხოვა დახმარება. ბიზანტიის იმპერატორი ამ დროს იყო იუსტინიანე I (527-565 წწ). ლაზებმა და ბიზანტიელებმა დაამარცხეს ირანელები. იუსტინიანემ შესანიშნავად იცოდა, რომ თუ ირანელები ლაზიკას დაიკავებდნენ, ბიზანტიის მდგომარეობა მძიმე იქნებოდა, ამიტომ, იმპერატორმა დასავლეთ საქართველოს სასაზღვრო ციხეებში _ სკანდასა და შორაპანში ბიზანტიური გარნიზორები ჩააყენა. შაჰი კავადი ვერ ეგუებოდა ლაზიკას დაკარგვას და ამ საკითხთან დაკავშირებით ბიზანტიასთან დაუწყია მოლაპარაკებები. სპარსელთა წარმომადგენელი ბიზანტიაში ყოფილა ვინმე სეოსი (შიოში), რომელსაც პროკოფი კესარიელის თანახმად ბიზანტიელებისთვის განუცხადებია, რომ ,,კოლხიდა, რომელსაც ახლა ლაზიკე ეწოდება, ძველთაგანვე რომ სპარსელთა ქვეშევრდომი იყო, რომაელებს ძალით უჭირავთ, უსამართლოდ”. ანალოგიური ხასიათის ცნობა დაცულია, აგრეთვე, იოანე მალალასთანაც. ლაზიკის დაკარგვის გამო 528-532 წლებში ირანსა და ბიზანტიას შორის მიმდინარეობდა ომი.

531 წელს ირანის შაჰი გახდა ხოსრო I ანუშრვანი. იუსტინიანესა და ხოსროს მმართველობის პერიოდში მათმა ქვეყნებმა თავიანთი ძლიერების ზენიტს მიაღწიეს. იუსტინიანე რომის იმპერიის აღდგენაზე ოცნებობდა და აქტიურ სამხედრო მოქმედებებს აწარმოებდა. Mმან დაამარცხა ოსტგოთების სამეფო და აპენინის ნახევარკუნძულის დაკავებაც კი შეძლო, თუმცა, არც ირანი და არც ბიზანტია გადამწყვეტი შეჯახებისათვის არ იყვნენ მზად, რის გამოც 532 წელს მათ ,,უვადო ზავი” დადეს ერთმანეთში. ,,უვადო ზავმა” ქართლი კვლავ ირანელთა გამგებლობის ქვეშ დატოვა. ისინი ,,შეთანხმდნენ

ერთმანეთთან საზავო პირობებში, სახელდობრ, რომ ორივე მხარე დააბრუნებდა იმ ადგილებს, რომლებიც ამ ომში ერთმანეთს წაართვეს...

იუსტინიანე ხვდებოდა, რომ ეს ზავი დროებითი იყო და დასავლეთ საქართველოს გამაგრება დაიწყო. ბიზანტიელებმა ლაზიკაში შეიყვანეს დამატებითი სამხედრო ძალა და ააგეს ძლიერი ციხესიმაგრე პეტრა (ციხისძირი). Lლაზები, იმის გამო, რომ ბიზანტიელებმა ჯარი ჩაუყენეს, განაწყენდნენ. ლაზებისათვის ეს აუტანელი იყო. მათ გადაწყვიტეს სპარსელებს მიმხრობოდნენ და ჩუმად გაუგზავნეს ელჩები ირანის შაჰს, ხოსროს.

სულ სხვა ვითარება იყო ქართლში. ირანის შაჰმა ქართლის მეფე გურგენს ქრისტიანობის უარყოფა და მაზდეანობის მიღება მოსთხოვა. პროკოპი კესარიელის თანახმად, შაჰმა კავადმა ქართლის მეფე გურგენს შეუთვალა, რომ ,,კავადს უნდოდა ძალით მოექცია ისინი (იბერები) თავისი სარწმუნოების წესებზე და მეფე გურგენს შეუთვალა სხვა რამეშიაც ისე მოქცეულიყო, როგორც სპარსელებში იყო მიღებული, და მიცვალებულებიც მიწაში კი არ დაემარხა, არამედ ყველა მიცვალებული ფრინველებისა და ძაღლებისათვის გადაეგდო, ამიტომაც გურგენმა მოინდომა იუსტინე მეფის მხარეს გადასულიყო და პირობა მიეღო, რომ რომაელები არასდროს სპარსელების ხელში არ ჩააგდებდნენ იბერებს. იმანაც (იუსტინემ) დიდის სიამოვნებით მისცა ეს პირობა". მეფე გურგენი ირანელთა წინააღმდეგ აჯანყების სამზადისს შეუდგა. ამ მიზნით, მან დაიწყო იუსტინე კეისართან (518-527 წწ.) საიდუმლო მოლაპარაკება. მაგრამ, გურგენის აჯანყება 523 წელს მარცხით დასრულდა და გურგენმა თავი ბიზანტიას შეაფარა. ამის მიზეზი იყო ის, რომ იუსტინემ სათანადო დახმარება არ აღმოუჩინა მას ,,ასევე გურგენმა რომ დაინახა, რომ ის სუსტია სპარსელთა იერიშის ატანისათვის, რადგან რომაელების მიერ გამოგზავნილი დამხმარე ძალები საკმაო არ იყო, ლაზიკეში გაიქცა იბერთა ყველა დიდებულითურთ... ლაზიკის საზღვრებში რომ მივიდნენ, აქ გაჩერდნენ და ძნელგასასვლელი ადგილებით დაცულნი იგერიებდნენ მტერს. სპარსელები კი დაედევნენ მას, მაგრამ მაინცდამაინც ვერაფერი დააკლეს, რადგან საქმეს აფერხებდა ძნელგასასვლელი ადგილები. შემდეგ იბერები ბიზანტიაში ჩამოვიდნენ".

გურგენი თავისი ოჯახით უკან აღარ დაბრუნებულა. მისი შვილები პერანი და ბაკური და შვილიშვილი ფაზა, სამხედრო სამსახურში შევიდნენ და ისინი ბიზანტიის ცნობილი სარდლები გახდნენ.

ქართველ ისტორიკოსთა ნაწილი იზიარებს პროკოფი კესარიელის ცნობას და ქართლში მეფობის გაუქმების თარიღად 523 წელს ასახელებს. თუმც, ისტორიკოსთა მეორე ნაწილი იზიარებს იოანე მალალასა და თეოფანე ჟამთააღმწერლის მონაცემებს და ამბობს, რომ ქართლში მეფობა არ უნდა გაუქმებულიყო 535 წლამდე მაინც. ირანელებმა პირველ რიგში ჩრდილო კავკასიური გადმოსასვლელები ჩაკეტეს, რათა ქართველებს მომთაბარე ტომების დახმარება არ გამოეყენებინათ. ქვეყნის ეფექტური მარვის მიზნით შაჰმა მთელი ირანი 4 ადმინისტრაციულ ერთეულად ანუ კუსტაკად (სპარსულად ქუსტებად) დაყო. კუსტაკი აერთიანებდა ,,შაჰრებს". იყო ქუსტი ხორასან (აღმოსავლეთი), ქუსტი ხორვარან (დასავლეთი), ქუსტი ნემროზ (სამხრეთი) და ქუსტი აპახტარ (ჩრდილოეთი). ქართლი ჩრდილოეთ კუსტაკის შემადგენლობაში შედიოდა. აქ იყო გაერთიანებული სულ 13 ასეთი ქვეყანა, მათ შორის ატროპატაკანი (ადარბადაგანი), სომხეთი, ქართლი, ალბანეთი, ბალასაკანი (მუღანის ველი არაქსის ქვემო წელზე) და სხვ. თითოეულს მართავდა ,,მარზპანი" ("ოლქის მმართველი"). ისინი კი ემორჩილებოდნენ კუსტაკის უფროსს -

,,სპასპეტს''. ირანელებმა ქართლის ძირითადი ქალაქები ირანელ ციხისთავებს გადასცეს და აქ თავიანთი ჯარები ჩააყენეს.

ირანელებმა სისრულეში მოიყვანეს მათი წადილი და ერთიანი ქართლის სამეფო დაშალეს საერისთავოებად. ქართლში ირანელთა მმართველობა დიდხანს არ გაგრძელებულა. სოციალურად ყველა ფენის წარმომადგენელი უკმაყოფილო იყო ირანელთა სასარგებლოდ დაწესებული ხარკის გადახდით. ირანელთა უღლის სიმძიმემ ყველა შეაწუხა და მათ შორის ის ერისთავებიც, რომლებმაც თავის დროზე შეუწყვეს ხელი ქართლის დაპყრობაში.

VI საუკუნის 30-იან წლებში სირიიდან ქართლში მოვიდნენ საეკლესიო მოღვაწეები. მათ ,,ასურელი მამები'' ეწოდა. ესენი იყვნენ: იოანე ზედაზნელი, დავით გარეჯელი, აბიბოს ნეკრესელი, შიო მღვიმელი, იოსებ ალავერდელი, ანტონ მარტყოფელი, თადეოს სტეფანწმინდელი, პიროს ბრეთელი, ისე წილკნელი, სტეფანე ხირსელი, ზენონ იყალთოელი, მიქაელ ულუმბოელი, ისიდორე სამთავრელი და ელია დიაკონი (ზოგი ცოტა ადრე მოვიდა და ზოგი - ცოტა გვიან). სწორედ ასურელმა მამებმა ჩაუყარეს საფუძველი სამონასტრო ცხოვრებას საქართველოში. ამასთანავე, მათი მიზანი იყო ქრისტიანობის განმტკიცება. იმ დროს, როცა აღმოსავლეთ საქართველოში ირანელები მძლავრობდენ, მათ მიერ დაარსებული მონასტრები ქართული მწიგნობრობისა და კულტურის მძლავრ კერებად იქცნენ.

,,დიდი ომიანობა'' ეგრისში

ბიზანტიასა და ირანის დაპირისპირება ეგრისში ანუ ლაზიკაში ხანგძლივ 20-წლიან (52-562 წწ.) ომში გადაიზარდა. ომმა ქვეყანას ნგრევა და უბედურება მოუტანა. ეს ომი დეტალურად აქვს აღწერილი პროკოფი კესარიელსა და აგათია სქოლასტიკოსს. ამ დროს ბიზანტიის იმპერატორი იყო იუსტინიან I (527-565 წწ.), ხოლო ირანის შაჰი ხოსრო I ანუშირვანი (531-579 წწ.).

ბიზანტიელები 532 წლის ,,უვადო ზავს'' იმედის თვალით არ უყურებდნენ და შეუდგნენ ომის სამზადისს. იმპერატორმა იუსტინიანემ ახალი ჯარები გამოგზავნა ეგრისში და აქ მყოფი ციხეების გამაგრება დაიწყო. კერძოდ, გამაგრებულ იქნა ეგრისის დედაქალაქი ციხე-გოჯი, ანუ არქეოპოლისი. შემდეგ, ეგრისის სამხრეთ საზღვარზე, ზღვასთან ახლოს, იუსტინიანეს ბრძანებით, ააგეს ციხე-ქალაქი პეტრა (თანამედროვე ციხისძირი). პეტრაში ჩადგა ბიზანტიელთა მთავარი გარნიზონები და აქვე იყო მათი სარდალი პეტრე სტრატეგოსი, რომელსაც ეგრისიში მდგარი ბიზანტიელთა მთელი ჯარები ემორჩილებოდნენ. მაგრამ სტრატეგორი პეტრე ,,ვერცხლისმოყვარეობაში ჩავარდა და მეტად უდიერად ეპყრობოდა ყველას'', ამიტომაც კეისარმა იგი უკან წაიყვანა და მის ნაცვლად გამოგზავნა იოანე-ციბე. პროკოფი კესარიელის სიტყვებით ,,სტრატეგოსობამდე მიაღწია სხვა არაფრით, გარდა იმისა, რომ ყველაზე უფრო საზიზღარი იყო და ყველაზე უფრო მოხერხებული ფულის საშოვნელად უსამართლო საშუალებათა გამოგონებაში. ის იყო, რომ რომაელთა და ლაზთა ყველა საქმეები გაამრუდა და არივდარია''. ციბემ ეგრისის ეკონომიკაზე სრული მონოპოლია დააწესა. იგი ეგრისში შემოსატან ან გასატან საქონელს ჯერ თვითონ ყიდულობდა იაფად და შემდეგ ძვირად ყიდდა.

ბიზანტიელთა ბატონობით შეწუხებულმა ლაზებმა მათ წინააღმდეგ ომის დაწყება განიზრახეს და დახმარება ირანის შაჰს ხოსრო I-ს სთხოვეს. გუბაზის ელჩებმა შაჰს მოახსენეს: ,,უნდა ვთქვათ ზოგიერთი ბოროტების შესახებ, რაც ჩვენს წინააღმდეგ წყეულმა რომაელებმა ჩაიდინეს. ჩვენს მეფეს მეფობის მხოლოდ გარეგნული ნიშნები

დაუტოვეს, ძალაუფლება და საქმეები კი თვითონ მიითვისეს. მეფე მოსამსახურეს დაემსგავსა, მას განმკარგულებელი სტრატეგის ეშინია. აუარებელი ჯარებიც ჩაგვიყენეს, მაგრამ იმისთვის კი არ ჩაუყენებიათ, რომ დაიცვან ჩვენი ქვეყანა მოსაზღვრე ხალხებისგან, მაგრამ ჩვენ ხომ სხვა არავინ გვაწუხებს, გარდა რომაელებისა. არამედ იმისათვის, რომ დავემწყვდიეთ ჩვენ, როგორც ციხეში, და რათა ჩვენს ქონებას დაპატრონებოდნენ "...

სიტყვის დასასრულს, ელჩებმა კიდევ ერთხელ შეახსენეს ირანის შაჰს ის სარგებლობა, რომელსაც მას ეგრისი მოუტანდა: ,,სპარსელთა ძალას თქვენ შემატებთ უძველეს სამეფოს და მისი საშუალებით თქვენი ჰეგემონიის ღირსება გადიდებული იქნება, ხოლო ჩვენი ქვეყნის გზით რომაელთა ზღვას დაუკავშირდებით: აქ თუ ხომალდებს ააგებ, მეფევ, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, რომ ბიზანტიის პალატს მიაღწიო...".

ირანის შაჰისათვის ლაზიკაში გაბატონება ბევრს ნიშნავდა. ჯერ ერთი, რომ ამით ზურგს მოუშლიდა ქართლს, ,,რადგან იბერებს აღარ ეყოლებოდათ ის ხალხი, ვისთანაც ისინი განდგომის შემთხვევაში თავს გადაირჩენდნენ", მეორეს მხრივ, მოიპოვებდა გასასვლელს შავ ზღვაზე და ზღვიდანაც შეძლებდა ბიზანტიაზე თავდასხმას. ამიტომაც ხოსრო I სიამოვნებით დათანხმდა ლაზების წინადადებას. მემატიანის თქმით, ,,ხოსროს ღირსშესანიშნავ მონაპოვრად მიაჩნდა კოლხეთის მტკიცედ დასაკუთრება, რადგანაც, მისი აზრით, ეს ირანის ძალაუფლებას დიდ სარგებლობას მოუტანდა. იბერიაც ხომ მომავალში სავსებით მორჩილი იქნებოდა, რადგანაც იბერიელებს აღარ ეყოლებოდათ ის ხალხი, ვისთანაც ისინი, განდგომის შემთხვევაში თავს გადაირჩენდნენ... ".

ირანის შაჰმა ხმა გაავრცელა, ჰუნების წინააღმდეგ მივდივარ სალაშქროდო. მისმა ჯარმა სწრაფად გაიარა ქართლი. Lეგრისის საზღვარზე ირანელებს ლაზი მეგზურები დახვდენენ და 542 წელს ხოსრო პირველი დიდი ჯარით დასავლეთ საქართველოში გადავიდა. ხოსროსთან ლაზიკის მეფე გუბაზ II გამოცხადდა. ირანელთა და ლაზთა გაერთიანებული ლაშქარი ციხესიმაგრე პეტრასკენ დაიძრა, რომელიც ბიზანტიელთა უმთავრესი დასაყრდენი პუნქტი იყო. პროკოფი კესარიელის თანახმად, ირანელთა და ეგრისელთა გაერთიანებულმა ჯარმა პეტრას ერთ-ერთი კოშკის ქვეშ გვირაბი გაიყვანეს, რომელიც ჩამოინგრა. ბიზანტიელები ამან ძალიან შეაშინა და ხოსროსთან გამართეს მოლაპარაკება. თუკი მათ ირანელები უვნებლად გაატარებდნენ და თავიანთ ქონებასაც გაატანდნენ, პატრას ციხის დაუთმობდნენ. ხოსროს იოანე-ციბეს ქონების გარდა მართლაც სხვა არაფრისათვის უხლია ხელი.

ამრიგად, დიდი ბრძოლების შედეგად პეტრა აღებულ იქნა. ამ დროს შაჰმა შეიტყო, რომ ბიზანტიელთა დიდი ჯარი სარდალ ველიზარის მეთაურობით ირანში შეჭრილიყო. ხოსრომ პეტრაში თავისი გარნიზონი დატოვა და თვითონ ირანში დაბრუნდა.

ირანის შაჰმა ეგრისში საიდუმლო გეგმის განხორციელება დაიწყო. ხოსრო კარგად ხვდებოდა, რომ თავისუფლების მოყვარე ლაზები ბიზანტიელთა უღელს ირანელთა უღელზე არ გაცვლიდნენ და მალე მათაც მოიშორებდნენ თავიდან, რომ ,,ლაზებისადმი ნდობა მას ძალიან ნაკლებად ჰქონდა". შაჰს კი დასავლეთ საქართველოში მტკიცედ უნდოდა ფეხის მოკიდება. ხოსროს აზრით, ერთადერთი გზა დასავლეთ საქართველოში ფეხის მოკიდებისა, აქაური მოსახლეობის აყრა და აქ ირანული ტომების ჩამოსახლება იყო. ამ გეგმის განხორციალების პირველი ნაბიჯი გუბაზის მკვლელობა უნდა ყოფილიყო. უმეფოდ დარჩენილი ლაზების დამარცხება კი ადვილი იქნებოდა. სწორედ მეფის მოსაკლავად ირანელებმა ლაზი დიდებული ფარსანსი შეარჩიეს, რომელიც გუბაზზე იყო განაწყენებული. ფარსანსმა გადამწყვეტ მომენტში დაივიწყა გუბაზის მიმართ პირადი

წყენა და გუბაზს ყოველივე მოახსენა. ირანელთა ბატონობით უკვე მოსახლეობაც იყო შეწუხებული. გუბაზი მიხვდა, რომ ირანელები ბიზანტიელებზე უფრო სახიფათონი იყვნენ. გადაწყდა ომის დაწყება ირანელთა ქვეყნიდან განსადევნად. დახმარება ლაზებმა ბიზანტიელებს სთხოვეს.

იუსტინიანემ მოახერხა იტალიაში არსებული პრობლემების მოგვარება და მზად იყო ირანის წინააღმდეგ ომი განეახლებინა. იუსტინიანემ 549 წელს ბიზანტიელთა 7 ათასი ჯარი და ჰანების ათასეული გამოგზავნა პეტრას ასაღებად სარდალ დაგისთეს მეთაურობით.

ხოსრომ პეტრაში მყოფი თავისი გარნიზონის დასახმარებლად დიდი ლაშქარი გამოგზავნა ლაზიკაში მერმეროეს სარდლობით. ბიზანტიელთა სარდალმა დაგისთემ შეცდომა დაუშვა. Mმეტად მცირერიცხოვანი რაზმი გაგზავნა ლიხის ქედის გადმოსასვლელების დასაცავად. ის მოახლოებულ საფრთხეს ვერ გრძნობდა და იუსტინიანეს წერილებს უგზავნიდა, სადაცაა პეტრას ავიღებ და ჩემთვის და ჩემი ძმისათვის საჩუქრები გაამზადეო. პეტრაში მყოფი ირანელთა მცირერიცხოვანი რაზმი ბიზანტიელთა ყურადღება რომ მოედუნებინა და თანაც დრო მოეგო, ცბიერი სიტყვებით ქალაქის დაუბრკოლებლად ჩაბარებას აღუთქვამდა დაგისთეს.

ირანის ჯარმა, ფაქტობრივად, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე მოახერხა ლაზიკაში გადასვლა. ბიზანტიელებმა მიატოვეს პეტრა და უკან დაიხიეს.

ირანელები პეტრაში რომ მოვიდნენ, ქალაქის კედლები სანახევროდ დანგრეული იყო. 1500 კაციდან ხოლოდ 350 იყო, აქედან 150 თუ გამოდგებოდა საბრძოლველად. მერმეროეს უთქვამს: რა საცოდავია რომის სახელმწიფო, თუ მას 150 ირანელის დამარცხება არ შეუძლიაო. მერმეროემ პეტრაში 3000 ირანელი ჯარისკაცი ჩააყენა და მათ დიდი სურსათის მარაგი დაუტოვა, ეგრისში - 5000 ჯარისკაცი დატოვა, ხოლო დანარჩენი 25 000 მეომრით სომხეთში გადავიდა და დვინის მახლობლად დაბანაკდა.

ირანელებმა კვლავ გაამაგრეს პეტრა და ლაზიკის შიდა რაიონების აოხრება დაიწყეს. ლაზებმა გუბაზის მეთაურობით სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს. ირანელებმა დატოვეს ლაზიკა და ქართლში დაბრუნდნენ.

550 წელს შაჰმა ახალი ჯარი გაგზავნა დასავლეთ საქართველოში ხურიანეს სარდლობით. ირანელებმა მდინარე ცხენისწყლის ნაპირას მუხურისის ხეობაში დაიდეს ბანაკი. მდინარის მეორე ნაპირას ლაზთა და ბიზანტიელთა ჯარები დადგნენ. ლაზებმა მოითხოვეს, რომ პირველად ისინი შემბოდნენ მტერს. მეფე გუბაზმა გამამხნევებელი სიტყვით მიმართა ლაზთა ჯარს ,,მე არ ვიცი, ვაჟკაცებო, საჭიროა თუ არა კიდევ რჩევა-დარიგებით მოგმართოთ თქვენ აღსაფრთოვანებლად. ვინაიდან, მე ვფიქრობ, რომ არავითარი მოწოდება აღარ ესაჭიროება იმათ, ვინც გარემოებითაა უკვე აღფრთოვანებული. საფრთხე არსებობს ხომ ცოლებისთვის, შვილებისთვის, სამშობლო ქვეყნისთვის და, ერთი სიტყვით, ყველაფრისთვის, რის გამოც სპარსელებმა ჩვენზე იერიში მოიტანეს... დე, ნუ აღიგვება სახელი ლაზთა. ძნელი არ არის, ვაჟკაცებო, სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენთვის, რომელთაც ხშირად გაგვიმარჯვნია მათზე ხელჩართულ ბრძოლაში... ერთხელ დამორჩილებული სიამაყე, ჩვეულებრივ, ვეღარ აღორძინდება. მაშ, იქონიეთ ეს მხედველობაში და შეებრძოლეთ მოწინააღმდეგეს აღვსილნი კეთილი იმედებით".

ლაზები ეკვეთნენ მტერს და ბრძოლის დროს დაჭრეს ირანელთა სარდალი ჰურიანე. პირდაპირ კისერში მოხვდა ისარი მას, ცხენიდან მიწაზე დაეცა და გარდაიცვალა.

Mმტერი აირია, ლაზების შეტევას ვერ გაუძლო და დამარცხდა. ირანელთა დამარცხების მიუხედავად დასავლეთ საქართველოში ვითარება მაინც მძიმე იყო.

განრისხებული ლაზები კონსტანტინოპოლში ჩავიდნენ იუსტინიანესთან და ბიზანტიელი სარდალი დაგისთე დაასმინეს, თქვენი სტრატეგოსი ირანელების მოსყიდულს ჰგავსო, რადგან პეტრას აღების დროს დაუდევრად იქცეოდაო. კეისარმა, ვითარება რომ არ გაემწვავებინა ეგრისში, დაგისთე ციხეში ჩააგდო და მის ნაცვლად სომხეთის სტრატეგოსად 70 წლის გამოცდილი მხედარმთავარი ბესა გამოგზავნა აქ. ბესა რომ მოვიდა ეგრისში მას აქ სპარსელთა ახალი ჯარი დახვდა ნაბედის მეთაურობით. ირანელებმა ამჯერად იერიში არქეოპოლისზე (ციხეგოჯი) მიიტანა, მაგრამ ვერ აიღო. როგორც ჩანს, ლაზთა ნაწილი კვლავ პროირანული ორიენტაციისა იყო. ირანელთა სარდალმა გუბაზსაც შესთავაზა ირანელების მხარეზე გადასვლა. გუბაზი ისევ პრობიზანტიური ორიენტაციისა დარჩა. ბიზანტიელები კი, თავის მხრივ, უზნეოდ იქცეოდნენ. ირანელებთან ბრძოლაში დამარცხებულები ლაზთა სოფლებს არბევდნენ და აჩანაგებდნენ.

550 წელს ხოსრომ ეგრისში ახალი სარდალი გამოგზავნა დიდი ჯარით. სპარსელებმა ეგრისში შეცვალეს საბრძოლო ტაქტიკა და ისინი ბიზანტიელებისა და ლაზებისაგან განდგომილ აფხაზთა ქვეყანაში ცდილობდნენ ფეხის მოკიდებას.

ამ დროს აბაზგია ორად იყო გაყოფილი _ აღმოსავლეთად და დასავლეთად, რომელთაც მთავრები ედგა სათავეში. ეს მთავრები ლამაზ ბავშვებს იტაცებდნენ და ჰყიდნენ. ბავშვების მამებს კი. მათზე შური რომ არ ეძიათ, ხოცავდნენ. აბაზგები აღაშფოთა მათი მთავრების ამ საქციელმა. როგორც ჩანს, ირანელებს ამ არეულობის გამოყენება სურდათ აბაზგიაში. აბაზგიის ციხეებში ბიჭვინთასა და ცხუმში რომაელთა გარნიზონები იდგნენ. როდესაც ირანელები შეიჭრნენ აბაზგიაში, რომაელებმა ეს ციხეები სულ დაანგრიეს, რათა ის ირანელებს არ ჩავარდნოდა ხელში და ისე მიატოვეს აბაზგია, მაგრამ ვერც ირანელებმა ვერ მოიკიდეს აქ ფეხი. 550 წლის აბაზგების აჯანყებამ უდიდესი ნგრევა მოუტანა საქართველოს ამ მხარეს.

ბიზანტიელები ბესას მეთაურობით ამის შემდეგ, 551 წელს, პეტრას შემოადგნენ. მასში გამაგრებული ირანული გარნიზონი თავგანწირვით იცავდა თავს. პეტრას უკანასკნელი ირანელი მცველები, დაახლოებით ხუთას კაცამდე, ციხის აკროპოლისში გამაგრდნენ და ბიზანტიელთა ტყვეობაში სიცოცხლეს ცეცხლში დაფერფვლა არჩიეს. პეტრას ციხე აიღეს ბიზატიელებმა და იგი სულ მიწასთან გაასწორეს. ირანელთა ჯარმა, რომელსაც მერმეროე ედგა სათავეში, ჯერ კიდევ არ იყო პეტრასთან მოსული, რომ გაიგო ციხის აღების ამბავი და გეზი არქეოპოლისისაკენ აიღო, მაგრამ პირველად სკანდის ციხესიმაგრე აღადგინა. მემატიანეს თქმით, ეგრისში, ,,რომელიც ყველგან დაქანებული ნაპრალებითა და დაბუჩქებული მნელსავალი ადგილებით იყო დასერილი და ისე დაფარული უღრანი ტყეებით, რომ მსუბუქად დატვირთულ კაცსაც კი გაუჭირდებოდა წინათ აქ გავლა, ისე გაესწორებინათ, რომ არათუ მთელმა მათმა ცხენოსანმა ჯარმა გაიარა იქ დაუბრკოლებლად, არამედ სპილოებიც გაატარეს, რამდენიც სურდათ".

551-552 წლებში ირანელებსა და ბიზანტიელებს შორის ხუთწლიანი ზავი გაფორმდა. ოფიციალურად მეფე გუბაზი ბიზანტიელთა მომხრე იყო, მაგრამ ეგრისელები პროირანულ ორიენტაციაზე იდგნენ. მემატიანეს თქმით, ,,დანარჩენი ლაზები, რომელნიც რომაელი ჯარისკაცებისაგან, საშინლად იყვნენ შეწუხებულნი, განსაკუთრებით კი ჯარის სარდლებისაგან იყვნენ შევიწროებული, მეტწილად სპარსელების მომხრეობას იჩენდნენ.

არა იმიტომ, რომ სპარსელობა მოსწონდათ, არამედ რომაელების ბატონობისგან თავის დაღწევა სურდათ".

553 წელს მეფე გუბაზს სპარსელებთან რამდენიმე ბრძოლა გადაიხადა. ამ ბრძოლებში ბიზანტიელები პასიურობდნენ, სწორედ ამის გამო გუბაზ მეფე მათ საჯაროდ ლანძღვა ,,რომაელი სარდლები უჭკუო, უქნარა და მშიშარა ხალხიაო". იუსტინიანემ ბესა თანამდებობიდან გადააყენა და მთელი ქონებაც ჩამოართვა. ამჯერად, ბიზანტიელი სარდლები მარტინე და რუსტიკე გადაურჩა კეისრის რისხვას და ისევ ეგრისში დარჩნენ. ამ სარდლებმა გადაწყვიტეს მეფე გუბაზი მოეკლათ. 554 წელს ბიზანტიელმა სარდლებმა მეფე გუბაზი სათათბიროდ შეიტყუეს ხობის წყალთან და ვერაგულად მოკლეს იგი. მეფე გუბაზის მოკვლის შემდეგ ბიზანტიელებმა იერიში მიიტანეს ონოგურის ციხეზე. მათი აზრით, ამ ციხის აღება ძნელი არ უნდა ყოფილიყო და რაც მთავარი იყო, გამარჯვებულებს კეისარი დანაშაულს აპატიებდა. თუმც, ამ უნიჭო მხედარმთავრებმა აქაც მარცხი იწვნიეს. ბიზანტიელთა 50 000-იანი ჯარი სპარსელთა 3 000-იანმა ჯარმა დაამარცხა.

აგათია სქოლასტიკოსის თანახმად, ,,ლაზთა მთელი ლაშქარი აღელდა ამ ამბის გამო და ისეთმა უკმაყოფილებამ შეიპყრო ისინი, რომ გადაწყვიტეს ამიერიდან აღარ შეერთებოდნენ რომაელებს და არც მათთან ერთად ელაშქრათ. როდესაც გუბაზის გვამი, თანახმად მათი წესისა, დაკრძალეს, ბრძოლაში მონაწილეობა აღარ მიიღეს, როგორც უაღრესად შეურაცხყოფილებმა და სამშობლოს დიდების დამკარგველებმა". ამ ამბებმა ეგრისელები ძალიან შეაშფოთა და ერთ ხეობაში დიდი კრება მოიწვიეს. დაისვა საგარეო ორიენტაციის საკითხი _ ეგრისელები პრობიზანტიურ ორიენტაციაზე დარჩენილიყვნენ თუ პროირანულზე გადასულიყვნენ. კრება ფაქტიურად ორ ნაწილად გაიყო. ირანული ორიენტაციის მომხრე გახლდათ აიეტი, ხოლო ბიზანტიურისა _ ფარტაძი.

აიეტმა მიმართა აღშფოთებულ ეგრისელებს: `რომაელები, რომ სიტყვებითა და გეგმებით გვეპყრობოდნენ უსამართლოდ, ჩვენც კარგს ვიზამდით, რომ მუდამ ამგვარივე საშუალებებით დაგვეცვა თავი; მაგრამ ახლა ნუთუ მისაღებია, რომ ამ დროს, როდესაც ისინი ყველაფერში საშინლად გვექცევიან, სამაგიეროს გადახდის საშუალებას ვკარგავთ იმაზე, რომ ვყოყმანობთ და ვთათბირობთ? ხომ არავის შეუძლია იმის მტკიცება, თითქოს მტერი ბოროტ ქცევაში ჯერ არ იყოს შემჩნეული, და თითქოს მხოლოდ ეჭვები არსებობდეს, რომ ის ამგვარ აზრებსა და ზრახვებს ატარებს; არც საბუთების მოგონებაა საჭირო მისი, ვითომდა დაფარული, ვერაგობის დასამტკიცებლად. საკმარისია, გავიხსენოთ სახელოვანი გუბაზი, რომელიც ასე საცოდავად იქნა მოსპობილი... გაქრა კოლხთა ძველი ღირსება და ამიერიდან ვეღარ ვეღირსებით იმას, რომ სხვებს ვმბრძანებლობდეთ. ისიც უნდა ვიკმაროთ, თუ მივაღწევთ იმას, რომ ძალიან არ დაგვჩაგრონ იმათ, ვინც წინათ ჩვენი ქვეშევრდომი იყო. ნუთუ უკიდურეს უგუნურებას არ წარმოადგენს ის, რომ იმათ შესახებ, ვინც ეს ჩაიდინა, ჩვენ ვზივართ და ვმსჯელობთ, მტრებად ჩავთვალოთ ისინი თუ მეგობრებად? უნდა ვიცოდეთ, რომ მათი თავხედობა ამაზე არ შეჩერდება. თუ ჩვენ ამ ბოროტმოქმედებას უყურადღებოდ დავტოვებთ, ისინი არ მოგვეშვებიან და გულხელდაკრეფილნი რომ ვისხდებით, უფრო შეუპოვრად აგვხდიან ნამუსს... მე ვინატრიდი, კოლხეთის სახელმწიფოს ჰქონდეს თავისი ძველი ძლიერება, რომ მას არ დასჭირებოდეს უცხო და გარეშე დახმარება და რომ ყოველგვარ საქმიანობაში როგორც ომიანობის, ისე მშვიდობიანობის დროს მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობოდეს. მაგრამ, როდესაც ჩვენ ჟამთა ტრიალის ან ბედის უკუღმართობის, ან ორივეს წყალობით ისეთს უძლურებაში ჩავვარდით, რომ სხვათა ხელქვეითნი გავხდით, მე ვფიქრობ,

უმჯობესია იმათ ხელში ვიყოთ, ვინც უფრო კეთილისმსურველია, ვინც ურყევად იცავს კეთილგანწყობილებას თავისიანებსა და მოკავშირეთა მიმართ".

აიეტის სიტყვამ აღაშფოთა ხალხი და ირანულ პოზიციებზე გადასვლას აპირებდნენ, რომ ამ დროს გამოვიდა პრობიზანტიური პოზიციების დამცველი ფარტაძი, რომელმაც სიტყვით მიმართა იქ შეკრებილ ხალხს: ,,ჩვეულებრივი ამბავი დაგემართათ, კოლხებო, რომ მეტად მოხერხებულმა და წარმტაცად თქმულმა სიტყვებმა გონება შეგირყიათ. უძლეველი რაღაც არის მჭევრმეტყველება და ის თითქმის ყველას ამარცხებს, განსაკუთრებით კი იმათ, ვისაც წინათ მისი ძალა არ გამოუცდია; მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მას ვერ დაუპირისპირებთ გონიერ მოსაზრებას, რომელიც საქმის ნამდვილ ვითარებას ემყარება...

ახლა საჭირო აღარ არის იმაზე ფიქრი, რაც მოხდა და დასრულდა და უკვე აღარ შეიძლება დაბრუნებულ იქნას. ნუ ავყვებით მსჯელობის დროს მოწოლილ ბოღმას და გულისტკივილს, რომ არ დავკარგოთ მოსაზრების უნარი და არ გავაბუნდოვანოთ ჩვენი მსჯავრი: შევინარჩუნოთ უნარი უკეთესის არჩევისა... არც რომაულ რაზმებს, არც სტრატეგოსებს, საერთოდ აღებულს, მით უმეტეს არც მათ მეფეს არ მოუწყვიათ შეთქმულება გუბაზის წინააღმდეგ... უმართებულო იქნებოდა, ჩემის აზრით, და ამასთანავე მიზანშეუწონელიც ერთი ან ორი კაცის დანაშაულის გამო შევსწყრომოდით საზოგადოებრივ კანონებს, რომელთა დაცვა აგვიღია ჩვენს თავზე, და ასე იოლად შეგვეცვალა მთელი სახელმწიფო წყობილება და ცხოვრება... ყველაზე უფრო ცუდი ის იქნება, რომ ასეთი საქციელით ჩვენ შევბღალავთ მართლმორწმუნოებას და წმინდათა საიდუმლოთა უმწიკვლელობას. აბა, რას დაემსგავსება ჩვენი საქციელი, თუ მივემხრობით უზენაესი არსების სასტიკ მტრებს? თუ ისინი აგვიკრძალავენ ჩვენი საღმრთო წესების შესრულებას და თავიანთ წესებზე გადაგვიყვანენ... გუბაზი რომ აქ იყოს, მოგვიწოდებდა, არ მივცემოდით სასოწარკვეთილებასა და გულაჩუყებას, და მონების მსგავსად კი არ გავქცეულიყავით, არამედ აღვჭურვილიყავით კოლხის თავისუფალი შეგნებით, ვაჟკაცურად აგვეტანა უბედურება და არაფერი სასირცხვო და მამაპაპური წესების შემბღალავი არ ჩაგვედინა... მე იმ აზრისა ვარ, რომ საჭიროა რომაელთა მეფეს ვაცნობოთ მომხდარი ამბავი, რათა იგი სათანადოდ მოეპყრას იმათ, ვისაც ამ მკვლელობაში მთავარი დანაშაული მიუძღვის, და თუ ის ამას იზამს, ამიერიდან მოისპობა ჩვენი უთანხმოება რომაელებთან, თუკი ის უარყოფს ჩვენს თხოვნას, მაშინ მოვითათბიროთ, მიზანშეწონილი იქნება თუ არა, მეორე გზას დავადგეთ".

ეგრისელები ისევ პრობიზანტიურ ორიენტაციაზე დარჩნენ. კეისარმა ეგრისის მეფედ დანიშნა გუბაზის უმცროსი ძმა წათე II. კეისარმა ეგრისში საქმის გამოსაძიებლად გაგზავნა სენატორი ათანასე. ხოლო გუბაზ მეფის მკვლელობაში ეჭვმიტანილები რუსტიკე და მისი ძმა იოანე ქალაქ აფსარუნტის ციხეში მოათავსეს. მცირე ხნით ამ ეჭვმიტანილთა გასამართლება გადაიდო, რადგან ეგრისში მერმეროეს ნაცვლად დანიშნული ახალი მხედარმთავარი ნოხარაგანი ჩამოვიდა ახალი ირანული ჯარებით.

ამავე პერიოდში დიდი აჯანყება მოხდა აფშილეთშიც. ეგრისის მეფის ერთ-ერთმა დიდებულმა, რომელიც მასზე იყო განაწყენებული, ღალატით გადასცა სპარსელებს აფშილების მეტად სტრატეგიული ციხე წიბილი (წებელდა). მაგრამ, ვერც სპარსელებმა შეინარჩუნეს იგი. მათ შეურაცხყოფა მიაყენეს ამ ციხისთავის ცოლს, რომელიც ტომით აფშილი გახლდათ. ქალის ღირსების შელახვა აფშილებისათვის უდიდესი შეურაცხყოფა იყო. ისინი შეიჭრნენ ციხეში და იქ მყოფი ყველა სპარსელი ამოწყვიტეს. ამრიგად, სპარსელებმა დასაყრდენი ვერც აფშილეთში ნახეს.

ბიზანტიელთა სისასტიკემ 555 წელს აჯანყება გამოიწვია მისიმიანეთშიც. საქმე იმაში იყო, რომ ეგრისის ახალ მეფეს, წათეს, ბიზანტიიდან თან ჩამოჰყვა სტრატეგოსი სოტერიქე მის ორ შვილთან ერთად. მას იმპერატორისაგან დავალებული ჰქონდა დასავლეთ ამიერკავკასიაში მცხოვრები მოკავშირე ტომებისათვის ფული დაერიგებინა. ის გაემართა მისიმიანელთა ქვეყანაში და მივიდა მდინარე კოდორთან არსებულ ბუქლოოსის ციხესთან. მისიმიანელები ფიქრობდნენ, რომ ფარულად ამ ციხის ალანთათვის გადაცემას აპირებდა სოტერიქე და მოსთხოვეს სასწრაფოდ დაეტოვებინა ეს ციხე. ,,უსამართლობის მოყენება განგიზრახავს ჩვენთვის, სტრატეგოსო. არც სხვას უნდა მისცე ნება, ჩვენი ქონება წაგვართვას, არც თვითონ უნდა მოინდომო ამის ჩადენა. თუ ეს შენ მართლა არ გიდევს გულში, საჩქაროდ გადაბარგდი აქედან და შენ იქ სურსათი არ მოგაკლდება: ჩვენ მოგიტანთ ყველაფერს''. სოტერიქემ ეს პირად შეურაცხყოფად ჩათვალა და მისიმიანელები ჯოხით აცემინა. ,,ეს რომ მოხდა, სატერიქე არ ფიქრობდა, რომ ამის გამო შეიძლებოდა რამე სამტრო დატრიალებულიყო; ის ფიქრობდა, რომ, თუ თავის მონებს მათ მიერ ჩადენილი ცოდვების გამო დასჯიდა, ამას მისთვის საშიში არაფერი მოჰყვებოდა, და ამიტომ დარჩა ამ ქვეყანაში და, რომ დაღამდა, სრულიად უდარდელად, ისე რომ მცველებიც არ დაუყენებია, დაიძინა.

იმავე ღამეს აღელვებული ხალხი ზვავად მოასკდა ბიზანტიელთა ბანაკს და ყველა ამოხოცეს, მათ შორის სოტერიქეც და მისი შვილებიც. ამის შემდეგ მისიმიელები ირანელთა მხარეზე გადავიდნენ და დახმარება ითხოვეს. 556 წელს ბიზანტიელები კვლავ მოვიდნენ ამ ქვეყანაში 4 000-იანი ჯარით და ისე გამხეცდნენ, რომ ქალებიცა და ბავშვებიც კი არ დაზოგეს. მისიმიელებმა ისევ ბიზანტიელთა მორჩილება არჩიეს და სოტერიქესათვის წართმეული ფულიც უკანვე დააბრუნეს. სამაგიეროდ, ბიზანტიელებმა ,,ნება მისცეს მისიმიელებს, კვლავ თავიანთ ნებაზე ეცხოვრათ საკუთარ ქვეყანაში და ძველებური ცხოვრება განეახლებინათ''.

პარალელურად ირანელები ცდილობდნენ ქალაქ ფაზისის (ფოთის) დაპყრობას ნახორაგანის მეთაურობით. ამ ბრძოლაში ირანელებს 60 000-იანი ჯარი ჰყავდათ, მაგრამ მაინც დამარცხდნენ. მათი 10-12 ათასი მეომარი ბრძოლის ველზე დაეცა. 555 წელსვე ირანელებმა ფაზისზე ლაშქრობამდე ციხე-გოჯთანაც განიცადეს დამარცხება. ერთი წლის განმავლობაში ირანელთა ორი დიდი მარცხი ირანის შაჰისათვის მიუღებელი იყო. მან ნახორაგანი ირანში დაიბარა და საშინელი სასჯელით დასაჯა - ცოცხლად გაატყავებინა კეფიდან ფეხებამდე.

როგორც კი დროებით მშვიდობა ჩამოვარდა ეგრისში, კეისარმა ბიზანტიური კანონების მიხედვით განიხილა მეფე გუბაზის მკვლელობაში ეჭვმიტანილების საქმე. ცბიერმა ბიზანტიელებმა განზრახ მთელი პომპეზურობით აწარმოეს სასამართლო პროცესები და სახალხოდ გამოუცხადეს გუბაზის მკვლელებს გამამტყუნებელი განაჩენი. მათთვის ხალხის თანდასწრებით უნდა მოეკვეთათ თავები. რუსტიკე და მისი ძმა იოანე ჯორებზე შესხეს და ისე გამოატარეს ეგრისის ქუჩებში. წინამძღოლს განცვიფრებაში მოჰყავდა ხალხი თავისი შეძახილებით. იგი განზრახ გაჰკიოდა შემზარავი ხმით შთაბეჭდილების მოსახდენად და ირგვლივ მყოფებში დასჯილთა მიმართ სიბრალულის გამოსაწვევად. მართლაც, ისეთი ,,სპექტაკლი'' დადგეს ცბიერმა ბიზანტიელებმა, რომ როცა გუბაზის მკვლელებს ყელები გამოსჭრეს, ეგრისელებს თვალები ცრემლებით ჰქონდათ აღვსილი და გაბრაზებამაც გადაუარათ.

556-557 წლებში ომი ბიზანტიისა და სპარსეთის იმპერიებს შორის ზავით დასრულდა. მაგრამ, საომარი მოქმედებები ამის შემდეგაც გაგრძელდა. 562 წელს ომი

დამთავრდა. ირანელებმა დასავლეთ საქართველო ბიზანტიას დაუთმეს 50 წლით. 575 წელს ბიზანტიელებმა სვანეთიდანაც გააძევეს ირანელები და მთელ დასავლეთ საქართველოს აკონტროლებდნენ.

ოცწლიანი ომის შემდეგ ლაზიკამ თავი ვერ დააღწია ბიზანტიის ვასალობას. ლავირების გზით ქვეყნის სამშვიდობოზე გამოყვანის გეგმა ჩაიშალა და ლაზიკა იქცა ბიზანტიისა და ირანის ანგარიშსწორების ადგილად, რამაც დიდი ნგრევა მოუტანა მას.

ქართლის ფეოდალური სახელმწიფოს აღდგენა. ერისმთავრობის დაწესება.

დასავლეთ საქართველოში განცდილმა მარცხმა, ბუნებრივია, შეასუსტა ირანელთა პოზიციები აღმოსავლეთ საქართველოშიც. თავის დროზე, მეფობის გაუქმებას ქართლში დიდად შეუწყო ხელი დიდაზნაურთა მოღალატურმა საქმიანობამ. მათ თავიანთი მიზნები ჰქონდათ, კერძოდ, დაუფლებოდნენ იმ მიწებს მუდმივად, რომლებიც მეფისაგან დროებით სამართავად ჰქონდათ მიცემული. მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში დიდაზნაურებს მოკავშირედ ირანელები მოევლინნენ. Qქვეყნის შიგნით არსებულმა ამ წინააღმდეგობამ ირანელებს საკუთარი ზრახვების აღსრულება გაუადვილა. ახლა, როცა ქართლში მეფე აღარ იყო და დიდაზნაურებს მიწების დიდი ნაწილი ჰქონდათ ჩაგდებული, მათთვის მიუღებელი გახდა ირანელთა ბატონობა, ისინი მზად იყვნენ, აჯანყებულიყვნენ დამპყრობლების წინააღმდეგ.

562 წელს ირანსა და ბიზანტიას შორის მორიგი 50-წლიანი ზავი გაფორმდა. ამ ზავის პირობების თანახმად ყველა სადავო ტერიტორია ირანს ერგო წილად. ამით უკმაყოფილო ბიზანტია ცდილობდა ხელსაყრელი დრო შეერჩია და ეს ზავი დროზე ადრე დაერღვია. მართლაც, 571 წელს სომხეთში დიდი აჯანყება დაიწყო ირანელთა წინააღმდეგ, მას ვარდენ მამიკონიანი მეთაურობდა. აჯანყებულ სომხებს ქართველებიც შეუერთდნენ გურგენის წინამძღოლობით. აჯანყებულები კარგად ხვდებოდნენ, რომ საკუთარი ძალებით ირანელებს ვერ დაამარცხებდნენ და დახმარება სთხოვეს ბიზანტიის კეისარს იუსტინე II-ს (565–578 წწ.). ბიზანტიელებმა ეს ხელსაყრელ მომენტად მიიჩნიეს და აჯანყების მეთაურებს კეისარმა განუცხადა, ,,რომ, რამდენადაც ეს მისთვის შესაძლებელი იქნებოდა, ყოველგვარ საშუალებას იხმარდა, რათა დაეპყრო თვით მათი სამშობლო ქვეყნები; თუ ის ვერ შეძლებდა ბოლომდე მიეყვანა ომი, ამ აჯანყების მოთავეებს და მათ ნათესავებს, იმათ, ვინც მოისურვებდა რომაელების სახელმწიფოს მოქალაქეობას, არასდროს არ გასცემდა".

იუსტინე II-ს დამამცირებლად მიაჩნდა 562 წლის ზავის პირობისამებრ ყოველწლიურად 30 000 ოქროს მანეთის ირანელთათვის გადაცემა, რათა შაჰს უზრუნველეყო ჩრდილო კავკასიური გადმოსასვლელების საიმედო ჩაკეტვა. კეისარი ამას ხარკად აღიქვამდა და ძალიან ეჩოთირებდა.

576-577 წლებში კეისარმა იუსტინემ ხოსრო I-ს შესთავაზა ახალი საზავო პირობები შეემუშავებინათ, რადგან რეალურად 562 წლის საზავო პირობები ძალაში აღარ იყო და ბიზანტიამ ბევრ წარმატებებს მიაღწია კავკასიაში. ბუნებრივია, იუსტინე II ცდილობდა ეს მიღწევები იურიდიულად ასახულიყო ახალ ზავში. თავის მხრივ, ირანს ქართლისა და სომხეთის დაკარგვა ძალიან უჭირდა, რადგან ამითG ის სერიოზულ პოზიციებს დათმობდა კავკასიაში. ირანსა და ბიზანტიას შორის ზავი თითქმის გაფორმებული იყო, რომ მოულოდნელად ბიზანტიელები დამარცხდნენ სომხეთში, რომლის შემდეგაც ხოსრომ ზავის პირობები ისევ დაამძიმა. იუსტინეს შემდეგ ბიზანტიაში კეისარი გახდა

ტიბერიუსი (578–582 წწ.), ვითარება შეიცვალა ხოსრო I-ის გარდაცვალების შემდეგ. ირანის ახალი შაჰი გახდა ჰორმიზდი IV (579–590 წწ.), რომელიც იძულებული შეიქნა შეგუებოდა ქართლში ადგილობრივი მმართველობის აღდგენას, თუმცა, ქართლის ერისმთავარი შაჰის ვასალი გახდა.

შექმნილი ვითარებით ისარგებლეს ქართველებმა და სახელმწიფოებრიობა აღიდგინეს. ერისთავებს მეფე აღარ სურდათ, რადგან მეფეს ისინი უნდა დამორჩილებოდნენ. ხელშეუხებელი უნდა ყოფილიყო ერისთავთა უფლებები დასაკუთრებულ მიწებზე. ასეთ ვითარებაში დიდაზნაურებმა მათთვის მისაღები გამოსავალი მოძებნეს. Qქვეყნის ნომინალურ მმართველს ეწოდა არა მეფე, არამედ ერისმთავარი. ერისმთავარი იყო ,,პირველი თანასწორთა შორის", მისი ხელისუფლება მხოლოდ სიმბოლურად ითვლებოდა უზენაესად. ერისმთავარს არ შეეძლო ურჩი ერისთავების გადაყენება და დასჯა, მიუხედავად ამისა, ის მაინც ქვეყნის მმართველად ითვლებოდა. პირველ ერისმთავრად აირჩიეს გუარამი. ,,მოქცევაჲ ქართლისაჲს" თანახმად ,,ნელად-რე შეკრბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად გუარამ". ჯუანშერის თანახმად კი ამაში კეისრის ხელი ურევია: ,,ესრეთ რა უცალო იქმნეს სპარსნი, მაშინ შეითქუნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი, ზემონი და ქუემონი, და წარგზავნეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა, და ითხოვეს, რათა უჩინოს მეფე ნათესავთაგან მეფეთა ქართლისათა და რათა იყვნეს ერისთავნი იგი თჳს-თჳსსა საერისთაოსა შეუცვალებელად".

ბაგრატიონთა საგვარეულოს მემატიანის, სუმბატ დავითისძის მიხედვით, გუარამი ბაგრატიონი იყო, რომელიც ებრაელთა მეფეების დავითისა და სოლომონის შთამომავლად მიიჩნევა. ფარნავაზიანთა სამეფო დინასტიის შემდეგ (ქართლში მეფობის გაუქმების გამო), ბაგრატიონები მეორე სამეფო გვარი იყო, რომელმაც სამეფო ტახტი XIX საუკუნის დასაწყისამდე შეინარჩუნა. ბიზანტიის იმპერატორმა გუარამს კურაპალატის წოდება უბოძა.

ამ პერიოდის პოლიტიკურ ისტორიას ერთგვარად კიდევ უფრო ნათელს ხდის ქართლში მოჭრილი მონეტები. გურგენის მოღვაწეობის პერიოდში, VI საუკუნის 80-იან წლებში ქართლში მოჭრილ მონეტის შუბლზე გამოსახულია ჰორმიზდ IV, ხოლო ზურგზე კი მაზდეანობის სიმბოლო _ ღვთაებრივი ცეცხლი, რომელსაც მცველები იცავენ. ამ მონეტასთან დაკავშირებით ნუმიზმატი დ. კაპანაძე აღნიშნავს, რომ ქართულ მონეტაზე მაზდიანური სიმბოლოს გაჩენა – პოლიტიკური მნიშვნელობის აღმნიშვნელი უნდა იყოსო. როგორც, ჩანს ირანის გავლენა ამ დროს ქართლში ისევ მნიშვნელოვანი ყოფილა. მომდევნო მონეტაზე უკვე საკურთხეველზე არსებული ჯვარია გამოსახული, რაც აქ ირანელთა პოზიციების შესუსტებაზე უნდა მეტყველებდეს. ქართლის ახალმა ერისმთავარმა სტეფანოზ I-მა მოჭრა ახალი მონეტა, რომლის კიდეზე ასომთავრული ნიშნებით დააქარაგმა თავისი სახელი, მონეტის მთავარ ადგილას კი ისევ ჰორმიზდ IV-ეა გამოსახული. ეს მეტყველებს იმაზე, რომ სტეფანოზი თავიდან ისევ ირანს ემორჩილება.

590 წელს ირანის შაჰი ჰორმიზდ IV (579-590 წწ.) შეთქმულებმა მოკლეს. მოკლული შაჰის შვილი, ხოსროვ ფარვიზი (590-628 წწ.) ბიზანტიაში გაიქცა და მავრიკე (582-602 წწ.) იმპერატორს სთხოვა დახმარება. ბიზანტიის იმპერატორმაც არ გაუშვა ხელიდან შესაძლებლობა ჩარეოდა მისი მტრის საშინაო საქმეებში. მან ხოსროვ ფარვიზს თავისი ქალიშვილი შერთო ცოლად და ჯარით დაეხმარა ტახტის დაბრუნებაში. იმპერატორის დახმარების სანაცვლოდ შაჰმა ბიზანტიას დაუთმო შუამდინარეთის, სომხეთისა და ქართლის ნაწილი.

შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობიდან გამომდინარე, ქართლი მალე მთლიანად განთავისუფლდა ირანელთა ბატონობისაგან. Aამ დროს ერისმთავარი იყო სტეფანოზ I (591-604/605 წწ.). ბიზანტიის იმპერატორმა მას პატრიკიოსის ტიტული უბოძა. ბიზანტიურ ტიტულებს ატარებდნენ სტეფანოზის ძმა, შვილი და შვილიშვილიც კი.

სტეფანოზ I-ის მმართველობისას აიგო მცხეთის ჯვრის ტაძარი. როდესაც ნინომ ქართლი გააქრისტიანა, მისი მითითებით გაკეთდა სამი ხის ჯვარი. ერთი მათგანი დაიდგა მცხეთის პირდაპირ მთაზე. სწორედ ამ მთაზე დაიწყო ტაძრის მშენებლობა. ტაძარი ისე აშენდა, რომ ნინოს დროს აღმართული ჯვარი შიგნით მოექცა.

VII ს-ის დასაწყისში ბიზანტიაში დატრიალებულმა მოვლენებმა კვლავ შეცვალა ძალთა თანაფარდობა კავკასიაში.

საქართველო VII – VIII საუკუნეებში

602 წელს კონსტანტინეპოლში სამხედრო გადატრიალება მოხდა. ირანის შაჰმა ხოსრო II-მ მოიმიზეზა, რომ მას ბიზანტიის იმპერატორი დაეხმარა აჯანყების ჩახშობაში და ამ მოტივით თავადაც ჩაერია ბიზანტიის იმპერიის საქმეებში. სინამდვილეში ეს მხოლოდ საბაბი იყო. ირანელებმა ბიზანტიის წინააღმდეგ ომი დაიწყეს. ბიზანტიელები მარცხს მარცხზე განიცდიდნენ. 611-614 წლებში ირანელებმა დაიკავეს სირია, პალესტინა და იერუსალიმი.

გართულდა ვითარება კავკასიაშიც. ქალკედონის კრების შემდეგ დაირღვა კავკასიის ქვეყნების სარწმუნეობრივი ერთობა. სომხეთში მონოფიზიტობამ გაიმარჯვა. განსაკუთრებით გართულდა ვითარება VII საუკუნის დასაწყისში.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ცურტავის ეპისკოპოსო მოსე (წარმშობით სომეხი), რომელიც მონოფიზიტობას უჭერდა მხარს, სომხეთში გაიქცა და დახმარება ითხოვა. მოსემ საქმე ისე წარმოაჩინა, რომ თითქოს ქართველები სდევნიდნენ. მოსეს დაცვა თავს იდვა სომხეთის კათალიკოსმა. გაიმართა მიწერ-მოწერა სომხეთის კათალიკოსსა და ქართლის კათალიკოსს კირიონ I-ს შორის. მოსე ცურტავის ეპისკოპოსის საკითხი მალე მიივიწყეს და წინ წამოიწია უმთავრესმა პრობლემებმა, კერძოდ, სომხური ეკლესია ბრალს სდებდა ქართულ ეკლესიას რწმენის დამახინჯებაში. ქართლის კათალიკოსი ძალიან ჭკვიანურად და ფრთხილად მოქმედებდა. პოლიტიკური სიტუაცია ქართლისათვის საზიანო იყო. მონოფიზიტობის უკან ირანი იდგა. დიოფიზიტური ბიზანტია ანგარიშგასაწევ ძალას აღარ წარმოადგენდა და მისი დახმარების იმედი ქართლს არ ჰქონდა. კირიონმა შესანიშნავად გაართვა თავი შექმნილ მდგომარეობას, დაიცვა დიოფიზიტობა და საშუალება არ მისცა მოწინააღმდეგეს გამოეყენებია მისთვის სასურველი მდგომარეობა. საბოლოოდ ეს კონფლიქტი 608 წელს საეკლესიო განხეთქილებით დასრულდა. 610 წელს ბიზანტიაში ახალი გადატრიალება მოხდა. იმპერატორი გახდა ჰერაკლე. თავიდან ვერც ჰერაკლემ შესძლო მდგომარეობის გამოსწორება. ირანის შაჰმა ხოსრო II-მ ამით ისარგებლა და აქტიური ანტიბიზანტიური პოლიტიკის გატარება დაიწყო., რაც დიოფიზიტების დევნაში გამოიხატა. ეს საკითხი ქართლს მტკივნეულად შეეხო. VII საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს კათალიკოსი კირიონ I იძულებული გახდა ერისმთავარ ადარნასესთან ერთად ქართლი დაეტოვებია.

საბოლოოდ, იმპერატორმა ჰერაკლემ შესძლო ახალი არმიის შექმნა და თავად გადავიდა შეტევაზე. იმპერატორი შეიჭრა სომხეთში, ალბანეთში და რამდენიმე მარცხი აგემა ირანს. 627 წელს ჰერაკლე ჯერ დასავლეთ საქართველოში შევიდა, დაუკავშირდა ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ხაზარებს და თბილისზე ლაშქრობა შესთავაზა, რაზეც ხაზარები დათანხმდნენ. თურქულენოვანი ხაზარები ჩრდილოეთ კავკასიაში ჰუნების შემდეგ

ჩნდებიან. მათი ძირითადი საქმიანობა სტეპებში მომთაბარეობა იყო. 627 წელს ბიზანტიელები და ხაზარები თბილისს შემოადგნენ, მაგრამ თბილისის აღება ვერ შეძლეს. ჰერაკლე შუამდინარეთისკენ დაიძრა, სადაც დაამარცხა ირანელთა ლაშქარი. 628 წელს ხაზარები კვლავ შემოადგნენ თბილისს. აიღეს ქალაქი და საშინლად მოაოხრეს. იმავე 628 წელს დაიდო ზავი ირანსა და ბიზანტიას შორის. ამ ზავით ჰერაკლემ დაიბრუნა სომხეთი, სირია, მესოპოტამია, ეგვიპტე და ქართლიც. საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ თბილისის აღებამდე წყაროები ასახელებენ ბიზანტიის მხარეზე მებრძოლ იბერიელებს. სავარაუდოა, რომ ეს იყო ქართლიდან დევნილი ადარნასე ერისმთავარი (კახეთში აფარებდა თავს) თავისი სამხედრო რაზმით. ჰერაკლემ ვერ შეძლო დიდხანს ესარგებლა თავისი გამარჯვების შედეგით, რადგან მსოფლიოს ახალი დამპყრობლები _ არაბები მოევლინენ.

სახალიფოს წარმოქმნა და არაბთაA პირველი დაპყრობები. არაბები უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ არაბეთის ნახ. კ.-ზე. მათი ძირითადი საქმიანობა მომთაბარე მეცხოველეობა იყო (ჩრდილოეთში მომთაბარე არაბებს ბედუინები ერქვათ). სამხრეთის რაიონები ეკონომიურად უფრო დაწინაურებული იყო. აქ გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები. სწორედ სავაჭრო გზაზე მდებარეობამ განაპირობა ქალაქ მექას დაწინაურება. ამ ქალაქში, ვაჭრის ოჯახში 570 წელს დაიბადა მუჰამედი, რომელმაც შექმნა ახალი რელიგია ისლამი. მის ქადაგებებს პირველად უარყოფითად შეხვდნენ და მუჰამედი იძულებული გახდა 622 წელს გადასულიყო მექადან მედინაში, რასაც ჰიჯრა ჰქვია. აქედან აითვლიან თავიანთ წელთაღრიცხვას მუსლიმები. მუჰამედმა ნელ-ნელა მოახერხა ახალი რელიგიის გავრცელება და არაბეთის გაერთიანება. 632 წელს, მუჰამედის გარდაცვალების შემდეგ, სათავეში ოთხი მართლმორწმუნე ხალიფა მოვიდა. ესენი იყვნენ: აბუ ბაქრი (632-634 წწ.), ომარი (634-644 წწ.), ოსმანი (644-656 წ.) და ალი (656-661 წწ.).. პირველი ხალიფების დროს არაბები სერიოზულ წარმატებებს აღწევდნენ. ბიზანტია და ირანი ურთიერთბრძოლების შედეგად დასუსტებულები იყვნენ და არაბები ორთავეს ამარცხებდნენ. არაბების სასარგებლოდ კიდევ ერთი ფაქტორი მოქმედებდა: დაპყრობილი ხალხები მათ განმათავისუფლებლად მიიჩნევდა. არაბებმა VII საუკუნის 30-იან წლებში დაიკავეს: დამასკო, იერუსალიმი, ანტიოქია, მთელი შუამდინარეთი და ეგვიპტე.

ამავე პერიოდში არაბები სომხეთში შეიჭრენ და ქართლის დაპყრობაც განიზრახეს. მათ ელჩი გამოგზავნეს ქართლში და შესთავაზეს ან დამორჩილება ან აყრა და სხვა ქვეყანაში გადასახლება. ქართველებმა მორჩილებაზე უარი თქვეს. არაბებმა ქართლის დალაშქვრა განიზრახეს, მაგრამ ზამთარმა შეუშალათ ხელი.

<u>არაბთა მიერ საქართველოს დაპყრობა.</u> VII საუკუნის 50-იან წლების დასაწყისში არაბებმა გაანადგურეს ირანი, დაიპყრეს შუა აზია და ინდოეთამდე მიაღწიეს. 654 წელს მათ დაამარცხეს ბიზანტიელები, სომხები და ქართლის საზღვარს მოადგნენ. ქართლის ერისმთავარმა სტეფანოზ II-მ სწორი გადაწყვეტილება მიიღო: მან არბთა სარდალს ჰაბიბ იბნ-მასლამას დაზავება სთხოვა. ირანი აღარ არსებობდა, ბიზანტია განცდილი მარცხის გამო ანგარიშგასაწევ ძალას აღარ წარმოადგენდა. ასეთ ვითარებაში მარტოდ დარჩენილი ქართლის ბრძოლას აზრი აღარ ჰქონდა. ქართველებსა და არაბებს შორის დაიდო ,,დაცვის სიგელი”. რომლის თანახმადაც ქართველები იხდიდნენ გადასახადს ერთ კომლზე ერთ დინარს. მათ არ ჰქონდათ უფლება გადასახადის შემცირების მიზნით კომლები გაეერთიანებინათ, ხოლო არაბებს პირიქით _ კომლი გაეყოთ. თუ ქართველი მიიღებდა ისლამს, ის გადასახადებისაგან განთავისუფლდებოდა. ქართველები ვალდებული იყვნენ დახმარებოდნენ არაბებს, ჩამორჩენილი მუსლიმი მიეყვანათ არაბთა უახლოეს რაზმამდე.

სამაგიეროდ არაბები დაიცავდნენ ქართველებს სხვათა შემოსევებისაგან. თუ არაბთა არყოფნის დროს ქართველები ვინმეს დამორჩილდებოდნენ, ეს მათ დანაშაულად არ ჩაეთვლებოდათ.

VII ს-ის 50-იანი წწ-ის ბოლოს სახალიფოში ატყდა შინაომები, რომელიც რამდენიმე წელი გრძელდებოდა. ამით ისარგებლეს ქართველებმა და VII საუკუნის 80-იანი წლებში ქართლის ერისმთავარმა ნერსე I-მა, არათუ ქართლიდან განდევნა არაბები, არამედ სომხეთიდანაც გააძევა ისინი.

არაბთა დროებითი დასუსტებით ისარგებლა ბიზანტიამაც და, VII საუკუნის მეორე ნახევარში მეფობა გააუქმა ლაზიკაში (ეგრისში) და მის მმართველს პატრიკიოსის ტიტული მიანიჭა. ბიზანტიელთა აგრესიულმა პოლიტიკამ აჯანყება გამოიწვია. პატრიკიოსმა სერგი ბარნუკის ძემ 697 წელს არაბები დასავლეთ საქართველოში გადმოიყვანა. ეგრისელებმა ნაცად ხერხს მიმართეს და ერთ დამპყრობელს მეორე დამპყრობელი დაუპირისპირეს. მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა ხაზართა პერიოდული შემოსევები.

VIII საუკუნის დასაწყისში სახალიფოში შინაომები დამთავრდა და არაბებმაც განაახლეს დაპყრობები. ჩრდილოეთ აფრიკის დაპყრობის შემდეგ არაბები გადავიდნენ გიბრალტარის სრუტეზე და 3 წელიწადში დაიპყრეს მთელი პირინეის ნახევარკუნძული. ევროპაში არაბების შეჩერება მხოლოდ 732 წელს შეძლეს ფრანკებმა, როდესაც პუატიესთან დაამარცხეს არაბები. ამის პარალელურად, სახალიფო ააქტიურებს პოლიტიკას აღმოსავლეთშიც.

VIII საუკუნის დასაწყისში არაბთა ხელისუფლებას დაემორჩილა როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთ საქართველო. არაბთა გარნიზონები იდგა თბილისსა და ციხე-გოჯში. ბიზანტია ცდილობდა თავისი ზეგავლენა აღედგინა დასავლეთ საქართველოში და ჯარი გამოგზავნა ეგრისში. ბიზანტიელებმა ალყა შემოარტყეს ციხე-გოჯს. არაბმა მეციხოვნეებმა შეძლეს მათი იერიშის მოგერიება. არაბებმა დამატებითი ძალები გამოგზავნეს ციხე-გოჯში. ბიზანტიელებმა თავი აარიდეს მათთან შეტაკებას და უკან დაიხიეს. თუმც ბიზანტიელებმა მაინც შეძლეს თავისი პოზიციების ნაწილობრივ აღდგენა _ დაიქვემდებარეს საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთით მცხოვრები აბაზგები და აფშილები.

მეტად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა აღმოსავლეთ საქართველოში. ხაზარები არაბთა შემოსევებისაგან თავის დაცვის მიზნით საპასუხო ლაშქრობებს აწყობდნენ სამხრეთ კავკასიაში. VIII საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში ქართლში მოვიდა არაბი სარდალი ჯარაჰი. მის მთავარ მიზანს ხაზარების დამარცხება წარმოადგენდა. ჯარაჰმა 724 წელს განაახლა ,,დაცვის სიგელი”, გაზარდა ჯიზია (ერთ სულზე ერთი დინარი) და დააწესა ახალი გადასადი **(ხარაჯა).** არაბებსა და ხაზარებს შორის მიმდინარე ომში საშინლად აოხრდა და გაპარტახდა ქართლი, გაწყდა მოსახლეობა, დაეცა ეკონომიკა. არაბთა ახალი გადასახადების გადახდა უმძიმეს მდგომარეობაში აგდებდა ქვეყანას. გატანჯულმა მოსახლეობამ რამდენჯერმე სცადა აჯანყების მოწყობა.

730 წელს ხაზართა დიდი ჯარი ქართლში დარიალის გზით გადმოვიდა. ქართლის ერისმთავარი მათ უჩვენებდა არაბების რაზმების განლაგების ადგილებს, რის შედეგადაც ხაზარებმა დაამარცხეს არაბები. კავკასიის და ხაზარების საბოლოოდ დასამორჩილებლად ხალიფა ჰიშამმა (724-743 წწ.) 120 000 არმია გამოგზავნა თავისი ბიძაშვილის მერვან იბნ-მუჰამედის (იგივე მურვან ყრუს) სარდლობით. 735 წელს მურვან ყრუ საქართველოში შემოვიდა. ქართლის აოხრების შემდეგ იგი დასავლეთ საქართველოში გადავიდა. შეიპყრო

და აწამა არგვეთის მთავრები _ დავითი და კონსტანტინე. ძმებმა უარი თქვეს ისლამის მიღებაზე და მოწამებრივად აღესრულენ. ქართულმა ეკლესიამ ისინი წმინდანებად შერაცხა. მურვანმა აიღო ციხე-გოჯი, ცხუმი და მიადგა ანაკოფიის ციხეს, სადაც ქართლის ერისმთავარი მირი და მისი ძმა არჩილი იმყოფებოდნენ. მათ ეხმარებოდათ აფხაზეთის ერისთავი ლეონი. არაბებმა ციხე ვერ აიღეს და უკან გამობრუნდნენ.

არაბთა ამ ლაშქრობის შემდეგ აოხრდა მთელი საქართველო. არაბებმა ქართლში უკვე თავიანთი მოხელე _ ამირა (უფროსი) დანიშნეს მართველად. ქართლის ერისმთავრის თანამდებობა არ გაუქმებულა, უბრალოდ, ერისმთავარი დაექვემდებარა თბილისში მჯდომ ამირას. უმნიშვნელოვანეს ციხეებში არაბთა გარნიზონები ჩააყენეს. საქართველოს დალაშქვრის შემდეგ მურვანმა ჩრდილო კავკასიაში ხაზარებიც დაამარცხა და უკან გამობრუნდა. მალე იგი ხალიფაც გახდა.

VIII საუკუნის მეორე ნახევარში, არაბების წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ედგა ერისმთავარი ნერსე II. ამის გამო 772-773 წლებში ნერსე ხალიფასთან დაიბარეს, დააპატიმრეს და 3 წელი ტყვედ ჰყავდათ. სწორედ მაშინ დაუახლოვდა ნერსე აბოს, რომელიც განთავისუფლების მერე თან წამოყვა ერისმთავარს ქართლში. ნერსე არ წყვეტდა თავის ანტიარაბულ საქმიანობას, რის გამოც იძულებული შეიქნა თავისი ოჯახითურთ ხაზარებთან გახიზნულიყო. ნერსე ხაზარებისაგან დახმარებას ელოდა, მაგრამ ამაოდ _ ხაზარებმა თავი შეიკავეს არაბების წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებისაგან.

იოანე საბანისძის მიხედვით არაბმა მუსლიმმა აბომ მიიღო ქრისტიანობა. ეს არაბების ისეთი მარცხი იყო, რომ მას ბრძოლის ველზე მოპოვებული ვერანაირი გამარჯვება ვერ აანაზღაურებდა. 786 წელს Aაბოს თავი მოკვეთეს არაბებმა, იმის გამო, რომ მან არ უარყო ქრისტიანობა. მისი ცხედარი დაწვეს და ფერფლი მტკვარში გადაყარეს.

VIII საუკუნის ბოლოს არაბთა ბატონობა ნელ-ნელა შეირყა საქართველოში.

სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბება

საქართველოში არაბთა ბატონობის სიმძიმე ყველაზე მეტად ქართლში იგრძნობოდა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ქართლი წარმოადგენდა ქვეყნის ცენტრს, სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონს და ნებისმიერი შემოტევის დროს პირველ დარტყმას არაბებისაგან სწორედ ქართლი იღებდა. არაბებმა ვერ მოიკიდეს მტკიცედ ფეხი დასავლეთ საქართველოში, ასევე უჭირდათ მათ კახეთის მთიანეთის შენარჩუნებაც. არაბთა სახელმწიფო უზარმაზარ ტერიტორიაზე იყო გადაჭიმული: ევროპაში, აფრიკასა და აზიაში. უზარმაზარი იმპერიის ერთი ცენტრიდან მართვა შეუძლებელი იყო. სახალიფო წარმოადგენდა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგარი ქვეყნებისა და ხალხების ისეთ გაერთიანებას, რომლის სიმტკიცე მხოლოდ სამხედრო ძალაზე იყო დამოკიდებული. VIII საუკუნის ბოლოს დაიწყო სახალიფოს დასუსტება, რაც საქართველოშიც საგრძნობი გახდა. არაბთა წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლების პერიოდში საქართველოში იწყება სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბება.

კახეთი სამთავრო . არაბი სარდლის ჰაბიბ იბნ-მასლამას (654 წ.) სამხედრო ოპერაციების შედეგად, წანარები, აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მცხოვრებლებთან ერთად, მათი მოხარკენი ხდებიან, მაგრამ VIII საუკუნის შუა წლებში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მცხოვრებლებმა, ჩანს, შეუწყვიტეს არაბ დამპყრობლებს ხარკი. ამიტომაც, არაბებს 754 წლის ახლო ხანებში მოუხდათ ამ მთიანი რაიონების მცხოვრებლების _ წანარების ხელმეორედ დახარკვა.

წანარები ერთ-ერთი კახური ტომია, რომლის პირველსაცხოვრისი დარიალის ხეობაში (დაახლოებით ახლანდელ ხევში) ლოკალიზდება. არაბული წყაროებიდან ჩანს, VIII საუკუნის ბოლოსათვის წანარები ამ დროს საკმაოდ დიდ ძალას წარმოადგენდნენ და არაბ სარდალს ჰუსეინს მათთან ბრძოლა გასჭირვებია. ჰუსეინმა ხალიფასაგან დამხმარე ძალაც კი მოითხოვა და ხალიფამ მას 20 000-იანი დამხმარე რაზმი გამოუგზავნა. არაბთა ჯარის მრავალრიცხოვნობამ თავისი გაიტანა და მათ გაიმარჯვეს. წანარებმა ამ ბრძოლის დროს 16000 კაცი დაკარგეს. თუმცა საბოლოოდ VIII ს. 80-იან წლებში კახეთი მაინც ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სამთავროდ. არაბთა წინააღმდეგ ბრძოლის პარალელურად წანარებმა მეზობელი მხარეების შემოერთებაც მოახერხეს.

მაგრამ, მხოლოდ ხელსაყრელ საგარეო პირობებს, არ გამოუწვევია სამთავროს ჩამოყალიბება და მისი დამოუკიდებლად არსებობა. საამისო ნიადაგი, ბუნებრივია პირველ რიგში, ქვეყნის საშინაო პოლიტიკურ ვითარებაშია საძიებელი.

კახეთის მომავალი სამთავროს ტერიტორიაზე VII-VIII საუკუნებში საკმაოდ დიდი სამშენებლო მუშაობა წარმოებდა. დაახლოებით ამ პერიოდში იქნა აგებული უჯარმა, ბოჭორმა, კვეტარი, ვერონას ციხე, ჟალეთი, სიონი (ივრის ხეობის), სიონი (ყაზბეგის რაიონის), ახალციხე (ხევში) და მრავალი სხვა. ეს კახეთის სამთავროს ეკონომიკური სიძლიერის უტყვი დასტურია.

VIII საუკუნის ბოლოსათვის კახეთის სამთავრო ტერიტორიულად არ მოიცავდა იმ მიწა-წყალს, რაც გვიანფეოდალურ ხანაში კახეთის სამეფოს სახით არსებობდა და რასაც ჩვენ დღეს კახეთს ვუწოდებთ. კახეთის სამთავრო ტერიტორიულად მოიცავდა კახეთ-კუხეთ-გარდაბანს. ამ სამთავროს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჰერეთის სამთავრო ესაზღვრებოდა. საზღვარი კახეთ-ჰერეთს შორის ამ დროს დაახლოებით ხუნანის სამხრეთიდან იწყებოდა. დასავლეთიდან კახეთის სამთავროს მდ. არაგვი და თბილისის საამირო ესაზღვრებოდა.

თავდაპირველად კახეთის სამთავროს ჩამოყალიბების პროცესი აღმოსავლეთ ქართლის ჩრდილო რაიონებში იწყება, რომელიც შედარებით ნაკლებად იქნა დაზარალებული არაბებისაგან. მათ დაიწყეს ბრძოლა არაბული უღლის გადაგდებისა და აქ სამთავროს ჩამოყალიბებისათვის. ამ ბრძოლის სათავეში ედგა წანარები, რომელნიც ცხოვრობდნენ დღევანდელი ყაზბეგის რაიონში. მათ სწორედ აქედან დაიწყეს შეტევა არაბების წინაღმდეგ კეხეთის მიმართულებით.

კახეთის სამთავროს ჩამოყალიბების პერიოდში ამ პოლიტიკური ერთეულის ცენტრი შეიძლება ყოფილიყო ციხე ქალაქი უჯარმა, მაგრამ უჯარმამ მალე დაკარგა მნიშვნელობა და სამთავროს ცენტრი თიანეთში იქნა გადატანილი. ამ დროისათვის თიანეთის რაიონი საკმაოდ დაწინაურებული მხარეა. აქ მრავლადაა ციხე-სიმაგრეები (ბოჭორმა, უჯარმა, ვერონა, კვეტერა და სხვ.). ივრის ხეობა მჭიდროდ დასახლებული რაიონია. უჯარმიდან ზევით, დაახლოებით იმ რაიონამდე, სადაც ივრის ხეობა არაგვის ხეობას ემიჯნება, ივრის ორივე ნაპირას დიდი რაოდენობითაა პატარა ეკლესიები.

სახელწოდება კახეთი, კახეთის საერისთავოდან თავდაპირველად კახეთის სამთავროში გაერთიანებულ კახეთ-კუხეთზე გადადის, ხოლო შემდეგ კახეთის მთავრების მიერ დაპყრობილ და თავის სამთავროსთან შემოერთებულ ჰერეთის სამთავროზეც. ამიერიდან ეს გაერთიანებული კახეთ-ჰერეთის სამეფო კახეთად იწოდება. სწორედ ამითაა გამოწვეული ის გარემოება, რომ გაერთიანების ხანის ქართულ წყაროებში ტერმინები "კახეთი", "კუხეთი" და "ჰერეთი" ხშირად ერთმანეთს ენაცვლება.

კახეთის მთავრები ქართულ წყაროებში ქორეპისკოპოსის ტიტულით იხსენიებიან, რომელიც თავდაპირველად არჩევითი იყო. მაგრამ ეს არჩევითობა იმავე IX საუკუნეში ქორეპისკოპოსთა დადგინების თანახმად მემკვიდრეობითი წესით შეიცვალა.

გაერთიანებული კახეთის სამთავრო ადმინისტრაციულად დაყოფილია საერისთავოებად. პირველია: ისტორიული კუხეთი, რომელიც ერთ საერისთავოს შეადგენდა ცენტრით რუსთავში, ხოლო ისტორიულ კახეთში შედიოდა მეორე და მესამე ადმინისტრაციული ერთეულები, რომელთა ცენტრიც იყო კვეტერასა და პანკისში.

ამრიგად, VIII საუკუნის დასასრულს ჩამოყალიბდა კახეთის სამთავრო კახთა ქორეპისკოპოსით სათავეში.

კახეთის სამეფო იმთავითვე მოექცა ბაგრატ III-ის ყურადღების არეში. ბაგრატი ჯერ კახეთის მიერ მიტაცებულ ქართლის ციხეებს მოითხოვს ქორეპისკოპოს დავითისაგან, მაგრამ დავითი არ თმობს ქართლის ციხეებს. მაგრამ, დავითის გარდაცვალებისთანავე, 1010 წელს, ბაგრატ მეფემ დაიკავა ჰერეთიცა და კახეთიც. **ჰერეთი სამთავრო.** კახეთის აღმოსავლეთით VIII საუკუნის მეორე ნახევარში წარმოიქმნა ჰერეთის ქართული სამთავრო. მისი ჩამოყალიბება ქრონოლოგიურად მოხდა ქართულ ადრეფეოდალურ სამეფო-სამთავროთა პარალელურად. ჰერეთი ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასლის დროს წარმოადგენდა ქართლის სამეფოს ერთ-ერთ საერისთავოს, შემდეგ კი იგი შედიოდა ქართლის საერისთაოს შემადგენლიბაში. VI საუკუნეში ქართლის საერისმთავროს აღმოსავლეთ ნაწილში ჩამოყალიბდა ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული კახეთისა და ჰერეთის სახით.

ჰერეთის დამოუკიდებელ სამთავროდ ჩამოლყალიბება დაახლოებით VIII საუკუნის დასასრულს უნდა მომხდარიყო. ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი ჰერეთის სამთავროს შექმნას ქართლის ერისმთავრის ჯუანშერის გარდაცვალებას უკავშირებს, რომლის სიკვდილის თარიღად ის 787 წელს მიიჩნევს. ჰერეთის ფეოდალური სამთავროს შექმნა საქართველოს ადრინდელი ფეოდალიზმის იმ ეტაპს უკავშირდება, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე იქმნება მთელი რიგი ასეთი ფეოდალური პოლიტიკური ერთეულები.

ჰერეთის ტერიტორიას ლეონტი მროველის ”მეფეთა ცხოვრება” ასე განსაზღვრავს: ”ხოლო ჰეროსს მისცა ქუეყანა მტკურისა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა თავიდგან ვიდრე ტყე-ტბამდენ; რომელსა აწ ჰქვიან გოლგოლა, და ამან ჰეროს აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთასა და უწოდა სახელი თუისი ჰერეთი; და მის გამო ჰქვიან ჰერეთსა ჰერეთი, და აწ მას ადგილსა ჰქვიან ხორანთა”. წყაროს მტკვრის ჩრდილოეთი ნაწილი მტკვრის მარცხენა სანაპირო უნდა იყოს; მცირე ალაზნის თავი, მდინარე ივრის შესართავია, ტყე-ტბა კი თელავთანაა, ე.ი. იორ-ალაზნის შესართავიდან – თელავამდე. ამგვარად, ჰერეთის სამთავროს საზღვრებია სამხერთ-დასავლეთიდან მტკვარი, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან კავკასიონი. უკიდურესი სამხრეთი პუნქტია იორ-ალაზნის შესაკრებელი, ხოლო უკიდურესი ჩრდილოეთი – თელავი. ვახუშტი ბაგრატიონი აზუსტებს ამ ცნობებს. საზღვარი ჰერეთსა და კახეთს შორის შტორის, თურდოსა და სამების ხევებზე გადისო.

ჰერეთის მთავრები უნდა იყვნენ ბაგრატიონთა დინასტიის ერთერთი შტოს წარმომადგენლები. IX საუკუნის ბოლოს ჰერეთის მთავარი იღებს მეფის ტიტულს _ ,,რანთა მეფე” (,,არან შაჰი”).

ჰერეთის ჩამოყალიბება დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის სახით, გარდა სხვა საგარეო და საშინაო პოლირიკური ფაქტორებისა განაპირობეს ჰერეთის ეკონომიურმა

განვითარებამაც. ჰერეთის ეკონომიურ დაწინაურებაზე VIII–IX საუკუნეებში მეტყველებენ ისტორიული ჰერეთის მიწა-წყალზე შემორჩენილი მატერიალური კულტურის მრავალრიცხოვანი ძეგლები. სამთავროს ხელსაყრელი პირობები თავიდანვე უწყობდნენ ხელს აქ მარცვლეული კულტურების, მესაქონლეობისა და სოფლის მეურნეობის ინტენსიური დარგების: მებაღეობა-მევენახეობის განვითარებას. ჰერეთზე გადიოდა ერთ-ერთი მთავარი გზა, რომელიც ამიერკავკასიის ხალიფას მოხელის რეზიდენციას ბარდავს საქართველოსთან აკავშირებდა, რაც ერთგვარად უწყობდა ხელს ამ მხარის ეკონომიკურ დაწინაურებას. ჰერეთის სამთავროს საკმაო მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა სახალიფოსთან, რასაც სამთავროს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ამ ხანის მრავალრიცხოვანი არაბული მონეტები ადასტურებენ. ჰერეთის სამთავრო არაბთა მსოფლიო სატრანზიტო ვაჭრობაში საკუთარი საქონლითაც კი მონაწილეობდა.

ადმინისტრაციულად ჰერეთი საერისთავოებად იყო დაყოფილი. ვახუშტი ჰერეთში ოთხ საერისთავოს ასახელებს: ”ერისთავი შტორისა, ერისთავი ხურნაბუჯისა, ერისთავი ვეჯინისა, ერისთავი მაჭისა”.

საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის ხანაში (IX-X სს.) ჰერეთის საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევას და მასზე თავისი ხელისუფლების გავრცელებას ენერგიულად ცდილობენ ეგრის-აფხაზეთის მეფეები, კახთა ქორეპისკოპოსები, გაერთიანებული საქართველოს მეფეები... მეორე მხრივ, როგორც ცნობილია, ჰერეთის მიმართ ასეთ ტენდენციას სომხეთიც ამჟღავნებდა. ჰერეთი საბოლოოდ ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა.

<u>აფხაზეთი სამეფო</u>. განსხვავებულ ვითარებაში ხდება აფხაზთა სამეფოს ჩამოყალიბება. საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთში არაბთა ბატონობა თითქმის არ დამყარებულა (მურვან ყრუმაც კი ანაკოფიის იქით წასვლა ვერ მოახერხა). აქ ძირითად მოწინააღმდეგედ ბიზანტია ითვლებოდა. VIII საუკუნის ბოლოს იწყება აფხაზთა საერისთაოს გაძლიერება. თავდაპირველად ამას ხელსაც კი უწყობდნენ ბიზანტიელები, რათა გაძლიერებული საერისთავო არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოეყენებინათ.

დასავლეთ საქართველოში VIII საუკუნის ბოლოს წარმოიქმნა ახალი ერთიანი სახელმწიფო, რომელიც ცნობილია ეგრის-აფხაზეთის სამეფოს სახელწოდებით. ,,ქართლის ცხოვრების” ავტორები მას ,,აფხაზეთს,’’ ან ,,აფხაზთა სამეფოს” უწოდებდნენ, სომხური წყარო (იოანე კათალიკოსი) კი _ ,,ეგრისს,’’ ვახუშტი ბატონიშვილი კი აღნიშნავს: ,,ეგრისის ქვეყანა ანუ აფხაზეთისა”-ო. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში მას დაუმკვიდრდა ,,ეგრის-აფხაზეთი"-ს სახელი, რამდენადაც მასში გაერთიანდა აბაზგია (აფხაზეთი) და ლაზეთი (ეგრისი).

საკუთრივ ,,ეგრის-აფხაზეთის’’ სამეფო მემკვიდრე იყო არა მარტო ეგრისის, არამედ ქართლის საერისმთავროსიც, რამდენადაც VII-VIII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში (გარდა აბაზგიისა) დამყარებული იყო ქართლის ერისმთავართა პოლიტიკური გავლენა.

ეგრისის (ლაზეთის) სამეფო VI საუკუნის მეორე ნახევრიდან დასუსტდა და დაკარგა თავისი სუვერენული ძალაუფლება აბაზგიზე, აფშილეთზე, მისიმიანეთზე, სანიგეთზე და სვანეთზე, რომლებიც წარმოადგენდნენ დასავლეთ საქართველოს სამთავროებს. ხოლო ქართების განსახლების მხარეები: მუხირისი _ სამოქალაქო (ქუთაისის რაიონი) და არგვეთი ეგრისს გამოეყო და ქართლის ერისმთავარს დაექვემდებარა. გაძლიერებულმა ქართლის ერისმთავრებმა (რომლებმაც 591 წლის ბიზანტია-ირანის ზავით მოიპოვეს ირანისაგან დამოუკიდებლობა და ბიზანტიური ტიტულებიც მიიღეს), ბიზანტიის

მხარდაჭერით თავის გავლენაში მოაქციეს ეგრისი (ლაზეთი). ,,ქართლის ცხოვრებაში" ასახული ქართული ისტორიული ტრადიციით, ქართლის ერისმთავრები დაეუფლნენ მთელ დასავლეთ საქართველოს, აბაზგიის არქონატის გარდა. ეს უკანასკნელი უშუალოდ ბიზანტიას ექვემდებარებოდა, მისი გამგებელი არქონტი კი ბიზანტიის მოხელე გახლდათ.

ამრიგად, დასავლეთ საქართველოში ეგრისმა დაკარგა ჰეგემონობა. VII-VIII საუკუნეებში აქ ჰეგემონობისაკენ მიისწრაფოდა ორი პოლიტიკური ძალა: ბიზანტიის მიერ შექმნილი და გაძლიერებული აფხაზთა სამთავრო (აბაზგიის არქონატი) და ბიზანტიისავე მფარველობაში მყოფი ქართლის საერისთავო. ამ ორი პოლიტიკური ძალის (აფხაზეთის სამთავროს და ქართლის საერისმთავროს) მეტოქეობას დასავლეთ საქართველოში წერტილი დაუსვა არაბთა ბატონობის დამკვიდრებამ ქართლში, რომელსაც შედეგად მოჰყვა აქ ერისმთავართა ხელისუფლების დაკნინება. პოლიტიკური ჰეგემონობა დასავლეთ საქართველოში აფხაზთა მთავარს დარჩა, ქართლის ერისმთავარმა VIII საუკუნის მეორე ნახევარში დათმო ასპარეზი დასავლეთ საქართველოში.

,ქართლის ცხოვრება" (ჯუანშერი ,,მატიანე ქართლისა'') აფხაზთა მთავრის ლეგიტიმურ უფლებას დასავლეთ საქართველოს გამგებლობაზე ასაბუთებს მის დანათესავებით ქართლის ერისმთავართა სახლთან. მაგალითად, ქართლის ერისმთავრის მირის გარდაცვალების შემდეგ, მისმა ძმამ არჩილმა, აფხაზთა მთავარს ლეონ I-ს (VIII საუკუნის 40-იანი წლები) ცოლად მისცა მირის ასული გურანდუხტი და გადასცა აგრეთვე, ბიზანტიის კეისრისგან მირისათვის გამოგზავნილი გვირგვინი. არჩილმა ლეონი შეიწყალა თავის ვასალად. როდესაც გარდაიცვალა არჩილის ძე იოვანე, ხოლო მეორე ვაჟი ჯუანშერი დაბერებული იყო, აფხათა მთავარი ლეონ II (ლეონ I-ის ძმისწული) გახდა მთელი დასავლეთ საქართველოს მეფე.

ამრიგად, ძველი ქართული ისტორიული ტრადიცია ეგრის-აფხაზეთის მეფეებს მიიჩნევს ქართლის ერისმთავრების მემკვიდრეებად დასავლეთ საქართველოში. იმავე ქართულ ისტორიულ ტრადიციას ასაბუთებს ვახუშტი ბატონიშვილიც. ის საუბრობს: ,,ძმისწულმან ლეონ აფხაზთა ერისთავისამან მეორემან ლეონ დაიპყრა სრულიად ეგრისი და იწოდა მეფედ აფხაზთა ... ". ვახუშტი ბატონიშვილი ლეონის გამეფების თარიღად მიიჩნევს 787 წელს.

შემდეგი ეტაპი დასავლეთ საქართველოს გაერთიანების პროცესისა ასახულია ,,ქართლის ცხოვრებაში", რომლის მიხედვით ბიზანტიის ვასალი, აფხაზთა მთავარი ლეონ II გადაიქცა ერთიანი დასავლეთ საქართველოს დამოუკიდებელ მონარქად _ ეგრის-აფხაზეთის მეფედ. ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ტერიტორიამ მოიცვა მთელი დასავლეთ საქართველო. Mმისი დასავლეთი საზღვარი იყო პონტოს (შავი) ზღვა, აღმოსავლეთის საზღვარი – ლიხის მთა, სამხრეთის – აჭარა-ახალციხის, ანუ მესხეთის ქედი, ხოლო ჩრდილოეთისა კი _ კავკასიონის ქედი. ჩრდილო-დასავლეთით ის მოიცავდა სამხრეთ ჯიქეთს ნიკოფსიითურთ, სამხრეთ-დასავლეთით – ჭოროხის ხეობას.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით აფხაზთა სამეფო დაყოფილი იყო რვა საერისთაოდ: 1. აფხაზთა; 2. ცხუმის; 3. ეგრისის (ცენტრი – ბედია); 4. გურიის; 5. რაჭა-ლეჩხუმის; 6. სვანეთის; 7. არგვეთის (ცენტრი – შორაპანი); 8. ქუთაისის. სამეფოს დედაქალაქი იყო ქუთაისი.

Eეგრის-აფხაზეთის სამეფო ქრისტიანული სახელმწიფო იყო. პროკოფი კესარიელის ცნობით აბაზგებმა და ჭანებმა ქრისტიანობა მიიღეს იუსტინიანე კეისრის დროს (VI ს.), იუსტინიანემ მათ ღვთისმშობლის ტაძარიც აუშენა. ქრისტიანობა დასავლეთ

საქართველოში სახელმწიფო რელიგიად უფრო ადრეც უნდა ყოფილიყო დამკვიდრებული.

თავდაპირველად დასავლეთ საქართველოში არსებული ეპარქიები (საეპისკოპოსოები) კონსტატინოპოლის პატრიარქს ექვემდებარებოდა. აფხაზთა მეფეების დიდი ძალისხმევა გახდა საჭირო, რომ IX-X საუკუნეების მიჯნაზე მომხდარიყო დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოების მცხეთის კათალიკოსისადმი დამორჩილებულიყო. ეს უდიდესი მოვლენა იყო. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას წინ უძღოდა ქვეყნის ეკლესიური გაერთიანება, ანუ მთელი საქართველოს დამორჩილება მცხეთის კათოლიკოსისადმი.

DAდასავლეთ საქართველოს ეკლესია-მონასტრები IX-X საუკუნეებში იქცნენ ქართული მწიგნობრობის კერებად. X საუკუნეში მარტვილის ტაძარში მოღვაწეობდა ცნობილი მთარგმნელი და ჰიმნოგრაფი, ჭყონდიდის მკვიდრი სტეფანე სანანოისძე. დასავლეთ საქართველოდან იყო მიქაელ საბაწმინდელის მარტვილობის ,,აბუკურას'' ავტორი. Aაქ მოღვაწეობდა ქართველი ჰიმნოგრაფი იოანე მინჩხი. Aაქ შეიქმნა ,,აფხაზთა ცხოვრება'', ანუ მეფეთა მატიანე და მრავალი სხვა.

Eეგრის-აფხზეთის სამეფოს საგარეო პოლიტიკაში შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ძირითადი მიმართლება: 1. ბრძოლა ბიზანტიის აგრესიის წინააღმდეგ; 2. ბრძოლა არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ; 3. ბრძოლა ალან-ოსებთან; 4. მონაწილეობა საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

Bბიზანტიის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ეგრის-აფხაზეთის სამეფოს საგარეო პოლიტიკაში. VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე ლეონ II-ემ გაათავისუფლა დასავლეთ საქართველო ბიზანტიაზე დამოკიდებულებისაგან. Eეს კი უბრძოლველად არ მომხდარა. ამ ბრძოლაში ლეონ II-ეს ხაზარები დაეხმარნენ. მიუხედავად ამისა ბიზანტიას არ შეეგუა ეგრის-აფხაზეთის სამეფოს დაკარგვას. მარტო IX საუკუნის 30-40-იან წლებში ბიზანტიამ რამდენიმე ლაშქრობა მოაწყო ეგრის-აფხაზეთის წინააღმდეგ, მაგრამ ყველა ეს ლაშქრობა ბიზანტიელების დამარცხებით მთავრდებოდა. მარტო 842-844 წლებში აფხაზეთში მოწყობილ ლაშქრობაში, ბიზანტიელებმა 40 ათასი კაცი დაკარგეს. რადგანაც პირდაპირი ლაშქრობით ვერ ახერხებდნენ ბიზანტიელები წარმატების მიღწევას, ამის გაკეთებას ცდილობდნენ ეგრის-აფხზეთის სამეფო ტახტისათვის გაჩაღებულ დინასტიურ ბრძოლებში. Aაქ ბიზანტიის იმპერატორები მხარს უჭერდნენ სამეფო ტახტის იმ პრეტენდენტს, რომელიც ბიზანტიის მხარეს დაიჭერდა, თუმცა ხშირად ვერც ამ შემთხვევაში აღწევდნენ ისინი წარმატებას.

<u>ტაო-კლარჯეთის სამთავრო</u>. ყველაზე გვიან ჩამოყალიბდა ტაო-კლარჯეტის სამთავრო. არაბებთან წინააღმდეგობის გამო IX საუკუნის დასაწყისში ქართლის ბოლო ერისმთავარმა აშოტ ბაგრატიონმა მიატოვა ქართლი და თავის ოჯახთან და მომხრეებთან ერთად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კლარჯეთს შეაფარა თავი. აშოტმა აღადგინა ვახტანგ გორგასლის მიერ დაარსებული არტანუჯი და თავის რეზიდენციად აქცია იგი. აშოტ ბაგრატიონზე ცოტა ადრე დაიწყო მოღვაწეობა ამ მხარეში უდიდესმა ქართველმა სასულიერო მოღვაწემ გრიგოლ ხანძთელმა. ამ ორი პიროვნების საქმიანობამ ჩაუყარა საფუძველი ტაო-კლარჯეთის სამთავროს გაძლიერებას. უფრო მეტიც შეიძლება ითქვას, რომ აშოტ ბაგრატიონისა და გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობიდან იწყება ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის. ეს ტერიტორია აშოტს შემთხვევით არ აურჩევია: უპირველეს ყოვლისა ამ მხარეში ის მოიპოვებდა ბიზანტიის მფარველობას და მხარდაჭერას არაბების წინააღმდეგ. გარდა ამისა, ამ მხარეს მოხერხებული მდებარეობა

ჰქონდა. ის ესაზღვრებოდა სომხურ მიწებს, სახალიფოს და ბიზანტიის მცირეაზიურ სამფლობელოებს. აქვე იყო ბაგრატიონთა დომენიც.

აშოტი აქედან განავრცობს თავის ხელისუფლებას მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე. კერძოდ, იმ პროვინციებზე, რომელნიც შემდეგ სამთავროს შემადგენლობაში შევიდნენ. აშოტის დროს სამთავროს ფარგლებში შედიოდა შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალი, აჭარა, ტაო, სპერი, სამცხე, ჯავახეთი, არტაანი. აშოტი აფართოებს სამთავროს საზღვრებს.

აშოტ ბაგრატიონის მიერ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული ადრეფეოდალური პოლიტიკური ერთეული ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია ტაო-კლარჯეთის სამთავროს ან "ქართველთა სამეფოს" სახელწოდებით. ზოგი ავტორის მოსაზრებით, მას IX საუკუნისათვის "ქართველთა საკურაპალატო", ხოლო X ს. დასაწყისიდან „ქართველთა სამეფო" ერქვა.

ბიზანტიის იმპერატორმა აშოტს კურაპალატის ტიტული მიანიჭა. ფორმალურად აშოტს ბიზანტია მფარველობდა. რეალურად მას თავისი ძალებით უხდებოდა ბრძოლა სამთავროს გაძლიერებისათვის. აშოტის პოლიტიკას მოწინააღმდეგენი ჰყავდათ სამთავროს შიგნითაც. სუმბატ დავითის ძის მიხედვით აშოტი ღალატით მოკლეს 826 წელს. მას დარჩა სამი ძე: ადარნასე, ბაგრატი და გუარამი.

ეჭვს არ იწვევს ცნობა აშოტის მიერ შიდა ქართლის ნაწილის დაპყრობის შესახებ, მაგრამ, ჩანს, ეს შიდა ქართლი ვერ შეინარჩუნეს მისმა მემკვიდრეებმა, რადგან აშოტის გარდაცვალების შემდეგ ქართლი, რომელიც სომხეთთან და ჰერეთთან ერთად 829 წ. აქ მოსულმა არაბმა სარდალმა ხალილ იაზიდის ძემ დაიპყრო. აშოტის შვილებს საკუთრივ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თემებიღა დარჩათ. კურაპალატობა და ტაო-კლარჯეთის მმართველობა ერგო აშოტ ბაგრატის ძეს. აშოტის შთამომავლობა ორ შტოდ გაიყო: არტანუჯელ (ადარნასეს მემკვიდრეები) და ტაოელ ბაგრატიონებად (ბაგრატის შთამომავლობა, მომავალი ერთიანი საქართველოს მეფეები). ტაოს შტოც, თავის მხრივ, ორად იყოფა. გუარამის შთამომავლობა ბაგრატიონთა შიგნით ამტყდარი შინაომების დროს ამოწყდა. აშოტის გარდაცვალების შემდეგ სამთავრო დასუსტდა და ტერიტორიების ნაწილი დაკარგა. 888 წელს ბაგრატ კურაპალატის შვილიშვილმა ადარნასე II-მ მიიღო ქართველთა მეფის ტიტული. შემდეგ "ქართველთა მეფობა" მის შვილზე, დავით II-ზე გადავიდა, რომელიც 923-937 წლებში მოფობდა. 937-945 წლებში მეფობდა დავით II-ის ძმას ბაგრატი, რომლისგანაც ეს პატივი მისი ძმის (სუმბატის) ვაჟიშვილზე ბაგრატზე გადავიდა, და ამ ბაგრატის შტოში დამკვიდრდება საბოლოოდ "ქართველთა მეფობა" (ბაგრატ III). ამავე ტაოს შტოს განაყოფია ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი და დავით ერისთავთ-ერისთავი, რომელსაც ტაოს მეფეს უწოდებენ.

აშოტ ბაგრატიონმა ვრცელი და ძლიერი სამთავრო შექმნა, მას დიდ ანგარიშს უწევდნენ მისი თანამედროვე ქართველი თუ უცხოელი სახელმწიფო მოღვაწეები, დიდად აფასებდნენ, აგრეთვე მემკვიდრეებიც. აშოტის დროს განსაკუთრებით აღზევდა ბაგრატიონთა გვარი და სათანადოდ დასაბუთდა კიდეც ამ გვარის პოლიტიკური ხელისუფლების კანონიერება. საეკლესიო ტრადიცია ბაგრატიონებს თვლის ბიბლიური მეფეების, დავითის და სოლომონის შტამომავლებად. ქართულ სინამდვილეში შექმნილი ეს გადმოცემა გაიზიარეს ჩვენმა მეზობელმა ხალხებმა, სომხებმა, ბიზანტიელებმა, რასაც იოანე დრასხანაკერტელისა და კონსტანტინე პორფიროგენეტის შრომებში დაცული ცნობები ადასტურებენ. ბაგრატიონთა გვარის შემდგომ აღზევებას ამ გადმოცემის სათანადო დამუშავება-დახვეწა მოჰყვა. XI საუკუნეში იქმნება ისტორიკოს სუმბატ

დავითის ძის საგანგებო თხზულება, ბაგრატიონთა სრული გენეალოგიით, მათი ბიბლიური წარმოშობისა და სამეფო ხელისუფლების თუ პოლიტიკური ბატონობის ვრცელი იდეოლოგიური დასაბუთებით.

აშოტ კურაპალატის მეორე-მესამე თაობაში ცხარე ბრძოლაა სამთავროს ფარგლებში მოქცეულ ორ ძირითად სამთავრო სახლს შორის, საზღვრების დადგენისათვის. მესამე თაობის შემდეგ კი – ამ ორი ძირითადი შტოს სამფლობელოს საზღვრები მეტ-ნაკლებად უკვე დადგენილია. ქართველთა მეფობას ტაოს შტო დაიმკვიდრებს, ხოლო კლარჯეთისა – არტანუჯელ-კლარჯეთის ხელმწიფობას.

ქ. არტანუჯი იყო არტანუჯელ-კლარჯი ხელმწიფეების რეზიდენცია. ქართველთა მეფეებისა კი ბანა უნდა იყოს. ბანაში მშენებლობას ეწევა ადარნასე II ბაგრატიონი (პირველი "ქართველთა მეფე"). ტაოს ბაგრატიონები აშენებენ ძირითადად ტაოში (ბანა, ოშკი, ხახული, პარხალი, ოთხთა ეკლესია) კლარჯი-არტანუჯელები კი – კლარჯეთში, სამცხეში, შავშეთში.

როგორც ჩანს, ნომინალურად უფროსობა ტაოს შტოში იყო და ,,ქართველთა მეფობაც" მათ დაიმკვიდრეს. ფორმალურად კლარჯეთის სახლი ემორჩილებოდა ტაოს სახლს, მაგრამ ფაქტიურად ის დამოუკიდებლობით სარგებლობდა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის საკითხებში. ორივე სამთავრო სახლი სრულიად დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებს. სამთავრო სახლის ასეთი დაქსაქსვა დიდად უშლის ხელს და აფერხებს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საბოლოო გაერთიანებას.

ადრეშუასაუკუნეების საქართველოს გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეთა შორისაა დავით III დიდი. დავითი მოღვაწეობა მოუხდა ისეთ მხარეში, სადაც არაქართული ეთნიკური ელემენტი საგრძნობლად ძლიერი იყო. მისი სამფლობელო იმიერ ტაო ქართლისათვის განაპირა ქვეყანას წარმოადგენდა, ის ბერძნულ-სომხურ გარემოცვაში იმყოფებოდა და იქ ბიზანტიისა და არაბთა სახალიფოს ინტერესების შეჯახება აშკარად გამოკვეთილი იყო. მიუხედავად ამისა, დავით III კი მეზობელ სახელმწიფოთა მიმართ თანასწორი პარტნიორისა და ზოგჯერ მხსნელის როლშიაც კი გამოდიოდა, ამიტომაა, რომ მას მაღალ შეფასებას აძლევენ მისი თანამედროვე ქართველი და უცხოელი ავტორები.

X საუკუნის მეორე ნახევარში, როცა დავით III მოღვაწეობდა (966-1000/1001 წწ) ,,ქართველთა სამეფო" ფაქტიურად სამ პოლიტიკურ ერთეულად იყო დაყოფილი. დავით III ეკუთვნოდა იმიერტაო, თორთუმი და ჩრდილოეთ ბასიანი. მან,,ქართველთა სამეფოს" მეთაურის ოფიციალური ქართული და ბიზანტიური ტიტულები შედარებით გვიან მიიღო. ის 979 წელს გახდა კურაპალატი, ხოლო 994 წელს ქართველთა მეფე. იქამდე 966-979 წლებში დავითს ჰქონდა მეორე რანგის ქართული და ბიზანტიური ტიტულები: ერისთავთ-ერისთავი და მაგისტროსი, რომელიც მან მიიღო თავისი უფროსი ძმის ბაგრატის გარდაცვალების შემდეგ. X საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს დავით III-მ დიდი როლი შეასრულა ბიზანტიის შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაში, რის შედეგად კიდევ უფრო მეტად გააფართოვა თავისი სამფლობელოები. 976-979 წლებში ტახტზე ახლადასულ იმპერატორს ბასილი II-ს (976-1025 წწ) აუჯანყდა მცირე აზიის მმართველი ბარდა სკლიაროსი. ამიტომ ბიზანტიის საიმპერატორო კარმა დავით III-სთან დახმარების თხოვნით. დავით III დათანხმდა დახმარებოდა ბიზანტიას იმ პირობით, თუ საკომპენსაციოდ იმპერია მას გადასცემდა ტერიტორიებს არაქს-ევფრატისა და ვანის ტბის რაიონებში. ბიზანტიამ მიიღო ეს პირობა და დავითს საგამგებლოდ თავისი სიცოცხლის განმავლობაში გადაეცა ე.წ. ,,ზემონი ქვეყანანი": კარინი, სამხრეთ ბასიანი, ხალტო-არიჭი,

სევუქის ციხე, ამავე დროს მიანიჭა კურაპალატის ტიტული, რითაც ოფიციალურად აღიარა ,,ქართველთა სამეფოს'' მეთაურად.

X საუკუნის 80-90-იან წლებში უაღრესად დაიძაბა დავით დიდის ურთიერთობა ბიზანტიასთან. ამის უმთავრესი მიზეზი იყო ბიზანტიის აგრესიული კურსის გაგრძელება სამხრეთ კავკასიაში. ვითარება გაამწვავა იმანაც, რომ დავით კურაპალატმა მხარი დაუჭირა ბასილი II-ის წინააღმდეგ აჯანყებულ ბარდა ფოკას. 989 წელს ბასილი II-მ ბარდა ფოკას აჯანყება ჩაახშო და ილაშქრა დავით კურაპალატის წინააღმდეგ, დავით დიდი იძულებული გახდა ბიზანტიის ვასალობა ეღიარებინა და თავისი სამფლობელოც ანდერძით იმპერატორისათვის გადაეცა. მიუხედავად ბიზანტიასთან ურთიერთობის გართულებისა, დავით მეფე ამ ხანებში აგრძელებს აქტიურ საგარეო პოლიტიკას, რომელიც მიმართული იყო ,,ქართველთა სამეფოს'' გაფართოებისა და ქართული გავლენის გამტკიცებისაკენ. ამ მიზნით მან რამდენიმე წარმატებული ლაშქრობა მოაწყო ვანის ტბის რაიონში: 990 წელს აიღო ქ. მანასკერტი, 997 წელს ილაშქრა ქ.ხლათზე, 998 წელს დავითის მხედრობამ სომეხთა ლაშქრთან ერთად დაამარცხა ადარბადაგანის საამიროების კოალიცია, რომელიც ცდილობდა დავით დიდის უკუგდებას ვანის ტბის რაიონიდან. ამ ლაშქრობების შედეგად ,,ქართველთა სამეფოს'' ტერიტორია დიდად გაფართოვდა. მის მოსახლეობას ქართველების გარდა შეადგენდნენ სომხები. დავით III დიდად ზრუნავდა თავის სახელმწიფოში ქართული ენის, კულტურისა და სულიერების აღმავლობასა და არაქართულ რეგიონებში მის გავრცელება-დანერგვაზე. ის აწარმოებდა ახლადშემოერთებული მიწების კოლონიზაციას, იქ ქართველებისა და სომხების დასახლებას. ამ პოლიტიკის გამოვლინება იყო ,,ქართველთა სამეფოს'' სომხურ მოსახლეობაში მართლმადიდებლობის გავრცელების მცდელობა. კერძოდ, ვალაშკერტის მართლმადიდებლური საეპისკოპოსოს დაარსება, რომელიც საუკუნეთა მანძილზე მცხეთას ექვემდებარებოდა.

დავითი აქტიურ პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეობასთან ერთად დიდ კულტურულ საქმიანობას ეწეოდა, მისს სახელს უკავშირდება ოშკის ხახულის, პარხალის, ოთხთა ეკლესიის დიდებული ტაძრების მშენებლობა, არაერთი ძვირფასი ხელნაწერის გადაწერა. ერთ ძველ დოკუმენტში დავით დიდს ''მართლმადიდებლობის თვალი'' ეწოდება. ამრიგად, დავით დიდი კურაპალატის მოღვაწეობამ უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა როგორც საქართველოს, ისე მთლიანად ამიერკავკასიის ისტორიაში.

<u>თბილისის საამირო</u>. თბილისის საამირო არაბთა მიერ საქართველოში შექმნილი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული იყო. არაბი ავტორების ცნობით, თბილისის საამირო არაბთა სახალიფოს დიდი პროვინციის ე. წ. ''არმენიის'' (ე. ი. ამიერკავკასიის) ერთ-ერთი ოლქი იყო და თბილისის ამირა ამ ''არმენიის'' ვალის, მის არაბ მოხელეს ემორჩილებოდა. თბილისის ამირას უშუალოდ ხალიფა ნიშნავდა, თუმცა არმენიის ვალის მიერ ამირას დანიშვნის შემთხვევებიც არის.

თავდაპირველად თბილისის ამირას მთელი აღმოსავლეთი საქართველო ექვემდებარებოდა, მაგრამ VIII-IX საუკუნეთა მიჯნიდან, ქართული დამოუკიდებელი სამთავროების შექმნასთან ერთად, საამიროს ტერიტორია თანდათან იზღუდება. ყველაზე მტკიცედ ამირები ქვემო ქართლში იყვნენ ჩამდგარნი და შედარებით დიდხანს შეინარჩუნეს შიდა ქართლიც, მაგრამ IX საუკუნეში შიდა ქართლი ამირებმა დაკარგეს და ის ქართველ მეფე-მთავართა შორის ბრძოლის ორბიექტად იქცა.

სამხრეთით თბილისის ამირას ეკუთვნოდა ციხეები ბირთვისი, ორბეთი და ფარცხისი, დასავლეთით საამიროს თრიალეთი ესაზღვრებოდა, აღმოსავლეთი საზღვარი

ძირითადად მტკვარზე გადიოდა, თუმცა, ჩანს, მტკვრის აღმოსავლეთ ნაპირზე თბილისს ეკუთვნოდა ისნის ველი, "ავჭალა და აქედან დაწყებული მტკვრის პირი მდინარის დინების ჩაყოლებით, თვით ივრის პირამდეც კი".

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იმ დროს, როდესაც ტაშირი და ქართველთა ველი სომეხთ ეპყრათ და ლორე-ტაშირის მეფეთა საჯდომი ციხე-სიმაგრე სამშვილდე იყო, მაშინ დმანისი, ეტყობა, თბილისის საამიროს შემადგენლობაში შედიოდა. სწორედ ამის წინააღმდეგ გაილაშქრა X საუკუნის დასასრულს დავით ტაშირის მეფემ და აიღო დმანისი, მაგრამ XI საუკუნეში დმანისი ისევ თბილისის ამირებს ეკუთვნის. ჩანს ამირასა და ლორე-ტაშირის მეფეებს შორის ბრძოლა ქვემო ქართლის ხელში ჩაგდებისათვისაც მიმდინარეობდა.

თბილისს არაბთა მფლობელობის პერიოდშიც არ დაუკარგავს დიდი სავაჭრო ქალაქის მნიშვნელობა და აქ იმდროინდელი მსოფლიოს მრავალი კუთხიდან იყრიდნენ თავს ვაჭრები.

თბილისში საკუთარი მოხელე ამირა არაბებს VIII საუკუნის 30-იანი წლებიდან უნდა ჰყოლოდათ. VIII საუკუნის დასასრულსა და IX საუკუნის დასაწყისში, როდესაც ვლინდება არაბთა სახალიფოს დასუსტებისა და დაშლის ნიშნები, სახალიფოსაგან დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლას იწყებენ თბილისის ამირებიც.

მაგალითად, ხალიფა ალ-ამინი ავალებს არმენიის ვალს თბილისის ამირა ისმაილის დასჯას. არაბი ისტორიკოსის ი ა კ უ ბ ი ს ცნობით, ამ გადამდგარ ამირას დაამარცხებს და დააპატიმრებს ხალიფას მიერ არმენიის ვალად დანიშნული უსეიდ იბნ-იაზიდი, რომელიც შემდეგ შეიწყალებს მას და გაათავისუფლებს.

თბილისის ამირების განდგომისაკენ სწრაფვა არც ამის შემდეგ შენელებულა, რაც სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლებისაგან შესაბამის რეაქციას იწვევდა. მაგალითად, ი ს ჰ ა კ ი ბ ნ-ი ს მ ა ი ლ ი ბ ნ-შ უ ა ბ ი (ქართული წყაროების საჰაკი) 23 წლის განმავლობაში ხალიფასაგან დამოუკიდებლად მართავს ქალაქ თბილისს და მის მიმდგომ ქვეყანას. საჰაკი კიდევ უფრო ენერგიულად იბრძვის დამოუკიდებლობისათვის ოცდაათიანი წლების დამდეგს იგი უკვე აღარ ემორჩილება ხალიფას და ითვისებს აქაურ ხარკს". არაბ და ქართველ ისტორიკოსებს დაწვრილებით აქვთ აღწერილი ბუღა თურქის (853 წ) ბრძოლა საჰაკთან, თბილისის გადაწვა და საჰაკის დატყვევება. მიუხედავად საჰაკის მოკვლისა, თბილისში ხალიფების ხელისუფლების აღდგენა ვერ ხერხდება.

უკვე IX საუკუნის 80-იან წლებში თბილისში ზის ამირა ჯაფარი, რომელიც დასაბამს აძლევს თბილისის ამირების ჯაფარიანთა დინასტიას. ჯაფარიანებმა შეძლეს ის, რაც ვერ შეძლო შუაბიანთა "სახლის" ამირათა ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელმა — საჰაკმა. მათ თბილისის ამირობა ჯაფარიანთა "სახლის" მემკვიდრეობით კუთვნილებად აქციეს.

თბილისში ამირას დანიშვნის შემდეგ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ქართლის ერისმთავარი. ამიერიდან ერისმთავარი იქცა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლად ამირას კარზე. მაგრამ, ეტყობა, გარკვეულ დრომდე, ქართლის ერისმთავარი ამირას კარზე გავლენით სარგებლობდა. მიუხედავად იმ დიდი კონფლიქტისა, არაბებმა მაინც ვერ გააუქმეს აქ ერისმთავრის ხელისუფლება. ქართლის ერისმთავარი ნერსე 772-773 წლებში არაბებმა ჯერ ბაღდადში გაიწვიეს და სამ წელს პატიმრობაში ამყოფეს, მაგრამ შემდეგ ისევ ერისმთავრად გამოუშვეს. ნერსემ მაინც ვერ შეძლო არაბებთან მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნება და ის ისევ დაიბარეს ბაღდადში. ამჯერად, ნერსემ გაქცევა გადაწყვიტა. აღსანიშნავია, რომ არაბებმა არც ამის შემდეგ გააუქმეს ერისმთავრის ხელისუფლება ქართლში და ერისმთავრად ნერსეს დისწული, სტეფანოზი დანიშნეს,

მაგრამ IX საუკუნისათვის, ჩანს, ქართლის ერისმთავრის მნიშვნელობა სუსტდება და არაბები აუქმებენ კიდეც ამ ხელისუფლებას.

IX საუკუნის დასაწყისიდან თბილისის საამირო და ახლად შექმნილი ქართული სამეფო-სამთავროები ერთმანეთის მეტოქეებად გამოდიან საქართველოს შიდა რაიონებისათვის ბრძოლაში. მაგრამ ფაქტიურად თბილისის საამირო მხოლოდ თავის დასაცავად იბრძვის, თუმცა უშედეგოდ, რადგან თანდათან კარგავს თავის მიწებს. იმავე დროს, საამირო იწყებს ბრძოლას სახალიფოსაგან დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

IX საუკუნის 80-იანი წლებიდან თბილისში, ჯაფარიან ამირათა მემკვიდრეობითი ხელისუფლება მყარდება, რომელიც XI საუკუნიდან თანდათან საქართველოს მეფეთა გავლენაში ექცევა.

ლექცია #V

საქართველო IX-XII საუკუნეებში

ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის IX-X საუკუნეებში

საქართველოს ერთ ძლიერ სახელმწიფოდ გაერთიანებაზე იყო დამოკიდებული ქართველი ერის მომავალი. გაერთიანების აუცილებლობას რამოდენიმე ფაქტორი წარმოშობდა. Uპირველად ეს იყო საგარეო ფაქტორი _ მრავალრიცხოვანი მტერისაგან თავის დაცვა. მართალია, ამ პერიოდში სუსტდებოდა და იშლებოდა სახალიფო, მაგრამ არაბებს ჯერ კიდევ შესწევდათ ძალა მძიმე დარტყმა მიეყენებინათ საქართველოსთვის. ბიზანტიის იმპერია ძლიერდებოდა და ცდილობდა დაკარგული გავლენის დაბრუნებას. ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაც მოითხოვდა ერთიანი მონარქიის არსებობას. რაც მთავარია, საქართველოს საზოგადოების ყველა ფენის ინტერესებში შედიოდა ქვენის გაერთიანება. ამ პროცესის სერიოზულ ხელისშემშლელ ფაქტორად რჩებოდა საგარეო მტრის (არაბები, ბიზანტია, შემდგომში თურქ-სელჩუკები) არსებობა. ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის საკმაოდ მძიმე იყო და რამდენიმე საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა.

<u>საქართველო IX საუკუნეში</u>. აშოტ ბაგრატიონის გარდაცვალების შემდეგ ტაო-კლარჯეთის სამთავრომ ვერ შესძლო შიდა ქართლის შენარჩუნება და მას კვლავ არაბები დაეუფლენ. ამ პერიოდში სახალიფოს მდგომარეობა საკმაოდ მძიმე იყო. მის ცალკეულ პროვინციებში აჯანყებები მიმდინარეობდა. ხალიფას აღარ ემორჩილებოდნენ ადგილობრივი ამირები. ამ გზას დაადგნენ თბილისის ამირებიც, რომელთაგან ყველაზე ცნობილია საჰაკი. იგი 23 წელი მართავდა თბილისის საამიროს.

IX საუკუნის შუა ხანებში დიდი აჯანყება დაიწყო არაბთა წინააღმდეგ სომხეთში. აჯანყების ჩასახშობად, საჰაკის დასამორჩილებლად და, საერთოდ, კავკასიაში არაბთა პოზიციების განსამტკიცებლად, ხალიფამ გამოგზავნა ბუღა თურქი. ბუღა სასტიკად გაუსწორდა აჯანყებულ სომხებს და თბილისისკენ დაიძრა. მან საჰაკს ელჩი გამოუგზავნა და დამორჩილება შესთავაზა, რაზეც საჰაკმა ცივი უარი განაცხადა. ბუღა საქართველოში შემოვიდა და თბილისს შემოადგა. მის მოკავშირედ გვევლინება ბაგრატ აშოტის ძე. ბაგრატ კურაპალატი ცდილობდა არაბთა დახმარებით განემტკიცებია თავისი პოზიციები. მისი უმცროსი ძმა გუარამ მამფალი კი არაბთა წინააღმდეგ ბრძოლის ინიციატორი იყო. ბუღას წინააღმდეგ მოქმედებდნენ კახეთის ქორეპისკოპოსი და აფხაზთა მეფე. 853 წლის 5 აგვისტოს ბუღამ თბილისი აიღო და გადაწვა. საჰაკის მოკვეთილი თავი ხალიფას გაუგზავნა. თბილისის აღების შემდეგ ბუღამ თავისი სარდალი ზირაქი გაგზავნა აფხაზთა მეფის წინააღმდეგ. Eეს უკანასკელი დამარცხდა და უკან დაიხია. სწორედ ზირაქმა დაატყვევა ქართველი დიდაზნაური კონსტანტი-კახი. კონსტანტი კახმა უარი განაცხადა ისლამის მიღებაზე, რისთვისაც ის სიკვდილით დასაჯეს.

914 წელს საქართველოში შემოიჭრა სამხრეთ Aაზერბაიჯანის არაბი ამირა აბულ-კასიმი. ის ჯერ თბილისს მოადგა, შემდეგ კახეთში გადავიდა. ასევე ააოხრა ქართლი და სამცხე. აბულ-კასიმის ლაშქრობამ, რომელიც არაბთა უკანასკნელი შემოსევა იყო საქართველოში, დიდი ზიანი მოუტანა ქვეყანას, მაგრამ საქართველოში არაბთა ბატონობის აღდგენა უკვე შეუძლებელი იყო.

Qქვეყნის გაერთიანებას ხელს უშლიდა ბიზანტიაც. ბიზანტიის იმპერატორები ცდიობდნენ შუღლი ჩამოეგდოთ ბაგრატიონთა ცალკეულ წარმომადგენელთა შორის და ამ გზით დაესუსტებინათ ქართველთა სამეფო. თუკი ამის საშუალება მიეცემოდა, ბიზანტია აქტიურად ერეოდა აფხაზთა სამეფოს საქმეებშიც.

IX საუკუნის ბოლოს ბიზანტიის საიმპერატორო ტახტს იკავებს ბასილი I. მან ჩაუყარა საფუძველი მაკედონელთა დინასტიას, რომლის წარმომადგენლებმაც შესძლეს აღედგინათ ბიზანტიის ძლიერება. თუკი აშოტ I-ის დროს ბიზანტია ხელს უწყობდა ტაო-კლარჯეთის გაძლირებას არაბთა საწინააღმდეგოდ, არაბთა სახალიფოს დასუსტების შემდეგ ბიზანტიისთვის უკვე მიუღებელი გახდა ძლიერი ქართული სამეფო-სამთავროების და, მით უმეტეს, გაერთიანებული საქართველოს არსებობა. ბიზანტია თავად აპირებდა ამ რეგიონში გაბატონებას და ცხადია, ძლიერი საქართველო არ სჭირდებოდა.

<u>საქართველო X საუკუნეში.</u> IX საუკუნის 60-იან წლებში აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდა და შიდა ქართლი დაიკავა აფხაზთა მეფემ გიორგი I-მა. სამეფო-სამთავროებს შორის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა შიდა ქართლს., რომლის ცენტრი უფლისციხე იყო, ამიტომ მის დაუფლებას ცდილობდნენ აფხაზთა მეფეები, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონები და კახეთის ქორეპისკოპოსები. ამ ბრძოლაში ნელ-ნელა გამოიკვეთა აფხაზთა სამეფოს უპირატესობა.

აფხაზთა მეფეებმა ვერ შესძლეს დიდხანს შეენარჩუნებინათ შიდა ქართლი. Aამის მიზეზი აფხაზთა სამეფოს შიგნით ამტყდარი ბრძოლა იყო. შიდა ქართლის უდიდესი სტრატეგიული მდებარეობის გამო აფხაზთა მეფეებმა კიდევ სცადეს მისი დაბრუნება. X საუკუნის დასაწყისში ქართლში აფხაზთა მეფემ კონსტანტინემ ილაშქარა და აქ თავისი ერისთავი დააყენა. აქედან მოყოლებული აფხაზთა მეფეებს შიდა ქართლი აღარ დაუთმიათ.

922 წელს აფხაზთაA სამეფო ტახტზე ავიდა გიორგი II. ის ხელს უწყობდა ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელებას. კონსტანტინოპოლის პატრიარქი მადლობას უხდიდა მას ამ დამსახურების გამო.

აფხაზთაA მეფე გიორგი II-მ კახეთის ქორეპისკოპოსის წინააღმდეგ გაილაშქრა, დაამარცხა იგი და თითქმის მთელი კახეთი დაიკავა. კვირიკე ქორეპისკოპოსი ციხეში იყო ალყაშემორტყმული. როგორც კი აფხაზთა მეფე დასავლეთ საქართველოში დაბრუნდა, კვირიკე ქორეპისკოპოსმა ქართლის აზნაურების დახმარებით შესძლო სამთავროს დაბრუნება. ქართლის აზნაურებს არ სურდათ გიორგი II-ს მტკიცე მმართველობას დამორჩილებოდნენ და ყველანაირად ცდილობდენ მის დასუსტებას. გიორგი II არ აპირებდა კახეთზე უარის თქმას და ამჯერად იქ თავისი ძე ლეონი გაგზავნა. ლეონმა დაიწყო ბრძოლა კახეთისათვის, მაგრამ 957 წელს გიორგი II გარდაიცვალა და ლეონი ქუთაისში დაბრუნდა ტახტის დასაკავებლად. ლეონის დროს აფხაზთა მეფეებს ემორჩილებოდა ჯავახეთიც.

ლეონის შემდეგ მისი ძმა, დემეტრე გამეფდა. დემეტრეს მალევე აუჯანყდა თავისი ძმა თეოდოსი. დემეტრემ შეიპყრო თეოდოსი და თვალები დასთხარა. დემეტრეს გარდაცვალების შემდეგ, 975 წელს, თეოდოსი მაინც ავიდა ტახტზე, რადგან სხვა კანონიერი მემკვიდრე აღარ არსებობდა.

თეოდოსის გამეფებისთანავე კახელებმა ქართლში ილაშქრეს და უფლისციხეს შემოადგნენ.

საქართველო X-XI საუკუნეების მიჯნაზე (დავით კურაპალატი, ბაგრატ III)

ივანე მარუშის ძე აფხაზთა მეფის ერისთავი იყო. მან კარგად იცოდა, რომ ერთადერთი პიროვნება, ვისაც შეეძლო საქართველო გაეერთიანებინა, ჰქონდა საამისო ძალაცა და

ავტორიტეტიც, იყო დავით III ბაგრატიონი. დავითი ტაოელ ბაგრატიონთა შტოს ეკუთვნოდა. X საუკუნის II ნახევარში მოღვაწე ქართველ მეფე-მთავრებს შორის იგი ყველაზე ენერგიული, ძლიერი და ჭკვიანი იყო. ,,მატიანე ქართლისაი" მოგვითხრობს: ივანე მარუშის ძემ ,,წარავლინა მოციქული წინაშე დავით კურაპალატისა. აწვია რათა გამოილაშქროს, ძალითა მისითა აღიღოს ქართლი ანუ უბოძოს ბაგრატს, ძესა გურგენისასა". ბაგრატი დავით კურაპალატის შვილობილი, ქართველთა მეფის ბაგრატ II-ის შვილიშვილი, აფხაზთა მეფის დის შვილი იყო. აქედან გამომდინარე, ბაგრატი სამი ტახტის მემკვიდრე იყო და ამას, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. არანაკლები მნიშვნელობისა უნდა ყოფილიყო ბაგრატის პიროვნული თვისებებიც. 975 წელს დავი კურაპალატმა ქართლში მმართველად ბაგრატ III დასვა.

დავით კურაპალატმა დატოვა ქართლი და ტაოში გაბრუნდა. ამით ისარგებლეს ქართლის აზნაურებმა. წააქეზეს კახელები, რომელთაც კვლავ დალაშქრეს ქართლი, ტყვედ ჩაიგდეს ბაგრატი, მისი მამა გურგენი და დედა გურანდუხტ დედოფალი. დავითმა სასწრაფოდ შეკრიბა ჯარი და კახეთის ქორეპისკოპოსის წინააღმდეგ გაილაშქრა. კახელებმა შებრძოლება ვერ გაბედეს და ბაგრატი დედ-მამასთან ერთად გაათავისუფლეს.

978 წელს ივანე მარუშის ძის ინიციატივითვე ბაგრატი დასავლეთ საქართველოში გადავიდა და ქუთაისში მეფედ ეკურთხა. ,,მეფე აფხაზთა" _ ეს იყო პირველი ტიტული, რომელიც მან მიიღო. თავისი ბიძა თეოდოსი 980 წელს ბაგრატმა ტაოში გაგზავნა. ეს იყო ქვეყნის ერთიანობისაკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

რა იყო საქართველოს გაერთიანების ხელშემწყობი ფაქტორები? 1) ერთიანი ძალებით გარს მომდგარი სხვადასხვა დამპყრობლის მოგერიება. ეს ერთგვარი თვითგადარჩენის აუცილებელი პირობაც იყო, თუმც ამასთან ერთად, 2) ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანება ხელს შეუწყობდა ერთიანი ეკონომიკური, გამჭირვალე სივრცის ჩამოყალიბებას. მოიშლებოდა შიგა საბაჟოები, რაც აბრკოლებდა ეკონომიკის განვითარებას. აღდგებოდა ისტორიული, ეროვნული პროდუქტის მომოცვლის ტრადიციები მთასა და ბარს შორის. ყოველივე ეს კი ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის ერთგვარი ბალავარი გახდებოდა, რისთვისაც ასე იყო დაინტერესებული საქართველოს ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი.

ერთიანი ქართული მონარქიის გაერთიანების სპეციფიურობა და თავისებურება გახლდათ ის, რომ 1) ევროპის სახელმწიფოებში ქვეყნის კონსოლიდაციის პროცესში აქტიურ როლს ქალაქები და მოქალაქეთა ფენები თამაშობდნენ, რაც საქართველოში არ გამოირჩეოდა თავისი აქტიურობით. 2) დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ერთიანი სახელმწოფოების ჩამოყალიბების პროცესი დასრულდა გვიანი ფეოდალიზმის ხანაში. საქართველოში კი იგი განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში შეიქმნა.

მართალია, ქართულ ცენტრალიზებულ სახელმწიფოს ჩამოყალიბებას მხარს არ უჭერს ქართველ ფეოდალთა ნაწილი (რადგან ამით მათი უფლებები შეიზღუდებოდა), მაგრამ ერთიანი ეროვნული ცნობიერება და ,,კულტურული ერთობა" გახდა გადამწყვეტი ფაქტორი ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანებისა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ხალხის ერთ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ითამაშა ქრისტიანობამ. შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანობამ არაერთხელ იხსნა ქართველი ერი განადგურებისაგან მანამდეც და ამის შემდეგაც. ეს იყო ერთგვარი იდეოლოგიური იარაღი ისლამურ, თუ სპარსულ-მაზდეანურ ცივილიზაციებთან ბრძოლის დროს თვითგადარჩენისა და თვითდამკვიდრებისა ამ გეოპოლიტიკურ სივრცეში. საქართველოს კონსოლიდაციის პროცესში ქრისტიანობის როლსა და

მნიშვნელობას მართლაც რომ ჩინებური ახსნა მოუძებნეს ჩვენმა წინაპრებმა: ,,ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების".

X საუკუნის 70-იან წლებში ტაო-კლარჯეთის უზენაეს მმართველად ითვლებოდა ქართველთა მეფის ტიტულის მფლობელი ბაგრატ II (ბაგრატ III-ის ბაბუა), მაგრამ რეალურად ყველაზე ძლიერი იყო მისი ბიძაშვილი, ტაოს მფლობელი დავით III, რომელიც კურაპალატის ტიტულს ატარებდა, ამიტომ სწორედ დავით კურაპალატს სთხოვა დახმარება ბიზანტიის იმპერატორმა, ბასილი II-მ.

976 წელს აჯანყდა ბიზანტიის იმპერატორის ერთ-ერთი სარდალი, მცირე აზიელი დიდებული, კურაპალატი ბარდა სკლიაროსი. მას მხარი დაუჭირეს ბიზანტიის იმპერიის სამხედრო პირებმა, მიმდებარე ოლქების მაჰმადიანმა მფლობელებმა, ტარონის მთავრის შვილებმა გრიგოლმა და ბაგრატმა, ჯეჰანისა და მელიცენის სომხურმა თემებმაც. მალე მათ დაიპყრეს კაპადოკია, ანტიოქია თუ ნიკეა და თითქმის მთელი მცირე აზია. შემდგომ კონსტანტინოპოლისკენ აიღო გეზი, რამაც დიდი საფრთხის წინაშე დააყენა საიმპერატორო კარი. ბარდა სკლიაროსმა იმპერატორ ბასილი II-ის მხედრობა ორგზის დაამარცხა ლაპარასა და რანგავაში. მან იმპერატორის ერთი მხედართმთავარი სახელად ლეონ პროტოვესტიახი დაატყვევა, ხოლო მეორე პეტრე ფოკა კი სიცოცხლეს გამოასალმა. ბასილი II და მისი ძმა კონსტანტინე მცირეწლოვნები იყვნენ. მაკედონელთა დინასტიას დიდი საფრთხე შეექმნა. აჯანყების ჩახშობა ბარდა ფოკას დაევალა, რომელიც იმ დროისთვის ბერად იყო აღკვეცილი და ქვეყნიდან იყო გაძევებული. მან დაივიწყა პირადი წყენა ბიზანტიის იმპერატორისადმი და დაუპირისპირდა ბარდა სკლიაროსს. თუმც, უნდა ითქვას, რომ მას ძალები არ ჰყოფნიდა. საჭირო იყო დახმარების ძიება ქვეყნის გარეთ. გიორგი მთაწმინდელი (XI საუკუნე) თავის თხზულებაში ,,ცხოვრება იოანესი და ექვთიმესი" წერს: ,,მას ჟამსა იქმნა განდგომილებაი სკლიაროსისაი და ხმელეთი კერძო ყოველი დაიპყრა და მეფენი და დედოფალი შემწყუდეულნ იყვნენ ქალაქსა შინა დიდითა ჭირითა და იწროებითა, და ამას რაი შინა იყვნენ, განიზრახეს, ვითარმედ ,,ჩუენი შემწე დავით კურაპალატისაგან კიდე არავინ არს". დავითთან საშუამდგომლოდ კონსტანტინოპოლში დაიბარეს ცნობილი ქართველი სარდალი თორნიკე. რომელიც ბერად იყო აღვეცილი ათონის მთაზე. დავითმა 979 წელს 12 ათასი ქართველი, თორნიკესა და ჯოჯიკის სარდლობით გაგზავნა ბიზანტიის საიმპერატორო კარის დასახმარებლად. ბარდა სკლიაროსი დამარცხდა და ამაში ლომის წილი ითამაშეს ქართველთა ლაშქარმა. Aანალოგიურად არის ეს ამბები მოთხრობილი ,,მატიანე ქართლისაის" წყაროშიც. აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ტენდენციური ისტორიკოსები ბიზანტიელი გიორგი კედრენე და სომეხი ადონცი აკნინებენ ქართველთა როლს ამ აჯანყების ჩაქრობასთან დაკავშირებით. ეს მოსაზრებები არ არის გაზიარებული თანამედროვე პერიოდის ისტორიოგრაფიაში. გაწეული დახმარების სანაცვლოდ ბიზანტიის იმპერატორმა დავით კურაპალატს მიწები უწყალობა (თუკი ქართველთა როლი არ იქნებოდა გადამწყვეტი ამ აჯანყების ჩაქრობაში, გამორიცხულია, რაიმე გადაეცა სხვის მიწებზე დახარბებულ ბიზანტიელებს დავით მესამესთვის) კარინი, ხალტო არიჭი კლესურითურთ, ბასიანი, სევუქი, ჰარქსი და აპაჰუნიქსი. ოღონდ ერთი პირობით - ეს მიწები დავითის მფლობელობაში იქნებოდა მის გარდაცვალებამდე, შემდეგ კი კვლავ ბიზანტიის კუთვნილება გახდებოდა. ,,მატიანე ქართლისაის" წყაროდან ირკვევა, რომ იმპერატორის მიერ გადაცემული ტერიტორიები, გარდა ჰარქსისა და აპაჰუნიქსისა, დავით III-ს მოღვაწეობის პირველ წლებში კიდეც ეკუთვნოდა მას და იგი ბიზანტიას წაურთმევია

მისთვის. იმის შემდეგ კი, როცა იმპერიას გაუჭირდა დროებით დაბრუნებას ჰპირდებოდა დავითს. ქართულ ისტორიოგრაფიაში სამართლიანადაა აღნიშნული, რომ ამ მიწებზე უძველესი დროიდან ქართველური ტომებით ბინადრობდნენ, რომელიც სტრაბონის თანახმად, ხალიბებითა და მოსინიკებით იყო დასახლებული. Aაკადემიკოსები - ნიკო ბერძენიშვილი და გიორგი მელიქიშვილი მიიჩნევენ, რომ ტოპონიმი ,,კარინი'', რომლის ფუძეც გახლავთ ,,კარი'', სამხრეთის მიმართულებით ქართული სახელმწიფოს რეალულ კარს წარმოადგენდა.

აღნიშნული პირობა, როგორც ჩანს, არ აკმაყოფილებდა დავითს. ეს იყო იმის მიზეზი, რომ დავით კურაპალატი 987 წელს ბიზანტიის წინააღმდეგ აჯანყებულ ბარდა ფოკას მიემხრო. ფოკა, ალბათ, ბიზანტიის იმპერატორის მიერ დროებით მფლობელობაში გადაცემული მიწების მემკვიდრეობით დამტკიცებას დაჰპირდა. იაჰია ანტიოქიელის თანახმად, დავითთან მოსალაპარაკებლად ბარდა ფოკას ვაჟი ნიკიფორე კოჭლი მისულა უშუალოდ.

ბასილი II იძულებული გახდა კიევის მთავარ ვლადიმირისთვის ეთხოვა დახმარება და აღუთქვა, რომ მიათხოვებდა თავის დას _ ანას. ვლადიმირმა ჯარი გამოუგზავნა ბასილის. იმპერატორმა დახმარება მიიღო, მაგრამ პირობის შესრულებაზე უარი განაცხადა. მაშინ კიევის მთავარმა მის წინააღმდეგ გაილაშქრა. ბასილი II იძულებული გახდა კიევის მთავრისთვის და მიეთხოვებინა, ოღონდ კიევის მთავარს გაქრისტიანება მოსთხოვა. 988 წელს ვლადიმირი გაქრისტიანდა და ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა რუსეთში. ბასილი II-მ დაამარცხა ფოკა. იგი ბრძოლის ველზე დაიღუპა. გამარჯვებული იმპერატორი დავით კურაპალატის სამფლობელოსკენ დაიძრა. 990 წელს იმპერატორ ბასილ II-ს ჯაკ რუსის სარდლობით ლაშქარი გამოუგზავნია დავითის წანააღმდეგ. დავითს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, იძულებული გახდა, დაეწერა ანდერძი, რომლის თანახმადაც, მისი გარდაცვალების შემდეგ თავის სამფლობელოს ბიზანტიის იმპერატორს უტოვებდა. დავითი, როგორც ჩანს, ამ ხერხით დროის მოგებას ცდილობდა და იმედოვნებდა, რომ მომავალში ვითარების შეცვლას შეძლებდა.

1001 წელს დავით კურაპალატი გარდაიცვალა. ,,მატიანე ქართლისაი'' შემდეგნაირად ახასიათებს მას: ,,იყო პირველად ღვთის მოყუარე და გლახაკთა მოწყალე, მდაბალი, მშვიდი და ძვირუხსენებელი, ეკლესიათა მაშენებელი, ტკბილი, უხვი, კაცთმოყვარე და ფიჩოსანთ მოყვარე, ყოველთათვის კეთილის მყოფელი და სავსე ყოვლითა კეთილითა''. ბასილი II სასწრაფოდ შემოვიდა ტაოში და დავითის სამფლობელოები დაიკავა. ბიზანტიის იმპერატორთან მივიდნენ ბაგრატ III და მამამისი გურგენი. ბასილიმ ბაგრატს - კურაპალატობა, გურგენს კი უფრო დაბალი ტიტული - მაგისტროსობა უბოძა (იმპერატორი ამით მამა-შვილის ერთმანეთთან დაპირისპირებას ცდილობდა, მაგრამ ვერ მიაღწია). დავით კურაპალატის სამფლობელოს დიდი ნაწილი ბიზანტიის იმპერიას დარჩა. ბაგრატმა დავითისაგან მემკვიდრეობით მხოლოდ ,,ქართველთა მეფის '' ტიტული მიიღო (თავად დავით კურაპალატს ეს ტიტული 994 წელს ბაგრატ II-ის გარდაცვალების შემდეგ ერგო).

ბაგრატ III-მ გადაწყვიტა შიდა ქართლი საიმედოდ შემოემტკიცებინა. 980 წელს იგი გადავიდა ლიხთიმერეთში, რომელსაც მოღრისთან დახვდნენ ქართლის აზნაურები ქავთარ ტბელის მეთაურობით და დიდი ბრძოლა გაუმართეს მას. ამ ბრძოლაში ბაგრატმა გაიმარჯვა და შიდა ქართლის მმართველად ერთგული მოხელეები დააყენა, უშუალოდ უფლისციხე კი მის დედას ჩააბარა. ამის შემდეგ ბაგრატი დაბრუნდა დასავლეთ საქართველოში. მაგრამ

აქაც არეული დახვდა სიტუაცია. ბაგრატმა პოლიტიკური სიმტკიცე გამოიჩინა, ურჩ ფეოდალებს თანამდებობები ჩამოართვა და ისინი თავისი ერთგული პირებით ჩაანაცვლა.

ბაგრატს არტანუჯელ-კლარჯი ხელმწიფეების სახით მეფობის მრავალი კონკურენტი ჰყავდა, რომელბიც ერთიანი ცენტრალური ხელისუფლებისადმი ერთგულებას არ იჩენდნენ. ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ბაგრატმა ისინი გზიდან ჩამოიცილა. 1011-1012 წლებში ფანასკერტის ციხეში მიიწვია სადარბაზოდ და თმოგვის ციხეში გამოკეტა. საიდანაც არც ერთი არ გამოსულა ცოცხალი. ბაგრატმა ბაგრატიონთა ამ შტოს ყველა წარმომადგენელი ამოწყვიტა. გადარჩა მხოლოდ ის, ვინც ბიზანტიაში გაქცევით უშველა თავს.

ბაგრატ III არ ინდობდა საქართველოს ერთიანობის მოწინააღმდეგეებს. ის მკაცრად გაუსწორდა ბაგრატიონთა საგვარეულოს იმ წარმომადგენლებს, რომლებიც მის ხელისუფლებას არ სცნობდნენ, მათი ნაწილი შეიპყრო და ციხეში ჩასვა, ნაწილი კი ბიზანტიაში გაიქცა.

ბაგრატი შეეცადა, კლდეკარის ურჩი ყმა, ერისთავი რატი ბაღვაში, სანიმუშოდ დაესაჯა, მაგრამ დავით ტაოელს უთხრეს, რომ სინამდვილეში ბაგრატი მის წინააღმდეგ აპირებდა გალაშქრებას. დავითმაც უზარმაზარი ჯარი გამოიყვანა საბრძოლველად. ეს, რომ ბაგრატმა გაიგო თვითონ ეახლა დავითს და თავისი რეალური მიზნის შესახებ მოახსენა. აღნიშნული კონფლიქტი მშვიდობიანად მოგვარდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული ამ ინციდენტთან დაკავშირებით. ისტორიკოსთა უმეტესი ნაწილი ფიქრობს, რომ ბაგრატ III-ს არ აკმაყოფილებდა იმიერტაოს ფაქტიური დამოუკიდებლობა. ფაქტიური იმიტომ, რომ მის მმართველ დავითს თავი საკმაოდ დამოუკიდებლად ეჭირა და რეალურად ბაგრატის ხელისუფლება იმიერტაოზე არ ვრცელდებოდა. შესაძლოა, ბაგრატს დავითის მორჩილებაში ყოლა ჰქონოდა ჩაფიქრებული. ნაწილი ისტორიკოსებისა კი იზიარებს მემატიანეს მიერ მოტანილ ვერსიას.

ბაგრატმა ამ კონფლიქტის მოგვარების შემდეგ კლდეკარის ერისთავი რატი ბაღვაში დაიმორჩილა და მის ნაცვლად აქ დანიშნა ზვიად მარუშიანი. რატი ბაღვაში კი თავის საგვარეულო მამულში არგვეთს დასახლდა.

1008 წელს გარდაიცვალა გურგენი. მისმა ძემ ბაგრატ III-მ მემკვიდრეობით მიიღო შავშეთი, კლარჯეთი, სამცხე, ჯავახეთი, ამიერ ტაო.

ბაგრატ III დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კახეთისა და ჰერეთის შემოერთებას. ორწლიანი ბრძოლის შემდეგ, 1008-1010 წლებში, ბაგრატმა შემოიერთა კახეთ-ჰერეთი და იქ თავისი ერისთავები დანიშნა. ამის შემდეგ ბაგრატ III-ს ეწოდა მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა.

კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდეგ საქართველო გაუმეზობლდა განძას, რომლის ამირა ფადლონ I (985-1031 წწ.) რამდენჯერმე შეეცადა, შეეტია კახეთ-ჰერეთისთვის. ბაგრატ III-მ ფადლონი სასტიკად დაამარცხა. იგი შამქორის ციხეში ჩაიკეტა და დაზავება ითხოვა. საბოლოოდ, განძის საამირო საქართველოს ვასალად იქცა.

ბაგრატ III-მ მოჭრა ქართული მონეტა წარწერით ,,ქრისტე ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე''. მანვე შექმნა ქვეყანაში სამართლის ნორმები, რომელიც თავმოყრილი იყო ,,ბაგრატის სამართალში''.

1014 წელს ბაგრატ III გარდაიცვალა. მეფე დაკრძალეს მის მიერვე აგებულ ბედიის ტაძარში. ქართველი მემატიანეს თქმით, ,,ესე ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფე წარემატა ყოველთა ხელმწიფეთა,.. დაუმორჩილნა ღმერთმან ყოველნი მტერნი, მომადლა

დღეთა მისთა მშვიდობა და დიდი დაწყნარება ქვეყანისა". ხოლო „შემდგომად დიდისა ვახტანგ გორგასლისა, არავინ გამოჩენილა სხუა მსგავსი მისი დიდებითა და ძალითა და ყოვლითა გონებითა".

ბაგრატ III-მ თავის მემკვიდრეებს დაუტოვა გაერთიანებული საქართველო, რომლის შემადგენლობაში არ შედიოდა მხოლოდ თბილისის საამირო და ქვემო ქართლი.

საქართველო XI საუკუნეში (გიორგი I, ბაგრატ IV, გიორგი II)

გიორგი I (1014_1027). ბაგრატ III-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა მისი 12 წლის ვაჟი გიორგი I. მეფის მცირეწლოვნობით ისარგებლეს კახეთ-ჰერეთის აზნაურებმა და ეს მხარე კვლავ ჩამოაშორეს ერთიან საქართველოს. გიორგი I-ს შეეძლო დაეწყო ბრძოლა კახეთ-ჰერეთის კვლავ შემოსაერთებლად, ან თბილისის ამირას დასამორჩილებლად, მაგრამ მეფეს საქართველოს ერთიანობისათვის ყველაზე საშიშად ბიზანტია მიაჩნდა.

X საუკუნეში ბიზანტიის იმპერია დიდ სიძნელეებს წააწყდა ბალკანეთის ნახევარ-კუნძულზე, სადაც მას ბულგარეთის ძლიერი სამეფო დაუპირისპირდა. ბასილი II-ს 30 წლიანი ომი დასჭირდა ბულგარელების დასამარცხებლად. იმპერატორი საშინელ სისასტიკეს იჩენდა ბულგარელების მიმართ. მისი ბრძანებით ტყვედ ჩავარდნილ 15 ათას ბულგარელს დასთხარეს თვალები, მხოლოდ ყოველ მესამეს დაუტოვეს ცალი თვალი და ასე გააბრუნეს უკან. ბასილი II-ს სწორედ ამის გამო ეწოდა ბულგართმმუსვრელი.

ასეთ ძლიერ და სასტიკ მოწინააღმდეგეს შეებრძოლა გიორგი I. გიორგიმ ისარგებლა იმით, რომ ბასილი ბულგარელებს ებრძოდა და დაიკავა იმიერ ტაო_დავით კურაპალატის ყოფილი სამფლობელო. ბულგარელებზე გამარჯვების შემდეგ ბასილი საქართველოსკენ გამოემართა. გიორგი I შეეცადა კოალიცია შეექმნა ბასილი II-ის წინააღმდეგ. საქართველოს მეფე დაუკავშირდა ეგვიპტის სულთანს ალ-ჰაქიმს, მაგრამ ალ-ჰაქიმი მოკლეს. მის მკვლელობაში ბიზანტიელთა ხელიც ერია.

Bბასილიმ გიორგის დაკავებული ტერიტორიების დატოვება მოსთხოვა. გიორგიმ უარი განაცხადა და ბასილი II საქართველოსკენ დაიძრა. ქართველებმა რამოდენიმეჯერ მოახერხეს ბიზანტიელების დამარცხება. გადამწყვეტი ბრძოლა 1021 წელს მოხდა სოფელ შირიმნთან. გიორგის კახეთ-ჰერეთის ლაშქარიც ეხმარებოდა, მაგრამ ბრძოლა ბიზანტიელთა გამარჯვებით დასრულდა. ბრძოლაში პირადად მონაწილეობდა მეფე გიორგიც. მეფის სიმამაცე მემატიანეს საგანგებოდ აქვს აღნიშნული. „მატიანე ქართლისაი" გვაუწყებს, რომ გიორგი „ახოვან იყო და უშიში ყოვლითურთ, ვითარცა უხორცო". ბასილმა ააოხრა თრიალეთი, ჯავახეთი, არტაანი და უკან გაბრუნებული ტრაპიზონში დაბანაკდა. Dდაიწყო საზავო მოლაპარაკება. Gგიორგი I დროის მოგებას ცდილობდა და მოლაპარაკებას აჭიანურებდა. ამასობაში ბიზანტიაში აჯანყება დაიწყო. აჯანყებულებს ურთიერთობა ჰქონიათ გიორგი I-თან. Bბასილმა დაამარცხა მეამბოხეები და ამბოხებულთა ერთ-ერთი მეთაურის თავი გიორგის გამოუგზავნა. Gგიორგი I იძულებული გახდა 1023 წელს ზავი დაედო ბიზანტიელებთან. ზავის თანახმად იმიერ ტაო კვლავ ბიზანტიელებს რჩებოდათ. ამასთან ერთად, კონსტანტინოპოლში სამი წლით მძევლად გააგზავნეს უფლისწული ბაგრატ გიორგის ძე.

1027 წელს გარდაიცვალა გიორგი I. მეფე ქუთაისში დაკრძალეს.

ბაგრატ IV (1027-1072). გიორგის გარდაცვალების შემდეგ გამეფდა მისი ძე ბაგრატ IV. 1028 წელს საქართველოში ბიზანტიელთა ჯარი შემოიჭრა. ბიზანტიელებმა იგივე ტერიტორიები დაარბიეს, რაც თავის დროზე ბასილი II-მ. ამის შემდეგ მეფე კლდეკარის

ციხეს შემოადგა. კლდეკარის მიუდგომელი ციხე იყო და ერისთავმა ლიპარიტ IV ბაღვაშმა შეძლო ბიზანტიელთა დამარცხება. ამ შემოსევის დროს აზნაურთაA ნაწილი მტერს მიემხრო, თუმცა, საქართველოს გმირი დამცველებიც ჰყავდა, თუნდაც საბა მტბევარი, რომლებმაც ბიზანტიელებს ბრძოლა გაუმართეს და შავშეთში შესვლის საშვალება არ მისცეს.

ამ შემოსევიდან რამოდენიმე წლის შემდეგ კონსტანტინოპოლში ელჩობა ჩავიდა მარიამ დედოფლის მეთაურობით და 1031 წელს მოხერხდა ბიზანტიასთან ზავის დადება.

1032 წელს ლიპარიტ ბაღვაშმა და ქართლის ერისთავმა ივანე აბაზასძემ თბილისიდან ამირა გამოიტყუეს და შეიპყრეს. შეპყრობილი ამირა ჯაფარი მეფეს მიგვარეს და თბილისის დაკავება შესთავაზეს. Lლიპარიტ ბაღვაში ერთ-ერთი უდიდესი ფეოდალი იყო. მისი სამფლობელოები უშუალოდ ესაზღვრებოდა საამიროს. თბილისის დაკავების შემდეგ ლიპარიტი ახალი ტერიტორიების დაკავებას გეგმავდა. Lლიპარიტის მოწინააღმდეგეებმა, სავარაუდოდ, მცირეწლოვან ბაგრატს ამირას გაშვება ურჩიეს და მეფემაც ჯაფარი გაათავისუფლა. ხუთი წლის შემდეგ, კვლავ ლიპარიტის ინიციატივით, ბაგრატ IV-მ თბილისს ალყა შემოარტყა. Aამირა მზად იყო გაქცეულიყო, მაგრამ, ლიპარიტისგან მალულად, მეფეს დიდებულთა ნაწილმა ამირასთან დაზავება ურჩია. ბაგრატი ამირას დაუზავდა. Mმეფის გადაწყვეტილებაზე, ალბათ, იმანაც იმოქმედა, რომ გავრცელდა ხმა, თითქოს ამირას დასახმარებლად დიდი ჯარი მოდიოდა. მთავარი მიზეზი, რა თქმა უნდა, ლიპარიტის მოწინააღმდგე დიდებულთა მიერ მეფის გადაბირება იყო.

ლიპარიტ IV, როგორც ჩანს, ძლაზე ენერგიული და ჭკვიანი მოღვაწე იყო. ბაგრატ IV-ის მეფობის დასაწყისში იგი მეფის ერთგულია. თბილისის შემოერთების ორი უშედეგო ცდის შემდეგ მკვეთრად გაფუჭდა ურთიერთობა მეფესა და ლიპარიტს შორის. კლდეკარის ერისთავი მალე აშკარად აუჯანყდა მეფეს.

Lლიპარიტს ზურგს უმაგრებდა ბიზანტია, რომელიც ამ გზით ცდილობდა საქართველოს საქმეებში ჩარევას. ერთი პერიოდი ბიზანტია შეეცადა ბაგრატ IV-თვის დაეპირისპირებინა მისი ნახევარძმა დემეტრე. ეს უკანასკნელი გიორგი I-ის ვაჟი იყო ოსთა მეფის ასულისაგან. ბაგრატ IV კონსტანტინოპოლში წავიდა რათა ბიზანტიის იმპერატორის შუამდგომლობით მოეხერხებინა ლიპარიტის შემორიგება. იმპერატორმა ,,შეარიგა" ბაგრატი და ერისთავი. Lლიპარიტი ცნობდა ბაგრატ IV-ეს თავის მეფედ და პატრონად, მაგრამ ამავე დროს იგი ხდებოდა მთელი სამხრეთ საქართველოს (მესხეთის) მთავარი.

ლიპარიტ ბაღვაშის ასეთი გაძლიერება არ მოეწონათ სხვა დიდაზნაურებს. 1058 წელს მესხმა აზნაურმა სულა კალმახელმა შეიპყრო ბაგრატ IV და მეფეს მიგვარა. Lლიპარიტი ბერად აღკვეცეს და ბიზანტიაში გაგზავნეს. შემდგომში იგი ათონის ივერთა მონასტერში მოღვაწეობდა.

XI საუკუნის 40-იან წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მახლობელ აღმოსავლეთში. გამოჩნდნენ ახალი დამპყრობლები_თურქ-სელჩუკები. მათ სელჩუკები ეწოდათ თავიანთი წინამძღვრის სელჩუკის სახელის გამო. XI საკუნის დასაწყისში სელჩუკები შუა აზიიდან დაიძრნენ, რომლებიც გამსაკუთრებით გაძლიერდნენ თოღრულ-ბეგის (1037-1063 წწ.) დროს. მან 1038 წელს დაიკავა აღმოსავლეთ ირანის ქალაქი ნიშაპური, ხოლო 1040 წელს ღაზლევიანთა დამარცხების შემდეგ, გახდა აღმოსავლეთ ირანის _ ხორასნის პროვინციის ბრძანებელი. 1055 წელს მათ არაბთა სახალიფოს დედაქალაქი ბაღდადი აიღეს და ხალიფამ სელჩუკის ერთ-ერთი შთამომავალი თოღრულ-ბეგი სულთნად აღიარა. სწორედ თოღრულ-ბეგი ითვლება `დიდ სელჩუკთა" სახელმწიფოს

დამაარსებლად. განსაკუთრებით გაძლიერდნენ სელჩუკები ალფ-არსლანისა (1063-1072 წწ.) და მალიქ-შაჰის (1072-1092 წწ.) დროს. სელჩუკების სახელმწიფოს დედაქალაქი ისპაანი იყო.

1064 წელს სელჩუკები საქართველოში შემოიჭრენ. მათ თავად სულთანი ალფ-არსლანი სარდლობდა. სამდღიანი ალყის შემდეგ მათ აიღეს ახალქალაქი. მიღწეული წარმატების მიუხედავად, სულთანი საქართველოდან სომხეთში გაბრუნდა.

1068 წელს სელჩუკებმა მეორედ ილაშქრეს საქართველოში. ამჯერად მათ აღმოსავლეთ საქართველო ააოხრეს.

1071 წელს მანასკერტთან (სომხეთში) ბიზანტიამ სელჩუკებთან ბრძოლაში სასტიკი მარცხი იწვნია, ტყვედ ჩავარდა თავად იმპერატორი. ბიზანტიამ დაკარგა აღმოსავლეთის თითქმის ყველა პროვინცია. საქართველო მარტოდმარტო დარჩა სელჩუკთა ძლიერი სახელმწიფოს წინააღმდეგ. 1072 წელს ბაგრატ IV გარდაიცვალა. მეფე ჭყონდიდში დაკრძალეს.

<u>მეფე გიორგი II (1072-1089 წწ.)</u> Bბაგრატ IV-ის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს მეფე გახდა მისი შვილი გიორგი II. გამეფებიდან ერთი წლის შემდეგ 1073 წელს გიორგი II-ს აუჯანყდნენ დიდებულები. ივანე ბაღვაშმა კახელების დახმარებით ქსნის პირი დაიკავა, ვარდან სვანთა ერისთავმა კი ეგრისი დაარბია, ხოლო ნიანია ქუაბულისძე ისე გაკადნიერდა, რომ სამეფო ქალაქ ქუთაისის საჭურჭლე გაძარცვა. M მეფემ ამბოხებულების შემორიგება მათი დასაჩუქრებით მოახერხა და თითოეულს ახალი სამფლობელო უწყალობა. მეფე გიორგიმ ივანე ბაღვაშს უბოძა სამშვილდე, მის ძეს, ლიპარიტს, გადასცა ლოწობნის ციხე, ნიანია ქუაბულისძეს კი - თმოგვი, ვარდან სვანთა ერისთავს ერგო ასკალანა და სხვ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ფეოდალებმა ამით შეამოწმეს მეფე გიორგი, თუ რამდენად მტკიცე იყო ცენტრალური ხელისუფლება. მეფეს მეტი სიმტკიცე უნდა გამოეჩინა და აღეკვეთა ეს ქმედება, რათა ყველას სცოდნოდა, რომ ცენრალური ხელისუფლებისა და ქვეყნის წინააღმდეგ ჩადენილი ღალატი დაუსჯელი არ დარჩებოდა. ამასობაში მალიქ-შაჰმა მოარბია ქართლი და აიღო განძა, რომელიც მის ერთგულ სარანგს ჩააბარა. სულთანმა სარანგს 48 000 ჯარი დაუტოვა დ ქართლის დალაშქვრა უბრძანა. 1074-1075 წელს მეფე გიორგიმ ფარცხისთან გამართულ ბრძოლაში სარანგი დაამარცხა.

1076 წელს ქართველებმა აიღეს ქალაქი კარი. ეს ქალაქი მეფეს საქართველოში ჩამოსულმა ცნობილმა ბიზანტიელმა სარდალმა გრიგოლ ბაკურიანისძემ გადასცა. გრიგოლ ბაკურიანისძე იმ ქართველთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებიც ბიზანტიაში მოღვაწეობდნენ. გრიგოლმა დიდ წარმატებას მიაღწია ბიზანტიის სამხედრო სამსახურში. იგი იყო დასავლეთის დიდი დომესტიკოსი (სარდალი) და ატარებდა სევასტოსის ტიტულს. გრიგოლ ბაკურიანისძემ დიდად შეუწყო ხელი ალექსი კომნენოსს საიმპერატორო ტახტზე ასვლაში. იგი დაიღუპა პაჭანიკებთან ბრძოლის დროს.

დიდი გავლენით სარგებლობდა იმპერიაში გიორგი II-ის და, დედოფალი მარიამი. მარიამი ჯერ იმპერატორ მიხეილ VII-ის, შემდეგ კი იმპერატორ ნიკიფორე III-ის მეუღლე იყო. მარიამ დედოფალი დიდ მფარველობას უწევდა ქართულ მონასტრებს. მან საკმაოდ დიდი მამულები შესწირა ათონის ივერთა მონასტერს. მართალია, გრიგოლ ბაკურიანისძემ კარი გიორგი II-ს გადასცა, მაგრამ ქალაქი ფაქტობრივად ბიზანტიელებს აღარ

ეკუთვნოდათ და ქართველებმა კარი ბრძოლით წაართვეს სელჩუკებს. კარის აღებას სულთნის ახალი ლაშქრობა მოყვა.

მალიქ შაჰმა საქართველოში მრავალრიცხოვანი ჯარებით გამოგზავნა ამირა აჰმადი, რომელმაც ციხე-ქალაქი კარიც აიღო და ჯავახეთში მყოფი ქართველთა ლაშქარიც დაამარცხა. მათ საქართველოდან წაიღეს ,,საჭურჭლენი დიდნი და სამსახურებელნი სამეფოთა ტაბლათანი, ოქროსა და ვერცხლისანი, ბაგრატეულნი სასმურნი და სამწდეონი პატიოსანნი, კარავნი სამეფონი და ყოველთა დიდებულთანი აიხუნეს იავარად და წარვიდესა". დამარცხებულმა მეფე გიორგიმ დასავლეთ საქართველოს შეაფარა თავი. სელჩუკები ,,მოეფინნეს პირსა ყოვლისა ქუეყანისასა, ვითარცა მკალნი. და დღესა ივანობისასა ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა. მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკჳდრი ყოველი". მათ გადაწვეს ქალაქები ქუთაისი, არტანუჯი და კლარჯეთი. მემატიანის თქმით, ,,მოჭამეს ქუეყანა და მოსწყჳდეს, თუ სადღა ვინ დარჩომილი იყო ტყეთა, კლდეთა, ქუაბთა და ჴურელთა ქუეყანისათა. და ესე იყო პირველი დიდი თურქობა, რამეთუ ქორონიკონი იყო სამასი". ამრიგად, საქართველოში 1080 წლიდან დაიწყო ,,დიდი თურქობა". აღმოსავლეთ საქართველოს განსაცდელი დაემუქრა. სელჩუკები მომთაბარე მეცხოველეობას მისდევდნენ. ეს მხარე შეიძლება სელჩუკთა საძოვრებად გადაქცეულიყო. გიორგი II-ს მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად ძალები აღარ ყოფნიდა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თქმით: ,,არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა, მოოჴრდა ქუეყანა და ტყედ გარდაიქცა, და ნაცვლად კაცთა მჴეცნი და ნადირნი ველისანი დაემკჳდრნეს მას შინა". მისი სიტყვით, ასეთი საშინელი უბედურება საქართველოს არასოდეს დასტეხია თავს. ეკლესიანი თურქებმა თავის ცხენთა სადგომად აქციეს, წაიბილწა წმინდა ადგილები, დაიხოცნენ ეკლესიის მსახურნი, "მოხუცებულნი არა შეწყალებულ იქნეს, ხოლო ქალწულნი გინებულ, ჭაბუკნი დაკუეთებულ, ხოლო ჩჩჳლნი მიმოდატაცებულ. ცეცხლი უცხო და მბრძოლი, რომლითა მოიწუა შენებული ყოველი, მდინარენი სისხლთანი, ნაცვლად წყლის ნაკადულთა, მრწყველნი ქუეყანისანი".

1083 წელს მეფე ისპაანში ეახლა მალიქ-შაჰს და ხარკის გადახდის პირობით ზავი ითხოვა. მალიქ შაჰმა ,,ყოველი სათხოვნელი აღუსრულა მეფესა გიორგის... და სამეფო მისი განათავისუფლა ზედამარბეველთაგან და მოსცა კახეთი და ჰერეთი, გარნა ხარაჯა ითხოვა სამეფოსა მისისა, რომელსა აიღებდეს ჟამთა მრავალთა. და ესრე განდიდებითა და მრავლითა დიდებითა გამოგზავნა თჳსად სამეფოდ და წარმოაყოლნა სპანი დიდნი, რათა წარვლონ გზა მშვიდობისა და რათა აართვან კახეთი". Aმის შემდეგ მეფე გიორგიმ ,,ჟამსა სთულისასა მოვიდეს კახეთად, და მოადგეს ციხესა ვეჟინისასა და, ვიდრე ბრძოდეს-ღა, მოვიდა თოვლია". მემატიანის თქმი: ,,ხოლო მეფესა გიორგის მოეკსენა ნადირობა აჯამეთისა, არასდროს ზრუნავდეს სხუასა, არცა ელოდა აღებასა ვეჟინისასა და კახეთისა, არამედ ლაშქართა თურქთასა, რომელ ჰყვა, მისცა ნიჭად სუჯეთი და ყოველი ქუეყანა იორის პირი კუხეთი, რომელი მოოჴრდა მუნ დღეინდელად დღემდე. ხოლო თჳთ გარდავლო მთა ლიხთა და შთავიდა აფხაზეთად". ამრიგად, მეფემ ვერც კახეთი ვერ აიღო და ისევ დასავლეთ საქართველოს შეაფარა თავი.

კახეთის მეფემ აღსართანმა ხელმეორედ მიიღო ისლამი და მალიქ-შაჰმა კახეთი მას უბოძა, როგორც უფრო სანდო პარტნიორს.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველები ხარკს იხდიდნენ, თურქ-სელჩუკები მაინც განაგრძობდნენ ქვეყნის რბევასა და აოხრებას. ამას ზედ დაერთო დიდი მიწისძვრა. მემატიანის თქმით: ,,შეძრა ქუეყანა საფუძველითურთ, ესოდენ სასტიკად, ვიდრემდის

მთანი მაღალნი და კლდენი მყარნი სახედ მტუერისა დაიგალნეს, ქალაქნი და სოფელნი დაირღუეს, ეკლესიანი დაეცნეს, და სახლნი დაინთქეს და დაზულეს, და იქმნეს საფლავ მას შინა მკვდრთა. რომელთა თმოგჳცა დაიქცა და დაიპყრნა ქუეშე. კახაბერი ძე ნიანისი ცოლითურთ. და განგრძელდა ესევითარი ძრვა ქუეყანისა საშინელი ვიდრე წელიწდამდის, რომელსა შინა მოსწყდა სიმრავლე ურიცხჳ".

შექმნილ უმძიმეს ვითარებაში 1089 წელს სამეფო კარზე მიიღეს გადაწყვეტილება _ ჩამოეშორებინათ გიორგი II ქვეყნის მართვისაგან და ტახტზე აეყვანათ მისი 16 წლის ძე, დავით IV. ,,ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათAმანა, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა", _ ასე აფასებს დავითის ისტორიკოსი დავით IV-ის ტახტზე ასვლას. გიორგი II-მ ამის შემდეგ კიდევ თითქმის ოცი წელი იცოცხლა.

დავით IV აღმაშენებელი (1089-1125)

<u>დავითის გამეფება. ცვლილებები საერთაშორისო ვითარებაში.</u> ,,ამიერითგან იწყეს ნიავთა ცხოვრებისათა მობერვად და ღრუბელთა მაცხოვარებისათა აღმოჭრობად, ვინათგან ათორმეტ წელ ამათ თვითო სახეთა ჭირთა განგრძობითა ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა, სახელმოდგმამან, დავით"- ასე აგვიწერს დავით აღმაშენებლის გამეფებას მისი ისტორიკოსი.

დავით IV-ის გამეფების ჟამს უმძიმესი ვითარება იყო შექმნილი საქართველოში. სამეფო ხელისუფლება, ფაქტობრივად, მხოლოდ დასავლეთ საქართველოზე ვრცელდებოდა. კახეთ-ჰერეთი კვლავ დამოუკიდებლობას იჩემებდა, თბილისი კვლავ მაჰმადიან ამირებს ეპყრა, ქართლი და სამხრეთ საქართველო კი თურქ-სელჩუკთაგან იყო მრავალგზის აოხრებული. მოსახლეობა იძულებით ტოვებდა თავის საცხოვრებელ ადგილებს და მთაში იხიზნებოდა ან ციხესიმაგრეებს აფარებდა თავს.

დავითმა აზნაურთაგან შექმნა სამხედრო რაზმები, რომლებიც თავს ესხმოდნენ თურქებს და ანადგურებდნენ მათ. მეფემ აღადგინა დისციპლინა და წესრიგი ჯარში.

დავით აღმაშენებლმა შესანიშნავად იცოდა, რომ თურქ-სელჩუკთა განდევნა და ქვეყნის გაერთიანება შეუძლებელი იქნებოდა სამეფო ხელისუფლების განმტკიცებისა და ურჩი დიდებულების დასჯის გარეშე. სამეფოს ხელისუფლების მოწინააღმდეგე დიდებულთა შორის კვლავ გამოირჩეოდა ბაღვაშთა საგვარეულოს წარმომადგენელი ლიპარიტ V. დავითმა დაატყვევა კლდეკარის ერისთავი. ლიპარიტმა მოინანია დანაშაული და მეფემაც გაათავისუფლა იგი. მეფე მალე დარწმუნდა, რომ ლიპარიტი ისევე არ გამოსწორდებოდა, როგორც ,,კუდი ძაღლისა არა განემართების, არც კირჩხიბი მართლად ვალს". დავითმა შეიპყრო ლიპარიტი და ორწლიანი პატიმრობის შემდეგ ბიზანტიაში გააძევა, კლდეკარი კი თავის ერთგულ მოხელეს ჩააბარა. ცოტა ხნის შემდეგ მეფემ მეორე ფეოდალიც, ზედაზნის ციხის პატრონი ძაგანი დასაჯა ურჩობისათვის. დავითმა ამით დაანახა დიდებულებს, რომ ის არ მოითმენდა ორგულობას.

თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლას ხელს უწყობდა მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილი ვითარებაც. 1092 წელს გარდაიცვალა სულთანი მალიქ-შაჰი და მის მემკვიდრეებს შორის ტახტისათვის სასტიკი ბრძოლა დაიწყო. სელჩუკთა სახელმწიფო არც მანამდე იყო ერთიანი. XI ს-ის 70-იანი წწ-ის ბოლოს მას გამოეყო რუმის სასულთნო. მალიქ-შაჰის გარდაცვალების შემდეგ დაშლის პროცესი კიდევ უფრო დაჩქარდა.

უმთავრესი მაინც ის იყო, რომ თურქ-სელჩუკთა ყურადღება ჯვაროსნების წინააღმდეგ ბრძოლაზე იქნა გადატანილი.

1095 წელს საფრანგეთის ქალაქ კლერმონში რომის პაპმა ურბან II-მ მოუწოდა ხალხს გაელაშქრათ აღმოსავლეთისაკენ და გაეთავისუფლებინათ ურჯულოთაგან იერუსალიმში ქრისტეს საფლავი. პაპის სიტყვებით ევროპის ქვეყნებზე თავს დამტყდარი ყველა უბედურების (მოუსავლიანობა, შავი ჭირის ეპიდემია, ომები) ერთადერთი მიზეზი ის იყო, რომ უფლის საფლავს მუსლიმები დაჰპატრონებოდნენ. ამ დროს ევროპაში საკმაოდ დიდი სამხედრო პოტენციალი არსებობდა. ძალზე იყო გაზრდილი რაინდთა რიცხვი.

1096 წელს ევროპის სხვადასხვა კუთხიდან რაინდები აღმოსავლეთისაკენ დაიძრნენ. დაიწყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა მსოფლიო ისტორიაში _ ჯვაროსნული ლაშქრობები. რაინდებზე ადრე იერუსალიმისაკენ დაიძრენ ღატაკთა და უსახლკაროთა ბრბოები. ცხადია, მათ სელჩუკებთან ბრძოლა არ შეეძლოთ და პირველსავე შეტაკებაში სასტიკი მარცხი იწვნიეს. ევროპიდან დაძრული რაინდები ერთმანეთს კონსტანტინეპოლთან შეხვდნენ. ბიზანტიის იმპერატორი ამ დროს ალექსი I კომნენოსი იყო. მან მოახერხა დროებით შეეჩერებინა იმპერიის დაცემა. ალექსი კომნენოსი სელჩუკთა წინააღმდეგ ჯვაროსანთა გამოყენებას ფიქრობდა. უზარმაზარი სამხედრო ძალის (დაახლოებით 100 000 რაინდი) თავმოყრა კონსტანტინეპოლში სახიფათო იყო და ბიზანტიელებმა რაინდები სასწრაფოდ გადაიყვანეს მცირე აზიაში. პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა წარმატებით დაგვირგვინდა, ჯვაროსნებმა 1098 წელს აიღეს ანტიოქია, 1099 წელს კი სასტიკი ბრძოლის შემდეგ გაათავისუფლეს იერუსალიმი. ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ჯვაროსნებმა თავიანთი სამეფო-სამთავროები დააარსეს (იერუსალიმის სამეფო, ანტიოქიის სამთავრო, ტრიპოლისა და ედესის საგრაფოები).

დავით IV-მ ისარგებლა იმით, რომ თურქ-სელჩუკებს მთელი ყურადღება ჯვაროსნებისკენ ჰქონდათ გადატანილი და 1099 წელს ხარკი შეუწყვიტა მათ.

<u>დავით აღმაშენებლის რეფორმები.</u> საერთაშორისო ვითარების შეცვლასაქართველოს სასარგებლოდ, რათქმაუნდა, მნიშვნელოვანი იყო. მიუხედავად ამისა, ჯვაროსანთა ვერანაირი წარმატება ვერ იხსნიდა საქართველოს უმძიმესი მდგომარეობიდან. საჭირო იყო საკუთარი ძალისხმევა.

თურქ-სელჩუკთა შემოსევებისა და სამეფო ხელისუფლების დასუსტების შედეგად თითქმის მთლიანად მოშლილი იყო სახელმწიფო მმართველობის სისტემა. საჭირო იყო რეფორმების გატარება. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო საეკლესიო რეფორმის გატარება. ქვეყანაში შექმნილმა ვითარებამ თავისი დაღი დაასვა საქართველოს ეკლესიასაც. საეკლესიო პირთა ნაწილი უღირსი იყო, ნაწილი კი მეფის მოწინააღმდეგეებს უჭერდა მხარს. საეკლესიო რეფორმის გატარება ჯერ კიდევ ბაგრატ IV-მ სცადა XI საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც საქართველოში ჩამოვიდა დიდი ქართველი საკლესიო მოღვაწე გიორგი მთაწმინდელი. მაშინ მეფის განზრახვა ვერ განხორციელდა, რადგან შესაბამისი პოლიტიკური ვითარება არ არსებობდა. დავით IV-მ გადაწყვიტა წესრიგი დაემყარებინა ეკლესიაში და 1105 (1103/1104) წელს რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე ეკლესიაში მოკალათებული ორგული თავადები ეკლესიიდან განკვეთა. მან პირადი ნიჭით დაჯილდოებული და ქვეყნის პატრიოტი პირები დანიშნა სასულიერო თანამდებობებზე.

რუის-ურბნისის კრების შემდეგ ეკლესიამ დიდად გაიფართოვა თავისი ღვაწლი და სახელმწიფო საკითხებსაც წყვეტდა (ჭყონდიდელისა თუ სხვა სამი ბერის (მონაზონის) საშუალებით).

რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ მტკიცედ დაადგინა საეკლესიო წეს-კანონები, რომელიც მოცემულია ამ კრების მიერ მიღებულ დოკუმენტში, რომელსაც ,,ძეგ-ლისწერა'' ეწოდება. საეკლესიო თანამდებობიდან გადააყენეს და შეაჩვენეს ყველა ,,უღირსად გამოჩინებულნი''. ამიერიდან აიკრძალა დაწინაურება წოდებრიობისა და მემკვიდრეობის მიხედვით. თანამდებობაზე ინიშნებიან მხოლოდ ღირსეულნი - ნიჭიერნი, განსწავლულნი, პატიოსანნი, ქვეყნის ერთგულნი. დაკანონდა სამღვდელო პირთა ხელდასხმის წესი, განისაზღვრა ასაკი, რომლის უადრეს არ ეგებოდა მათი ხელდასხმა: 35-წელი ეპისკოპოსთათვის, 30 მღვდელთათვის, 25-დიაკონისათვის, 8 – წიგნის მკითხველისათვის. აიკრძალა ხელდასხმით ერთსა და იმავე დღეს ერთი ხარისხიდან პირდაპირ მეორე და მესამე ხარისხში აყვანა. ეს იმას ნიშნავდ, რომ საეკლესიო იერარქიულ კიბეზე აღმასვლა უნდა მომხდარიყო ყველა საეკლესიო საფეხურის საფუძვლიანად გავლით. არა დანიშნულების მიხედვით აიკრძალა მოხმარება ყოველგვარი საეკლესიო ნივთებისა. აიკრძალა ეკლესიის გარეშე ნათლისცემა და გვირგვინის კურთხევა. აიკრძალა გვირგვინის კურთხევა ,,ჩვილთა ქალ-ყრმათა''. ჯვარდასაწერი ქალი 12 წლისაზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. კათალიკოსსა და ეპისკოპოსებს დაევალათ ქორეპისკოპოსებად ,,სჯულისა და საღთოთა წიგნთა მეცნიერი'' აერჩიათ. აიკრძალა მონასტრებთან ვაჭრობის გამართვა. კრებამ დაადგინა, რომ მონასტერს არ უნდა ჰყოლოდა ორ მოძღვარზე მეტი. მოაწესრიგა ქორწინების წესი. ღმრთის მაგინებელი და შეურაცხმყოფელი ,,ძეგლისწერის'' მიხედვით ,,თანამდებ იყოს... განკანონებისა''.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრებიდან მცირეოდენი ხნის შემდეგ დავითმა უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები მიიღო. მან შექმნა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის ახალი თანამდებობა. მწიგნობართუხუცესი იყო მეფის კანცელარიის უფროსი, ჭყონდიდელი კი ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ეპისკოპოსი. ამ ორი თანამდებობის გაერთიანების შემდეგ შეიქმნა სწორედ ახალი თანამდებობა, რომელსაც შეეძლო ჩარეულიყო როგორც საერო, ასევე სასულიერო საქმეებში. მწიგნობართ-უხუცეს-ჭყონდიდელს ემორჩილებოდა ,,სააჯო კარი'' ანუ უმაღლესი სასამართლო. პირველ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელად მეფემ დანიშნა თავისი აღმზრდელი გიორგი მწიგნობართუხუცესი. იმავე ხანებში დავით აღმაშენებელმა ცალკეული რეფორმატორული გარდაქმნებით საბოლოოდ ჩამოაყალიბა მტკიცედ ფორმულირებული უმაღლესი სახელმწიფო მთავრობა-სავაზირო, რომელიც შესდგებოდა 8 ვაზირისაგან. 1. მწიგნობართუხუცესი, იგივე პირველი ვაზირი, მეფის ყველაზე ახლობელი პირი ,,ვითარცა მამა''. არც ერთი საქმე მის გარეშე სავაზიროში არ გადაწყდებოდა. იგი იყო აგრეთვე უზენაესი მოსამართლე. ის ვითარცა ჭყონდიდელი, განაგებდა რელიგიურ საქმეებსაც. მასვე ეკითხებოდა მოაჯეთა ყოველი თხოვნის, საჩივრისა და მატერიალურად თუ სულიერად გაკითხვა-განჩინების საქმენი. საჩივრითა და სათხოვართა გასარჩევად მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს დანიშნული ჰქონდა ყოველი ორშაბათი დღე. 2. მანდატურთუხუცესი, შინაგან საქმეთა ვაზირი. მას ემორჩილებოდა მთელი საპოლიციო სამსახური და დავით აღმაშენებელისაგან ახლახანს შემოღებული მსტოვართა (მზვერავთა) მრავალრიცხოვანი, მტკიცე ორგანიზაცია. ამათ არაფერი დაემალებოდათ ,,არცა სამეფოსა შინა მისთა მყოფთა კაცთა, დიდთა და მცირეთა საქმე ქმნილი, კეთლი გინა სიტყვა ბოროტი თქმული''. მანდატურთუხუცესს მეორენაირად სახლთუხუცესსაც

უწოდებდნენ. 3. ამირსპასალარი, სამხედრო საქმეთა ვაზირი და სარდალი ,,სპასალართუხუცესი'' და ,,თავადი ლაშქართა''. 4. მეჭურჭლეთუხუცესი, ფინანსთა გამგე – ვაზირი, 5. მსახურთუხუცესი, სამეფო სასახლის კარის შინა სამსახურთა გამგევაზირი. პირველ ხანებში მსახურთუხუცესი უმცროს ვაზირად ითვლებოდა და სათათბირო ხმის უფლებით სარგებლობდა, მაგრამ შემდგომ ისიც სავაზიროს სრულუფლებიანი წევრი ხდება გადამწყვეტი ხმის უფლებით. 6. ამირახორი, ამირსპასალარის პირველი თანაშემწე, უმცროსი ვაზირი, სათათბირო ხმით, 7. მეჯინიბეთუხუცესი, ამირსპასალარის თანაშემწე, უმცროსი ვაზირი, სათათბირო ხმით. 8. ჩუხჩარხი, მეფის პირადი სპასპეტი და მეაბჯრეთუხუცესი, ,,მონა-სპის'' სარდალი, უმცროსი ვაზირი, სათათბირო ხმით.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მსტოვართა ინსტიტუტის შექმნას, რაც საშვალებას აძლევდა მეფეს სცოდნოდა ყველაფერი, რაც ხდებოდა ქვეყნის შიგნითა და გარეთ.

აღნიშნული ხანის ქართული ნუმიზმატიკური მასალის შესწავლა ჯერ კიდევ გასული საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო. შემდეგ ამ საკითხს ყურადღებას აქცევდნენ და საგანგებო შრომებს უძღვნიდნენ ფრანგი მეცნიერი ვ. ლანგლუა, გამოჩენილი რუსი ნუმიზმატი ე. პახომოვი, ინგლისელი ქართველოლოგი დ. ლენგი და სხვა. ამ საქმეში განსაკუთრებული წვლილი აქვთ შეტანილი ქართველ მეცნიერებს. დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული ფულის რეფორმის შესახებ ძვირფას ცნობას იძლევა არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი.

დავით აღმაშენებელმა გააგრძელა ვლაქერნის გამოსახულებიანი მონეტების მოჭრა, რომელიც ადრე იყო, მაგრამ შემდეგ მანვე დაუსვა წერტილი ამ ტიპის ფულის შემდგომ წარმოებას. ბაგრატ IV-ისა და გიორგი II-ის მონეტებთან შედარებით ვლაქერნის გამოსახულება აქ გაუხეშებულია. დავით აღმაშენებლის მონეტის წონამ ადრინდელი მონეტების წონასთან შედარებით ერთი-ხუთათ იკლო. წონის დაკლება თანდათანობით ხდებოდა და სხვადასხვა მიზეზით იყო გამოწვეული.

საქართველოს მძლავრმა და ზეაღმავალმა ეკონომიკურმა პოტენციალმა ფულის საფუძვლიანი შეცვლა მოითხოვა. საჭირო იყო ფული, რომელიც ფართო მიმოქცევაში იქნებოდა არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. სწორედ ამიტომ, XII საუკუნის პირველ მეოთხედში, ეს სამონეტო ტიპი ძირფესვიანად იცვლება. შეიცვალა ფაქტურა და წარწერების შინაარსი. XII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს სამეფო კარმა გაატარა მნიშვნელოვანი ფინანსური ღონისძიებები, რაც შემდეგში გამოიხატა: 1. შეცვალა მონეტის ტიპი, 2. მონეტის ტიპის არსებით ცვლილებასთან ერთად განმტკიცდა ფულის კურსი.

თავისთავად ფინანსური რეფორმის მთელი არსი სწორედ ამაში მდგომარეობდა, რომ ამიერიდან უზრუნველყოფილი იყო ფულის მყარი მიმოქცევა. ფულის სისტემის გაუმჯობესება აპირობებდა ეკონომიკის წარმატებით განვითარებას. ამდენად, დავით აღმაშენებლის მიერ ეკონომიკაში გატარებული ღონისძიებები, მისი პოლიტიკა საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ აღორძინებას ემსახურებოდა.

თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელი იყო ძლიერი ჯარის გარეშე. დავითმა თავიდანვე დაიწყო სამხედრო რეფორმის განხორციელება. მან შექმნა მეფის პირადი გვარდია _ მონასპა. დავითის დროს საქართველოს ლაშქარი სამ ნაწილად იყოფოდა. ეს იყო მონასპა, ქალაქებსა და ციხეებში მდგომი გარნიზორები და ლაშქრის ძირითადი ნაწილი, რომელზეც მოდიოდა მთელი სიმძიმე. სამხედრო რეფორმა დამთავრდა 1118 წელს, როდესაც მეფემ ჩრდილოეთ კავკასიიდან ყივჩაღები ჩამოასახლა.

სავარაუდოა, რომ დავითმა პოლიტიკური მოსაზრებით შეირთო ცოლად ყივჩაღდა ერთ-ერთი მთავრის ათრაქა შარაღანის ძის ასული გურანდუხტი.

ყივჩაღები თურქული წარმოშობის ხალხი იყო. X საუკუნის შუა ხანებში ისინი დაიძნენ დასავლეთისაკენ და დაიკავეს უზარმაზარი ტერიტორია მდინარე დუნაიმდე, თუმცა ერთიანი სახელმწიფოს შექმნა ვერ მოახერხეს. ყივჩაღების საქართველოში გადმოსახლებას ის აბრკოლებდა, რომ მათ ბრძოლები ჰქონდათ ოსებთან. დავითი გადავიდა ჩრდილოეთ კავკასიაში და ოსები ყმადნაფიცობის პირობით დაიმორჩილა. დავით აღმაშენებლის დროს კიდევ უფრო ძლიერდება საქართველოს გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაზე. იქ ვრცელდება ქართული დამწერლობა, ქართული ენა, კულტურა და ქრისტიანობა. დავითმა მშვიდობიანად გადმოიყვანა ყივჩაღები. ოსეთში მეფეს თან ახლდა გიორგი მწიგმობართუხუცეს-ჭყონდიდელი, რომელიც სწორედ იქ ყოფნის დროს გარდაიცვალა. ყივჩაღდა 40 000 ოჯახის გადმოსახლებით, რომლებიც მეფეს თითო ოჯახზე თითო მეომარს აძლევდა, დავითი რამდენიმე საკითხს წყვეტდა ერთდროულად: იზრდებოდა ქვეყნის სამხედრო პოტენციალი, ყივჩაღთა ჯარის გამოყენება შეიძლებოდა როგორც საგარეო მტრის, ასევე ცალკეული ურჩი ფეოდალის წინააღდეგაც. გარდა ამისა, სამხედრო ვალდებულებისაგან გათავისუფლდებოდა მოსახლეობის დიდი ნაწილი და ისინი აღარ მოსწყდებოდნენ სამეურნეო საქმიანობასა, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკის წინსვლას შეუწყობდა ხელს. სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი საქართველო საიმედოდ იქნებოდა დაცული შემოსევებისაგან, ეს კი ქვეყნის აღმავლობის ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენდა.

<u>ბრძოლა თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ. ქვეყნის გაერთიანება.</u> 1104 წელს ქვეყნის მომხრე კახელმა დიდებულებმა შეიპყრეს კახეთ-ჰერეთის მეფე აღსართანი და დავითს მიჰგვარეს. ამის შემდეგ მეფე კახეთ-ჰერეთში გადავიდა და ეს მხარე შემოიერთა. განძის ათაბაგმა იგრძნო ის საფრთხე, რომელიც საქართველოს გაერთიანებით ემუქრებოდა და დიდი ჯარი გამოგზავნა ქართველების წინააღმდეგ. 1105 (1104) წელს დავითმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ერწუხთან ბრძოლაში.

1110 წელს ქართველებმა აიღეს სამშვილდე. შეშინებულმა თურქებმა სასწრაფოდ დატოვეს მახლობელი ციხეებიც. 1115 წელს განთავისუფლდა რუსთავი. 1117 წელს დავით IV-ემ საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთით მდებარე ციხე-ქალაქი გიში აიღო. 1118 წელს მეფემ სელჩუკებს წაართვა ლორე. ყველასათვის ცხადი იყო, რომ მალე დადგებოდა თბილისის ჯერი.

1118 წელს, იერუსალიმის ჯვაროსნული სამეფოს ტახტზე ავიდა ბალდუინ II. იმავე ხანებში თურქული სახელმწიფოთაგან გაძლიერდა ბაღდადის, მარდინის, ალეპოსა და მაიფარაკინის ამირა ნეჯმ ად დინ ილღაზი, რომელმაც დიდი ,,საღვთო ომი'' გამოუცხადა ჯვაროსნებს. ამავე პერიოდს ემთხვევა საქართველოს გაძლიერებაც, რომელმაც სერიოზულად შეაშფოთა სელჩუკები. მათ გადაწყვიტეს ერთხელ და სამუდამოდ წელში გაეტეხათ საქართველო. მით უმეტეს, რომ თურქებმა რამდენჯერმე მოახერხეს ჯვაროსანთა დამარცხება. სელჩუკთა სარდალმა ილ-ღაზმა 1119 წელს დაამარცხა ანტიოქიის მთავარი როჟერი. თავად როჟერი და სხვა მრავალი ჯვაროსანი ბრძოლის ველზე დაიღუპა. სავარაუდოა, რომ ამ ბრძოლის შემდეგ მოხდა საიდუმლო შეხვედრა დავით აღმაშენებელსა და იერუსალის მეფე ბოლდუინ II-ს (1119-1131) შორის, რომელზეც ჩვენ იოანე ბატონიშვილი მოგვითხრობს. საინტერესოა, რომ პარიზის ღვთიშობლის ტაძარში ინახებოდა დავით აღმაშენებლი ჯვარი, რომელიც ძელი ცხოველისაგან იყო დამზადებული.

1120 წლის 7 მაისს ქართველებმა დაიწყეს შეტევა აღმოსავლეთ კავკასიონის სამხრეთ ტერიტორიებზე. აქ მათ აიღეს ყველა მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე, მათგან უმთავრესნი-ლიზანი, ქურდევანი, ხიშტალანთი. იმავე, 1120 ზაფხულსა და შემოდგომაზე ქართველებმა კიდევ რამდენიმეჯერ დაამარცხეს თურქები ირანსა და სომხეთში. ნოემბერში დავითი სამხრეთ-დასავლეთისაკენ გაეშურა. მის შეტევას უნდა აღეკვეთა ალეპოელი სულთანის ილღაზის განაზრახი ლაშქრობანი ბალდუინის ჯვაროსნულ სამფლობელოთა დასაპყრობად. ქართველები მიადგნენ აშორნიას, საიდანაც სულ ახლოს იყო ილღაზის საბრძანებლონი-მარდინი და მაიფარაკანი. აშორნიაში დიდძალი თურქობა იდგა. ქართველებმა მისვლისთანავე მიიტანეს იერიში, რომელიც თურქთა განადგურებით გათავდა. აშორნიიდან ქართველები სირიის საზღვრებში შეიჭრნენ და თურქული ბანაკები დაიფრინეს. დავითი ალეპოსაკენ მიიწევდა, ილღაზის რეზიდენციისაკენ, მაგრამ მსტოვრებმა აცნობეს, რომ ზურგიდან თურქთა ურდო შემოჭრილიყო და საჭირო იყო სწრაფად უკან გამობრუნება. გამობრუნდა დავითი, სევგელმელჯთან წამოეწია საქართველოსაკენ მომავალ თურქებს და ისე ასწვიტა, რომ ,,არა დაუტევა მოტირალი კარავთა მათთა''. ასე გასრულდა 1120 წელი, ქართველებმა ათზე მეტი წარმატებული ბრძოლა გადაიხადეს.

ქართველი ერის სამართლიანი ბრძოლების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დიდგორის ბრძოლას.

მაჰმადიანთა გაერთიანებული ლაშქრის საქართველოზე თავდასხმის წამომწყები და ორგანიზატორი ერაყის სელჩუკიანთა გამგებელი, სულთანიMმაჰმუდ მუჰამედის ძე (1117-1131 წ.წ.) ჩანს. მან მიმართა მაჰმადიანებს ,,ვინც კი სადმე იყო დამასკოდან და ალეპოდან მოკიდებული, ყველას, მოლაშქრეებს შემძლებელს'' მონაწილეობა მიეღო საქართველოს წინააღმდეგ ომში. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით ,,სულტანმა მოუწოდა არაბეთის მეფეს დურბეიზს სა-დაყას ძეს და მოსცა ძე თავისი მალიქი და ყოველი ძალი მისი და აჩინა სპ-ასალარად ელღაზი ძე არდუხისი...და უბრძანა...ამათ თანა ათაბაგსა განძისასა მისითა ძალითა და ყოველთა სომხეთისა ამირათა''.

კოალიციური ლაშქრის რაოდენობა სომეხი ისტორიკოსის მათეოს ურჰაეცის მიხედვით შეადგენდა 560000 კაცს. ანტიოქიის სამთავროს კანცლერის, ფრანგი გოტიეს ცნობით, კოალიციურ მოლაშქრეთა რიცხვი 600000-ს აღწევდა. ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ მტრის ლაშქარი დიდგორის ბრძოლისას 300000 მეომრისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი.

იმავე გოტიეს ცნობით, დავით აღმაშენებელი 80000 მხედრით გავიდა საბრძოლველად. ეს მონაცემიც გაზვიადებული ჩანს. უფრო დასაჯერებელია მათეოს ურჰაეცის საკმაოდ დეტალური ცნობა საქართველოს ლაშქრის რაოდენობის შესახებ. მის მიხედვით, დავით აღმაშენებელმა დიდგორის ბრძოლაში საომრად გაიყვანა 55600 მოლაშქრე, აქედან 40000 ქართველი, 15000 ყივჩაღი, 500 ალანი და 100 ევროპელი მეომარი. დავით აღმაშენებლის მიერ დიდგორის ველზე გამოყვანილი ლაშქრის უდიდეს უმრავლესობას (ორ მესამედს) ქართველები შეადგენდნენ. ბრძოლა გაიმართა დიდგორში. ანტიოქიის კანცლერის გოტიეს მიხედვით, მეფე დავითს ბრძოლის წინ გასამხნევებელი სიტყვით მიუმართავს ჯარისთვის და უკან წასასვლელი ხეებით ჩაუხერგავს, რომ უკან არ გაქცეულიყვნენ ქართველი მეომრები.

1121 წლის 12 აგვისტოს დავით აღმაშენებლის წინამძღოლობით ქართველებმა დიდგორის ველზე უდიდესი გამარჯვება მოიპოვეს. დავით აღმაშენებელმა მტერი აიძულა ბრძოლა გაემართა ვიწრო ხეობაში, სადაც ის ვერ გამოიყენებდა თავის რიცხობრივ უპირატესობას. უდიდესი მნიშვნელობისა გახდათ დავითის მიერ მოფიქრებული გეგმა,

რომელმაც ლომის წილი ითამაშა მტრის განადგურებაში. კერძოდ, დავითის გეგმის თანახმად 200 მეომარი გამოეყო ქართველთა ჯარს და მტრისკენ გაემართა. მოწინააღმდეგის ჯარმა იფიქრა, რომ ისინი მოღალატეები იყვნენ და უბრძოლველად შეუშვეს ჯარის შუაგულში. ამ 200 გულადმა მეომარმაც, რომლებმაც თავი გასწირა, მაგრამ მეფის ჩანაფიქრი შეასრულა, იშიშვლა ხმალი და შიგნიდან დაერია მტერს. ამან დაბნეულობა და არეულობა შეიტანა თურქ-სელჩუკთა ლაშქარში. დავითმაც არ დააყოვნა და ამ დროს დაესხა თავს მოწინააღმდეგის ჯარს. მტერმა ვერ გაუძლო ქართველთა თავგანწირულ იერიშს და უკუიქცა. ქართველები 3 დღის მანძილზე მისდევდნენ გაქცეულ მტერს და დიდი ალაფი ჩაიგდეს ხელში.

დიდგორში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ გადაწყდა თბილისის ბედიც. 1122 წელს დავითმა თბილისი გაათავისუფლა და დედაქალაქი ქუთაისიდან თბილისში გადაიტანა. დავითმა მფარველობა აღუთქვა თბილისის ყველა მცხოვრებს ეროვნებისა და რელიგიური აღმსარებლობის მიუხედავად. მუსლიმებს დავითმა დაუწესა ყველაზე დაბალი გადასახადი _ 3 დინარი, ებრაელები იხდიდნენ 4 დინარს, ქართველები კი–5 დინარს. დემეტრე I-ის დროს, 1153-1154 წლებში, თბილისში მყოფი არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი წერს, რომ თავად ბაღდადშიც ვერ იხილავთ მუსლიმებისადმი ისეთ კარგ მოპყრობას, როგორც ეს თბილისში არისო.

1123 წელს მეფე დავითმა გაათავისუფლა დმანისი. 1123 წელს შარვანში შეიჭრა სულთანი მაჰმუდი და დავითს შემოუთვალა, რომ გამოდი და გაშლილ ველზე შემებრძოლეო. მეფე სასწრაფოდ გაიჭრა მტრის წინააღმდეგ 50 000-იანი მხედრობით. სულტანს შეშინებია და უკან დაუხევია უბრძოლველად.

1124 წელს დავითმა დაიკავა შარვანი. იმავე წელს მეფეს დახმარებისათვის მიმართეს ანისელებმა და ქალაქის გათავისუფლება სთხოვეს. ანისი 60 წლის განმავლობაში მუსლიმთა ხელში იყო. 1124 წელს დავით აღმაშენებლმა გაათავისუფლა ანისი და ჩრდილოეთ სომხეთის ტერიტორიები საქართველოს შემოუერთა.

საქართველოს უდიდესი მეფე დავით IV აღმაშენებელი გარდაიცვალა 1125 წლის 24 იანვარს. მან თავის მემკვიდრეებს დაუტოვა ქვეყანა ,,ნიკოფსიითგან დარუბანდისა საზღურადმდე და ოვსეთითგან... არეგაწადმდე”... მეფე დაკრძალეს გელათის მონასტერში. საქართველოს ეკლესიამ დავით IV აღმაშენებელი წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ 26 იანვარი (8 თებერვალი) დააწესა.

საქართველო დემეტრე I-სა და გიორგი III-ის დროს

<u>დემეტრე I (1125-1156).</u> დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ 1125 წელს სამეფო ტახტი დაიკავა მისმა უფროსმა ძემ დემეტრე I-მა. დემეტრეს მემკვიდრეობით ერგო მახლობელ აღმოსავლეთში უძლიერესი, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე გადაჭიმული სახელმწიფო. მართალია, სელჩუკთა ერთიანი სახელმწიფო აღარ არსებობდა, მაგრამ საქართველოს სამხრეთის საზღვრებთან წარმოიშვა რამდენიმე მაჰმადიანური სახელმწიფო, რომელთაც შეეძლოთ საქართველოს წინააღმდეგ სერიოზული სამხედრო ძალის გამოყვანა.

დემეტრე I-ის მეფობის დროს საქართველო თავს იკავებდა აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოებისაგან და ძირითადად დავითის მიერ დატოვებული საზღვრების დაცვას ცდილობდა. თუმცა, დემეტრე იძულებული გახდა მაინც წასულიყო გარკვეულ

დათმობებზე და ანისისა და შარვანის აღმოსავლეთი რაიონები ყმადნაფიცობის პირობით დაებრუნებია თავისი ძველი პატრონებისათვის.

საკმაოდ დაიძაბა ვითარება ქვეყნის შიგნით. 1130 წელს დემეტრეს წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყო მისმა უმცროსმა ძმამ ვახტანგმა. დემეტრემ ძმა სასტიკად დასაჯა.

საქართველოს გაძლიერებას ვერ ურიგდებოდნენ მაჰმადიანი მფლობელები. ურჩობის გზას დაადგა საქართველოს ყმადნაფიცი განძის ამირა. 1138 წელს ქართველებმა განძა აიღეს. დემეტრემ I-მა გამარჯვების ნიშნათ განძის ქალაქის კარები ჩამოახსნევინა და გელათის მონასტერს შესწირა.

Dდემეტრე I-ს ორი ვაჟი ყავდა: უფროსი დავითი და უმცროსი გიორგი. არსებული წესისა და კანონის მიხედვით ტახტი ეკუთვნოდა დავითს, მაგრამ თავად მეფე იყო ,,მარჩევალი ძისა უმცროსისა". რა იყო ამის მიზეზი უცნობია. დავითს, როგორც ჩანს, სერიოზულად ეშინოდა, რომ მამის გარდაცვალების შემდეგ ტახტი მას არ ერგებოდა და რამდენჯერმა სცადა დემეტრეს ტახტიდან გადაყენება. 1155 წელს მან საწადელს მიაღწია. დემეტრე ტახტიდან გადადგა და ბერად აღიკვეცა. სამეფო ტახტი დავით V-მ დაიკავა, რომელმაც ენერგიულად დაიწყო მეფობა. მან თანამდებობებზე დანიშნა თავისი მომხრეები, მაგრამ ამის მეტი ვერ მოასწრო. დავით V გამეფებიდან 6 თვის შემდეგ გარდაიცვალა.

დავით V-ის გარდაცვალების შემდეგ კვლავ დემეტრე I გამეფდა. 1156 წელს დემეტრე I გარდაიცვალა. მეფე გელათის მონასტერში დაკრძალეს.

<u>გიორგი III (1156-1184)</u>. დემეტრე I-ის გარდაცვალების შემდეგ გამეფდა მისი უმცროსი ძე გიორგი III. ამ დროისათვის დემეტრე I-ის უფროსი ძის, დავით V-ის ძე დემეტრე მცირეწლოვანი იყო.

Gგიორგი III-ის დროს სასტიკი ბრძოლები მიმდინარეობდა სომხეთისათვის. გიორგიმ რამდენიმეჯერ დაიკავა დმანისი და სომხეთის ძველი დედაქალაქი დვინი, თუმცა, საბოლოოდ მათი შემოერთება თამარის დროს მოხდა.

1177 წელს გიორგი III-ის წინააღმდეგ დიდი აჯანყება დაიწყო. დავით UV-ის ძე დემეტრე (დემნა) უფლისწული გამეფებას შეეცადა. ამ განზრახვის შესრულებაში მას ხელს უწყობდა მისი სიმამრი, საქართველოს ამირსპასალარი ივანე ორბელი. აჯანყებას მიემხრო დიდებულების ნაწილი, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ მეფის მტკიცე ხელისუფლებით. აჯანყებულებმა ქალაქგარეთ მყოფი მეფის დატყვევება გადაწყვიტეს, მაგრამ განზრახვა ვერ განახორციელეს. გიორგიმ მოახერხა თბილისში დაბრუნება და თავისი მომხრეების შეგროვება. მეფესთან ერთ-ერთი პირველი გამოცხადდა ყივჩაღთა ჯარის სარდალი ყუბასარი 500 მეომრით. მიუხედავად იმისა, რომ აჯანყებულებს საკმაოდ დიდი სამხედრო ძალა გააჩნდათ (30 ათასი კაცი). მათ მერყეობა დაეტყოთ. ისინი შეეცადნენ დახმარება მიეღოთ ქვეყნის გარედან და ელჩებიც კი გაგზავნეს მაჰმადიან მფლობელებთან. ამასობაში ინიციატივა ხელში აიღო გიორგი III-მ. Aაჯანყებულებს შეუტია. პირველი მარცხის შემდეგ ამბოხებულთა შორის განხეთქილება დაიწყო, მათი ნაწილი მეფის მხარეზე გადავიდა (მათ შორის იყო სარგის მხარგრძელიც). დემნა უფლისწული და ივანე ორბელი ლორეს ციხეში ჩაიკეტნენ. მეფემ ალყა შემოარტყა ციხეს. აჯანყებულები მეფეს დანებდნენ. დემნა უფლისწულს თვალები დასთხარეს და დაასაჭურისეს. უფლისწული სასჯელს გადაყვა. დემნა მცხეთაში დაკრძალეს. სასტიკად გაუსწორდა გიორგი III ორბელებს. ივანე ორბელი სიკვდილით დასაჯეს. ამ საგვარეულოდან გადარჩა მხოლოდ ის, ვინც საქართველოს ფარგლებს გარეთ იმყოფებოდა ან გაქცევა მოახერხა.

Aაჯანყების ჩახშობის შემდეგ მეფემ დააწინაურა თავისი ერთგული მომხრეები, რომელთაგან ზოგიერთი დაბალი სოციალური წარმოშობის იყვო. ამირსპასალარ-მანდატურთუხუცესი გახდა ყუბასარი, ხოლო მსახურთუხუცესი _ აფრიდონი.

Gგიორგი III-ს ვაჟი არ ყავდა. მეფის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე უნდა ასულიყო მისი ასული თამარი, რაც იშვიათი მოვლენა იყო იმ პერიოდის მსოფლიოსათვის. გიორგიმ გადაწყვიტა თავის სიცოცხლეშივე გაემეფებინა თამარი, რათა შემდეგ მას სირთულეები არ შექმნოდა. 1179 წელს გიორგიმ თანამოსაყდრედ აკურთხა თამარი. ამის შემდეგ მამა-შვილი ერთად მართავდნენ სამეფოს. იმავე წელს გიორგი III-სა და თამარის ინიციატივით მოიწვიეს კრება, რომელზეც გადაწყდა, რომ სასტიკად დაესაჯად ქვეყანაში მომრავლებული ქურდები და ავაზაკები. კრების გადაწყვეტილებით დამნაშავეები სიკვდილით უნდა დასჯილიყვნენ. შეიქმნა ,,მპარავთმძებნელთა" საგანგებო სამსახური. ამ ღონისძიებებმა ქურდობა და ყაჩაღობა საგრძნობლად შეამცირა ქვეყანაში. 1184 წელს გიორგი III გარდაიცვალა. მეფე გელათში დაკრძალეს.]

ლექცია #VI

საქართველო თამარის მეფობაში. მონღოლთა ბატონობის დამყარება და ბრძოლა მათი უღლის გადაგდებისათვის

საქართველო თამარის მეფობის დროს

<u>საშინაო ვითარება თამარის მეფობის დასაწყისში.</u> 1184 წლიდან, გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ, თამარმა ერთპიროვნულად დაიწყო ქვეყნის მართვა. საქართველოს ისტორიაში სამეფო ტახტზე ქალი პირველად ავიდა. დავით აღმაშენებლისა და გიორგი III-ის დროს გავლენადაკარგულმა დიდებულებმა გადაწყვიტეს, ამ მდგომარეობით ესარგებლათ და ძველი მდგომარეობა დაებრუნებინათ. დიდებულებმა ხელმეორედ აკურთხეს თამარი მეფედ, რათაA ამით ხაზი გაესვათ თავიანთი გავლენისათვის. მათ თამარს გიორგი III-ის დროს დაწინაურებული დაბალი სოციალური წარმოშობის მოხელეების გადაყენება მოსთხოვეს. თამარმა დიდებულებს დაუთმო და ორი ვაზირი: ამირსპასალარ-მანდატურთუხუცესი ყუბასარი და მსახურთუხუცესი აფრიდონი გადააყენა.

ამ მოვლენიდან სულ მცირე დრო იყო გასული, როცა მეჭურჭლეთუხუცესმა ყუთლუ-არსლანმა სამეფო ხელისუფლების შეზღუდვისა და სახელმწიფო მმართველობის რეფორმის გეგმა წამოაყენა. ისანში, სამეფო სასახლის გვერდით, უნდა დაეარსებინათ ე.წ. ,,კარავი". ,,კარავში" შეკრებილი დიდებულები გადაწყვეტდნენ სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს საკითხებს, და ამის შესახებ აუწყებდნენ მეფეს. მეფეს მხოლოდ გადაწყვეტილების აღსრულება ევალებოდა. ამ გეგმის განხორციელების შემთხვევაში ძალზე იზღუდებოდა მეფის ხელისუფლება. Bბუნებრივია, თამარს არ შეეძლო ყუთლუ-არსლანის წინადადების მიღება. მეფის ბრძანებით ყუთლუ დააპატიმრეს. მეჭურჭლეთუხუცესს მრავალი მომხრე ჰყავდა. მათ თავიანთი მეთაურის გათავისუფლება მოითხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიარაღებული გამოსვლით იმუქრებოდნენ. თამარმა გაათავისუფლა ყუთლუ-არსლანი და მის ,,თანაშეფიცულებთან" გააგზავნა ორი საპატიო მანდილოსანი: კრავაი ჯაყელი და ხვაშაქ ცოქალი. მოლაპარაკებამ შედეგი გამოიღო. ,,კარვის" დაარსების იდეა ჩაიშალა. სამაგიეროდ, შედარებით გაუფართოვდა

უფლებები სამეფო დარბაზს. ამიერიდან მეფე ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას იღებდა დარბაზის ,,ერთიანობითა და თანადგომით". ამგვარად, სამეფოში მოხერხდა სიმშვიდის აღდგენა.

უაღრესად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მეფის გათხოვების საკითხი, რადგან მისი მეუღლე მეფის შემდეგ ყველაზე გავლენიანი პირი იქნებოდა. მემატიანის ცნობით, ერთ-ერთ თათბირზე, ადგა ,,ამირა ქართლისა და ტფილისისა, სახელით აბულასან, და მეტყველმან თქვა: `მე ვიცი შვილი ხელმწიფისა ანდრია დიდისა რუსთ მთავრისა". XII საუკუნის ბოლოს რუსეთში რამდენიმე სამთავრო არსებობდა. მათ შორის ერთ-ერთ იყო ვლადიმირ-სუზდალის სამთავრო, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა მთავარ ანდრია ბოგოლიუბსკის დროს. სწორედ ანდრიას ვაჟზე, იურიზე შეჩერდა დიდებულთა არჩევანი. ანდრია მოკლეს, რის შემდეგაც მთავრის ტახტი ხელთ ჩაიგდო იურის ბიძამ ვსევოლოდმა. ბიძისაგან დევნილი იური ყივჩაღებთან იყო თავშეფარებული. იურის ჩამოსაყვანად გაიგზავნა თბილისელი დიდვაჭარი ზანქარ ზორაბაბელი. 1185 წელს იური, რომელსაც ქართველებმა გიორგი რუსი უწოდეს, საქართველოში ჩამოიყვანეს და თამარზე დააქორწინეს. თამარი წინააღმდეგი იყო ასეთი სწრაფი ქორწინების, თვლიდა, რომ გიორგი რუსი უნდა გამოეცადათ. თამარი ბოლოს მაინც დაყვა დარბაზის გადაწყვეტილებას. იური ანდრიას ძის ჩამოყვანის წინააღმდეგი იყო ქართველ დიდებულთა ნაწილი. მათ თავიანთი კანდიდატი ყავდათ, ეს იყო ბიზანტიის იმპერატორის ანდრონიკე I კომნენოსის ძე ალექსი. მალე გიორგიმ მისი პიროვნული უარყოფითი თვისებები გამოავლინა და მისი სამეფო კარზე დატოვება შეუძლებელი გახდა. 1187 წელს გიორგი რუსი საქართველოდან გააძევეს. ერთი წლის შემდეგ, 1188 წელს, თამარმა ხელმეორედ იქორწინა დავით სოსლანზე. დავითი თამარის მამიდის, რუსუდანის აღზრდილი იყო. გიორგი რუსისგან განსხვავებით, ქართველები დავით სოსლანს კარგად იცნობდნენ. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით დავითი იყო გიორგი I-ის ძის, დემეტრეს შთამომავალი მამრობითი ხაზით ე.ი. ბაგრატიონი. იგი იყო გიორგი პირველის მეორე მეუღლის ალდეს ოვსთა სამეფო შტოს წარმომადგენლის შვილთა შვილი (დემეტრე-დავითი-ათონი-ჯადარონი-დავითი).

ბიზანტიაში გაძევებული გიორგი რუსი არ აპირებდა მშვიდად შეგუებოდა თავის ბედს და 1191 წელს მან სცადა საქართველოში დაბრუნება. Mმას, როგორც ჩანს, საკმაოდ ჰყავდა მომხრეები, განსაკუთრებით დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში. დიდებულების ნაწილმა მხარი დაუჭირა გიორგი რუსს და თამარის წინააღმდეგ აჯანყდა. აჯანყებულებმა გიორგი რუსი მეფედ გეგუთში აკურთხეს და შემდეგ თამარის წინააღმდეგ დაიძრნენ. ამ მეტად მძიმე ვითარებაში თამარმა მოახერხა თავისი მომხრეების შემოკრება და აჯანყებულების დამარცხება. გიორგი რუსის თანამზრახველები თანამდებობიდან გადააყენეს და მამულები ჩამოართვეს.

1193 წელს გიორგი რუსმა კიდევ ერთხელ სცადა საქართველოში შემოჭრა. ამჯერად იგი ჰერეთის მხრიდან გამოჩნდა. გიორგი რუსს მხარი აღარავინ დაუჭირა და იგი ადვილად დაამარცხეს.

თამარის ეპოქის საშინაო-პოლიტიკური ვითარების თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა ქართველ მთიელთა ცნობილი აჯანყება. მიუხედავად სახელმწიფოებრიობის საერთო გაძლიერებისა, მთაში დიდხანს ინახავდნენ თავს წინაფეოდალურ და ადრეფეოდალურ სოციალურ ურთიერთობებს, რის გამოც ძნელდებოდა მთის რეგიონის ცენტრალურ ხელისუფლებისადმი დამორჩილება.

ამ ნიადაგზე წარმოშობილად უნდა ვიგულისხმოთ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელ-ფხოველთა (დღევანდელი ფშავ-ხევსურთა წინაპრების) და დიდოელთა დიდი აჯანყება, რომელიც XIII საუკუნის 10-იანი წლების დამდეგს უნდა მომხდარიყო, მაგრამ სამეფო მხედრობის მიერ, რომელსაც სათავეში ედგა ამირსპასალარ-ათაბაგი ივანე მხარგრძელი, ეს აჯანყება სამთვიანი ბრძოლის შემდეგ სასტიკად იქნა ჩახშობილი

საგარეო პოლიტიკა. XII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და XIII საუკუნის დამდეგს საქართველო მთელ მახლობელ აღმოსავლეთში უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საერთაშორიაო ცხოვრებაში და საკუთარ პოლიტიკას ატარებდა. დავით აღმაშენებელი, ქართველთა ლაშქრის მიერ დაპყრობილ ქვეყნებს უშუალოდ უერთებდა თავის სამეფოს - ყმადნაფიცობა (ვასალობა) მისთვის მიუღებელი იყო. მისი მემკვიდრენი ამგვარი პოლიტიკური ღონისძიების გამგრძელებლები აღარ აღმოჩნდნენ. მხოლოდ გიორგი III იყო დავითის საგარეო პოლიტიკური კურსის შედარებით აქტიური მიმდევარი, მაგრამ ვერც მან მოახერხა აღებული საგარეო პოლიტიკური კურსის ბოლომდე განხორციელება. იგი იძულებული გახდა დავით აღმაშენებლის დროს შემოერთებული შარვანის მნიშვნელოვანი ნაწილი დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად ეცნო, შარვან შაჰები თავისი უფლებებით აღედგინა და ყმადნაფიცობის საფუძველზე საქართველოს სამეფო ხელისუფლებისთვის დაექვემდება-რებინა. ჩანს, ყმადნაფიცობის პრინციპი, რომელსაც სასტიკად ებრძოდა დავით აღმაშენებელი, თანდათანობით ღრმად იკიდებდა ფეხს და თამარის მეფობის წლებში საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითად ნიშან-თვისებად იქცა.

თამარის გამეფების პირველსავე წლებში ქვეყნის შიგნით მიმდინარე მწვავე ბრძოლებით ისარგებლეს მაჰმადიანურმა პოლიტიკურმა ერთეულებმა და დაიწყეს განუწყვეტელი თავდასხმები მოსაზღვრე რაიონებში. “მოვიდეს ლაშქარნი არანისა და გელაქუნისა თურქთანი ქუეყანასა პალაკაციოს და ძაღლის ხევად წოდებულსა”. ქართველებმა შემოსეული მტერი გამრეკელ კახას ძის მეთაურობით განდევნეს. იმავე ხანებში სამხრეთ საქართველოს - შავშეთსა და კლარჯეთს შეესივნენ “კარნუქალაქელნი, შამელნი და თურქნი გარმიანისანი”. მტრის შემოსეული ლაშქარი დაამარცხა და განდევნა სამხრეთ საქართველოს ჯარმა გუზან აბულასანის ძე ტაოელისა და ბოცო ჯაყელის მეთაურობით.

მტრის შემოსევათა აღკვეთის მიზნით საქართველოს ჯარი თვითონაც ლაშქრობდა მეზობელ მხარეებში. ასეთი იყო გიორგი რუსის ლაშქრობა კარისა და კარნიფორის ქვეყანაში, მხარგრძელების ლაშქრობა დვინს, ლაშქრობა გელაქუნს და სხვ. 1185 - 1186 წლებში.

ქართველთა ლაშქარმა 1192 - 1193 წლებში თამარის მემკვიდრის - ლაშა გიორგის დაბადების აღსანიშნავად ილაშქრა ბარდავს. გამარჯვებული ჯარის დიდი ნადავლით დაბრუნების შემდეგ მოეწყო ლაშქრობა არზრუმს. ქართველთა ლაშქარმა დავით სოსლანის მეთაურობით სძლია ძლიერ მოწინააღმდეგეს. ამის შემდეგ გელაქუნისკენაც გაილაშქრეს, გაიარეს ხაჩენი და ბაილაყანამდის მიაღწიეს, შემდეგ მოარბიეს არეზის პირის თურქ-სელჩუკები, განძას მიადგნენ და აქედან შამქორამდე მთელი რიგი ტერიტორიები დალაშქრეს.

1193-1194 წლებისათვის ზაქარია ამირსპასალარისა და მისი ძმის ივანე მსახურთუხუცესის მეთაურობით ქართველთა ლაშქარი გაემართა “მორბევად რახსის პირისან. ქართველთა ლაშქარს გზად დვინელთა, ბიჯნელთა და ამბერდელთა მეკობრეები შეხვდნენ. ძლიერ ბრძოლაში ქართველებმა გაიმარჯვეს და შინ დიდი ნაალაფარით დაბრუნდნენ. ასევე წარმატებით დასრულდა გელაქუნის და გორალაუქის მოსარბევად

მოწყობილი ლაშქრობა. ქართველთა მიერ თურქული მოდგმის ტომებზე განუწყვეტელი თავდასხმების შედეგად საქართველოს განაპირა ტერიტორიებიდან თურქთა ნაშთები იდევნებოდა. ამიერიდან მტრები ისე ადვილად ვერ ბედავდნენ საქართველოზე თავდასხმას. "და ვერცა თურქნი იორის პირსა და მტკურის პირსა საძოვარსა აწყენდეს".

ქართველთა ლაშქრის სისტემატური წარმატებანი, ერთი მხრივ, განპირობებული იყო საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური სიძლიერით. ამასთანავე მნიშვნელოვანი გარემოება იყო მოწინააღმდეგე საამირო-სასულთნოების დაკნინება-დაქუცმაცებულობაც. ქართველთა ლაშქრის მიერ შევიწროებული მუსლიმანური პოლიტიკური ერთეულები ხელსაყრელ დროს ელოდნენ საქართველოს წინააღმდეგ კოალიციური ლაშქრობის მოსაწყობად.

ამ პერიოდისათვის აზერბაიჯანის ელდეგიზიდების დინასტია მძლავრ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა ერაყის სელჩუკთა სახელმწიფოში. ელდეგიზიდების დინასტიის წარმომადგენლის მუზაფერ ად-დინ ყიზილ-არსლანის დროს (1186-1191 წწ.) ათაბაგთა სახელმწიფო ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. პირველ ხანებში ყიზილ-არსლანი ერთგულებასა და პატივისცემას იჩენდა ერაყის სელჩუკთა სულთნის რუქნ ად-დინ თოღრულ III-ისადმი (1176 - 1194). მაგრამ მალე მათ შორის მტრობა ჩამოვარდა და ყიზილ-არსლანმა სულთან რუქნ ად-დინ თოღრულს მთელი ძალაუფლება წაართვა. 1191 წელს ყიზილ-არსლანი მოკლულ იქნა და მისი სამფლობელოები მისმა ძმისწულებმა გაიყვეს. ძმებს შორის ჩამოვარდნილი მტრობის შედეგად ყიზილ-არსლანის ნაშვილებმა აბუ-ბექრმა დაამარცხა თავისი ძმები და მათ ტერიტორიებს დაეპატრონა. აბუ-ბექრის მიერ შევიწროებული ერთ-ერთი ძმა - არანისა და გელაქუნის პატრონი ამირ-მირანი შარვანის შაჰს შეეხიზნა. "შირვან-შაჰმა იგი კარგად მიიღო, პატივისცემითა და მოწყალებით მოეპყრო და თავისი ქალიც მასზე დააქორწინა". შარვან შაჰი კი საქართველოს მეფის ყმადნაფიცი იყო. ამას პირდაპირ აღნიშნავს არაბი ავტორი ჰუსეინი. მისი სიტყვით, მშირვან-შაჰიც საქართველოს მორჩილებაში იყო შესული" და ამირ-მირანი შარვან შაჰთან დამოყვრებით გარკვეულ ურთიერთობას ამყარებდა საქართველოსთან.

შარვან შაჰს შეფარებულ და სიძედ მოკიდებულ ამირ-მირანს არც აქ ასვენებდა აბუ-ბექრ ათაბაგი. იგი შარვან შაჰსაც ავიწროებდა. აბუ-ბექრი შარვან შაჰსა და ამირ-მირანს "ბელაყნის კარსა ზედა დაესხა და გააქცივნა". ამ თავდასხმის შემდეგ შარვან შაჰმა და ამირ-მირანმა საქართველოს სამეფო კარს თავი "შეავედრეს" და აბუ-ბექრის წინააღმდეგ გალაშქრება თხოვეს, რადგანაც "უღონო იქმნეს შარვანშა და ამირ-მირან" აბუ-ბექრის შემოტევისაგან თავის დასაცავად. ამირ-მირანი საქართველოს ხელისუფლებისგან ითხოვდა, რომ ელაშქრათ სპარსეთში და თვითონ დაესვათ იქ გამგებლად. იგი საქართველოს სამეფო კართან დანათესავებას ესწრაფოდა. ჰუსეინის ცნობით, ამირ-მირანი საქართველოს ხელისუფალთ თხოვდა დახმარებას და აღუთქვამდა: "მე თუ გავიმარჯვე და განვდევნე იმ ქვეყნებიდან, სადაც ის (აბუ-ბექრი) იმყოფება, მაშინ ჩემს მიერ აღებული ქვეყნები თქვენია. თქვენ რომელი გსურთ, ის აიღეთ".

საქართველოს სამეფო ხელისუფლებას ხელსაყრელი შემთხვევა ეძლეოდა აქტიურად ჩარეულიყო სამხრეთ აზერბაიჯანის საქმეებში და იქ თავისი ძალაუფლება გაევრცელებინა. ჩანს, ამ ღონისძიების გატარება ქართველი პოლიტიკოსებისათვის საკმაოდ ძნელი და, რაც მთავარია, ამჯერად მათთვის ხელსაყრელი არ უნდა ყოფილიყო. სამაგიეროდ, ამირ-მირანს აღუთქვეს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების საქმეში დახმარების აღმოჩენა. ასეთი სამსახურის შედეგად ამირ-მირანიც საქართველოს ყმადნაფიცი ხდებოდა.

აბუ-ბექრ ათაბაგს მხედველობიდან არ გამორჩენია ქართველ-შარვანელთა მოლაპარაკება მის წინააღმდეგ. ათაბაგი განსაკუთრებით მოემზადა ომისათვის. იგი, უპირველეს ყოვლისა, საქართველოში თავშეფარებულ აღსართან შარვან შაჰისა და მისი სიძის ამირ-მირანის დასასჯელად მოდიოდა. ამასთანავე, იგი ქართველ მონაპირეთა განუწყვეტელი თავდასხმებითაც იყო შეწუხებული და გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოს წინააღმდეგ გაერთიანებული ლაშქრობის მოწყობა. ამ მიზნით მან დახმარებისათვის ბაღდადის ხალიფას მიმართა. ხალიფამ მას მხარი დაუჭირა და უხვად გაიღო თანხები ამ ღონისძიებისათვის და ამასთანავე მოუწოდა მთელ მუსლიმანურ სამყაროს. ამ ღონისძიებათა შედეგად აბუ-ბექრ ათაბაგმა თურქთა ურიცხვი ლაშქარი შემოიყარა და საქართველოს წინააღმდეგ გამოემართა.

ქართველთა მხედრობა სასწრაფოდ შეიყარა და აღსართან შარვან შაჰისა და ამირ-მირანის სამხედრო ძალებთან ერთად აბუ-ბექრ ათაბაგის წინააღმდეგ გაემართა. ჰუსეინის ცნობით, ქართველებს "შეუერთდნენ აგრეთვე ერანის ჯარებიდან ისინიც, რომელთაც იმედი ჰქონდათ, რომ მელიქი (საქართველოს მეფე) თავისთვის ხელსაყრელ პირობებში მათ თავისთან რაიმე ადგილს მისცემდა. თურქმენებიდანაც ერთი ჯამაათი შეგროვდა. ესენი ყველანი ერთად გაემართნენ აბუ-ბექრ ბინ ათაბაგ მუჰამედ ფეჰლივანის წინააღმდეგ ისეთი ჯარით, რომელსაც ცა და დედამიწა ვერ იტევდა".

როდესაც ქართველთა გაერთიანებული ლაშქარი ქალაქს მიუახლოვდა, აბუ-ბექრ ათაბაგმა "პოზიცია დაიკავა და ომისათვის მოემზადა". ციხე-ქალაქ შამქორთან ორი უზარმაზარი ლაშქარი ერთმანეთს შეება.

1195 წელს შამქორის ბრძოლაში ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს აბუ-ბექრი. ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ძმებმა შალვა და ივანე ახალციხელებმა. შალვამ ხალიფას გამოგზავნილი დროშა იგდო ხელთ, რომელიც შემდეგ გელათის მონასტერს შესწირეს. ამ გამარჯვებამ ერთხელ კიდევ დაანახა ყველას საქართველოს ძლიერება.

შამქორის მცხოვრებლებმა საქართველოს მეფეს "მოართუნეს კლიტენი" და ამით მას მორჩილება გამოუცხადეს. მეფემ ქალაქთან ერთად მისი გარეუბნებიც დაიჭირა, მაგრამ ქალაქი თავისთვის არ დაუტოვებია _ გარკვეული პოლიტიკური დამოკიდებულების საფუძველზე იგი ამირ-მირანს გადასცა, თვითონ კი თავისი ლაშქრით განძას გაემართა.

განძა ამირ-მირანის ყოფილი ტერიტორია იყო და საქართველოს სამეფო კარს მისი უკან დაბრუნება და თავისი ხელდებულისათვის - ამირ-მირანისათვის გადაცემა უნდოდა. ქართველთა მხედრობამ შამქორის ომის დამთავრებისთანავე ეს ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულა _ განძა მოხარკეობის საფუძველზე ამირ-მირანს გადასცა. ამიერიდან განძის განმგებელი ამირ-მირანი საქართველოს მოხარკედ იქცა.

ქართველებმა შემოიერთეს აგრეთვე მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქები: ანისი (1999 წელს), ბიჯნისი (1201 წელს) და დვინი (1203 წელს). მთელი XII საუკუნის მანძილზე საქართველოს სამეფო ხელისუფლება დაჟინებით ცდილობდა მაჰმადიანთა მფლობელობისაგან ანისის, დვინისა და სხვა ქალაქების განთავისუფლებას. მათთვის ნათელი იყო ის სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობა, რომელიც ამ ქალაქებს ენიჭებოდა მთელი მახლობელი აღმოსავლეთის ეკონომიკაში. არანაკლები პოლიტიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა შარვანის ვაჭრობით სახელგანთქმულ ქალაქებს - შემახას, შაბურანს, დარუბანდს, რომელთა დაუფლებით საქართველოს სამეფო ხელისუფლება დღენიადაგ დაინტერესებული იყო. საქართველოს სამეფო ხელისუფლების ეს პოლიტიკურ-ეკონომიკური მისწრაფებანი განხორციელდა XII-XIII საუკუნეების

მიჯნაზე. პოლიტიკურად გაერთიანებულმა და ეკონომიკურად გაძლიერებულმა საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ თავის კონტროლს დაუქვემდებარა აღმოსავლეთ და დასავლეთ ამიერკავკასიის სავაჭრო გზები, კერძოდ, დვინ-არზრუმისა და დარუბანდ-შამახიის სავაჭრო გზები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქვეყნის საერთო ეკონომიკური განვითარების საქმეში.

სამხრეთ-დასავლეთით საქართველოს სამეფო კარის პოლიტიკური გეგმების განხორციელებას წინ ეღობებოდა გაძლიერებული მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფო. მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფო განსაკუთრებით გაძლიერდა სულთან რუქნ ად-დინ სულეიმან შაჰის (1196 - 1204) დროს, წყაროების ცნობით, მის დროს მცირე აზიის სელჩუკების ძლიერებას საზღვარი არ ჰქონდა. მაჰმუდ ქერიმუდდინ აყსარაილის ცნობას იმის შესახებ, რომ "რუქნ ად-დინის სულთნობით ქვეყნად დიდებული ხანა დაიწყო", ადასტურებს "ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორიც. მისი სიტყვით, რუქნ ად-დინი "უმაღლეს და უდიდეს იყო სხუათა ყოველთა სულთანთა, რომელი მთავრობს დიდსა საბერძნეთსა, ასიასა და კაბადუკიასა. ვიდრე პონტოდ ზღუადმდე". ასევე საგანგებოდ უსვამს ხაზს იბნ-ბიბი რუქნ ად-დინის ძლიერებას და აღნიშნავს, რომ ყილიჩ არსლანის მემკვიდრეთაგან ისეთი სიძლიერისათვის არავის მიუღწევია, როგორსაც რუქნ ად-დინმა მიაღწია.

რუქნ ად-დინ სულეიმან შაჰმა თავისი მოღვაწეობის მცირე პერიოდში უპირველეს ამოცანად დაისახა მამის _ ყილიჩ არსლან II-ის (1156-1192 წწ.) მიერ ცალკეულ სამთავროებად დანაწილებული პროვინციების გაერთიანება. მან თითქმის აღადგინა მთელი იმპერია. ქვეყნის შიგნით ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ შეუდგა მზადებას მეზობელ ქვეყნებზე სალაშქროდ. მისი უმთავრესი ამოცანა სწორედ საქართველოს წინააღმდეგ გალაშქრება იყო.

რუქნ ად-დინი სასულთნო ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ საგანგებოდ მოემზადა საქართველოს წინააღმდეგ სალაშქროდ. მან "მოუწოდა ყოველსა სიმრავლესა სპასა მისსა და შეკრბა კაცი ორმოცი ბევრი, რომელ არს ოთხასი ათასი".

იბნ-ბიბის ცნობით, საქართველოში ლაშქრობის წინ რუქნ ად-დინმა პროვინციებში მყოფ თავის ძმებს ლაშქრობისათვის მზადყოფნის თაობაზე აუწყა. უპირველეს ყოვლისა, მისი ძმა მელიქი მოღის ედ-დინ თოღრულ შაჰი მოვიდა თავისი ლაშქრით, ასევე სულთნის სიძე - ერზინჯანის მელიქი ფაჰრ ედ-დინი მას შეუერთდა.

რუქნ ად-დინმა 1201 წელს სასწრაფოდ გაილაშქრა არზრუმს, გადააყენა მისი გამგებელი და იქ თავისი ძმა - მოღის ედ-დინ თოღრულ შაჰი დანიშნა. ამით ბოლო მოუღო სალთუკიდების დინასტიას და ქვეყანაც სელჩუკთა სახელმწიფოს საზღვრებში მოაქცია. მალათიის გამგებლის - თავისი ძმის მოღის ედ-დინ თოღრულ შაჰის არზრუმში დანიშვნით სათავე დაუდო სელჩუკთა ახალ დინასტიას. მოღის ედ-დინ თოღრულ შაჰი დიდხანს განმგებლობდა სელჩუკთა ქვეყანაში და მას ქართველთაგან იცავდა.

საომარი სამზადისის დასრულების შემდეგ რუქნ ად-დინმა წერილი გამოუგზავნა თამარს. წერილი შეურაცმყოფელი შინაარსის იყო. მასში ყველა ქალი, მათ შორის თამარიც, რეგვენად იყო მოხსენიებული. ის საქართველოზე გამოლაშქრებით იმუქრებოდა და ცოცხლად დატოვებდა მხოლოდ იმათ, ვინ ქრისტიანობაზე უარს იტყოდა და გამუსლიმანდებოდა. კიდევ უფრო თავხედური იყო ელჩის გადმოცემული ზეპირი დანაბარები, რომ თუ ქრისტიანობას დატოვებდა თამარი, სულთანი მას ცოლად დაისვამდა, თუ არა, ხარჭად გაიხდიდა. ამით აღშფოთებულმა ამირსპასალარმა ზაქარია მძრგრძელმა სილა გააწნა ელჩს. ეს უკანასკნელი უგონოდ დაეცა და ძლივს მოასულიერეს.

საპასუხო წერილში თამარი აუწყებდა რუქნ ად-დინს, რომ "შენ ოქროსა მევირეთა სიმრავლისად მინდობილ ხარ, ხოლო მე არცა სიმდიდრესა და არცა ძალსა სპათა ჩემთასა, არამედ ძალსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა და ჯუარისა წმიდისა, რომელი შენ ჰგმე. აწ წარმომივლენია ყოველი მხედრობა ჩემი წინამოგებებად შენდა".

რუქნ ად-დინისა და მისი ელჩის მოულოდნელი და თავხედური მოთხოვნების საპასუხოდ საქართველოს ჯარი "ნიკოფსიიდან დარუბანდამდის" სწრაფად შეიყარა და ბასიანისაკენ გაემართა. თვით თამარ მეფემ სამცხემდე მიაცილა ლაშქარი. ქართველთა მხედრობის გეგმა იყო, მტერს თავის ბანაკშივე მოულოდნელად თავს დასხმოდნენ. ქართველთა ჯარი დავით სოსლანის მეთაურობით დაიძრა მტრის წინააღმდეგ.

ქართველი მემატიანეების გადმოცემით, საქართველოს ლაშქარი სამ ნაწილად იყო დაყოფილი. ქართველთა ლაშქრის წინამებრძოლებად ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი, ახალციხელი შალვა და ივანე თორელნი იყვნენ. ერთი ფრთა აფხაზებისა და დასავლეთის ლაშქარს ეჭირა, მეორე კი ჰერეთ-კახეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს რაზმებს: მერთ კერძო აფხაზნი და იმერნი, და ერთ კერძო ამერნი და ჰერ-კახნინ.

1205 (1202/1203) წელს ბასიანის ბრძოლაში ქართველებმა სასტიკი მარცხი აგემეს მტერს. თავი ისახელეს შალვა ახალციხელმა, ზაქარია და ივანე მხარგრძელებმა. ქართველებმა ხელთ იგდეს დიდძალი ტყვე და ალაფი. ტყვედ ჩავარდნილი რუქნ ად-დინიდს ძმა ჯორის ერთ ნალში გაცვალეს. რუქნ ად-დინის დამარცხებამ თამარს საშუალება მისცა უფრო აქტიური პოლიტიკა გაეტარებინა სამხრეთ-დასავლეთით. 1204 წელს ქართველთა ლაშქარმა მნიშვნელოვანი სტრატეგიული ციხე-ქალაქი კარი აიღო. კარის ქართველთა ხელში გადასვლას ქვეყნისათვის უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა. კარი იმთავითვე თურქ-სელჩუკთა დასაყრდენი და ერთგვარი პლაცდარმი იყო საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებზე თავდასხმისათვის. ამასთანავე, კარს დიდი სავაჭრო ეკონომიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. იგი ანის-არზრუმის დიდ სავაჭრო მაგისტრალზე მდებარეობდა და ფეოდალური საქართველოს ეკონომიკისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ ევროპელი რაინდების მიერ შექმნილ სახელმწიფოებს მძიმე ბრძოლების გადახდა უწევდათ მაჰმადიანთა წინააღმდეგ. 1187 წელს ეგვიპტის სულთანმა სალაჰ-ად-დინმა (სალადინმა) იერუსალიმი დაიკავა. დაკარგული პოზიციების დასაბრუნებლად მოწყობილმა ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა შედეგები ვერ გამოიღო. XII საუკუნის ბოლოს გართულდა ვითარება ბიზანტიის იმპერიაშიც, სადაც მიმდინარეობდა ბრძოლა ტახტისათვის. ამ დროს ვენეციაში იკრიბებოდნენ IV ჯვაროსნული ლაშრობის მონაწილეები. ვენეცია კონსტანტინოპოლის უპირველესი სავაჭრო მეტოქე იყო. ვენეციელებმა გადაწყვიტეს ეს რაინდები ბიზანტიის წინააღმდეგ გამოეყენებინათ. 1204 წელს ჯვაროსნებმა იერიშით აიღეს კონსტანტინოპოლი. მათ გაძარცვეს და დაარბიეს ქალაქი. ბიზანტიის იმპერია რამდენიმე ნაწილად დაიშალა.

ბიზანტიაში მიმდინარე პროცესებით ისარგებლეს ქართველებმა და 1204 წელს დალაშქრეს შავი ზღვის სახრეთ-აღმოსავლეთი ტერიტორია, რომელიც ძირითადად ქართული წარმომავლობის ტომებით იყო დასახლებული. საქართველოს ლაშქარმა აიღო ქალაქები: ტრაპიზონი, ლიმნია, სამსუნი, სინოპი და სხვა. ამ ტერიტორიაზე შეიქმნა ტრაპიზონის იმპერია, რომელსაც სათავეში საქართველოში აღზრდილი, ბიზანტიის იმპერიაში დამხობილი კომნენოსთა კანონიერი დინასტიის წარმომადგენელი ალექსი ჩაუდგა. ტრაპიზონის იმპერია საქართველოს გავლენის სფეროში მოექცა.

1206 წელს გარდაიცვალა დავით სოსლანი. თამარმა იმავე წელს თანამოსაყდრედ დასვა თავისი ძე ლაშა-გიორგი.

ამავე ხანებში არდებილის სულთანმა საქართველოს წინააღმდეგ გაილაშქრა. იგი მოულოდნელად დაესხა თავს ანისს, გაანადგურა, მოსახლეობა დახოცა და კვლავ ერანში დაბრუნდა. საქართველოს სამეფო კარი იძულებული იყო არდებილის სულთნის დასასჯელად სასწრაფოდ ჯარი შეეყარა და გალაშქრებულიყო. ქართველთა ლაშქარი სასტიკად გაუსწორდა არდებილის სულთანს, იგი სიკვდილით დასაჯეს, მისი ცოლ-შვილი ტყვედ წამოასხეს და დიდი ნადავლით, გამარჯვებულნი საქართველოში დაბრუნდნენ.

არდებილში გალაშქრებამ ქართველთა მხედრობა დაარწმუნა, რომ მთელს ირანში არ არსებობდა ერთიანი ძალა, რომელსაც შეეძლო ქართველთა ლაშქარს გამკლავებოდა. იმისათვის, რომ მახლობელ აღმოსავლეთში ეცნოთ საქართველოს სამხედრო ძლევამოსილება, “ცნან ყოველთა სპათა აღმოსავლეთისათა ძალი და სიმხნე ჩუენი”, საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ გადაწყვიტა მოეწყო შორეული ლაშქრობა ირანს. ეს იყო თამარის მეფობის დროს უკანასკნელი დიდი ლაშქრობა. ქართველთა ხელისუფლების მიერ წამოწყებული ღონისძიება _ ირანს გალაშქრება მთელ რიგ პოლიტიკურ ეკონომიკურ მიზნებს ისახავდა.

აშნიშნული ლაშქრობა მოეწყო 1210-1211 წლებში. ლაშქრობა წარმატებული გამოდგა. ქართველებმა აიღეს: თავრიზი, ყაზვინი და სხვა ქალაქები და ირანის შუაგულამდე მიაღწიეს. ალაფითა და ნადავლით დამძიმებულმა ჯარმა წინსვლა ვეღარ შეძლო და უკან დაბრუნდა. ეს ლაშქრობა, ცხადია, მიზნად არ ისახავდა ირანის დაპყრობას. ეს იყო ფეოდალურ სამყაროში მიღებული ჩვეულებრივი მარბიელი ლაშქრობა. ლაშქრობის მიზანი იყო საქართველოს სამხედრო ძლიერების კიდევ ერთხელ დემონსტრირება და ალაფის მოპოვება.

საქართველოს სამეფო კარის საგარეო-პოლიტიკური კურსი აშკარად მიუთითებდა იმას, რომ საქართველო პრეტენზიას აცხადებდა ბიზანტიის ადგილი დაეკავებინა. ,,ამიერიდან საქართველო არა მარტო აღმოსავლეთის ქვეყნების გამათავისუფლებლის, არამედ დასავლეთის კულტურის დამცველის როლში გამოდიოდა”. საქართველოს სამეფო ხელისუფლება ალექსანდრე მაკედონელისა და ავგუსტ კეისრის საქმეთა ისტორიულ მემკვიდრედ ცხადდებოდა. ამიტომაც იყო, რომ საქართველოს სამეფო დროშაზე “გორგასლიანისა” და “დავითიანის” გვერდით გაჩნდა “ალექსანდრიანიცან” და “ავღუსტიანიც”.

ქართული ფეოდალური მონარქიის საგარეო პოლიტიკის შედეგად ქვეყნის ტერიტორიების ერთიორად გაზრდამ და გავლენის სფეროების გადიდებამ თავისი ასახვა პოვა ერთიანი საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში. თუკი გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III “მეფედ”, “აფხაზთა მეფედ და კუროპალატად” ან კიდევ “მეფეთა მეფედ” იწოდებოდა, თამარი “აბხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფე და დედოფალი, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთის თვითმპყრობელის” ტიტულს ატარებდა.

ამრიგად, თამარის მეფობაში აქტიური საგარეო პოლიტიკის შედეგად XII ს. უკანასკნელ მეოთხედსა და XIII ს. დასაწყისში საქართველოსთან დამოკიდებულების სხვადასხვა ფორმით იყო დაკავშირებული აღმოსავლეთ ამიერკავკასია, ირანის აზერბაიჯანი, მთელი სომხეთი, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო. თამარმა “იპყრნა ზღჳთ

პონტოსით ზღუადმდე გურგანისად და სპერითგან დარუბანდამდის და ყოველნი კავკასიის იმერნი და ამერნი ხაზარეთამდის და სკჳთეთამდის".

თამარი გარდაიცვალა 1210 წელს **(არსებობს მოსაზრება, რომ თამარი უნდა გარდაცვლილიყო 1207 ან 1213 წელს).** მეფის მემატიანის მიხედვით, თამარი გელათში დაკრძალეს. არსებობს ცნობა, რომ შემდგომში, შესაძლოა, მეფე იერუსალიმის ჯვრის მონასტერში გადაასვენეს. ქართულმა ეკლესიამ თამარ მეფე წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ 1 (14) მაისი დააწესა.[

<u>სახელმწიფო მმართველობა.</u> საქართველოს სახელმწიფოს სათავეში იდგა მეფე ბაგრატიონთა საგვარეულოდან. გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე იყო ბაგრატ III. ქართველი მეფეები გარკვეული პერიოდის მანძილზე ატარებდნენ ბიზანტიურ ტიტულებს. დავით IV-მ გამეფებისთანავა უარი განაცხადა ყოველგვარ ბიზანტიურ ტიტულზე. საქართველოს მეფეები ერთპიროვნულად, შეუზღუდავად მართავდნენ ქვეყანას. სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი საკითხების გადასწყვეტად იკრიბებოდა დარბაზი. დარბაზის წევრებს შორის იყო მკაცრი იერარქია. ყველაზე საპატიო წევრები (ვაზირები, კათალიკოს-პატრიარქი, მოძღვართ-მოძღვარი) ოქროთი მოჭედილ სელებზე იჯდნენ, სხვები _ ჩვეულებრივ დასაჯდომებზე. მოხელეთა ნაწილი საერთოდ ფეხზე იდგა. დარბაზის სხდომებს მეფე თავჯდომარეობდა. დარბაზობა ორი სახის იყო-,,დიდი წესით", რომელზეც საზეიმო სხდომები ეწყობადა და ,,უმცროსი წესით", რომელზეც ძირითადი, საჭირბოროტო საკითხები განიხილებოდა მხოლოდ. დარბაზის ფუნქციებში შედიოდა ყველა საშინაო და საგარეო საკითხების განხილვა. ქვეყნის ყოველდღიური მართვა სავაზიროს მეშვობით ხორციელდებოდა. თამარ მეფის დროს ქვეყანაში ექვსი ვაზირი იყო (ვაზირი არაბული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს მრჩეველს, თანაშემწეს).

პირველი ვაზირი იყო მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი. მას დიდი უფლებები ჰქონდა და სახელმწიფო ცხოვრების ყველა სფეროში შეეძლო ჩარეულიყო, მას ემორჩილებოდა 26 მწიგნობარი.

შემდეგი ვაზირი იყო ამირსპასალარი. რომლის მთავარი მოვალეობა ჯარის სარდლობა და სამხედრო უწყების ხელმძღვანელობა იყო, მას ერთად-ერთს ჰქონდა უფლება მეფესთან თათბირის დროს ხმალი არ მოეხსნა. მისი პირველი თანაშემწე იყო ამირახორი.

მანდატურთუხუცესი დაახლოებით იმავე ფუნქციებს ასრულებდა, რასაც დღეს შინაგან საქმეთა და ფოსტის მინისტრები. მისი ხელისუფლების ნიშანს ოქროს კვერთხი წარმოადგენდა მისი თანაშემწე იყო ამირეჯიბი.

მეჭურჭლეთუხუცესი განაგებდა სახელმწიფო ხაზინასა (საჭურჭლეს) და ფინანსებს. მის თანაშემწეს ერქვა ნაცვალი.

მსახურთუხუცესი იყო მეფისა და მისი იჯახის წევრების ქონებისა და მეურნეობის გამგებელი.

ათაბაგი იყო ტახტის მემკვიდრის აღმზრდელი. ეს თანამდებობა საქართველოში XIII ს-ში გაჩნდა და გარკვეულ წილად დაუპირისპირდა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს, რადგან ათაბაგი მომავალი მეფის აღმზრდელი იყო და ყველაფერზე მიუწვდებოდა ხელი.

Aადგილობრივ მმართველობას ერისთავები ანხორციელებდნენ, რომელთაც ასევე თავიანთი ხელქვეითი მოხელეები ყავდათ.

Aარსებობდა მონაპირეთა სპეციალური თანამდებობა, რომელთაც ევალებოდათ სახელმწიფო საზღვრის დაცვა.

დამორჩილებული ტერიტორიები ან უშუალოდ შედიოდა სამეფოს შემადგენლობაში, როგორც მაგალითად ჩრდილოეთ სომხეთი და დასავლეთ შარვანი, ან ყმადნაფიცობის პირობით ემორჩილებოდნენ საქართველოს მეფეს. ყმადნაფიც ქვეყნებს ევალებოდათ ხარკის გადახდა და საჭიროების შემთხვევაში სამხედრო ძალის გამოყვანა. სამაგიეროდ ქართველები აცავდნენ მათ სხვათა შემოსევებისაგან.

საქართველოს ეკონომიკური და სოციალური ანვითარება XI-XIII საუკუნეში

ქვეყნის გაერთიანებამ და დამპყრობელთა განდევნამ ხელი შეუწყო საქართველოს ეკონომიკურ განვითრებას. სოფლის მეურნეობის განვითარებასთან ერთად მაღალ დონეს აღწევდა ხელოსნობა, საშინაო და საგარეო ვაჭრობა, რომელიც იწვევდა ახალი ქალაქების დაარსებას და ძველის განახლებას.

საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სოფლად ცხოვრობდა. სოფლები ეკუთვნოდა მეფესა და მისი იჯახის წევრებს, ცალკეულ ფეოდალსა და ეკლესიას. შესაძლოა ერთ სოფელში სხვადასხვა გლეხს სხვადასხვა მეპატრონე ყოლოდა. გლეხს ჰქონდა თავისი ,,საგლეხო ფუძე" ანუ მიწა, რომელიც შედგებოდა სახნავ-სათესისა და ბაღ-ვენახისგან. ზოგჯერ ერთ ფუძეზე ორი ან მეტი ოჯახი ცხოვრობდა. სოფლის მეურნეობის განვითარებას ხელი შეუწყო ახალი სახვნელი იარაღის ,,დიდი ქართული გუთნის" გამოყენებამ. ასეთ უღელში რვა-ათი უღელი ხარი იყო შებმული და გაცილებით უკეთ ხნავდა მიწას, ვიდრე მისი წინამორბედი ერქვანი. დიდი ყურადღება ექცეოდა სარწყავი არხების მშენებლობას. არხები გაყვანილი იყო კახეთში (ალაზნის, 119 კმ), მუხრანში, სამგორში.

საქართველოში უდიდესი ტრადიცია ჰქონდა მევენახეობას. არსებობდა ვაზის 500-მდე ჯიში. არანაკლებ განვითარებული იყო მარცვლეული კულტურების მოყვანა. თესავდნენ ხორბლის სხვადასხვა ჯიშს, ქერს, ფეტვს. განვითარებული იყო მებაღეობა-მებოსტნეობაც. ფართოდ იყო გავრცელებული მესაქონლეობა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მიზდევდნენ მეაბრეშუმეობას. XI-XIII საუკუნეებში საქართველოში იზრდება ქალაქების როლი. მნიშვნელოვანი ქალაქები იყო თბილისი, ქუთაისი, ახალციხე, ახალქალაქი, თმოგვი, ხუნანი, არტანუჯი, ჟინვანი, გორი, თელავი, სამშვილდე, ოძრხე, დმანისი და სხვა. Q ქალაქის მცხოვრებთა დიდ ნაწილს შეადგენდნენ ვაჭრები და ხელოსნები. სავარაუდოა, რომ ამ დროს უკვე არსებობდა ცალკეული სპეციალობის მქონე ხელოსანთა გაერთიანებები, რომელთაც ყავდათ თავიანთი უფროსები და ჰქონდათ თავიანთი წესები.

საქართველოში გავრცელებული იყო ხელოსნობის შემდეგი დარგები: ოქრომჭედლობა, დურგლობა, კალატოზობა, მეჭურჭლეობა,Qმჭედლობა, მეთუნეობა, მეპურეობა, წიგნის გადაწერა და აკინძვა, მეხამლეობა, ქსოვა და კერვა, რკინის მჭედლობა და სხვა.

საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტიასთან, არაბებთან, რუსეთთან, ეგვიპტესთან, სომხეთთან და სხვა ქვეყნებთან.

Mმოსახლეობის უმეტეს ნაწილს შეადგენდნენ გლეხები და მსახურები. გლეხი ამუშავებდა, როგორც თავის საგლეხო ფუძეს, საიდანაც მოწეული მოსავლის ნაწილს თავის ბატონს აძლევდა, ასევე ფეოდალის მიწასაც. მსახურის ძირითადი მოვალეობა იყო ბატონის ხლება და მისთვის სხვადასხვა დავალებებისა და სამსახურის შესრულება.

საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო აზნაურთა ფენაც, რომელსაც თავის მხრივ ყავდა პატრონი, რომელიც მეფე, ეკლესია ან ფეოდალი შეიძლება ყოფილიყო. გაბატონებული

მდგომარეობა ეკავათ საზოგადოებაში დიდებულებს (დიდაზნაურებს). მათ ეკუთვნოდათ დიდი მიწები, და მაღალი სახელმწიფო თანამდებობები.

ქართული კულტურა XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში

ქვეყნის კულტურული სახე, ამა თუ იმ პერიოდში, საერთოდ, ბევრადაა დამოკიდებული მის პოლიტიკურ და სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. შესაბამისად, განვითარებული ფეოდალური ხანის, კერძოდ XI-XII საუკუნის ძლიერი ფეოდალური საქართველოს დაწინაურებული მდგომარეობა აისახა მის კულტურულ განვითარებაშიც.

განათლება. საქართველოში უძველესი დროიდან დიდი ყურადრება ექცეოდა განათლებას, ქართული ფილოსოფიური აზროვნება და ქართული სკოლები, ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან იყო სახელგანთქმული, თუმცა საქართველოს რთული პოლიტიკური ვითარების გამო სხვადასხვა ეპოქაში განათლების საქმეც სხვადასხვაგვარად ვითარდებოდა.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ IV საუკუნეში ფოთის მახლობლად არსებობდა კოლხეთის რიტორიკული სკოლა, სადაც ქართველ ახალგაზრდებთან ერთად უცხოელებიც იღებდნენ განათლებას. აღნიშნული სწავლა-განათლების ძველი ქართული ტრადიციების აშკარა დასტურია. ალბათ, ეს სკოლა ერთადერთი არ იყო საქარვთველოში. მართებულია მოსაზრება, რომ საქართველოში რიტორიკული სკოლების გვერდით სხვადასხვა ქალაქში უსათუოდ იქნებოდა სხვა სახის, მაგალითად დაწყებითი საფეხურის სკოლებიც. არ არის შემთხვევითი, რომ, მაგალითად, ოპიზის, ოშკის, შატბერდის, ბერთას, ხანძთის და სხვა მონასტრებთან ხშირად გვხვდება შენობები, რომლებიც აქვე არსებული სკოლებისათვის თუ სემინარიებისთვის იქნებოდა განკუთვნილი.

XI-XII საუკუნეებში ქართული კულტურის მაღალ დონეს განაპირობებდა სწავლა-აღზრდის ის ხელშემწყობი პირობები, რაც საერთოდ ახლავს ქვეყნის მშვიდობიან განვითარებას. ჩვენთვის საინტერესო პერიოდში სკოლები ძირითადად ეკლესია-მონასტრებთან არსებობდა და ქრისტიანული იდეოლოგია განსაზღვრავდა მომავალი თაობის აღზრდის ძირითად მიმართულებებს. ეს სკოლები ოფიციალური სახისა იყო, სადაც ასწავლიდნენ თეოლოგიას, ჰიმნოგრაფიას, ლიტურგიკას, ისტორიას და ქართულ მწიგნობრობას. ამასთან ერთად, გავრცელებული იყო კერძო /საშინაო/ სწავლება სამეფო კარისა და დიდგვაროვანი ფეოდალების ოჯახის შვილებისათვის. ქართულ ისტორიოგრფიაში არაერთი მონაცემია შემონახული, რომლებიც ადასტურებენ, რომ დიდი ტაძრები არა მარტო საკულტო-სამონასტრო დანიშნულებისა იყვნენ, არამედ სასწავლო-სასკოლო ცენტრებსაც წარმოადგენდნენ.

XI-XII სს-ის საქართველოში სასკოლო განათლების დაწინაურების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბიზანტიური განათლების სისტემის ახლო გაცნობამ. Bბევრმა ქართველმა მიიღო განათლება ბიზანტიის სკოლებში, ზოგი მათგანი კი შემდგომ დიდ მოღვაწედ მოგვევლინა, მაგალითად: ეფრემ მცირე. ცნობილია, რომ გიორგი მთაწმინდელმა 80 ქართველი ყმაწვილი წაიყვანა ბიზანტიაში განათლების მისაღებად და ივერთა მონასტერში სამსახურისთვის.

მეფე დავით IV აღმაშენებელი დიდად იღწვოდა ერის განათლებაზე, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია სომეხ მემატიანეს ვარდან ბარძაბერდეცს, რომელიც აღნიშნავს, რომ დავითი "ძლიერ ზრუნავდა ცოდნისმოყვარე ივერიის ხალხზე". ცოდნის მიღების მიზნით, საქართველოს მეფეს ორმოცი ბავშვი აურჩევია და საბერძნეთში (ე.ი. ბიზანტიაში)

გაუგზავნია, იმ მიზნით, რომ მათ შეესწავლათ ენები, შეესრულებინათ თარგმანები და ჩამოეტანათ საქართველოში. ისინიც სწორედ ასე მოქცეულან.

დავით აღმაშენებლის დროინდელ საქართველოში, როგორც ჩანს, არაერთი სკოლა და აკადემია იყო, რომელთა შორის გამორჩეული ადგილი გელათს უკავია. მემატიანის ცნობით დავით აღმაშენებელმა 1106 წელს გადაწყვიტა მონასტრის აშენება და "ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოველითურთ უნაკლოსა" ააგო ტაძარი, რომელიც აღემატებოდა მანამდე არსებულ მონასტრებს თავისი "სივრცითა და ნივთთა სიკეთითა და სიმართლითა, და მოქმნულობისა შეუსწორებლობითა". ეს იყო გელათი, სადაც დაფუძნდა ქართული განათლების და კულტურის მნიშვნელოვანი კერა – გელათის აკადემია (უნივერსიტეტი). დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გელათს უწოდებს "ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუათ ათინად, ფრიად უაღრეს მისსა საღმრთოთა შინა წესთა..."

დავით აღმაშენებელმა მიზნად დაისახა, რომ გელათი გადაექცია მაღალი დონის კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო-სამეცნიერო ცენტრად. ამ საქმეში საქართველოს მეფეს მხარში ედგნენ თანამოაზრენი. როგორც ჩანს, გელათი საერო-ფილოსოფიური და სასულიერო განათლების მნიშვნელოვანი კერა გახდა. გელათის აკადემია განვითარებული ფეოდალიზმის ხანის პირველი უმაღლესი სასწავლებელია. იგი რეალური მოთხოვნილების ნიადაგზე შეიმქმნა და უწინარა იმ იდეოლოგიურ მოძრაობას, რომელიც გზას უკაფავდა ქართულ რენესანსს.

უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო გელათის აკადემიის (უნივერსიტეტის) სათანადო კადრებითა და მატერიალური ბაზით უზრუნველყოფა. საქართველოს მეფე სწავლულ-მეცნიერებს ეძებდა არა მარტო საქართველოს შიგნით, არამედ "ქუეყანისა კიდეთად". დავით აღმაშენებელი მაღალი კრიტერიუმებით უდგებოდა სწავლულთა შერჩევას. "სიწმინდე, სიკეთე, სისრულე, სულიერითა და ხორციელითა სათნოებითა აღსავსეობა". მეფემ გამოძებნა და "შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკული ყოვლითა სათნოებითა". გელათის აკადემია დაარსებულია 1106-1110 წლებში, ე.ი. ტაძრის მშენებლობის გასრულებამდე, ხოლო გელათის მონასტრის მთელი კომპლექსი დემეტრე პირველის დროს დასრულდა.

1114 წელს გელათის აკადემიაში მოღვაწეობა დაიწყო ქართველმა სასულიერო მოღვაწემ, ფილოსოფოსმა, მწერალმა და ჰიმნოგრაფმა არსენ იყალთოელმა. იგი წყაროებში არსენ ვაჩესძედაა მოხსენიებული. წარმოშობით იყალთოდან ყოფილა, განათლება ბიზანტიაში მიუღია. იგი ერთხანს შავ მთაზე მოღვაწეობდა ეფრემ მცირის ხელმძღვანელობით. არსენ იყალთოელი თეოფილე ხუცესმონაზონთან და იოანე კარიჭისძესთან ერთად ჩამოსულა საქართველოში. იქვე, გელათში, უთარგმნია მას "დიდი სჯულისკანონი".

გელათის აკადემიას, როგორც წყაროებიდან ჩანს, მოძღვართმოძღვარი ხელმძღვანელობდა, რომელიც მეტად განათლებული პირი იყო. ქართულ წყაროებში იგი როგორც ხელმძღვანელი (რექტორი) გელათის აკადემიისა, ძალზედ მაღალ პატივშია აყვანილი. ეს პატივი, ბუნებრივია, თვით აკადემიის დიდი მნიშვნელობითაა განპირობებული.

გელათის უმაღლესი სკოლის ისტორიის შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მისი შენობის ნაშთებს, ასეთადაა მიჩნეული მონასტრის ეზოში უზარმაზარი გრძელი დარბაზის ნანგრევები ფანჯრის კამარებით. ეს შენობა, დარბაზებისა და ოთახებისაგან, სპეციალური დანიშნულების სათავსებისაგან (სკამები მსმენელთათვის, კათედრა მოძღვართათვის, თახჩები სახელმძღვანელოებისათვის, დიდი ფანჯრები, ცალკე

შესასვლელი) შედგებოდა გელათის აკადემია, როგორც ჩანს, უზრუნველყოფილი იყო მდიდარი მატერიალური ბაზითაც.

გელათის აკადემიაში, ისე როგორც იმდროინდელ უმაღლეს სკოლებში, ისწავლებოდა მეცნიერების შვიდი დარგი: გრამატიკა, ფილოსოფია, რიტორიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, მუსიკა და ასტრონომია.

ამ ხანის საქართველოში კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრები, გელათის გარდა, სხვაც იყო. უმაღლესი სასწავლებელი ყოფილა იყალთოში – იყალთოს აკადემია. ეს დასტურდება მონასტრის ეზოში შემორჩენილი შენობის ნანგრევებით. ნანგრევებში ჩანს თახჩა-ფანჯრები, კათედრის ფუძე და სხვა. იყალთოს აკადემიის დამაარსებელი და მისი პირველი ხელმძღვანელი /რექტორი/ იყო არსენ იყალთოელი, რომელიც XII საუკუნის ოციან წლებში გელათიდან იყალთოში გადასულა.

ისტორიული გადმოცემა უმაღლესი სწავლების სხვა კერებიდან ასახელებს გრემს.

ცხადია, ფეოდალური საქართველოს ძლიერ, ცენტრალიზებულ სახელმწიფოში ბევრი სასწავლო ცენტრი იქმნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ცნობები მათ შესახებ არ შემოგვრჩა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ იმდროინდელი საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში, კერძოდ გელათის აკადემიაში, გარდა დასახელებული შვიდი ძირითადი საგნისა, ისწავლებოდა მედიცინაც, რომ XII საუკუნის დასაწყისში თარგმნილი სამკურნალო ხასიათის "წიგნი სააქიმო" სასწავლო დანიშნულების სახელმძღვანელო უნდა ყოფილიყო, რომელიც გელათის აკადემიაში მედიცინის საგნის სწავლების საქმეს ემსახურებოდა. XI-XII სს-ის საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება მაღალ აკადემიურ დონეზე იყო.

<u>ქართული მწიგნობრობის კერები საზღვარგარეთ.</u> ფეოდალური საქართველოს სამეფო ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევდა კულტურული ცენტრების გამრავლებას საზღვარგარეთაც. ამ მხრივ განსაკუთრებით დავით აღმაშენებელი გამოირჩეოდა. მრავალმხრივ და ღრმად განათლებულ საქართველოს მეფეს თავისი დამხმარე ხელი შორს გაუწვდია, საზღვარგარეთული სავანეებისათვის. ,,აღავსო ზღუა და ხმელი ქუელის საქმემან მისმან, რამეთუ ლავრანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თვისთა ოდენ სამეფოთა, არამედ საბერძნეთისნიცა, მთაწმიდისა და ბორღალეთისანი, მერმეცა ასურეთისა და კვიპრისა, შავისა მთისა, პალესტინისანი, აღავსნა კეთილითა, უფროსღა საფლავი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, და მყოფნი იერუსალიმისანი თვითოფერთა მიერ შესაწირავთა განამდიდრნა, კუალად უშორესცა ამათსა, რამეთუ მთასა სინასა… აღაშენა მონასტერი, და წარსცა ოქრო მრავალათასეული".

საზღვარგარეთ ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრების გაჩენა დავით აღმაშენებლის დიდი გავლენისა და ავტორიტეტის ნათელი მაჩვენებელია საერთაშორისო მასშტაბით. ამ ცენტრებისადმი დიდ ყურადღებას იჩენდა მეფე თამარი. იგი მრავალ შესაწირავს აგზავნიდა უცხო სავანეთა მოსახმარად. ქართველ მორწმუნეებს უყურადღებოდ არ ტოვებდა ალექსანდრიიდან სინას მთამდე, სადაც თავის სარწმუნო ხალხს აგზავნიდა.

საზღვარგარეთის ქართულ კულტურულ -საგანმანათლებლო ცენტრებში (ივერიის მონასტერი ათონის მთაზე, მონასტერი შავ მთაზე სირიაში, პეტრიწონის მონასტერი ბულგარეთში, ჯვრის მონასტერი იერუსალიმში და სხვა) ფართო ლიტერატურულ-ფილოსოფიური და მთარგმნელობითი მუშაობა გაიშალა. ამ ხანაში შეიქმნა არაერთი ორიგინალური ნაწარმოები, ითარგმნა ქართულ ენაზე მსოფლიო კულტურის

მნიშვნელოვანი ძეგლები, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობდა ეროვნული მეცნიერებისა და მწერლობის წინსვლა-განვითრებას.

საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველებიდან შორს გაითქვეს სახელი გიორგი მთაწმინდელმა, ეფრემ მცირემ, გიორგი ხუცეს მონაზონმა და სხვებმა.

<u>ხელოვნება და ხუროთმოძღვრება.</u> XI-XII საუკუნეების საქართველოში, განსაკუთრებით აღმავლობას განიცდის ხუროთმოძღვრება. ამ ხანაში შეიქმნა შუა საუკუნეების საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი და დიდი ტაძრები. XII საუკუნის ძეგლებია: ბაგრატის ტაძარი ქუთაისში, სვეტიცხოველი მცხეთაში, ალავერდის კათედრალი კახეთში, სამთავისის ტაძარი ქართლში, ნიკორწმინდის მონასტერი რაჭაში და სხვა. XII საუკუნისაა გელათის მონასტრის დიდი ტაძარი, თიღვის გუმბათოვანი ეკლესია, იკორთის, ბეთანიის, ქვათახევის ტაძრები და სხვა.

გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის – ბაგრატ III-ის დროს აიგო ქუთაისის ტაძარი, რომელიც ბაგრატის ტაძრის სახელითაა ცნობილი. ამ ტაძრის მშენებლობა 1103 წელს დაუმთავრებიათ "ოდეს განმტკიცნა იატაკი, ქრონიკონი იყო 223". სამხრეთისა და დასავლეთის კარიბჭეები მდიდრულადაა მოჩუქურთმებული. ისინიც XI საუკუნის პირველი ნახევრისაა. მიუხედავად იმისა, რომ XVII საუკუნის ბოლოს მომხდურმა თურქებმა დაანგრიეს გუმბათი, კამარები, XIX საუკუნეში დაინგრა დასავლეთის კარიბჭეც, ძეგლი დღესაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. ტაძრის ყველა ნაწილი ჰარმონიულადაა ურთიერთშერწყმული. წინათ ტაძარი მოზაიკით ყოფილა შემკული.

სვეტიცხოვლის ახლანდელი ტაძარი, ძირითადად XI საუკუნის პირველი მესამედის- 1010-1029 წლების ნაგებობაა. იგი ქართლის კათალიკოსის - მელქისედეკის თაოსნობით ხუროთმოძღვარ არსაკიძეს აუგია. მიუხედავად გარკვეული დაზიანებებისა და შემდგომ შეკეთებისა, სვეტიცხოველმა შეინარჩუნე თავისი სიდიადე, ფორმათა დახვეწილობა. Mმონუმენტურია შენობის საერთო იერი, გრანდიოზულია შიდა სივრცე.

ქუთაისისა და მცხეთის ტაძრებს ენათესავება ალავერდის კათედრალი. იგი ყველაზე მაღალი ტაძარია საქართველოში, არსებითად პირვანდელი სახითაა შემორჩენილი. გამორჩეულია სამთავისის ტაძარი, რომელიც 1030 წელსაა აგებული ვაჩე ყანჩაელის ძის - იღარიონ სამთავნელის მიერ. ძეგლი შემკულია ბრწყინვალე ჩუქურთმებით. თაღები, ჯვარი, საპირე, კვადრატები –მთლიანსა და უწყვეტ ანსამბლს ქმნიან. სამთავისი პრაქტიკულად წინაბორბედია განვითარების იმ საფეხურისა, რომელიც XII საუკუნის ქართულ ხურმოთმოძღვრებაში გამოვლინდა.

XII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იშხნის ტაძარს, რომელიც ივანე მორჩაისძემ გადააკეთა და ჩუქურთმებით შეამკო, Nნიკორწმინდას, სამთავროს კათედრალს, მანგლისი ტაძარს. ამ დროს აგებული ერთნავიანი ეკლესიებია: ხცისი- 1102 წელი, ფოკა, - 1046 წელი, ქორეთი- 1000 წელი და სხვა.

XII საუკუნის ქართულ ხუროთმოძღვრებას გელათი უდგას სათავეში. Aაქ აშენდა ღვთისმშობლის სახელობის დიდი ტაძარი, წმინდა გიორგის ეკლესია, სამრეკლო და აკდემიის შენობა.

მთავარი ტაძრის კედლები და კამარები მოხატულია. საკურთხევლის კონქში ღვთისმშობლისა და ორი მთავარანგელოზის მოზაიკური გამოსახულებაა. გელათის მოზაიკისა და ფრესკების შერწყმა უნიკალურია. კომპოზიციის ცენტრში ფეხზე მდგომი ღვთისმშობელია გამოხატული. Mმას ხელში ჩვილი იესო უჭირავს. აქეთ-იქეთ Gგაბრიელ და მიქელ მთავარანგელოზები უდგანან. Fფიგურები ოქროსფერ ფონზეა წარმოდგენილი.

Mმოზაიკის ყველა დეტალი დიდი ოსტატობითაა შესრულებული და დავით აღმაშენებლის ეპოქის მონუმენტური ხელოვნების მაღალმხატვრული ნიმუშია.

დავით აღმაშენებლის ბრძანებით ააგეს შიომღვიმის ზემო ეკლესია (ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი). დავით აღმაშენებლის ასულს – თამარს, აუგია თიღვის (შიდა ქართლის, ახლანდელი ზნაურის რაიონი) გუმბათოვანი ეკლესია (მკაცრი ასკეტური სტილის). იმავე ხანაში აშენებული მშვენიერი ჩუქურთმებით შემკული ეკლესიაა საორბისში.

XII საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XIII საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოში შეიქმნა გუმბათოვანი ტაძრები. ეს ეკლესია ტაძრები დასახლებული ცენტრებისაგან საკმაოდ მოშორებით, ტყიან ხეობებშია აგებული. ისინი წინა საუკუნის გრანდიოზულ ტაძრებთან შედარებით უფრო მომცროა. ძეგლთა ამ ჯგუფში დეკორატიულობა და რაფინირება მწვერვალს აღწევს, მაღალ დონეზეა ოსტატობა. ტაძართა ფასადებზე თანდათან ქრება წინანდელი თაღები, ეფექტი ემყარება კედლის კონტრასტულ დაპირისპირებას, უხვად მოჩუქურთმებულ სარკმელთა საპირეებთან. შეცვლილია შენობის პროპორციები: გუმბათის ყელი შენობასთან შედარებით ძლიერ აზიდულია. ამ ტიპის ტაძრებია: იკორთა-1172 წელი ქართლში, ბეთანია-ვერას ხეობაში, ქვათახევი _ შიდა ქართლში, ფიტარეთი _ ქვემო ქართლში, წუღრუღაშენი, დმანისის კარიბჭე ქვემო ქართლში, ერთაწმინდა შიდა ქართლში და სხვა. Aამავე ჯგუფს განეკუთვნება აგურით ნაშენი ორი ტაძარი – ტიმოთესუბანი და ყინწვისი, ერთნავიანი ეკლესიები: ლამაზი საყდარი ხრამის ხეობაში, მაღალაანთ ეკლესია – შიდა ქართლი, კაზრეთი და გუდარეხი _ ქვემო ქართლში, ლურჯი მონასტერი – თბილისი.

XII საუკუნის საერო ნაგებობათა შორის მნიშვნელოვანია გეგუთის სასახლე, რომელსაც სააგარაკო ან სანადირო დანიშნულება ჰქონდა. სასახლე გრანდიოზული იყო, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ თუ ამ ტიპის ნაგებობა თუ ესოდენ დიდი იყო, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ძირითადი სამეფო სასახლეები სატახტო ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი) კიდევ უფრო მასშტაბური იქნებოდა.

სამოქალაქო სახლების ნაშთები აღმოჩნდა დმანისისა და სამშვილდის ნაქალაქარებში, გუდარეხის სამონასტრო ანსამბლში. სტილის თვალსაზრისით სამოქალქაო შენობები ახლოს არიან საეკლესიოსთან, მათი განსხვავება ძირითადად ფუნქციური ხასიათისაა.

ამ ხანის ქართულ ხუროთმოძღვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კლდეში გამოკვეთილ სამონასტრო კომპლექსებს. დავით გარეჯსა და ვარძიას. დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი არსებობდა და ვითარდებოდა მთელი შუა საუკუნეებისა მანძილზე. იგი რამდენიმე მონასტრისაგან შედგება (დავითის ლავრა, ბერთუბანი, უდაბნო, ნათლისმცემელი, ჩიჩხიტური და სხვა). კლდეში მრავალი სენაკია გამოკვეთილი, აქვეა სატრაპეზო, ეკლესია, სამლოცველო. ბევრი მათგანი მოხატულია კიდეც.

ვარძიის ხუროთმოძღვრული კომპლექსის მშენებლობა გიორგი მესამემ დაიწყო და დაასრულა თამარმა. სენაკები აქაც მრავლადაა, რამდენიმე ასეულია. ვარძია მტრისაგან თავდაცვის საქმესაც ემსახურებოდა. მნიშვნელოვანია დიდი ეკლესია, რომლის კედლები ფრესკებითაა დაფარული. აღსანიშნავია, რომ აქვეა თამარისა და გიორგი მესამის პორტრეტები.

ვარძიის მახლობლად მთაშია გამოკვეთილი იმდროინდელი ვაჰანის ანუ ვანის ქვაბები. შემორჩენილია კლდეში გამოკვეთილი სხვა კომპლექსებიც. მაგალითად სამსარის გამოქვაბული ჯავახეთში.

XI-XII საუკუნის მნიშვნელოვანი საინჟინრო ნაგებობებია შიომღვიმე-სხალტბის წყალსადენი (აგებულია თამარის დროს), ბესლეთისა (სოხუმთან) და დანდალოს (აჭარაში) ხიდები. განვითარებული იყო ციხე-სიმაგრეების მშენებლობის საქმე. ისინი მიუვალ კლდეებზე შენდებოდა იმ მიზნით, რომ მოხერხებულად დაეცვათ გზები, ხეობები და ქალაქები. იმ დროის ციხე-სიმაგრეებს სათოფურები არ გააჩნიათ (ეს ბუნებრივია, რადგან ისინი შენდებოდა ცეცხლსასროლი იარაღის შემოსვლამდე). ნიშანდობლივია, რომ ციხე-სიმაგრეები ისეა შერწყმულ-შეზრდილი კლდეებთან, რომ ერთი მთლიანის შთაბეჭდილებას ქმინიან. მძლავრი და მონუმენტურია სამხრეთ საქართველოს ციხეები.: ხერთვისი, აწყური, ოქროსციხე, თმოგვი და სხვა.

<u>სახვითი ხელოვნება.</u> XI–XII საუკუნეებში მნიშვნელოვან აღმავლობას აღწევს სახვითი ხელოვნება. თუ XI საუკუნის პირველ ნახევარში შეიმჩნევა სკულპტურისკენ სწრაფვა, შემდგომ ხანაში ეს ინტერესი ნაკლებად ჩანს, რელიეფები იშვიათად გვხვდება ეკლესიათა ფასადებზე. ოქრომჭედლობაში (განსაკუთრებით XII საუკუნეში) წინა პლანზე დეკორატიულობა (ორნამენტი) ჩნდება. ორნამენტულობის თვალსაჩინო ნიმუშია ხახულის ხატი გელათიდან, რომელიც მსოფლიო ოქრომჭედლობის უნიკალური შედევრია (თარიღდება XII საუკუნის პირველი ნახევრით). თამარის დროს მოღვაწეობდნენ ოქრომქანდაკებლები – ბექა და ბეშქენ ოპიზრები. ბექა ოპიზრის შექმნილია წყაროსთავის სახარების ყდა და ანჩისხატის მოჭედილობა. ბეშქენ ოპიზრის ნახელავია ბერთის სახარების ყდა. ამ პერიოდის საქართველოში ოქრომჭედლობის რამდენიმე სტილის არსებობა შეიმჩნევა. გვაქვს მთელი რიგი სკოლებისა – ოპიზის, ტბეთის, გელათის. ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშები არაფრით ჩამოუვარდება ბიზანტიურს, ბევრი მათგანი კი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მსოფლიო მასშტაბითაც.

XI–XII სს–ში მნიშვნელოვანი წინსვლა ჩანს კედლის მხატვრობაშიც. შემორჩენილია დავით აღმაშენებლის მხატვრის, ე.წ. ,,მეფის მხატვრის თევდორეს“ მიერ მოხატული სვანეთის ტაძრების: იფარის ,,თარინგზელ“ (1096 წ.), კვირიკესა და ივლიტას ეკლესია (ლაგურკა)1111 წ. წმ. გიორგისა–ნაკიფარში (1130 წ.).

ამ ტაძართა მოხატულობა წარმოდგენას გვაძლევს XI-XII საუკუნეების ქართული მონუმენტური მხატვრობის სტილზე, ფერწერის მანერასა და იკონოგრაფიაზე.

მეფის მხატვრის თევდორეს მიერ შესრულებულ სამ მხატვრობასთან სიუჟეტთა შერჩევით, მათი განაწილებითა და საერთო მიდგომით მეტად ახლოს დგას სოფელ მაცხვარიშის (ლატალი-სვანეთი) მაცხოვრის ეკლესიის მოხატულობა, სადაც საინტერესო ჯგუფური სცენაა წარმოდგენილი-ფეოდალები ხმალს აბამენ ე.ი. მეფედ აკურთხებენ, დემეტრე პირველს, ანგელოზი კი გვირგვინს ადგამს თავზე. შედარებითი მხატვრულ-სტილისტური ანალიზის საფუძველზე დაშვებულია შესაძლებლობა თევდორეს მონაწილეობისა ამ ტაძრის მოხატვაში. საერთოდ, ამ დროის მონუმენტურ მხატვრობაში მეფის მხატვრის თევდორეს დიდი გავლენა შეიმჩნევა. რაც შეეხება მაცხვარიშის ეკლესიის მხატვრობას, მისი უშუალო შემოქმედია XII საუკუნის პირველი ნახევრის მხატვარი მიქაელ მაღლაკელი. ამას გვაუწყებს შემორჩენილი საკტიტორო წარწერა, სადაც გარკვევითაა ნათქვამი, რომ ეკლესია მოიხატა დემეტრე I-ის მეფობის მეთხუთმეტე წელს(ე.ი. 1140 წ) ,,ხელითა მიქაელ მაღლაკელისათა“.

ცალკეა აღსანიშნავი ატენის სიონის მოხატულობა, რომელიც XI საუკუნის მიწურულს განეკუთვნება და რომელმაც მეცნიერთა ყურადღება მიიპყრო. ალბათ, მართებულია მოსაზრება, რომ ატენის სიონის მოხატულობა სტილისტური თვალსაზრისით წინ უსწრებს იფარის მოხატულობას და რომ იგი ლიპარიტ ბაღვაშის მიერ ატენის ქვეყნის

დაკარგვის შემდგომაა შესრულებული. ასევე, სწორი უნდა იყოს დასკვნები, რომ ატენის სიონის მოხატულობაში დავით IV აღმაშენებელი პირველად აისახა მეფის რანგით. საკტიტორო რიგი რეალურად ასახავს შესაბამისი ხანის შინაპოლიტიკურ სიტუაციას. საერთოდ, ატენის სიონის მოხატულობა XI საუკუნის ქართული მონუმენტური მხატვრობის ერთი შესანიშნავი ძეგლთაგანია. კომპოზიციური დახვეწილობა და მეტყველი ნახატი, შინაგანად ძლიერი სახეები გვაფიქრებინებს, რომ ძეგლი დიდმა ხელოვანმა მოხატა.

XI-XII საუკუნეების საქართველოს მხატვრული ხელოვნებისათვის დამახასიათებელია მოხატულობის მკაცრი მონუმენტურობა. მოხატულობა ეთანხმება ინტერიერის ხუროთმოძღვრულ დანაწევრებას, დიდია ცალკე გამოსახულებათა ზომები, მონუმენტურია თვით სცენების აგებულებაც; პროპორციები სწორია, დახვეწილია სახის მოდელირება, სახეები ძლიერი და მეტყველია.

ამ დროის საქართველოში ფერწერის რამდენიმე მიმართულებას გამოყოფენ. ერთი ასეთია ტაო-კლარჯეთში ჩამოყალიბებული საზეიმო-მონუმენტური ხასიათის ძეგლები (ოთხთა ეკლესიის, ხახულის, ოშკის, ტბეთის ფრესკები). მისგან ხასიათით განსხვავებულია დავით გარეჯის მონასტრების მხატვრობა, სადაც ფართოდაა წარმოდგენილი დავით გარეჯელის ცხოვრების ციკლი.

XII-XIII სს-ის მონუმენტური მხატვრობის უმნიშვნელოვანეს ძეგლებში (ვარძია, ბეთანია, ყინწვისი, ბერთუბანი, ახტალა) კომპოზიციის მეტი დეკორატიულობა და დინამიკურობა შეიმჩნევა; ნახატები დახვეწილია, ფერები უმაღლესი ოსტატობითაა შეხამებული. აღსანიშნავია ისტორიულ პირთა, განსაკუთრებით, თამარის პორტრეტები. ვარძიის ეკლესიაში ჯერ კიდევ გაუთხოვარი თამარია გამოსახული, მის წინ მამაისი გიორგი III დგას. ბეთანიასა და ყინწვისში თამართან ერთად გიორგი III და ლაშა-გიორგია გამოსახული. ბეთანიაში მხოლოდ თამარია (მამის გარეშე) ლაშა-გიორგისთან ერთად. ამ პორტრეტების შინაარსი აშკარად განსაზღვრავს ქრონოლოგიასაც. ვარძიის პორტრეტი უადრესია, ბერთუბნისა კი ყველაზე გვიანდელია.

იმდროინდელ მხატვრობიდან განსაკუთრებული ადგილი უკავია ანგელოზის ფიგურას ყინწვისში (აღდგომის სცენა)

XI-XII სს-ის საქართველოს ხელოვნებაში თავისი ადგილი ჰქონდა ხელნაწერი წიგნების გაფორმებას, მინიატურებს. შემორჩა შუა საუკუნეების წიგნის მხატვრული გაფორმების ხელოვნების იშვიათი ნიმუშები. ამ ხანის ქართული წიგნებისათვის დამახასიათებელია ლამაზი კალიგრაფია, მრავალფეროვანი ორნამენტი და დახვეწილი მინიატურული მხატვრობა.

საქართველოში ძველთაგანვე ცნობილი იყო ოქროს, ვერცხლის, სპილენძის ნაკეთობათა მინანქრით შემკობა. ქართულ ხელოვნებაში, უმთავრესად, ტიხრული მინანქარია ცნობილი. XII საუკუნის საქართველოში ტიხრული მინანქრის ხელოვნება ისეთსავე მაღალ საფეხურზე იყო, როგორც ხუროთმოძღვრება და კედლის მხატვრობა. ამის ნათელ მაგალითად ხახულის ხატის მინანქრები იკმარებდა. ამჟამად შემორჩენილია ღვთისმშობლის სახე, ხელები და შარავანდის ნაწილი. საერთოდ, ქართული მინანქარი გამოირჩევა განსაკუთრებული ფერებით (ხორცისფერი, გამჭირვალე მწვანე) და კოლორიტის სიღრმით.

XI-XII საუკუნეების საქართველოში განვითარდა გამოყენებითი ხელოვნებაც. ამ დროის მაღალ დონეზე შესრულებული კერამიკული და ლითონის ჭურჭელი აშკარად

ადასტურებს ყოფა-ცხოვრებაში ღრმად შეჭრას. უთუოდ დიდი ადგილი ეკავა მხატვრული ქსოვილის (ოქროქსოვილი, ე. წ. ოქსინო) წარმოებასაც.

ერთიანი საქართველოს სამეფო კარი (განსაკუთრებით დავით აღმაშენებელი, თამარი) დიდ ყურადღებას უთმობდა განათლებისა და კულტურის წინსვლის საქმეს, პრაქტიკულ ნაბიჯებს დგამდა სხვადასხვა ქვეყანასთან კულტურულ-საგანმანათლებლო კონტაქტების დასამყარებლად. მაღალ დონეს მიაღწია ლიტერატურამ, ისტორიამ და ფილოსოფიამ.

ლიტერატურა. ამ ხანაში ქართული მწერლობა, როგორც სასულიერო , ისე საერო, მაღალ დონეს აღწევს. XI საუკუნიდან ფართოდ ხდება საქრისტიანო ლიტერატურის ქართულად გადმოღება-თარგმნა, იქმნება ორიგინალური შრომებიც. გიორგი ათონელმა ღვთისმეტყველების დარგის სამოცზე მეტი ნაშრომი თარგმნა. რიგი ადრე თარგმნილი წიგნებისა (მაგალითად, ,,დავითნი“, ,,სახარება“, ,, წიგნი სამოციქულო“) ხელახლა უთარგმნია, შეუჯერებია და გაუსწორებია ისინი ბერძნულ ტექსტებთან. შესანიშნავად თარგმა ,,ბიბლია“, მან ,,განანათლა ქართველთა ენაი და ქვეყანაი“. მის კალამს ეკუთვნის ორიგინალური ნაშრომი ,,ცხორება იოანესი და ეფთიმესი“.

ქართულ ორიგინალურ თუ თარგმნილ მწერლობას თავისი ამაგი დასდო ეფრემ მცირემ. მისი ორიგინალური შრომებიდან მნიშვნელოვანია ,,მოსახსენებელი მცირე სვიმეონისთვის ლოღოთეტისა“. ეფრემ მცირეს ნათარგმნი შრომებიდან აღსანისნავია : ,,ეკლესიასტე“, ,,ცხოვრება იოანე დამასკელისა“ და სხვ. ეფრემ მცირის მოწაფემ არსენ იყალთოელმა თარგმნა გიორგი ამარტოლის ,,ხრონოგრაფია“, ,,დიდი სჯულის კანონი“, ,,დოღმატიკონი“ და სხვა მრავალი საღვთისმეტყველო ნაწარმოები.

XII საუკუნის დასაწყისიდან ფართოდ ვითარდება ქართული საერო მწერლობა, შეიქმნა საერო პოეზია. ამ დროს დაიწერა პროზაული ნაწარმოებები-,,ამირანდარეჯანიანი“, ,,ვისრამიანი“ და სახოტბო პოემები-ჩახრუხაძის ,,თამარიანი“ და შავთელის ,,აბდულმესიანი“. ამ ხანაში შეიქმნა მსოფლიო ლიტერატურის შედევრი შოთა რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსანი“.

ისტორიოგრაფია, ფილოსოფია, სამართალი. XI-XII საუკუნეებში განვითარდა და მაღალ დონეზე ავიდა ისტორიული აზროვნება. პრობლემატიკის მიხედვით, ისტორიული მეცნიერება არ ჩამოუვარდებოდა ამ დროის მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ისტორიულ აზროვნებას. ქართულმა საისტორიო მწერლობამ კვლევის ობიექტად გაიხადა ხალხთა მონათესავეობის, ქართული ენის წარმომავლობის, ქართული დამწერლობისა და ქართული სახელწიფოს წარმოშობის პრობლემები. ჩნდება განმაზოგადებელი ისტორიული შრომების შექმნის ტენდენცია. ლეონტი მროველი, ჯუანშერი, სუმბატ დავითის ძე, ,,მატიანე ქართლისა“-ს ავტორი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ბასილ ეზოსმოძღვარი და ,,ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი-ქმნიან დიდ პრობლემურ ისტორიებს, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ წარსულისა თუ მათი თანამედროვეობის შესწავლის საქმეში. მათ თავიანთი შრომებით განუზომელი სამსახური გაუწიეს თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიას, საქართველოს ისტორიის შესწავლას.

XI საუკუნის ისტორიკოსის ლეონტი მროველის თხზულებაში ,,ცხოვრება ქართველთა და პირველთაგანა მამათა და ნათესავთა“ ცდილობს გადმოგვცეს ქართველ ტომთა წარმოშობის, ქართული ენისა და დამწერლობის წარმოშობის საკითხი, საქართველოში სამეფო ხელისუფლების წარმოშობა და სხვ. ლეონტი მროველმა საქართველოს ისტორია მეხუთე საუკუნემდე მოიყვანა.

ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერი თავის თხზულებით-,,ცხოვრება და მოქალაქეობა ვახტანგ გორგასალისა“-ფაქტობრივად აგრძელებს ლეონტი მროველის თხრობას.

ამავე ხანისაა სუმბატ დავითის ძე, რომელსაც ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიკოსს უწოდებენ მისი თხზულების ,,ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“-ს გამო. მემატიანე მეტად საინტერესოდ გადმოგვცემს ბაგრატიონთა საგვარეულო ისტორიას. ეს ის საგვარეულოა, რომელმაც სათავე დაუდო ერთიანი საქართველოს სამეფო დინასტიას.

ამასთან, საგულისხმოა ავტორის კონცეფცია ბაგრატიონთა მეფობის უპირატესობის შესახებ დიდგვაროვან აზნაურთა ხელისუფლებასთან შედარებით. ,,მატიანე ქართლისა“-ს ავტორი უცნობია. მან მოგვცა საქართველოს ისტორია VIII საუკუნიდან XI საუკუნის 80-იან წლებამდე. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულება _ ,,ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ _ სრულიად ახალი ეტაპია ქართულ ისტორიოგრაფიაში. მაღალი ეროვნული თვითშეგნების ავტორი მეფის მომხრეთა დასს ეკუთვნის და ძლიერი სამეფო ხელისუფლების დამცველია. დავით აღმაშენებლის მოღვაწეობას ისტორიკოსი გვიხატავს სხვადასხვა დროის მსოფლიო ისტორიული მოღვაწეებთან შედარების საფუძველზე.

ძველ ქართულ ისტორიოგრაფიაში უთუოდ დიდი ადგილი უკავია თამარის ორ ისტორიკოსს. ,,ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, როგორც ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევს, ,,არც ერთ სხვა საუკეთესო ქართულ საისტორიო ძეგლს არ ჩამოუვარდება. ამასთანავე, იგი დიდი ნდობის ღირსიც არის და ამის გამო ისტორიისთვის ძვირფას წყაროდ უნდა ჩაითვალოს“. თამარის მეორე ისტორია - ,,ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ შინაარსობრივად და კონცეფციურად XII საუკუნის ქართული საისტორიო მწერლობის დიდი წარმატების მაჩვენებელია.

ძველი საქართველოს საისტორიო აზროვნების უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ,,ქართლის ცხოვრების“ არსებობა, რომელიც ივანე ჯავახიშვილის მტკიცებით, თანდათან იქმნებოდა და პირველად კრებული სწორედ XII საუკუნეში შედგა. ,,ქართლის ცხოვრება“ იყო ფეოდალური სქართველოს ცივილიზაციის იდეურ-პოლიტიკური ბაზისი. ნ. ბერძენიშვილის მართებული შეფასებით : ,,ქართლის ცხოვრება” სახარებასა და ,,ვეფხისტყაოსანთან” ერთად იყო ფეოდალური საზოგადოების სამი წმიდა წიგნი.

XI-XII საუკუნეებში განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია ფილოსოფიურმა მეცნიერებამ. ფილოსოფიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საერო კულტურის განვითარებას და მის მსოფლმხედველობრივ საფუძვლებს.

XI-XII საუკუნეების საქართველოში განვითარებული იყო სამართლებრივი კულტურაც. იგი სავსებით შეესაბამებოდა სახელმწიფოებრიობის განვითარების მაღალ დონეს. ამ პერიოდის იურისპუდენცია საკმაოდ დახვეწილია, გამოკვეთილია სამართლის სისტემის ისეთი საკითხები, როგორიცაა: დანაშაულის სუბიექტური მხარე, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა, დამამტკიცებელ საბუთთა სისტემა, სასჯელთა სისტემის ჰუმანიზაცია, საჯარო საწყისების მიხედვით სასჯელთა შეფარდების პრაქტიკა.

მნიშვნელოვანი ამაგი დასდო სამართლის თეორიის განვითარებას ექვთიმე მთაწმინდელმა (955-1028 წწ.), რომელმაც XI საუკუნის დასაწყისში ბერძნულიდან თარგმნის საფუძველზე ქართული მასალის გამოყენებით შექმნა ,,მცირე სჯულის კანონი“, რომელიც იმდროინდელი ქართული საეკლესიო სამართლებრივი კულტურის ნათელი მაჩვენებელია. ნიშანდობლივია, რომ ,,მცირე სჯულის კანონს“ დართული აქვს ექვთიმე მთაწმინდელის შეხედულებები ბოროტმოქმედების შესახებ. აქ წარმოდგენილია მკვლელობის ზოგადი იურიდიული ცნებების განმარტებანი.

,,მცირე სჯულის კანონის“ მიხედვით, XI საუკუნის ქართულმა სამართალმა იცის ,,ბრალი“ ცნება. ამა თუ იმ პირის დამნაშავედ ცნობისთვის არ კმარა იმის დადგენა, თუ ვინ

ჩაიდინა დანაშაული, და არც ამა თუ იმ პირის აღიარება. აუცილებელია დადგინდეს ეჭვმიტანილის ,,ბრალი“ დანაშაულის ჩადენაში.

ნიშანდობლივია, რომ XI-XII საუკუნეების ქართული სამართლის საბუთებში არ არის დაკანონებული სისხლის აღება. ამ ხანის საქართველოში განვითარებული ჩანს პროცესუალური სამართალი. სასამართლოს შემადგენლობაში არიან საზოგადოების სხვადასხვა წრის წარმომადგენლები, მათ შორის ,,მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“.

აღსანიშნავია, რომ XI-XII საუკუნეებში, გიორგი III-მდე, ქართული კანონმდებლობა განსაკუთრებული ჰუმანურობით გამოირჩეოდა. მართლმსაჯულება გაურბოდა სიკვდილით დასჯას. გიორგი III, შექმნილი ვითარების გამო, იძულებულია შემოიღოს სიკვდილით დასჯა, თანაც ძალზედ შეზღუდული რაოდენობის დანაშაულისათვის (მეფისა და სახელმწიფოს ღალატი, მეფის პირადი-საჯარო შეურაცხყოფა და მეკობრეობა). მეფე თამარის დროს მართლმსაჯულებამ პრაქტიკულად აკრძალა სიკვდილით დასჯა (მეკობრეების გარდა) და სხვადასხვა დამასახიჩრებელი სასჯელი (დასაჭურისება, დაბრმავება).

სასჯელთა სისტემის ჰუმანურობის გასაღები იმდროინდელი ქართული კულტურის თავისებურებასა და მაღალ დონეში უნდა ვეძიოთ.სამართლის მეცნიერებაში, მართლმსაჯულებასა და კანონმდებლობის ჰუმანურობის პრინციპების გატარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს, როგორც ზემოთაც მივუთითეთ, ექვთიმე მთაწმინდელმა, გიორგი მთაწმინდელმა და ეფრემ მცირემ.

XI-XII საუკუნეების საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება, განათლება და კულტურა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამის სიმაღლეზე იდგა.

გიორგი IV (1210-1222) მონღოლთა პირველი გამოჩენა

1210 წელს (ზოგიერთი ცნობით 1207 ან 1213 წელს) საქართველოს სამეფო ტახტზე თამარის ძე გიორგი IV ავიდა. გიორგის მეორე სახელიც ჰქონდა _ ლაშა და ისტორიაშიც მეფე ორი სახელით შევიდა _ ლაშა-გიორგი. თამარის გარდაცვალებამ და საქართველოს სათავეში ახალგაზდა მეფის მოსვლამ საქართველოს ყმადნაფიც ქვეყნებს გადგომის სურვილი გაუჩინა. პირველმა განძამ გაბედა და ხარკის გადახდაზე უარი განაცხადა. საჭირო გახდა განძის კვლავ დამორჩილება. ეს რაც შეიძლება სწრაფად უნდა მომხდარიყო, რათა სხვა ყმადნაფიცებს განდგომილისთვის არ მიებაძად. ქართველთა ლაშქარი განძისკენ დაიძრა. ამირსპასალარ ივანე მხარგრძელის გადაწყვეტილებით განძას ალყა შემოარტყეს. ალყა გაჭიანურდა. ლაშა-გიორგის, როგორც ჩანს, ქალაქის სწრაფად აღება სურდა და აქტიური სამხედრო ოპერაციების მომხრე იყო. მეფემ 4 ათას კაცთან ერთად ქალაქის გარშემოვლა გადაწყვიტა. განძელებმა, როგორც კი დაინახეს, რომ მეფე მცირერიცხოვან ამალასთან ერთად მოსწყდა ლაშქრის ძირითად ნაწილს, გააღეს ქალაქის კარები და თავს დაესხნენ ქართველებს. Mმეფემ თავის რაზმთან ერთად უკან არ დაიხია, რიცხვმრავალ მტერს არ შეუშინდა. გაიმართა სასტიკი ბრძოლა. მალე ბრძოლაში ქართველთა მხედრობის ძირითადი ნაწილიც ჩაება. განძელები უკუიქცნენ და ქალაქში ჩაიკეტნენ. ბრძოლის შემდეგ დიდებულებმა საყვედურით მიმართეს მეფეს. მეფემ ,,უმეცრად ქმნულისათვის შენდობა ითხოვა”. ქალაქის ალყა გაგრძელდა. განძის ათაბაგი იძულებული გახდა კვლავ დამორჩილებოდა საქართველოს მეფეს და ხარკის გადახდა იკისრა.

განძასთნ მომხდარი ინციდენტი პირველი დაპირისპირება იყო მეფესა და დიდებულებს შორის. დაპირისპირება შემდგომში კიდევ უფრო გამწვავდა. ლაშა-გიორგი, როგორც ჩანს, საკმაოდ თავისუფალი პიროვნება იყო. მეფის აზრები, შეხედულებები და მისწრაფებები, გარკვეულწილად, მიუღებელი იყო იმდროინდელი საზოგადოებისათვის. ამას ისიც ემატებოდა, რომ ლაშა-გიორგი ერთპიროვნულად, თავისი დიდი წინაპრის დავით აღმაშენებლის მსგავსად აპირებდა ქვეყნის მართვას და დიდებულების ინტერესებს ნაკლებად ითვალისწინებდა. ჟამთააღმწერლის მიხედვით: ,,განიშორნა ვაზირნი სანატრელისა დედოფლისა და დედისა, წესთა მასწავლებელნი, შეიყვარნა თანამოჭასაკენი". ამ უკანასკნელებს მემატიანე რინდებს იწოდებს. მეცნიერთა შორის არ არის ერთიანი აზრი იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ იყვნენ ეს რინდები და რა საქმიანობას ეწეოდნენ. თავად სიტყვა რინდი სპარსულად ნიშნავს ლოთსა და შფოთისთავს. ჟამთააღმწერელთან მოხსენიებული რინდები, სავარაუდოა, რომ იყვნენ აღმოსავლეთში გავრცელებული ერთ-ერთი რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობის წევრები. დიდებულები მეფის პირად ცხოვრებაშიც ჩაერივნენ, როდესაც ლაშა-გიორგიმ ველისციხელი გლეხის ქალი შეიყვარა და თავის სასახლეში მოიყვანა. გიორგი IV-მ საუკუნოვანი ტრადიცია დაარღვია. ერთიანი საქართველოს მეფეებს მანამდე ცოლად მოყავდათ მეზობელი სახელმწიფოების სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლები. რაც მთავარია, ველისციხელი ქალი გათხოვილი იყო. ლაშა-გიორგის ის ძალიან უყვარდა და მის გაშვებას არ აპირებდა. მალე მათ ვაჟიც შეეძინა და მას დავითი დაარქვეს. დავითი უკანონო შვილად ითვლებოდა და ქართული სამართლის მიხედვით ის ვერასოდეს დაიკავებდა საქართველოს სამეფო ტახტს. რამდენიმე წლის შემდეგ დიდებულებმა და სასულიერო პირებმა ლაშა-გიორგის ,,წარგვარეს ქალი იგი, დედა დავითისი, და ქმარსავე მისსა მისცეს". მეფე ერთგული დარჩა თავისი სიყვარულისა და ცოლი აღარასდროს შეურთავს.

სამეფო კარზე არსებული დაპირისპირება, რა თქმა უნდა, ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზეც ახდენდა გავლენას. მიუხედავად ამისა, საქართველო მაინც ახლო აღმოსავლეთის უძლიერესი სახელმწიფო იყო. ჯვაროსნები დახმარებას თხოვდნენ გიორგი IV-ს და იმედის თვალით შეყურებდნენ საქართველოს.

1217 წელს დაიწყო V ჯვაროსნული ლაშქრობა. ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად სერიოზულად ემზადებოდნენ საქართველოში. ყველაფერი მონღოლთა გამოჩენამ ჩაშალა.

მონღოლები ცენტრალურ აზიაში ცხოვრობდნენ. 1206 წელს მდინარე ონონთან გამართულ ყურულთაიზე მონღოლთა ყაენად აირჩიეს თემუჩინი და მას ჩინგიზი უწოდეს. ჩინგიზ-ყაენმა დიდი სამხედრო-ადმინისტრაციული რეფორმა გაატარა. მან დაყო დუმნებად (თითოეულ ასეთ ერთეულს 10 000 მხედრის გამოყვანა ევალებოდა).პირადად ჩინგიზ-ყაენს 10 000-იანი გვარდია ყავდა. ჯარში სასტიკი დისციპლინა სუფევდა. მონღოლთა სამხედრო ტაქტიკის ძირითადი ელემენტები იყო: მოწინააღმდეგის წინასწარი დაზვერვა, მისი შეტყუება ხელსაყრელ ადგილას, სწრაფი მანევრირება და მოწინააღმდეგის სამხედრო ძალის ცალ-ცალკე განადგურება. ჩინგიზ-ყაენის მეთაურობით მონღოლებმა ძალიან მალე დაიპყრეს ციმბირი, ჩინეთი და შუა აზიაში გამოჩნდნენ. აქ მათ ხორეზმის სამეფოსთან მოუხდათ შეტაკება.

ხორეზმი განსაკუთრებით გაძლიერდა მუჰამედის დროს. მუჰამედის მეფობის პერიოდში ხორეზმის სახელმწიფო მოიცავდა: შუა აზიას, ჩრდილოეთ ირანს და ავღანეთის ნაწილს. ხორეზმის შაჰის ვასალი იყო აზერბაიჯანის ათაბაგი. მიუხედავად

იმისა, რომ მუჰამედს უზარმაზარი სამხედრო ძალა ემორჩილებოდა, მან ვერ მოახერხა სათანადო წინააღმდეგობა გაეწია მონღოლთათვის. ჩინგიზ-ყაენის ლაშქარმა გაანადგურა ხორეზმის სამეფო. მუჰამედი კასპიის ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე დაემალა მონღოლებს, სადაც გარდაიცვალა კიდეც. მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა მუჰამედის ვაჟი ჯალალ ად-დინი. ჩინგიზ-ყაენმა თავის საუკეთესო სარდლებს _ ჯებესა და სუბუდაის დაავალა მოეძებნათ გაქცეული მუჰამედი. მათ, ამავე დროს, უნდა დაეზვერათ ის ქვეყნები, რომელთა დაპყრობასაც მონღოლები მომავალში აპირებდნენ. სწორედ ჯებე და სუბუდაი მოადგნენ საქართველოს.

1220 წლის ზამთარში მონღოლები აზერბაიჯანში შევიდნენ. ათაბაგმა მათ დიდძალი საჩუქრები მიართვა, ხარკი გადაუხადა და დაუზავდა. მონღოლები საქართველოს სამეფოს ფარგლებში შემოიჭრენ. პირველივე ბრძოლა მათი გამრჯვებით დასრულდა, თუმცა მათ საქართველოს სიღრმეში შესვლა არ უცდიათ. მეორე ბრძოლისათვის ქართველები უკეთ მოემზადენ. ლაშა-გიორგიმ 90 000-იანი ჯარი შეკრიბა და მტერს შეებრძოლა. მონღოლებმა ჩვეული ხერხი იხმარეს _ ჯარი ორად გაყვეს. ერთი ნაწილი ქართველებს შეებრძოლა და მალე უკუიქცა. ქართველები გაქცეულ მონღოლებს დაედევნენ. სწორედ ამ დროს ბრძოლაში ჩაება მონღოლთა ჩასაფრებული ჯარი, რომელსაც არ ელოდნენ ქართველები და დამარცხდნენ. მონღოლთა გამარჯვებით დასრულდა მესამე ბრძოლაც. Aმის შემდეგ მათ დატოვეს საქართველო. ჩრდილოეთ კავკასიაში გადასულმა მონღოლებმა 1223 წელს მდინარე კალკასთან სასტიკად დაამარცხეს რუსთა და ყივჩაღთა გაერთიანებული ლაშქარი, შემდეგ ჩრდილოეთიდან შემოუარეს კასპიის ზღვას და უკან დაბრუნდნენ ჩინგიზ-ყაენთან.

მონღოლებთან ბრძოლაში განცდილი რამდენიმე მარცხი სერიოზული დარტყმა იყო საქართველოსათვის. უკვე Aძალიან დიდი ხანია ქართველებს დამარცხების სიმწარე არ განეცადა. როგორც ჩანს, საქართველოს სამხედრო მოღვაწეებმა ყოველივე მომხდარიდან სათანადო დასკვნები არ გამოიტანეს. შემდგომში განვითარებულმა მობლენებმა ცხადყო, რომ საქართველოს ძლიერების ხანა წარსულს ჩაბარდა.

მონღოლებთან ბრძოლაში დაიჭრა თავად ლაშა-გიორგიც. ვარაუდობენ, რომ სწორედ ბრძოლაში მიღებული ჭრილობისაგან გარდაიცვალა მეფე 1222 წელს.

გიორგი IV-ის გარდაცვალების შემდეგ ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე მისი და რუსუდანი იყო. უკვე მეორედ საქართველოს სამეფო ტახტი ქალმა დაიკავა.

ჯალალ ად-დინის ლაშქრობები. საქართველოს დაპყრობა მონღოლების მიერ

<u>რუსუდანის გამეფება. ბრძოლა ჯალალ ად-დინის წინააღმდეგ</u>. 1223 წელს რუსუდანი საქართველოს მეფე გახდა. თამარის შემდეგ ქალის გამეფება საქართველოსათვის აღარ იყო უცხო მოვლენა, მაგრამ თამარსა და რუსუდანს შორის იყო მნიშვნელოვანი განსხვავება. თამარს ამზადებდნენ მეფობისათვის. ის ექვსი წელი მამასთან ერთად მართავდა სახელმწიფოს და ქვეყნის მართვის ცოდნასა და გამოცდილებას ეუფლებოდა. რუსუდანი კი მეფობისთვის მზად არ იყო, რადგან, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ იგი ოდესმე ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე გახდებოდა. სამწუხაროდ, რუსუდანს არც პიროვნული თვისებები აღმოაჩნდა მეფობის შესაფერისი.

რუსუდანის მეფობის პირველი წლები თითქოს ცუდს არაფერს უქადდა ქვეყანას. ქართველები კვლავ ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად ემზადებოდნენ.

ქართველებს არც ამჯერად დასცალდათ. საქართველოს საზღვრებს ჯალალ ად-დინი მოადგა. მონღოლთაგან ლტოლვილმა ხორეზმის უკანასკნელი მეფის, მუჰამედის ძემ ირანში გამაგრება მოახერხა. მას სასტიკი ბრძოლა ჰქონდა მონღოლებთან. ჯალალ ად-დინი კარგი სარდალი, მაგრამ ცუდი დიპლომატი და პოლიტიკოსი აღმოჩნდა. მან ერთიანი ანტიმონღოლური კოალიციის შექმნის მაგივრად, შესაძლო მოკავშირეების რბევა და აწიოკება დაიწყო

1225 წელს გარნისის ბრძოლაში ქართველთა ლაშქარი ჯალალ ად-დინის ლაშქარს შეება. ბრძოლის დასაწყისშივე ჯალალ ად-დინს ქართველთაA მოწინავე ლაშქარი ეკვეთაA შალვა და ივანე ახალციხელების მეთაურობით. ბრძოლის ბედი ამირსპასალარ ივანე მხარგრძელის შეცდომამ გადაწყვიტა. მან დახმარება დროზე არ გაუგზავნა ახალციხელებს, როდესაც ეს უკანასკნელები ომში ჩაებნენ და ძირითადი ძალებისაგან დახმარებას ითხოვდნენ. ქართველთა მეწინავე ჯარი განადგურდა. ივანე ახალციხელი დაიღუპა (კლდიდან ასხლეტილმა ლოდმა იმსხვერპლა), შალვა კი ტყვედ ჩავარდა. ამის შემდეგ ამირსპასალარმა მთავარი ლაშქრის ომში ჩაბმა უაზრობად ჩათვალა. ჟამთააღმწერელის სიტყვით: ამირსპასალარს შურის გამო არ დაუხმარებია შალვა და ივანე ახალციხელებისათვის ჯარი. ამირსპასალარის ასეთი თვითნებობა მეფის სისუსტის ბრალია უდაოდ.

ჯალალ ად-დინმა დვინი აიღო და თბილისისაკენ დაიძრა. ამ დროს მას თან ყავდა დატყვევებული შალვა ახალციხელი, ეს უკანასკნელი მტრის ბანაკიდან წერილებს აგზავნიდა და ქართველებს მტრის გეგმებს ატყობინებდა, ამას ისიც დაემატა, რომ შალვამ უარი თქვა ისლამის მიღებაზე. ჯალალ ად-დინის ბრძანებით შალვა ახალციხელი სიკვდილით დასაჯეს. გადმოცემის თანახმად, სწორედ შალვა ახალციხელს ეძღვნება სიმღერა ,,შავლეგო''. რუსუდანმა დედაქალაქი დატოვა და ქუთაისში გადავიდა, ქალაქის დაცვა კი ბოცო და მემნა ბოცოსძეებს დაავალა. 1226 წელს შინაგამცემლობის შედეგად, ჯალალ ად-დინმა თბილისი აიღო. გამარჯვებულმა ხვარაზმელებმა სასტიკად ააოხრეს ქალაქი, გაჟლიტეს 100 000 კაცი.

თბილისის აღების შემდეგ ჯალალ ად-დინი სხვა ქვეყნების დასამორჩილებლად გაემართა. ამით ისარგებლეს ქართველებმა და მცირე ხნით თბილისი გაათავისუფლეს. ჯალალ ად-დინი კვლავ თბილისისკენ გაეშურა, ქართველებმა ქალაქი მიატოვეს.

ჯალალ ად-დინის წინააღმდეგ ქართველებმა ჩრდილო კავკასიიდან გადმოიყვანილი ყივჩაღების გამოყენება სცადეს. ბრძოლის წინ ჯალალ ად-დინმა მოახერხა ყივჩაღებთან მოლაპარაკება, მათ ბრძოლაში მონაწილეობა აღარ მიიღეს. ბოლნისთან ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ. ამ გამარჯვების მიუხედავად, ჯალალ ად-დინის მდგომარეობა არ იყო სანუგეშო.

მონღოლებმა კვლავ განაახლეს დაპყრობითი ომები. XIII საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში ისინი უკვე აზერბაიჯანში გამოჩნდნენ. ჯალალ ად-დინმა მონღოლებთან ბრძოლაში მარცხი იწვნია და დევნილობაში დაიღუპა.

<u>მონღოლების მიერ საქართველოს დაპყრობა.</u> ჯალალ ად-დინის შემოსევებმა საქართველო მნიშვნელოვნად დაასუსტა, რამაც საქმე გაუადვილა მონღოლებს.

რუსუდანი თბილისში ახალი დაბრუნებული იყო, როდესაც 1235 წელს მონღოლები საქართველოს შემოესივნენ. მეფემ თავი ისევ ქუთაისს შეაფარა, ქალაქის დაცვა კი ციხის თავს დაავალა, რომელმაც მეფის დანაბარები ზუსტად შეასრულა: მტრის გამოჩენისთანავე ქალაქი გადაწვა და მიატოვა. მონღოლების წინააღმდეგ ერთიანი გენერალური ბრძოლის გამართვა ვერ მოხერხდა, რადგან ყველა დიდებული თავიანთ ციხეებში ჩაიკეტა.

დიდებულთა ნაწილმა მონღოლებთან მოლაპარაკება გამართა. პირველი ამირსპასალარი ავაგ მხარგრძელი დაუზავდა. მის მაგალითს სხვებმაც მიბაძა. ერთადერთი ვინც წინააღმდეგობა გაუწია მტერს ყვარყვარე ჯაყელი იყო, მაგრამ მისი ბრძოლა თავიდანვე განწირული იყო. ყვარყვარემ მეფეს დაზავების ნებართვა სთხოვა და დასტურის მიღების შემდეგ ბრძოლა შეწყვიტა.

მონღოლებთან დაზავება გადაწყვიტა თვით რუსუდანმაც, მითუმეტეს, რომ დახმარების იმედი არსაიდან ჩანდა. ასეთ მძიმე ვითარებაში საქართველოს ელჩობა არსენ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის მეთაურობით ბათო ყაენთან გაემგზავრა. ბათო ჩინგიზ-ყაენის შვილიშვილი იყო. სწორედ ბათო სარდლობდა მონღოლებს 1236-1242 წლებში იმ დიდი დაპყრობითი ლაშქრობებისას, რომლის დროსაც მათ დაიმორჩილეს მთელი რუსეთი, შეიჭრენ პოლონეთსა და უნგრეთში. სწორედ მან შექმნა ,,ოქროს ურდო'', რომელიც მოიცავდა დასავლეთ ციმბირს, რუსეთის მთელ ევროპულ ნაწილს და ყირიმს.

1243 წელს საქართველომ ზავი დადო მონღოლებთან. საქართველო ოქროს ურდოს მფლობელობაში მოექცა. ზავის თანახმად სამეფო ხელისუფლება საქართველოში ხელუხლებელი რჩებოდა. მეფეს ტახტზე დიდი ყაენი ამტკიცებდა. ქართველებს უნდა გადაეხადად ხარკი _ 50 000 პერპერა. საჭიროების შემთხვევაში ქართველებს უნდა გამოეყვანათ სამხედრო ძალა.

მონღოლებთან ზავით ქართველებმა შეინარჩუნეს ქვეყნის ერთიანობა. რუსუდანი თბილისში დაბრუნდა და მისი ძე დავითი მონღოლთა ყაენთან გაგზავნა ყარაყორუმში.

1245 წელს რუსუდანი გარდაიცვალა.

<u>მონღოლთა სამხედრო-ადმინისტრაციული სისტემა საქართველოში.</u> მონღოლთა სახელმწიფოს შემადგენლობაში საქართველო შევიდა როგორც ცალკე სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული ''გურჯისტანის ვილაიეთის'' სახით. მონღოლებმა საქართველო ცნეს როგორც ამიერკავკასიის ქრისტიანული გაერთიანება, მას ჩამოაცალეს ვასალური მუსლიმანური ქვეყნები. ილხანთა სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე (1256 წ.) დაპყრობილ ვილაიეთებს, ირანს, აზერბაიჯანს, საქართველოს და სხვ. მართავდნენ დიდი ყაენის მიერ დადგენილი მოადგილეები. საქართველოს ვილაიეთს განაგებდა მონღოლი დიდმოხელე არღუნ აღა. ვასალური დამოკიდებულების საფუძველზე მონღოლები დაპყრობილი ქვეყნებისაგან ლაშქრობებში ერთგულ მონაწილეობასა და ხარკის უკლებლივ გადახდას მოითხოვდნენ. 1245 წელს რუსუდანი გარდაიცვალა. დადგა უმეფობის ხანა, რადგან ტახტის მემკვიდრე დავით რუსუდანის ძე ურდოდან ჯერ კიდევ დაბრუნებული არ იყო. მონღოლებმა ახლა კი ქვეყნის შინაური ადმინისტრაციაც მონღოლურ წესზე მოაწყვეს. ეს ახლად შემოღებული მმართველობა ადგილობრივ სამხედრო ხელისუფალთა (ერისმთავართა) სრულ ბატონობას ამყარებდა, რაც მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა ქართულ სახელმწიფოებრივ სისტემას. მონღოლებმა მთელი საქართველო რვა დუმნად (10 000) დაყვეს. დუმანი სამხედრო ერთეული იყო, ამასთან, მას სამოქალაქო ფუნქციაც ეკისრებოდა. ყველა სამოქალაქო ხელისუფალი დუმნის თავს, მხედართმთავარს ემორჩილებოდა. საქართველოს ვილაიეთს მეომარ-მოლაშქრენი ამ დუმნების მიხედვით უნდა გამოეყვანა და სამონღოლო ხარკიც ამ ფარგლებში შეეკრიბა. დუმნისთავებად ადგილობრივი მსხვილი მთავრები იქნენ დადგენილნი.

ქართული წყაროს თანახმად, პირველ დუმანში შედიოდა ჰერეთი, კახეთი და კამბეჩანი ვიდრე თეთრწყლამდე, შემახიის მთებამდე. ამ ოლქის დუმნისთავად ეგარსლან ბაკურციხელი დაინიშნა. მეორე დუმანს ქვემო ქართლი და მისი აღმოსავლეთი თემები (შამქორამდე) შეადგენდა. ის მსახურთუხუცესს ვარამ გაგელს დაუქვემდებარეს. მესამე

დუმნის მეთაური მანდატურთუხუცესი შანშე მხარგრძელი იყო. იგი განაგებდა სომხურ თემებს. მეოთხე დუმანს _ ქართლს (შიდა ქართლი) მეთაურობდა ქართლის ერისთავთერისთავი გრიგოლ სურამელი; _ მეხუთეს უფროსობდა გამრეკელ-თორელი, რომლის საგამგეოში ჯავახეთი შედიოდა. მეექვსე დუმანი აერთიანებდა დანარჩენ მესხეთს კარნუ ქალაქამდე (არზრუმამდე). მას მეთაურობდა ყვარყვარე ციხისჯვარელი-ჯაყელი. დასავლეთ საქართველო ორ, მეშვიდე და მერვე დუმნებად დაყვეს; მათ უფროსებად ცოტნე დადიანი და რაჭის ერისთავი დანიშნეს. თითოეული ქართული დუმანი მონღოლთა ნოინებს დაუქვემდებარეს. მართალია ამ დუმნებმა დიდხანს ვერ იარსებეს, მაგრამ მათ საკმაოდ შეარყიეს საქართველოს პოლიტიკური მთლიანობა.

<u>კოხტასთავის შეთქმულება.</u> მონღოლთა ბატონობა სულ უფრო მძიმდებოდა. ქართველები არ აპირებდნენ ასე ადვილად შეგუებოდნენ თავისუფლების დაკარგვას. ჯავახეთში კოხტასთავზე შეიკრიბნენ ეგარსლან ბაკურციხელი, ცოტნე დადიანი, ყვარყვარე ჯაყელი, სარგის თმოგველი და სხვები. მათი მიზანი დიდი აჯანყების მომზადება იყო. მონღოლებმა შეთქმულების შესახებ შეიტყვეს და მისი მონაწილეები დააპატიმრეს. გადარჩნენ მხოლოდ ცოტნე დადიანი და რაჭის ერისთავი კახაბერისძე, რომლებმაც ადრე დატოვეს შეკრება. დაპატიმრებულები ანისში წაიყვანეს. ხელ-ფეხი შეუკრეს, გააშიშვლეს, ტანზე თაფლი წაუსვეს და მზეზე დაყარეს. ცოტნე დადიანმა გაიგო ქართველი დიდებულების შეპყრობის ამბავი. ის ორ მსახურთან ერთად ანისში წავიდა. ჟამთააღმწერლის თანახმად,, ცოტნემ გაიძრო სამოსი, ხელები შეაკვრევინა თავის მსახურებს და დასჯილ ქართველებს შეუერთდა. ეს ამბავი გაიგო მონღოლთა ნოინმა. კითხვაზე, თუ რატომ მოიქცა ასე, ცოტნემ უპასუხა, რომ მისი მეგობრები უდანაშაულონი იყვნენ, და თუ მათი დასჯა იყო საჭირო, ისიც მათთან ერთად იმყოფებოდა შეკრებაზე და ისიც დასასჯელი ყოფილა. მემატიანეს თანახმად, ნოინს უთქვამს, რომ ქართველები კეთილი და მართალი ხალხი ყოფილა და გაათავისუფლა ყველა მათგანი. ცოტნეს თავდადებამ ქართველი ტყვეები სიკვდილისაგან იხსნა.

ტახტის მემკვიდრის მონღოლთა ყაენთან გამგზავრების შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ დავით რუსუდანის ძის შესახებ კვლავ არანაირი ცნობა არ ჰქონდათ ქართველებს. უმეფობის გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. დიდებულები უკვე ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ და ზოგიერთი მათგანი (ეგარსლან ბაკურციხელი) გამეფებასაც კი აპირებდა. ბაგრატიონთა საგვარეულოს ერთადერთი მემკვიდრე იყო ლაშა-გიორგის ვაჟი დავითი, რომელიც რუმის სასულთნოში იმყოფებოდა (რუმის სულთანზე იყო გათხოვილი რუსუდანის ასული თამარი). მართალია, ის უკანონო შვილად ითვლებოდა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჩანდა. ქართველმა დიდებულებმა დავით გიორგის ძე რუმიდან ჩამოიყვანეს და ისიც ყაენთან გაგზავნეს მეფედ დასამტკიცებლად.

საქართველო XIII ს-ის მეორე ნახევარში

<u>ორმეფობა. მონღოლური გადასახადების დაწესება.</u> მონღოლთა ყაენთან ჩასულ დავით გიორგის ძეს იქ დახვდა თავისი მამიდაშვილი დავით რუსუდანის ძე, რომელიც უკვე დიდი ხანია მეფედ დამტკიცებას ელოდა. ამრიგად ყაენის კარზე საქართველოს სამეფო ტახტის ორი პრეტენდენტი აღმოჩნდა. ორივეს თავისი არგუმენტები ჰქონდა და მეფედ დამტკიცებას ითხოვდა. ლაშა-გიორგის ძის მომხრეები ამბობდნენ, რომ მეფობა არ ეკუთვნოდა ქალის (რუსუდანის) შვილს და ტახტზე გიორგი IV-ის შვილი უნდა ასულიყო.

დავით რუსუდანის ძის მომხრეები ხაზს უსვამდნენ, რომ, მართალია, რუსუდანი ქალი იყო, მაგრამ ის კანონიერ მეფედ ითვლებოდა და მის შვილს ტახტი კანონიერად უნდა რგებოდა. დავით ლაშას ძე უკანონო შვილი იყო და, რადგან, ქართული სამართლით მას ტახტი არ ერგებოდა, მოითხოვეს დავის მონღოლური წესით გადაწყვეტა. მონღოლებს რომ ნდომებოდათ, ცხადია, შეძლებდნენ დავის გადაწყვეტას ერთ-ერთი მათგანის სასარგებლოდ, მაგრამ მათ საქართველოს დასუსტება აწყობდათ. იმ იმედით, რომ მათ შორის მუდმივი კონფლიქტი იქნებოდა, საქართველოს მეფედ ორივე დავითი დაამტკიცეს. ლაშა-გიორგის ძეს ,,ულუ'' ანუ უფროსი უწოდეს, რუსუდანის ძეს ,,ნარინი'' ანუ უმცროსი.

1247 წელს ორივე მეფე თბილისში ჩამოვიდა. მონღოლების იმედი არ გამართლდა, მათ შორის კონფლიქტი არ ყოფილა. დავით ულუ (1247-1270) და დავით ნარინი (1247-1293) ერთად მართავდნენ საქართველოს და გამოსცემდნენ ბრძანებებს.

მონღოლური გადასახადები და სამხედრო ბეგარა XIII ს. 50-იანიწლებიდან მონღოლთა სახელმწიფოში დიდი ქვეყნების დაპყრობები ძირითადად დამთავრდა. ამიტომაც რბევითა და ალაფით შეძენილმა შემოსავალმა იკლო, არსებული საგადასახადო სისტემა უკვე ვერ უზრუნველყოფდა უზომოდ დიდი მონღოლური იმპერიის შესახებ ხარჯებს. საჭირო შეიქნა გადასახადების გადიდება და სამხედრო ორგანიზაციის მოწესრიგება.

გადასახადებისა და სამხედრო ვალდებულებათა ახლად განსაზღვრისათვის საჭირო იყო მონღოლებს ზუსტად სცოდნოდათ, თუ დაპყრობილ ქვეყნებს რა რაოდენობის ჯარისა და გადასახადის გადახდა შეეძლოთ. ამ მიზნით მათ ყველა თავიანთი სამფლობელო აღწერეს. გადასახადების ზუსტი ნიხრების დადგენა ამასთანავე ითვალისწინებდა მოხელეთა თვითნებობის ალაგმვასაც, რომლებიც აღრიცხვის გარეშე ადვილად ახერხებდნენ გადასახადების მითვისებას, რითაც მონღოლთA ხაზინა ზარალდებოდა.

აღწერა მოხდა 1254 წელს მანგუ ყაენის დროს. მას ხელმძღვანელობდა არღუნ-აღა. მონღოლებს აუწერიათ ყველაფერი (ადამიანები, პირუტყვი, ხეები, მიწა, ყანა, ვენახი, ბაღი, ბოსტანი, სათევზაო ადგილები - მდინარეები, ტბები, ზღვები და სხვ.), რასაც კი შემოსავლის მოცემა შეეძლო, რაკი მონღოლებს ლაშქარში წასაყვანი მამაკაცები აინტერესებდათ, ამიტომ დავთარში შეუტანიათ 15-დან 60 წლამდე ასაკის მამაკაცებიც.

მონღოლებმა გადასახადი დაადვეს ყველას და ყველაფერს: სოფლის მეურნეებს, ვაჭრებს, ხელოსნებს, მეთევზეებს, მაღაროში მომუშავეთ, მიწას, მიწის ნაყოფს, ვაჭრობას და ა. შ. გაათავისუფლეს მხოლოდ მოხუცნი, ბავშვები, ქალები, ყოველგვარი რელიგიური კულტის მსახურნი, ეკლესია და მათი მიწა-წყალი (ესენი დავთარში არ შეიტანეს).

მთელს მონღოლთა იმპერიაში დადგენილია სულ 40-მდე სახეობის გადასახადები. ოღონდ, ყველა ერთდროულად მოქმედი არ იყო, მათ შორის მხოლოდ ძირითადი გადასახდელები წარმოადგენდნენ მუდმივს და საყოველთაოს. საქართველოს ვილაიეთში ამ პერიოდისათვის მოქმედებდა თოთხმეტზე მეტი სახეობის გადასახადი, რომელთაც საკუთარი სახელწოდებანი ჰქონდათ, ხოლო ქართველები მათ ზოგადად "სათათროს" უწოდებდნენ.

მ ა ლ ი ეწოდებოდა სოფლის მეურნეობაზე დადებულ გადასახადს. იგი აიღებოდა როგორც ნატურით, ისე ფულადად. მალი, ზოგიერთ შემთხვევაში დაახლოებით წლიური შემოსავლის 60 პროცენტს უდრიდა.

ყ ა ფ ჩ ე რ ი ქართულად "საბალახე" - აიღებოდა პირუტყვიდან - ყოველ ას სულზე ერთი სული (მომდევნო ხანებში მონღოლები ამ გადასახადს ფულადაც იღებდნენ 1 - 10 დინარამდე).

ულუფა განკუთვნილი იყო მონღოლი მოხელეების სასარგებლოდ. ძღვენს შეაწერდნენ სოფელს, რომელსაც ათასეულისთავისათვის (ნოინისათვის) თითო კრავი და თითო დრაჰკანი უნდა გაეღო, ხოლო ათიათასისთავისათვის (დუმანნოინისათვის) ერთი ცხვარი და ორი დრაჰკანი. სოფელში მოსული მონღოლი მოხელის ცხენის ქირაც, **"მიზდი"**, სოფელს უნდა გადაეხადა, დღეში სამი თეთრის რაოდენობით.

ტამღა (დამღა) იყო სავაჭრო გადასახადი 3 პროცენტის რაოდენობით, ე. ი. ყოველ 100 თეთრის ნასყიდობაზე აიღებოდა 3 თეთრი. ტამღას იხდიდნენ ვაჭრები და ხელოსნები.

საიამე ითვალისწინებდა როგორც შრომით, ისე ნატურით ვალდებულებას. მონღოლებმა გზებზე სადგურები (იამები) ააგეს, სადაც გზად მიმავალი მონღოლი მოხელის დასახვედრად და ღამის გასათევად ცხენები, საკვები და სხვა საჭირო რამ უნდა ყოფილიყო მომარაგებული. ამ იამებს ადგილობრივი გზის ახლომახლო მდებარე საიამე სოფლები ემსახურებოდნენ. მათ ეკისრებოდათ იამების შეკეთება-მშენებლობაც.

"ულაყი" საფოსტო ცხენის გადასახადი იყო.

"სატუზღუე" სოფლიდან აიღებოდა. ტუზღუ იკრიბებოდა მონღოლთა იმპერიის სხვა ქვეყნებშიც. როგორც დადგენილია, ეს გამოსაღები შეიცავდა ძვირფასეულ ქსოვილებს და ნივთებს. ადგილობრივი ფეოდალი ვალდებული იყო ასეთი ძვირფასი ნივთები, ანუ "თარღუ" (ტუზღუ) მიერთმია აქ მობრძანებული მაღალი თანამდებობის პირისათვის, ან ყაენის ოჯახის წევრისათვის. თარღუს ზომა განსაზღვრული არ იყო, იგი ფეოდალის სახელით მიერთმეოდა მონღოლ დიდებულს, მაგრამ საამისო თანხას ან თვით ნივთებს (თუ ამ ადგილას ვაჭარ-ხელოსნები ესახლნენ) იგი სოფლიდან კრეფდა.

ჰულაგუ ყაენმა (1256 - 1265) ჯარის შესანახად შემოიღო კიდევ ერთი ახალი გადასახადი **"თაღარად"** წოდებული. თაღარი ძირითადად საკვები პროდუქტებისაგან შედგებოდა. მას კრეფდნენ სოფლებში სალაშქროდ მიმავალი ან დაბანაკებული მონღოლი ჯარის გამოსაკვებად. თაღარის ზომა და რაოდენობა სხვადასხვა მხარეში სხვადასხვა იყო. კირაკოს განძაკეცის ცნობით, თაღარი შედგებოდა შვიდი სხვადასხვა გამოსაღებელისაგან. თითოეულ პიროვნებას, ვინც კი სახელმწიფო დავთარში იყო შეტანილი, უნდა გადაეხადა: 100 ლიტრა პური, 50 ლიტრა ღვინო, 2 ლიტრა ბრინჯი, 3 თოფრაკი, 2 თოკი, 1 ისარი, 1 ნალი, 1 თეთრი. ამას გარდა, მას უნდა გადაეხადა 20 პირუტყვზე 1 პირუტყვი და 20 თეთრი (ვერცხლის ფული). ეს გადასახადი მოქმედებდა უმთავრესად საქართველოს სომხურ თემებში.

ნემარი წარმოადგენდა არარეგულარულ გადასახადს, რომელსაც სახელმწიფო კრებდა მაშინ, როცა მას დამატებითი ხარჯი მოსდიოდა ან ფული ესაჭიროებოდა. ნემარის ზომა და შინაარსი იცვლებოდა.

თარხი იყო ვალდებულება, როცა სახელმწიფო დროდადრო (მაგ. მოუსავლიანობის პერიოდში და ა. შ.) აიძულებდა მოსახლეობას მიეყიდა დაბალ ფასებში ხაზინისათვის მეურნეობის პროდუქტები ("თარხი"), ანდა პირიქით, როცა სახელმწიფოს ფული ესაჭიროებოდა, იგი აიძულებდა ვაჭრებს, მოქალაქეებს, გლეხებს შეესყიდათ ხაზინიდან "თარხი" მაღალ ფასებში.

თერნაგირის ზუსტი შინაარსი დადგენილი არაა. ის იყო საქალაქო კარის ბაჟი.

საელჩო იყო მონღოლი მოხელის ელჩის საჭიროებისათვის დაწესებული ულაყისა და ულუფის გადასახადი. ელჩი იგზავნებოდა ურდოდან ადგილობრივ უმაღლეს ხელისუფალთან, მეფის კარზე, ნოინთან და ა. შ., სახელმწიფო მნიშვნელოვანი საქმეების მაცნედ. ელჩს და მის მახლობლებს მოგზაურობისას მომსახურებას უწევდა იამები, საიდანაც მათ ეძლეოდათ საჭირო რაოდენობის ულაყი და საგზაო ულუფა (სასმელ-

საჭმელი), ზოგჯერ ელჩი გზაზე თვითონ იღებდა უშუალოდ მოსახლეობისაგან ყოველივე ამას. ელჩთა მიმოსვლის სიხშირის გამო საელჩო ულუფისა და ულაყის გადასახადი მძიმედ აწვა დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობას.

ბაჟი იყო საგზაო გადასახადი, რომელიც აიღებოდა სავაჭრო-საქარავნო გზებზე, ქუჩებსა და ხიდებზე სავაჭრო საქონლის გასატარებლად. ბაჟის სიდიდე დამოკიდებული იყო სავაჭრო ტვირთის რაობასა და სიდიდეზე, ამასთან, სატრანსპორტო პირუტყვის რაოდენობასა და გვარობაზე (აქლემი, ვირი...). მთავარ გზებსა და ქალაქებში სპეციალურ მოხელეებს ევალებოდათ ბაჟის აღება მეკობრეებისაგან გზების დაცვა. საფიქრებელია, მათვე ჰქონდათ დაკისრებული მგზავრების დაზვერვა სახელმწიფოს უშიშროების მიზნით.

დაპყრობილ ქვეყნებში მონღოლებს შემოღებული ჰქონდათ შრომითი ვალდებულების კიდევ ერთი სახეობა - **"ბეგარა"**. ეს იყო გლეხებზე დაკისრებული იძულებითი მუშაობა სასახლეების, გზების, სარწყავი არხების მშენებლობებზე, ამასთან, მომთაბარე-მეჯოგეებისათვის ტყეების გაჩეხვა, პირუტყვისათვის საკვების მომზადება, მწყემსვა და ა. შ.

ყაზან ყაენის დროს (1295 - 1304), როცა ილხან-მონღოლებმა ისლამი სახელმწიფო რელიგიად აღიარეს, არამუსლიმან მოსახლეობაზე დააწესეს სულადი გადასახადი **ჯიზია**, რომელსაც იხდიდნენ ქრისტიანები, ებრაელები, ზოროასტროს მიმდევარნი და სხვ. ამიერკავკასიაში ჯიზია პირველად ამავე ყაზანმა შემოიღო 1295 წელს, მაგრამ 1296 წელსვე გააუქმა იმის შიშით, რომ იგი ადგილობრივ ქართველ და სომეხ ფეოდალებთან ურთიერთობას გაამწვავებდა.

მონღოლები ყველა ამ გადასახადს ძირითადად ფულის სახით კრებდნენ.

ყოველწლიურად მონღოლური **სამხედრო ბეგარა** საქართველოში შემდეგი ხასიათისა იყო _ "ცხრასა გლეხსა სრულსა მიწისა მქონებელსა ერთ ლაშქარს წარმავალი კაცი შეაგდიან. და გამოხდა სამეფოსაგან დავითისა ცხრა დუმანი მხედარი, თათართა თანა წარმავალი, რომელ არს ცხრა ბევრი".

ამგვარად, ცხრა სრულფუძიან გლეხის კომლს ერთი მოლაშქრე უნდა მიეცა. და ასე, ამ წესით საქართველოდან სულ ცხრა "ბევრი", ანუ 90 000 სული მეომარი შედგენილა, ე. ი. მონღოლური სამხედრო დანაყოფების მიხედვით ცხრა დუმანი. რასაკვირველია, საქართველოდან გამოსულ მოლაშქრეთა რიცხვი მარტო ამით არ ამოიწურებოდა. ამას უნდა დავუმატოთ მაღალი სოციალური წრის წარმომადგენლები (აზნაურები, დიდებულები...), რომელთათვის ლაშქრობა პროფესიულ-მემკვიდრეობითი ვალდებულება იყო. სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ დაპყრობილი ქვეყნებიდან მონღოლებს, როგორც წესი, ვარგის მამაკაცთა 20 პროცენტი გაჰყავდათ. ანალოგიური ვითარება უნდა ვიგულისხმოთ საქართველოს მიმართაც (სამხედრო აღწერის მონაცემების მიხედვით მაშინდელ საქართველოში შეიძლება 5 მილიონამდე მოსახლე ვივარაუდოთ). მონღოლურ სამხედრო ბეგარას **"ყალანი"** ეწოდებოდა. მონღოლები თითქმის სულ ომობდნენ და ქართველებსაც სულ უწევდათ მონაწილეობის მიღება მათ ომებში. ეს, რა თქმა, უნდა დიდ მსხვერპლს ითხოვდა. მონღოლთა ჯარში ხშირი იყო ეპიდემიები, რომლებიც საქართველოშიც ვრცელდებოდა (ერთ-ერთი ასეთი ეპიდემიის დროს გარდაიცვალა დავით ულუს უფროსი ძე გიორგი). ხშირად ქართველებს ძალიან ხანგრძლივად უხდებოდათ სამშობლოს დატოვება. ირანში, ალამუთის ციხისთვის წარმოებული ბრძოლის დროს, ქართველთა ლაშქარი შვიდი წლის მანძილზე იყო სამშობლოს მოწყვეტილი.

აღწერამ ახალი გადასახადები დააწესა, ძველი დააზუსტა ან გაადიდა და სამხედრო ბეგარაც გააფართოვა. ამ გადასახადებმა და სამხედრო ბეგარამ ქვეყანა "ააოხრა" და "გააღარიბა".

აჯანყებები მონღოლთა წინააღმდეგ. საქართველო ოქროს ურდოსა და ილხანებს შორის მიმდინარე ბრძოლის დროს. მონღოლთA ბატონობა ძალიან მძიმე იყო. დამპყრობთა წინააღმდეგ პირველად დავით VI ნარინი აჯანყდა. მან 1259 წელს დაამარცხა საქართველოში მყოფი მონღოლთა ჯარი, მაგრამ მიხვდა, რომ მონღოლების წინააღმდეგ ბრძოლას დიდხანს ვერ შეძლებდა და დასავლეთ საქართველოში გადავიდა. მეფემ ქუთაისს შეაფარა თავი. ამ დროიდან სამეფო რეალურად ორად გაიყო.

1260 წელს აჯანყდა დავით VII ულუ. დიდებულთაგან მეფეს მხარი მხოლოდ სარგის ჯაყელმა დაუჭირა. ასეთ ვითარებაში აჯანყების დაწყება უაზროდ ჩანდა, მაგრამ დავით ულუმ თავისი განზრახვა არ შეცვალა. გადამწყვეტი ბრძოლის დროს მონღოლების მხარეზე ბევრი ქართველი დიდებული იბრძოდა, რამაც გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. დამარცხებული მეფე და სარგის ჯაყელი შეეცადნენ სამცხეში გამაგრებულიყვნენ, მაგრამ ბოლოს მაინც დასავლეთ საქართველოს შეაფარეს თავი. ქუთაისში ორი მეფე აღმოჩნდა ერთდროულად. დასავლეთ საქართველოს დიდებულთა ნაწილმა დავით ულუს გამოყენება სცადა დავით ნარინის წინააღმდეგ. ამან უმძიმესი ვითარება შექმნა. დავით ულუმ მონღოლებთან შერიგება გადაწყვიტა და სარგისთან ერთად ჰულაგუ ყაენს ეახლა. ყაენის წინაშე მთელი დანაშაული თავის თავზე სარგის ჯაყელმა აიღო. მონჯოლები ალბათ სასტიკად დასჯიდნენ განდგომილებს, რომ არა იმ დროს არსებული ვითარება.

XIII ს-ის 50-იან წწ-ში ჩინგიზ-ყაენის შვილიშვილმა ჰულაგუმ თავი დამოუკიდებელ მმართველად გამოაცხადა. ჰულაგუს ილხანის (ტომის ხანის) ტიტული მიანიჭეს. ასე ჩამოყალიბდა ილხანთა სახელმწიფო, რომელიც მოიცავდა: ავღანეთს, თურქმენეთს, ირანს, სამხრეთ კავკასიას, ერაყს, მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილს. ილხანებს თავიდანმე სასტიკი ბრძოლა ჰქონდათ ოქროს ურდოსთან, რომელიც მოიცავდა დასავლეთ ციმბირს, რუსეთის ევროპულ ნაწილსა და ყირიმს. ამ ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოს. ილხანებს ჭირდებოდათ ქართველთა სამხედრო ძალა, რათა ჩაეკეტათ ჩრდილოეთიდან სამხრეთ კავკასიაში გადმოსასვლელები. მონღოლებს ასევე ჭირდებოდათ პიროვნება, ვინც ქართველთა ლაშქარს სათავეში ჩაუდგებოდა. ასეთი კი დავით ულუ შეიძლებოდა ყოფილიყო. ამიტომ შეიწყალა ჰულაგუმ იგი. ქართველებს კიდევ ერთი მძიმე მოვალეობა დაეკისრათ – სიბაზე დგომა (სიბა გამაგრებულ თავდაცვით ზღუდეს ერქვა). სიბაზე მდგომ ქართველთა ლაშქარს ოქროს ურდოს ჯარი უნდა შეეჩერებინა. ოქროს ურდოს ყაენმა ბერქამ ორჯერ დაამარცხა ჰულაგუ და 1265 წელს საქართველოში შემოიჭრა. საშინლად აოხრდა კახეთი და ჰერეთი, განადგურდა ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქები, როგორიც იყო ხორნაბუჯი და რუსთავი.

არც ქვეყნის შიგნით ჰქონდა დავით ულუს თანხმობა. ბასილი ჭყონდიდელ-უჯარმელის აგრარულმა პოლიტიკამ, რაც ნიშნავდა ეკლესიისთვის შეწირული მიწების უკან ,,გამოწირვას'', მეფეს ურთიერთობა გაუმწვავა ეკლესიასთან. განხეთქილება მოხდა მეფესა და სარგის ჯაყელს შორისაც (დიდებულთა ნაწილმა დაარწმუნა მეფე, რომ ყაენი სარგის ჯაყელის გამეფებას აპირებდა). დავითმა სარგისი დაატყვევა, რაც სამწუხაროდ დიდ შეცდომას წარმოადგენდა. ამ უკანასკნელმა დახმარება ყაენს თხოვა. ყაენის მოთხოვნით მეფე იძულებული გახდა სარგისი გაეთავისუფლებია. მეფისაგან თავის დაცვის მიზნით სამცხის მთავარმა მონღოლთა მფარველობა ითხოვა. ყაენმა სარგისის თხოვნა შეიწყნარა და სამცხე ,,ხასინჯუდ'' აქცია. ,,ხასინჯუს'' მიწები პირდაპირ ყაენს ემორჩილებოდა და

მასში ვერც ერთი სახელმწიფო მოხელე და გადასახადის ამკრეფი ვერ შედიოდა. 1266 წელს სამცხე ცალკე ერთეულად ჩამოყალიბდა, ის გახლდათ პირველი საშიში პრეცენდენტი, რომელიც ფაქტობრივად ერთიან ქართული მონარქიის დაშლას მოასწავებდა. საქართველო სამ ნაწილად გაიყო.

1270 წელს დავით VII ულუს სიბაზე დგომისას ეპიდემია შეეყარა და გარდაიცვალა.

დასავლეთ საქართველო და სამცხის სამთავრო XIII საუკუნის მეორე ნახევარში.

1259 წლის მონღოლთა წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების შემდეგ დავით ნარინი დასავლეთ საქართველოში გადავიდა. მას ოთხი ძე ჰყავდა: ვახტანგი, კონსტანტინე, მიქაელი და ალექსანდრე. დავით ნარინმა ილხანთა სახელმწიფოს მტრებთან დაიჭირა ახლო ურთიერთობა. უცხოური წყაროებიდან ირკვევა, რომ დავით ნარინი დაუკავშირდა ეგვიპტეს და 1264-1265 წლებში დესპანი გაუგზავნა ეგვიპტის სულთანს, ბეიბარს, ხოლო 1268 წელს კი - წერილი. გარდა ამისა, დავით ნარინი დაუკავშირდა საილხანოს მეორე მტერს - ოქროს ურდოს და მან თავშესაფარი მისცა, აბაღა ყაენის დამხობის მომწყობ, ოქროს ურდოს უფლისწულს, თეგუდარს. მემატიანე წერს, რომ თეგუდარის ლაშქრის გასამასპინძლებლად დავით ნარინს ერთ ჯერზე დაუკლავს: 500 ძროხა, 600 ცხენი, 2000 ცხვარი, ღორი; ღვინო კი განუზომლად დიდი დაუხარჯავთ. დავით ნარინს თავისთან შეუფარებია ილხანთა ყაენ აბაღადან დევნილი ღალღური.

ილხანთა ყაენი ცდილობდა დავით ნარინი შემოერიგებინა, მაგრამ, არაფერი რომ არ გამოუვიდა, მისი თავიდან მოცილება დაგეგმა.

ჟამთა აღმწერლის თანახმად, ღალღური დაკავშირებია რაჭის ერისთავ კახაბერ კახაბერის ძეს და ჩუმად აბაღა ყაენთან ჩასულან. მათ დავით ნარინის დატყვევების გეგმა შეუთავაზებიათ ყაენისთვის. ეს ქმედება იყო მოტივირებული, იმით, რომ ღალღურს ამით ყაენთან შერიგება სურდა, ხოლო კახაბერ კახაბერის ძე კი დავით ნარინთან დაპირისპირებული იყო. ეს აბაღას ინტერესებშიც შედიოდა და მათ 30 000 მონღოლი მეომარი გამოატანა. სავარაუდოდ, 1270-1278 წლებში აბაღამ ღალღურისა და კახაბერ კახაბერის ძის მეშვეობით ორი დიდი შეთქმულება მოუწყო დავით ნარინს. პირველად, კახაბერ კახაბერისძემ მონღოლთA 30 000 ჯარს მეგზურობა გაუწია და ისე გადმოიარეს მათ თრიალეთი, ლიხის მთა და ჩავიდნენ ქუთაისში, რომ ქართველებს ვერ გაუგიათ. ისინი მოულოდნელად დაესხნენ თავს ქუთაისში მყოფ დავით ნარინს, რომელიც ამ დროს აბანოში ყოფილა და ძლივს გადაურჩა სიკვდილს. ორი წლის შემდეგ ღალღურმა და კახაბერ კახაბერის ძემ კიდევ ერთი შეთქმულება მოუწყვეს დავით ნარინს, მაგრამ ამჯერადაც მოეცარად ხელი მათ. რაჭის ერისთავმა მოინანია თავისი ცოდვები და დავით ნარინმაც მიუტევა მას. მაგრამ, რაჭის ერისთავს მესამეჯერაც დაუპირებია მისთვის შეთქმულების მოწყობა. იგი ფარულად დაუკავშირდა აღმოსავლეთ საქართველოში მყოფ მონღოლ ნოინ ალიყანს, რომლისთვისაც მას ცოცხლად შეპყრობილი მეფე უნდა გადაეცა. მაგრამ, დავით ნარინი, როგორც ჩანს, ფრთხილობდა და შეიტყო შეთქმულების შესახებ. ამჯერად მან აღარ შეიწყალა რაჭის ერისთავი და იგი სასტიკად დასაჯა. მას თვალები ამოწვეს, ცალი ხელი და ცალი ფეხი მოჭრეს. მისი მემკვიდრეები კი საქართველოდან კონსტანტინოპოლში გადაასახლეს.

დავით ნარინი ცდილობდა ქართული გავლენა აღედგინა ტრაპიზონის სამეფოზე. მოგეხსენებათ, რომ ტრაპიზონის სამეფო უძველესი პერიოდიდანვე ქართველური

ტომებით, ლაზებით, იყო დასახლებული. იგი, როგორც სამეფო, ჩამოყალიბდა მეფე თამარის მოღვაწეობის პერიოდში 1204 წელს, მაშინ როდესაც ჯვაროსნებმა აიღეს კონსტანტინოპოლი. მაგრამ, ტრაპიზონის სამეფოზე პრეტენზიას აცხადებდა, ერთის მხრივ, ბიზანტიის იმპერია და მეორეს მხრივ, მონღოლები. მონღოლებს 1244 წელს ბრძოლა ჰქონდათ იკონიის სელჩუკიან სულთანთან და მის მოკავშირეებთან, რომელთა შორისაც იყო ტრაპიზონის სამეფოც. ამ ბრძოლაში მონღოლებმა გაიმარჯვეს და დამარცხებულებმა ხარკის გადახდა იკისრეს. ამგვარად, ტრაპიზონის სამეფოც მონღოლთა მოხარკედ და მისი გავლენის ქვეშ მყოფ სახელმწიფოდ იქცა. ამრიგად, საქართველოს ტრაპიზონის სამეფოში საკმაოდ დიდი კონკურენტები ჰყავდა. თუმც ქართველთა სასარგებლოდ მოქმედებდა ის, რომ ტრაპიზონის სამეფოში მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, დიდი უპირატესობით სჭარბობდა ბერძნულს და თანაც სასახლის კარი, უმეტესობა, ქართველებით იყო დაკომპლექტებული. გარდა ამისა ტრაპიზონის სამეფო დინასტია ნათესაურად იყო საქართველოსთან დაკავშირებული.

საქართველოს დასუსტების პერიოდში ბიზანტიის კეისარი შეეცადა თავისი გავლენა გაევრცელებინა ტრაპიზონის სამეფოზე. მან ტრაპიზონის მეფე იოანეს (1282-1297 წწ.) თავისი ასული შერთო ცოლად, რაც ბიზანტიურო გავლენის ზრდაზე მეტყველებდა, მაგრამ ბიზანტიელი ისტორიკოსი მიქაელ პანარეტოსის თანახმად, დავითYნარინი 1282 წელს ქართულ ჯართან ერთად შეიჭრა ტრაპიზონის სამეფოში და ქალაქ ტრაპიზონის გარდ,ა ყველა ტერიტორია აიღო. მაგრამ, ქალაქის აღება გადამწყვეტი მნიშვნელობისა იყო და მისი ვერაღება მთავარი მიზნის რეალიზებაში მთავარი ხელშემშლელი ფაქტორი გახდა. ამ ლაშქრობის წარუმატებლობაზე მეტყველებს ისიც, რომ მომდევნო, 1283 წელსაც, იოანე არის ტრაპიზონის მეფე. თუმც ქართველები არ ეგუებოდნენ შექმნილ სიტუაციას და იოანეს ნაცვლად მისი და, თეოდორა გაამეფეს ქართული ჯარის დახმარებით. თუმც იოანემ ისევ შეძლო ტახტის უკან დაბრუნება. იოანეს შემდეგ ტრაპიზონიში მეფე გახდა მისი ძე ალექსი (1297-1330 წწ.), რომელსაც სამცხის მთავარმა ბექამ თავისი ასული შერთო ცოლად. ეს ქართული დასის გამარჯვებას ნიშნავდა ტრაპიზონის სამეფოში. ჟამთა აღმწერლის თანახმად, ალექსის ბექასათვის გადაუცია ჭანეთი. ამავე პერიოდში იგი წარმატებით იგერიებდა თურქებს. ალექსის გარდაცვალების შემდეგ ტრაპიზონის სამეფოში გამეფდა მისი ძე ანდრონიკე (1330-1332 წწ.), რომელსაც საკუთარი პროქართული ორიენტაციის ძმები აზახულტუ და აღბუღა დაუხოცია. ანდრონეკეს შემდეგ ტახტზე ადის მისი რვა წლის ძე მანუელი, მაგრამ ბიზანტიის იმპერატორის დახმარებით მეფობა ალექსის ვაჟმა, ანუ მანუელის ბიძამ, ბასილმა, ჩაიგდო ხელში (1333-1340 წწ.). თუმც ბრძოლა ტრაპიზონის სამეფოში ქართული გავლენის აღდგენისათვის ამის შემდეგაც გრძელდებოდა.

იმის შემდეგ, რაც 1292 წელს გარდაიცვალა დავით ნარინის ძე ვახტანგი, რომელიც ,,ყოველი საქართველოს'' მეფედ იყო ნაკურთხი, მასზე დარდს მომდევნო, 1293 წელს, გადაყვა დავით ნარინიც.

რაც შეეხება სამცხის სამთავროს, აქ შედარებით უკეთესი პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა იყო. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ 1266 წელს სამცხე ხასინჯუთ გამოცხადდა და იგი განთავისუფლდა გადასახადებისაგან, თანაც უშუალოდ ყაენს ექვემდებარებოდა. პოლიტიკურმა სტაბილურობამ და ეკონომიკურმა აღმავლობამ გამოიწვია მოსახლეობის მომრავლება და ახალი სოფლების მშენებლობა. ადგილი ჰქონდა მიგრაციებსაც. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გადასახადებისაგან უაღრესად

შეწუხებული მოსახლეობა მასიურად გადმოდიოდა საცხოვრებლად სამცხეში. ამავე პერიოდში აქ ჩვენ სახეზე გვაქვს ეკლესია-მონასტრების ინტენსიური მშენებლობაც.

ამ აღმავლობის პარალელურად სამცხის მთავრები აღარ ემორჩილებოდნენ საქართველოს მეფეს და არც საერთო ქართულ საქმეში ღებულობდნენ მონაწილეობას. როდესაც დავით VIII-მ სამცხის მთავარი ბექა თბილისში დაიბარა საერთო ქართულ საქმეზე სასაუბროდ მემატიანის თქმით, ბექამ ,,არა ინება მოსლვად რამეთუ ფრიად განდიდებული იყო". პოლიტიკური დაქუცმაცებულობა უაღრესად აუარესებდა საქართველოს საერთო პოლიტიკურ სურათს.

სამცხის მთავრებმა შეძლეს, მოეგერიებინათ თურქული ტომების შემოსევები. ბექას მთავრობის პერიოდში სამცხეში შემოიჭრა თურქები, რომლებმაც მოაოხრეს ბასიანი და ტაო. ტაოს ერისთავმ, ზაზა ფანასკერტელმა, ვერ შეძლო მათვის წინააღმდეგობის გაწევა. თურქები საზამთროდ დაბანაკდნენ, ზაფხულში კი პარხლის მთებში დაიდეს ბინა. იქიდან მათ განზრახული ჰქონდათ სამცხისა და ქართლის დალაშქვრა. მაგრამ, ბექამ შეაგროვა 12 000 მეომარი და მტერს ვაშლოვანთან გაუმართა ბრძოლა. მან შეძლო თურქების დამარცხება და ისინი ქალაქ სპერიდანაც გამოდევნა.

XIII საუკუნის მიწურულს სამცხეში შეიქმნა კანონთა კრებული ,,წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველთავე", რომელიც ბექამ შეადგინა და მისმა შვილიშვილმა აღბუღამ გააგრძელა და შეავსო. ეს კანონთა კრებული მთელ საქართველოში მოქმედ სამართლის წიგნად იქცა. სწორედ ბექა ჯაყელის სახელს უკავშირდება ერთიანი საქართველოს ბრწყინვალე მეფის გიორგი V-ის აღზრდა.

დემეტრე II თავდადებული (1270-1289 წწ.)

დავით ულუს გარდაცვალების შემდეგ აბაღა ყაენმა მეფედ მისი 11 – 12 წლის ძე, დემეტრე II, დაამტკიცა (1270_@1289 წწ.). ყაენმა დემეტრეს მეურვედ სადუნ მანკაბერდელი დაუნიშნა. იგი იყო გასომხებული ქურთი, რომელიც შემდეგ გაქართველდა. თავიდან სადუნი ავაგ ათაბაგის ყმა, აზნაური, იყო. ავაგის გარდაცვალების შემდეგ ავაგის ერთადერთი ქალიშვილისა და მამულის მეურვედ სწორედ სადუნი დასახელდა.

სტეფანოზ ორბელიანის თანახმად, ახალ გამეფებულ დემეტრეს ტარსაიჭ ორბელი დაუნიშნავს ათაბაგად, მაგრამ შემდეგ ათაბაგობა და ამირსპასალარობა მოუვერაგებია სადუნ მანკაბერდელს. დემეტრეს მცირეწლოვნობის დროს სამეფოს ფაქტობრივად ათაბაგ-ამირსპასალარი სადუნი განაგებდა. სადუნი მხარგრძელების ყოფილი ყმა (აზნაური) გახლდათ, რომელმაც ყაენის წყალობითა და მედროვეობით დიდი ქონება მოივერაგა. მონღოლები სწორედ ასეთ მედროვეებს ეყრდნობოდნენ ხოლმე დაპყრობილ ქვეყნებში. მათი უპირველესი საქმიანობა ხომ ადგილობრივ ხელისუფლებაზე თვალთავლი გახლდათ. მემატიანის თქმით, ახალგაზრდა დემეტრე II ,,ხელთა შინა სადუნისთანა იყო, რამეთუ ფრიად განადიდა სადუნი ყაენმა". სადუნმა ისარგებლა მეფის მცირეწლოვანებით და თავდაპირველად ქალაქები - თელავი, ბელაქანი და სხვა მნიშვნელოვანი ტერიტორიები ჩაიგდო ხელში. სადუნი აგრძელებდა თავისი პრაგმატული ინტერესების სისრულეში მოყვანას და, როდესაც მონღოლებმა დემეტრე II-ს დიდი თანხის გადახდა მოსთხოვეს, სადუნმა გადაიხადა, სამაგიეროდ, მის ხელში გადავიდა დმანისი მისი მიმდებარე ტერიტორიებით. სადუნმა ისიც კი შეძლო, რომ პოლიტიკური და

ეკონომიკური თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი ციხე-ქალაქი კარი (ყარსი) მის ხელში გადასულიყო. ქალაქი, რომელიც შემდგომ თავის რეზიდენციად აქცია.

სადუნ მანკაბერდელმა ცოლად შეირთო ახალციხელის ასული და მზითვის სახით კარის მახლობლად მდებარე ქვეყანასაც დაეუფლა. ის ისე გაკადნიერდა, რომ მეფე დემეტრე II-ის და, თამარიც, კი შეირთო ცოლად. დემეტრეს და, თამარი, არღუნ ნოინის შვილზე იყო გათხოვილი, მაგრამ როგორც კი თამარი მისმა მეუღლემ თბილისში ჩამოიყვანა, ის მას გაექცა და მთიულეთს შეაფარა თავი, რადგან თამარს არ სურდა წარმართი მონღოლის ცოლობა. სადუნმა ისარგებლა შექმნილი სიტუაციით და მონღოლური წესების შეაბამისად იმოქმედა - თამარი გამოისყიდა მისი მეუღლისგან და იქორწინა მასზე. ამრიგად, იგი მეფის კანონიერი სიძე გახდა, ყოველივე ეს კი მიმართული იყო მის მიერ უკანონოდ მიტაცებული, მოვერაგებული ქონების ლეგიმიტაციისკენ. მეფე დიმიტრი II-ს სამი ცოლი ჰყავდა. მისი პირველი ცოლი გახლდათ ტრაპიზონის კეისრის ასული, რომლისგანაც მას ოთხი ვაჟი - დავითი, ვახტანგი, მანუელი, ლაშა და ერთი ქალი - რუსუდანი ჰყოლია. მეფის მეორე ცოლი იყო მონღოლი - სოლღარი, რომლისგანაც მას ეყოლა ორი ვაჟი - ბაადურ და იადგარ და ქალი - ჯიგდახათუნი. რაც შეხება მის მესამე ცოლს, ის ბექა ჯაყელის ასული, ნათელა, გახლდათ, რომელთანაც მას ერთადერთი ვაჟი - გიორგი შეეძინა, რომელიც ისტორიაში შევიდა "ბრწყინვალეს" სახელწოდებით.

სწორედ ამ სამი ცოლის შერთვის გამო დემეტრე გაკიცხა კათალიკოსმა ნიკოლოზმა და რომ ვერა შეასმინა რა ბოლოს, გადადგა კიდეც.

ამის შემდეგ მთაწმინდიდან საქართველოში ჩამოვიდა ბასილი მონაზონი, რომელიც ასევე წინ აღუდგა მეფის სამცოლიანობას, როგორც უაღრესად არაქრისტიანულ საქციელს. არც მას უსმინა მეფემ. ჟამთა აღმწერლის თანახმად, მაშინ ბასილმა უწინასწარმეტყველა დემეტრე II-ს მეფობის დაკარგვა და სიკვდილი, როგორც ღვთის რისხვა ჩადენილი. დემეტრეს მაშინ მოუწია მეფობა, როდესაც საქართველოს საზღვრები აღარ იყო უკვე გადაჭიმული ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. საქართველოს აღმოსავლეთი საზღვარი შემახიის მთამდე აღწევდა და მდინარე თეთრი წყლის სანაპიროს მიუყვებოდა. სამცხე არ შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში, ის ხასინჯუთ იყო გამოცხადებული. რაც შეეხება სამხრეთ საზღვარს, იგი ძველებურად მოიცავდა ანისს და კარს. მეფე დემეტრე ცდილობდა, კვლავ ძველ საზღვრებში აღმდგარიყო საქართველო და ამისათვის იგი იყენებდა ქვეყნის ირგვლივ შექმნილ საერთაშორისო ვითარებას.

1273 წელს მონღოლებმა ხელახლად ჩაატარეს აღწერა და გამოირკვა, რომ ზოგადად და მათ შორის საქართველოშიც უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა იყო შექმნილი. ჟამთა აღმწერლის თქმით. სწორედ ამიტომაც, მემატიანის თქმით, დემეტრე II ხშირად დადიოდა გადაცმული და გასცემდა მოწყალებას. ასეთ მძიმე დღეში ჩავარდნილ ქვეყანას 1275 წლის 10-13 აპრილს საშინელი მიწისძვრა დაატყდა თავს.

მეფე დიმიტრის ძალიან ხშირად უხდებოდა სიბაზე დგომა და მონღოლთA გაუთავებელ ლაშქრობებში მონაწილეობის მიღება, რომელიც ხელს უშლიდა მას ქვეყნის მართვაში. ილხანთა საყაენოს განსაკუთრებით ინტენსიური ბრძოლები ჰქონდათ ეგვიპტესთან. ეს ბრძოლა 1259 წელს დაიწყო და 1277 წლამდე გრძელდებოდა. ამ გაუთავებლ დაპირისპირებაში ქართველთA სისხლიც იღვრებოდა. 1277 წლის 16 აპრილს მონღოლები დამარცხდნენ ეგვიპტელებთან, ანლოგიურად დამთავრდა 1280 წელს მონღოლთA მიერ წარმოებული სამხედრო კამპანიაც, რომელშიც 30 000 ქართველი, სომეხი და ბერძები ღებულობდა მონაწილეობას. ამ ბრძოლებში მრავალი ქართველი დაიღუპა. 1281 წელს, ეგვიპტელთა წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში, თვით დიმიტრი II

ღებულობდა მონაწილეობას 5 000 ქართველთა ჯარით და ქალაქ ამასიასთან ის ძლივს გადაურჩა სიკვდილს. ბრძოლის ველზე კი ქართველთა უმეტესობა დაეცა. ჟამთა აღმწერელი დეტალურად გადმოგვცემს ამ მოვლენებს.

ამას ემატებოდა ისიც, რომ ქართველები ილხანთა და ოქროს ურდოს შორის ატეხილ ომებშიც ხშირად იღუპებოდნენ. დემეტრე II 1289 წლამდე, ფაქტიურად, გარდაცვალებამდე, ებრძოდა ოქროს ურდოს. მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ საილხანოში უფლისწულებსა და ნოინებს შორის აჯანყებებმაც იმატა და სამწუხაროდ, ქართველებიც იძულებით იყვნენ ჩათრეულნი ამაში.

1281 წელს სადუნ მანკაბერდელი გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების შემდეგ მეფემ სადუნის ძეს, ხუტლუ-ბუღას, ათაბაგობა ჩამოართვა და მხოლოდ ამირსპასალარობა უბოძა, რითაც გადაიმტერა იგი.

1282 წელს გარდაიცვალა ყაენი აბაღა. იმავე წელს ტახტზე ავიდა მისი ძმა, თეგუდარი, რომელმაც მაჰმადიანური სახელი - აჰმედი დაირქვა. იმის გამო, რომ იგი სუსტი მმართველი იყო, მას 1284 წელს ნოინთა უმრავლესობა განუდგა. მათ ყაენად სურდათ აწ უკვე გარდაცვლილი აბაღას ძე არღუნი. მათ შორის ატეხილ ბრძოლებში დიმიტრი ჯერ აჰმადის მხარეზე იბრძოდა, ხოლო შემდეგ მან არღუნის მხარე დაიჭირა. ამ დაპირისპირებიდან არღუნი გამოვიდა გამარჯვებული და მან დიმიტრი მეფეს დაუმტკიცა ,,ყოველი სამეფო მისი და სახლი ავაგ ათაბაგისა".

როგორც უკვე აღინიშნა, რილხანთა სამეფოში ხშირი იყო შინაომები და მათში დემეტრე II-ც აღმოჩნდა ჩართული. ამ შეთქმულებას პირველი ემირი ბუღა ამზადებდა არღუნ ყაენის წინააღმდეგ. ბუღას გაუგეს და იგი სიკვდილით დასაჯეს. რაც შეეხება ბუღას სიკვდილით დასჯის თარიღს, მასთან დაკავშირებით, ქართულ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული. ჰამდალლაჰ ყაზვიის თანახმად, ეს მოხდა 687 წელს, ჰიჯრით ზილიჰაჯეს თვეში, რომელიც აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის თანახმად, უნდა იყოს ჩვენი წელთაღრიცხვის 1288 წლის 27 დეკემბერი _ 1289 წლის 26 იანვარი.

ყაენთან დაიბარეს დემეტრეც. დარბაზს დემტრესთვის ურჩევია, არ წასულიყო ყაენთან და მთიულეთში გახიზნულიყო ან დასავლეთ საქართველოში წასულიყო, მაგრამ დემეტრე II-ის აზრით, ყაენი ამით ძალიან განრისხდებოდა და შურს იძიებდა საქართველოს მოსახლეობაზე. Aამიტომ, მეფემ გადადგა ნაბიჯი, რომლითაც ის იმთავითვე განწირული იყო.

მეფე გაემგზავრა საილხანოში მთავრების, კათალიკოს აბრამის და მის პატარა შვილთან, დავითთან, ერთად. მას მრავალი საჩუქარიც წაუღია, რათა ყაენი თავის ერთგულებაში დაერწმუნებინა. მაგრამ, ყაენის რეზიდენციასთან მიახლოების შემდეგ დიმიტრი დააპატიმრეს და ქონება ჩამოართვეს. შემდეგ კი მას მთელი მისი ქონება ააღწერინეს და თბილისში საგანგებოდ გამოგზავნილი მოხელის მეშვეობით ყველაფერი წაართვეს.

არღუნ ყაენი თავს იკავებდა დემეტრეს სიკვდილით დასჯისაგან, რადგან მონღოლთათვის სასურველი მეფობის კანდიდატი არავინ ჩანდა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა სადუნის ძე ხუტლუ-ბუღა და არღუნს მეფედ დავით ნარინის ძის - ვახტანგის კანდიდატურა შესთავაზა. მემატიანის თქმით: ,,და მოიწია ხუტლუბუღა ლიხთ-იმერით, და მოაჴსენა ყაენსა, ვითარმედ დავით მეფე წარმოვლენს ძესა თჳსსა მსახურებად შენდა და სპათა აფხაზთასა, რათა გმსახურებდენ ხოლო ვითარ ცნა ყაენმან, კუალად დააპატიმრა მეფე დიმიტრი. და ვითარ გარდაჴდა ორი დღე, კუალად შეიპყრეს მეფე და ძე მისი მცირე ყრმა დავით ცალკე, და წარჰყვა თანა მღდელ-მონაზონი გაზრდილი მისი მოსე. და

არგნითა სცეს მეფესა, და ეგონა ყოველთა არღარა მოკლვა მეფისა, რამეთუ წესად აქუნდთ, რა არგნითა სციან, არღა მოაკუდინიან. გარნა არა დამშჳდნა გულისწყრომა მისი. წარიყვანეს სამსჯავროსა სახლსა, რომელსა დივანხანად უწოდდეს, და ჰკითხვიდეს, უკეთუ თანაეწამა განზრახვასა ჩინქიშან-ბუღასსა, და ვერა ბრალი პოვეს. და წარვიდა ვინმე ნოინი ყაენს წინაშე, რათა არა მოკუდინოს მეფე, და ვერ აღასრულა სათხოველი მისი. და მოიწივნეს ათორმეტნი მჴედარნი ყაენისნი, რათა წარიყვანონ და სიკუდილსა მისცენ". დემეტრეს ბედი გადაწყდა და 1289 წლის 12 მარტს, შაბათ დღეს, დილის 10 საათზე მეფეს თავი მოკვეთეს. დემეტრე თავდადებული ეკლესიამ წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ 12 (25) მარტი დააწესა. იგივე ბედი ელოდა მის შვილს დავითსაც. მაგრამ, მეფის კარის მღვდელმა, მოსემ, სთხოვა მონღოლთA მხედარმთავარ ტოღაჩარ ნოინს და მისი შუამდგომლობით დავითი გადაურჩა სიკვდილს.

დემეტრე II-ის თავმოკვეთილ გვამს სპეციალურად დარაჯობდნენ მონღოლი დარაჯები, რათა ის ქართველებს არ წაეღოთ საქართველოში. მიუხედავად ამისა, აბრაამ კათალიკოსმა და მოსე მღვდელმა მაინც მოახერხეს დემეტრე II თავდადებულის გვამის ფარულად საქართველოში გადასვენება. მათ მოსყიდულ კაცებს მოუპარავთ მეფის ცხედარი და საქართველოში გადმოუტანიათ. დემეტრე II თავდადებული დიდი პატივით დაკრძალეს სვეტიცხოვლის ტაძარში. არც არღუნ ყაენს და არც ხუტლუ-ბუღას შერჩა დემეტრე II-ის სიკვდილით დასჯა. ყაენი არღუნი კეთრით დაავადდა და 1291 წელს იგი ნოინებმა მოკლეს. იმავე წელს ახალი ყაენი ავიდა საილხანოს ტახტზე სახელად ქეღათუ (1291-1295 წწ.). რაშიდ ედ-დინის ცნობით, სწორედ ყაენ ქეღათუმ 1293 წლის აგვისტოში სიკვდილით დასაჯა ხუტლუ-ბუღა.

Dდემეტე II-ის ნაცვალ ყაენმა მეფედ დავით ნარინის ძე ვახტანგი (1289-1292) დაამტკიცა. აჯანყებისა და დასავლეთ საქართველოში გადასვლის შემდეგ დავით ნარინს არავითარი ურთიერთობა აღარ ჰქონდა ილხანებთან, პირიქით, მას დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა ილხანთა მტრებთან-ოქროს ურდოსა და ეგვიპტის მამლუქებთან. დავით ნარინი ცდილობდა აღედგინა საქართველოს გავლენა ტრაპიზონის იმპერიაზე და სამხედრო დახმარებასაც კი უწევდა პროქართულ დაჯგუფებას. თავისი ძის გამეფება თბილისში დავით ნარინისათვის მისაღები იყო. ვახტანგ II-მ ცოტა ხანს იმეფა და 1292 წელს გარდაიცვალა. ერთი წლის შემდეგ, 1293 წელს გარდაიცვალა დავით VI ნარინი და დასავლეთ საქართველოში ხანგრძლივი დაპირისპირება დაიწყო მის შვილებს შორის.

ვახტანგ II-ის გარდაცვალების შემდეგ თბილისში ყაენმა მეფედ დემეტრე II-ის უფროსი ძე დავით VIII (1293-1311) დაამტკიცა. 1295 წელს ილხანთა სახელმწიფოს სათავეში დიდი ბრძოლის შემდეგ ყაზან ყაენი მოექცა. მან თავისთან დაიბარა დავით VIII, რადგან იგი ყაენის მოწინააღმდეგეს ემხრობოდა. მემატიანის თანახმად მეფისთვის წასვლა ურჩევიათ თავის ვაზირებს, მაგრამ მეფეს შეშინებია, თავი მთიულეთს, კერძოდ კი ჟინვანს შეუფარებია. ყაენმა ჯარი გამოგზავნა, მაგრამ დავითი ვერ შეიპყრეს. მონღოლებმა 1299 წელს თბილისში მეფედ დავით VIII-ის უმცროსი ძმა გიორგი V დასვეს. გიორგი მამის სიკვდილით დასჯის შემდეგ ბაბუასთან, ბექა ჯაყელთან იზრდებოდა სამცხეში. ბექა ჯაყელი ენერგიული მმართველი და ჭკვიანი პოლიტიკოსი იყო. ბექა ჯაყელის დროს შედგა სამართლის წიგნი, რომელმაც საბოლოო სახე ბექას შვილისშვილის აღბუღას დროს მიიღო. ამ პერიოდში აშენდა ტაძრები საფარასა და ზარზმაში.

გიორგი V ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო, ქვეყნის მართვა რეალურად არ შეეძლო, ამიტომ მონღოლებმა დავით VIII-ეს მეორე ძმა, ვახტანგ III (1302-1308) დაუპირისპირეს.

ლექცია #VII

საქართველო XIV-XV საუკუნეებში

საქარველო გიორგი V ბრწყინვალის მმართველობის პერიოდში

<u>მონღოლთა ბატონობის შედეგები</u>. მონღოლთა ბატონობამ უმძიმესი შედეგები მოუტანა საქართველოს. დაირღვა ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობა. XIV ს-ის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოში მონღოლებმა ერთმანეთს დაუპირისპირეს დემეტრე II-ის შვილები: დავით VIII, გიორგი V, ვახტანგ III. დასავლეთ საქართველოში დავით ნარინის გარდაცვალების შემდეგ მისი ძე, კონსტანტინე, გამეფდა (1293-1327 წწ.), მაგრამ რაჭა-ლეჩხუმსა და არგვეთს კონსტანტინეს ძმა, მიქაელი, დაეუფლა. დამოუკიდებელი მმართველი იყო ბექა ჯაყელი, რომელსაც ემორჩილებოდა ქვეყანა ტაშისკარიდან ბასიანამდე.

აჯანყებებმა დამპყრობელთა წინააღმდეგ, მონღოლთა ლაშქრობებში მონაწილეობამ, საქართველოში გავრცელებულმა ეპიდემიებმა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი შეიწირა. ქვეყანა იქცა ოქროს ურდოსა და ილხანთა შორის ბრძოლის ასპარეზად. განადგურდა სოფლები და ქალაქები. დაეცა ვაჭრობა და ხელოსნობა. ოქროს ურდოს შიშით საქართველოს სამხრეთ საზღვრებთან გამავალი დიდი სავაჭრო გზა კიდევ უფრო სამხრეთით გადაიტანეს, რამაც უარყოფითად იმოქმედა საქართველოს ეკონომიკაზე. ქვეყნის ძირითად მწარმოებელ ფენას _ გლეხობას, მეურნეობის გაჩანაგების გამო გადასახადების გადახდის საშუალება აღარ ჰქონდა. გახშირდა ხიზნობა _ გლეხების აყრა და სხვა ადგილებში დასახლება. მიწის დიდი ნაწილი დაუმუშავებელი რჩებოდა. შედარებით უკეთესი მდგომარეობა იყო სამცხეში. მოიშალა წესრიგი ქვეყნის შიგნით, რაც განსაკუთრებით იგრძნობოდა მთიან რეგიონებში. შექმნილი სიტუაციით ისარგებლეს ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებმა ოსებმა და ქართლში შემოსევები დაიწყეს. მათ ქალაქ გორის დაკავებაც კი მოახერხეს. სოციალურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა მთელი მონღოლთა სახელმწიფოც მოიცვა. ამიტომაც თვითონ მონღოლებიც დაინტერესებულნი იყვნენ გაეერთიანებინათ საქართველო, რათა ქართველთა სამხედრო პოტენციალი დასუსტებული ყაენებისათვის მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა კვლავაც. თანაც თუ საქართველო შედარებით მოძლიერდებოდა, ის უფრო ეფექტურად შეძლებდა გადასახადების გადახდას მათთვის. 1316 წლის 16 დეკემბერს გარდაიცვალა ოლჯაითუ ყაენი (1304-1317 წწ.). მომდევნო 1317 წელს კი ყაენი გახდა ოლჯაითუს ძე აბუსაიდი (1317-1335 წწ.).

სწორედ ამავე პერიოდში, 1318 წელს, სამეფო ტახტი უკვე მეორედ და საბოლოოდ დემეტრე II-ის უმცროსმა ძემ, გიორგი V-მ, დაიკავა. ჟამთა აღმწერლის გადმოცემის თანახმად: ,,....და იწყო მთიებმან აღმოჭრვებად, ხოლო მე ენა ვერ მიძრავს საკჯრველისა და საშინელისა თქმად''.

<u>გიორგი V ბრწყინვალე (1299, 1318-1346 წწ.)</u>. გიორგი V-ის ტახტზე ასვლის დროს ქვეყანაში ძალიან მძიმე მდგომარეობა იყო. გიორგი კარგად ხედავდა, რომ მონღოლების ძლიერება წარსულს ჩაბარდა და ადრე თუ გვიან მათი სახელმწიფო დაინგრეოდა. საჭირო იყო ფრთხილი და გონიერი პოლიტიკა, რათა საქართველო ამ ნანგრევებში არ მოყოლილიყო. მეფემ შეცვალა დამოკიდებულება ილხანებთან: უარი თქვა აჯანყებებზე და ილხანთა

ყაენებთან დაპირისპირებაზე. გიორგი V-მ კარგი ურთიერთობა დაამყარა ილხანთა საყაენოს პირველ ემირთან ჩობანთან. ეს უკანასკნელი ყაენ აბუ-საიდის მცირეწლოვნების გამო, ფაქტობრივად, თვითონ მართავდა ქვეყანას. გიორგიმ ჩობანისაგან უფლება მიიღო თავად აეკრიფა ხარკი. ეს მნიშნელოვანი მოვლენა იყო. გადასახადის ამკრეფი მოხელეები ყოველთვის თვითნებობდნენ და დაწესებულზე მეტ გადასახადს ითხოვდნენ. ზოგჯერ ერთსა და იმავე გადასახადს რამდენჯერმე კრეფდნენ.

თავის მხრივ, ჩობან ნოინიც დაინტერესებული იყო გიორგი V-სთან კარგი ურთიერთობით. ეს საშუალებას მისცემდა მას, ქართველთა სამხედრო ძალის იმედი ჰქონოდა.

ქართველი დიდებულები მეფის მტკიცე ხელისუფლებას დიდი ხანია გადაჩვეულნი იყვნენ. გიორგის რადიკალური ღონისძიებების გატარება მოუხდა. მეფის ბრძანებით კახეთში, ცივის მთაზე, სადარბაზოდ მოიწვიეს ურჩი ერისთავები, შეიპყრეს ისინი და სიკვდილით დასაჯეს.

დავით ნარინის გარდაცვალების შემდეგ გამეფდა მისი ძე - კონსტანტინე (1293-1327 წწ.). მას, ფაქტიურად, არ ემორჩილებოდა მისი ძმა, მიქაელი, რომელმაც დაიკავა რაჭა და არგვეთი. კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ გამეფდა მისი ძმა - მიქაელი (1327-1329 წწ.). როდესაც ისიც გარდაიცვალა, გიორგი V გადავიდა დასავლეთ საქართველოში, დაიკავა ქუთაისი და დიდებულები დაიმორჩილა. მიქაელის ძეს, ბაგრატს, შორაპნის ერისთავობა უბოძა. 1334 წელს მეფემ სამხრეთ საქართველოს შემოერთებაც მოახერხა, მან თვითონ დანიშნა სამცხის გარდაცვლილი მთავრის სარგისის ძე, ყუარყვარე. და ქვეყნის ერთიანობა აღადგინა. მემატიანის თქმით, გიორგიმ ,,იმიერნი და ამიერნი გაიერთა და დაიპყრა ნებისაებრ ყოველი საქართველო”. XIV საუკუნის 30-იან წლებში გიორგი V-ის ინიციატივით მოიწვიეს საეკლესიო კრება. ცხადია, რომ მონღოლთა ბატონობის შემდეგ წესრიგის აღდგენა ეკლესიაშიც იყო საჭირო.

1327 წელს ყაენ აბუ-საიდის ბრძანებით მოკლეს ემირი ჩობანი, რის შედეგაც საილხანოში შინააშლილობა დაიწყო. ამით ისარგებლა გიორგი V-მ და მონღოლთა ჯარი საქართველოდან გააძევა, რითაც დასრულდა მონღოლთა თითქმის ასწლოვანი ბატონობა საქართველოში. ამრიგად, მეფე გიორგის მონღოლთა ნაწილი დიპლომატიური ხერხებით, ზოგიც კი ომით გაუძევებია. 1335 წელს აბუსაიდი ყაენის გარდაცვალების შემდეგ ილხანთა ისედაც დასუსტებული სახელმწიფო დაიშალა ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ პოლიტიკურ ერთეულებად, რომლებიც დროგამოშვებით არღვევდნენ ხოლმე ქართველთა ყურადღებას.

შეიძლება ითქვას, რომ მონღოლთა ბატონობას საქართველომ XIV საუკუნის 30-იან წლებში, დააღწია თავი, მაგრამ 1357 წლამდე საქართველოში ვრცელდებოდა ილხანურ-მუსლიმანური ზედწერილობითა და იკონოგრაფიით მოჭრილი მონეტები, ამიტომაც ისტორიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველო ფორმალურად მაინც ემორჩილებოდა მონღოლებს. ჩვენი აზრით, მთავარია, ქვეყანამ მოიპოვოს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა (რელიგიური დამოუკიდებლობა საქართველოს მონღოლთა ბატონობის პერიოდშიც ჰქონდა შენარჩუნებული, მონღოლები არ ერეოდნენ ქვეყნის რელიგიურ საკითხებში), დაიცვას თავისი სუვერენიტეტი საგარეო ასპარეზზე და დამოუკიდებლად გადაწყვიტოს საშინაო საკითხები. ეს ყოველივე გიორგი V ბრწყინვალის დროს მიღწეულ იყო, ამიტომაც ვფიქრობთ, საკამათო აქ არაფერია და გიორგი V არის ის მეფე, რომელმაც შეძლო საქართველოსთვის მოეტანა დამოუკიდებლობა და გაეერთიანებინა იგი.

საქართველოს საზღვრებში ისევ შედიოდა ტერიტორიები ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. ოსები, დურძუკ-ღუნძნირანი, ყარაბაღი და შარვანი ლეკებითურთ ,,კუალად მოხარკედ აქუნდა და არღარა იყო წინააღმდეგი და ურჩი მისი". სამხრეთ-დასავლეთით საზღვარი აღწევდა ,,ვიდრე სპერამდე და ზღვამდე", ხოლო სომხეთი ისევ საქართველოს შემადგენლობაში დარჩა.

<u>საგარეო პოლიტიკა.</u> საშინაო მდგომარეობის მოწესრიგების შემდეგ გიორგი V-ეს აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარების საშუალება მიეცა. წყაროებიდან ირკვევა, რომ მას უზარმაზარი საერთაშორისო ავტორიტეტი ჰქონდა. XIV საუკუნის არაბი ისტორიკოსი ელ-ომარის ცნობით, ეგვიპტის სულთანი თავის წერილებში გიორგი V-ს ახასიათებდა, როგორც დიდ პოლიტიკოსს "... სახელოვანი და სახელგანთქმული... მეფეთა შორის საუკეთესო, ქართველთა სულთანი, ზღვათა და სრუტეთა განძის მფლობელი... რუმისა და ირანის ქვეყანათა მფარველი, იონიელთა მემკვიდრე" და სხვ. "იერუსალიმის წმინდა ადგილების განმადიდებელი, ქრისტიანთა საყრდენი, რომის პაპის მეშველი, მუსლიმანთა მეგობარი... სულთანთა უგულითადესი მეგობარი".

გიორგი ბრწყინვალემ დიდი ყურადღება მიაქცია იერუსალიმის ქართული სავანეების დაბრუნების საკითხს. XIII საუკუნეში იერუსალიმში მდებარე ქართული ეკლესია-მონასტრები მუსლიმებმა მიიტაცეს. 1305 თუ 1310 წელს დავით VIII-მ შეძლო ჯვრის მონასტრის უკან დაბრუნება. მაგრამ, ქრისტეს ,,აღდგომის" ეკლესია, ,,გოლგოთა" და ქრისტეს ,,საფლავი" (ერთი სამონასტრო კომპლექსი) ისევ მუსლიმებს რჩებოდათ. მეფე გიორგიმ 1316 და 1320 წლებში ელჩები გაგზავნა ეგვიპტის სულთანთან. იგი სთხოვდა ქართული სავანეების დაბრუნებას და ქრისტიანთათვის შეურაცხმყოფელი წესების გაუქმებას. ამ წესის თანახმად, ქრიასტიან მლოცველებს, დამცირების მიზნით, ორივე ფეხი ცხენის ერთ მხარეს უნდა ჰქონოდათ. თუკი სულთანი ამას გააუქმებდა, გიორგი საჭიროების შემთხვევაში სამხედრო დახმარებას ჰპირდებოდა.

მეფე გიორგის ეგვიპტის სულთანთან ელჩად გაუგზავნია პიპა ქსნის ერისთავის შვილი, დეკანოზი იოანე ბანდაისძე. სულთანმა მოუსმინა რა ელჩს გამოსცა ბრძანება, რომლითაც ქართველებს გადეცათ ქრისტეს წმინდა საფლავის ტაძრის გასაღები. ქართველი მლოცველები გაუთავისუფლებიათ გადასახადებისაგან და უფლება მიუციათ, ცხენზე ამხედრებული, გაშლილი დროშებით შესულიყვნენ იერუსალიმში. ეგვიპტის სულთანმა ქართველებს უფლება მისცა, აეშენებინათ ახალი ტაძარი იერუსალიმში. გაუქმდა ქრისტიანთა შეურაცხმყოფელი წესიც.

გიორგი V-ს ურთიერთობა ჰქონდა საფრანგეთის მეფე ფილიპე VI-თან ვალუასთან, რომელსაც სირია-პალესტინის ,,წმინდა მიწის" გამოსახსნელად 30 000 მეომრით დახმარებას ჰპირდებოდა. გირგი V-ს მიმოწერა და დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა რომის პაპ იოანე XXII-სთან. რომის პაპი თავის ეპისტოლეებში თბილისს ახასიათებს, როგორც ,,მეტად შესანიშნავ, ხალხმრავალ, მარჯვე და მდიდარ ქალაქს".

საქართველო აქტიურად ჩაერია ტრაპიზონის იმპერიის საქმეებში. გიორგი ბრწყინვალე ცდილობდა საქართველოს თავისი გავლენა აღედგინა ტრაპიზონში. 1332 წელს ტრაპიზონში ბიზანტიელებმა ბასილი გაამეფეს, რომელსაც ცოლად შერთეს ბიზანტიის იმპერატორის, ანდრონიკე III-ის, უკანონო შვილი - ირინე. მიქაელ პანარეტოსის ცნობით, ბასილი კეისარს აუჯანყდა მისი და, ანახუტლუ, რომელიც წავიდა ,,ლაზიკაში" და 1341 წელს ქართველთა ჯარის დახმარებით გარდაცვლილი ბასილის მეუღლე - ირინე ტახტიდან ჩამოაგდო და თავად გამეფდა. ბიზანტიელებმა ანახუტლუს

ტახტიდან ჩამოგდება დააპირეს და მას დაუპირისპირეს მიხეილ კომნენოსი, მაგრამ ქართველთაA ჯარის დახმარებით მოხერხდა ბიზანტიელთა შემოტევის მოგერიება. ანახუტლუს მეფობამ დიდხანს არ გასტანა და იგი ერთი წლის შემდეგ, 1342 წლის სექტემბერში, პრობიზანტიურმა დასმა ტახტიდან ჩამოაგდო და მის მომხრეებთან ერთად სიკვდილით დასაჯა. კეისარი გახდა იოანე მიხეილს ძე კომნენოსი. მიუხედავად ამისა გიორგი ბრწყინვალე მაინც აგრძელებდა ბრძოლას ტრაპიზონისთვის...

გიორგი ბრწყინვალეს დაპირისპირება ჰქონდა აზერბაიჯანთან. 1338 წელს საქართველოში შემოიჭრა აზერბაიჯანის მმართველი - ჩობანიდი ჰასან ქუჩუკი (ჰასან მცირე). იგი მალე დაუპირისპირდა არაბეთის ერაყის მეფეს ჰასან ბუზურგს (ჰასან დიდი, ჯალაირიდი,). სამწუხაროდ, მათ შორის ომის არენად იქცა აზერბაიჯანი და საქართველოს განაპირა მხარეები. ჰასან ქუჩუკს ებრძოდა მისი ძმაც, მელიქ აშრაფიც, რომელიც ერთ-ერთი დამარცხების დროს, 1342 წელს, საქართველოში შემოიჭრა. 1343 წელს ჰასან ქუჩუკი მისმა ცოლმა მოკლა, მაგრამ მისი ადგილი მისმა ძმამ, მელიქ აშრაფმა დაიკავა. ამის შემდეგ საქართველოსა და აზერბაიჯანის ურთიერთობები შედარებით გამოსწორდა.

გიორგი V-მ აღადგინა ქვეყნის ერთიანობა, განამტკიცა სამეფო ხელისუფლება და იხსნა ქვეყანა სრული განადგურებისაგან, ამის გამო მას მადლიერმა შთამომავლობამ ,,ბრწყინვალე" უწოდა. გიორგი ბრწყინვალე გარდაიცვალა 1346 წელს. სამეფო ტახტზე ავიდა მისი ძე დავით IX (1346_1360 წწ.)

<u>ღონისძიებანი ცენტრალური მმართველობის აღდგენა-მოწესრიგებისათვის</u>. გიორგი V-ის ბრძანებით და აქტიური მონაწილეობით შეიქმნა სამართლის წიგნი _ **,,ძეგლის დადება",** რომელიც განკუთვნილი იყო ქართლის მთიანეთისთვის. სამართლის ძეგლის შექმნა განაპირობა მთაში არსებულმა მძიმე ვითარებამ. ეს ვითარება ასახულია, აგრეთვე, XIV საუკუნის ბოლოს შედგენილ წყაროში ,,ძეგლი ერისთავთა", რომელიც ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანესაც წარმოადგენს.

ქართლის მთიანეთში შექმნილი მძიმე ვითარება მრავალმა მიზეზმა განაპირობა. პირველ რიგში აღსანიშნავია მაინც ფსიქოლოგიური მომენტი, მთიელთა ამაყი ბუნება, რომელსაც უჭირს დაემორჩილოს ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებას. მთას თავისი დაუწერელი კანონები ჰქონდა, ჰყავდა ხევისბერები, ძალაში იყო სისხლის აღების წესი და სხვ. ამრიგად, ეს იყო ერთგვარი ჩაკეტილი თვითრეგულირებადი სისტემა, რომელიც მტკივნეულად აღიქვამდა ფეოდალიზმის დანერგვას და სუბორდინაციას. მეორეს მხრივ, მთიელთა სწრაფვას პოლიტიკური განკერძოებულობისაკენ ერთგვარად უბიძგა დავით VIII-ს, რომელიც არაგვის ხეობას აფარებდა თავს და თვითონაც არ ემორჩილებოდა მონღოლთა მიერ დანიშნულ საქართველოს ახალ მეფეს. ვითარება ისე გამწვავდა, რომ ქსნისა და არაგვის მთიელები კლავდნენ მეფის მოხელეებს (ერისთავებს, გამგებლებს, გადასახადის ამკრეფთ). თავს არიდებდნენ სალაშქრო ვალდებულებებსაც. გახშირდა თემებსა და სოფლებს შორის დაპირისპირებანი. მთაში გავრცელებული იყო მეკობრეობა, პირუტყვის პარვა და ზოგადად ქურდობა.

მეფე გიორგიმ თვითონ შემოიარა მთელი ეს ტერიტორია და ადგილზე შეისწავლა ვითარება. შემდეგ მოიწვია დიდი დარბაზი, რომელსაც ესწრებოდნენ ამ ხეობათა ხევისბერებიც და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღო მან კანონი, რომელსაც უნდა დაერეგულირებინა ვითარება აქ. ამ კანონის მოქმედების არეალი ვრცელდებოდა ხადა-ცხაოტიდან დარიალამდე, მოიცავდა ლომისის წმიდა გიორგის ეკლესიასა და მის საყმო-საგლეხო ტერიტორიას და ცხრაძმისხევს. საერთო ჯამში ეს კანონი ვრცელდებოდა არაგვისა (,მთიულეთი და ხევი) და ქსნის (ცხრაძმა) ხეობებზე.

,,ძეგლის დადება" ითვალისწინებდა მთის საზოგადოების ყოფასაც. თითოეული დანაშაულისათვის დადგინდა სასჯელის ფორმა. ამ კანონის თანახმად, სისხლის ანაზღაურება შეიძლებოდა ფულით, უძრავი ქონებით და დამნაშავის ,,გაძევებით". კანონი ითვალისწინებდა მთიელთა ამაყ ხასიათს და დაზარალებულს აღელვების ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის გამო სასჯელი არ დაედებოდა.

ამავე პერიოდში შეიქმნა სახელმწიფო სამართლის მნიშვნელოვანი ძეგლი _ **,,ხელმწიფის კარის გარიგება".** მასში განსაზღვრული იყო სამეფო კარის ეტიკეტი, სხვადასხვა მოხელეთა უფლებები და მოვალეობები. ,,კარის გარიგებაში" წარმოდგენილი მართვა-გამგეობის სისტემა სრულყოფილია მაღალი ფეოდალური წყობილების შესაფერისად. მეფესთან _ "ხელმწიფის კარზე" _ მოქმედებს "დარბაზი" და ვაზირთა საბჭო _ "სავაზირო", დადგენილია დარბაზობისა და ვაზირობის წესები, საზეიმო "დარბაზობა" _ "პუროზის" ცერემონიალი, უცხოელთა მიღების ეტიკეტი და სხვ.; მეფე გამოყვანილია ერთმმათრველად, რომლის ბრძანებას ემორჩილება ყველა და ყველაფერი; სახელმწიფოს ერთმმართველობა ადგილებზე წარმოდგენილია საქვეყნოდ გამრიგე მოხელეების _ "ერისთავების" სახით, ხოლო საეკლესიო მმართველობა "ეპისკოპოსების" სახით ორი კათალიკოსით სათავეში (დასავლეთ საქართველოს _ "აფხაზთა კათალიკოსი" და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი _ ,,ქართლის კათალიკოსი"). მთლიანად სახელმწიფო დაქვემდებარებულია დარგობრივ-საუწყებო ცენტრალური მოხელეების გამგებლობას: არის სულ ექვსი ასეთი მოხელე-ვაზირი, მოქმედებენ სხვა არავაზირი ცენტრალური მოხელენიც. ,,კარის გარიგებაში" დაწვრილებითაა აღნუსხული ამ დიდმოხელე-ვაზირთა უფლება-მოვალეობანი და მათი ხელქვეითი დაწესებულებანი. ცალკეა გამოყოფილი უმაღლესი განათლების დარგი, რომელიც არც ერთ უწყებას არ ექვემდებარება: გელათის უმაღლეს სკოლას (აკადემიას) მოძღვართ-მოძღვრის მეთაურობით მინიჭებული აქვს ავტონომია.

მწიგნობართუხუცესი. როგორც აღვნიშნეთ, ვაზირთა შორის უპირველეს სახელოს მწიგნობართუხუცესობა წარმოადგენდა. იგი პირველად X-XI ს. ძეგლებშია მოხსენიებული.

გასარკვევია, როდის გაერითანდა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის სახელო. 1110 წელს გიორგი მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდელად მოიხსენიება. რუის ურბნისის ძეგლისწერაში გიორგიზე წერია: `ღირსისა მეუფისა ჩვენისა და თუალად წმიდისა ამის კრებისა ცნობილისა გიორგის მონაზონისა და მწიგნობართუხუცესისა მრავალმაც~ არიან წელნიო. ამგვარად, ამ დროს გიორგი მხოლოდ მონაზვნად იხსენიება. იგი მონაზვნობიდან მოდის. მაღლდება ჭყონდიდის ეპისკოპოსის ტიტულში და პარალელურად ფლობს მწიგნობართუხუცესის სახელოსაც. ეს უნდა მომხდარიყო 1104-1110 წ. როგორც ჩანს, საქართველოში ტერმინ ვაზირის დამკვიდრებისას პირველად იგი მწიგნობართუხუცესს მიენიჭა. თამარის ისტორიკოსი ხშირად იყენებს მას სხვადასხვა კონტექსტში. თამარი შიო მღვიმის მონასტრისადმი ნაბოძებ სიგელში აღნიშნავს: `მოვიდა ჩუენ წინაშე ვაზირი ჩუენი ანტონი ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი მწიგნობართუხუცესი~.

რა უფლებრივი მდგომარეობა გააჩნდა მწიგნობართუხუცესს? ქართლის ცხოვრების ქვეტექსტებიდან ირკვევა, რომ ამ სახელოს წარმომადგენელი იყო ხელმწიფის მრჩეველი ყველა დიდ სახელმწიფოებრივ საქმეში. წყაროების შესწავლით შეგვიძლია უფრო დავაკონკრეტოთ ვაზირის უფლებრივ-იურისპრუდენციული სტატუსი.

კერძოდ, გარდა მეფის მრჩევლობისა, იგი მართლმსაჯულების საქმესაც განაგებდა და სახელმწიფოში მეორე მოსამართლის რანგში იყო წარმოდგენილი. მასვე ებარა

სახელმწიფო სახლის `განსაგებელნი~, სამეფო სპა და თვით თამარის თანამეცხედრეზე, დავით სოსლანზე ზრუნვაც მის მოვალეობას შეადგენდა. ჟამთააღმწერლის გადმოცემით, მწიგნობართუხუცესი სამეფო სასახლის ქონების მმართველადაც ითვლებოდა.

`ხელმწიფის კარის გარიგებითაც~ მწიგნობართუხუცესის სავაზირო სახელო აღნიშნული მდგომარეობის დადასტურებაა. მწიგნობართუხუცესი `ვითა მამა არს მეფისა~ ამბობს კანონი. იგი თავისი მეფის სახელმწიფო მოღვაწეობის `თანა-განმკაფველი~-ა. ამრიგად, ირკვევა რომ მწიგნობართუხუცესი სახელმწიფოს პირველ ვაზირს წარმოადგენდა. თვით მეფეც კი მის დაუკითხავად არ მოქმედებდა.

ამრიგად, როგორც მეფე მის გარეშე არ წყვეტდა მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებს, ასევე მწიგნობართუხუცესისაგან მოითხოვდა სტრატეგიული გადაწყვეტილებების შეთანხმებას. თუმცაღა მას ჰქონდა ინიციატივის უფლება, წამოეწყო მეფესთან შეთანხმებით ისეთი პრობლემების რეალიზაცია, რაც სამეფოს კეთილდღეობას განამტკიცებდა. იგი სახელმწიფო ინტერესების წარმომადგენელი და დამცველია. მწიგნობართუხუცესი იყო მსაჯული მსხვილი სასამართლო განსარჩევლებისაც. კონტროლს უწესებდა საქართველოს სამეფო სპასაც. ჩვენ ვიცით, რომ ლაშქარს ამირსპასალარი ხელმძღვანელობდა. მაშ, რა არის მწიგნობართუხუცესის მოვალეობა ამ შემთხვევაში? მოვიყვანოთ მაგალითი. სანამ მეფე ომის გამოცხადებას გადაწყვეტდა, მანამ დარბაზს შეკრებდა. ასე იყო აბუბექრ ათაბაგის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცხადებისას. თამარმა შეკრიბა დარბაზი და დაავალა ანტონ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს მიეცა ბრძანება ლაშქრის შეკრების თაობაზე. ამრიგად, არა ამირსპასალარის, არამედ ამ ვაზირის უფლება იყო ლაშქრის შეკრების ბრძანების გაცემა. განსაკუთრებულ შემთხვევაში, მიუხედავად მონაზვნობისა, ლაშქრობაშიც ღებულობდა მონაწილეობას. იგივე აბუბექრის წინააღმდეგ ბრძოლის დროს ანტონ ჭყონდიდელიც მონაწილეობდა საომარ მოქმედებაში. რას აკეთებდა კერძოდ? ბრძოლის წინ მოძღვრავდა ლაშქარს, და ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ პირველი ეგებება დავით სოსლანს. ამრიგად, ერთ-ერთი მოვალეობათაგანი ლაშქრობის ორგანიზება იყო მინდობილი.

მწიგნობართუხუცესი უმაღლესი მართლმსაჯულია. მწიგნობართუხუცესს უშუალო კავშირი ჰქონდა საჭურჭლესთანაც. ამ შემთხვევაში ზედამხედველის, მაკონტროლებლის ფუნქცია ევალებოდა. ვითარცა ჭყონდიდის მთავარეპისკოპოსი საერო და სასულიერო ერთიანობისს სიმბოლოს წარმოადგენდა. როგორც ვაზირი, უპირველესია, ამავდროულად, უმაღლეს სასულიერო იერარქიის ოთხეულშიც გადიოდა. მას ეკითხებოდნენ ეკლესიის საქმეებსა და საეკლესიო ცხოვრების გლობალურ საკითხებს. მწიგნობართუხუცესის ხელით მიდიოდა ყველა ცნობები მეფისაგან ეკლესიაში და პირუკუ. ამრიგად, ძლიერ მეფეთა პერიოდში საეკლესიო საქმეებში სახელმწიფოს ჩარევა უშუალოდ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის მეშვეობით ხორციელდებოდა.

მწიგნობართუხუცესის ხელქვეითს `მწიგნობარნი~ ეწოდებოდა. ესენი იყვნენ საწოლისა და საჭურჭლის მწიგნობარნი, კარის გარიგებით ირკვევა, რომ საქართველოში 26 მწიგნობარი ირიცხებოდა. მათგან ორის სახელია მხოლოდ მოხსენიებული `საწოლისა~ და `ზარდახანის~. მათ შორის ყველაზე უფროსი საწოლის მწიგნობარია, მეორე ადგილას ზარდახნის მწიგნობარია, დანარჩენ 24-ს თანაბარი უფლებები ჰქონდა.

საწოლის მწიგნობარი მართლმსაჯულების მწიგნობართუხუცესის თანაშემწეა. იგი სააჯო კარში გვერდით ზის თავის უფროსთან. საეკლესიო საქმეებშიც მწიგნობართუხუცესის თანამოზიარე და მონაწილეა. საერთოდ ყველა მწიგნობარი

ძირითადში საბუთების შედგენითა და კონტროლირებადი ფუნქციებით იყვნენ დაკავებული. პირდაპირ ანგარიშვალდებულებით ემორჩილებოდნენ პირველ ვაზირს.

ისინი წერდნენ სხვადასხვა სახის მეფის განკარგულებებს, სიგელ-გუჯრებს და ა.შ.

ვაზირთა შორის მწიგნობართუხუცესი პირველ ადგილას იდგა. `უწარჩინებულეს ყოველთა სწორთა~ (ჟამთა აღმწერელი). მეფის კურთხევის წესშიც მისი უფლებები უპირველესია. დედოფლისა და კათალიკოსის შემდეგ ის ულოცავს მეფეს ტახტზე ასვლას. მერე დანარჩენნი ვაზირები.

ამრიგად, ქართულ სინამდვილეში მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის თანამდებობა განსაკუთრებულ კატეგორიას განეკუთვნებოდა, რომელსაც მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი დატვირთულობა გააჩნდა.

<u>ამირსპასალარი</u> ქართული სახელმწიფო ლაშქრის წინამძღოლია, სარდალია. პირველად ვაზირის სახელოში გიორგი III და თამარის ისტორიკოსთა თხზულებებში გვხვდება.

ქართულ სინამდვილეში ამირსპასალარი ერთიანი ლაშქრის სარდალია. ჟამთა აღმწერლის სიტყვით: `მხედართ მთავარი.... არს ამირსპასალარი~-ო. მათი უფლებები საქართველოში შეზღუდულია, რამეთუ მეფენი ტრადიციულად წარმოადგენდნენ მთავარსარდლებს, ომშიც პირადად უძღვებოდნენ ჯარსა და საომარი ტაქტიკისა და მოქმედების წარმართვის ინიციატივაც მათ ებარათ. ისტორიკოსთა სიტყვით ასე იქცეოდნენ ბაგრატ III, გიორგი I, ბაგრატ IV, გიორგი II. დავითი ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა, იგი პირად მაგალითს უჩვენებდა მოლაშქრეებს. თამარის ეპოქაში ამირსპასალარობის ფართო ფუნქციას ღირსეულად ტვირთულობს დავით სოსლანი.

თამარის ისტორიკოსთან ირკვევა, რომ ამირსპასალარი სალაშქრო საქმეთა განმკარგულებელია. მას ევალება ჯარების სალაშქროდ დაწყობა, თუ მეფე არ მონაწილეობდა ომში, სარდლობა ამირსპასალარის მოვალეობაა. ამირსპასალარის მოვალეობას შეადგენდა სალაშქრო ტაქტიკისა და გეგმის შედგენა. იგი წინ მიუძღოდა სხვა მხედართმთავრებს, როცა ომიდან გამარჯვებული ბრუნდებოდა.

ეს დგინდება `კარის გარიგებიდანაც~. `ლაშქრობაÁ და ლაშქრობისა ვაზირობა ამირსპასალარის ხელთ არის. მას წინათ არავინ იტყვის რაÁ ვაზირობა იყოს~-ო. ე.ი. როცა დარბაზში გაიმართებოდა ბჭობა ომის შესახებ, პირველი სიტყვა ამირსპასალარს ეკუთვნოდა. როგორც აღვნიშნეთ ამირსპასალარს საქართველოს მთელი ლაშქარი და მხედართმთავრები ემორჩილებოდნენ.

ამირსპასალარს მთავარსარდლის ხმალი ეპყრა ხელთ. ამავე დროს _ მეფედ კურთხევის პროცესში, სამეფო ხმალი ზეაწეული ხელებით მას მიჰქონდა, საეკლესიო ცერემონიალების შემდეგ იგი მეფეს შემოარტყამდა ხოლმე ხმალს.

კარის გარიგების მიხედვით, ამირსპასალარის გარეშე სახელმწიფო მიწის ფონდიდან მამულები არ გაიცემოდა. ხშირად ამირსპასალარს სხვა სავაზირო სახელოც გააჩნდა. მაგ. გიორგი III-ის დროს ივანე ორბელი ამირსპასალარიცაა და მანდატურთუხუცესიც.

ამირსპასალარი სპასალართა უფროსია. სპასალარები იგივე სპასპეტები საქართველოში ბევრი უნდა ყოფილიყო. ივ. ჯავახიშვილის აზრით, სპასალარები ყოველ თემსა და კუთხეს უნდა.

ამირსპასალართან გარკვეული დამოკიდებულება გააჩნდა ამილახორსა და მეაბჯრეთუხუცესს.

კარის გარიგებით ამილახორი ამირსპასალარის ვაზირია, ხოლო მეაბჯრეთუხუცესი, მეაბჯრენი, მესარტყლენი, მეჯინიბეები ყველა ამილახორის მოხელეებია.

ამილახორი დიდი ხელისუფლებით ხასიათდება. სწორედ მისი შემდეგი საფეხურია ამირსპასალარობა. მას ჰქონდა უფლება, ვაზირთა ბჭობას დასწრებოდა სათათბირო ხმით.

მეაბჯრეთუხუცესი _ იგივე მეაბჯრეთა უფროსი. მას ამირახორზე გაცილებით ნაკლები უფლება და პატივი გააჩნდა. მეფის კურთხევისას გვერდით ახლდა ამირსპასალარსა და ამირახორს. მას ევალებოდა გამოეტანა სამეფო ფარი, ლახტი და სამეფო ხმლის ქარქაში. იგი მეფეს უკან ედგა. მეაბჯრეთა რიცხვი არაა დადგენილი.

აბჯრის მტვირთველი – საგანგებო მოხელე, ომში თავისი პატრონის გვერდით იდგა. ეს არ ყოფილა იოლი თანამდებობა და სპეციალურ წვრთნას გადიოდნენ აბჯრის მტვირთველები.

მეჯინიბეთუხუცესიც ამილახორის მოხელეა. იგია უფროსი დაწესებულებისა, რომელსაც საჯინიბო ჰქვია. მისი ხელქვეითნი მეჯინიბეებია.

ამირახორსა და მეაბჯრეთუხუცესს ექვემდებარებოდა `ზარდახანა~. იგი წარმოადგენდა ყოველგვარი აბჯარ-იარაღის, სამხედრო ნიშნების, სამკაულების საწყობს. ეს სიტყვა სპარსულიდან `ზარდახანიდან~ მომდინარეობს, რაც იარაღისა და ნიშნების საწყობს ნიშნავდა. მის უფროსს ზარდახანის უხუცესი ეწოდებოდა. აქვე მსახურობდა ზარდახანის მოლარე, ზარდახანის მეჯინიბე, ზარდახანის მწიგნობარი. აღსანიშანვია, რომ ეს უკანასკნელი მწიგნობართუხუცესს ემორჩილებოდა.

<u>ათაბაგი</u> არ წარმოადგენს წმინდა ქართულ სახელმწიფოებრივ ჩინოვნიკური აპარატის თანამდებობას. იგი უცხოეთიდან შემოდის და 1212 წლამდე `არ ყოფილა საქართველოს მეფეთა წინაშე~. იგი მუსლიმანურ სინამდვილეში იშვა. `სულტანთა წესი არს~, გვამცნობს მემატიანე. თურქულად `მამად და გამზრდელად მეფეთა და სულტანთა იწოდების ათაბაგ~ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი). ათაბაგი თურქულად მამა-ბეგს ნიშნავდა. ათაბაგები სელჩუკიანთა სამეფოში ის პიროვნებებია, რომლებიც საგანგებოდ სწავლობდნენ და ეუფლებოდნენ უფლისწულების, მომავალ ხელმწიფეთა ცხოვრებისათვის მომზადების ხელოვნებას. თანდათანობით მოიპოვეს დამოუკიდებლობა და მთავრებად იქცნენ. ათაბაგობა საქართველოში შემთხვევით შემოიღეს. იგი ივანე მხარგრძელის პირადი პრატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად იქნა დაწესებული.

ზაქარია ამირსპასალარის სიკვდილის შემდეგ თამარმა ეს თანამდებობა მის ძმას ივანეს შესთავაზა, მან კი სთხოვა მეფეს `განადიდე წყალობა შენი ჩემზე, რომელ ახალსა და უაღრესსა პატივსა ღირს მყო და ათაბაგობა მიბოძო~-ო. (ისტ. აზმ. შარავანდ.) თამარს ყურად უღია ერთგული მსახურის თხოვნა. ამრიგად, პირველი ათაბაგი ივანე მხარგრძელია.

ათაბაგობის შემოღებისას საქართველოში აღსაზრდელი უფლისწული არ იყო. ლაშა გიორგი დედამისის თანამესაყდრეა და თანაც დედამისი ცოცხალია. ამ ეტაპზე ქართული ათაბაგობა არ იქნებოდა იმ სიძლიერის, როგორც ეს მუსლიმანურ სახელმწიფოში ფიქსირდება.

ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ საქართველოში ვაზირთა უპირველესი მწიგნობართუხუცესი კარის გარიგების მიხედვით, `მამა არს მეფისა~. ამდენად მართებულია აკ. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება, რომ `ათაბაგს არ შეეძლო საქართველოში ის თვისებები შეენარჩუნებინა, რომელიც მას თურქთა სასულტნოების ნიადაგზე ჰქონდა~.

ამიტომაც მიუხედავად თამარის მიერ `ათაბაგობის განდიდებულობისა~ ეს თანამდებობა ბევრად ჩამორჩებოდა პატივით მწიგნობართუხუცესობას. მეფის კურთხევის წესით იგი მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდელის შემდეგ მოიხსენიებოდა. პირველი ვაზირის შემდგომ ულოცავს მეფეს ტახტზე ასვლას.

მიუხედავად ამისა, ათაბაგობა პირველი, ვაზირს შემდგომ ყველაზე დაწინაურებული, პატივგებული თანამდებობაა, თვით ამირსპასალარობასაც კი უსწრებდა წინ. ეს დასტურდება ჟამთაა ღმწერელთან. კერძოდ: ავაგ მხარგრძელი `სპასალარობისაგან ათაბაგ იქმნა მეფისა რუსუდანის მიერ.~ იგი ერისთავთა ზემოთ იხსენიება და ბევრად უსწრებს საქვეყნოდ გამრიგეებს, თუმცა მეფის კურთხევისას ათაბაგი და სხვა ერისთავები ერთ მხარეს იდგნენ. მეტი ამომწურავი ცნობები ათაბაგის უფლება-მოვალეობის შესახებ არ მოგვეპოვება, როგორც ჩანს, შემდგომში იშვიათ და გაუცხოებულ მოვლენად დარჩა. ათაბაგობა თანდათანობით სამცხის მთავართა განსაკუთრებულ სამკაულად იქცა. სამცხელი ათაბაგები მალე განკერძოებისა და დამოუკიდებლობის გზას დადგნენ.

როგორც მანდატურთუხუცესობა, ათაბაგობახ შეიძლებოდა სხვა თანამდებობებთან ყოფილიყო შეთავსებული. მაგ. ავაგ მხარგრძელი ერთდროულად ათაბაგიცაა და ამირსპასალარიც, ასევე სადუნ მანკაბერდელიც. ხოლო დემეტრე თავდადებულის სიკვდილის შემდგომ დავით ნარინის ვაჟმა, ვახტანგ II-მ, დააფასა დამსახურება ხუტლუბუღასი და მიაგო ათაბაგობისა და ამირსაპასალარობის პატივი.

<u>მანდატურთუხუცესი</u> ეს სავაზირო სახელო პირველად გიორგი III-ის დროს არის მოხსენიებული. შემდეგ წყაროებში კი, უფრო ხშირადაა მოხსენიებული. რამდენადაც მანდატურნი საქართველოში XI საუკუნეშიც არსებობდნენ. თამარის ისტორიკოსი გვაწვდის ყურადსაღებ ცნობას ამ თანამდებობის შესახებ. კერძოდ მასში ნათქვამია: მეფემ `განაჩინა და უბოძა ჭიაბერსა მანდატურთუხუცესობა და მისცა არგანი ოქროსა ხელთა მისთა~-ო. ე.ი. ოქროს არგანი მანდატურთუხუცესობის საგანგებო ნიშანი ყოფილა. მას `სამანდატურო არგანს~ ეძახდნენ. მანდატურთუხუცესი მეფის გარეთ გამობრძანებისას და სამეფო შემადგენლობის მსვლელობისას გარკვეულ ფუნქციას კისრულობდა. აწესრიგებდა გადაადგილების მარშრუტს.

კარის გარიგებით როგორც ვეზირს, `პატივი მისი სპასალარისა და მანდატურთუხუცესისა სწორი არის~-ო.

კარის გარიგების მიხედვით, მანდატურთუხუცესის მოხელენი მანდატურნი ამიერ და იმიერ საქართველოში 300 იყო.

რა საქმიანობას ეწეოდნენ მანდატურები?

1) ვაზირთა დარბაზობისას მანდატურები გარეთ იდგნენ, ასრულებდნენ დაცვის მოვალეობას და გამოძახებული პირები რიგრიგობით შეყავდათ დარბაზში.

2) მანდატური დიდი სახელმწიფო მოხელის ან საპატიო სტუმრის გამცილებელია მგზავრობისას.

3) მანდატურის მოვალეობაა ზვრის მუშათა ზედამხედველობა. ზვრების დამუშავება მანდატურთუხუცესის საზრუნავს შეადგენდა. იგია თადარიგის დამჭერი, ბრძანების გამცემი.

რამდენადაც იგი სამეფო კარის ვეზირია, ომში არ მიდიოდა, თუ რასაკვირველია, მეფეც არ ღებულობდა ლაშქრობაში მონაწილეობას. `ბასიანის ბრძოლა~ იმდენად მნიშვნელოვანი იყო ქვეყნისთვის, რომ ჭიაბერ მანდატურთუხუცესიც წასულა სალაშქროდ. ამირსპასალარის განხილვისას აღვნიშნეთ, რომ გარკვეულ შემთხვევაში პიროვნება ორ სავაზირო სახელოს ფლობდა. მაგ. გიორგი III-ის დროს ივანე ორბელი ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესია, ასევე ორბელის შემდეგ ორივე სახელოს ფლობდა ერთგულობით აღზევებული ნაყივჩაღარი ყუბასარი, ჭიაბერი თავის თავზე წერდა: `მე მანდატურთუხუცესმან და ამირსპასალარმან~-ო.

გარდა მანდატურებისა, ამ ვაზირს, ამირსპასალარს, ემორჩილებოდნენ ამირეჯიბი _ მესტუმრე და მერიგე. განმრიგეთუხუცესი _ საგანმგეოს მუქიფი, საგანმგეოს უხუცესი _ მეჯამეთუხუცესი და ა.შ.

ამირეჯიბიც გაზრდილი უფლებებით სარგებლობდა. მას შეეძლო ნებისმიერ დროს მეფის ნახვა და მოხსენების წარდგენა. მიესვლებოდა სახელმწიფო სადროშოში, საჭურჭლეში. იქმნება წარმოდგენა, თითქოსდა, ამირეჯიბი დამოუკიდებელი ხელისუფალი და ვაზირია. მიუხედავად ამისა, იგი არაა ვაზირი. არც ისტორიულ და არც იურიდიულ ძეგლებში ამაზე მინიშნებაც კი არ არის. არ გვხვდება მეფის კურთხევის წესის ვაზირთა სიის ჩამონათვალშიაც. ამირეჯიბის დიდ უფლებებს ისიც უსვამს ხაზს, რომ დარბაზობისას არავაზირ სამ მოხელეთა შორის ისიც მონაწილეობს სხდომაში. მასაც არ ჰქონდა თათბირში მონაწილოების უფლება, მხოლოდ უტყვი დამსწრე ყოფილა, მაგრამ ამგვარ უფლებასაც დიდი ფასი და მნიშვნელობა ჰქონდა (სამი მოხელე, ამირეჯიბი, ამირახორი, საწოლის მწიგნობარი, რაც შეეხება ზარდახნის მწიგნობარსა და მეაბჯრეთუხუცესს, ისინი გარეთ კარებთან იდგნენ და თუ საჭირო იყო, მაშინ შედიოდნენ).

ამირეჯიბი დარბაზობისა და პუროობისას მანდატურთუხუცესის თანაშემწეა. იგი მეფისადმი მთხოვნელთა სურვილის მომხსენებელია. რუსთაველთანაც დასტურდება ეს. კერძოდ, როცა ავთანდილი მიდის როსტევანთან, ჯერ ეჯიბს შეაგზავნის მეფესთან-ხოლმე.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეჯიბი არა მარტო მეფეს, არამედ დიდებულ საერო პირებსა და დიდგვაროვან მანდილოსნებსაც ემსახურებოდა. ეჯიბები ჰყავდა ავაგ ათაბაგს, ავაგის ასულ ხვაშაგს, სადუნ მანკაბერდელი, თავდაპირველად, ავაგ ათაბაგის ასულის, ხვაშაგის, ეჯიბიც ყოფილა.

<u>მეჭურჭლეთუხუცესი.</u> ქართულ საისტორიო წყაროებში ტერმინი "მეჭურჭლეთუხუცესი" XII საუკუნიდან გვხვდება. სავარაუდოა, რომ იგი გაცილებით ადრე უნდა შემოსულიყო, ამას `კარის გარიგებაც~ ადასტურებს, სადაც ნათქვამია: `მეჭურჭლეთუხუცესი ძველი ვაზირი არის~-ო. მეჭურჭლეთუხუცესი თანამედროვე გაგებით ფინანსთა მინისტრის თანაბარი თანამდებობაა. ათაბაგობის დაწყებამდე მეოთხე ვაზირს წარმოადგენდა (მწიგნობართუხუცესის, ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის შემდგომ), ღირსებით ეს თანამდებობა მწიგნობართუხუცესის შემდგომ უტოლდებოდა დანარჩენ სავაზირო სახელოებს. სახელწოდებიდან ჩანს, რომ იგი მეჭურჭლეთა უფროსი, `საჭურჭლეს~ უზენაესი გამგებელია.

მის მოადგილეს `ნაცვალი~ ერქვა (თამარის ისტორიკოსი).

მართალია, `კარის გარიგებაში~ მხოლოდ `საჭურჭლის ნაცვალი~ მოიხსენიება, მაგრამ უცილობლად უნდა არსებულიყო მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალიც, რომელიც გაცილებით დიდი თანამდებობა იქნებოდა, ვიდრე პირველი. საჭურჭლის ნაცვალს არ ჰქონდა უფლება, ვაზირობას დასწრებოდა, იგი დარბაზს გარეთ იდგა და გამოძახების შემდეგ შედიოდა დარბაზში. როგორც ჩანს, თამარის შემდგომ ხდება ცვლილებები, რის შემდეგაც ნაცვალი ჩამოქვეითდა `საჭურჭლის ნაცვალის~ დონემდე. წინააღმდეგ შემთხვევაში კარის გარიგებაში მისი პირვანდელი მდგომარეობა დაფიქსირდებოდა.

`საჭურჭლე და საჭურჭლენი~, თავდაპირველად, სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა. საჭურჭლე პირდაპირი გაგებით ჭურჭლის საწყობს ნიშნავდა, შემდგომში მას განძისა და სიმდიდრის აღმნიშვნელი ზოგადი მნიშვნელობა მიეცა. ამ ტერმინის სხვადასხვა კონტექსტში გამოყენების უამრავი შემთხვევა ფიქსირდება XI-XIV ს.ს-ის

ისტორიულ წყაროებსა და იურისპრუდენციულ ძეგლებში. საერთოდ კი, საჭურჭლე სახელმწიფო ხაზინას ერქვა. ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ როცა დავით ულუ და დავით ნარინი თავიანთი მომხრეებითურთ აიშალნენ, გადაწყვიტეს, გაეყოთ სამეფო და საჭურჭლე და `განყვეს სამეფო და საჭურჭლენი~.

XIII ს-ის საეკლესიო ხასიათის დოკუმენტში სამეფო ხაზინა `საჭურჭლედ~ იწოდება.

სახელმწიფო ხაზინის ცალკეულ განყოფილებებს საგანძური ეწოდებოდა. დავითის ანდერძში დასახელებულია `ატენისა საჭურჭლე~, ანუ საგანძური. როგორც ჩანს, ხაზინაში ომების შედეგად აღებული ალაფიც ინახებოდა.

სამეფო სიმდიდრის შესანახ ადგილს `საგანძურნი ან საგანძურნი სამეფონი~ ეწოდებოდა. ჟამთააღმწერლის თქმით, დემეტრე II-ის დაპატიმრების შემდეგ, არღუნ ყაენმა შინაგამცემლების წყალობით წაიღო საგანძურნი მეფისანი.

რა ინახებოდა სახელმწიფო საჭურჭლეში?

უპირველესად, ფულადი ნიშნები. დუკატი, ბოტინატი (ბიზანტიური ფულადი ერთეული, რომელიც საქართველოშიც ტრიალებდა). ხაზინის შეკრების წყაროს საჭურჭლეთა შემოსავალი წარმოადგენდა.

საჭურჭლეში, გარდა ზემოაღანიშნულისა, ინახებოდა ყველა ის მოსაკრებელი, რაც ნატურით შედიოდა.

განსაკუთრებით საყურადღებოა მუშრიბი. მომდინარეობს არაბულიდან-მუშრიფ, რაც ზედამხედველს ნიშნავდა. სპარსეთში მათ ევალებოდათ, გარდა კონტროლისა, სასახლის ქონების ნუსხების შედგენა.

საქართველოში მუშრიბი მეჭურჭლეთუხუცესის მოხელეა. მას შემოსავლის სპეციფიკური დარგი, ბაჟი და სავაჭრო გადასახადი ებარა.

როგორც სხვაგან, მეჭურჭლეთუხუცესი შეიძლებოდა სხვა თანამდებობასაც ფლობდა. მაგ. აბულასანი ყოფილა ერთისთავთერისთავი და მეჭურჭლეთუხუცესი, ივანე ყვარყვარე ციხისჯვარელი ჯაყელი მეჭურჭლეთუხუცესი და სამცხის მთავარი. სარგის ჯაყელი სამცხის სპასალარი და მეჭურჭლეთუხუცესი.

<u>მსახურთუხუცესი</u> მართალია, იგი პირველად გიორგი III-ს მეფობისასაა მოხსენიებული, მაგრამ სავარაუდებელია, რომ ეს თანამდებობა უძველესია. მისი მოხელეებია - მსახურები და მსახურნი მეფისანი. თავდაპირველად, მსახურთუხუცესი არ ითვლებოდა ვაზირთა საბჭოს წევრად. კარის გარიგების მიხედვით, მეფე რუსუდანის დროს მსახურთუხუცესი მანაველი ხდება საბჭოს წევრი. ამის შემდგომ მსახურთუხუცესი ვაზირად ითვლებოდა. მას დარბაზობისას მეჭურჭლეთუხუცესის რიგი პატივი და უფლებები გააჩნდა. მის ფუნქციებზე მხოლოდ კარის გარიგებაშია საუბარი.

მსახურთუხუცესის ხელოსანია _ სალარო, საწოლი, მესაწოლეთუხუცესი, მოლარეთუხუცესი, ციცხვთუხუცესი, მეხილეთუხუცესი.

ამრიგად, ირკვევა რომ, ამ ვაზირს ემორჩილებოდა ორი-სამი დაწესებულება, თავისი ყველა მოხელითურთ. სალარო _ უფროსი მოლარეთუხუცესი. საწოლი _ მესაწოლეთუხუცესი, მასვე ებარა მეფის კერძო მეურნეობა და სხვადასხვა საფარეშონი.

სალაროს გარდა, აღინიშნული დაწესებულებები სასახლის შიდა მეურნეობას უვლიდნენ, ამიტომაც მეორენაირად მას უწოდებდნენ `მსახურთუხუცესი – ხელშინაური~. საფიქრებელია, რომ ამიტომაც გიორგი III-სა და თამარის დროს იგი არ ითვლებოდა ვაზირად. მისი გავაზირება რუსუდანის დროს ახალი სამსახურის დამატებამ გამოიწვია. ეს შეიძლება სალარო იყო.

სალაროს შესახებ მეჭურჭლეთუხუცესთან ვისაუბრეთ. საქართველოში უძრავი და მოძრავი სალარო ყოფილა. ეს მეორე მეფის გადაადგილებისას სხვა კუთხეებში ამალასთან ერთად გადადიოდა.

სალაროს განაგებდა მოლარეთუხუცესი, მას ყველა სალარო ექვემდებარებოდა. მასაც გააჩნდა ბეჭედი, როგორც თანამდებობის აღნიშვნელი ნიშანი. მოლარეთუხუცესის მოხელეა სალაროს მოლარე. იგი სიგელების დაბეჭდვისას ეხმარება უფროსს. როგორც ჩანს, რამდენიმე მოლარე ყოფილა.

მსახურთუხუცესს ებარა მეორე დაწესებულებაც, საწოლი. მასში შედიოდა როგორც მეფის, ასევე სასახლის ყველა დასასვენებელი ოთახის მომსახურება. ცალკე ოთახში ესვენა `საწოლისა ღმრთისმშობელი~, რომლის წინ მუდმივად ენთო სანთელი. მას მესაწოლე ცავდა, რომ არ ჩამქრალიყო. გვერდით იყო ყველა სახის ნივთები, რომელიც მეფეს განცხრომით მოსვენებისათვის სჭირდებოდა. აქ ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მესაწოლე და მსახურთუხუცესი მხოლოდ ამ საქმიანობას ეწეოდნენ. მათ მოვალეობას შეადგენდა, მეფისთვის მოეხსენებინათ სხვადასხვა ცნობები, მის ბრძანებებს სათანადო დაწესებულების მოხელეებს აუწყებდნენ ხოლმე. კარის გარიგება აგვიწერს მეფის ტანთ შემოსვასაც. აი ისიც: `შეკაზმა მეფისა~ _ `რაÁ მეფე შეკაზმოდენს, ტაშტი მსახურთუხუცესმან დაიჭიროს, პირის მანდილი მესაწოლეთუხუცესმან, წყალი მოლარეთუხუცესმან დაუსხას, ტანისამოსი მსახურთუხუცესმან ჩააცვას, ღილი მესაწოლეთუხუცესმან შეუკრას, მუხლთ დაყრით ქუდი მოლარეთუხუცესმან მიიღოს~-ო.

მსახურთუხუცესს ემორჩილებოდა ფარეშთუხუცესიც. რომელსაც ჰყავდა მრავალი ფარეშნი. საფარეშოდ შიდა მეურნეობისათვის განკუთვნილი სხვადსხვა დაწესებულება იწოდებოდა.

მეხილეთუხუცესი _ მსახურთუხუცესის ქვეშევრდომია. მასთან დაქვემდებურებული სახელოებითა და იარაღებით.

ციცხვთუხუცესი _ ფარეშთუხუცესის მოხელეა თუ არა, არ ვიცით. მის მოხელეებს უცნაური სახელი `ციცვხნი~ ეწოდებოდათ. მათ ხელთ იყო სახლის საჭურჭლე, სხვადასხვა ჭურჭლეულობა, ამის გარდა აბანოს გათბობა, შეშის პობა, სასახლის დაგვა, ცეცხლის დანთობა, წყლის ზიდვა. სასახლისათვის საჭირო საქონელი ცალკე ინახებოდა და ფარეშებს ეძლეოდათ იმდენი, რამდენიც საჭირო იყო. ასევე მსახურთუხუცესის დაქვემდებარებაშია სხვადასხვა წვრილი სამეურნეო სამსახურებიც.

<u>,,ს ა ვ ა ზ ი რ ო ს ”</u> (ვაზირთა საბჭოს) მეფე დრო და დრო, საჭიროებისამებრ იწვევს. ,,კარის გარიგებაში“ მკაცრად არის ნორმირებული სავაზიროს შემადგენლობა, ჯდომის წესი და “ვაზირობის” (თათბირის) საქმეებში დამსწრეთა კომპეტენციები.

<u>დ ა რ ბ ა ზ ი</u> “მართველობის კოლეგიალური დაწესებულებაა, რომელშიც იმ პერიოდში მონაწილეობდნენ შემდეგი მაღალი საერო და საეკლესიო ხელისუფალნი: კარზე მყოფნი - ვაზირნი, საქვეყნოდ გამრიგენი - ერისთავები, კათალიკოსები (აფხაზეთისა და ქართლის), მოძღვართ-მოძღვარი (გელათის აკადემიის რექტორი), ეპისკოპოსები და სამეფო დიდი მონასტრების (გელათის, გარეჯის და სამცხის) წინამძღვარნი უფროსი ბერ-მონაზვნებითურთ. დაწესებულია “დარბაზობის” (დარბაზის სხდომის) ორნაირი წესი: <u>“დიდის წესითა”</u> და <u>“უმცროსითა”</u>, რომელთა არჩევა მეფის ნება-სურვილზეა დამოკიდებული. ,,დარბაზის“ უფლებას შეადგენდა კანონმდებლობა. დარბაზი მეფის უფლებებს ვერ ზღუდავდა (საქმე პირიქით იყო).

<u>,,დ ი დ ი დ ა რ ბ ა ზ ო ბ ი ს”</u> მოწვევის მუდმივ დროდ დადგენილი ყოფილა დიდი საუფლო დღესასწაულები: შობა, აღდგომა და სხვა. ამიტომაც დიდი დარბაზობა

უფრო საზეიმო სხდომად ჩანს, სადაც დარბაზის ნამდვილი წევრების გარდა, ესწრებიან კარის სხვა მოხელეებიც. დარბაზის წევრთა (“დარბაისელთა”) დასაჯდომი ადგილები განაწილებულია მოხელეთა უფროს-უმცროსობის მიხედვით. დიდ დარბაზობას მოჰყვება “პურობა”.

საქართველოს ეკლესია ორი უმაღლესი მეთაურით არის წარმოდგნილი - ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსებით. ორივე კათალიკოსი სამეფო კარზე ერთნაირი პატივით სარგებლობს. ორივე ზოგიერთი პატივით გათანაბრებულია მოძღვართმოძღვართან და მწიგნობართუხუცესს- ჭყონდიდელთან. ამიტომ ქმნიან “ოთხთა მონაზონთა” ჯგუფს.

დარბაზის წევრთა შორის ერთადერთი მოძღვართმოძღვარია (გელათის უმაღლესი სასწავლებლის უფროსი), რომელიც ყველაზე დიდი მორალური ავტორიტეტით სარგებლობს. მეფე მოძღვართმოძღვარს ყველაზე დიდი ღირსებით მიესალმება (ნოხის პირს შეეგებება და სხვ.).

ასეთი იყო ცენტრალური მმთართველობის (სახელმწიფოს კარის) მოქმედი სისტემა და ორგანიზაცია საქართველოში XIV საუკუნის პირველ ნახევარში. ამ სისტემის პრინციპები ადრევე იყო შემუშავებული და გამოყენებული, მაგრამ მონღოლების ბატონობამ მას დიდი ზიანი მიაყენა. საქართველოს მთავრობის ღონისძიებები, რომლებიც ,,კარის გარიგებაში“ აისახა, ემსახურებოდა ამ სისტემის აღდგენა-გამტკიცებას და გაუმჯობესებას. ეს იყო აუცილებელი ზომა ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობის უზრუნველყოფისთვის. მაგრამ წარმატება ამ მხრივ უფრო მეტად ეკონომიკურ აღორძინებაზე იყო დამოკიდებული.

<u>ქვეყნის ეკონომიკური განვითარება</u>. მეფე გიორგი ზრუნავდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. მან პირველ რიგში ყურადღება მიაქცია საქალაქო ცხოვრების აღორძინებას. ასევე დიდი ყურადღება დაეთმო ევროპის, აზიისა და ჩრდილოეთისაკან მიმავალ სავაჭრო გზებსაც, რომელთაც გარდა პოლიტიკური მნიშვნელობისა, უდიდესი ეკონომიკური დატვირთვაც ჰქონდა. საქართველოს თავისი კუთვნილი ადგილი ჰქონდა მსოფლიო შრომის დანაწილების პროცესში.

XIII საუკუნის მიწურულს მონღოლებმა ახალციხეში დააარსეს ზარაფხანა, სადაც იჭრებოდა ვერცხლის ფული ყაზან ყაენის (1295-1304 წწ.) ზედწერილობით. 1337 წელს კახეთის ქალაქ ყარაღაჯში დაარსდა ახალი ზარაფხანა, რომელიც 20 წლის განმავლობაში მოქმედებდა. აქ მუსლიმანური მონეტები იჭრებოდა. ამ ფულის პარალელურად გიორგი V-მ მოჭრა ვერცხლის მონეტა, რომელსაც გიორგაული თეთრი ეწოდა. თავდაპირველად, ის ძირითადად ქვეყნის საშინაო ბაზარზე გამოიყენებოდა, თუმც მიმოქცევის არეალი და მნიშვნელობა ნელ-ნელა ფართოვდებოდა. ამაზე მეტყველებს XIV საუკუნის 80-იან წლებში ბექა-აღბუღას ათაბაგ-ამირსპასალარის შედგენილ სამართლის წიგნში დანაშაულის საზღაურად მისი დაწესება.

გიორგი V-ის დროს აღმავლობა განიცადა საქართველოს მეურნეობის ცალკეულმა დარგებმაც. განსაკუთრებით განვითარდა მევენახეობა-მეღვინეობა. ამას ადასტურებს ,,ხელმწიფის კარის გარიგებაში” დამოწმებული სპეციალური მოხელის (მეღვინეთუხუცესი) არსებობა. იგი განაგებდა სამეფო ზვრებს. საქართველოში არსებობდა სპეციალური საღვინე გადასახადი - კულუხი. მეღვინეთუხუცესს ემორჩილებოდა ,,საღვინე”, სადაც მუშაობდნენ საღვინის ხელისუფალნი : ,,მეღვინენი”, ,,საღვინის მოლარე”, ,,მემარნე”, ,,მეზვერენი” და სხვ. ზვრებში სამუშაოებზე კონტროლს საპოლიციო მოხელენი – მანდატურები ახორციელებდნენ.

საქართველოში განვითარებული იყო, აგრეთვე, მეხილეობა, მესაქონლეობა, მემინდვრეობა და სხვ.

ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და წინსვლას ხელს უწყობდა სავაჭრო კავშირურთიერთობები გენუასა და ვენეციასთან.

საქართველო XIV საუკუნის მეორე ნახევარში. თემურ-ლენგის ლაშქრობები საქართველოში

საქართველო დავით IX-სა და ბაგრატ V-ის მმართველობის პერიოდში

დავით IX (1346-1360 წწ.). გიორგი V ბრწყინვალეს გარდაცვალების შემდეგ საქართველოს მეფე გახდა მისი ძე, დავით IX. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, დავით IX-ს მეუღლე ყოფილა სინდუხტარი, რომელიც სამცხის მთავრის აღბუღას და გახლდათ. დავითმა თავისი ერთი ქალიშვილი გულშარი იოანე ქსნის ერისთავს მიათხოვა, მეორე, გულქან-ხათუნი კი 1378 წელს ტრაპეზუნის იმპერატორის უმცროს ვაჟს, მანუელს, გააყოლა ცოლად. ორივე ქორწინებას პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა. დავით IX-ის მეფობის შესახებ ჩვენამდე ძალიან მწირმა ცნობებმა მოაღწია. 1349-1350 წლებში საქართველო დალაშქრა ირანის ილხანმა, ანუშირვანმა. დავითი იძულებული გახდა მისთვის 400 000 დინარი გადაეხადა ხარკის სახით. ამ დროს საქართველოში გავრცელებულა შავი ჭირი, რომელიც იმ პერიოდისთვის მთელ მსოფლიოში ყოფილა გავრცელებული. ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული ვარაუდის თანახმად, სწორედ ამ შავი ჭირის ეპიდემიას ემსხვერპლა გიორგი ბრწყინვალე. ამ პერიოდში საქართველოში არსებული ეკონომიკური პრობლემებისა და ,,სიკვდილიანობის'' ზრდის ერთ-ერთი დამადასტურებელია 1348 წელს ერთი საეკლესიო წიგნის (პარაკლიტონის) ანდერძის გადამწერ ავგაროზ ბანდაისძის ცნობა: ,,დ ი დ ი ს ა ს ი გ ლ ა ხ ა კ ე ს ა დ ა ე ტ რ ა ტ ი ს ა ს ი ძ ვ რ ე ს ა დ ა შ ფ ო თ ს ა დ ა უ ც ა ლ ო ბ ა ს ა შ ი ნ ა წ ე ლ ს ა მ ა ს, რომელსა იყო ს ი კ უ დ ი ლ ო ბ ა, ქორონიკონი იყო ლვ'' (1348 წ.).

მიხედავად ამ სიძნელეებისა, დავით IX-ს 1350 წელს თმოგვის ციხის ზღუდენი განუახლებია, როგორც ეს ამ ციხეზე გაკეთებული წარწერებიდან ირკვევა.

ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად, 1357 წელს საქართველოში მზის დაბნელება ყოფილა.

1360 წელს დავით IX ქუთაისში გარდაიცვალა და გელათში დაკრძალეს. სამწუხაროდ, მისი მეფობის შესახებ სხვა ცნობებს ჩვენამდე არ მოუღწევია.

ბაგრატ V (1360_1393). 1360 წელს საქართველოს სამეფო ტახტზე დავით IX-ის ძე, ბაგრატ V, ავიდა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, იგი დიდი საზოგადო მოღვაწე ყოფილა. ტრაპეზონელი ბერძენი ისტორიკოსი მიქელ პანარეტოსის თანახმად კი, იგი ,,უსახელოვანესი მხედარმთავარი'' გახლდათ. XIV საუკუნის სომხურ წყაროში ბაგრატი ,,ძლევამოსილ მამაც მეფედ'' არის დახასიათებული. მეფე ბაგრატმა შეძლო საქართველოს ერთიანობის შენარჩუნება ყმადნაფიცი ქვეყნების ჩათვლით. მიქელ პანარეტოსი მას ,,ქართველთა და აფხაზთა'', ანუ მთელი საქართველოს მეფეს უწოდებს. რაც შეეხება საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ საზღვარს, აკადემიკოსი თ. უსპენსკი მიიჩნევს, რომ ტრაპიზონის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა თერმოდონითგან მოყოლებული თითქმის ფაზისამდე არსებული ტერიტორია. გამოდის, რომ შავშეთი, კლარჯეთი და აჭარა ტრაპიზონის სამეფოს კუთვნილება უნდა ყოფილიყო ამ პერიოდისთვის. მაგრამ მიქელ პანარეტოსთან დაცული ერთი ცნობა სულ სხვა დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს. იგი წერს: ,,ლაზიკაში გავემგზავრეთ ხმელეთსა და საზღვაო ძალითურთ

კეისართან ერთად, მის დედა დედუფალთან და მეფის ასულთან, დიდ კომნენ კვირ-ანნასთან ერთად, რომელიც იბერთა და აფხაზთა მეფე კურ-ბაგრატს პანკრატოანს მისთხოვდა თანამეცხედრედ მაკრიალის სანახებში. უკან მიმავალი კი ხელმწიფე იძულებული იყო ლარახონითგან პარხალში ლიმნის გზით მისულიყო და ხალდიამდე მიეღწია". მიქელ პანარეტოსის თზულების ამ მონაკვეთიდან კარგად ჩანს, რომ ისინი საქორწინოდ მიდიან ,,ლაზიკაში" და კერძოდ, ,,მაკრიალის" ხეობაში. ამრიგად, ბაგრატ დიდის მეფობის პერიოდში საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი ტრაპიზონის სამეფოსთან გასდევდა მაკრიალის ხეობას. უშუალოდ მაკრიალი, გონია, აჭარა, შავშეთ-კლარჯეთი და მესხეთი საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა. ქალაქი ანისი და მისი ოლქიც საქართველოს საზღვრებში იყო მოქცეული. ჩრდილოეთით დვალეთსა და ოსეთზეც ბაგრატ მეფის ხელისუფლება ვრცელდებოდა.

მეფე ბაგრატის პირველი ცოლი გახლდათ ელენე, რომლისგანაც მას შეეძინა ორი ძე - გიორგი და კონსტანტინე. დედოფალი ელენე 1366 წელს გარდაიცვალა შავი ჭირის ეპიდემიის დროს. ბაგრატს მეორე ცოლად შეურთავს ტრაპიზონის მეფის, იოანე ალექსი III-ის, ასული ანა, რომლისგანაც მას ეყოლა დავითი.

1361-1362 წელს საქართველოში დიდი აჯანყება მოხდა, სვანეთის ერისთავმა ვარდანისძემ იერიში ქუთაისზე მიიტანა გაძარცვა და გადაწვა იგი. ბაგრატ V-მ დაატყვევა ვარდანისძე და მის ნაცვლად გელოვანი დანიშნა. ვარდანისძე კი მეფემ მოგვიანებით შეიწყალა და გურიის ერისთავად დანიშნა. მარი ბროსსეს თანახმად: ,,ბაგრატის მეფობის მეორე წელს სვანებმა აიღეს და გადასწვეს იმერეთის დედა-ქალაქი. ეს რომ მეფემ გაიგო, გადავიდა იქ ჯარით, შეკრებილთ ივერიის ყველა კუთხიდამ და მოსვლისთანავე სვანები მსწრაფლ დაბრუნდნენ თავის ხეობაში. მათი ერისთავი ვარდანიძე მეფემ გააგზავნა გურიაში, სადაც ის შეიქმნა წინაპრად მთავრის გვარისა გურიელებისა, ხოლო სვანეთში ერისთავად მეფემ გელოვანი დანიშნა". მარი ბროსსესთან დაცულია, აგრეთვე, ფრაგმენტული ცნობები ბაგრატ მეფისდროინელი საქართველოს ისტორიის შესახებ. კერძოდ იგი წერს, რომ ,,მეფემ, აგრეთვე, დაამარცხა და უკუაქცია თურქნი, სამცხეში შემოსულნი ყვარყვარე ათაბაგის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც 1361 წელს მოხდა. მეფე ბაგრატმა ყვარყვარეს ადგილზე დანიშნა იმისი შვილი ბექა, რომელიც მას მანდატურთუხუცესად ჰყავდა... 1375 წელს გიორგი დადიანი მოკვდა და ბაგრატმა დანიშნა დადიანად შვილი მისი ვამეყი".

ამ პერიოდში მცირე აზიაში მომთაბარე თურქებმა დალაშქრეს სამცხე და გაძარცვეს იგი. მეფე ბაგრატმა 12 000 ჯარი შეაგროვა სასწრაფოდ და სამი დღის შემდეგ მდინარე არაქსთან დაეწია თურქებს. ქართველებმა თითქმის მთლიანად გაანადგურეს თურქთაA ჯარი. 1373 წელს თურქებმა კიდევ ერთხელ დალაშქრეს საქართველო. ქართველებმა ბრძოლა ჯავახეთში სოფელ ალასტანთან გაუმართეს მათ. ამ ბრძოლაში გარდაიცვალა ,,პროვინციის" მეფე გიორგი ალასტანელი და ქსნის ერისთავი - ქვენიფნეველი. თუმც, ეს არ იყო ქართველთა გადამწყვეტი დამარცხება. საქართველო ჯერ ძლიერი სახელმწიფო გახლდათ, მაგრამ 1386 წელს ვითარება მკვეთრად შეიცვალა, როდესაც საქართველოს თემურ-ლენგი შემოესია.

თემურ-ლენგის ლაშქრობები საქართველოში

<u>თემურ-ლეგნი და მისი სახელმწიფო.</u> XIII-XIV საუკუნეებში მონღოლები ჩამოსახლდნენ შუა აზიაში და შეერივნენ თურქული მოდგმის ადგილობრივ მოსახლეობას, რომლისგანაც შეითვისეს მათი ადათ-წესები და მიიღეს ისლამი. XIV

საუკუნის შუა ხანებისთვის შუა აზიის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი გათურქებული მონღოლები იყვნენ. ეს ტერიტორია ჩინგიზ ყაენის ვაჟის, ჩაღატას, მემკვიდრეებს ერგოთ. ამ მემკვიდრეებს შორის დაიწყო შინაომები, რომლის შედეგადაც შუა აზიის ტერიტორიაზე რამდენიმე დამოუკიდებელი თურქულ-მონღოლური სახელმწიფო წარმოიშვა. ამათგან ერთ-ერთი იყო მავერანაჰრი, რომლის ცენტრად იქცა ქალაქი სამარყანდი. მავერანაჰრში ძირითადად ცხოვრობდნენ ბარლასთა ტომის გათურქებული მონღოლები. 1336 წელს ბარლასთა ტომის ბელადს, თარაღაი ბეგს, შეეძინა ვაჟი, სახელად დაარქვეს თემური, იგი თემურ ლენგის სახელითაა ცნობილი. ის ძლიერი დამპყრობელი გახდა და შექმნა უზარმაზარი სახელმწიფო.

თემურმა ახალგაზრდობაშივე შემოიკრიბა თავზეხელაღებული მეომრები და ხან მეზობელ სამფლობელოებს ესხმოდა თავს, ხან ვაჭართა ქარავნებს ძარცვავდა. თემური თავიდანვე ჩანდა, რომ ცბიერი პოლიტიკოსი იქნებოდა და მიზნის მისაღწევად ნებისმიერ საშუალებას მიმართავდა. თავიდან იგი 1362 წელს სამარყანდის მაშინდელი მფლობელის, თუღლუყ ხანის, სამსახურში შევიდა. მაგრამ მალე მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდა და ამის შემდეგ ის თუღლუყის მოქიშპე ბალხის ხანის - ჰუსეინის სამსახურში გადავიდა. მან მალე ჰუსეინის და შეირთო ცოლად, რითიც მისი ნდობა მოიპოვა. თემური იმავე, 1362 წელს, ერთ-ერთ ბრძოლაში ფეხში ძალიან მძიმედ დაიჭრა და დაკოჭლდა. მას შემდეგ ეწოდა ლენგი, რაც სპარსულ-ტაჯიკურ ენაზე კოჭლს ნიშნავს. მალე მან მიიღო ემირის ტიტული.

თემურ ლენგი იყო სასტიკი, დაუნდობელი მმართველი, რომელიც სადისტურად უსწორდებოდა ყველას, ვინც გზაზე გადაეღობებოდა. ის ჩინგიზ ყაენის იმპერიის აღდგენაზე ოცნებობდა. ამიტომ გადაწყვიტა, პირველ რიგში, მთელი შუა აზია გაეერთიანებინა. 1372 წელს მან დაიპყრო მეზობელი ხორეზმის სახანო. ამის შემდეგ დაიწყო 15-წლიანი ომი ოქროს ურდოს მბრძანებელ თოხთამიშთან, რომელიც მისი მთავარი მეტოქე გახდა. მრავალგზის ლაშქრობის შემდეგ მან გაანადგურა მთელი ვოლგისპირეთი და შეარყია ოქროს ურდოს ძლიერება. მან ქალაქ ისპაჰანის აღების შემდეგ 70 000 ადამინს თავი მოკვეთაA და მათგან გორაკი აღმართა. ინდოეთში 100 000 ადამიანი ამოხოცა სრულიად უმიზეზოდ მათი ცოლ-შვილის თვალწინ. ქალაქ ისფაზარში კოშკის მშენებლობისას 2 000 ადამიანი ცოცხლად ჩააყოლა შიგ. სივას აღების შემდეგ კი თემურ ლენგმა 4 000 სომეხი ცოცხლად დაამარხვინა მიწაში.

1380-1385 წლებში მან დაიპყრო ავღანეთი და ირანი. მოგვიანებით ილაშქრა ინდოეთში და დაანგრია ქალაქი დელი. 1386 წლისთვის ის ამიერკავკასიას მოადგა. 1386-1403 წლებში თემურ ლენგმა რვაჯერ ილაშქრა საქართველოში და ათეულ ათასობით ქართველი ამოხოცა, 60 000 კი ტყვედ წაიყვანა. თემურ ლენგმა 1402 წელს ანკარასთან დაამარცხა თურქ-ოსმალები და სამარყანდში დაბრუნდა. ის ჩინეთზე სალაშქროდ ემზადებოდა, მაგრამ არ დასცალდა - 1405 წელს გარდაიცვალა. გაუგონარი სისასტიკითა და დაპყრობითი ომების შედეგად შექმნილი სახელმწიფო თემურ ლენგის გარდაცვალებისთანავე დაიშალა.

Nთემურის მემკვიდრეებიდან ყველაზე ცნობილი იყო მისი შვილიშვილი - ულუგ ბეგი, რომელიც მავერანაჰრს განაგებდა.

<u>თემურ-ლენგის საქართველოში ლაშქრობათა გამომწვევი მიზეზები</u>. თემურ ლენგის საქართველოში ლაშქრობებთან დაკავშირებით არსებულ წყაროებს შორის გარკვეული აზრთა სხვადასვაობაა ამა თუ იმ ფაქტთან დაკავშირებით. ამიტომაც, ჩვენც სიფრთხილით ვეკიდებით ამ საკითხების გაშუქებას. ბევრ საკითხში ჩვენ უფრო სანდოდ ბერი

ეგნატაშვილისის ,,ახალი ქართლის ცხოვრება'' გვესახება, რომელსაც ძირითადად ეყრდნობა, აგრეთვე, დიდი ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილიც. მაგრამ, ფარსადან გორგიჯანისძესთან დაცულია ისეთი ცნობებიც, რომელიც სხვა წყაროებში დაფიქსირებული არაა. ამიტომაც მისი გათვალისწინება აუცილებელია. Aაღნიშნულ საკითხს საგანგებოდ შეეხო მარი ბროსსეც თავის ,,საქართველოს ისტორიაში''. ამ საკითხთან დაკავშირებით, ასევე, მნიშვნელოვანია შერიფ ედდინ ალი იეზდის ნაშრომი და თომა მეწობელის ,,ლანგ-თემურის ისტორია'' და სხვ. თემურ ლენგის საქართველოში ლაშქრობებთან დაკავშირებით არაერთი მოსაზრება არის გამოთქმული თანამედროვე ისტორიოგრაფიაშიც.

თემურ ლენგის კარის მემატიანის შერეფ ადდინ ალი იეზდის აზრით თემურის საქართველოში ლაშქრობების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახლდათ სარწმუნოებრივი მოტივაციები. ერთ-ერთი პირველი, ვინც კრიტიკულად მიუდგა ადდინ ალი იეზდის მიერ შემოთავაზებულ თემურ ლენგის ლაშქრობათა მიზეზების ახსნას, გახლავთ მარი ბროსსე. იგი მიიჩნევს, რომ თემურ ლენგს ამ შემთხვევაში პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდა, რადგან საქართველო მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურად დასუსტებული იყო, მაინც მნიშვნელოვან პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. ჩვენი აზრით, სწორედ მარი ბროსსეს მოსაზრება გახლავთ ყველაზე უფრო მართებული, თუმც ამას ჩვენ მივამატებთ იმასაც, რომ თემურ ლენგის საქართველოში ლაშქრობათა მიზეზები გარდა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ერთეულის მნიშვნელობისა, გამოწვეული იყო საქართველოს გეოსტრატეგიული მნიშვნელობით, სტრატეგიული მნიშვნელობის გადმოსასვლელებზე კონტროლით, რასაც ასე ეფექტურად იყენებდნენ ქართველი მეფეები იგივე თემურ ლენგის წინააღმდეგაც და ამას ემატებოდა საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის თემურის გეგმებთან წინააღმდეგობაში მოსვლა. კერძოდ ის, რომ საქართველო, რომელიც ნიკოფსიიდან დარუბანდამდეა გადაჭიმული და მას ემორჩილება მისი ყველა ყმადნაფიცი, ისევ ცდილობს თავისი ზეგავლენა გაავრცელოს მთელ კავკასიაზეც. ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს შექმნა, რომელიც ანგარიშგასაწევი პოლიტიკური ერთეული იქნებოდა მთელ ამ სივრცეში, მსოფლიო იმპერიის შექმნის იდეით შეპყრობილ თემურ ლენგს, ბუნებრივია, ერთ-ერთ მთავარ გადასალახავ წინააღმდეგობად დაესახებოდა.

<u>თემურ-ლენგის ლაშქრობები საქართველოში</u>. თემურ ლენგი საქართველოში 1386 წლის გვიან შემოდგომაზე შემოიჭრა. ამ დროს კავკასიონზე უკვე თოვლი იდო და თოხთამიშს ბაგრატის დახმარება გაუჭირდა. ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე წერს, რომ თემურ ლენგმა თბილისის აღებისას ზარბაზნები გამოიყენაო. თემურ ლენგმა შეძლო თბილისში შესვლა. მისივე გადმოცემით, მეფე ბაგრატი ზედა ციხეში გამაგრებულა და იქიდან განაგრძობდა დაპირისპირებას. თუმც, საბოლოოდ მეფე ბაგრატი ,,უვნებლობის ფიცისა და პირის'' დადების შემდეგ თემურ ლენგს ჩაბარდა. სპარსული წყაროებიდან ზუსტად არ ჩანს, რამდენი ხანი მოანდომა თემურ ლენგმა თბილისის აღებას, მაგრამ ის კი ჩანს, რომ მას ქალაქი იოლად ვერ აუღია. ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად, თბილისის ალყა 6 თვეეს გაგრძელებულა, რაც, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს სწორი იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ, თუკი თემურ ლენგი გვიან შემოდგომაზე შემოვიდა საქართველოში, როდესაც კავკასიონზე უკვე თოვლი იდო, რომ თოხთამიშს ბაგრატისათვის დახმარება არ აღმოეჩინა, გამოდის, რომ იგი საქართველოში შემოსულა სადღაც ოქტომბრის ბოლოს ან ნოემბრის თვეში და აქედან ექვსი თვე გამოდის, რომ მთელი ზამთრის განმავლობაში მიმდინარეობდა თითქოს თბილისის აღებისათვის ბრძოლა. არადა, თითქმის ყველა

წყაროში მითითებულია, რომ თემურ ლენგმა თბილისის აღების შემდეგ ზამთარი გაატარა ყარაბაღში, სადაც მას თან ჰყავდა დატყვევებული მეფე ბაგრატი. ამრიგად, თემურ ლენგს 6 თვე ნამდვილად არ მოუნდომებია თბილისის ასაღებად, თუმც მისი აღება მას ძალიან გასჭირვებია. მიქელ პანარეტოსის თანახმად, თემურ ლენგმა 1386 წლის 21 ნოემბერს აიღო თბილისი. ტყვედ ჩავარდა მეფე ბაგრატი, დედოფალი ანა და უფლისწული დავითიც. დამპყრობლებმა თბილისი გადაწვეს და გაძარცვეს, წაიღეს აურაცხელი სიმდიდრე და მათ შორის ქართველი მეფეების საყოველთაოდ ცნობილი ბიბლიოთეკა. თბილისის აღების შემდეგ თემურმა თავისი რაზმები ქვეყნის ასაოხრებლად სხვადასხვა მიმართულებით გაგზავნა.

ამ ენით აღუწერელი სისასტიკის შემდეგ თემურ ლენგი გამოსაზამთრებლად ყარაბაღში დაბანაკდა. მას აქვე ჰყავდა დატყვევებული ბაგრატ V. ბაგრატმა მოჩვენებით მიიღო მაჰმადიანობა და ამ გზით თავი გაითავისუფლა. სინამდვილეში ძალიან წუხდა თემურ ლენგის მიერ საქართველოში დატრიალებული უბედურებების გამო და გეგმავდა მასზე შურისძიებას. საქართველოში წამოსულ ბაგრატ V-ს თემურ-ლენგმა თან თავისი 12 000 მეომარი გამოატანა. ბაგრატი დაუკავშირდა თავის ვაჟს გიორგის, შეატყობინა, თუ სად უნდა ჩასაფრებოდნენ ქართველები მტერს. გიორგიმ ზუსტად შეასრულა ჩანაფიქრი ,,...და მიეტევნეს ქართველნი, ვითარცა ლომნი, და იქმნა ბრძოლა ძლიერი. მოსრეს და ამოსწყჳტეს სრულიად თათარნი. და მოკუდა კაცი თორმეტი ათასი თათართაგანი, და არარა ევნო სპათა საქართველოსათა. და იძიეს შური პირველი. და წარვიდა თჳსად მეფე ბაგრატ და ძე მისი გიორგი გამარჯუებული".

ქართველებმა მტრის ლაშქარი მთლიანად გაანადგურეს. ცხადი იყო, რომ თემური შურს იძიებდა და ბაგრატ V-მ მზადება დაიწყო. მოსახლეობა მთაში გახიზნა, ჯარი კი საომრად მოამზადა. 1387 წელს თემურ-ლენგი მეორედ შემოიჭრა საქართველოში. მემატიანეს თქმით დიდი ომი გაუმართეს მას ქართველებმა ,,და ვითარცა მოიწია ლანგ-თემურ საქართველოსა შიგან, დახუდეს მეფე ბაგრატ და ქართველნიცა შეყრილნი. და მიეტევნეს ერთმანერთსა, და იქმნა ბრძოლა ძლიერი, და მოისრა იმიერ და ამიერ კაცი ურიცხჳ...".

მართალია, თემურ ლენგმა დაამარცხა ქართველები, თუმცა ქვეყნის სიღრმეში აღარ შემოსულა, რადგან დასაპყრობი ჰქონდა ირანის დიდი ნაწილი. გარდა ამისა, აზერბაიჯანში თოხთამიში იყო შემოჭრილი.

ამ ლაშქრობის შემდეგ თემურმა დატოვა საქართველო და 7 წელი აღარ გამოჩენილა. 1394 წელს თემურ-ლენგი კვლავ მოადგა საქართველოს. ამ დროს საქართველოს მეფე გიორგი VII იყო.

<u>გიორგი VII (1393_1407 წწ.)</u>. 1393 წელს გარდაიცვალა ბაგრატ V და ტახტზე ავიდა მისი ძე გიორგი VII. სწორედ მას მოუხდა სასტიკი ბრძოლები თემურ-ლენგთან. მეფე გიორგიმ VII-მ მთელი საქართველო ,,იმერნი და ამერნი" ,,დაიპყრა", რასაც 1394 წელს თემურ ლენგის მესამე ლაშქრობა მოჰყვა საქართველოში.

ბერი ეგნატაშვილის თანახმად, თემურ ლენგს შემოუთვლია მეფე გიორგისათვის ,,მე ვარ მეფე შენი და მოვედ ჩემდა და შემომრიგდი, და მოგცემ საბოძვარსა მრავალსა და დიდად პატივ-გცემ; და უკეთუ არა მორჩილ მექმნები, უბრძანებ ლაშქართა ჩემთა და მოვაოჯრებ სრულიად ქუეყანასა შენსა". თემურ ლენგის მოციქულს გიორგიმ ასეთი პასუხი გასცა ,,მე მეფისა შენისა უმცირესი არა ვარ, და არცა ძალ-უც მოოჯრება ქუეყანისა ჩემისა და, ვინათგან უთქუამს, უკეთუ არა აღასრულოს საქმე ეგე, იყოსმცა დიაცი და არა კაცი".

ბერი ეგნატაშვილის თქმით: თემურ ლენგმა თითქოს ამ ლაშქრობის დროს აიღო თბილისიც

თემურ ლენგის მიერ თბილისის მეორედ აღება უნდა მომხდარიყო 1387 წელს, როგორც ამას ვარაუდობს ვახუშტი ბატონიშვილიც. რადგან, 1394 წელს თემურ ლენგის საქართველოში მოწყობილი ორი ლაშქრობა კონკრეტულ მიზნებს ისახავდა. პირველი ლაშქრობა, რომელიც სამცხის დასარბევად იყო გამიზნული, უფრო მეტად ნადავლის მოპოვებას ისახავდა მიზნად. მეორე ლაშქრობა, რომელიც არაგვის ხეობის ,,მოოხრებით'' დასრულდა, იმ ჩრდილო კავკასიური გადმოსასვლელების საიმედოდ ჩაკეტვას გეგმავდა, საიდანაც გადმოდიოდა თემურ ლენგის დაუძინებელი მტერი - ოქროს ურდოს ყაენი თოხთამიში. ამიტომაც, 1394 წელს თემურ ლენგს თბილისი არ უნდა ეღო. 1387 წელს კი თემურ ლენგის ლაშქრობის მთავარი მიზეზი იყო ის შურისძიება, რომელიც მას მეფე ბაგრატისადმი ამოძრავებდა 12 000 ჯარის ქართველთა მიერ ამოხოცვის გამო. ამიტომაც თემური არა სტარატეგიული ობიექტების, არამედ უფრო მეტად საქართველოს პოლიტიკური ცენტრის აღებით იქნებოდა დაინტერესებული, რადგან ქართველთათვის ეს უფრო მეტად ,,გულში ლახვრის ჩარტყმად'' აღიქმებოდა. ეს კი მტარვალ თემურ ლენგს ჭეშმარიტ შურისძიებად მოეჩვენებოდა.

1394 წელს თემურ-ლენგის სარდლებმა დალაშქრეს სამცხე და ახალციხე აიღეს. იმავე წლის შემოდგომაზე კი თავად თემურმა არაგვის ხეობაში ილაშქრა. ქართველებმა ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს, მაგრამ თავადაც დიდად დაზარალდნენ.

1395 წელს თემურ ლენგი ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდა. მდინარე თერგის პირას ბრძოლა გაიმართაA თემურსა და თოხთამიშს შორის. ოქროს ურდოს ყაენი დამარცხდა და მისი ჯარი ბრძოლის ველიდან გაიქცა. თემურ-ლენგმა საგანგებოდ დალაშქრა ჩრდილოეთ კავკასიის კალთებზე მცხოვრები ხალხები. დაანგრია იქ ქრისტიანული ტაძრები და მოსახლეობაში ძალით დაიწყო ისლამის გავრცელება. აქამდე ქრისტიანული ჩრდილოეთ კავკასია საქართველოსთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული, ამის შემდეგ კი ვითარება მკვეთრად შეიცვალა. გამარჯვებული თემურ-ლენგი შუა აზიაში დაბრუნდა, საიდანაც ინდოეთის დასაპყრობად გაემგზავრა.

თემურის ინდოეთში ლაშქრობით ისარგებლა გიორგი VII-მ და აზერბაიჯანში ილაშქრა. უკვე რამდენიმე წელი იყო, რაც თემურ-ლენგის ჯარებს ალყა ჰქონდათ შემორტყმული ალინჯის ციხისთვის. ქართველებმა დაამარცხეს მოალყეები. მეციხოვნეებს სურსათი და იარაღი დაუტოვეს, გარნიზონი გააძლიერეს და ციხის დაცვა ქართველ აზნაურებს მიანდეს (ქართველებმა ალინჯის ციხიდან თან წამოიყვანეს იქ თავშეფარებული უფლისწული თაჰერი. თაჰერი თემურ-ლენგის მიერ ერაყის ტერიტორიაზე განადგურებული სახელმწიფოს უფლისწული იყო). ქართველთა ლაშქარმა მოარბია ახლო მდებარე სანახები და დიდი ალაფი იგდო ხელთ.

ინდოეთის დამორჩილების შემდეგ თემურ-ლენგი საქართველოსკენ გამოემართა. 1399 წელს იგი კახეთ-ჰერეთში შეიჭრა და ერთი თვე აოხრებდა და არბევდა ქართველებს. 1400 წელს თემურ-ლენგი 100 000 ჯარით კვლავ დაიძრა საქართველოსკენ. მან გიორგი VII-ს უფლისწულ თაჰერის გადმოცემა მოსთხოვა. გიორგის მკვახე უარი უთქვამს. ფარსადან გორგიჯანიძის თანახმად, მეფე გიორგიმ თემურ ლენგს შეუთვალა ,,არ არის ჩვენი ნათესავთ წესიო, რომ შეხვეწილი კაცი ვისმე მივსცეთო''. საპასუხოდ შარაფ ად-დინ ალი იეზდის ცნობით, თემურ ლენგმა თავის მებრძოლებს უბრძანა, რომ ,,საღვთო ომად მკლავი აღემართათ ბოროტსა და ცდომილ ხალხზე, მათი სადგომ-საცხოვრებელი გაენადგურებინათ, ხოლო ხეები და ყანები კი ძირიანად ამოეთხარათ მოსული ნაყოფითა

და მოწეული თავთავიანად". თემურ ლენგმა გოგჩის ტბასთან მედგარი წინააღმდეგობისა და თავდადებული ბრძოლის მიუხედავად დაამარცხა ქართველები. საბოლოოდ კი მტრის რიცხობრივმა უპირატესობამ გადაწყვიტა ბრძოლის სასწორის ბედიც. ქართველები დამარცხდნენ. ქართველთა ამ დამარცხების მიზეზად სომეხი ისტორიკოსი თომა მეწობელი ღალატით ხსნის. იგი წერს, რომ ქართველები ,,ქურდულად გაეყარნენ მეფეს და წავიდნენ ბოროტ მფლობელთან, რომელსაც ტყეში მიმავალი გზები უჩვენეს".

1401 წელს თემურ-ლენგი კვლავ მოადგა საქართველოს საზღვრებს. მან გიორგის მორჩილება და ხარკის გადახდა მოსთხოვა. ამ დროისთვის თემურს 11-წლიანი ალყის შემდეგ ალინჯის ციხე უკვე აღებული ჰქონდა. გიორგიმ თემურ-ლენგთან ელჩად თავისი ძმა - კონსტანტინე გაგზავნა. დაიდო ზავი, რომლის პირობითაც საქართველო იხდიდა ხარკს; საჭიროების შემთხვევაში უნდა გამოეყვანა ჯარი; ქართველები ვალდებული იყვნენ, დაეცვათ მუსლიმები და ქრისტიანული რიტუალები აშკარად არ უნდა შეესრულებინათ მუსლიმურ ქვეყნებში. თემურ-ლენგი სანაცვლოდ ქართველებს ქრისტიანობის შენარჩუნებას ჰპირდებოდა.

ამ დროისთვის ვითარება შეიცვალა მცირე აზიაში. დიდ წარმატებას მიაღწიეს ოსმალებმა. თურქ-ოსმალთა სახელმწიფოს XIII ს-ის ბოლოს საფუძველი ჩაუყარა ოსმან-ბეიმ. მანვე დაუდო სათავე ოსმანთა დინასტიას და ამ სახელმწიფოსაც ოსმალეთი (იგივე თურქეთი) ეწოდა. XIII საუკუნეში ოსმალებმა ნელ-ნელა დაიკავეს მცირე აზია და გადავიდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე.

1402 წელს თემური ოსმალთა წინააღმდეგ დაიძრა. მემატიანის თქმით: ,,დაიჭირა ბურსას მჯდომი ხონთქარი, რომელსა სახელად ეწოდებოდა ბაიაზით. ოსმალთა ამ დამარცხებით კონსტანტინოპოლის დაცემა მთელი 50 წლით გადაიდო. ამ დროს თემურ ლენგს შეატყობინეს, რომ თორთუმის ციხეში 200 ქართველი იყო გამაგრებული, ისინი არც ხარკს იხდიდნენ და მუსლიმებსაც ავიწროებდნენ. ციხის წინააღმდეგ 25 000-იანი ჯარი გაიგზავნა. ციხის აღება მხოლოდ მეექვსე დღეს მოახერხეს მოალყეებმა. ცოცხლად გადარჩენილი მეციხოვნეები აკუწეს და ციხე დაანგრიეს. იმავე წელს თემურმა დაამარცხა და ტყვედ ჩაიგდო ოსმალთა სულთანი ბაიაზეთი.

1403 წელს თემურ-ლენგი მერვედ შემოიჭრა საქართველოში. გიორგი VII-მ სცადა მოლაპარაკება. ორი წლის წინ თემურ-ლენგს თავად სურდა საქართველოსთან ზავის დადება, რადგან მას ოსმალები ჰყავდა დასამარცხებელი.

თემურ-ლენგი პირველად ბირთვისის ციხეს მიადგა, რომელიც დიდი ბრძოლების შედეგად აიღო. ნეზამ ად-დინ შამი, რომელიც პირადად ესწრებოდა ბირთვისის ციხის აღებას, წერს, რომ ,,ქვეყნიერების მომვლელი მოგზაურები უფრო ძლიერსა და მიუვალ ციხეს ვერ ასახელებდნენ, ხოლო ძლევამოსილი მოლაშქრეები, რომლებსაც ათასობით სიმაგრე დაეპყროთ სხვადასხვა კუთხეში, ერთხმად აღიარებდნენ, რომ ამაზე უფრო ძლიერი ციხე ჯერ არსად შეგვხვედრიაო". დიდი ბრძოლების შედეგად აიღო მიუვალი ციხე. ამის შემდეგ თემურ-ლენგი დასავლეთ საქართველოში გადავიდა. აოხრდა და განადგურდა საქართველოს ეს მხარეც. ქართველები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ მტერს. თემურ-ლენგს უჭირდა წინსვლა. დამპყრობლები იმერეთსაც კი ვერ გასცდნენ. ამასობაში კი ზამთარი მოახლოვდა. თოვლი თემურ-ლენგის ჯარს დასავლეთ საქართველოში ჩაკეტავდა, ეს კი ძალზე სახიფათოO იყო. ასეთ პირობებში თემური დათანხმდა ზავს. ახალი ზავის პირობებით საქართველო ხდებოდა ვასალური ქვეყანა. ქართველები იხდიდნენ გადასახადს. საქართველოს თემურ-ლენგის მოთხოვნით უნდა

გამოეყვანა დამხმარე ჯარი, სამაგიეროდ თემურმა საქართველო ცნო ქრისტიანულ სახელმწიფოდ. ეს ქართველი ერის მნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო.

ამის შემდეგ თემურს საქართველოში აღარ ულაშქრია. 1405 წელს თემურ-ლენგი გარდაიცვალა. მის მიერ შექმნილი სახელმწიფო მალევე დაიშალა.

თემურ-ლენგის ლაშქრობებმა უმძიმესი დარტყმა მიაყენა საქართველოს. აოხრდა და განადგურდა თითქმის მთელი ქვეყანა. თემურ-ლენგის ურდოები კაფავდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ ბაღ-ვენახებს., ჭრიდნენ ხეებს, ანგრევდნენ ეკლესია-მონასტრებს, სოფლებს, ქალაქებს, სასტიკად უსწორდებოდნენ მოსახლეობას. განადგურდა მეურნეობა, მოიშალა ქვეყნის მართვა-გამგეობა, უაღრესად დასუსტდა სამეფო ხელისუფლება. იმის აშენებას და აღდგენას, რაც თემურ-ლენგმა დაანგრია ხანგრძლივი დრო და მშვიდობა სჭირდებოდა. ყველაფერი კი პირიქით მოხდა. საქართველოს საზღვრებთან ერთ დამპყრობელს მეორე ცვლიდა და მშვიდობიანი აღმშენებლობის პერიოდი აღარ დადგა. თემურ-ლენგის შემოსევებმა წელში გატეხა საქართველო. ამის შემდეგ ქვეყანამ ფეხზე დადგომა ვეღარ შეძლო.

საქართველო XV საუკუნის პირველ ნახევარში

თემურ-ლენგის გარდაცვალების შემდეგ გიორგი VII-ს საშუალება მიეცა აქტიურად ემოქმედა. მეფემ საქართველოს საზღვრებთან მყოფ თურქმანებს შეუტია (თურქმენები ამ დროს სამხრეთ აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიაზე მომთაბარეობდნენ). გიორგიმ კავშირი დაამყარა შირვანშაჰთან და მათ თურქმანების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა გადაწყვიტეს. გიორგი VII თურქმანებთან ბრძოლაში დაიღუპა 1407 წელს.

სამეფო ტახტი გიორგი VII-ს ძმამ კონსტანტინე I-მა (1407_1411) დაიკავა. ამ დროისათვის ძლიერდება შავბატკნიან თურქმანთა ბრძანებელი ყარაიუსუფი (შავი იუსუფი). შავბატკნიან
თურქმანთა აგრესიული ზრახვები სამხრეთ კავკასიისკან იყო მიმართული. მათგან თავის დასაცავად საქართველოს მეფე კონსტანტინე I-მა, შირვანშაჰმა და შაქის მმართველმა კოალიცია შექმნეს. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 1412 წელს. ყარა-იუსუფმა გაიმარჯვა, კონსტანტინე ტყვედ ჩავარდა. მეფესთან ერთად ტყვედ ჩავარდა 300 აზნაური. კონსტანტინეს ტყვეობაში მეტად ამაყად ეჭირა თავი. ამან ძალიან აღაშფოთა და გააღიზიანა ყარა-იუსუფი. მისი ბრძანებით საქართველოს მეფეს თავი მოკვეთეს.

1412 წელს გამეფდა კონსტანტინე I-ის შვილი ალექსანდრე I (1412_1442). ალექსანდრეს ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი იყო სამეფო ხელისუფლების გაძლიერება და სეპარატისტულად განწყობილ ფეოდალთა დამორჩილება. განსაკუთრებით აქტიურობდა ივანე ათაბაგი, რომელიც საქართველოდან სამცხე-საათაბაგოს გამოყოფას აპირებდა. ივანე მხოლოდ პოლიტიკური დამოუკიდებლობისთვის არ იბრძოდა. იგი ცდილობდა სამცხე-საათაბაგო ეკლესიურადაც მოეწყვიტა ერთიანი საქართველოსაგან. ალექსანდრე I-მა შეიპყრო გამდგარი ათაბაგი და სამცხე დაიმორჩილა. ალექსანდრე დასავლეთ საქართველოშიც გადავიდა და იქაური მთავრებიც (დადიანი, შარვაშიძე) დაიმორჩილა.

XV საუკუნის 30-იან წლების დასაწყისში ალექსანდრე I-მა ლორე გაათავისუფლა თურქმანთაგან.

ალექსანდრე I ცდილობდა აღედგინა თემურ-ლენგის დროს დანგრეული ქალაქები, სოფლები, ციხე-სიმაგრეები და ეკლესია-მონასტრები. ამ მიზნით 1425_1440 წლებში

საქართველოში დაწესებული იყო სპეციალური გადასახადი (კომლზე 40 თეთრი). შემოსული თანხები ქვეყნის აღდგენას ხმარდებოდა.

ალექსანდრე I ცდილობდა მოკავშირეები მოეძებნა. ერთ-ერთი ასეთი მოკავშირე იყო ეგვიპტე. საქართველოს და ეგვიპტეს საკმაოდ აქტიური დიპლომატიური ურთიერთობები ჰქონდათ ერთმენეთთან. ეგვიპტის სულთანი ხაზს უსვამდა იმას, რომ საქართველოში არ ჩაგრავდნენ და არ ავიწროებდნენ მუსლიმებს. თავის მხრივ, საქართველოს მეფე ანალოგიურ დამოკიდებულებას მოითხოვდა ქრისტიანებისადმი. სწორედ ამან განაპირობა, რომ იერუსალიმში არსებულ ქართულ მონასტრებს და იქ მყოფ ქართველ ბერებს ჰქონდათ საშუალება მშვიდობიანი საქმიანობისათვის.

<u>ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრება.</u> ალექსანდრე I-ის დროს მოეწყო ქართველთა პირველი ელჩობა დასავლეთ ევროპაში. 1438 წელს იტალიის ქალაქ ფერარაში გაიხსნა საეკლესიო კრება. კრების სხდომების ნაწილი ქალაქ ფლორენციაში გაიმართა, ამიტომ იგი ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების სახელითაა ცნობილი. საეკლესიო კრებას ესწრებოდნენ დასავლეთისა (კათოლიკური) და აღმოსავლეთის (მართმადიდებლური) ქრისტიანული ეკლესიის წარმომადგენლები. კრების მიზანი იყო ეკლესიათა გაერთიანება რომის პაპის - ევგენი IV-ის მეთაურობით. მასში მონაწილეობდნენ: საქართველოდან წარგზავნილი სასულიერო და საერო პირებიც; წარგზავნილებს შორის იყვნენ მიტროპოლიტი გრიგოლი და მანგლელ-თბილელი ეპისკოპოსი იოანე, ბიზანტიის იმპერატორი იოანე VII; რუსეთის მიტროპოლიტი ისიდორე (რომელმაც კრებაზე მხარი დაუჭირა უნიატურ შეთანხმებას. იგი შემდეგ რუსეთის კათალიკოსმა განკვეთაA და თავისი მოღვაწეობა დაასრულა კათოლიკურ ეკლესიაში კარდინალის ხარისხში) და სხვ.

დელეგაციათა დიდი ნაწილი, მათ შორის ბიზანტიის წარმომადგენლებიც, იძულებული გახდნენ ხელი მოეწერათ ეკლესიათა გაერთიანებისთვის. ბიზანტიიდან წარგზავნილებმა იმიტომ მოაწერეს ხელი ეკლესიათა გაერთიანების უნიას, რომ ევროპისგან დახმარების მიღებას ელოდნენ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მოლოდინმა არ გაამართლა. უნიის ხელმოწერამ იმპერიაში კიდევ უფრო დაძაბა ვითარება. ქართველმა დესპანებმა ხელი არ მოაწერეს გაერეთიანების აქტს. ისინი კრების მიმდინარეობისასაც გამოდიოდნენ ეკლესიათა გაერთიანების წინააღმდეგ. ქართველი ელჩების ყოფნას ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ ერთი, ქართველმა ელჩებმა დაიცვეს მართლმადიდებლური ეკლესიის ინტერესები, და მეორეც, ქართველები უშუალოდ გაეცნენ ევროპაში არსებულ ვითარებას და კარგად შეეძლოთ დაენახათ, თუ რა დახმარების გაწევა შეეძლო ევროპას საქართველოსთვის.

<u>კონსტანტინოპოლის დაცემა და მის მიერ გამოწვეული ცვლილებები.</u> კონსტანტინოპოლი პირველად დაეცა IV ჯვაროსნული ლაშქრობის დროს. ქალაქი ჯვაროსნებმა აიღეს 1204 წელს და ბიზანტიის ადგილზე ჩამოყალიბდა ჯვაროსნული სახელმწიფო _ ლათინთა იმპერია, რომელმაც 1261 წლამდე იარსება. მცირე აზიაში გადასულმა ბერძნებმა ადგილობრივ ხალხთან ერთად, რომლებიც ნიკეის სახელმწიფოში ერთიანდებოდნენ, დაიბრუნეს კონსტანტინოპოლი და აღადგინეს ბიზანტიის იმპერია. მაგრამ ძველი სიძლიერე და დიდება მას ვეღარ დაუბრუნეს.

უნდა ითქვას, რომ კონსტანტინოპოლის დაპყრობა მეტად მიმზიდველი იყო ყველა დამპყრობლისთვის, რადგან მასზე გადიოდა მსოფლიო მნიშვნელობის მქონე ორი დიდი სავაჭრო მაგისტრალი: 1. ევროპიდან სამხრეთ-დასავლეთ აზიისკენ მიმავალი გზა და 2. ხმელთაშუა ზღვის აუზიდან შავიზღვისპირეთისა და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებისკენ.

ოდესღაც ბიზანტიის იმპერია მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო ესპანეთიდან ირანამდე იყო გადაჭიმული, მაგრამ XV საუკუნის შუა ხანებისთვის ბიზანტიის იმპერატორთა ხელში მხოლოდ ქალაქი კონსტანტინოპოლი გახლდათ, რომელსაც რამდენიმე ბერძნული კუნძული და პატარა ოლქი ემორჩილებოდა მხოლოდ.

ისედაც დასუსტებული ბიზანტიის იმპერიას განადგურებით ემუქრებოდა ოსმალთაA სახელმწიფო, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა 1451 წლიდან, როცა ოსმალეთის სათავეში მოვიდა სულთან მეჰმედ II. სწორედ მან გადაწყვიტა აეღო კონსტანტინოპოლი და ამით საბოლოოდ დაესვა წერტილი ბიზანტიის სახელმწიფოსათვის. როგორც გიორგი ფრანძესი ამბობს თავის `დიდ ქრონიკაში'' მეჰმედ II ამბობდა: ,,ამ ქალაქის დაპყრობით (იგულისხმება კონსტანტინოპოლი) ყველა წინაპარს ვაჯობებ, რადგან ვერც ერთმა ვერ შეძლო ეს''.

ჯერ კიდევ 1452 წელს, ოფიციალურად ბიზანტიის კუთვნილებად გამოცხადებულ ბოსფორის სრუტის ევროპულ სანაპიროზე, მეჰმედ II-მ ააგო ციხესიმაგრე. მის პირდაპირ აზიურ ნაპირზე კი უკვე ჰქონდათ ოსმალებს აგებული ანალოგიური დანიშნულების ნაგებობა. იმის გამო, რომ ეს ორი ციხესიმაგრე აკონტროლებდა ბოსფორის სრუტის ყველაზე ვიწრო ნაწილს, ამით ოსმალებს ეძლეოდათ საშუალება, გაეკონტროლებინათ შავ ზღვაში შემავალ-გამომავალი ყველა გემი, რაც მათ პოლიტიკურ ზეგავლენასთან ერთად, ეკონომიკურ სიძლიერესაც ზრდიდა.

1453 წლის აპრილში მეჰმედ II დიდი ჯარით, რომელიც 200-300 ათას კაცს ითვლიდა, მიადგა კონსტანტინოპოლის კედლებს, რომელიც ხმელეთიდან და ზღვიდანაც ალყაში მოაქციეს. ოსმალებს, როგორც ისტორიკოსი აშიკ ფაშა-ოღლუ გვეუბნება თავის `ოსმანთა დინასტიის ისტორიაში'', 400-მდე ხომალდი გამოუყვნიათ ბიზანტიელების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ დროს ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე IX-ს მხოლოდ 7 000 მეომარი ჰყავდა: 5 000 ბერძენი და 2 000 იტალიელი მოქირავნე. ქალაქის დამცველთა საზღვაო ძალები 20-იოდე გემისგან შედგებოდა. ბრძოლა კონსტანტინოპოლის კედლებთან უკვე დაწყებული იყო, როდესაც ქალაქის დასახმარებლად მოვიდა 3 იტალიური და 1 ბიზანტიური ხომალდი, რომლებსაც ბოსფორის სრუტის შესასვლელთან ოსმალთა 150 გემისგან შემდგარი ფლოტი დაუპირისპირდა, მაგრამ იტალიელმა და ბერძენმა მეზღვაურებმა მოახერხეს ნავსადგურში შესვლა. მათ რამდენიმე ოსმალური გემიც კი ჩაძირეს. ომი კონსტანტინოპოლთან 2 თვეს გაგრძელდა. ოსმალებს კარგი არტილერია ჰყავდათ, რომელიცA ყოველდღე ბომბავდა კონსტანტინოპოლის კედლებს. უნდა ითქვას, რომ ოსმალების მრავალრიცხოვნობამ თავისი გაიტანა და საბოლოოდ 1453 წლის 29 მაისს სულთან მეჰმედ II-ის არმია კონსტანტინოპოლში შევიდა. მათთან უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორი კონსტანტინე IX. ოსმალები 3 დღე ძარცვავდენ ქალაქს. მოსახლეობის დიდი ნაწილი ამოწყვიტეს და 60 000 ადამიანი მონად აქციეს.

მეჰმედ II-მ კონსტანტინოპოლი, რომელსაც თურქები ისტანბულს (სტამბულს) ეძახდნენ, ოსმალების იმპერიის დედაქალაქად გამოცხადდა. თითქმის დაცარიელებულ ქალაქში მან მცირე აზიელი თურქები და ნაწილობრივ თავისი ქვეშევრდომი ბერძნები, სომხები და ებრაელები ჩააასახლა. მას შემდეგ კოსტანტინოპოლის ისტორია თურქეთის ისტორიის განუყოფელი ნაწილი ხდება.

<u>**დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების დაწყების მიზეზები.**</u> დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების დაწყება მიზეზთა გარკვეულ ჯაჭვთან არის დაკავშირებული. პირველ რიგში

მისი დაწყება განაპირობა იმ საერთაშორისო ვითარებამ, რომელიც შეიქმნა XV საუკუნის შუა ხანებში. კერძოდ, 1453 წელს ოსმალებმა აიღეს კონსტანტინოპოლი და ამით აღმოსავლეთისაკენ მიმავალი საზღვაო და სახმელეთო სავაჭრო გზები გადაკეტეს. ოსმალები იქცნენ ევროპის ბაზარზე აღმოსავლური საქონლის ერთადერთ მიმწოდებლებად, ანუ მონოპოლისტებად. შესაბამისად, კონკურენციის არქონის პირობებში მათ მიერ შემოტანილი საქონელი ევროპის ბაზარზე ძალიან გაძვირდა. ამან გამოიწვია ევროპის ეკონომიკური პოტენციალის გარკვეული დაქვეითება. ევროპელებმა დაიწყეს აღმოსავლეთთან და კერძოდ, ინდოეთთან დამაკავშირებელი ახალი საზღვაო გზების ძიება.

ევროპის სახელმწიფოებს სურდათ ანტიოსმალური კოალიციის მოწყობა, მაგრამ შიდა უთანხმოების გამო ეს ვერ მოხერხდა. ამრიგად, ოსმალების მიერ კონსტანტინეოპოლ-ის აღება და აღმოსავლეთისაკენ მიმავალი გზების გადაკეტვა გახლდათ დიდი გეოგრაფი-ული აღმოჩენების დაწყების ერთ_ერთი მთავარი მიზეზი.

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების დაწყებას ხელი შეუწყო ევროპაში მომხდარმა ტექნიკურმა პროგრესმაც. ამ პერიოდში მოხდა კომპასის სრულყოფა და გამოიგოვეს ახალი სწრაფმავალი გემები _ კარაველები, რომლებსაც არა მარტო ზურგის ქარის დროს, არამედ გვერდი ქარის დროსაც შეეძლო გადაადგილება. ევროპაში საკმაოდ განვითარდა სამხედრო ტექნიკა. XV საუკუნეში ევროპაში იყენებდნენ საალყო და საველე ზარბაზნებსაც. დაიხვეწა ხელით სასროლი იარაღი. ხმარებაში შემოვიდა მუშკეტები, რომლებიც 200 ნაბიჯზე ისროდნენ ზუსტად.

XV საუკუნეში ევროპაში საკმაოდ განვითარდა საქალაქო ცხოვრება. ტექნიკური მიღწევების (ახალი დაზგა-დანადგარების) მრეწველობაში დანერგვამ გამოიწვია მეტალურგიის განვითარება. დაიწყეს ქვანახშირისა და რკინის მადნის ამოღება.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები ჯაჭვისებურად გადაება ერთმანეთს, ამიტომ ევროპამ დაიწყო ახალი საზღვაო გზების მოძიებაზე ფიქრი, მით უფრო, რომ ის მზად იყო დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებისათვის. ეს მზადყოფნა იმაში გამოიხატებოდა, რომ ახალი გზების ძიების მიზეზსა და სურვილის გარდა, ამის რეალურად მიღწევის საშუალება და საჭიროებაც გააჩნდა. Eვროპელები, ალბათ, ვერც კი წარმოდგენდნენ, თუ რა დიდ წარმატებებს უქადდა მათ დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, რომ ამით გაიზრდებოდა არა მარტო გეოგრაფიული საზღვრები და აღმოჩნდებოდა ამერიკა, არამედ სამომვლოდ მკვეთრად შეიცვლებოდა მსოფლიო პოლიტიკაც.

საინტერესოა, რომ ევროპელები, კერძოდ კი, სკანდინავიელი ნორმანები, პირველად XI საუკუნის დასაწყისში გადასახლდნენ ისლანდიასა და გრელანდიაში და იქიდან გადავიდნენ ჩრდილოეთ ამერიკაში, მაგრამ ეს აღმოჩენა დანარჩენი ევროპისთვის ცნობილი არ გახდა და მალე ის სკანდინავიელებმაც მიივიწყეს. ამის მიზეზი ის იყო, რომ მისი სიშორის გამო ევროპა ჯერ არ იყო მზად ამერიკასთან ურთიერთობისთვის.

XV საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს საქართველოში მოვიდა ბიზანტიის იმპერიის უკანასკნელი იმპერატორის, კონსტანტინე XI-ის ელჩი, რომელმაც იმოერეტორისთვის გიორგი VIII-ის ასულის ხელი ითხოვა. მოსალოდნელი ქორწინება ჩაშალა იმპერიის დაცემამ. თვით იმპერატორი კი კონსტანტინოპოლის დაცვისას დაიღუპა.

ბიზანტიის დაცემამ და თურქეთის გაბატონებამ ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე საქართველო მოსწყვიტა ევროპას. ჩაიკეტა საქართველოს სამხრეთით გამავალი სავაჭრო გზაც. 1461 წელს ოსმალებმა ტრაპიზონი აიღეს. ვითარება

კატასტროფული გახდა მას შემდეგ, რაც 1475 წელს, ოსმალებმა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიც დაიკავეს. შავი ზღვა ,,ოსმალეთის ტბად" იქცა და ევროპასთან ყოველგვარი კონტაქტები შეწყდა. კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ ევროპელები იწყებენ აღმოსავლეთისაკენ (ინდოეთისაკენ) მიმავალი ახალი გზების ძიებას. ამან ბიძგი მისცა დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს. 1498 წელს პორტუგალიელი ზღვაოსანი ვასკო და გამა აფრიკის შემოვლით მივიდა ინდოეთში. მის შემდეგ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ძირითადი ვაჭრობა ამ საზღვაო გზით წარიმართა. სახმელეთო გზამ კი საქართველოდან კიდევ უფრო შორს, სამხრეთით, გადაიწია. საქართველო ამ გზებისგან მოწყვეტილი აღმოჩნდა.

ოსმალეთის გაბატონებამ შეცვალა საგარეო-პოლიტიკური ორიენტირებიც. ოსმალები ევროპისთვის უდიდეს მტრად იქცნენ. Yყველა, ვინც კი მათი რეალური მეტოქე იქნებოდა, მომავალში შეიძლება ევროპის მოკავშირე გამხდარიყო. ეს ადგილი დაიკავა ირანმა.

ბიზანტიის დაცემის შემდეგ მართლმადიდებლურ სამყაროში პირველობის პრეტენზია მოსკოვის სამთავრომ წამოაყენა. შემუშავდა ,,მესამე რომის" თეორია (,,მეორე რომი" კონსტანტინოპოლი იყო). ,,მესამე რომი" ანუ მოსკოვი, თავს ყველა მართლმადიდებლის მფარველად აცხადებდა და ამ უკანასკნელთა იმედებიც, გარკვეულწილად, მოსკოვს დაუკავშირდა. მონღოლთა ბატონობისაგან გათავისუფლების შემდეგ რუსეთი იწყებს ბრძოლას ტერიტორიული გაფართოებისთვის და სულ უფრო აქტიურად მოიწევს სამხრეთისაკენ.

ოსმალთა მიერ კონსტანტინოპოლისა და ტრაპიზონის აღების შემდეგ საქართველოს უდიდესი საფრთხე დაემუქრა. ქრისტიანული, მაღალკულტურული ბიზანტიის ნაცვლად საქართველოს დაუმეზობლდა მაჰმადიანური, უაღრესად აგრესიული სახელმწიფო _ ოსმალეთი.

საქართველო XV საუკუნის მეორე ნახევარში

<u>ცვლილებები საერთაშორისო ვითარებაში.</u> G1446 წელს საქართველოს სამეფო ტახტი დაიკავა ვახტანგ IV-ის ძმამ გიორგი VIII-მ. გიორი VIII-ის მეფობის პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა საერთაშორისო ვითარებაში. ამ ცვლილებებმა მძიმე შედეგები მოიტანა არა მარტო საქართველოსათვის, არამედ, გარკვეულწილად, გავლენა იქონია მთელს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ 1453 წლის 29 მაისს, 53 დღიანი ალყის შემდეგ, ოსმალებმა სულთან მეჰმედ II-ის წინამძღოლობით აიღეს კონსტანტინეპოლი. ბიზანტიის იმპერიამ არსებობა შეწყვიტა. ბიზანტიის იმპერატორები ცდილობდნენ გამოსავალი მოეძებნათ, მოკავშირეები ეპოვნათ, მაგრამ უშედეგოდ. XV საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს საქართველოში მოვიდა ბიზანტიის იმპერიის უკანასკნელი იმპერატორის კონსტანტინე XI-ის ელჩი, რომელმაც გიორგი VIII-ის ასული ითხოვა იმპეატორის საცოლედ. მოსალოდნელი ქორწინება ჩაშალა იმპერიის დაცემამ. თვით იმპერატორი კი კონსტანტინეპოლის დაცვისას დაიღუპა.

ბიზანტიის დაცემამ და თურქეთის გაბატონებამ ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე საქართველო მოწყვიტა ევროპას. ჩაიკეტა საქართველოს სამხრეთით გამავალი სავაჭრო გზაც. 1461 წელს ოსმალებმა ტრაპიზონი აიღეს. ვითარება კატასტროფული გახდა მას შემდეგ, რაც 1475 წელს ოსმალებმა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიც დაიკავეს. შავი ზღვა ,,ოსმალეთის ტბად" იქცა და ევროპასთან ყოველგვარი კონტაქტები შეწყდა. კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ ევროპელები იწყებენ აღმოსავლეთისაკენ

(ინდოეთისაკენ) მიმავალი ახალი გზების ძიებას. ამან ბიძგი მისცა დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს. 1498 წელს პორტუგალიელი ზღვაოსანი ვასკო და გამა აფრიკის შემოვლით მივიდა ინდოეთში. Aმის შემდეგ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ძირითადი ვაჭრობა ამ საზღვაო გზით წარიმართა. სახმელეთო გზამ კი საქართველოდან კიდევ უფრო შორს სამხრეთით გადაიწია. საქართველო ამ გზებისგან მოწყვეტილი აღმოჩნდა.

ოსმალეთის გაბატონებამ შეცვალა საგარეო-პოლიტიკური ორიენტირებიც. ოსმალები ევროპისათვის უდიდეს მტრად იქცნენ. Yველა, ვინც კი მათი რეალური მეტოქე იქნებოდა, მომავალში შეიძლება ევროპის მოკავშირე გამხდარიყო. ეს ადგილი დაიკავა ირანმა.

ოსმალთა მიერ კონსტანტინეპოლისა და ტრაპიზონის აღების შემდეგ საქართველოს უდიდესი საფრთხე დაემუქრა. ქრისტიანული, მაღალკულტურული ბიზანტიის ნაცვლად საქართველოს დაუმეზობლდა მაჰმადიანური, უაღრესად აგრესიული სახელმწიფო _ ოსმალეთი.

გიორგი VIII (1446-1466). ოსმალეთის მეზობლობა არც ისე საშიში იქნებოდა, საქართველო, რომ ძლიერი და მტკიცედ გაერთიანებული ქვეყანა ყოფილიყო. ყველაფერი კი საპირისპიროდ მოხდა. გიორგი VIII-ის დროს დაშლის პროცესი შეუქცევადი გახდა. სეპარატისტულ ზრახვებს ყველაზე მეტად კვლავ სამცხის მთავარი ყვარყვარე ჯაყელი ავლენდა. ყვარყვარე თითქმის აღარ ემორჩილებოდა გიორგი VIII-ს. მან კიდევ ერთხელ სცადა საქართველოს ეკლესიის მთლიანობის დარღვევა, მაგრამ კათალიკოს-პატრიარქი დავით IV ენერგიულად აღუდგა წინ ამ პროცესს და ეკლესიის ერთიანობა შეინარჩუნა.

XV ს-ის 50-იან წწ-ში ევროპაში დაიწყო დიდი ანტიოსმალური კოალიციის შექმნა. მასში მონაწილობა უნდა მიეღო ქართველებსაც. ამ მიზნით საქართველოში ჩამოვიდა რომის პაპის ელჩი ლუდოვიკო ბოლონიელი. გიორგი VIII-მ და ქართველმა მთავრებმა კოალიციაში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადეს და უკან გაბრუნებულ ლუდოვიკო ბოლონიელს თავიანთი ელჩები გააყოლეს.

ქართველი ელჩები შეხვდნენ უნგრეთის მეფეს, რომის საღვთო იმპერიის იმპერატორს, საფრანგეთის მეფეს (დაესწრენ ახალი მეფის ლუდოვიკო XI-ის კურთხევას), რომის პაპს და მილანის ჰერცოგს. მიუხედავად ამისა, ანტიოსმალური კოალიცია ვერ შედგა.

სანამ ანტიოსმალური კოალიციის შექმნის იმედი არსებობდა საქართველოს მეფე და მთავრები ერთმანეთს შორის მშვიდობიან ურთიერთობას ინარჩუნებდნენ. კოალიციის ჩაშლამ ეს მშვიდობა დაარღვია. 1462 წელს გიორგი VIII-ს აუჯანყდა იმერეთის ერისთავი ბაგრატი. 1463 წელს **ჩიხორის** ბრძოლაში მეფე დამარცხდა და ბაგრატმა თავი იმერეთის მეფედ გამოაცხადა. გიორგი VIII-ემ ვითარების გამოსწორება სცადა და სამცხის მთავრის ყვარყვარის წინააღმდეგ გაილაშქრა, მაგრამ 1465 წელს **ფარავნის** ბრძოლაში დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა. ამით ისარგებლა იმერეთის მეფემ ბაგრატმა, გადმოვიდა აღმოსავლეთ საქართველოში და თბილისი დაიკავა. იმ იმედით, რომ გიორგი და ბაგრატი ურთიერთბრძოლით დასუსტებოდნენ, ყვარყვარემ გიორგი გაათავისუფლა. გიორგი VIII კი 1466 წელს კახეთში გადავიდა და კახეთის მეფედ გამოაცხადა თავი.

საქართველოს სამხრეთით ერთმანეთს ებრძოდა თურქმანთაA ორი ტომი _ შავბატკნიანები და თეთრბატკნიანები. XV ს-ის II ნახევარში გაიმარჯვეს თეთრბატკნიანებმა. მათმა მმართველმა უზუნ-ჰასანმა ხუთჯერ ილაშქრა საქართველოში და დიდი ზიანი მიაყენა ქვეყანას. თუმცა, როცა თვით უზუნ-ჰასანს ჭირდებოდა, იგი საქართველოს მოკავშირედაც გამოდიოდა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში. 1466 წლიდან, მართალია, ბაგრატ VI ქართლ-იმერეთის მეფედ ითვლებოდა, მაგრამ იგი, ძირითადად, დასავლეთ

საქართველოში იყო. ქართლში გიორგი VIII-ის ძმისშვილი კონსტანტინე მეფობდა. XV ს-ის 70-იან წწ-ში ბაგრატმა ქვეყნის ერთიანობის საწინააღმდეგო ღონისძიება გაატარა და დასავლეთ საქართველო ეკლესიურად ჩამოაშორა მცხეთის საკათალიკოსო ტახტს.

M 1478 წელს ბაგრატ VI გარდაიცვალა. მისმა ძემ ალექსანდრემ ტახტის დაკავება ვერ შეძლო. ალექსანდრე ბაგრატის ძის წინააღმდეგ გამოვიდნენ დასავლეთ საქართველოს მთავრები. კონსტანტინე II ცდილობდა თავისი გავლენა აღედგინა დასავლეთ საქართველოში, მაგრამ ყვარყვარე ჯაყელთან განცდილმა მარცხმა საშუალება არ მისცა გაეგრძელებია ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის. 1483 წელს არადეთის ბრძოლაში ყვარყვარე ჯაყელმა დაამარცხა ქართლის მეფის ჯარი. ამით ისარგებლა ალექსანდრე ბაგრატის ძემ და იმერეთში თავი მეფედ გამოაცხადა. კონსტანტინე II არ აპირებდა შეგუებოდა ქვეყნის დაშლას. მან 1490 წელს თბილისში სამეფო დარბაზი მოიწვია და შეკრებილებს რჩევა კითხა. ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად დარბაზს ურჩევია მეფისთვის შეგუებოდა ქვეყნის დაშლას, ამის შემდეგ საქართველოს დაშლა ოფიციალურად გაფორმდა.

იმ დროს, როდესაც საქართველოს უდიდესი საგარეო საფრთხე დაემუქრა, ქვეყანა დაქუცმაცებული აღმოჩნდა: ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად ბაგრატიონებით სათავეში და სამცხის სამთავროდ ჯაყელების მეთაურობით.

ლექცია #VIII

საქართველო XVI საუკუნეში. ოსმალურ-ყიზილბაშური აგრესიის გაძლიერება. ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ

ქართლის სამეფო XVI საუკუნეში

კონსტანტინე II (1478-1505). ქართლს უმთავრესი საფრთხე XV საუკუნის ბოლოს თეთრბატკნიანი თურქმანებისგან ელოდა. მათ რამდენჯერმე დალაშქრეს ქართლი. კონსტანტინე II-ის მოწოდებას-ერთად ებრძოლათ მტრის წინააღმდეგ, ქართველი მეფე-მთავრები არ გამოეხმაურნენ. მიუხედავად ამისა, კონსტანტინემ ისარგებლა თურქმანთა შორის დაწყებული შინაომებით და მოახერხა მათი განდევნა ქართლიდან. კონსტანტინემ ელჩი გაუგზავნა ეგვიპტის სულთანს და ანტიოსმალურ კოალიციაში მონაწილეობის მიღება სთხოვა. კონსტანტინემ ასევე გაგზავნა ელჩები ესპანეთის მეფე ფერდინანდსა და დედოფალ იზაბელასთან. ქართველი ელჩები დიდი პატივით მიიღეს ესპანეთში და რომის პაპთანაც, მაგრამ რეალური დახმარება ქართლის მეფეს არ აღმოუჩინეს.

ამ დროს გაძლიერდა არდებილის (პროვინცია სამხრეთ აზერბაიჯანში) მფლობელი ისმაილი, რომლის მთავარი მოწინაარმდეგე თურქმანები იყვნენ. ისმაილმა დახმარება ქართლისა და კახეთის მეფეებსა და სამცხის მთავარს სთხოვა. ისმაილი ქართველებს შეჰპირდა, რომ გამარჯვების შემთხვევაში გაათავისუფლებდა მათ ხარკისაგან, რომელსაც ისინი თურქმანებს უხდიდნენ. გადამწყვეტ ბრძოლაში თურქმანთა წინააღმდეგ ისმაილის ჯარის ძირათად ნაწილს (9000 კაცს) ქართველები შედგენდნენ (სამ-სამი ათასი ქართლიდან, კახეთიდან და სამცხიდან), თავად ისმაილს მხოლოდ 7000 მეომარი ჰყავდა. ბრძოლა ისმაილის გამარჯვებით დამთავრდა. ყიზილბაშური ირანის პირველმა სეფიანმა შაჰმა ისმაილ I-მა (იგი არდებილის შეიხის სეფი ედ-დინის შთამომავალი იყო და იმოტომ იწოდებოდა სეფიანად) მალე უზარმაზარ ტერიტორიაზე, ამუ-დარიიდან ევფრატამდე, განავრცო თავისი ძალაუფლება.

დავით X (1505-1525). 1505 წელს ქართლში კონსტანტინე II-ის ძე დავით X გამეფდა. გამწვავდა ვითარება ქართლსა და კახეთს შორის. კახეთის მეფე გიორგი II-ემ (ავ-გიორგიმ) რამდენჯერმე ილაშქრა ქართლში. მის წინაარმდეგ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა დავით X-ის ძმა ბაგრატი. ბაგრატმა მეფისაგან საუფლისწულოდ მუხრანი ითხოვა და საფუძველი ჩაუყარა ბაგრატიონების მუხრანბატონთა შტოს. 1513 წელს ბაგრატი ჩაუსაფრდა ქართლში შემოსულ ავ-გიორგის, შეიპყრო იგი და ციხეში გამოკეტა, სადაც ის მალევე გარდაიცვალა. დავით X-ემ ისარგებლა გიორგის დატყვევებით და კახეთი დაიკავა, თუმცა სულ რამდენიმე წლით.

1518 წელს ყიზილბაშები ქართლში შემოიჭრნენ. დავით X-ემ წინააღმდეგობის გაწევა უაზროდ ჩათვალა და ირანელებთან დაზავება გადაწყვიტა. ქართლის მეფემ ყოველწლიური ხარკის გადახდა იკისრა. ქართლში შექმნილი მძიმე მდგომარეობით ისარგებლეს კახელმა თავადებმა და ავ-გიორგის ძე ლევანი გაამეფეს. დავით X-ემ ძალით სცადა კახეთის შენარჩუნება, მაგრამ მარცხი იწვნია. 1520 წელს ქართლში კვლავ შემოიჭრა ყიზილბაშები. დავითი მათთან ბრძოლაში დამარცხდა. მტერმა აიღო თბილისი და ქალაქში თავისი გარნიზორი ჩააყენა. ისმაილის გარდაცვალების შემდეგ დავით X-ემ ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით და თბილისი გაათავისუფლა. 1525 წელს დავით X ტახტიდან გადადგა და ბერად აღიკვეცა. წესისა და კანონის მიხედვით მეფე მისი ძე ლუარსაბი უნდა გამხდარიყო, მაგრამ ტახტზე დავითის ძმა გიორგი IX (1525-1527) ავიდა.

ლუარსაბმა იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის დახმარებით მოახერხა ქართლის ტახტზე ასვლა.

ლუარსაბ I (1527-1556). ქართლის მეფე ლუარსაბ I კარგად, ხედავდა რომ რამდენიმე ნაწილად დაშლილ საქართველოს უდიდესი საფრთხე ელოდა. ოსმალეთი და ირანი საქართველოს დაპყრობისათვის აქტიურად იბრძოდნენ. შექმნილ მდგომარეობაში აუცილებელი იყო მტკიცე კავშირი მეფეებს შორის. ლუარსაბ I და იმერეთის მეფე ბაგრატ III შეთანხმებულად მოქმედებდნენ. როდესაც 1535 წელს ბაგრატ III-ემ სამცხე დაიმორჩილა, იმავე დროს ლუარსაბ I-მა ჯავახეთი დაიკავა. სამწუხაროდ სხვა ქართველი მეფე-მთავრები ლუარსაბსა და ბაგრატს მხარს არ უჭერდნენ.

1541 წელს ქართლში შაჰ-თამაზი შემოიჭრა. მტერი თბილისს მოადგა და ქალაქი აიღო. მეფე თავის ოჯახთან ერთად მცხეთაში იყო გარდაცვლილი მცირეწლოვანი შვილის დასაკრძალად. ლუარსაბმა მტერს პარტიზანული ბრძოლა გაუმართა და დიდი ზარალი მიაყენა.

1545 წელს სოხოისტას ბრძოლაში ოსმალთა წინააღმდეგ იმერეთის მეფე ბაგრატ III-ს ლუარსაბ I-იც ეხმარებოდა. მაგრამ ბრძოლა ქართველთა მარცხით დამთავრდა და იმერეთის მეფემ სამცხე დაკარგა. ლუარსაბ I-მა მოახერხა ჯავახეთის შენარჩუნება. სამცხის ათაბაგმა ქართლის მეფის წინააღმდეგ შაჰ-თამაზს სთხოვა დახმარება. 1547 წელს ყიზილბაშებმა ჯავახეთი და ქვემო ქართლი დალაშქრეს და ააოხრეს. მიუხედავად ამისა ლუარსაბ I ბრძოლას არ წყვეტდა. ლუარსაბ I კარგად ხვდებოდა, რომ სამცხე-საათაბაგო იყო მთელი საქართველოს თავდაცვის ის პირველი ზღუდე, რომლის დაკარგვის შემთხვევაში მტერს გზა ეხსნებოდა როგორც, დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოსაკენ. Aამიტომ, ლუარსაბ I-მა 1551 წელს დაიკავა სამცხე-საათაბაგოს ნაწილი. ამის საპასუხოდ შაჰ-თამაზის მესამე შემოსევა მოჰყვა. ყიზილბაშებმა უზარმაზარი მსხვერპლის ფასად მოახერხეს ვარძიის აღება. ვარძია გაძარცვეს, იქ მყოფი ქართველები და მათ შორის მყოფი ბერებიც თითქმის სულ ამოწყვიტეს. ამის შემდეგ შაჰმა მარბიელი რაზმები შეუსია ქართლს, მაგრამ ლუარსაბის ხელში ჩაგდება ვერ მოახერხა. ლუარსაბმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია ყიზილბაშებს. 1554 წელს შაჰ-თამაზი მეოთხედ შემოიჭრა საქართველოში. მტერმა აიღო გორის ციხეს და ატენის ციხეს შემოარტყა ალყა. ატენის ციხეში იმყოფებოდა მეფის დედა. ყიზილბაშებმა ტყვედ ჩაიგდეს ერთ-ერთი გლეხი და აიძულეს ის წყარო ეჩვენებინა, საიდანაც ციხე წყლით მარაგდებოდა. უწყლოდ დარჩენილი გარნიზონი მტერს დანებდა. შაჰ-თამაზმა ტყვედ იგდო დედოფალი, რომელმაც ირანისაკენ წასულმა გზად თავი მოიწამლა. 1555 წელს ოსმალეთსა და ირანს შორის ქალაქ ამასიაში დაიდო ზავი. ამ საზავო ხელშეკრულებით აღმოსავლეთ საქართველო ირანს ხვდა წილად. ირანს ერგო აგრეთვე სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთ ნაწილი. ამასიის ზავის შემდეგ ირანი და ოსმალეთი აღარ დაუშვებდნენ საქართველოს გაერთიანებას.

1556 წელს ქართლში ირანელები შემოიჭრნენ. ბრძოლა მოხდა სოფელ გარისთან. ბრძოლის ველზე ქართველებს ლუარსაბ I-ის ძე სვიმონი მეთაურობდა. მტერი დამარცხდა და გაიქცა. ერთ-ერთი გაქცეული რაზმი იმ გორაკზე აღმოჩნდა, საიდანაც მოხუცი მეფე ლუარსაბი ბრძოლას დასცქეროდა. მტერთან შეტაკების დროს ლუარსაბ I-ს ცხენი წაექცა, სწორედ ამ დროს ყიზილბაშებმა ის სასიკვდილოთ დაჭრეს. ლუარსაბი დაკრძალეს მცხეთაში.

ქართლის სამეფოს ტახტი 1556 წელს ლუარსაბის ძემ, 19 წლის სვიმონ I-მა დაიკავა. სვიმონმა გადაწყვიტა თბილისი გაეთავისუფლებინა და დახმარება კახეთის მეფე ლევანს

სთხოვა. კახეთიდან მოსულ ჯარს ლევანის ძე გიორგი სარდლობდა. ყიზილბაშებმა თბილისში დამატებითი სამხედრო რაზმები შეიყვანეს. ქართველებმა ციხედიდთან (ძეგვის მახლობლად) ბანაკი გამართეს და თბილისზე შეტევისათვის ემზადებოდნენ. აღდგომის ღამე 6 აპრილი იყო. ქართველთა საყარაულო რაზმის მეთაურმა, რომელიც მუხათგვერდთან იდგა, მთელი თავისი რაზმით წირვაზე დასასწრებად წავიდა. ყიზილბაშები კი მალულად სწორედ ამ გზით მიადგნენ ქართველთა ბანაკს და მოულოდნელად დაესხნენ თავს. ბრძოლის დროს მოკლეს გიორგი. კახელები ბრძოლის ველს გაერიდნენ. სვიმონი იძულებული გახდა უკან დაეხია.

1569 წელს ყიზილბაშები ქართლს შემოესივნენ. მტერს მეგზურობას მოღალატე კახაბერ ყორღანაშვილი უწევდა. ბრძოლა ფარცხისთან მოხდა. ბრძოლის დროს მეფე მცირერიცხოვან რაზმთან ერთად მოსწყდა ქართველთა ძირითად ლაშქარს. ყორღანაშვილმა იცნო მეფე და ირანელებს შეატყობინა. ირანელებმა სვიმონი ტყვედ ჩაიგდეს და ირანში გაგზავნეს. სვიმონმა უარი განაცხადა ისლამის მიღებაზე. ქართლის მეფე ალამუთის ციხეში გამოკეტეს. მოღალატე ყორღანაშვილი საჩინო ბარათაშვილმა კლდიდან გადააგდო.

1569-1578 წწ-ში ქართლის მეფედ სვიმონის გამაჰმადიანებული ძმა დაუდ-ხანი (დავით XI) ითვლებოდა თუმცა მას რეალურად თბილისი და ქვემო ქართლი ემორჩილებოდა.

1578 წელს ოსმალებმა ამასიის ზავი დაარღვიეს და იმავე წელს დაამარცხეს ყიზილბაშები. ოსმალები სამცხის გავლით ქართლში შემოვიდნენ. მათი სარდალი ლალა მუსტაფა-ფაშა თბილისს მოადგა და ქალაქი აიღო. დაუთ-ხანი სულთანს ეახლა და მორჩილერბა გამოუცხადა. დაუთ-ხანი ოსმალეთში დარჩა და იქ შეადგინა მან სამკურნალო წიგნი ,,იადაგარ დაუდი”. ოსმალებმა ქართლის ცეხეებში თავიანთი გარნიზონები ჩააყენეს, თბილისში კი ფაშა დასვეს. ირანმა თითქმის მთელი სამხრეთ კავკასია დაკარგა. ირანის შაჰი ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზებას ვერ ახერხებდა. ირანელებმა გადაწყვიტეს სვიმონი გაეთავისუფლებინათ, რადგან ისინი კარგად ხვდებოდნენ, რომ სვიმონი ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას დაიწყებდა. შექმნილ ვითარებაში ეს ირანის ინტერესებშიც შედიოდა.

ქართლში დაბრუნებული სვიმონი ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას ჩაუდგა სათავეში. 1582 წელს ქართლში ოსმალთა 20 000-იანი ჯარი შემოვიდა, რომელსაც სამცხის გამაჰმადიანებული ათაბაგი მუსტაფა (მანუჩარი) მოყვებოდა. მუხრანთან სვიმონმა სასტიკად დაამარცხა ოსმალები. სამცხეში დაბრუნებულმა ოსმალო სარდლებმა მარცხი მანუჩარს დააბრალეს და მისი შეპყრობა განიზრახეს. მანუჩარმა და მისმა მხლებლებმა შეძლეს ბრძოლით გაეღწიათ ოსმალთა ბანაკიდან. მანუჩარი ისევ გაქრისტიანდა და სამცხეში ოსმალთა წინააღმდეგ აჯანყება წამოიწყო.

1590 წელს ოსმალეთსა და ირანს შორის დაიდო ზავი. ირანის ახალი შაჰი აბაზ I (1587-1629) იძულებული იყო მთელი საქართველო ოსმალებისათვის დაეთმო. ამ ზავის შედეგად ოსმალეთის გაძლიერებამ ევროპის ქვეყნებიც შეაშფოთა. დაიწყო ანტიოსმალური კოალიციის შექმნა. რომის პაპმა წერილები გაუგზავნა სვიმონ I-ს და კოალიციაში მონაწილეობა შესთავაზა. ქართლის მეფე სიხარულით შეხვდა ამ ამბავს და ესპანეთის მეფე ფილიპე II-სთან წერილები გაგზავნა, თუმცა რეალური შედეგის მიღწევა ვერც ამჯერად მოხერხდა.

სვიმონი ბრძოლას მაინც არ წყვეტდა. ქართველებმა ალყა შემოარტყეს გორის ციხეს. ალყა 9 თვე გაგრძელდა. დიდმარხვის დღეები იყო. ოსმალებმა ამის გამო ყურადღება მოადუნეს, რადგან იცოდნენ, რომ ქართველები დიდმარხვის დროს ბრძოლას

ერიდებოდნენ, სწორედ ამით ისარგებლა სვიმონმა და 1599 წელს გორი გაათავისუფლა. ჯერი თბილისზე მიდგა. შეშინებულმა ოსმალებმა 1600 წელს თბილისის დასახმარებლად ჯარი გამოგზავნეს. სვიმონმა ვერ შესძლო მთელი ლაშქრის შეკრება და მცირერიცხოვანი ჯარით მტერს გადაუჭრა გზა, რათა ოსმალები თბილისში არ შეეშვა. ბრძოლის წინ ქართველებმა ზიარება მიიღეს და ერთმანეთს გამოემშვიდობნენ. ბრძოლა ხუთ საათს გაგრძელდა. ოსმალთა რიცხობრივმა უპირატესობამ თავისი გაიტანა და ქართველებმა უკან დაიხიეს. ფარცხისთან, ვიწრო გზაზე, ვიღაცამ შემთხვევით მეფის ცხენს თავისი ცხენი დაატაკა და სვიმონი ცხენითურთ საფლობში ჩავარდა. ერთ-ერთმა მოღალატე თავადმა მეფე იცნო და ოსმალთა სარდალს მოახსენა. ოსმალებმა დახოცეს მეფის მცველი ქართველები, სვიმონი ტყვედ ჩაიგდეს და ოსმალეთში გაგზავნეს. სულთნის ბრძანებით ოსმალები სამი დღე ზეიმობდნენ სვიმონ I-ის დატყვევებას.

1611 წელს სვიმონი ტყვეობაში გარდაიცვალა. ქართველებმა დიდი საფასური გაიღეს და მეფე საქართველოში გადმოასვენეს. სვიმონ IOსვეტიცხოველში, ლუარსაბ I-ის გვერდით დაკრძალეს.

1600 წელს ქართლის ტახტი სვიმონის ძემ გიორგი X-ემ დაიკავა.

კახეთის სამეფო XVI საუკუნეში

<u>ალექსანდრე I (1476-1511)</u>. ერთიანი საქართველოს უკანასკნელმა მეფემ გიორგი VIII-ემ, XV ს-ის 60-იან წწ-ში განვითარებული მოვლენების შედეგად, მხოლოდ კახეთის შენარჩუნება და იქ გამეფება მოახერხა. გიორგი VIII კახეთში გიორგი I-ის სახელით მეფობდა. გიორგიმ კახეთის სამეფოში ადმინისტრაციული რეფორმა გაატარა _ გააუქმა საერისთაოები და კახეთი სამოურავოებად დაყო. ლაშქრის ორგანიზაციის თვალსაზრისით ქვეყანა ოთხ სადროშოდ დაყო. ქართლისა და იმერეთისაგან განსხვავებით, კახეთში სადროშოების სათავეში ეპისკოპოსები იდგნენ. ეპისკოპოსები მეფეებს უფრო ერთგულად ემსახურებოდნენ, ვიდრე თავადები.

1476 წელს კახეთის მეფე გიორგი I გარდაიცვალა და ტახტი მისმა ძემ ალექსანდრე I-მა დაიკავა. სწორედ ალექსანდრემ ჩაუყარა საფუძველი იმ პოლიტიკას, რომელსაც მთელი საუკუნის მანძილზე მისდევდნენ მისი შთამომავლები. ალექსანდრე I ნებისმიერი საშუალებით ცდილობდა კახეთში მშვიდობიანი ცხოვრება უზრუნველეყო და მტრის შემოსევები თავიდან აეცილებინა. ამ მიზნით მეფე დათმობაზე მიდიოდა და კარს მომდგარი მტრის წინაშე ხარკს კისრულობდა, მოჩვენებით ერთგულებას ეფიცებოდა, ოღონდ კი სამეფო დაეცვა. ასეთი პოლიტიკის გამო კახეთის მეფეები ხშირად მხოლოდ თავიანთი ვიწრო ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდნენ.

ალექსანდრე კახთა მეფე პირველი იყო ქართველ პოლიტიკოსთა შორის, რომელმაც კავშირი დაამყარა რუსეთთან. 1483 წელს მან ელჩობა გაგზავნა მოსკოვის დიდ მთავარ ივანე III-სთან. რეალური დახმარების მიღება იმ დროს მოსკოვის დიდი მთავრისაგან შეუძლებელი იყო. რუსეთი სულ სამი წლის განთავისუფლებული იყო მონღოლთა 200 წლოვანი უღლისაგან. რუსეთი არც ჩრდილო და არც სამხრეთ კავკასიაში იმ ხანად რეალურ ძალას არ წარმოადგენდა, მაგრამ მას დიდი უპირატესობა ჰქონდა სხვებთან შედარებით, რადგან ის მართლმადიდებლური ქვეყანა იყო. ეს უნდა გამხდარიყო, ალექსანდრე I-ის აზრით, გარანტი იმისა, რომ რუსეთი გულწრფელად დაეხმარებოდა საქართველოს. ასეთი ვარაუდი მოკლებული აღმოჩნდა რეალობას. რუსეთს მართლმადიდებლობა მხოლოდ მაშინ ახსენდებოდა, როდესაც კონკრეტული მიზნის მისაღწევად მართლმადიდებელი ხალხების გამოყენება სჭირდებოდა.

ალექსანდრეს უფროსი ძე გიორგი ეჭვიანობდა, რომ მამა მეორე ვაჟს _ დიმიტრის ანიჭებდა უპირატესობას. 1511 წელს გიორგიმ მოკლა მამა, ძმას კი თვალები დათხარა და კახეთიდან გააძევა. Mმამის მკვლელი გიორგი ისტორიაში ავ-გიორგის სახელით შევიდა. ავ-გიორგის მეფობა ორ წელიწადს გაგრძელდა. იგი 1513 წელს ქართლში ლაშქრობისას შეიპყრეს და ციხეში გამოკეტეს, სადაც მალევე გარდაიცვალა. კახელმა თავადებმა ავ-გიორგის შვილი, კახეთის ტახტის ერთადერთი მემკვიდრე ლევანი გადამალეს. შემდგომში მათ ისარგებლეს ქართლში ყიზილბაშების შემოსევით და 1518 წელს ლევანი კახეთის მეფედ აკურთხეს.

<u>ლევანი (1518-1574).</u> კახეთის მეფე ლევანი ცდილობდა ქვეყანაში მშვიდობა შეენარჩუნებინა. ამავე დროს ლევანმა სამეფოს გაძლიერებაზე დაიწყო ზრუნვა. მან შაქი დალაშქრა. შაქი ირანის ვასალი იყო და მისი დაცვა შაჰმა იკისრა. კახეთის წინააღმდეგ ყიზილბაშთა ჯარი დაიძრა. ლევანი იძულებული გახდა ყიზილბაშებს დამორჩილებოდა და კახეთი სეფიანთა სახელმწიფოს ვასალი გახდა. ამის შემდეგ ლევანი სულ იმას ცდილობდა, რომ ყიზილბაშთა ლაშქრობები ქვეყნისათვის აერიდებინა. ლევანმა ეს ამოცანა შესანიშნავად შეასრულა. მისი მეფობის დროს კახეთში მშვიდობა იყო. ლევანმა დაიმორჩილა ფშაველები, ხევსურები და თუშები. კახეთის მეფემ მოაგვარა ურთიერთობა შამხალთან. შამხალი დაღესტნის ტერიტორიაზე იყო.

1551 წელს შაჰ-თამაზმა შაქი აიღო და უშუალოდ შეუერთა სეფიანთა ირანს. ამ ბრძოლაში შაჰს ლევანიც ეხმარებოდა.

Aამასიის ზავის შემდეგ შაჰმა კახეთის მეფეს წუქეთი ჩამოართვა. კახეთს უკვე რეალური საფრთხე დაემუქრა დაღესტნის მხრიდან, რადგანაც წუქეთი დაღესტნის მოსაზღვრე მხარე იყო. ლევანმა შაჰს თავისი ერთგულების დამტკიცების მიზნით შვილი იესე გაუგზავნა. იესე გაამაჰმადიანეს და ისა-ხანი უწოდეს.

ამასობაში ჩრდილოეთ კავკასიის მისადგომებთან რუსეთი გამოჩნდა. რუსეთის მეფე ივანე IV მრისხანემ თავისი ყურადღება კავკასიასაც მიაპყრო.

1533 წელს რუსეთის დიდი მთავარი ივანე IV გახდა. ივანეს მცირეწლოვნობის გამო ქვეყანას მისი დედა განაგებდა. 7 წლის იყო ივანე IV, როცა დედამისიც გარდაიცვალა. ქვეყნის მართვა ბოიარების (დიდი ფეოდალების) ხელში აღმოჩნდა. 1547 წელს, პირველად რუსეთის ისტორიაში, ივანე მრისხანე მეფედ აკურთხეს და ,,ცარ'' უწოდეს (,,ცარ'' მომდინარეობს ბიზანტიური ,,კეისარიდან,'' რუსულად ,,ცეზარიდან''). ამით რუსეთმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ თავს ბიზანტიის მემკვიდრედ თვლიდა (ბიზანტიიდან მიითვისეს რუსებმა სახელმწიფო გერბი _ ორთავიანი არწივი). ივანე მრისხანემ სახელმწიფოში მთელი რიგი რეფორმები განახორციელა. მან გააძლიერა სამეფო ხელისუფლება და დაიწყო რუსეთის სწრაფი ტერიტორიული ზრდა.

ივანე მრისხანე აქტიურ პოლიტიკას ატარებდა ჩრდილოეთ კავკასიაშიც. კახეთის მეფე ლევანმა დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა ივანე მრისხანესთან. მალე ჩრდილოეთ კავკასიაში რუსთა ხუთას კაციანი რაზმი მოვიდა. რაზმის ნაწილი არაგვის ხეობაშიც შევიდა, რომელიც ლევანმა საშამხლოს მოსაზღვრე ციხეებში ჩააყენა. ამ ფაქტს პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, თორემ რუსთა მცირე რაზმი რეალურად არაფერს წარმოადგენდა. ივანე IV-ემ მდინარე თერგის ხეობაში ციხე-სიმაგრეების მშენებლობა დაიწყო. რუსეთის გააქტიურებამ თურქეთისა და ირანის შეშფოთება გამოიწვია. მათ სასწრაფოდ მოსთხოვეს რუსეთს ციხე-სიმაგრეების დანგრევა და ჯარის გაყვანა. ამავე დროს თურქეთის წაქეზებით ყირიმელი თათრები რუსეთში შეიჭრნენ, მოსკოვამდეც მიაღწიეს და ქალაქის ნაწილი გადაწვეს. ივანე IV ბალტიის ზღვაზე გასასვლელის

მოპოვებისათვის ომში იყო ჩაბმული. თურქეთთან და ირანთან ურთიერთობის გართულება საშიში იყო, სწორედ ამიტომ ივანე IV-ემ პოზიციები დათმო. კახეთიდან ჯარი გაიყვანა და თერგის ხეობაში აგებული ციხე-სიმაგრეებიც დაანგრია.

ამრიგად, რუსეთის ცდა, ჩარეულიყო კავკასიის საქმეებში, მარცხით დამთავრდა. თურქეთმა და ირანმა პოზიციები არ დათმეს.

1574 წელს ლევან კახთა მეფე გარდაიცვალა.

ალექსანდრე II (1574-1605). ლევანის გარდაცვალების შემდეგ კახეთში ბრძოლა ატყდა ტახტისათვის. ალექსანდრე ლევანის ძემ სძლია თავის ძმისშვილებს და 1574 წელს კახეთის ტახტი დაიკავა. ალექსანდრე II ფრთხილ პოლიტიკას ატარებდა. 1578 წელს, თბილისის აღების შემდეგ, კახეთს ლალა ფაშა მიადგა. კახეთის მეფემ ხარკის გადახდა და სულთნის ვასალობა იკისრა. ამ გზით კახეთი მშვიდობიანად გადარჩა. 1578 წელს შაჰმა ალექსანდრეს გამაჰმადიანებული ძმა ისა-ხანი (იესე) შაქის მმართველად დანიშნა. აშკარა იყო, რომ შაჰი ალექსანდრეს მისსავე ძმას უპირისპირებდა. სწორედ ამიტომაც ალექსანდრემ ილაშქრა შაქში, ძმა დაამარცხა და მმართველად თავისი ძე ერეკლე დატოვა.

ამასობაში კავკასიით კვლავ დაინტერესდა რუსეთი. თუ რუსეთი საშამხლოს (დაღესტანს) დაიკავებდა, იგი უშუალოდ გაუმეზობლდებოდა კახეთს და დაღესტნელთა თავდასხმები აილაგმებოდა. თავის მხრივ, რუსეთისთვისაც სასურველი იყო კახეთის მოკავშირეობა. 1587 წელს კახეთის მეფე ალექსანდრე II-ემ ხელი მოაწერა რუსეთის მეფისადმი ,,ფიცის წიგნს". 1589 წელს რუსეთის მეფე თევდორემ კახეთის მეფეს ,,წყალობის სიგელი" გამოუგზავნა, რითაც დაადასტურა ,,ფიცის წიგნის" პირობები. რუსეთს უნდა დაეცვა კახეთი მტრებისაგან. თავის მხრივ, კახეთი უნდა დახმარებოდა რუსეთს ჩრდილოეთ კავკასიაში სამხედრო მოქმედებების დროს. თუმცა, რუსეთს ეხლაც არ ძალუძდა წინ აღდგომოდა ირანისა და ოსმალეთის აგრესიას და რეალურად დახმარებოდა კახეთს.

კახეთი, ფაქტობრივად, კავკასიის დაუფლებისათვის მებრძოლ სამივე სახელმწიფოსთან (რუსეთი, ირანი, თურქეთი) კარგ ურთიერთობებს ინარჩუნებდა და სამივეს ვასალობას აღიარებდა. XVI ს-ის ბოლოსათვის ეს პოლიტიკა თითქოს ამართლებდა. სხვა ქართული სამეფოებისაგან განსხვავებით, კახეთი აღმავლობას განიცდიდა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ კახეთში მშვიდობის შენარჩუნებას დიდად განაპირობებდა ქართლის შეურიგებელი ბრძოლა დამპყრობლების წინააღმდეგ. ირანი და ოსმალეთი იმის შიშით, რომ ქართლს კახეთიც არ შეერთებოდა და ერთობლივი ძალით არ გამოსულიყვნენ, კახეთის მეფეებს შედარებით თავისუფალი მოქმედების საშუალებას აძლევდნენ, მოჩვენებითი ყმობით კმაყოფილდებოდნენ. ყველამ კარგად იცოდა, მათ შორის კახეთის მეფეებმაც, რომ სიმშვიდე კახეთში დროებითი იყო. ქართლის განადგურების შემდეგ კახეთის ჯერიც დადგებოდა. ამიტომაც ამყარებდნენ კახეთის მეფეები კავშირს რუსეთთან.

იმერეთის სამეფო XVI საუკუნეში

ალექსანდრე II (1484-1510). იმერეთის მეფემ ალექსანდრე II-ემ მოახერხა თავის ძალაუფლება გაევრცელებინა გურიაზე, სამეგრელოზე, აფხაზეთსა და სვანეთზე. დასავლეთ საქართველო თითქმის მთლიანად იმერეთის მეფეს ემორჩილებოდა, თუმცა, მთავრების მორჩილება მეტწილად ფორმალური იყო. იმერეთის მეფე ალექსანდრე II ცდილობდა თავისი ძალაუფლება გაევრცელებინა არა მხოლოდ დასავლეთ

საქართველოში, არამედ ქართლშიც. 1509 წელს მან ქართლში ილაშქრა და გორი აიღო. ქართლის ნაწილი იმერეთის მეფის ხელში აღმოჩნდა. ალექსანდრემ დიდხანს ვერ შეძლო ქართლის შენარჩუნება, რადგან შეატყობინეს, რომ იმერეთს ოსმალეთის ჯარი დასხმოდა თავს. 1510 წელს ოსმალებმა გადაწვეს ქუთაისი და გელათი. ეს ოსმალეთის პირველი შემოსევა იყო იმერეთში. Aლქსანდრემ მიატოვა გორი და უკან გაბრუნდა, მაგრამ მტერი წასული დახვდა. ოსმალეთი უშუალოდ არ ესაზღვრებოდა იმერეთს. მათ შორის სამცხე-საათაბაგო მდებარეობდა. ათაბაგები საკუთარი თავის გადარჩენის მიზნით ოსმალებს გზას უხნიდნენ. 1510 წელს იმერეთის მეფე ალექსანდრე გარდაიცვალა და ტახტზე მისი ძე ბაგრატ III ავიდა.

<u>ბაგრატ III (1510-1565)</u>. ბაგრატ III ლუარსაბ I-ეს დაეხმარა ქართლში გამეფებაში და სანაცვლოდ ქართლის დასავლეთი ნაწილი (ალი, სურამი, ახალდაბა) მიიღო. ბაგრატ III კარგად ხვდებოდა, რომ იმერეთის სამეფოს უდიდესი საფრთხე ემუქრებოდა ოსმალეთის მხრიდან. ამ დროისათვის ოსმალებმა ჯიქების ტომი დაიმორჩილეს და უშუალოდ გაუმეზობლდნენ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთიდან. ბაგრატმა გადაწყვიტა ჯიქეთის განთავისუფლება ოსმალეთისაგან. 1533 წელს მეფის ინიციატივით ოდიშისა და გურიის მთავრებმა _ მამია დადიანმა და მამია გურიელმა ჯიქეთში ილაშქრეს. მართალია პირველი ბრძოლა ქართველების გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ შემდგომში მთავრები დამარცხდნენ. უთანხმოება მოხდა დადიანსა და მის სამხედრო რაზმს შორის. რის შედეგადაც დადიანის მებრძოლების დიდი ნაწილი უკან გაბრუნდა. ბრძოლის დროს დადიანი დაიღუპა, გურიელი კი ტყვედ ჩავარდა.

1535 წელს ბაგრატ III გურიის და ოდიშის მთავრების მხარდაჭერით სამცხეში შეიჭრა. მურჯახეთთან (ახალქალაქის მახლობლად) გამართულ ბრძოლაში ბაგრატმა გაიმარჯვა. ათაბაგი ყვარყვარე ჯაყელი ტყვედ ჩავარდა და გარდაიცვალა. სამცხე-საათაბაგო იმერეთის მეფის ხელში აღმოჩნდა. ბაგრატ III-ემ გურიელს აჭარა და ჭანეთი გადასცა. ამ ნაბიჯით მეფემ გურიელი მოიმადლიერა, მაგრამ დადიანი გაანაწყენა. სამცხის თავადების ნაწილმა იმერეთის მეფის მორჩილება ვერ აიტანეს და ოსმალებს მიმართეს დახმარებისათვის. სამცხის გავლენიანი თავადი ოთარ შალიკაშვილი ოსმალეთის სულთანს ეახლა, თან წაიყვანა ყვარყვარეს მცირეწლოვანი შვილი ქაიხოსრო და სულთანს სთხოვა მისთვის სამფლობელო დაებრუნებინა. სულთან სულეიმან I-ს ძირითადი ყურაღება ეგვიპტესა და ევროპისაკენ ჰქონდა მიმართული და სამცხე-საათაბაგოსთვის არ ეცალა. თუმცა, ბაგრატ III კარგად ხვდებოდა, რომ საბოლოოდ სულთანი არ შეეგუებოდა სამცხის დაკარგვას. იმერეთის მეფე 1541 წელს ქართლში შემოსულ შაჰ-თამაზს ეახლა და ოსმალეთის წინააღმდეგ შემწეობა სთხოვა.

1543 წელს თურქეთის სულთანმა 20 000-იანი ჯარი გამოგზავნა ბაგრატ III-ის წინააღმდეგ. ბაგრატმა გურიელის მხარდაჭერით ოსმალები დაამარცხა. მეფეზე განაწყენებულმა ლევან დადიანმა ბრძოლაში მონაწილეობა არ მიიღო.

1545 წელს სულთანმა ახალი ჯარი გამოგზავნა. ლევან დადიანი ისევ არ დაეხმარა ბაგრატს, სამაგიეროდ იმერეთის მეფეს ქართლის მეფე ლუარსაბ I დაეხმარა. ბრძოლა მოხდა ბასიანში, სოხოისტასთან. ბრძოლის წინ მესხებმა ტრადიციისამებრ ლაშქრის მეწინავეობა მოინდომეს. ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო მათ უარი მიიღეს. მესხებმა საერთოდ უარი თქვეს ბრძოლაზე. ქართველები ამ ბრძოლაში დამარცხდნენ. ბაგრატ III შეეცადა ურჩი დადიანი დაემორჩილებია და სადარბაზოდ მოწვეული შეიპყრო. ბაგრატმა გურიელს შესთავაზაერთად ელაშქრა ოდიშზე, მაგრამ გურიელი არ ენდო და საერთოდ არ ეახლა მეფეს. ბაგრატის გაძლიერება არც სამცხის ათაბაგს ქაიხოსროს აძლევდა ხელს.

ქაიხოსრომ მოახერხა ლევან დადიანის ციხიდან გაპარება. დადიანი გურიელს დაუზავდა და მისი დახმარებით კვლავ დაიბრუნა სამთავრო. ბაგრატ III-ის ქვეშევრდომობიდან გამოვიდა ოდიშიც და გურიაც. ამრიგად დასავლეთ საქართველო დაიყო რამდენიმე ნაწილად. ამავე პერიოდში იწყება დასავლეთ საქართველოში ტყვეთა სყიდვა. ბაგრატ III-ემ სცადა აღეკვეთა ტყვეებით ვაჭრობა. მოიწვია საეკლესიო კრება. კრების დადგენილებით ტყვეებით მოვაჭრეები სიკვდილით დაისჯებოდნენ. ასეთი მკაცრი სასჯელიც კი არ აღმოჩნდა საკმარისი ტყვეთა სყიდვის შესაჩერებლად. ოსმალეთი ყოველმხრივ უწყობდა ხელს ადამიანებით ვაჭრობას. განსაკუთრებით გაძლიერდა ოსმალური აგრესია ამასიის ზავის (1555 წ) შემდეგ.

1565 წელს ბაგრატ III გარდაიცვალა, რის შემდეგაც დასავლეთ საქართველოში შინა ომები იწყება. XVI ს-ის 80-იან წწ-ში ქართლის მეფე სვიმონ I-მა გადაწყვიტა იმერეთის შემოერთება და ქუთაისიც კი დაიკავა, მაგრამ, ქართლში ოსმალების შემოჭრის შემდეგ, იძულებული შეიქნა უკან გაბრუნებულიყო. ბაგრატ III-ის შვილისშვილმა ლევანმა იმერეთის მეფის ტახტი დაიბრუნა

<u>სამცხე-საათაბაგო XVI საუკუნეში.</u> სამცხე-საათაბაგო წარმოადგენდა ერთგვარ კარს, საიდანაც გზა იხნებოდა როგორც დასვლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოსაკენ, სწორედ ამიტომაც ქართლისა და იმერეთის მეფეები ყოველთვის ცდილობდნენ არ დაეკარგათ ეს სტრატეგიულად მეტად მნიშვნელოვანი მხარე. სამწუხაროა, რომ თავად სამცხის ათაბაგები თავს იცავდნენ უფრო ქართლისა და იმერეთის მეფეებისაგან, ვიდრე ირანისა და ოსმალეთისაგან. ასე მოიქცა 1510 წელს ათაბაგი მზეჭაბუკი, რომელმაც ოსმალები გაატარა თავის სამთავროზე და გზა გაუხსნა მტერს იმერეთისაკენ. 1515 წელს, მზეჭაბუკის გარდაცვალების შემდეგ, სამცხეში ერთამნეთს დაუპირისპირდა მზეჭაბუკის ძმა მანუჩარი და ძმისშვილი ყვარყვარე. მანუჩარი თურქული ორიენტაციისა იყო და მოახერხა ყვარყვარეს დამარცხება. ყვარყვარემ დახმარება შაჰ-ისმაილს სთხოვა და ყიზილბაშთა მხარდაჭერით სამცხე დაიჭირა. ყვარყვარე შაჰის ვასალი გახდა.

XVI ს-ის 30-ინი წწ-ის დასაწყისში ოსმალებმა ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლა განაახლა. შექმნილი ვითარებით ისარგებლა იმერეთის მეფემ ბაგრატმა და სამცხეში შევიდა. 1535 წელს მურჯახეთთან ბრძოლაში ყვარყვარე ტყვედ ჩავარდა და მესხეთის დიდი ნაწილი იმერეთის მეფეს გადაეცა. 1543 წელს ბაგრატ III-ის წინააღმდეგ ლაშქრობისას ოსმალებმა წარმატებას ვერ მიაღწიეს, მაგრამ ის კი მოახერხეს, რომ ტაოსა და კლარჯეთის ტერიტორიაზე თავისი ადმინისტრაციული ერთეულები _ სანჯაყები შექმნეს. ეს ქართული მიწების ოსმალთა იმპერიის შემადგენლობაში შესვლას ნიშნავდა. ეს იყო პირველი ცდა ოსმალური ადმინისტრაციული სისტემის დანერგვისა ქართულ მიწაზე.

1545 წელს სოხოისტას ბრძოლაში ბაგრატ III და ლუარსაბ I დამარცხდა. ათაბაგმა ქაიხოსრომ სამცხე დაიკავა. ლუარსაბმა კი შეინარჩუნა ჯავახეთი. ამასიის ზავის მიხედვით სამცხის დასავლეთი ნაწილი ოსმალეთს ერგო, აღმოსავლეთი ირანს. საათაბაგოში კიდევ უფრო დაამძიმა ვითარება შინაომებმა, რომელიც დაიწყო ჯაყელებსა და შალიკაშვილებს შორის. 1578 წელს ოსმალებმა ამასიის ზავი დაარღვიეს და სამხრეთ საქართველოში შეიჭრენ ლალა მუსტაფა ფაშას ხელმძღვანელობით. მას მანუჩარ ჯაყელი ეახლა და მორჩილება აღუთქვა. მანუჩარს იმედი ჰქონდა, რომ ოსმალები მას საათაბაგოს გადასცემდნენ და ამ მიზნით გამაჰმადიანდა კიდეც.

1579 წელს სულთნის ბრძანებით საათაბაგოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ჩილდირის (ახალციხის) საფაშო, და ფაშად გამაჰმადიანებული მანუჩარი (მუსტაფა) დაინიშნა. 1582

წელს მანუჩარი კვლავ გაქრისტიანდა და სამცხეში აჯანყება წამოიწყო. ერთი წლის შემდეგ მან ცოლად მოიყვანა სვიმონ I-ის ასული ელენე და ამით განამტკიცა თავისი კავშირი ქართლის მეფესთან.

1587 წელს მანუჩარის წინააღმდეგ ოსმალთა დიდი ჯარი დაიძრა. ათაბაგს ჯერ სვიმონ I დაეხმარა, მაგრამ ქართლის მეფე სვიმონი მალევე იძულებული შეიქნა თავის სამეფოში დაბრუნებულიყო, რადგან ქართლშიც შეიჭრენ ოსმალები. ოსმალებს მხარი დაუჭირეს შალიკაშვილებმა და ჯაყელების მოწინააღმდეგე სხვა თავადებმა. ოსმალებმა ახალციხე აიღეს. მანუჩარმა სამცხე დატოვა.

1590 წელს ირან-ოსმალეთის ზავით მთელი სამცხე-საათაბაგო, ისევე, როგორც მთელი სამხრეთ კავკასია, ოსმალებს ერგო. სამხრეთ საქართველო დიდი ხნით მოექცა ოსმალთა იმპერიის შემადგენლობაში. ოსმალებმა აღწერეს მთელი სამცხე-საათაბაგო ანუ ,,გურჯისტანის ვილაიეთი". მასში 1160 სოფელი შედიოდა. თურქებმა სამცხეში დანერგეს მიწათმფლობელობის თავისი წესი. მიწა შეიძლებოდა ჰქონოდა მხოლოდ იმას, ვინც მაჰმადიანი იყო და სულთნის სამსახურში იმყოფებოდა. დაიწყო ქრისტიანობის სასტიკი დევნა. ეკლესია-მონასტრებს ანგრევდნენ და მათ ადგილას მეჩეთებს ხსნიდნენ. მძიმე გადასახადები დაეკისრა ადგილობრივ მოსახლეობას. გლეხობა მასობრივად ტოვებდა სოფლებს. ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის" მიხედვით სამასზე მეტი სოფელი დაცარიელებული იყო. ცარიელ სოფლებში თურქებმა დაიწყეს არაქართველთა ჩასახლება. საქართველოს უძველეს კუთხეს გადაშენების საფრთხე დაემუქრა. სამცხე-საათაბაგოში იყო აჯანყებები ოსმალთა წინააღმდეგ, მაგრამ მდგომარეობის გამოსწორება ვერ ხერხდებოდა.

ლექცია #IX

საქართველო XVII საუკუნეში.

ქართლისა და კახეთის სამეფოები XVII სუკუნის პირველ მეოთხედში

<u>ქართლისა და კახეთის სამეფოები XVII საუკუნის დასაწყისში.</u> XVII საუკუნის დასაწყისში დაიძაბა ვითარება კახეთის სამეფოში. 1601 წელს ალექსანდრე II ავად გახდა და კახეთის ტახტი დაიკავა მისმა ძემ დავით I-მა. როდესაც ალექსანდრე გამოჯანმთელდა, დავითმა მამას ტახტი აღარ დაუთმო. ალექსანდრე ბერად აღიკვეცა. 1602 წელს დავითი გარდაიცვალა და ტახტი ისევ ალექსანდრე II-ემ დაიკავა.

ამ დროს დაირღვა ზავი ოსმალეთსა და ირანს შორის. 1603 წელს ირანის შაჰმა აბას I-მა ომი განაახლა ოსმალეთის წინააღმდეგ. პირველსავე ბრძოლებში ოსმალებმა მარცხი იწვნიეს. ირანელებმა ერევნის ციხეს ალყა შემოარტყეს. აბას I-მა თავისთან დაიბარა ქართლის მეფე გიორგი X (1600-1606) და კახეთის მეფე ალექსანდრე II.

ირანის შაჰი აბას I 1587 წელს ავიდა ტახტზე. შაჰი მიხვდა, რომ იმ დროს ირანს არ შეეძლო ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლა და 1590 წელს მძიმე ზავი დაიდო. აბას I-ს დრო სჭირდებოდა, რათა რეფორმები გაეტარებინა და ქვეყანა ახალი ომისათვის მოემზადებინა. შაჰმა დაიწყო თავისი ხელისუფლების განმტკიცება. იგი დაუპირისპირდა ყიზილბაშურ არისტოკრატიას და მათ ნაცვლად დააწინაურა ქართველები, სომხები, ჩერქეზები. შაჰმა

არმია შეაიარაღა თოფებითა და ზარბაზნებით. შაჰ-აბას I-ის დროს ირანს 120 000 არმია ჰყავდა. აბას I ასევე ხელს უწყობდა ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებასაც. აბას I-ის დროს ირანი ძლიერ ქვეყნად გადაიქცა.

აბას I დროს შაჰის კარზე დაწინაურდნენ ქართველები (თავად აბასმაც კარგად იცოდა ქართული). სამხედრო რეფორმის ძირითადი გამტარებელი და ხელმძღვანელი იყო ალავერდი-ხანი, რომელიც გამაჰმადიანებული ქართველი იყო, გვარად უნდილაძე. ალავერდი-ხანი იყო პირველი ყულარაღასი (ყულის ჯარის – გვარდიის სარდალი). ირანის სახელმწიფოს სამსახურში დაწინაურდნენ ალავერდი-ხანის ვაჟები: იმამყული-ხანი და დაუდ-ხანი. შაჰ-აბასის კარზე სხვა ქართველებიც მოღვაწეობდნენ, სარდალი როსტომ სააკაძე და ხოსრო-მირზა (როსტომ-ხანი), რომელიც ისპაანის ტარუღი (მოურავი) იყო.

სწორედ სამხედრო რეფორმის გატარების შემდეგ, 1603 წელს დაიწყო აბას I-მა ომი ოსმალეთის წინააღმდეგ. გიორგი X სწრაფად გამოცხადდა ერევნის ციხესთან მდგომ შაჰ-აბასთან. ალექსანდრე II-მ ყოყმანი დაიწყო. კახეთის მეფე მოვლენების განვითარებას ელოდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ეახლა შაჰს. ერევნის ციხე აღებულ იქნა. შაჰმა ერთგულებისა და ომში მონაწილეობის მიღებისათვის ქართველი მეფეები დაასაჩუქრა. მათ სოფლები აჩუქა ირანში და ჯამაგირიც დაუნიშნა. მაგრამ სამაგიეროდ შაჰმა გიორგი X-ს მდინარე დებედას ხეობა და ლორეს მხარე, ხოლო ალექსანდრეს კაკ-ენისელი (პროვინცია საინგილოში) დაათმობინა. ამ ტერიტორიებზე აბას I-მა თურქმანული ტომების ჩამოსახლება დაიწყო.

შაჰმა გიორგი ქართლში გამოუშვა, ალექსანდრე კი თან წაიყვანა ირანში. ცბიერი შაჰი ამ გზით ცდილობდა საშუალება არ მიეცა ალექსანრესათვის კახეთში მყოფ რუსეთის ელჩებს შეხვედროდა. ალექსანდრე II არყოფთის დროს სამეფოს გიორგი ბატონიშვილი განაგებდა. 1605 წლის დასაწყისში შაჰმა ალექსანდრე კახეთში გამოუშვა და თან მისივე ძე, გამაჰმადიანებული კონსტანტინე-მირზა გამოაყოლა. ალექსანდრეს შაჰისაგან ნაბრძანები ჰქონდა შარვანში ელაშქრა და იქ მმართველად კონსტანტინე დაესვა. კახეთის მეფე არ ჩქარობდა შაჰის დავალების შესრულებას. კონსტანტინე-მირზას საიდუმლო ბრძანება ჰქონდა შაჰისაგან: თუ შეატყობდა, რომ ალექსანდრე ორჭოფობდა და შაჰს ეურჩებოდა, მოეკლა იგი და თავად გამეფებულიყო. 1605 წლის 12 მარტს ძეგამში გაიმართა თათბირი, რომლის დროსაც კონსტანტინე-მირზამ ყიზილბაშებს ღალატით მოაკვლევინა მამა და ძმა გიორგი. ამის შემდეგ კონსტანტინემ თავი მეფედ გამოაცხადა. ცხადია, მამისა და ძმის მკვლელს კახელები მეფედ არ მიიღებდნენ, მაგრამ ჯერ აჯანყების დრო არ იყო და მათაც ერთგულად მოაჩვენეს თავი. კონსტანტინემ ყიზილბაშთა და კახელების გაერთიანებული ლაშქრით შარვანს ილაშქრა, ალყა შემოარტყა ქალაქ შემახას, მაგრამ ქალაქი ვერ აიღო. კახელებმა გადაწყვიტეს ამით ესარგებლათ და ღამით კონსტანტინეს კარავში შეიჭრნენ, მაგრამ მამის მკვლელმა გაქცევა მოახერხა და დახმარება შაჰს სთხოვა. აბას I ოსმალებთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა და კახეთისათვის არ ეცალა. მაშინ კონსტანტინემ ჯარი თავად დაიქირავა და კახეთის დასამორჩილებლად დაიძრა. ალექსანდრეს რძალმა, დავითის ქვრივმა ქეთევან დედოფალმა დახმარება ქართლის მეფე გიორგი X-ს სთხოვა. გიორგიმაც ჯარი გაუგზავნა კახელებს დასახმარებლად. კახელებმა დაამარცხეს მტერი და კონსტანტინე მირზა ბრძოლის ველზე მოკლეს.

Kკახელებმა მეფედ ალექსანდრე II-ის შვილისშვილი, დავითისა და ქეთევანის ვაჟი თეიმურაზი ითხოვეს. შაჰს ქართველებთან ბრძოლისათვის ჯერ არ ეცალა და დათანხმდა თეიმურაზის მეფედ კურთხევას. 1606 წელს თეიმურაზ I ქრისტიანული წესით მეფედ

აკურთხეს. იმავე წელს გარდაიცვალა გიორგი X. ქართლის მეფე გიორგი X-ის ძე ლუარსაბ II (1606-1614) გახდა.

1609 წლის ივნისში ქართლში ოსმალთა ჯარი შემოიჭრა. ლუარსაბ მეფე მცირე ამალით ცხირეთის ციხეში (შიდა ქართლი) იმყოფებოდა. ოსმალებმა ეს შეიტყვეს და მეფის დატყვევება განიზრახეს. სოფელ კველთაში მღვდელი თევდორე შეიპყრეს და ცხირეთისაკენ გზის ჩვენება მოთხოვეს. თევდორემ მტერი სულ სხვა მიმართულებით ატარა და მეფის სამყოფელს დააშორა. როცა ოსმალები ყველაფერს მიხვდნენ, თევდორე ჯერ სასტიკად აწამეს, შემდეგ კი თავი მოკვეთეს. თევდორეს გმირობამ ლუარსაბ II საშუალება მისცა დრო მოეგო. თბილისის მოურავმა გიორგი სააკაძემ ჯარი შეკრიბა და მტერს შეებრძოლა. ტაშისკართან გამართულ ბრძოლაში ქართველებმა ოსმალები დაამარცხეს.

გიორგი სააკაძის წინაპრები აზნაურები იყვნენ. გიორგის მამა სიაუში მეფის სალაროს მოლარე იყო. გიორგი სააკაძე გახდათ თბილისის, ცხინვალის და დვალეთის მოურავი. თავისი ციხესიმაგრე გიორგის ნოსტეში ჰქონდა, საგვარეულო მონასტერი კი ერთაწმინდაში. გიორგის გავლენა მას შემდეგ კიდევ გაიზარდა, როცა ლუარსაბ II-ემ ცოლად შეირთო მისი და. გიორგი სააკაძის გაძლიერებამ დიდი თავადები განარისხა. ისტორიკოს ბერი ეგნატაშვილის თანახმად, თავადებს ცრუ ბრალდებები და დაბეზღება დაუწყიათ გიორგი სააკაძისა მეფესთან. მათ შორის გამოირჩეოდა შადიმან ბარათაშვილი. ლუარსაბ II-ემ დაუჯერა რასაც თავადები ეუბნებოდნენ _ გიორგის მეფობა უნდაო. 1612 წელს გიორგი სანადიროდ დაიბარეს. განზრახული იყო ნადირობის დროს მისი მოკვლა. მოურავი მისმა ერთ-ერთმა მომხრემ დროზე გააფრთხილა. გიორგი მიხვდა, რომ მას ქართლში აღარ ედგომებოდა და სამშობლო დატოვა _ ირანში გაიხიზნა ოჯახთან ერთად.

1612 წელს შაჰ-აბასმა, ვითომცდა სანადიროდ, თავისთან დაიბარა თეიმურაზ I და ლუარსაბ II. მეფეები შაჰს არ ეახლენ და შეთანხმდნენ, რომ ერთობლივად ემოქმედათ მტრის წინააღმდეგ.

ამასობაში ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო. ზავის დადების შემდეგ ირანის შაჰს უკვე შეეძლო მთელი ყურადღება საქართველოსკენ გადმოეტანა.

შაჰ-აბასის ლაშქრობები. 1613 წელს შაჰი აბას I უზარმაზარი ლაშქრით საქართველოსკენ დაიძრა. მან ელჩები გაუგზავნა თეიმურაზ I-ს და მძევლები მოსთხოვა. თეიმურაზი იძულებული გახდა ქეთევან დედოფალი და შვილები (ლევანი და ალექსანდრე) შაჰთან გაეგზავნა. ამის შემდეგ აბასმა თეიმურაზიც თავისთან დაიბარა. კახეთის მეფე შაჰს არ ეახლა. აბას I-მა მძევლები ირანში გაგზავნა, თავად კი 1614 წელს კახეთში შეიჭრა. ყიზილბაშებმა ქართველები ალყაში მოაქციეს. ქართველებმა შეძლეს ალყის გარღვევა და მეფე სამშვიდობოს გაიყვანეს. თეიმურაზი ქართლში გადავიდა და ლუარსაბ II-ეს შეხვდა. გაირკვა, რომ შაჰისათვის წინააღმდეგობის გაწევა ქართლსაც არ შეეძლო. მეფეებმა თავი იმერეთს შეაფარეს. შაჰმა ქართლის მეფეს შადიმან ბარათაშვილი მიუგზავნა. ლუარსაბი ენდო თავის გამზრდელს და შაჰთან გამოცხადდა. აბასი 50 დღე იმყოფებოდა საქართველოში. ამ ხნის განმავლობაში საშინლად აოხრდა ქართლი, და განსაკუთრებით, კახეთი. ირანში გაბრუნებულმა აბას I-მა თან წაიყვანა ლუარსაბ II.

1615 წელს კახეთში დაიწყო აჯანყება ირანელების წინააღმდეგ, რომელსაც დავით ჯანდიერი მეთაურობდა. კახეთში სასწრაფოდ დაბრუნდა თეიმურაზ I-იც და თავად ჩაუდგა აჯანყებას სათავეში. შაჰმა კახეთში აჯანყების ჩასაქრობად რჩეული ლაშქარი გამოგზავნა. თეიმურაზმა 5 000-იანი ჯარით დაამარცხა ყიზილბაშთა 15 000-იანი ჯარი.

Gგანრისხებული შაჰი 1616 წელს კახეთის დასასჯელად გამოემართა. აბაზ I ჯერ თბილისში შემოვიდა და ქართლის მმართველად ბაგრატ ხანი (დაუდ-ხანის შვილი) დანიშნა. შაჰმა თავისი ჯარები კახეთს შეუსია. თეიმურაზი იმერთში გაიხიზნა. კახეთში დარჩენილი დავით ჯანდიერი კი მედგარ წინააღმდეგობას უწევდა მტერს.

1617 წელს ირანელებმა კიდევ ილაშქრეს კახეთში. შაჰ-აბასის გამანადგურებელი შემოსევების შედეგად კახეთი საშინლად აოხრდა და განადგურდა. 100 000 ქართველი დაიღუპა ყიზილბაშებთან ბრძოლაში, 200 000 კი გადასახლებული იქნა ირანის შიდა პროვინციებში (ძირითადად ფერეიდანში). ფერეიდანში დღესაც ცხოვრობენ იმ დროს გადასახლებული ქართველების შთამომავლები. გადასახლებული ქართველების ადგილზე აბასმა მომთაბარეების ჩამოსახლება დაიწყო. ქართლის მმართველის ბაგრატ-ხანის გარდაცვალების შემდეგ შაჰმა მისი ძე სვიმონ-ხანი დანიშნა. სვიმონი მცირეწლოვანი იყო და მეურვედ გიორგი სააკაძე დაუნიშნა. ქართლს, ფაქტობრივად, გიორგი სააკაძე მართავდა. გიორგის დიდი გეგმები ჰქონდა. მან კავშირი დაამყარა იმერეთის მეფე გიორგი III-სთან. 1624 წლის ბოლოს შაჰ-აბასმა გიორგი სააკაძე და მისი ცოლისძმა ზურაბ არაგვის ერისთავი ირანში დაიბარა.

მარტყოფის ბრძოლა. თეიმურაზ I ცდილობდა საიდანმე დახმარება მიეღო. რუსეთ-შიც კი გაგზავნა ელჩები, მაგრამ უშედეგოდ. შაჰმა თეიმურაზის შვილები-ლევანი და ალექსანდრე დაასაჭურისა. 1622 წელს ლუარსაბ II აბასის ბრძანებით ციხეში მოკლეს. ქართულმა ეკლესიამ მეფე ლუარსაბ II წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ 21 ივნისი (4 ივლისი) დააწესა. შემდეგ შაჰმა ქეთევან დედოფალს მოსთხოვა გამაჰმადიანება, მაგრამ მტკიცე უარის მიღების შემდეგ, 1624 წლის 12 სექტემბერს, შირაზში ქეთევან დედოფალი სასტიკად აწამეს. ეკლესიამ ქეთევან დედოფალი წმინდანად შერაცხა. მისმა მოწამეობრივმა აღსასრულმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა ქრისტიანულ სამყაროში. პორტუგალიაში ერთ-ერთი ტაძრის კედელზე გამოსახულია ქეთევანის წამების ფრესკა.

1625 წელს შაჰ-აბასმა საქართველოს წინააღმდეგ ახალი ჯარი გამოგზავნა. მას სათავეში წარმოშობით სომეხი ყარჩიხა-ხანი ჩაუყენა. ყარჩიხა-ხანს დავალება ჰქონდა კახელების სრული ამოწყვეტა, ქართლელების აყრა და ირანში გადასახლება. ყიზილბაშებს თან ახლდნენ გიორგი სააკაძე და ზურაბ ერისთავი. აბას I ქართველებს ბოლომდე არ ენდობოდა, ამიტომაც თავისთან მძევლად დაიტოვა გიორგი სააკაძის ვაჟი პაატა და ზურაბ ერისთავის მეუღლე. ადრე გაზაფხულზე მტერი ქართლში შემოვიდა და მუხრანთან, აღაიანის ველზე დაბანაკდა. ირანელები ხმას ავრცელებდნენ, თითქოს იმერეთში მიდიოდნენ სალაშქროდ. იქვე, შაჰის ბრძანებით, კახელთა ჯარი გამოცხადდა. ირანელებს მუხანათური ჩანაფიქრი ჰქონდათ. ისინი კახელებს სათითაოდ ცალკე მდგომ კარავში ეპატიჟებოდნენ, ვითომდა შაჰის საჩუქრების გადასაცემად, სინამდვილეში კი ხოცავდნენ. კახელებმა ეს ვერაგობა შეიტყვეს და ბრძოლით მოახერხეს სამშვიდობოს გაღწევა. გიორგი სააკაძე საიდუმლოდ დაუკავშირდა ქართველებს და 1625 წლის 25 მარტს, ხარება დღეს, დილით ადრე მარტყოფის ველზე დაბანაკებულ მტრის 30 000-იან ჯარს დაესხნენ თავს. Gგიორგი სააკაძემ პირადად მოკლა ყარჩიხა-ხანი. მისმა ვაჟმა ავთანდილმა კი ყიზილბაშთა სარდლის შვილი. Aამრიგად, ირანელთა ჯარი სარდლობის გარეშე დარჩა. ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. მხოლოდ 3 000 ირანელმა უშველა თავს გაქცევით. რამდენიმე დღეში თითქმის მთელი ქართლ-კახეთი გაიწმინდა დამპყრობლებისაგან. გიორგი სააკაძემ თეიმურაზ I ქართლ-კახეთის მეფედ მოიწვია. იმავე დროს მან ირანელთა წინააღმდეგ ერთობლივი სამხედრო მოქმედებების დაწყება

შესთავაზა ოსმალთა დიდ ვეზირს, რომელსაც ყიზილბაშთა მოკვეთილი თავები, დროშები და ძვირფასი საჩუქრები გაუგზავნეს ქართველებმა.

ქართლისა და კახეთის სამეფოები XVII საუკუნის II მეოთხედში

ქართლ-კახეთის სამეფო თეიმურაზ I-ის მეფობის დროს. მარტყოფის ველზე განცდილმა მარცხმა განარისხა აბას I. მან მძევლად მყოფ პაატას თავი მოკვეთა და გიორგის გამოუგზავნა. 40 წლის მანძილზე ირანს ასეთი მძიმე მარცხი არ განეცადა. ქართველების სამაგალითოდ დასასჯელად შაჰმა ახალ ჯარს მოუყარა თავი და სარდლად თავისი სიძე ისა-ხან ყორჩიბაში დაუნიშნა. 1625 წლის ივნისის ბოლოს ირანელები ქართლში შემოვიდნენ და მარაბდის ველზე დაბანაკდნენ. ქართველთა 20 000-იანი ლაშქარი კოჯორ-ტაბახმელას ვიწროებში იყო გამაგრებული. გიორგი სააკაძის გეგმით, ქართველებს მტერი ვიწროებში უნდა შეეტყუებინათ და იქ გაენადგურებინათ. გაშლილ ველზე მტერს შეეძლო თავისი რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება. თავადების ნაწილი არ იზიარებდა გიორგის ამ გეგმას და ბრძოლის დაუყოვნებლივ დაწყებას ითხოვდა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ბარათაშვილები, რადგანაც ყიზილბაშები ქვემო ქართლში იდგნენ და მათ მამულებს აოხრებდნენ.

1625 წლის 1 ივლისს, დილით, თეიმურაზ I-ის მეთაურობით ქართველები შეტევაზე გადავიდნენ. ირანელებმა მათი შეჩერება ვერ შეძლეს. მტრის ჯარი აირია და ნაწილმა ბრძოლის ველი მიატოვა. ქართველთა ჯარის ერთი ნაწილი გაქცეულებს დაედევნა, მეორე ნაწილი კი მტრის ალაფს ინაწილებდა და ბრძოლა მოთავებული ეგონათ. სწორედ ამ დროს ბრძოლის ველზე ყიზილბაშთა ახალი ძალა მოვიდა. Aმას ზედ დაერთო ისიც, რომ ბრძოლაში დაიღუპა თეიმურაზ მუხრანბატონი, მაგრამ ხმა გავრცელდა თეიმურაზ მეფე მოკლესო. ყველაფერი ერთმანეთს დაემატა და ქართველები დამარცხდნენ. დაღუპულთა შორის იყვნენ დავით ჯანდიერი, რუსთველი და ხარჭაშნელი ეპისკოპოსები, ცხრა ძმა ხერხეულიძე, ცხრა მაჩაბელი, შვიდი ჩოლოყაშვილი და სხვა. მარაბდის ბრძოლაში დაიღუპა 14 000 ყიზილბაში.

ქართველებმა გიორგი სააკაძის მეთაურობით პარტიზანული ბრძოლები გააჩაღეს და დიდი ზიანი მიაყენეს მტერს. მარტო ქსნის ხეობაში 12 000-იანი მტრის ლაშქარი გაანადგურეს. გადარჩაA მხოლოდ მცირე რაზმი, რომელსაც ხოსრო-მირზა (მომავალი ქართლის მეფე _ როსტომ ხანი) მეთაურობდა.

საბოლოო ჯამში, ირანის შაჰმა უდიდესი სამხედრო მარცხი განიცადა. მისი არმიის ნახევარი (დაახლოებით 60 000 კაცი) საქართველოში განადგურდა. აბაზ I მიხვდა, რომ ძალით ის ქართველებს ვერ დაამარცხებდა და პოლიტიკა შეცვალა. შაჰმა თეიმურაზ I ქართლ-კახეთის მეფედ ცნო. შამაგიეროდ, თეიმურაზმა თავი ირანის ვასალად აღიარა. ქართველ თავადთა ნაწილი ირანელების მხარეზე გადავიდა. უთანხმოება ჩამოვარდა თეიმურაზსა და გიორგი სააკაძეს შორისაც. გიორგი სააკაძემ დახმარება იმერეთის მეფე გიორგის სთხოვა და სამაგიეროდ მისი შვილის ალექსანდრეს ქართლ-კახეთში გამეფება შესთავაზა. თეიმურაზმა კი გადაიბირა გიორგი სააკაძის ცოლის ძმა ზურაბ არაგვის ერისთავი. 1626 წლის შემოდგომაზე ბაზალეთის ტბასთან თეიმურაზ I და გიორგი სააკაძე ერთმანეთს შეებრძოლენ. გიორგი სააკაძე დამარცხდა და თავის მხლებლებთან ერთად ოსმალეთში გაიხიზნა. გიორგი სააკაძე მალე დაწინაურდა სულთნის სამსახურშიც, მაგრამ 1629 წელს გიორგის, მის ვაჟს ავთანდილსა და მასთან მყოფ 40 ქართველს ღალატი დააბრალეს და დიდი ვეზირის ბრძანებით თავი მოკვეთეს. იმავე წელს გარდაიცვალა აბას

I-იც. ისპაანის ტარუღამ ხოსრო მირზამ ჯარის დახმარებით შაჰის ტახტზე დასვა აბას I-ის შვილისშვილი სეფი I. ამის შემდეგ ხოსრო მირზა ირანის შაჰის სეფი I-ის უახლოესი პირი გახდა.

Aაბას I-ის გარდაცვალების შემდეგ ირანში ორი ქართული დაჯგუფება დაუპირისპირდა ერთმანეთს. ერთ დაჯგუფებაში შედიოდნენ ხოსრო-მირზა და როსტომ-ხან სააკაძე. მეორეში ძმები უნდილაძეები. ამ დაპირისპირებაში ჩაება თეიმურაზიც. თეიმურაზმა განჯა-ყარაბაღში ილაშქრა. ამ ლაშქრობაში მას მხარს უჭერდა დაუდ-ხან უნდილაძე. ეს ირანის შაჰის წინააღმდეგ ომის დაწყებას ნიშნავდა. უნდილაძეებს გეგმა ჰქონდათ, რომლის თანახმადაც ირანის ტახტზე სეფი I-ის ნაცვლად უნდა დაესვათ აბას I-ის უმცროსი ძე, რომელიც იმამყული-ხან უნდილაძესთან ერთად იზრდებოდა.

შაჰმა სეფი I-მა ქართლში მმართველად ხოსრო მირზა გამოგზავნა, კახეთში კი სელიმ-ხანი. ქართველთა ორ დაჯგუფებას შორის არსებული დაპირისპირება უნდილაძეთა განადგურებით დამთავრდა.

<u>როსტომი (1633-1658).</u> 1633 წელს ხოსრო-მირზა ქართლში გამეფდა და როსტომ-ხანი დაირქვა. თეიმურაზ I-მა თავი იმერეთს შეაფარა. როსტომი ქართლში გამეფებისას 67 წლისა იყო. ირანის სამეფო კარი როსტომს თავის მოხელედ _ ,,ვალად" მიიჩნევდა (ირანში ოთხი ვალი იყო: გურჯისტანის, არაბისტანის, ლურისტანისა და ქურთისტანის). როსტომმა ქართლში გამეფებისთანავე Gგორისა და სურამის ციხეებში ყიზილბაშური გარნიზონები ჩააყენა. Mმან ცოლად შეირთო ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის და მარიამი. ამრიგად საქართველოში ორი დაჯგუფება შეიქმნა: როსტომი და ლევანი დაუპირისპირდა თეიმურაზ I-სა და იმერეთის მეფე გიორგი III-ს, რომლის ძესაც ცოლად ჰყავდა თეიმურაზის ასული. თეიმურაზ I-მა სცადა ქართლის დაბრუნება, მაგრამ ვერ მოახერხა. თეიმურაზმა მხოლოდ კახეთში გამეფება შეძლო. თეიმურაზმა ელჩები გაგზავნა რუსეთში და ,,ფიცის წიგნიც" განაახლა, მაგრამ რუსეთს რეალური დახმარების არც ძალა და არც სურვილი არ ჰქონდა.

როსტომის მეფობის დროს დაიწყო ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერება. დაბრუნდა გახიზნული მოსახლეობა, აღდგა ქალაქები, გამოცოცხლდა ვაჭრობა-ხელოსნობა. ქართლმა დაისვენა ყიზილბაშთა გამანადგურებელი შემოსევებისაგან. როსტომმა ქართულ სამოხელეო თანამდებობებს სახელები შეუცვალა და მათ ირანული სახელები დაარქვა, თუმცა, თანამდებობათა დანიშნულება უცვლელი დატოვა. ქვეყანაში ქრისტიანობა არ იდევნებოდა, მაგრამ გარკვეულწილად ვრცელდებოდა ირანული წეს-ჩვეულებები. როსტომის დროს ქართლისა და კახეთის ტახტზე ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლები მხოლოდ გამაჰმადიანების შემდეგ ადიოდნენ.

1648 წელს როსტომი კახეთში შეიჭრა. ბრძოლაში კახელები დამარცხდნენ, დაიღუპა თეიმურაზ I-ის ვაჟი დავითი. როსტომს თვითონ თეიმურაზის შეპყრობაც შეეძლო, მაგრამ მას საშუალება მისცა იმერეთში გადასულიყო. როსტომმა კარგად იცოდა, რომ სანამ თეიმურაზი ცოცხალი იყო და სანამ ყიზილბაშებს მისი აჯანყების შიში ექნებოდათ, ისინი როსტომს თავისუფალი მოქმედების მეტ საშუალებას მისცემდნენ. ირანის შაჰმა კახეთიც როსტომს უბოძა და ქართლ-კახეთი კვლავ გაერთიანდა. თეიმურაზი ბრძოლას არ წყვეტდა და 1653 წელს მოსკოვში გაგზავნა თავისი ერთადერთი მემკვიდრე _ შვილიშვილი ერეკლე.

1656 წელს როსტომს კახეთი ჩამოართვეს და განჯის ხანს გადასცეს. 1658 წელს როსტომი გარდაიცვალა. იგი ირანში, ყუმში დაკრძალეს, იქ, სადაც აბას I იყო დაკრძალული.

როსტომს შვილი არ ჰყავდა და ტახტზე ავიდა მისი ნაშვილები, ბაგრატიონთა მუხრანბატონების შტოს შთამომავალი ვახტანგ V.

1658 წელს თეიმურაზ I მოსკოვში გაემგზავრა. რუსეთიდან თეიმურაზმა რეალური დახმარება ვერ მიიღო და იმერეთში დაბრუნებული სკანდის ციხეში ბერად აღეკვეცა. როდესაც ვახტანგ V-ემ იმერეთში ილაშქრა, თეიმურაზი მას ჩაუვარდა ტყვედ. მთელი ცხოვრება ყიზილბაშების წინააღმდეგ მებრძოლი მეფე ირანში გაგზავნეს. ისლამის მიღებაზა უარის თქმის შემდეგ თეიმურაზი ასტრაბადის ციხეში გამოკეტეს. 1663 წელს 74 წლის თეიმურაზ I გარდაიცვალა. ქართველებმა მეფის ნეშთი ჩამოასვენეს და ალავერდში დაკრძალეს.

ქართლისა და კახეთის სამეფოები XVII ს-ის II ნახევარში

<u>ბახტრიონის აჯანყება.</u> XVII ს-ის 50-იანი წწ-ის ბოლოს უმძიმესი ვითარება შეიქმნა კახეთში. ირანის შაჰი აბას II-ემ კახეთში დაიწყო მომთაბარე თურქმანების ჩამოსახლება. ჩამოასახლეს დაახლოებით 80 000-მდე თურქმანი. თურქმანები ყოველმხრივ ჩაგრავდნენ და ავიწროებდნენ ქართველებს. კახეთს გადაშენების საფრთხე დაემუქრა. თურქმანები ძირითადად მესაქონლეობას მისდევდნენ და მათ მხოლოდ საძოვრები აინტერესებდათ. ისინი ანადგურებდნენ კახეთის მეურნეობის ტრადიციულ დარგებს.

ირანის წინააღმდეგ აჯანყებას სათავეში ჩაუდგა: ზაალ არაგვის ერისთავი, ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები. აჯანყებაში მონაწილეობა მიიღეს თუშებმა _ ზეზვა გაფრინდაულის მეთაურობით. ხევსურებმა _ ნადირა ხოშარაულის მეთაურობით და ფშაველებმა _ გოგოლაურის თავკაცობით. თურქმანებს კახეთში ორი ძლიერი გამაგრებული პუნქტი ჰქონდათ: ბახტრიონის ციხე და ალავერი, რომელიც ასევე ციხე-სიმაგრედ ექციათ. აჯანყება 1660 წელს მოხდა. არაგვის საერისთაოს ჯარი ზაალის შვილის ზურაბის სარდლობით და ქსნის ერისთავების ჯარი ახმატეში შეიკრიბნენ. ბახტრიონის ციხესთან მოვიდნენ თუშები, ფშაველები და ხევსურები. კახელები კი ბიძინა ჩოლოყაშვილის მეთაურობით ალავერდს მიადგნენ. ქართველებმა ერთდროულად შეუტიეს ბახტრიონსა და ალავერდს და ორივე აიღეს. შემდეგ კი კახეთში ჩამოსახლებულ თურქმანებს შეუტიეს. მათი ნაწილი ამოწყვიტეს ნაწილი კი ქვეყნიდან განდევნეს. კახეთი ფიზიკურ განადგურებას გადაურჩა.

შაჰის ბრძანებით ვახტანგ V-მ ზაალ არაგვის ერისთავი მოაკვლევინა. შალვა, ელიზბარი და ბიძინა კი შაჰს ეახლენ, რათა ამით მაინც დაეცხროთ აბაზ II-ის მრისხანება. ბახტრიონის აჯანყების მეთაურები აბას II-ის ბრძანებით თურქმანებს გადასცეს დასასჯელად. 1662 წელს თურქმანებმა ქართველი მამულისშვილები წამებით დახოცეს. ისინი სამშობლოში გადმოასვენეს და იკორთის მონასტერში დაკრძალეს. ეკლესიამ შალვა, ელიზბარი და ბიძინა წმინდანებად შერაცხა.

<u>ვახტანგ V (1658-1675).</u> ბახტრიონის აჯანყების დროს ქართლის მეფე ვახტანგ V იყო. ვახტანგი ჯერ კიდევ როსტომ-ხანის სიცოცხლეში წავიდა ირანში. იქ გამაჰმადიანდა და შაჰნავაზი ეწოდა. ქართლში გამეფებულმა ვახტანგმა როსტომის პოლიტიკა განაგრძო. მოჩვენებითი გამაჰმადიანებითა და ყმობის აღიარებით იგი ცდილობდა მშვიდობიანი ურთიერთობა შეენარჩუნებინა ირანთან. ეს კი ქვეყნის ნორმალური განვითარების საშუალებას იძლეოდა.

ბახტრიონის აჯანყების შემდეგ ვახტანგ V-ეს კახეთიც დაემორჩილა. მან ისარგებლა დასვლეთ საქართველოში არსებული არეულობით და იმერეთში თავისი შვილი არჩილი

გაამეფა. ეს მიუღებელი გახდა ირანისა და ოსმალეთისათვის. 1639 წლის ზავით დასავლეთ საქართველო ოსმალეთს ეკუთვნოდა. სულთანმა ვახტანგის მოქმედება თავის შინაურ საქმეებში ჩარევად მიიჩნია და ირანი აიძულა არჩილ ვახტანგის ძე ქართლში წაეყვანა.

1664 წელს შაჰმა კახეთის მეფედ არჩილი დაამტკიცა. არჩილის მეფობის დროს კახეთი ეკონომიკურად მოღონიერდა და რამდენადმე მოხერხდა ლეკთა თარეშის აღკვეთაც. მიუხედავად ამისა, კახელი თავადები არჩილს მაინც უკანონო მეფედ მიიჩნევდნენ, რადგანაც ის ქართლელი ბაგრატიონი იყო და თვალი თეიმურაზ I-ის შვილისშვილისაკენ, ერეკლესაკენ ეჭირათ.

1674 წელს ერეკლე რუსეთიდან კახეთში დაბრუნდა. ის შაჰმა თავისთან დაიბარა. არჩილმა იფიქრა, რომ შაჰი ერეკლეს კახეთის მეფედ დაამტკიცებდა, ამიტომ მამის უკითხავად მიატოვა კახეთი და კვლავ იმერეთში გამეფებას შეეცადა.

შაჰს უყურადღებოდ არ დარჩენია ეს მოვლენები და მან თავისთან დაიბარა ვახტანგ V. ვახტანგმა ქართლის გამგებლად თავისი ძე გიორგი დატოვა, თვითონ კი ირანში წავიდა. 1675 წელს ირანში მიმავალი ვახტანგ V გზაშივე გარდაიცვალა. იგი ყუმში დაკრძალეს.

გიორგი XI და ერეკლე I. ვახტანგის ნაცვლად ქართლის მეფედ მისი ძე გიორგი XI დაინიშნა. კახეთი კი ყიზილბაშ ხანებს გადაეცად სამართავად.

გიორგი XI ცდილობდა ირანელთაA უღლის გადაგდებას. ის დახმარებას სთხოვდა ოსმალებს, ხოლო XVII ს-ის 80-იანი წლების ბოლოს რომის პაპსაც დაუკავშირდა, მაგრამ ამან არანაირი შედეგი არ გამოიღო. გიორგი მხარს უჭერდა უმცროსი ძმის არჩილის იმერეთში გამეფებას. შაჰმა ქართლის მეფეს მისი ძმის არჩილის შეპყრობა მოსთხოვა. გიორგიმ ბრძანება არ შეასრულა. უფრო მეტიც, გიორგიმ ირანის მომხრე ქართლის თავადებს შეუტია და კახეთის დაკავებასაც შეეცადა. ამის საპასუხოდ შაჰმა მეფე გიორგი 1688 წელს ტახტიდან გადააყენა და ქართლის მეფედ ერეკლე I დანიშნა.

ერეკლე I თითქმის 30 წელი უცხო ქვეყანაში (ჯერ რუსეთში, შემდეგ ირანში ცხოვრობდა). რუსეთში ერეკლე ნიკოლოზის სახელით იყო ცნობილი. იგი დაახლოებული იყო მეფე ალექსი მიხაილის ძესთან. ალექსისა და ნატალია ნარიშკინას (პეტრე I-ის დედის) ქორწილში 25 წლის ერეკლე ქორწილის მსვლელობის მთავარი განმკარგულებელი ,,ტისიაცკი'' იყო. 1674 წელს იგი ძალინ ცივად გამოისტუმრეს რუსეთიდან. იმის გამო, რომ ერეკლე I უცხო ქვეყანაში ცხოვრობდა, ის კარგად ვერ ერკვეოდა ქვეყანაში შექმნილ ვითარებაში. მეფე ქართლის თავადებს არ ენდობოდა და ყველგან თავის მომხრეებს ნიშნავდა. ის შეეცადა ხელისუფლების განმტკიცებას, მაგრამ დასაყრდენი არ ჰქონდა. Aამას ემატებოდა ისიც, რომ გიორგი XI 4 წელი იბრძოდა ქართლის ტახტის დაკავებისათვის. შაბოლოოდ, გიორგი ირანშიც კი წავიდა შაჰთან სათხოვნელად. 1703 წელს ირანის შაჰმა ქართლის მეფედ კვლავ გიორგი XI დანიშნა, მაგრამ საქართველოში არ გამოუშვა, არამედ ირანის სპასალაროობა და ყანდაარის (პროვინცია ავღანეთში) ბეგლარბეგობა უბოძა. გიორგის დაევალა ავღანელთა წინააღმდეგ ბრძოლა. ქართლის მმართველად (ჯანიშინად) გიორგი XI-ის ძმის, ლევანის შვილი ვახტანგი დაინიშნა. იმავე 1703 წელს შაჰმა ერეკლე I კახეთის მეფედ დანიშნა. ერეკლეც ირანში დაიტოვა. ის ყულარაღასად იქნა დანიშნული. კახეთის მმართველი კი ერეკლე I-ის ძე დავითი გახდა.

დასავლეთ საქართველო XVII საუკუნეში

XVII საუკუნეში დასვლეთ საქართველო რამდენიმე პოლიტიკურ ერთეულად იყო დაშლილი. ცალკე იყო იმერეთის სამეფო. დამოუკიდებლები იყვნენ ოდიშისა და გურიის

მთავრები,. აფხაზეთი ჯერ კიდევ ოდიშის შემადგენლობაში შედიოდა, მაგრამ შარვაშიძეები ცდილობდნენ დამოუკიდებელი სამთავრო ჩამოეყალიბებინათ. ეს ხდებოდა მაშინ, როცა სულ უფრო ძლიერდებოდა ოსმალთა აგრესია. ამ დროს იმერეთის მეფე იყო გიორგი III (1604-1639). სწორედ მასთან აფარებდნენ თავს შაჰ-აბას გამოქცეული ლუარსაბ II და თეიმურაზ I.

დასავლეთ საქართველოში მეფე-მთავრებს შორის ურთიერთობა გართულდა XVII ს-ის 20-იანი წწ-ის დასაწყისში, როდესაც ლევან II დადიანი (1611-1657) რეალურად გახდა ოდიშის მმართველი. ლევანის დედა კახთა მეფის ალექსანდრე II-ის ასული იყო. ლევან II დადიანი ენერგიული და ჭკვიანი მმართველი გახლდათ და დიდი ხნის მანძილზე დასავლეთ საქართველოში ყველზე გავლენიან ხელისუფლად ითვლებოდა. ლევან II ცდილობდა მთელ დასავლეთ საქართველოზე გაევრცელებია თავისი ჰეგემონობა. ლევან II დაუპირისპირდა იმერეთის მეფე გიორგი III-ეს. გიორგი III თეიმურაზს დაუმოყვრდა და მისი მოკავშირე გახდა. სამაგიეროდ, ლევან II ქართლის მეფე როსტომ-ხანს დაუმოყვრდა.

1634 წელს ლევან II დადიანმა დაამარცხა და ტყვედ ჩაიგდო იმერეთის მეფე გიორგი III. მეფის გამოსახსნელად გიორგის შვილმა ალექსანდრემ ლევანს ტერიტორიები დაუთმო. იმერეთში მცხოვრები სომეხი და ებრაელი ვაჭრები ლევანმა რუხში გადაასახლა. ლევანს ამით სურდა სამთავროში ვაჭრობის განვითარება. იმერეთის მეფე გიორგი III 1639 წელს გარდაიცვალა და ტახტზე ავიდა ალექსანდრე III (1639-1660).

მეტად დაიძაბა ლევან II დადიანის ურთიერთობა აფხაზეთთანაც. XVII საუკუნეში აფხაზეთში მკვეთრად იცვლება მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა. მთებიდან ზღვისპირეთში სახლდებიან ადიღეური ტომები, რომელნიც თავინთ თავს ,,აფსუას" უწოდებენ. ჩამოსახლებული აფსუები განვითარების შედარებით დაბალ დონეზე იდგნენ, მათი ძირითადი საქმიანობა პრიმიტიული მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ნადირობა და ძარცვა-ყაჩაღობა იყო. აფსუებმა, აფხაზეთში _ ძირძველ ქრისტიანულ კუთხეში წარმართობა მოიტანეს და გაავრცელეს. შარვაშიძეები, რომლებიც ჯერ კიდევ ბაგრატ IV-ის (1027-1072) დროიდან აფხაზეთის ერისთავები იყვნენ, იძულებული შეიქნენ შეჰგუებოდნენ შექმნილ ვითარებას და ცდილობდნენ დამოუკიდებელი სამთავროს შექმნას. ჩამოსახლებულთა შემოტევას წინ აღუდგა ლევან დადიანი. ოდიში რომ დაეცვა აფხაზეთის მხრიდან შემოსევებისაგან, ლევან დადიანმა ცხუმის (სოხუმის) მახლობლად ზღვიდან მთამდე ააგო კედელი. ამ თავდაცვის ნაგებობას ყოველთვის ოდიშის სამთავროს ჯარი იცავდა. ლევან II შეძლო აფსუების შემოტევების შეჩერება. ლევან II დადიანის მმართველობის პერიოდში ოდიშის სამთავრო გაძლიერდა როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად.

ლევან დადიანის გარდაცვალების შემდეგ გაძლიერდა შარვაშიძეები. მათ ნელ-ნელა გააფართოვეს აფხაზეთის სამთავროს ტერიტორიები აღმოსავლეთით და XVII საუკუნის ბოლოს მდინარე კოდორამდე მოაღწიეს. ამავე პერიოდში გაძლიერდა ოსმალების აგრესია დასავლეთ საქართველოში. ოსმალებმა თავინთი გარნიზონები ქუთაისშიც კი ჩააყენეს. ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს ,,ტყვეთა სყიდვასაც".

დასავლეთ საქართველოში გამეფებას ცდილობდა გიორგი XI და მისი ძმა არჩილი. 1699 წელს არჩილი რუსეთში წავიდა. იგი დასახლდა მოსკოვის მახლობლად ვსესვიატსკოეში. ერთი წლის შემდეგ რუსეთის მეფე პეტრე I-მა არჩილს მამულები უბოძა. საფუძველი ჩაეყარა პირველ ქართულ სათვისტომოს რუსეთში. არჩილი 1713 წელს გარდაიცვალა მოსკოვში. დაკრძალეს დონის მონასტერში.

XVII საუკუნის ბოლოს დასავლეთ საქართველოში უმძიმესი მდგომარეობა შეიქმნა.

სამცხე-საათაბაგო XVII საუკუნეში

სამცხე საათაბაგოს უდიდესი ნაწილი ოსმალებს ჰქონდათ დაპყრობილი, მაგრამ ბრძოლა ოსმალთა წინააღმდეგ კვლავ გრძელდებოდა. ათაბაგი მანუჩარ II ცდილობდა ოსმალეთსა და ირანს შორის არსებული წინააღმდეგობები გამოეყენებინა და ირანის დახმარებით ოსმალეთი განედევნა. ამ მიზნით, დაახლოებით 1605 წელს, მანუჩარი ირანში იმყოფებოდა აბას I-თან. აბას I-საც აწყობდა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორიების ხელში ჩაგდება და ის დახმარებას ჰპირდებოდა მანუჩარს. თუმც, სინამდლილეში, შაჰს სამცხის სრული დაპყრობა ჰქონდა განზრახული.

მანუჩარ II-ის გარდაცვალების შემდეგ ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა მისი მეუღლე, სვიმონ I-ის ასული ელენე. ელენემაც დახმარებისათვის ირანს მიმართა. ელენემ ქართლის სამეფოს ჯარის დახმარებით მოახერხა ახალციხის აღება. ამ ბრძოლაში ყიზილბაშთა რაზმიც მონაწილეობდა. ახალციხის დაკავების შემდეგ აბას I-მა ათაბაგად მანუჩარის ვაჟი მანუჩარ III ცნო. შაჰს სურდა სამცხის მოსახლეობის გულის მოგება. ოსმალებმა ახალციხე ისევ უკან დაიბრუნეს. XVII ს-ის 20-იან წწ-ში ირანელებმა ახალციხე დაიკავეს. ამჯერად შაჰმა ხელისუფლება მანუჩარს აღარ ჩააბარა, მან აქ თავისი მოხელე დანიშნა, რომელიც სამცხის გაყიზილბაშებას შეუდგა. ცხადი გახდა, რომ ირანისა და ოსმალეთის ზრახვები სამცხესთან დაკავშირებით არაფრით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.

მარაბდის ბრძოლისა (1625 წელი) და ქსნის ხეობაში ყიზილბაშთა განადგურების შემდეგ გიორგი სააკაძე სამცხეში გადავიდა. 1625 წელს ასპინძასთან მან დაამარცხა ირანელები, აიღო აწყურისა და ხერთვისის ციხეები. ამის შემდეგ ახალციხე თავისით დატოვეს ირანელებმა. გიორგი სააკაძემ დახმარება სთხოვა სულთანს. სულთანიც დაპირდა დახმარებას, მაგრამ რეალურად არაფერი გააკეთა. სულთანს აწყობდა, რომ ირანელებს ჯარის ნაწილი საქართველოში გამოეგზავნათ, რითაც შემცირდებოდა ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლი ირანელების ძალა. გიორგიმ სამცხე მალე დატოვა და ქართლში დაბრუნდა. მანუჩარ III იძულებული გახდა სულთანს ხლებოდა და მორჩილება გამოეცხადებინა. სულთანმაც მანუჩარი ქრისტიანად დაამტკიცა ათაბაგად. უკან გამობრუნებული მანუჩარ III გზაში მისმა ბიძამ მოაწამლინა.

1639 წელს ოსმალეთსა და ირანს შორის ზავი დაიდო. ზავის თანახმად მთელი სამცხე-საათაბაგო ოსმალებს დარჩათ. მოსახლეობის ნაწილი სამცხეს ტოვებდა. ნაწილი იძულებული გახდა გამაჰმადიანებულიყო. გარკვეულმა ნაწილმა კი შეძლო მართლადიდებლობის შენარჩუნება. ამ დროიდან იწყება კათოლიკობის გავრცელება სამცხე-საათაბაგოში. ეს იმით იყო განპირობებული, რომ ოსმალები კათოლიკებს ნაკლებად ავიწროებდნენ.

ლექცია #X
საქართველო XVIII საუკუნეში.

ქართლისა და კახეთის სამეფოები XVIII საუკუნის პირველ ნახევარში

<u>ქართლი ვახტანგის ჯანიშინობის დროს.</u> 1703 წელს ქართლის ჯანიშინად (მმართველად) დანიშნულმა ვახტანგმა თავიდანვე ენერგიული ღონისძიებები გაატარა სამეფო ხელისუფლების განმტკიცების მიზნით. მან გადააყენა ერეკლე I-ის მიერ დანიშნული მოხელეები და მისი ერთგულები დანიშნა. ვახტანგს სჭირდებოდა ეკლესიის მხრიდან მხარდაჭერა 1705 წელს მოწვეულ საეკლესიო კრებაზე კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს მისი ძმა დომენტი.

სამეფო ხელისუფლების გაძლიერების მიზნით შეიქმნა ,,მცველთა ჯარი", რომელიც თავადიშვილების, აზნაურებისა და მსახურებისაგან კომპლექტდებოდა. ისინი სახელმწიფოსაგან ღებულობდნენ ხელფასს. ,,მცველთა ჯარი", ძირითადად, თავადების ურჩობის აღსაკვეთად იყო შექმნილი.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა ვახტანგმა საკანონმდებლო სფეროში. მისი ბრძანებით შეიქმნა ,,დასტურლამალი". მასში დადგენილი იყო მოხელეების უფლება-მოვალეობანი, მიწათმფლობელობის ფორმები, გადასახადების რაოდენობა და სხვა მრავალი პრაქტიკული საკითხი. ვახტანგის ბრძანებითვე შეკრიბეს ძველი ქართული და უცხოური სამართლის წიგნები. თვითონ ვახტანგმა შეადგინა კანონთა კრებული _ ,,სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა", რომელიც მთელ საქართველოში მოქმედებდა.

1709 წელს ავღანეთში დაიღუპა ვახტანგის ბიძა, ქართლის მეფე გიორგი XI. იგი წარმატებით იბრძოდა აჯანყებული ავღანელების წინააღმდეგ. გიორგი XI თან ახლდა 2000 ქართველი. ავღანელთა ბელადმა მირ ვეისმა გიორგის დანათესავება შესთავაზა და ნადიმზე მიიპატიჟა. გიორგი ენდო და მივიდა მცირე რაზმით. ავღანელებმა გიორგი XI ღალატით მოკლეს და მას უპოვნეს მკერდზე ჩამოკიდებული ჯვარი, რომელიც შაჰს გაუგზავნეს იმის დასტურად, თუ როგორი ,,ერთგული" იყო გიორგი XI შაჰისა. შაჰმა ქართლის მეფედ ვახტანგის ძმა ქაიხოსრო დანიშნა და ისიც ავღანელების წინააღმდეგ გააგზავნა. ქართლის ჯანიშინად კვლავ ვახტანგი დარჩა.

ამავე პერიოდში ვახტანგმა გადააყენა თბილისის ყიზილბაში ციხისთავები და მათ ნაცვლად ქართველები დანიშნა. ვახტანგმა კარგად შეარჩია დრო. დასუსტებული ირანის დაცვას ავღანელების შემოსევებისაგან ქართველები ხელმძღვანელობდნენ. ასეთ ვითარებაში შაჰი ყიზილბაში ციხისთავების შეცვლაზე რეაგირებას არ მოახდენდა.

ვახტანგმა 1709 წელს თბილისში დააარსა სტამბა. მანამდე 1705 წელს, მოსკოვში არჩილმა დაბეჭდა ,,დავითნი". თბილისში სტამბის დაარსების საქმეში დიდი დახმარება გაუწია ანთიმოზ ივერიელმა. ბავშვობაში სამშობლოდან გატაცებული ანთიმოზი იერუსალიმის პატრიარქის კარზე იზრდებოდა. როდესაც ვლახეთის მთავარმა იერუსალიმის პატრიარქს

სთხოვა მისთვის გაეგზავნათ სასტამბო საქმის მცოდნე პირი, პატრიარქმა ანთიმოზი გაგზავნა. ანთიმოზმა რუმინეთში რამდენიმე სტამბა დააარსა. ანთიმოზმა დიდი სახელი მოიპოვა ვლახეთში და ვლახეთის მიტროპოლიტიც გახდა. იგი აქტიურად იბრძოდა რუმინეთის დამოუკიდებლობისათვის, მოითხოვდა, რომ მღვდელმსახურება რუმინულ ენაზე ყოფილიყო. რუმინეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ანთიმოზი წმინდანად შერაცხა. ანთიმოზ ივერიელმა საქართველოში გამოგზავნა თავისი მოსწავლე მიხაი იშტვანოვიჩი. თბილისის სტამბაში ვახტანგმა პირველად ,,სახარება'' დაბეჭდა. სამი წლის მანძილზე თბილისში დაიბეჭდა 14 წიგნი. 1712 წელს თბილისის სტამბაში დაიბეჭდა ,,ვეფხისტყაოსანი', რომელიც დაიბეჭდა ვახტანგის რედაქციითა და კომენტარებით.

1709 წელს ირანში გარდაიცვალა ერეკლე I. მის ნაცვლად შაჰმა კახეთის მეფედ მისი ძე დავით II (1709-1722) დანიშნა.

1711 წელს ყანდაარის (ქალაქი ავღანეთში) იერიშის დროს ბევრი ქართველი დაიღუპა, მათ შორის ქართლის მეფე ქაიხოსროც. ამჯერად შაჰმა თავისთან ვახტანგი დაიბარა. 1712 წელს ვახტანგი თავის ამალასთან ერთად ირანში გაემგზავრა. ვახტანგს თან ახლდა სულხან-საბა ორბელიანიც. ქართლის მეფედ დანიშვნისათვის მთავარი პირობა გამაჰმადიანება იყო. ვახტანგმა გამაჰმადიანებაზე უარი განაცხადა, შაჰმა იგი დაატყვევა. ქართლი შაჰმა ვახტანგის ძმას, გამაჰმადიანებულ იესეს გადასცა. იესე ვახტანგის საპირისპირო პოლიტიკას ატარებდა. ქართველი პოლიტიკოსები შეეცადნენ დახმარება ევროპაში ეძებნათ და ვახტანგი ქრისტიანად დაესვათ ქართლის ტახტზე. ამ მისიით გაემგზავრა ევროპაში სულხან-საბა ორბელიანი. სულხან-საბა შეხვდა საფრანგეთის მეფე ლუი XIV. სულხანმა შემწეობა რომის პაპსაც სთხოვა. მაგრამ ამან ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო. ამის მიზეზი ის იყო, რომ ერთის მხრივ, ევროპის ქვეყნები ირანს თურქეთის მოწინააღმდეგე ძალად განიხილავდნენ, მეორეს მხრივ კი სულხანის ვიზიტამდე რამდენიმე ხნით ადრე დაიდო სავაჭრო ხელშეკრულება საფრანგეთსა და ირანს შორის, ხელშეკრულება კი ორივე მხარეს აკმაყოფილებდა.

ვახტანგი მიხვდა, რომ დახმარებას ვერსაიდან მიიღებდა, თანაც იესეს მმართველობით შეწუხებული მოსახლეობა მხოლოდ მასზე ამყარებდა იმედებს. 1716 წელს ვახტანგმა მოჩვენებით მიიღო მაჰმადიანობა და შაჰმა ის ქართლის მეფედ დაამტკიცა, მაგრამ მხოლოდ 1719 წელს დააბრუნა ქართლში.

<u>ქართლი ვახტანგ VI მეფობის პერიოდში.</u> ქართლში დაბრუნებულ ვახტანგს ქვეყანა მძიმე მდგომარეობაში დახვდა. განსაკუთრებით ზარალდებოდა ქვეყანა დაღესტნელთა თავდასხმებისაგან. ჯერ კიდევ ირანში ყოფნის დროს ვახტანგ VI-სთან კავშირი დაამყარა რუსეთის მეფის პეტრე I-ის ელჩმა არტემ ვოლინსკიმ. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ვახტანგ VI-სა და პეტრე I-ს შორის შეთანხმება დაიდო.

პეტრე I (1696-1725) თავიდანვე ენერგიულად შეუდგა მეფობას. მან თურქეთის წინააღმდეგ მოკავშირეების მოძებნისა და დასავლეთ ევროპის ტექნიკური და კულტურული მიღწევების გაცნობის მიზნით მოაწყო ,,დიდი ელჩობა'' ევროპაში. ელჩობაში რუსეთის მეფეს თან ახლდა მისი მეგობარი, ვახტანგ V-ის ძის, არჩილ მეფის შვილი ალექსანდრე. პეტრეს მითითებით ალექსანდრემ ევროპაში საარტელერიო საქმე შეისწავლა. რუსეთში დაბრუნების შემდეგ ალექსანდრე დაინიშნა რუსეთის არმიის არტილერიის უფროსად. 1700 წელს პეტრემ წამოიწყო ომი შვედეთის წინააღმდეგ, რომლის მიზანიც გახლდათ ბალტიის ზღვაზე გასასვლელის მოპოვება და ევროპისაკენ მიმავალი ,,ფანჯრის გაჭრა''. ეს ომი ჩრდილოეთს ომის სახელითაა ცნობილი. პირველ ბრძოლაში რუსეთი დამარცხდა. ტყვედ ჩავარდა ალექსანდრეც. რამდენიმე წლის შემდეგ

მოხერხდა მისი განთავისუფლება, მაგრამ იგი გზაში გარდაიცვალა. პეტრემ ქვეყანაში განახორციელა ადმინისტრაციული, სამხედრო და ეკონომიკური რეფორმები. 1703 წელს საფუძველი ჩაუყარა ქალაქ სანკტ-პეტერბურგს (წმინდა პეტრეს ქალაქს). 1721 წელს დამთავრდა ომი შვედეთთან, რომელშიც რუსეთი გამოვიდა გამარჯვებული. რუსეთმა მოიპოვა გასასვლელი ბალტიის ზღვაზე და გაჭრა „ფანჯარა ევროპისაკენ". იმავე წელს პეტრემ იმპერეტორის ტიტული მიიღო და რუსეთი იმპერიად გამოცხადდა. ამის შემდეგ პეტრემ ხელში ჩაიგდი კასპიის ზღვისპირეთში გამავალი სავაჭრო გზები. 1722 წელს ზაფხულში პეტრემ კასპიის ზღვისპირეთში ლაშქრობა დაიწყო და ამის შესახებ ვახტანგ V-ს აცნობა. ვახტანგმა 40 000 ჯარი შეკრიბა და განჯასთან დაბანაკდა. აქ უნდა დალოდებოდა ვახტანგ VI რუსეთის იმპერატორს.

ამ დროს ირანი უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. ავღანელებმა ალყა შემოარტყეს ირანის დედაქალაქ ისპაანს. ავღანელებთან ბრძოლაში დაიღუპა ვახტანგის ძმა, რომელიც ირანელთა გვარდიის სარდალი იყო. საბოლოოდ ავღანელებმა ისპაანი აიღეს. აღსანიშნავია, რომ ზუსტად იმ დროს, როდესაც პეტრე I-მა ირანის წინააღმდეგ ილაშქრა, ვახტანგ VI მოკავშირეობა შესთავაზა ოსმალეთის სულთანმაც. რომელიც ასევე ირანის წინააღმდეგ აპირებდა ბრძოლის დაწყებას.

ვახტანგი გულწრფელად ენდობოდა პეტრეს. პეტრეს კი თავისი კონკრეტული მიზნები ჰქონდა და ქართლის სამეფოს ბედი არ ადარდებდა. რუსეთმა დაიკავა დარუბანდი, მაგრამ შემდგომი ლაშქრობა აღარ გააგრძელა. ვახტანგ VI ამაოდ ელოდა განჯაში პეტრეს, დამოუკიდებლად კი ვერ გადაწყვიტა დაეწყო ომი ირანის წინააღმდეგ.

ირანის ახალმა შაჰმა ქართლის მეფობა ერეკლე I-ის ძეს კონსტანტინეს გადასცა. გამაჰმადიანებული კონსტანტინე კახეთის მეფე გახდა თავისი ძმის დავით II-ის გარდაცვალების შემდეგ. 1723 წელს კონსტანტინემ ლეკების დახმარებით თბილისი აიღო. მაგრამ მალე ქართლში ოსმალები შემოიჭრნენ. ოსმალებმა დაიკავეს თბილისი და მთელი ქართლი. დაიწყო „ოსმალობა". ასეთ ვითარებაში, 1724 წელს, ვახტანგ VI 1200 კაცთან ერთად რუსეთში წავიდა. იმავე წელსვე რუსეთმა სცნო აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობა თურქეთის მიერ. პეტრე I-ს ვახტანგ VI-ს მიღებაც არ სურდა. ვახტანგს პეტერბურგში ცივად ეპყრობოდნენ მანამ, სანამ კვლავ არ გართულდა რუსეთ-ირანის ურთიერთობები.

<u>ოსმალობა და ყიზილბაშობა.</u> ქართლში გაბატონებულ ოსმალებს ვახტანგს VI-ის ძმა იესე ეახლა და მორჩილება აღუთქვა. დამპყრობლებმა იესე ქართლის მმართველად დანიშნეს. კახთა მეფე კონსტენტინემ სცადა წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ მათთან ბრძოლაში დამარცხდა. უპატრონოდ დარჩენილი ქვეყანა ლეკებს დარჩათ სათარეშოდ. დამპყრობლებმა ქართველებს ხარკის გადახდა დააკისრეს. მოსახლეობა ტოვებდა თავის საცხოვრებელ ადგილს და გარბოდა. მიწის დიდი ფართობი აღარ მუშავდებოდა. იდევნებოდა ეკლესია. 1732 წელს ოსმალებმა კახთას მეფე კონსტანტინე მოკლეს და მეფედ მისი ძმა თეიმურაზ II დასვეს.

ამასობაში ვითარება შეიცვალა ირანში. XVIII საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს ირანელთა სარდალი ნადირ-ხანი იწყებს აქტიურ ბრძოლას ავღანელთა წინააღმდეგ. მალე მან მოახერხა ავღანელთა განდევნა ირანიდან. XVIII ს-ის 30-იანი წწ-ის დასაწყისში ნადირმა ოსმალეთი დაამარცხა და აიძულა აღმოსავლეთ საქართველო დაეტოვებია. ირანი რუსეთაც დაუპირისპირდა და იძულებული გახადა ხელი აეღო პეტრე I-ის მიერ დაპყრობილ კასპიის ზღვისპირა ტერიტორიებზე. ნადირმა თავისთან დაიბარა ვახტანგ VI

და ქართლის ტახტს შეპირდა. ვახტანგი ნადირს არ ეახლა. ვახტანგ VI 1737 წელს გარდაიცვალა ასტრახანში.

1735 წელს ერევანში მყოფმა ნადირმა თავისთან დაიბარა ქართლ-კახეთის თავადები. ,,ოსმალობა'' ,,ყიზილბაშობამ'' შეცვალა. მალე ნადირ-ხანი ირანის შაჰი გახდა. 1737-1739 წლებში ნადირ-შაჰმა ინდოეთში ილაშქრა. ამ ლაშქრობაში მას თან ახლდა თეიმურაზ II-ის ძე ერეკლე, რომელიც ამ დროს 15 წლისა იყო. ნადირ-შაჰმა ქართლს დიდი გადასახადები დააკისრა. ანტიირანული აჯანყება წამოიწყო გივი ამილახორმა. ეს აჯანყება თავიდანვე განწირული იყო. აჯანყების ჩაქრობა შაჰმა თეიმურაზ II-ეს დაავალა, რომელიც იმავე წელსვე შეასრულა თეიმურაზმა. 1744 წელს ნადირ-შაჰმა თეიმურაზი ქართლის, ხოლო მისი ძე ერეკლე კახეთის მეფედ დაამტკიცა. 1745 წლის 1 ოქტომბერს სვეტიცხოველში თეიმურაზ II ქრისტიანული წესით მეფედ აკურთხეს. 1632 წლის შემდეგ ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ქართლის ტახტზე ქრისტიანი მეფე ავიდა.

ქართლ-კახეთი XVIII საუკუნის 40-70-იან წლებში

<u>თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ის მეფობა.</u> ქართლში თეიმურაზის, ხოლო კახეთში ერეკლეს გამეფების შემდეგ აღმოსავლეთ საქართველო ფაქტობრივად გაერთიანდა. მამა-შვილი შეთანხმებულად მოქმედებდნენ. ნადირ-შაჰი თურქეთს ეომებოდა. ქართლი და კახეთი ირანის მოკავშირედ ითვლებოდნენ. ოსმალეთის წაქეზებით გახშირდა აღმოსავლეთ საქართველოში დაღესტნელთა ლაშქრობები. თურქეთთან ომის დამთავრების შემდეგ ნადირ-შაჰმა გადასახადები გაუზარდა დაპყრობილ ქვეყნებს, მათ შორის ქართლსა და კახეთსაც. გადასახადების გაზრდას აჯანყებები მოჰყვა. ნადირ-შაჰი იძულებული გახდა ქართლ-კახეთისათვის ხარკი შეემცირებინა. შაჰმა ერეკლე II დაიბარა ირანში, მაგრამ შაჰთან თეიმურაზი წავიდა. 1747 წელს ნადირ-ხანი შეთქმულებმა მოკლეს. დაიწყო ირანში ბრძოლა ტახტისათვის, მაგრამ ტახტს დიდხანს ვერავინ ინარჩუნებდა. ერთი პერიოდი თეიმურაზის სიძე (ქალიშვილის ქმარი) ადილ-შაჰიც დაეუფლა ტახტს, მაგრამ მცირე დროით.

თეიმურაზ II-მ ირანში გამგზავრების წინ ქართლის მართვა-გამგეობა ერეკლე II-თან ერთად, ვახტანგ VI-ის ძმის, იესეს შვილს აბდულა-ბეგსაც ჩააბარა. მაგრამ აბდულა-ბეგი ერეკლეს დაუპირისპირდა და ერეკლემ დაამარცხა ის. 1748 წელს ქართლმა და კახეთმა უკანასკნელად გადაუხადა ხარკი ირანს (100 მეომარი და რამდენიმე ქალი). 1749 წელს თეიმურაზი საქართველოში დაბრუნდა. შაჰმა თეიმურაზს ყაზახ-ბორჩალოს მხარე გადასცა. იმავე წელს ერეკლე II სააბოლოოდ განდევნა ყიზილბაშური გარნიზონი თბილისიდან.

თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ეს მფარველობა სთხოვეს და, ფაქტობრივად, მათი ვასალები გახდნენ: ერევნის, განჯის და ნახიჩევანის სახანოები. მამა-შვილმა ჭარის შემოერთებაც გადაწყვიტა. სამწუხაროდ, შაქი-შარვანის ხანის აჯი-ჩალაბის ღალატის გამო, 1750 წელს ალაზანთან ქართველებმა მარცხი იწვნიეს. ამასობაში თეიმურაზსა და ერეკლეს ახალი მოწინააღმდეგე გამოუჩდა, ეს იყო სამხრეთ ადარბადაგანის (აზერბაიჯანის) მფლობელი აზატ-ხანი, რომელსაც პრეტენზიაც კი ჰქონდა ირანის შაჰობაზე. ერეკლემ 1751 წელს ყირბულახთან (ერევნის ახლოს) 3000 ჯარით აზატ-ხანის 18 000 ჯარი დაამარცხა. 1752 წელს განჯასთან აჯი-ჩალაბმა ქართველები კვლავ დაამარცხა. ამ მარცხმა თეიმურაზისა და ერეკლეს ავტორიტეტი შეარყია და საეჭვო გახადა სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში მათი პირველობა. საჭირო იყო სწრაფი მოქმედება. მართლაც, 1752 წელსვე ერეკლემ დაამარცხა აჯი-ჩელები და მისი ჯარი მთლიანად გაანადგურა.

მიღწეული წარმატებების მიუხედავად კვლავ გადაუჭრელი რჩებოდა ,,ლეკიანობის” პრობლემა. დაღესტნელებმა რამდენიმე სერიოზული ლაშქრობაც კი მოაწყვეს. 1754 წელს მჭადიჯვართან, ხოლო 1755 წელს ყვარელთან ერეკლე II-ემ დაამარცხა ნურსალ-ბეგის მეთაურობით შემოჭრილი დაღესტნელები.

1758 წელს თეიმურაზ II-ს, ერეკლე II-ეს და იმერეთის მეფე სოლომონ I-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ.

თეიმურაზ II და ერეკლე II კარგად ხვდებოდნენ, რომ ირანთან და ოსმალეთთან ყველაფერი საბოლოოდ გარკვეული არ იყო და დამოუკიდებლად მათ მოგერიებას ვერ შეძლებდნენ. ამიტომაც გადაწყდა 1760 წელს თეიმურაზ II თავად გამგზავრებულიყო რუსეთში. თეიმურაზმა რუსეთის იმპერატორს საკმაოდ კარგი გეგმა შესთავაზა: ქართველები შეიჭრებოდნენ ირანში და რუსეთისათვის სასურველ კანდიდატს დასვამდნენ შაჰად. ამ დროს რუსეთი ომს აწარმოებდა ევროპაში და უარი განაცხადა ამ გეგმაზე. 1762 წელს თეიმურაზ II გარდაიცვალა პეტერბურგში, ის ასტრახანში დაკრძალეს, ვახტანგ VI-ის გვერდით. ამის შემდეგ ერეკლე II გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფე გახდა.

<u>ქართლ-კახეთის სამეფო XVIII საუკუნის 60-70-იან წლებში.</u> ხანგრძლივი ბრძოლა შაჰის ტახტისათვის ირანში ქერიმ-ხან ზენდის გამარჯვებით დამთავრდა. ერეკლემ ქერიმ-ხანს დატყვევებული აზატ-ხანი გაუგზავნა, რომელიც ქერიმ-ხანის სერიოზული კონკურენტი იყო ირანის ტახტისათვის ატეხილ ბრძოლაში. ამით ერეკლემ ახალი შაჰის კეთილგანწყობა დაიმსახურა.

ერეკლე II მკაცრი საშინაო პოლიტიკის გატარება დაიწყო. მკაცრი ხელისუფლება მიუღებელი აღმოჩნდა თავადებისათვის და მათ გადაწყვიტეს მეფის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობა. შეთქმულებს ერეკლე II-ის ნაცვლად ტახტზე ვახტანგ VI-ს უკანონო შვილი პაატა ბატონიშვილი უნდა აეყვანათ. შეთქმულება შემთხვევით გამჟღვნდა 1765 წელს და მისი მონაწილეები შეიპყრეს. შეთქმულები: პაატა ბატონიშვილი, ელიზბარ თაქთაქისშვილი, დავით აბდულა-ბეგის ძე სიკვდილით დასაჯეს. თავად ციციშვილს ენა მოკვეთეს, ხოლო ალექსანდრე ამილახვარს ცხვირი მოჭრეს და კოჭის ძარღვები გადაუჭრეს. შეთმულები სასტიკად იქნა დასჯილი, რათა სხვებისთვის ეს მაგალითი ყოფილიყო.

1768 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო. იმერეთის მეფე სოლომონ I თავისი ელჩის პირით რუსეთს სთხოვდა დახმარებას და ომში ჩაბმის მზადყოფნას გამოთქვამდა. ეს რუსეთის იმპერატორს ეკატერინე II-საც აწყობდა და საქართველოში გამოგზავნა ჯარი გენერალ ტოტლებენის ხელმძღვანელობით. ერეკლემ ტოტლებენს ახალციხეზე ლაშქრობა შესთავაზა. თავიდან ტოტლებენი დათანხმდა, მაგრამ აწყურის ციხესთან მიატოვა ერეკლე და ქართლში დაბრუნდა. მართალია, ერეკლე II-ემ 1770 წლის 20 აპრილს ასპინძასთან სასტიკად დაამარცხა თურქებისა და დაღესტნელების გაერთიანებული ლაშქარი, მაგრამ იმის გამო, რომ ტოტლებენი ერეკლეს საწინააღმდეგო პოლიტიკას ატარებდა ქართლში (ის ქართლელ თავადებს იმპერატორის ერთგულებაზე აფიცებდა და თანაც ციხეების დაკავებაც დაიწყო), ერეკლე იძულებული გახდა ქართლში დაბრუნებულიყო. ტოტლებენს ერეკლე II-ს ტახდიდან გადაყენებაც ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ არ გამოუვიდა. საეჭვოა, რომ ტოტლებენის მთელი ეს საქმიანობა მხოლოდ მისი პირადი ინიციატივით ყოფილიყო ნაკარნახევი. რუსეთის ჯარის ყოფნამ საქართველოში არავითარი სარგებლობა არ მოუტანა ერეკლეს. ერთადერთი, რეგულარული ჯარის შექმნის იდეა მიაწოდა. 1774 წელს დაწესდა ,,მორიგე ჯარი”. ქართლ-კახეთის სამეფოს ყველა მამაკაცი. მიუხედავად

თავისი სოციალური სტატუსისა, ვალდებული იყო თავისი ხარჯით წელიწადში ერთი თვით წასულიყო ჯარში. ამან ერეკლეს 5000-იანი ყოველთვის მზადმყოფნი მოლაშქრე მისცა. ,,მორიგე ჯარის" სარდალი და სულისჩამდგმელი ერკელეს ძე ლევან ბატონიშვილი იყო. ,,მორიგე ჯარმა" განსაკუთრებით კარგი შედეგი გამოიღო ლეკიანობის აღსაკვეთად. Mმორიგე ჯარის შექმნაში გარკვეული საფრთხე დაინახეს ქართლის თავადების ერთმა ნაწილმა. ისინი აშკარა უკმაყოფილების გამოხატვას ერიდებოდნენ, მაგრამ ელოდნენ ხელსაყრელ დროს. Eეს დროც მალე დადგა _ 1781 წელს გაურკვეველ ვითარებაში მოულოდნელად გარდაიცვალა ლევან ბატონიშვილი. მისი შემცვლელი სხვა ბატონიშვილი აღარ მოიძებნა. ყოველწლიურად იწყო შემცირება და ბოლოს საერთოდ შეწყდა მორიგ ჯარში გამოსულთა რიცხვი. Eეს იყო ერეკლეს პოლიტიკის აშკარა მარცხი.

დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები XVIII საუკუნეში

<u>დასავლეთ საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში.</u> 1703 წელს ოსმალთა სულთნის ბრძანებით დიდი ჯარი შეიჭრა დასავლეთ საქართველოში მის საბოლოო დასამორჩილებლად. ოსმალებმა თითქმის მთლიანად დაიკავეს გურია, იმერეთი, სამეგრელო. მაგრამ სულთნის კარზე მომხდარი გადატრიალების გამო ჯარმა საომარი მოქმედებები შეწყვიტა და დასავლეთ საქართველო დატოვა. მართალია, დასავლეთ საქართველო გადაურჩა სრულ დაპყრობას, მაგრამ მდგომარეობა მაინც რთული იყო. ომის შედეგად აოხრდა ქვეყანა. სასტიკი შინაომები მიმდინარეობდა იმერეთის ტახტის დასაკავებლადაც.

ასეთ ვითარებაში 1721 წელს იმერეთის ტახტზე ავიდა ალექსანდრე V. მისი გამეფებისთანავე ოსმალებმა დაიკავეს შავი ზღვის მთელი აღმოსავლეთ სანაპირო. თურქეთის გარნიზორები იდგა: ბათუმში, ფოთში, სოხუმში და სხვა. ამრიგად დასავლეთ საქართველოს მოესპო ზღვაზე გასასვლელი. ქვეყნის შიდა რაიონებში ოსმალებს ეკავათ: ქუთაისი, ბაღდადის, შორაპნის ციხეები. ალექსანდრე V-ემ შეეცადა მოკავშირე მოეძებნა ოსმალთა წინააღმდეგ და მან ამ მიზნით თავისი ელჩი გაგზავნა რუსეთში, მაგრამ ამაოდ. ამას ემატებოდა ურჩი ფეოდალების მიერ მეფის კუთვნილი ტერიტორიების ხელში ჩაგდების განუსაზღვრელი შემთხვევები. 1752 წელს ალექსანდრე გარდაიცვალა და ტახტზე ავიდა მისი ძე სოლომონ I.

<u>სოლომონ I (1752-84).</u> გამეფებისთანავე სოლომონმა აკრძალა ,,ტყვეთა სყიდვა". ამის გამო მის წინააღმდეგ გამოვიდნენ მისივე ბიძები, საკუთარი ბაბუა და დედაც კი. მათ მოახერხეს სოლომონის ტახტიდან ჩამოგდება. სოლომონ I-მა მალევე დაიბრუნა ტახტი და თავის ირგვლივ შემოიკრიბა წვრილი თავადები და აზნაურები. 1757 წელს სოლომონ I-ის დასამორჩილებლად იმერეთში ოსმალთა დიდი ჯარი შემოვიდა. ოსმალთა ჯარის ძირითადი ნაწილი ხრესილის ველზე დაბანაკდა. ბრძოლის დაწყების წინ სოლომონმა ჩაკეტა ფოთიდან, გურიიდან და ახალციხიდან მომავალი გზები, რათა ოსმალებს დახმარება არ მიეღოთ. 1757 წლის 14 დეკემბერს ქართველები შეტევაზე გადავიდნენ. ოსმალთა რიგებში ლევან აბაშიძე (სოლომონის ბაბუა) და როსტომ რაჭის ერისთავი იმყოფებოდნენ. სოლომონმა გაიმარჯვა. ლევან აბაშიძე ბრძოლაში დაიღუპა. 1758 წელს ქართლის მეფე თეიმურაზ II, კახეთის მეფე ერეკლე II-მ, და იმერეთის მეფე სოლომონ I-მა დადეს ხელშეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ. 1759 წელს სოლომონ I-მა საგანგებო საეკლესიო კრება მოიწვია. Kკრების გადაწყვეტილებით ,,ტყვეთა სყიდვაში" მონაწილე პირები სიკვდილით დაისჯებოდნენ.

ოსმალებმა ილაშქრეს იმერეთში და ქუთაისში მეფედ დასვეს სოლომონის ბიძაშვილი თეიმურაზი. როგორც კი ოსმალებმა ქვეყანა დატოვეს, სოლომონმა დაიბრუნა მეფობა. თიმურაზი გაიქცა. სოლომონ I-ის უკომპრომისო ბრძოლის შედეგად, 1767 წელს, ოსმალეთმა იმერეთი ცნო არა ვასალურ, არამედ მფარველობაში მყოფ სამეფოდ. 1768 წელს სოლომონმა საბოლოოდ დაამარცხა თავისი ბიძაშვილ თეიმურაზი და ციხეში გამოკეტა იგი. მეფემ როსტომ რაჭის ერისთავი დაატყვევა და სასტიკად დასაჯა. მისი საერისთაო კი გააუქმა.

1768 წელს სოლომონ I-მა თავისი ელჩი მაქსიმე ქუთათელი გაგზავნა რუსეთში. რუსეთი ამ დროს ომს აწარმობდა ოსმალეთთან და დაინტერესებული იყო კავკასიაში ოსმალეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედებებით, რის გამოც საქართველოში გენერალ ტოტლებენის მეთაურობით ჯარი გამოგზავნეს. 1769 წელს ტოტლებენი უკვე იმერეთში იყო. ქართველებისა და რუსების ჯარმა შორაპნის ციხე აიღო. ამ დროს სოლომონს ცნობა მოუვიდა, რომ იმერეთში ოსმალები შეიჭრენ და მათ დასახვედრად წავიდა. ტოტლებენი კი ქართლში დაბრუნდა. რუსები იმერეთში ხელახლა ასპინძის ბრძოლის შემდეგ გადავიდნენ. ტოტლებენი იმერეთშიც მხოლოდ თავისი მოსაზრებებით მოქმედებდა და სოლომონის რჩევას არ ითვალისწინებდა. მალე ტოტლებენი რუსეთში გაიწვიეს. ახალმა რუსმა სარდალმაც არ გაითვალისწინა იმერეთის მეფის გაფრთხილება, რომ ზაფხულში ფოთის აღება არ ივარგებდა (კოლხეთის ჭაობის გამო). ამის არ გათავალისწინებამ უამრავი ჯარისკაცი ციებ-ცხელებით დააავადა. 1772 წელს რუსეთის ჯარმა დატოვა იმერეთი და საერთოდ საქართველოც.

1774 წელს რუსეთ-ოსმალეთს შორის დადებული ქუჩუკ-კაინარჯის ზავის თანახმად რუსეთმა ცნო დასვლეთ საქართველოზე ოსმალების უფლებები, ოღონდ ოსმალეთს იმერეთიდან ხარკის აკრებაზე უარი უნდა ეთქვა.

1778 წელს სოლომონს აუჯანყდა თავისი შვილი ალექსანდრე. რომელიც ამის შემდეგ მალევე გარდაიცვალა. 1780 წელს ოსმალები აფხაზეთის მხრიდან ოდიშში შეიჭრენ. დადიანს სოლომონიც მიეხმარა და რუხის ციხესთან ქართველებმა მტერი დაამარცხეს. ამის შემდეგ ოსმალებმა შეტევა აჭარა-გურიის მხრიდან დაიწყეს. მეფემ საპასუხო ღონისძიებები გაატარა. ქართველებმა დაიკავეს ქობულეთის მხარე და ბათუმამდე მივიდნენ. უკან დაბრუნებისას ქართველები ჩასაფრებულ მტერს წააწყდნენ და მეფე ძვლივს გადაურჩა ტყვეობას. 1784 წელს სოლომონ I გარდაიცვალა. მეფე გელათში დაკრძალეს. Gგარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე სოლომონ I-მა თავის მემკვიდრედ ძმისშვილი დავით არჩილის ძე გამოაცხადა. რომელიც ამავე დროს ერეკლე II-ის შვილისშვილიც იყო. დავითის დედა ელენე ერეკლეს ასული იყო. სოლომონის გარდაცვალების დროს დავით არჩილის ძე 12 წლის იყო და ბაბუასთან იზრდებოდა. ამით ისარგებლა სოლომონ I-ის ბიძასშვილმა დავით გიორგის ძემ და იმერეთის სამეფო ტახტი დაიკავა.

ლექცია #XI

ქართლ-კახეთის სამეფო XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში

გეორგიევსკის ტრაქტატი. XVIII საუკუნის 70-80-იან წლებში რუსეთი და ავსტრია ამუშავებდნენ ,,საბერძნეთის პროექტის" სახელით ცნობილ გეგმას, რომლის თანახმადაც ევროპიდან უნდა განედევნათ ოსმალები და აღმდგარიყო საბერძნეთის იმპერია. ამ

იმპერიის მეფედ უნდა დანიშულიყო რუსეთის სამეფო კარის წარმომადგენელი. მოლდავეთი და ვლახეთი უნდა გაერთიანებულიყო ერთ სახელმწიფოდ, რომლის სახელიც უნდა ყოფილიყო დაკია და იგი რუსეთზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული. რუსეთი გეგმავდა ყირიმის შემოერთებას, ქართლ-კახეთის მფარველობაში შეყვანას და ამიერკავკასიაში ორი ბუფერული სახელმწიფოს - სომხეთისა და ალბანეთის შექმნას. ამიერკავკასიის სივრცეში პირველობის მოპოვებას რუსეთი ერეკლე II-ის დახმარებით გეგმავდა.

XVIII საუკუნის 80-იანი წლების დამდეგისთვის რუსეთმა გადაწყვიტა ყირიმის სახანოს შეერთების საკითხი და მთელი ძალები მობილიზებულ იქნა შავი ზღვის აუზში. აშკარად გამოიკვეთაA რუსეთის ინტერესები კავკასიაში. სამხრეთ კავკასიის დაუფლებისთვის მებრძოლ ოსმალეთსა და ირანს რუსეთიც შეემატა. რუსეთი ამ პერიოდისთვის ამ სამ სახელმწიფოს შორის ყველაზე ძლიერი იყო. საქართველოს მოსახლეობა ამ დროისთვის 700-800 ათას კაცს არ აღემატებოდა. ერი ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე იდგა. ამიტომ არჩევანი _ ცუდსა და უარესს შორის შედარებით ნაკლებ ,,ცუდზე'' გაკეთდა. ერკლე II-მ მფარველად რუსეთის სახელმწიფოს გაჩენა განიზრახა. თავის მხრივ, რუსეთიც მოხარული იქნებოდა, თუ სამხრეთ კავკასიაში პლაცდარმს გაიჩენდა და უბრძოლველად გადმოლახავდა კავკასიის ქედს.

ამრიგად, დაინტერესება ორივე მხრიდან იყო, მაგრამ რუსეთს სურდა, რომ საქმე ისე წარმოეჩინა, თითქოს ხელშეკრულების დადების ინიციატორი ერეკლე II იყო. Aამიტომ 1782 წელს ერეკლემ ოფიციალური თხოვნით მიმართა ეკატერინე II-ს ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობაში მიღებასთან დაკავშირებით. შემუშავდა ხელშეკრულების (ტრაქტატის) პროექტი, რომლის ტექსტი ეკატერინე II-მ და ერეკლე II-მ მოიწონეს. 1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკის ციხესიმაგრეში (ჩრდილოეთ კავკასია) ტრაქტატს ხელი მოაწერეს: რუსეთის მხრიდან – პავლე პოტიომკინმა, ქართლ-კახეთის მხრიდან – იოანე მუხრანბატონმა და გარსევან ჭავჭავაძემ. ამ ტრაქტატით ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობაში შევიდა.

ტრაქტატის ტექსტი შედგებოდა პრეამბულის, 13 ძირითადი და 4 სეპარატიული მუხლისგან, ანუ არტიკულარისგან. ტრაქტატის პირობების თანახმად: ქართლ-კახეთის მეფეს ამტკიცებდა რუსეთის იმპერატორი. რუსეთი არ ერეოდა ქართლ-კახეთის საშინაო საქმეებში; საგარეო ურთიერთობები ქართლ-კახეთის მეფეს უნდა შეეთანხმებინა რუსეთთან. საიდუმლო მუხლების თანახმად, ქართლ-კახეთში უნდა მდგარიყო 2 ბატალიონი და 4 ზარბაზანი. საჭიროების დროს კი გამოიგზავნებოდა დამატებითი ძალები. რუსეთი, ასევე, ეცდებოდა დაებრუნებინა მტრისგან მიტაცებული ქართული მიწები.

ქართულ ისტორიოგრაფიაში რამდენადმე განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატთან დაკავშირებით. საქართველოს ისტორიის ნარკვევების IV ტომში (1974 წ.) ნათქვამია, რომ „ის სამართლებრივი ნორმები, რითაც საქართველო და რუსეთი ტრაქტატის დადებისას ხელმძღვანელობდნენ, დამახასიათებელი იყო ფეოდალური ეპოქის საერთაშორისო სამართლისათვის. 1783 წლის ტრაქტატი იყო ხელშეკრულება ძლიერი სახელმწიფოს მფარველობაში სუსტი ფეოდალური სახელმწიფოს ნებაყოფლობითი შესვლის შესახებ. ამავე დროს იგი წარმოადგენდა “მეგობრულ ხელშეკრულებას”, რომელიც რუსეთთან საქართველოს კავშირს განამტკიცებდა. ქართლ-კახეთის სუვერენული სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში შევიდა“.

საქართველოს ისტორიის ოთხტომეულის III ტომში (2012 წ.) იგი შეფასებულია შემდეგნაირად: „ერეკლესა და მასთან ერთად, მის ირგვლივ შემოკრებილ პროგრესისტთა დასს შესანიშნავად ესმოდათ, რომ აგრესორებით გარშემორტყმულ პატარა ქვეყანას გადარჩენა არ ეწერა, თუ იგი არ გაერთიანდებოდა, თავის წიაღში განახლების ძალებს არ გამოავლენდა და მოწინავე ევროპის კულტურას, განათლებას, პოლიტიკურ წყობას, ეკონიმიკას არ ეზიარებოდა, ანუ თავს არ დააღწევდა რეგრესის, ჩამორჩენილობის, სიბნელის ჭაობს, რომელიც გარს ერტყა.

აქ არ შეიძლება ხაზგასმით არ აღვნიშნოთ, რომ XVIII საუკუნეში რუსეთის იმპერიამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ხელი შეეშალა საქართველოს ხელისუფალთა იმ ძალისხმევისთვის, აღნიშნული ამოცანების რუსეთის გვერდის ავლით გადაწყვეტისკენ რომ იყო მიმართული, რამაც საბოლოოდ საქართველოს სახელმწიფოებრიობის, დამოუკიდებლობის დაკარგვა გამოი- წვია, რაც რუსეთის დიდი ხნის ჩაფიქრებული და კარგად გათვლილი ვერაგული გეგმა იყო. მაგრამ, ამასთან ერთად, რამდენად დაუნდობელი და ეგოისტურად განწყობილი არ უნდა ყოფილიყო რუსეთის იმპერია, იგი მაინც ევროპა, ან ევროპისკენ მიმავალი ხიდი იყო, საიდანაც საქართველოში განათლებისა და განახლების სიო უნდა შემოჭრილიყო. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ გაფორმებული ტრაქტატი საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვის გზაზე გადადგმული ნაბიჯი იყო, ამავე დროს, ნებსით თუ უნებლიეთ, ობიექტურად, იგი საქართველოს გზას უხსნიდა მისთვის მშობლიური ცივილიზაციისკენ. სანამ ამ დიდი საქმის დადებით შედეგს იგრძნობდა ქვეყანა, საქართველოს წინ საუკუნოვანი, მძიმე და ტანჯული არათავისუფალი გზა ედო, მაგრამ ეს მაინც პროგრესული ნაბიჯი იყო, რადგან ყველა სხვა ნაბიჯი, უდავოდ, გაცილებით უარესი ჩანდა, რადგან იგი ჩამორჩენილობასთან ერთად, საქართველოს დაქუცმაცებისა და გათიშულობის საბოლოო დამკვიდრების გზისკენ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა.

ამრიგად, ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით, ამ აქტის ზოგადი პროგრესული მნიშვნელობა თვალსაჩინოა“. საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ეს ტრაქტატი მიჩნეული იყო (ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ი. ციცაძე, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე), როგორც ,,მეგობრული ხელშეკრულება კავშირისა და მფარველობის შესახებ”;

1783 წლის 2 ნოემბერს ტრაქტატის პირობისამებრ თბილისში რუსეთის არმიისA ორი ბატალიონი ჩამოვიდა. 1784 წლის 22 იანვარს კი -საქართველოში საჩუქრებით დატვირთული რუსი პოლკოვნიკი ტამარა. მის ჩამოსვლასთან დაკავშირებით 101-ჯერ გაისროლეს რუსულმა ზარბაზნებმა. 1784 წლის 24 იანვარს ტრაქტატის სარატიფიკაციო სიგელს ხელი მოაწერა ერეკლე II-მ და ეკატერინე II-მაც. ამის აღსანიშნავად ისევ 101-ჯერ გაისროლა რუსულმა ზარბაზნებმა, რომელმაც დააფიქრა, როგორც ოსმალეთი და ირანი, ასევე ევროპის სახელმწიფოებიც... ერეკლე II იმედოვნებდა, რომ ამ ტრაქტატის დადების შემდეგ ქვეყანა სულს მოითქვამდა და დაცული იქნებოდა, მაგრამ ერეკლე ცდებოდა - რუსეთს, ისევე, როგორც საქართველოს სხვა დამპყრობლებს, არ სჭირდებოდა ერთიანი და ძლიერი საქართველო. გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამ გააღიზიანა როგორც ირანი და ოსმალეთი, ასევე ევროპის დიდი სახელმწიფოები - ინგლისი და საფრანგეთიც კი. 1783 წლის ხელშეკრულებამ საქართველოს არანაირი სარგებლობა არ მოუტანა, პირქით - ზიანი მრავლად. ერეკლე II-ს ირანსა და ოსმალეთთან გარკვეული პოლიტიკური ,,სტატუს კვო” ჰქონდა მიღწეული, რაც ქართველთა დიპლომატიური სკოლის ბრწყინვალე მიღწევა იყო. მაგრამ, რუსეთთან ურთიერთობით პოლიტიკური წონასწორობა აშკარად დაირღვა და ნათელი იყო, რომ ახლო მომავალში ქართლ-კახეთი ახალ თავდასხმებს მიიღებდა.

ქართლ-კახეთის სამეფო XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში. 1783 წელს ეკატერინე II-მ ყირიმის ნახევარკუნძული შემოიერთა და აქედან საბოლოოდ განდევნა ოსმალები. იმავე წელს მან მფარველობაში შეიყვანა ქართლ-კახეთის სამეფო და ყუბანის მხარე. გარდა ამისა რუსეთმა კიდევ უფრო განიმტკიცა თავისი პოზიციები ყაბარდოში. რუსეთი გეგმავდა კავკასიის სივრცეზე ბატონობის დამყარებას, კონსტანტინოპოლის აღებას და ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების დაკავებას. ამ უკანასკნელისთვის ბრძოლები კიდევ უფრო დრამატული იყო, მომდევნო, მთელი XIX საუკუნის განმავლობაში.

პირველი სერიოზული დარტყმა, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფომ გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ მიიღო, დაღესტნელთა შემოსევა იყო. 1785 წელს ომარ-ხანის წინამძღოლობით დაღესტნელთა ლაშქარი ქართლ-კახეთს შემოესია, რუსეთმა კი ამ ბრძოლაში რეალური დახმარება არ აღმოუჩინა ქართულ სამეფოს. ერეკლე II-მ ომარ-ხანს ხარკის გადახდა აღუთქვა.

ერეკლე II მიხვდა, რომ რუსეთზე დაყრდნობა არ შეიძლებოდა. ამიტომ მან ელჩი გაგზავნა ეგვიპტეში, სადაც ამ დროს ქართველი მამლუქების ხელში იყო ძალაუფლება. ერეკლეს ელჩი სიამოვნებით მიიღეს, მაგრამ რეალური დახმარება არ აღმოუჩინეს. 1786 წელს გაიმართა თათბირი, რომელზეც განიხილეს საგარეო ორიენტაციის საკითხი, მაგრამ საგარეო კურსის შეცვლა არ მოხდა.

1787 წელს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი. რუსეთმა ქართლ-კახეთიდან ჯარი გაიყვანა. ჯარის გაყვანა რუსეთმა იმით ახსნა, რომ ამით ქართლ-კახეთს მიეცემოდა საშუალება, მოეგვარებინა ურთიერთობა მეზობლებთან. 1791 წლის 29 დეკემბერს იასში რუსეთსა და ოსმალეთს შორის გაფორმდა საზავო ხელშეკრულება (ტრაქტატი), რომლის თანახმადაც, ოსმალეთმა სცნო 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები, რომლის თანახმადაც, ქართლ-კახეთი შევიდა რუსეთის მფარველობაში. ამ ტრაქტატის მეხუთე მუხლის თანახმად, ოსმალეთი დებდა პირობას, რომ ამიერიდან ახალციხის ფაშა აღარ დაესხმოდა თავს ქართლ-კახეთის სამეფოს. დასავლეთ საქართველოსთან მიმართებაში კი ძალაში დარჩა ქუჩუკ-კაინარჯის ზავის პირობები.

1789 წელს დავით არჩილის ძესა და დავით გიორგის ძეს შორის მიმდინარე ბრძოლისგან დაღლილი იმერეთის სამეფოს წარმომადგენლები ჩავიდნენ ერეკლე II-სთან და შესთავაზეს იმერეთის შეერთება, მაგრამ ერეკლე II-მ განაცხადა, რომ ის ვერ წაართმევდა ტახტს თავის შვილიშვილს. 1789 წელს იმერეთში დავით არჩილის ძე გაამეფეს, რომელიც სოლომონ I-ის პატივსაცემად სოლომონ II-დ იწოდა.

1790 წელს ერეკლე II-ის მდივნის, სოლომონ ლიონიზეს, ძალისხმევით დაიდო ,,ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართა". ამ ხელშეკრულებით, იმერეთის მეფე სოლომონ II, სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი და გურიის მთავარი სვიმონ გურიელი აღიარებდნენ ერეკლეს უპირატესობას და მასვე ანდობდნენ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას, თუმცა არ უერთდებოდნენ 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს.

XVIII საუკუნის 90-იან წლებში ერეკლე II-მ ორი ბრძანება გამოსცა, რომლებმაც გაართულეს ვითარება ქვეყნის შიგნით. 1791 წელს გამოსული ბრძანებით, „განწესებანი საქართველოს მეფის ირაკლისანი ძეთათვისადმი სამეფოსათვის საქართველოისა", მემკვიდრეობა გადადიოდა ძმიდან ძმაზე. ეს სამეფოში მუდმივი არეულობის მიზეზი იქნებოდა. მეორე ბრძანებით, მეფემ საუფლისწულოები გამოუყო თავის ვაჟებს. ამან კი, ფაქტობრივად, დაშალა ქართლ-კახეთის სამეფო.

კრწანისის ბრძოლა. ქართლ-კახეთს რეალური საფრთხე ემუქრებოდა ირანიდან და მისი მმართველი აღა-მაჰმად-ხანიდან, როგორც ჩანს, ეს ყველაფერი რუსეთის ფარული რეჟისურითა და წაქეზებით ხდებოდა, რადგან რუსეთს აწყობდა საქართველოს დასუსტება, რომელსაც ამჯერად ამას ირანის ხელით მიაღწევდა და შემდეგ ქართველებს არათანასწორუფლებიან ხელშეკრულებას მოახვევდა თავს.

ზ. ჭიჭინაძე ბაგრატ ბატონიშვილის ცნობებზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ კავკასიის სამხედრო ხაზის სარდალი გუდოვიჩი ირანის შაჰს აქეზებდა ქართლ-კახეთის წინააღმდეგ და ამ ყოველივეს იგი აკეთებდა ასტრახანელი სომეხი ვაჭრების ხელით. ამ სომეხი ვაჭრების ხელით გუდოვიჩი იარაღსა და ფულსაც კი უგზავნიდა ირანის შაჰ აღა-მაჰმად-ხანს. ამ ცნობას ადასტურებს სტამბულში მყოფი რუსეთის რეზიდენტიც, რომელიც წერდა: იმპერატორ ეკატერინე II-ს, რომ ოსმალებში ხმები დადის, თითქოს, ჩვენ საიდუმლოდ ვიყავით ირანის შაჰთან შეთახმებული და თითქოს მათთვის ოფიცრებიც კი გაგვეგზავნოს არტილერიის გასამართადო.

ამ პრობლემას ეხმიანება ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯამბაკურ-ორბელიანის წერილები, რომელშიც საუბარია, რომ რუსეთი მთელ საქართველოში ცდილობდა ერეკლე II-ის მტრებთან გამოეძებნა საერთო ენა, რომლებიც ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის ცნობით მრავლად იყვნენ: „იმ დროს, მთელს საქართველოში მეფის ირაკლის მტრები ჩუმად დაწანწალებდნენ და ხალხს აშინებდნენ, აღა-მაჰმად ხანი ორასი ათასი ჯარით მოდის, დაიხიზნენით, თორემ სულერთიან წაგლეკამსო. ამისთანებს ბევრს შეშინებულს სიტყვებს ეუბნებოდნენ და ის გულწრფელი ხალხნიც შიშით იყურებოდნენ და მაგარს ადგილებში შედიოდნენ: ეგებ იქ სიცოცხლე მაინც გადავირჩინითო“. ასეთი ჭორების დათესვით რუსეთი ქაოსურ სიტუაციას ქმნიდა ქართლ-კახეთის სამეფოში. ამას ემატებოდა სომხების ინტერესები ქართლ-კახეთის სამეფოს დასუსტებისა. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის თანახმად, „მეფის გიორგის შინაურმა სანდო მდივანმა ელიაზარ ფალავანდიშვილმა მითხრა, ორქივატერი იოსებ (არღუთინსკი) საქართველოში რომ მოვიდა, ჩვენი პირველი თავადები მისულიყვნენ იმასთან სანახავად, სხვადასხვა ლაპარაკში ეთქოთ იმისთვის გულის წრფელითა: თქვენო უწმინდესობავ, მართლა თქუენის დახმარებით წამოვიდა აღა-მაჰმად-ხანი საქართველოზე? იმას ხუმრობით გაეკეთებინა და გაცინებით ეთქვა: ეგ მართალი რათ იქნება, მაგრამ ამას იქით ჩვენ სომხები უნდა ვიყვნეთ საქართველოში და საქართველო ჩვენი უნდა იყოსო. თუმცა ორქივატერმა ხუმრობით თქუა, მაგრამ კი მართალი თქუა. სწორეთ მართალია. სწორეთ თავიანთთვის უნდათ საქართველო. ჯერ ჩუენ წაგვახდინონ და მასუკან ჩუენის წახდენითა ისინი გაძლიერდენო. ელიაზარ ფალავანდიშვილის სიტყვა არის ესა“.

სწორედ ამის შემდეგ, 1795 წლის სექტემბრის თვეში, აღა-მაჰმად-ხან ყაჯარი თბილისისკენ დაიძრა. ირანის 35 000-იანი ჯარი 8 სექტემბერს დაბანაკდა სოღანლუღ-იაღლუჯის ჩრდილოეთ კალთებსა და კუმისის ტბას შორის, მდინარე მტკვრის სანაპიროზე, ე.წ. სარვანის მინდორზე. აღა-მაჰმად-ხანს ამ ლაშქრობისას თან ახლდნენ განჯის ხანი ჯავადი, ყარაბაღელ სომეხთა მელიქები მეჯლუმი და ჰაბოვი, ერევნის ხანი. ერეკლემ იცოდა ამ ლაშქრობის შესახებ, მაგრამ ვერ შეძლო სათანადო ზომების მიღება და საჭირო ღონისძიებების გატარება. ერეკლეს მხოლოდ 5 000-იანი ჯარი ჰყავდა. ამთგან 2 000 იმერელი ჯარისკაცი იყო, რომელსაც მეთაურობდა სოლომონ II.

სოღანლუღის ვიწრო გასასვლელებით თბილისამდე მისვლა ირანელებისთვის სახიფათო იყო, ამიტომაც სომეხი მელიქების კონსულტაციით აჯობებდა, თუ ირანელები

თელეთიდან შინდის-ტაბახმელასკენ წავიდოდნენ და იქიდან დაეშვებოდნენ კრწანისის ველზე, საიდანაც სეიდაბადის გავლით მიადგებოდნენ თბილისს.

როგორც ჩანს, ერეკლე II-მ ამოიცნო მტრის მოძრაობის სავარაუდო მარშრუტი და 10 სექტემბერს ქართველთა ჯარი (ოთარ ამილახვარის, იოანე მუხრანბატონის და ზაქარია ანდრონიკაშვილის რაზმები და იმერეთის ჯარი ზურაბ წერეთლის მეთაურობით) და არტილერია განალაგა თაბორის ქედის სამხრეთ ფერდობთან, შინდისის მიდამოებში და გადაწყვიტა, მიზანში ამოეღო თელეთის ქედის ჩრდილოეთი ფერდობი, რადგან მტერი სწორედ ამის გავლით უნდა დაშვებულიყო კრწანისის ველზე. 10 სექტემბრის ბრძოლას ქართველთა მხიდან სარდლობდა დავით ბატონიშვილი. როგორც კი ირანელებმა თელეთის ქედის გადმოლახვა დაიწყეს, ქართველებმა ზარბაზნით ცეცხლი გაუხსნეს და დიდი ზიანი მიაყენეს მათ. ამის შემდეგ ერეკლე II-მ და მისმა შვილიშვილმა სოლომონ II-მ ხელჩართული ბრძოლა წამოუწყეს ირანელებს და დაამარცხეს ისინი. 10 სექტემბერს გამართულ ბრძოლაში ირანელები დამარცხდნენ. აღა-მაჰმად-ხანი უკან გაბრუნებას აპირებდა, მაგრამ მოღალატეებმა შეატყობინეს, ერეკლეს მცირერიცხოვანი ჯარი რომ ჰყავდა.

აღა-მაჰმად-ხანმა თავისი ჯარი 14 ნაწილად დაყო და 11 სექტემბერს კრწანისის ველზე შეტევა დაიწყო. შაჰმა გადაწყვიტა, თბილისზე შეტევა ორი მხრიდან განეხორციელებინა. 5 000 კაცს მან უბრძანა თელეთის გზით წასულიყვნენ თბილისის მიმართულებით, ხოლო ძირითადი ძალები, სოღანლუღის ვიწროებით მიიწევდა ქალაქისკენ. ქართველებს იგივე პოზიციები ეჭირათ, რაც წინა დღეს, 10 სექტემბერს. 11 სექტემბერს ქართველთა ჯარს თვით ერეკლე II სარდლობდა. ქართველთა მარჯვენა ფრთას - დავით ბატონიშვილი, მარცხენა ფრთას და მეწინავე რაზმს იოანე ბატონიშვილი მეთაურობდა. ერეკლე II-მ სარეზერვო ძალები ოთარ ამილახვარისა და თავისი ვაჟიშვილის - ვახტანგის რაზმები შემაღლებულ ადგილზე დააბანაკა. მან იმერელთა 1 000-კაციანი რაზმი მის მარჯვნივ დააბანაკა, 500 იმერელი ჯარისკაცი მობილიზებული იყო, რათა საჭიროების შემთხვევაში დახმარება აღმოეჩინა მეზარბაზნეებისთვის.

სოღანლუღიდან წამოსულ აღა-მაჰმად-ხანს ქართველებმა გზა მოუჭრეს და წინ წასვლის საშუალება არ მისცეს. მაშინ შაჰის გადაწყვეტილებით ჯარმა მდინარე მტკვარი გადაცურა, რა დროსაც 300-მდე სპარსელი მებრძოლი დაიხრჩო. ირანელებმა გეზი სეიდაბადისაენ აიღეს. მათ თავს დაესხა ვახტანგ ბატონიშვილი 2 000 მებრძოლით. ქართველები თავგანწირვით იბრძოდნენ, მაგრამ ირანელთა მრავალრიცხოვნობამ თავისი გაიტანა და ქართველებმა უკან დახევა დაიწყეს. ირანელები მოულოდნელად თავს დაესხნენ დავით ბატონიშვილის რაზმსაც. მართალია, ქართველებმა მათ დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ ძალები აშკარად არათანაბარი იყო და დავით ბატონიშვილმა ზარბაზნები, მტერს რომ არ ჩავარდნოდა ხელში, ხევიდან მდინარეში გადაყარა და უკან დაიხია.

საბოლოოდ, 11 სექტემბერს კრწანისის ველზე არათანასწორ ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ. 75 წლის ერეკლე ძალით გაიყვანეს ბრძოლის ველიდან შვილიშვილებმა. აღა-მაჰმად-ხანმა აიღო თბილისი და ააოხრა.

1795 წლის 20-21 სექტემბერს ირანელებმა დატოვეს ქართლ-კახეთის სამეფო. მათ საკმაოდ დიდი ნადავლი და 15 000-მდე ტყვე წაიყვანეს.

<u>ქართ-კახეთის სამეფოს გაუქმება</u>. 1795 წელსვე დარუბანდის გზით ამიერკავკასიაში რუსთა 30 000-იანი ჯარი შემოვიდა ვალერი ზუბოვის მეთაურობით. მას ორი რამ ჰქონდა დავალებული: პირველი - უნდა დაეპყრო ჩრდილოეთ კასპიისპირეთი და დაეზვერა

ირანისკენ მიმავალი გზები, მეორე - ამიერკავკასიაში შეექმნა ძლიერი ქრისტიანული, ერთგვარად ბუფერული, სახელმწიფო. ასეთ სახელმწიფოდ, რა თქმა უნდა, ქართლ-კახეთის სახელმწიფო მოიაზრებოდა. Aამავე დროს რუსეთს სურდა, განემტკიცებინა პოზიციები კავკასიაში.

მაგრამ 1796 წლის 6 ნოემბერს რუსეთის იმპერატორი ეკატერინე II გარდაიცვალა და ახალმა იმპერატორმა პავლე I-მა რუსთა ეს ჯარი ამიერკავკასიიდან გამოიყვანა. ეს აღა-მაჰმად-ხანმა საკუთარ გამარჯვებად მიიჩნია და ისევ დაიწყო მზადება ქართლ-კახეთის წინააღმდეგ სალაშქროდ. 1797 წელს აღა-მაჰმად-ხანი მეორედ წამოვიდა ქართლ-კახეთის დასარბევად, მაგრამ იგი შეთქმულებმა მოკლეს გზაში.

ერეკლე კრწანისის ბრძოლის შემდეგ თელავში გადავიდა საცხოვრებლად და იქვე გარდაიცვალა 1798 წლის 11 იანვარს.

მისი გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტი მისმა ძემ, გიორგი XII-მ დაიკავა. გიორგი გამეფებისას მძიმე სენით იყო შეპყრობილი. მას მამის სიცოცხლეშივე რთული ურთიერთობა ჰქონდა თავის ნახევარძმებთან. ერკლეს გარდაცვალების შემდეგ ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო დაიძაბა. ბატონიშვილები საუფლისწულოებში ჩაიკეტნენ და მეფეს აღარ ემორჩილებოდნენ. გიორგი XII-მ სცადა მათი დამორჩილება, მაგრამ ვერ მოახერხა. ქართველი თავადები და აზნაურები ძირითადად ორ ჯგუფად დაიყვნენ. ერთნი მხარს უჭერდნენ გიორგი XII-ის ძეს, დავითს, მეორენი - ერეკლე II-ის ძეს, იულონს.

1799 წელს ქართლ-კახეთში რუსეთის ჯარის ერთი პოლკი შემოვიდა გენერალ ლაზარევის მეთაურობით. ამ ჯარს თან ჩამოყვა რუსეთის ოფიციალური წარმომადგენელი გიორგი XII-ის კარზე კოვალენსკი. გიორგი XII-ის მთავარი საზრუნავი იყო, რომ მეფობა გადასულიყო მის ძეზე, დავითზე. ამ ამბავმა გიორგის ძმების აღშფოთება გამოიწვია. ამ დაპირისპირებაში ბატონიშვილებს მხარს უჭერდნენ სომეხი მელიქები, ახალციხის ფაშა და ირანის შაჰი.

გიორგი XII-ს ოღონდ თავისი ძე გაემეფებინა და რუსეთს ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევის უფლებაც მისცა. ეს გადაწყვეტილება უფლისწულ დავითისათვისაც კი არ იყო ცნობილი.

1800 წლის ნოემბრის დასაწყისში მეფე გიორგი XII-მ თავისი ელჩები - გარსევან ჭავჭავაძე, ელიზბარ ფალავანდიშვილი და გიორგი ავალიშვილი -გაგზავნა რუსეთში. ამ ვიზიტის მთავარი მიზანი იყო, შეცვლილიყო 1783 წლის ტრაქტატში არსებული ზოგიერთი მუხლი. ქართველმა ელჩებმა მეფის სახელით მოითხოვეს ქართლ-კახეთის სამეფო სამუდამოდ შესულიყო რუსეთის ქვეშევრდომობაში. სამაგიეროდ, გიორგი XII ითხოვდა თავისი შთამომავლების ტახტზე დამტკიცებას, რომლებიც თავის მხრივ აღიარებდნენ რუსეთის იმპერატორის უზენაესობას. ასევე, გიორგი XII მოითხოვდა მასა და მის შთამომავლებს რუსეთში ჰქონოდათ მამულები და 30 000 ყმა გლეხი. თვის მხრივ ქართლ-კახეთის სამეფო სცნობდა რუსეთის იმპერიის მიერ გამოცემულ ყველა კანონსა თუ ბრძანებას და ქართველ მეფეს თვის მხრივ აღარ ექნებოდა კანონების გამოცემის უფლება. მეფე გიორგის ეს მოთხოვნები რუსეთის იმპერატორმა 19 ნოემბერს დააკმაყოფილა. მალევე ქართველი ელჩები უკან დაბრუნდნენ და მეფე გიორგის ჩამოუტანეს იმპერატორის დანაბარები, რომ ქართლ–კახეთის სამეფოს რუსეთის დაქვემდებარებაში გადასასვლელად საჭირო იყო გარსევან ჭავჭავაძის მიერ შედგენილი ნოტა მეფეს საკუთარი ხელწერით დაედასტურებინა. თუმც ქართველი ელჩები ჯერ კიდევ არ იყვნენ სამშობლოში დაბუნებულნი, რომ 1800 წლის 18 დეკემბერს პავლე I-მა ხელი მოაწერა მანიფესტს, რომლის მიხედვითაც, ქართლ-კახეთის სამეფო უქმდებოდა და ის უშუალოდ

რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა. იმავე წლის 28 დეკემბერს გიორგი XII გარდაიცვალა.

ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე სვეტიცხოველში დაკრძალეს.

რუსეთის ემპერატორმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომA დავით გიორგის ძე ქართლ-კახეთის მეფედ არ დაემტკიცებინათ, იგი მხოლოდ ქართლ-კახეთის გამგებლად დაინიშნა. 1801 წლის მარტში შეთქმულებმა მოკლეს რუსეთის იმპერატორი პავლე I. ახალმა იმპერატორმა, ალექსანდრე I-მა, კავკასიის ხაზის უფროს გენერალ კნორინგს დაავალა, გაერკვია ვითარება ქართლ-კახეთში. კნორინგი ჩამოვიდა თბილისში, გამგებლობიდან გადააყენა დავით გიორგის ძე და მმართველად დააყენა გენერალი ლაზარევი. 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით, ალექსანდრე I-მა ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა. ეს მანიფესტი მხოლოდ 1802 წლის 12 აპრილს წაუკითხეს სიონის ტაძრის ეზოში ალყაშემორტყმულ ქართველებს.

ბრძოლა სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და შელახული ეროვნული ღირსების აღდგენისთვის საქართველოში XIX საუკუნის დამდეგიდან იწყება.

სოციალური და ეკონომიკური ვითარება XVI-XVIII საუკუნეებში

<u>სოციალური ვითარება.</u> საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ წარმოქმნილ სამეფოებში: ქართლს, კახეთს და იმერეთს სათავეში იდგნენ ბაგრატიონი მეფეები. ოდიშის, გურიისა და აფხაზეთის სამთავროების სათავეში კი დადიანები, გურიელები და შარვაშიძეები. XVI-XVIII საუკუნეები სათავადოების არსებობის პერიოდია. სათავადოები ხან ერთმანეთს ებრძოდნენ, ხან კი ერთიანდებოდნენ და ერთიანი ძალით იბრძოდნენ საკუთარი ინტერესების დასაცავად. თავადები მეფის ვასალები იყვნენ, მაგრამ ზოგჯერ მეფესაც ებრძოდნენ.

ვახტანგ VI-ის სამართლის მიხედვით არსებობდა სამი ხარისხის თავადი: დიდებული თავადი (მისი სისხლი 1536 თუმანად იყო შეფასებული), შუა თავადი (768 თუმანი) და მესამე ხარისხის თავადი (384 თუმანი). ქართლში ექვსი დიდებული ანუ დიდი თავადი იყო (არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი, ბარათაშვილი, ამოლახორი, მუხრანბატონი და ციციშვილი), იმერეთში ათი.

სამ კატეგორიად იყოფოდნენ აზნაურებიც: გადიდებული აზნაური ანუ დიდი აზნაური (მისი სისხლი 192 თუმანად იყო შეფასებული), შუა აზნაური (96 თუმანი) და ცალმოგუი აზნაური (48 თუმანი). აზნაურები ეკუთვნოდნენ მეფეებს, თავადებსა და ეკლესიას. სოლომონ I-მა სამეფო ხელისუფლების განმტკიცების მიზნით შექმნა ახალი ინსტიტუტი _ ფიცის კაცები, რომლებიც ძირითადად იყვნენ აზნაურები და მცირე რაოდენობით გლეხები. ფიცის კაცები ყოველი წლის 15 მაისს იკრიბებოდნენ და ფიცს დებდნენ მეფის ერთგულებაზე. მეფის ბრძანებითვე ომის დროს ფიცის კაცებიდან ლაშქარში გამოდიოდა ყველა აზნაური, გლეხიდან კი _ კომლზე ერთი კაცი. ფიცის კაცებს თავადი ლორთქიფანიძეები ედგნენ სათავეში.

მოსახლეობის ძირითად ნაწილს წარმოადგენდა მსახურები (მათი სისხლი 24 თუმნად იყო შეფასებული) და გლეხები (12 თუმანი). გლეხთა რამდენიმე კატეგორია არსებობდა. ძირითადი იყო მებეგრე გლეხი. არსებობდა ნასყიდი ანუ უმიწოდ გაყიდული გლეხი და ხიზანი ანუ ერთი ბატონიდან მეორესთან გაქცეული გლეხი. იყვნენ თავდახსნილი ანუ ბატონყმური ურთიერთობისაგან გათავისუფლებული გლეხები, რომლებიც რაოდენობრივად მცირენი იყვნენ.

ხელოსანთა უმეტესობაც ყმები იყვნენ. რაც შეეხება ვაჭრებს, ისინი 4 კატეგორიად იყოფოდნენ: დიდი ვაჭარი შუა აზნაურთან იყო გათანაბრებული. მეორე, მესამე და მეოთხე კატეგორიის ვაჭრები გათანაბრებული იყვნენ შესაბამისად _ ცალმოგუი აზნაურთან, მსახურთან და გლეხთან.

მეფეები ცდილობდნენ ბატონყმური რიგი დაეცვათ, არ მიეცათ საშუალება თავადებისათვის ზღვარგადასული ექსპლუატაცია გაეწიათ გლეხებისათვის.

ეკონომიკური განვითარება. იმის გამო, რომ XVI-XVIII საუკუნეებში საქართველო ირანისა და ოსმალეთის ხშირი თავდასხმის ობიექტი იყო და ამას ემატებოდა ლეკიანობაც, ეკონომიკა დაღმავლობას განიცდიდა. XVI საუკუნეში ეკონომიკური განვითარების ყველაზე კარგი პირობები შექმნილი იყო კახეთის სამეფოში. ამას დამატებით ხელს უწყობდა ისიც, რომ კახეთი ახლოს იყო გილან-შემახა-ასტრახანის სავაჭრო გზასთან. ამ პერიოდში კახეთში დაწინაურდა ქალაქები: გრემი, ზაგემი (ძეგამი). კახეთს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა ირანთან და რუსთთან.

ქართლში ეკონომიკური აღმავლობა დაკავშირებულია როსტომ-ხანის სახელთან. მისი მეფობის დროს თბილისი კვლავ ითვლებოდა ვაჭრობა-ხელოსნობის უმიშვნელოვანეს ცენტრად. გაიზარდა ქალაქის მოსახლეობაც. თუ XVI საუკუნის 80-იან წლებში თბილისში 12 000 მცხოვრები იყო, XVIII საუკუნის შუა ხანებისათვის 20 000-ს მიაღწია. ვახტანგ VI-ის დროს თბილისში 200-მდე სავაჭრო დუქანი იყო, ერეკლე II-ეს დროს მათი რიცხვი 500-მდე გაიზარდა. თბილისის გარდა მნიშვნელოვანი ცენტრები იყო: გორი, ცხინვალი, სურამი, ალი. ერეკლე II-ეს დროს ქართლ-კახეთში საქონელი შემოჰქონდათ ევროპიდანაც (ესპანეთიდან და საფრანგეთიდან). ქართველი ვაჭრები დადიოდნენ: ბაღდადში, ინდოეთში, სირიაში.

დასავლეთ საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობა გავლენას ახდენდა ეკონომიკაზეც. საგარეო ვაჭრობა მთლიანად თურქეთის ხელში მოექცა. შიდა ვაჭრობის განვითარებას ხელს უშლიდა სამეფო-სამთავროებს შორის არსებული დაპირისპირება. თუმცა ზოგიერთ ადგილას (ხონი, რუხი, ჩხარი, ჩიხორი) იმართებოდა ვაჭრობა. ეკონიმიკური გამოცოცხლება შეინიშნებოდა ოდოშის სამთავროში ლევან II დადიანის დროს.

სოფლის მეურნეობაში კვლავ ტრადიციული დარგები იყო განვითარებული: მარცვეული კულტურის მოყვანა, მევენახეობა, მებაღეობა, მეხილეობა, მეცხოველეობა, მეაბრეშუმეობა და სხვა. XVII საუკუნეში დასავლეთ საქართველოში გავრცელდა სიმინდი.

ერეკლე II-ის დროს ქართლ-კახეთში იწყება მრეწველობის განვითარება. პირველ რიგში აღსანიშნავია სამთამადნო წარმოება. ამ მიზნით მეფემ 2000-მდე ბერძენი გადმოასახლა ანატოლიიდან, რადგან მათ იცოდნენ მადნის მოპოვება და დამუშავება. ალავედსა და ახტალაში მოიპოვებდნენ სპილენძს, ვერცხლს და, შესაძლოა, მცირე რაოდენობით ოქროსაც კი.

ქართლ-კახეთის სამეფოში არსებობდა: ზეთსახდელი, თამბაქოს, თიხის ჭურჭლისა და აგურის ქარხნები. თბილისში იყო იარაღის ქარხანაც. სხვადასხვა საბრძოლო დანიშნულების ნივთების გარდა აქ ამზადებდნენ ზარბაზნებსაც.

შეიძლება ითქვას, რომ ერეკლე II-ის მეფობის პერიოდში ქართლ-კახეთის სამეფო ეკონომიკური აღმავლობის გზას დაადგა.

ლექცია #XII

საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში

ცარისტული რუსეთის მიერ დასავლეთ საქართველოს სამთავროების გაუქმება

<u>იმერეთის სამეფოს გაუქმება (1810 წელი).</u> დასავლეთ საქართველოს სამთავროების გასაუქმებლად რუსეთის ხელისუფლება მათ ჯერ მფარველობაში იღებდა, ხოლო შემდეგ იმორჩილებდა და იერთებდა. ამას მოჰყვებოდა სამთავროების იურიდიული გაუქმებაც. რუსეთის წისქვილზე ასხამდა წყალს ისიც, რომ XIX საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველოში მძიმე პოლიტიკური ვითარება იყო. სამეგრელოს, გურიის, სვანეთისა და აფხაზეთის მთავრები აღარ ემორჩილებოდნენ იმერეთის სამეფოს და არც ერთმანეთში ჰქონდათ კარგი ურთიერთობა.

XIX საუკუნის დასაწყისში იმერეთის მეფე სოლომონ II-ს სამეგრელოს მთავარ გრიგოლ დადიანთან ომი ჰქონდა გაჩაღებული. გრიგოლ დადიანს სამთავროს შიგნითაც არ ჰქონდა ყველაფერი რიგზე, არეულობა ძლიერდებოდა და მან გადაწყვიტა თავი რუსეთის იმპერატორისათვის შეეფარებინა. 1803 წელს სამეგრელოს მთავარმა გრიგოლ დადიანმა რუსეთის იმპერატორის ერთგულების ფიცი დადო. ამით სამეგრელო რუსეთის ქვეშევრდომობაში შევიდა.

ქვეშევრდომობაში შესულ სამეგრელოს მთავარს უფლება ჰქონდა ტახტი მემკვიდრეობით გადაეცა, ოღონდ მემკვიდრისათვის მთავრის ტიტული რუსეთის იმპერატორს უნდა მიეცა. სამეგრელოს მთავარს სრული უფლება ჰქონდა განეგო ქვეყნის შინაური საქმეები და სამართალი. რუსეთის ხელისუფლების მიერ სამეგრელოს სამთავროში გაგზავნილ იქნა რუსი მოხელე, რომელსაც მთავარი უსიტყვოდ უნდა დამორჩილებოდა.

რუსეთმა, სამეგრელოს სამთავროს ქვეშევრდომობაში შეყვანით, ერთგვარად ვალდებულება აიღო, რომ დაიცავდა მას იმერეთის მეფისაგან. ამრიგად, ავტომატურად, რუსეთი იმერეთის სამეფოს მტრად იქცა. თავის მხრივ, რუსეთის სახელმწიფოს სოლომონ II ისედაც მტრის თვალით უყურებდა. საქმე იმაში გახლდათ, რომ იმერეთის მეფე სოლომონი აშკარად ეხმარებოდა იულონ ერეკლეს ძეს ქართლ-კახეთის ტახტის დაბრუნებისათვის ბრძოლაში.

სწორედ ამ მიზეზების გამო 1803 წელს იმპერატორმა ალექსანდრე I-მა დაავალა მთავარმართებელ პავლე ციციანოვს სამხედრო ძალის გამოყენებით დაეკავებია იმერეთის სამეფო. რუსეთის ჯარების გენერალმა ტუჩკოვმა იმერეთის საზღვარი გადალახა. სოლომონ I-ი იძულებული გახდა 1804 წელს ხელი მოეწერა ელაზნაურის ტრაქტატზე, რომლის ძალითაც იმერეთის მეფე რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომობაში შესვლას აღიარებდა. იმერეთის სამეფო რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდა. იმერეთთან ერთად ქვეშევრდომად მიიჩნიეს გურიის სამთავროც, როგორც იმერეთის სამეფოს ნაწილი.

1804 წელს იმერეთში რუსთა ჯარის ერთი პოლკი ჩამოვიდა. ციციანოვის განკარგულებით ერთი ბატალიონი ქუთაისში დააბანაკეს, მეორე – ხორგასა და ჭალადიდში. იმერეთის მეფე დაპატიმრების შიშით ვარციხეში გაიქცა.

1808 წლის მარტში საქართველოს ახალმა მთავარმართებელმა ივანე გუდოვიჩმა (1806-1809 წწ.) მიიღო იმპერატორის საიდუმლო ბრძანება _ გაეუქმებინა იმერეთში მეფობა, და მეფის ოჯახი რუსეთში გადაესახლებინა. 1809 წელს იმპერატორის ბრძანების შესრულებას ახალი მთავარმართებელი ალექსანდრე ტორმასოვი შეუდგა. იმერეთში მეფის ირგვლივ

6 000-იანმა შეიარაღებულმა მეომარმა მოიყარა თავი. რუსეთის კავკასიურმა სამხედრო ადმინისტრაციამ გადაწყვიტა საბოლოოდ გადაეჭრა იმერეთის საკითხი. 1810 წლის 20 თებერვალს ქუთაისში საჯაროდ გამოაცხადეს იმერეთში მეფობის გაუქმება. იმავე დღეს იმერეთში რუსეთის ჯარები სხვადასხვა მხრიდან შევიდნენ, რათა 4 000 კაცით ვარციხეში გამაგრებული სოლომონ II ალყაში მოექციათ. რუსმა მოხელეებმა ფიცით შეპირდენ სოლომონს, რომ თუ მოსალაპარაკებლად მთავარმართებელს შეხვდებოდა, უკან მშვიდობით გაისტუმრებდნენ. სოლომონ II ტორმასოვთან შეხვედრისთანავე ტყვეობაში აღმოჩნდა. იგი თბილისში წაიყვანეს, მაგრამ მან მოახერხა გაქცევა და თავი ახალციხის საფაშოს შეაფარა. 1812 წლის ივნისში მთელს იმერეთში რუსეთის საწინააღმდეგო აჯანყება დაიწყო, მაგრამ აჯანყებულები დამარცხდა. სოლომონ II ტრაპიზონს შეაფარა, სადაც იგი 1815 წელს გარდაიცვალა. 1990 წელს მისი ნეშტი საქართველოში გადმოასვენეს და დაგრძალეს გელათის ტაძარში.

გურიის სამთავროს გაუქმება (1829 წ). 1804 წელს გურიის სამთავრო რუსეთმა იმერეთის სამეფოს ნაწილად მიიჩნია და მფარველობაში მიიღო. მაგრამ გურიელის დაჟინებული მოთხოვნით 1810 წლის 29 ივნისს რუსეთთან ცალკე ხელშეკრულება იქნა გაფორმებული. გურია ცალკე სამთავროს სტატუსით შევიდა რუსეთის მფარველობაში. 1826 წლიდან, მამია გურიელის გარდაცვალების შემდეგ, გურიას რუსეთის ხელისუფლების მითითებით მართავდა სამმართველო საბჭო, რომელსაც დედოფალი სოფიო გურიელი მეთაურობდა. 1828-1829 წწ-ში რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს სოფიომ ოსმალეთის სულთანს მიმართა მფარველობაში მიღებისა და სამხედრო დახმარების თხოვნით. ოსმალეთის სულთანმა სოფიოს არასრულწლოვანი ვაჟი დავითი გურიის ,,ხანად'' დაამტკიცა, მაგრამ დავითის ,,ხანობა'' ქაღალდზე დარჩა. 1828 წლის ოქტომბერში გურიაში რუსეთის ჯარი შევიდა. სოფიო გურიელი ოსმალეთში გაიქცა. 1829 წლის დეკემბერში გურიის სამთავრო იმპერატორ ნიკოლოზ I-ის (1825-1855 წწ.) ბრძანებით გააუქმეს. გურიას ჯერ თავადთა საბჭო მართვადა რუსი მოხელის თავმჯდომარეობით, ხოლო მოგვიანებით ყოფილი სამთავრო ოზურგეთის მაზრის სახით ქუთაისის გუბერნიაში შევიდა.

სამეგრელოს სამთავროს გაუქმება (1865 წ). იმერეთის მეფე სოლომონ II ამაოდ ცდილობდა სამეგრელოს სამთავროს შემოერთებას. გრიგოლ დადიანი, რომელიც სოლომონის ნების საწინააღმდეგოდ გახდა სამეგრელოს მთავარი, ხან ოსმალეთს სთხოვდა დახმარებას, ხან ერეკლე II-ს თუ აფხაზეთის მთავარს. სოლომონს უკვე გადაწყვეტილი ჰქონა სამთავროს გაუქმება, რომ გრიგოლ დადიანმა შველა რუსეთს სთხოვა და სამაგიეროდ მის მფარველობაში შესვლა აღუთქვა. რუსეთმა დაუყოვნებლივ გამოიყენა ხელსაყრელი ვითარება და დადიანის თხოვნა დააკმაყოფილა. 1803 წლის 4 დეკემბერს სამეგრელოს სამთავრო რუსეთის ქვეშევრდომობაში შევიდა.

იმავე წლის ოქტომბერში სამეგრელოში რუსეთის ჯარის ნაწილები შევიდნენ. XIX საუკუნის პირველი ნახევრის განმავლობაში რუსეთის ხელისუფლება თავს იკავებდა სამეგრელოს სამთავროს გაუქმებისაგან. ყირიმის ომის შემდეგ, 1857 წელს სამეგრელოში გლეხთა აჯანყებამ იფეთქა. ხელისუფლებამ დრო იხელთა და რეგიონში შექმილი ვითარების გართულებაში სამთავროს მმართველობას დასდო ბრალი.

სამეგრელოს უკანასკნელ დედოფალს იმპერატორმა ალექსანდრე II-მ (1855-1881 წწ.) პეტერბურგში დასახლება შესთავაზა, რათა მისი ძისა და `მომავალი მთავრისათვის'' _ მცირეწლოვანი ნიკოსთვის, შესაფერისი აღზრდა-განათლება მიეცა.

1857 წლის 26 სექტემბერს სამეგრელოში რუსული `დროებითი მმართველობა" შემოიღეს და სათავეში რუსი გენერალი ჩაუყენეს. ეს იყო სამეგრელოს სამთავროს ფაქტობრივი გაუქმება. 1867 წელს ნიკო დადიანს ფორმარულ მთავრობაზეც უარი ათქმევინეს და სამეგრელოს სამთავრომ არსებობა შეწყვიტა.

<u>სვანეთის სამთავროს გაუქმება (1859 წ.)</u> მიუდგომელი ბუნებრივი მდებარეობის გამო სვანეთი XIX საუკუნის პირველ ნახევრის განმავლობაში რუსეთის ადმინისტრაციისათვის აუთვისებელ მხარედ ითვლებოდა. მდგომარეობა რადიკალურად არც მაშინ შეცვლილა, როცა სვანეთის სამთავროს გვარის ორმა წარმომადგენელმა _ ციოყ და თათარხან დადეშქელიანებმა 1833 წელს რუსეთის ქვეშევრდომობა ცალ-ცალკე მიიღეს. ისინი დაპირისპირებული იყვნენ ერთმანეთთან და სვანეთის ორი ნაწილის `მფლობელებად" ითვლებოდნენ. იყო რეგიონის მესამე ნაწილიც _ თავისუფალი (უბატონო) სვანეთი, რომელიც 1840 წელს შევიდა რუსეთის ქვეშევრდომობაში.

ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ იმპერატორმა გადაწყვიტა, დასრულებულიყო კავკასიის საბოლოო შეერთება იმპერიასთან. 1857 წლისთვის სვანეთში რუსთა ჯარის შეყვანა და სამთავროს გაუქმება გადაწყდა. მეფისნაცვალმა ალექსანდრე ბარიატინსკიმ (1856-1862 წწ.) დადეშქელიანთა გვარის ორი შტოს შორის გაუთავებელი მტრობა გამოიყენა. შეხვედრისას სვანეთის მთავარს, კონსტანტინე დადეშქელიანსა და ქუთაისის გუბერნატორს გაგარინს შორის შელაპარეაკება მოხდა. როცა გაგარინის ბრძანებით სვანეთის მთავრისათვის იარაღის აყრა სცადეს, კონსტანტინემ სასიკვდილოდ დაჭრა ქუთაისის გუბერნატორი, ხოლო იქვე მყოფი რამდენიმე მოხელე დახოცა. კონსტანტინე შეიპყრეს და სამხედრო-საველე სასამართლოს გადაწყვეტილებით დახვრიტეს.

1859 წელს მთავრის უფლებაზე უარი ათქმევინეს სამთავრო სახლის მეორე წარმომადგენელს თენგიზ დადეშქელიანს. ასე დასრულდა სვანეთის სამთავროს არსებობა.

<u>აფხაზეთის სამთავროს გაუქმება (1864 წ.)</u> XIX საუკუნის დამდეგისათვის თურქეთს მტკიცედ ჰქონდა ფეხი მოკიდებული აფხაზეთში. აფხაზეთის მთავარი იყო გამაჰმადიანებული ქელეშ-ბეგ შერვაშიძე. 1808 წელს ქელეშ-ბეგ შერვაშიძის მკვლელობის შემდეგ აფხაზეთში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მისი შვილები ასლან-ბეგი და საფარ-ბეგი (გიორგი). ასლან-ბეგი პროოსმალურ ორიენტაციას ადგა, ხოლო გიორგი _ პრორუსულს. 1810 წლის ზაფხულში რუსეთის ჯარებმა სოხუმი აიღეს. აფხაზეთის მთავრად ოფიციალურად გამოცხადდა გიორგი შერვაშიძე, ხოლო სამთავრო რუსეთის ქვეშევრდომობაში შევიდა. მომდევნო ათეული წლების განმავლობაში მიმდინარეობდა აფხაზთა განუწყვეტელი აჯანყებები ახალი დამპყრობლების წინააღმდეგ. რუსი დამპყრობლები ავიწრობედნენ აფხაზებს და აფხაზებიც იძულებულნი იყვნენ გადასახლებულიყვნენ ოსმალეთში. ეს მოვლენა მუჰაჯირობის სახელითაა ცნობილი.

აღსანიშნავია, რომ 1864 წლის მაისში გუბაადვასთან (ახლანდელი კრასნაია პოლიანა) აჯანყებულ აფხაზთა მცირერიცხოვანი რაზმი დანებდა რუსეთის ჯარებს. აფხაზების დამარცხების აღსანიშნავად და, ზოგადად, კავასიაში დაპყრობითი ომების დასრულების მიზნით, გუბაადვასთან ახლოს სპეციალურად ჩავიდა მეფისნაცვალი და იმპერატორის ძმა მიხეილ რომანოვი, რომელმაც ჯარის აღლუმი ჩაატარა.

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის მთავარი მიხეილ შერვაშიძე ყირიმის ომში რუსეთის არმიასა და სარდლობას დიდ სამსახურს უწევდა, კავკასიის რუსული ადმინისტრაცია ეჭვით უყურებდა მის მოღვაწეობას. მან არ აპატია მიხელს კავკასიის მთიელებისადმი თანაგრძნობა და საკუთარ ხალხზე ზრუნვა ომისა და აჯანყების მძიმე პერიოდში.

1864 წლის ივნისში მიხეილ შერვაშიძე სამთავროს ტახტიდან გადაყენებულად გამოცხადდა. იგი ვორონეჟში გადაასახლეს, სადაც მალე გარდაიცვალა. აფხაზეთის სამთავრომ დასავლეთ საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროების ბედი გაიზიარა.

რუსეთის მმართველობის დამყარება საქართველოში

1802 წელს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა დაამტკიცა დებულება `საქართველოს მმართველობის შესახებ". 1802 წლის 8 მაისს თბილისში ოფიციალურად შეუდგა ფუნქციონირებას საქართველოს უზენაესი მმართველობა, რომელსაც `საქართველოს მართველობა ეწოდა". მას სათავეში ედგა საქართველოს მთავარმართებელი. მთავარმართებლის თანაშემწედ ითვლებოდა საქართველო მმართველი, რომელიც სამოქალაქო სფეროს განაგებდა. საქართველოს უზენაესი მთავრობა ოთხ განყოფილებადა ანუ ექსპედიციად იყოფოდა: 1. აღმასრულებელი, 2. სამოქალაქო, 3. სისხლის სამართლის და 4. სახაზინო ქონების. მმართველობის ყველა უწყებას რუსი მოხელეები ედგა სათავეში, რომლებსაც თანაშემწეებად ქართველი თავადები ედგნენ. საქმის წარმოება ყველსა სახელისუფლებო ინსტანციაში რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. საქართველოს მმართველად და აღმასრულებელი ექსპედიციის უფროსად დაინიშნა ეროვნებით რუსი კოვალენსკი.

აღმოსავლეთ საქართველო დაიყო მაზრებად. სულ შეიქმნა ხუთი მაზრა: გორის, ლორეს, Dდუშეთის, თელავისა და სიღნაღის. მაზრებს სათავეში რუსი სამხედრო მოხელეები _ კაპიტან-ისპრავნიკები ედგნენ. ყოველ მაზრაში შეიქმნა სამაზრო პოლიცია და სასამართლო. ქალქის გამგებლობა დაეკისრათ კომენდანტებს. რუსეთის საიმპერატორო კარმა დროებით ძალაში დატოვა ვახტანგ VI-ის სასამართლო წიგნი. მაგრამ ამ სამართლის წიგნით მხოლოდ ქართული საქმეები წყდებოდა. სასამართლოში რუსული ენა გაბატონდა.

ამრიგად, ქართლ-კახეთის რუსული მმართველობა სამხედრო-საოკუპაციო ხასიათს ატარებდა.

ბრძოლა სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და შელახული ეროვნული ღირსების აღდგენის-ათვის საქართველოში XIX ს-ის პირველ ნახევარში

ბრძოლა სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და შელახული ეროვნული ღირსების აღდგენისათვის საქართველოში XIX საუკუნის დამდეგიდან იწყება. კერძოდ, 1802 წლის 12 აპრილს, როდესაც სიონში სპეციალურად თავშეყრილ ქართველ თავად-აზნაურობას წაუკითხეს ქრთლ-კახეთის გაუქმებისა და აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში შეყვანის მანიფესტი, კახეთის თავადებისა და აზნაურების ნაწილმა რუსი ჯარისკაცების ალყა გაარღვია და თბილისი დატოვა. ეს უნდა მივიჩნიოთ ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დასაწყისად.

<u>ქართლ-კახეთის 1802 წლის პოლიტიკური გამოსვლა.</u> 1802 წლის 12 აპრილს სიონის ეკლესიაში შეკრებილ ქართველ თავად-აზნაურობას წაუკითხეს რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის ხელმოწერილი 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი, რომლის თანახმადაც ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმებულად ცხადდებოდა და ის რუსეთის გუბერნიას უნდა შეერთებოდა. გენერალ კნორინგს მითითება ქონდა მიღებული, რომ მანიფესტის წაკითხვის დროს სიონის ტაძარში და ტაძრის გარშემო შეკრებილი ქართველები რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაეფიცებია. კნორინგი

ითვალისწინებდა იმასაც, რომ ამას შეიძლება მოყოლოდა გართულება. სწორედ ამიტომ სიონის ტაძარი და მახლობელი ქუჩები რუსეთის ჯარის მიერ იყო ალყაშემორტყმული. მართლაც რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაფიცება არ იკადრა კახეთის თავად-აზნაურობის ნაწილმა, მათ ალყა გაარღვიეს და კათისაკენ გაეშურნენ. აღნიშნული მოვლენა ეროვნული მოძრაობის დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს.

შინ დაბრუნებული თავადები და აზნაურები 1802 წლის ივლისში შეიკრიბნენ კახეთში, კერძოდ, ქიზიყში, ქელმენჩურის მიდამოებში. მათ რამოდენიმე ათასმა ქიზიყელმა დაუჭირა მხარი. ამ პოლიტიკური გამოსვლების აქტიური მონაწილეები იყვნენ ბატონიშვილები: ვახტანგ ერეკლეს ძე და თეიმურაზ გიორგის ძე. კახელი თავადებიდან გამოსვლაში მონაწილეობდნენ: ანდრონიკაშვილები, ვაჩნაძეები, ჭავჭავაძეები და სხვ. შემუშავდა გეგმა რომლის მთავარი ავტორები იყვნენ დარეჯან დედოფალი და ირანში მყოფი ალექსანდრე ერეკლეს ძე. გეგმის თანახმად უნდა გაერთიანებულიყო იმერეთის მეფე სოლომონ II, განჯის ხანი, ახალციხის ფაშა და ჭარ-ბელაქნის ლეკები და უნდა მოეწყოთ ერთობლივი ლაშქრობა ქართლ-კახეთში განლაგებული რუსეთის ჯარების წინააღმდეგ. გამარჯვების შემთხვევაში ქართლ-კახეთის მეფედ უნდა დაესვათ იულონ ერეკლეს ძე. რუსეთის ხელისუფლებამ დაასწრო აჯანყებულებს და ქელმენჩურში შეკრებილი შეთქმულების წინააღმდეგ ჯარი გაგზავნა. ქიზიყელებმა რუსეთის ჯარის ბატალიონი დაამარცხეს და ფიცი დადეს იულონ ერეკლეს ძის ერთგულებაზე. მათვე გადაწყვიტეს რუსეთის იმპერატორისათვის მიემართად. თხოვნას ხელი მოაწერა 69 თავადმა. კახელი თავადები დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტთან დაკავშირებით და მოითხოვდნენ 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების აღდგენას. ამავე დროს კახელი თავადები რუსეთის იმპერატორისაგან მოითხოვდნენ ქართლ-კახეთში მეფობის აღდგენას და მეფედ იულონ ერეკლეს ძის დამტკიცებას. რუსეთის საიმპერატორო კარისათვის აღნიშნული მოთხოვნები მიუღებელი იყო და გადამჭრელ ზომებს მიმართეს. გააძლიერეს თბილისის დაცვა და კახეთში დამატებითი სამხედრო ჯარები გადაისროლეს. გაამაგრეს იმერეთიდან ქართლში გადმოსასვლელი გზები, რათა არ დაეშვათ იმერეთის მეფესთან თავშეფარებული იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილების კახეთში დაბრუნება. ასეთ ვითარებაში ქელმენჩურში შეკრებილმა თავადებმა რუსეთის ჯარებისათვის წინააღმდეგობის გაწევა უაზრობად ჩათვალეს და შეკრებილი ხალხი დაშალეს. რუსეთის ხელისუფლებამ აჯანყებული თავადების ნაწილი შეიპყრო, ნაწილმა კი თავს გაქცევით უშველა. შეპყრობილი კახელი თავადები ჯერ თბილისში ჩაიყვანეს, მაგრამ შემდეგ დანაშაული აპატიეს და რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დააფიცეს.

<u>1804 წლის მთიულეთის აჯანყება.</u> 1804 წელს ქართლის მთიანეთში რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ დიდი აჯანყება დაიწყო. რუსები მთიულეთის მოსახლეობას იძულებით ამუშავებდნენ რუსეთიდან საქართველოში შემომავალი სამხედრო გზის მშენებლობაზე. ეს ბეგარა განსაკუთრებით აუტანელი იყო ზამთარში, რომელსაც თან სდევდა სიცივე და ზვავები. ყოველივე ამან მრავალი ქართველის სიცოცხლე შეიწირა. რუსი მოხელეები სამუშაოდ გასულებს მათრახებით სცემდნენ. მათ 23 კაცი მოკლეს ცემით. ამიტომაც 1804 წელს იფეთქა აჯანყებამ ქართლის მთიანეთში. რამდენიმე თვის განმავლობაში აჯანყებულები მთელ რეგიონს აკონტროლებდნენ. ჩამოყალიბდა ხევის, ანანურისა და ლომისის დაჯგუფებები, თითოეული საკუთარი საბრძოლო ამოცანით. აჯანყებულთა საბოლოო მიზანი მთიულეთში მდგომი რუსთა ჯარის ამოწყვეტა, დარიალის გზის ჩაკეტვა და რუსეთის ბატონობისაგან გათავისუფლება იყო. აჯანყებას

მხარი დაუჭირა იულონ და ფარნოზ ბატონიშვილებმა. ისინი იმერეთიდან დაიძრნენ მთიულეთისკენ. მთავარმართებელი ციციანოვი იძულებული გახდა ერევნისთვის ალყა მოეხსნა და მთიულეთისკენ დაძრულიყო. ჩრდილო კავკასიიდან მთიულეთს უტევდნენ რუსთა ჯარები. აჯანყებულები ალყაში აღმოჩდნენ და დამარცხდნენ. რუსებმა ტყვედ ჩაიგდეს იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები და რუსეთში გადაასახლეს. დაიჭირეს აჯანყების 300-ზე მეტი მონაწილე.

1804 წლის მთიულეთის აჯანყება პირველი დიდი შეიარაღებული გამოსვლა იყო რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ.

<u>1812 წლის კახეთის აჯანყება.</u> 1804 წელს დაწყებული რუსეთ-ირანის ომი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. ამას დაემატა ისიც, რომ რუსეთმა პარალელურად ომი წამოიწყო ოსმალეთის წინააღმდეგ. ომისათვის საჭირო ტვირთის გადატანა დაევალა აღმოსავლეთ საქართველოს გლეხობას, განსაკუთრებით კი კახეთს. კახეთსვე ევალებოდა ასევე ომში მონაწილე რუსების პურით გამოკვება, რაც ხშირად ძალდატანებით ხასიათს ატარებდა. ამან გამოიწვია კახეთში შიმშილობა. ამას ემატებოდა რუსეთის მხრიდან ძარცვა-გლეჯა, სახლ-კარის გადაწვა, ქართველი ქალების მიმართ ძალმომრეობა. შევიწროებულმა და უკიდურესად შეურაცხოფილმა კახეთის მოსახლეობამ დაიწყო აჯანყება. აჯანყება დაიწყო 1812 წლის იანვარში ახმეტაში და მან მთელი კახეთი მოიცვა. კახეთის ამ აჯანყების საბაბი კარგად ჩანს კახელ გლეხთა საჩივრიდან: `სადაც კი ლაშქრობდა ხელმწიფის ჯარი, ჩვენ იქ სურსათი უნდა მიგვეტანა ყველგან, _ გომბორში, ერევანში თუ სხვაგან. მივდიოდით სადარაჯოდ და საომრად და, როგორც სალდათები ანთხევდნენ სისხლს, ისე ჩვენც ვიჟლიტებოდით... როცა ურმების გადასაყვანად გაჩნდებოდნენ სალდათები, საკმარისი იყო ორი საათი დაგვეგვიანებინა ხარების შებმა, რომ დედაკაცები გამოერეკათ და შეებათ ურმებში. ორმოცი ურმის მაგიერ ბარგიბარხანას დაუდებდნენ ოც ურემზე, რადგან საქონელი უზომოდ დადებულ ურემს ვერ ერეოდა, მოგვცვივდებოდნენ გაბრაზებული სალდათები და გვცემდნენ. ერთი კვირის მაგიერ თვეობით ვეყარეთ ბეგარაზე, ან ავდარი ან თოვლი მოგვისწრებდა, საქონელი გვეხოცებოდა და შინ ცარიელ-ტარიელი ვბრუნდებოდით''. ანალოგიურ სურათს გვიხატავს ცარიზმის ოფიციალური ისტორიკოსი ნიკოლოზ დუბროვი (1837-1904 წწ.) რუსი ჯარისკაცების შესახებ: `გლეხთა სახლებში პურს რომ ვერ ნახულობდნენ, ჯარისკაცები გლეხების საქონელს და ფრინველს დაერეოდნენ და უანგარიშოდ ხოცავდნენ. ღვინოს ხომ სვავდნენ და სვამდნენ, რასაც ვერ მოერეოდნენ, მიწაზე ღვრიდნენ და ბაღ-ბოსტნებს შეესეოდნენ და ანადგურებდნენ. ჯარისკაცთა და ოფიცერთა ბოროტმოქმედებანი გლეხების აწიოკებით როდი ისაზღვრებოდა. ისინი ქალებსაც არ ინდობდნენ და ქმრების თვალწინ ნამუსს ხდიდნენ''.

აჯანყება არაგვის ხეობაშიც გავრცელდა. მთიულებმა, ხევსურებმა და ფშაველებმა აიღეს დუშეთი და ფასანაური. ამით მათ რუსეთიდან საქართველოში შემომავალი სამხედრო გზა გადაკეტეს. შეშფოთებულმა ხელისუფლებამ სასწრაფოდ გამოიწვია ჯარები ჩრდილო კავკასიიდან.

აჯანყებული კახეთის მოსახლეობა მოითხოვდა ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენას, რომელსაც სათავეში უნდა ჩადგომოდა ბაგრატიონთა დინასტია. მეფედ ნაგულისხმევი იყო გრიგოლ ბატონიშვილი. საქართველოს მთავარმართებელი გენერალი პაულიჩი დაბრუნდა რუსეთ-ირანის ფრონტიდან სასწრაფო წესით და უშუალოდ მან დაიწყო აჯანყების ჩახშობა. 1812 წლის მარტს ჩუმლაყთან ერთმანეთს შეებრძოლნენ აჯანყებული კახელების 4000-იანი ჯარი და გენერალი პაულიჩი. ქართველები დამარცხდნენ. ტყვედ ჩავარდა გრიგოლ ბატონიშვილიც.

მთავარმართებელი პაულიჩი გარკვეულ დათმობებზე წავიდა. მან კახეთში გააუქმა კაპიტან-ისპრავნიკის თანამდებობა და აღადგინა მოურავობა, გააუქმა რუსული სასამართლო, და სხვა.

1812 წლის აპრილში საქართველოს მთავარმართებლად პაულიჩის ნაცვლად დაინიშნა რტიშჩევი, რომელიც შეეცადა კახეთში საბოლოოდ ჩაეხშო აჯანყება. ამ მიზნით მან კახეთში დიდი ჯარი გაგზავნა.

რუსეთს 1812 წლის ივნისში თავს დაესხა საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ მონაპარტე, რომელმაც მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო რუსეთის არმია. შექმნილი ვითარებით სარგებლობა სცადა ალექსანდრე ბატონიშვილმა, რომელიც საგანგებოდ დაბრუნდა ირანიდან და გამაგრდა თიანეთში. ალექსანდრემ რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებისაკენ მოუწოდა კახეთის, არაგვისა და დარიალის მოსახლეობას. Aმრიგად, კახეთში 1812 წლის ზაფხულში აჯანყების მეორე ეტაპი დაიწყო. მაგრამ მალე ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარება აჯანყებულთათვის საზიანოდ შეიცვალა. საფრანგეთის იმპერატორის რუსეთში ლაშქრობა ნაადრევი ზამთრის გამო კატასტროფით დასრულდა, ხოლო კავკასიაში რუსებმა ირანის ტახტის მემკვიდრის, აბას მირზას დამარცხება შეძლეს. Aმიტომაც, კახეთის აჯანყება საბოლოოდ განწირული აღმოჩნდა.

1812 წლის ოქტომბერში სოფელ შილდასთან აჯანყებულებსა და რუსეთის ჯარს შორის დიდი ბრძოლა გაიმართა. ალექსანდრე ბატონიშვილი თავისი 6000-იანი ქართული ქვედანაყოფით დამარცხდა. კახელებსა და რუსეთის ჯარს შორის გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 1812 წლის ნოემბერში, სოფელ მანავთან. სადაც ქართველები დამარცხდნენ. ალექსანდრე ბატონიშვილი თიანეთში ავიდა, ხოლო იქიდან კი შატილში გადავიდა. რუსების ჯარი მას ფეხდაფეხ მიყვებოდა და მისი შეპყრობა სურდა. 1813 წელს დიდი ბრძოლები გაიმართა შატილში გამაგრებულ ალექსანდრე ბატონიშვილსა და რუს ოკუპანტებს შორის. ამ ბრძოლაში რუსთა ჯარებმა მიწასთან გაასწორეს ხევსურეთის 20 სოფელი, რომელიც თავგანწირულად იცავდა მთაში გამაგრებულ ბატონიშვილს. ალექსანდრე დაღესტანში გაიხიზნა და იქედან კვლავ ირანს შეაფარა თავი.

1812 წლის მონაწილეთაგან სასამართლოს წინაშე 62 კაცი წარდგა, მათგან 4 მღვდელი იყო და 2 ქალი. 29 კაცს ციმბირის სამუდამო კატორღა მიუსაჯეს, 31 კაცს _ საქართველოს ფარგლებს გარეთ ჯარისკაცად სამსახური. აჯანყების მონაწილე 2 ქალს (ეკატერინე ჩოლოყაშვილი და გულქან ნათალიშვილი) სამუდამო მონაზვნობა მიუსაჯეს. კახეთში გაგზავნილი დამსჯელი ექსპედიციების უფროსებს უფლება მისცეს სასამართლოს გარეშე ჩამოეხრჩოთ აჯანყების მონაწილე გლეხები, მათ შორის თავადაზნაურებიც. აწიოკებისა და სიკვდილით დასჯის გარდა მთავრობამ გლეხობას დააკისრა დიდი რაოდენობით პურისა და ფულის გადახდა ხელისუფლებისათვის მიყენებული ზარალის საკომპენსაციოდ.

უნდა ითქვას, რომ აჯანყების შედეგად რუსები იძულებული გახდნენ გარკვეულ დათმობაზე წასულიყვნენ. კერძოდ, აჯანყების შემდეგ კახეთში გაუქმდა კაპიტან-ისპრავნიკის თანამდებობა, სოფელს ზედამხედველად ადგილობრივ ქართველ თავადს ან აზნაურს უნიშნავდნენ. გაიზარდა ქართველების რაოდენობა ადგილობრივ მმართველობაში.

<u>1819-1820 წლების იმერეთ-გურიის აჯანყება.</u> 1811 წელს მცხეთის საკათალიკოსოს გაუქმების შემდეგ საქართველოს ეგზარქოსი თეოფილაქტე რუსანოვი ცდილობდა იმერეთის ეპარქიების დაქვემდებარებას. აფახაზეთ-იმერეთის საკათალიკოსოს განაგებდა მიტროპოლიტი დოსითეოს ქუთათელი. იგი დიდ წინააღმდეგობას უწევდა თეოფილაქტე

რუსანოვის დაჟინებულ მცდელობას _ აფხაზეთში საკათალიკოსოს დამოუკიდებლობის გაუქმებას. 1814 წელს დოსითეოსმა ვერ გაუძლო რუსი ეგზარქოსის შემოტევებს და აფხაზეთის საკათალიკოსო გაუქმდა. 1819 წელს იმერეთში საეკლესიო რეფორმების გატარება დაიწყო. აღნიშნული რეფორმის მიხედვით უნდა მომხდარიყო საეკლსიო ქონების აღწერა და მისი გადასვლა რუსეთის ეკლსიის გამგებლობაში. იმერეთში უნდა შემცირებულიყო ეპარქიების რაოდენობა, საეკლესიო აზნაურები და გლეხები სახაზინო (სახელმწიფო) უწყებას უნდა დაქვემდებარებოდნენ. რეფორმით უკმაყოფილო იყო სამღვდელოება, რომელიც კარგავდა საეკლესიო ქონებას და ეკლესიის შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს. უკმაყოფილონი იყვნენ საეკლესიო აზნაურები, რომლებიც, რეფორმის ძალით მიწიანა და გლეხებიანად სახაზინო უწყებაში უნდა გადაერიცხათ. განსაკუთრებული სიმძიმე დააწვა გლეხებს, რომელსაც საეკლესიო გადასახადი ორ-სამჯერ გაუზარდეს. თანაც გადასახადს არა ნატურით, არამედ ფულით ითხოვდნენ.

საეკლესიო რეფორმით უკმაყოფილო იმერეთის მოსახლეობა 1819 წლის ივნისში აჯანყდა, რომელიც შემდგომ რაჭაშიც გავრცელდა. აჯანყებულებმა იმერეთისაკენ მიმავალი გზები ჩახერგეს და სადარაჯოები მოაწყვეს. ისინი მოითხოვდნენ რეფორმის შეწყვეტას და იმერეთიდან თეოფილაქტე რუსანოვის გაძევებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აჯანყებულები თავიდან მოითხოვდნენ საეკლესიო რეფორმის გაუქმებას, მაგრამ ამის შემდეგ აჯანყებამ აშკარად ანტირუსული ხასიათი მიიღო. იმერეთში დაწყებულ აჯანყებაში მოსახლეობის ყველა ფენა (თავადები, აზნაურები, სამღვდელოება, გლეხობა) მონაწილეობდა.

საქართველოს მთავარმართებელი გენერალი ერმოლოვი იმერეთში აჯანყების დაწყების პერიოდში ჩრდილო კავკასიაში იბრძოდა. მის მოვალეობას კი ასრულებდა გენერალი ველიამინოვი, რომელმაც იმერეთში აჯანყებულთა წინააღმდეგ დიდ სამხედრო ძალას მოუყარა თავი. მიუხედავად ამისა რუსი ხელისუფალნი ფრთხილობდნენ სამხედრო ძალის გამოყენებას და გენერალმა ველიამინოვმა იმერეთში გაგზავნა მიმართვა, რომელშიც ის იმერეთის მოსახლეობას პირდებოდა საეკლესიო რეფორმის შეჩერებას და თეოფილაქტე რუსანოვის იმერეთიდან გაწვევას. ველიამინოვმა თავისი სიტყვა შეასრულა, საეკლესიო რეფორმაც შეაჩერა და იმერეთიდან თეოფილაქტე რუსანოვიც გაიწვია. აღნიშნული მოვლენა აჯანყებულთა დიდი გამარჯვება იყო.

1819 წლის შემოდგომაზე იმერეთში აჯანყება შენელდა, მაგრამ ის კვლავ განახლდა იმის შემდეგ, რაც თბილისიდან იმერეთში გაგზავნილი ჯარის მეთაურმა იმერეთის მოსახლეობას ,,ცოდვების მონანიება" და რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე ხელახალი ფიცის დადება მოსთხოვა. ამას მოყვა იმერეთში აჯანყების განახლება. აჯანყებულებმა ქუთაისისაკენ მიმავალი გზები გადაკეტეს და დაიწყეს რუსეთის მხარდამჭერი თავად-აზნაურების დარბევა. აჯანყებულებს განზრახული ქონდათ ქუთაისის დაკავებაც, მაგრამ ხელისუფლებამ გაამაგრა ქალაქის მისადგომები.

აჯანყებულებმა იმერეთში მეფობის აღდგენა განიზრახეს. მეფედ მას სოლომონ პირველის ქალიშვილის, დარეჯანის, ვაჟი ივანე აბაშიძე გამოაცხადეს.

1820 წლის დამდეგს ხელისუფლებამ იმერეთში დიდ სამხედრო ძალას მოუყარა თავი. იმავე წლის მარტში რუსებმა შეიპყრეს მიტროპოლიტი ღრმად მოხუცებული დოსითეოზ ქუთათელი და ექვთიმე გენათელი, სოლომონ პირველის ასული, ივანე აბაშიძის დედა, ბ ატონიშვილი დარეჯანი და იმერელი თავადები. ივანე აბაშიძემ გურიას შეაფარა თავი. რუსებმა ჩაიდიეს ყოვლად უმსგავსო საქციელი, მათ დოსითეოზ ქუთათელს თავიდან წელამდე ჩამოაცვეს ტომრები და ხელები შეუკრეს. შეპყრობილი დოსითეოსი რუსმა

ჯარისკაცებმა სცემეს. თბილისისაკენ მიმავალი ნაცემი მიტროპოლიტი სურამთან გარდაიცვალა. მიტროპოლიტი ექვთიმე გენათელი და ბატონიშვილი დარეჯანი კი რუსეთში გადაასახლეს.

რუსეთის მხრიდან ჩადენილმა ამ ბარბაროსულმა ქმედებებმა იმერეთის მოსახლეობა აღაშფოთა და აჯანყებამ ახალი ძალით იფეთქა. აჯანყება განსაკუთრებით აქტიურობით გურიასა დაDრაჭაში გამოირჩეოდა. გურიაში გაქცეულმა ივანე აბაშიძემ თავის ნათესავს, გურიის მთავრის ძმას ქაიხოსროს შეაფარა თავი. აჯანყებამ სამეგრელოშიც იფეთქა, რომელსაც სათავეში ედგა სამეგრელოს მთავრის ძმა გრიგოლ დადიანი. ივანე აბაშიძე დაბრუნდა იმერეთში და კვლავ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას ჩაუდგა სათავეში.

თბილისიდან იმერეთში გაგზავნილი რუსეთის ჯარემი მთელი სისასტიკით გაუსწორდნენ აჯანყებაში მონაწილე რაჭის სოფლებს. ამის შემდეგ კი დაიწყეს იმერეთის დარბევაც. ივანე აბაშიძე დამარცხდა და თურქეთში გაიქცა. რუსეთის ჯარემბა ააოხრეს გურიაც. იმერეთის აჯანყება დამარცხდა. აჯანყებულები რუსებმა ციხეებში გამოკეტეს და მათი ნაწილი რუსეთის სხვადასვა გუბერნიებსა და ციმბირში გადაასახლეს, რომელთა უმრავლესობაც იქ გარდაიცვალა.

1819-1820 წლების იმერეთის აჯანყებას, რომელიც გურიასა და რაჭაშიც ვრცელდებოდა, გახლდათ უმნიშვნელოვანესი მოვლენა საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიაში. აჯანყებაში, ქართველი ერის ყველა წოდება და სოციალური ფენა მონაწილეობდა, მათ ერთადერთ მიზანს წარმოადგენდა საქართველოს განთავისუფლება რუსი დამპყ-რობლებისაგან.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება

ქართული მართმადიდებელი ეკლესია საუკუნეების მანძილზე იდგა ქყეყნის სადარაჯოზე და სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას უწყობდა ხელს. ამიტომაც რუსეთის კოლონიური პოლიტიკა მიმართული იქნა მისი სრული გაუქმებისაკენ. 1811 წელს გაუქმდა მცხეთის საკათალიკოსო. მცხეთის კათალიკოსი ანტონ II რუსეთში გაიწვიეს. მცხეთის საკათალიკოსოს ეპარქიები კი რუსეთის სინოდს დაუქვემდებარეს. 1814 წელს გაუქმდა აფხაზეთის საკათალიკოსოც. საქართველოს ეკლესიას სათავეში რუსი ეგზარქოსი ჩაუყენეს, რომელიც ქართულ ეკლესიას განაგებდა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის მეშვეობით. პირველ ეგზარქოსად, ამ რეფორმას დიდი აჟიოტაჟი რომ არ გამოეწვია, აირჩიეს ქართველი ვარლამი, მაგრამ იგი მალევე იქნა გადაყენებული და ამის შემდეგ ეგზარქოსებად რუსი სასულიერო პირები ინიშნებოდნენ.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ საეკლესიო აზნაურები მათი ყმებითა და მამულებით სახაზინო (სახელმწიფო) უწყებაში იქნენ გადარიცხულნი. ამ პოლიტიკის მთავარი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ქართველი სასულიერო პირები ამის შემდეგ რუსეთის ეკლესიასა და მის ზურგს უკან ამოფარებულ იმპერიალისტური რუსეთის სახელმწიფოზე ყოფილიყვნენ დამოკიდებულნი. რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მიზანი კი გახლდათ ქართველი სასულიერო პირების უკიდურესად დაკნინება და მათი ეკლესიებიდან გაშვება, რათა მათ არ მისცემოდათ უფლება თავიანთი მრევლი ეროვნული იდეებით გამოეკვებათ.

რუსი კოლონიზატორების მიერ ბაგრატიონთა სამეფო სახლის დევნა

მრავალი საუკუნის განმავლობაში დამპრობლების წინააღმდეგ ქართველი ერის ბრძოლას სათავეში ედგა ბაგრატიონთა სამეფო დინასტია. სწორედ მათგან იყო მოსალოდნელი ქართველი ერის დარაზმვა ცარისტული რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ. მართლაც, მთელი ქართველი საზოგადოება იმედის თვალით შესცქეროდა ერეკლე II-ის შთამომავლობას. რუსეთის ხელისუფლებას კარგად ესმოდა, რომ საქართველოში ანტირუსული საქმიანობის სულის ჩამდგმელნი ბაგრატიონთა სამეფო სახლის წარმომსადგენლები იყვნენ. მართლაც, ანტირუსული მოძრაობის სულისჩამდგმელნი იყვნენ ერეკლე II-ის მეუღლე დარეჯან დედოფალი, ბატონიშვილები: ალექსანდრე ერეკლეს ძე, იულონ ერეკლეს ძე, ფარნაოზ ერეკლეს ძე, დავით გიორგის ძე, თეიმურაზ გიორგის ძე და სხვა. მართალია ქართველ ბატონიშვილებს შორის თანხმობა და ერთობა არ არსებობდა, მაგრამ ისინი დაქსაქსულნიც დიდ საშიშროებას უქმნიდნენ ცარისტულ რუსეთს.

Aამიტომაც, რუსეთის საიმპერატორო კარმა გადაწყვიტა ბაგრატიონთა სამეფო სახლის დევნა, რომელიც 1801 წლიდან იქნა დაწყებული. 1801 წელს რუსეთში გადაასახლეს გიორგი XII-ს შვილები: დავითი, იოანე, ბაგრატი და მიხეილი. 1803 წელს საქართველოს მთავარმართებელმა პავლე ციციანოვმა რუსეთში გადაასახლა დარეჯან დედოფალი. რუსეთში გადასახლებაზე სასტიკი უარი განაცხადა გიორგი XII-ის, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის მეუღლემ, დედოფალმა მარიამმა. ამაზე განრისხებული რუსი გენერალი ლაზარევი მარიამის საწოლ ოთახში შეიჭრა და მისი იქედან ძალით გამოყვანა მოიწადინა. იგი იქვე იქნა მოკლული. მარიამი კი მაინც გადაასახლეს რუსეთში. 1804 წელს რუსეთში იქნა გადასახლებული: იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები. მათი ბედი გაიზიარა ბაგრატიონთა სახლის სხვა წევრებმაც.

სოციალური და დემოგრაფიული ექსპანსია საქართველოში

<u>დემოგრაფიული ექსპანსია.</u> რუსეთის სახელმწიფოს კოლონიური პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულება იყო უცხო ტომელთა ჩამოსახლება საქართველოში, რაც მიზნად ისახავდა დემოგრაფიულ ექსპანსიას. არაქართული მოსახლეობა იმპერიის საყრდენად მოიაზრებოდა. 1803 წელს, დემოგრაფიული ექსპანსიის მიზნით, საქართველოს მთავარმართებელმა ერევნის სახანოდან ჩამოიყვანა და თბილისსა და ქვემო ქართლში დაასახლა 11 000 სომეხი. 1811 წელს, მას შემდეგ რაც რუსეთის სახელმწიფომ აიღო ჯავახეთი, იქ მცხოვრები 2000 სომეხი თბილისში იქნა გადმოსახლებული. 1818 წელს საქართველოში 500 კოლონისტი გერმანელის ოჯახი შემოიყვანეს. 1828-1829 წლების ომში თურქებზე გამარჯვების შემდეგ რუსეთის შემადგენლობაში გადავიდა სამცხე-ჯავახეთი. რუსეთმა იქ მცხოვრები ქართველი მუსლიმები აიძულა ოსმალეთში გადასახლებულიყვნენ, მათ ნაცვლად კი ოსმალეთიდან შემოსული 30 000 სომეხი ჩაასახლა. 1829-1831 წლებში ზემო ქართლში რუსი კოლონიზატორების მიერ იქნა ჩასახლებული 14 000 კომლი ბერძენი და სომეხი. ამათ გარდა, საქართველოში დიდი რაოდენობით ასახლებდნენ სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ რუს ჯარისკაცებსა და ოფიცრებს. საქართველოში რუსეთის შიდა გუბერნიებიდან ასახლებდნენ აგრეთვე რუს სექტანტებს სტაროვერებს და დუხობორებს. საქართველოში ჩამოსახლებულებს საუკეთესო მიწებს აძლევდნენ. ეს მაშინ, როდესაც ადგილობრივ ქართველებს მიწა არ ჰქონდათ საკმარისი.

<u>სოციალური ექსპანსია.</u> რუსეთის სახელმწიფოს კოლონიური პოლიტიკა ითვალისწინებდა ქართული სოციალური ურთიერთობების მოსპობას და მის ნაცვლად რუსული სოციალური ურთიერთობების დამკვიდრებას.

ქართულმა ფეოდალურმა არისტოკრატიამ, თუ იგი მანამ მთავარ როლს თამაშობდა საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ დაკარგა გაბატონებული მდგომარეობა. საქართველოში ადმინისტრაციულ მოხელეთა აპარატი მთლიანად რუსი მოხელეებისაგან იქნა დაკომპლექტებული, რამაც ფეოდალური არისტოკრატია ეკონომიკურად ძალიან დააზარალა. რუსეთის საიმპერატორო კარმა ქართული ფეოდალური კლასის ორი ფენა: თავადები და აზნაურები ერთ კლასად _ თავადაზნაურობად _ აქცია. საქართველოში კი მათ შორის იერარქია არსებობდა (თავადს ემორჩელებოდა აზნაური).

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა გლეხობა. ქართველ გლეხს დაეკისრა ახალი გადასახადები რუსეთის ხაზინის სასარგებლოდ. რუსეთის ხელისუფლებამ სამეფო და საუფლისწულო გლეხები სახელმწიფო (სახაზინო) გლეხებად გამოაცხადა, რითაც გაუარესდა მათი ყოფა. XIX საუკუნის განმავლობაში საქართველოში საბატონო გლეხების მდგომარეობა თითქმის არ შეცვლილა, მაგრამ მკვეთრად გაუარესდა საეკლესიო გლეხების ყოფა. რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა საეკლესიო გლეხებისაგან გადასახდი ნატურის ნაცვლად ფულადი სახით მიეღოთ, ეს კი ნატურალური მეურნეობის პირობებშიო ძალზედ ძნელი იყო.

1832 წლის შეთქმულება

XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის წარმოებული ყველა აჯანყება თავისი ხასიათით იყო ლოკალური და არ ჰქონდა წინასწარ შემუშავებული პროგრამა. რაც შეეხება 1832 წლის აჯანყებას ის სწორედ ამ ნიშნით კარდინალურად განხვავდებოდა წინა აჯანყებებისაგან.

1832 წლის შეთქმულების აღმოცენება განაპირობა XIX საუკუნის დამდეგის ქართული ეროვნული მოძრაობის ჩიხში შეყვანამ. ამას დაემატა ისიც, რომ ქართველ საზოგადოებაში ნელ-ნელა მძლავრობდა რუსულ ხელისუფლებასთან შერიგების განწყობილება.

შეთქმულების პირველი წრეები ჩნდება პეტერბურგსა და მოსკოვში, რომლის ორგანიზატორებიც იყვნენ საქართველოდან რუსეთში გადასახლებული ბაგრატიონთა სამეფო სახლის წევრები. 1825 წელს პეტერბურგში დიმიტრი ბატონიშვილის თაოსნობით ყალიბდება პირველი საიდუმლო ორგანიზაცია (წრე), რომლის წევრებიც გახლდნენ: ფარნაოზ ბატონიშვილი, დიმიტრი და ელიზბარ ერისთავები, ვახტანგ ორბელიანი, სოლომონ რაზმაძე და სხვები. მათი მთავარი მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. 1826 წელს მოსკოვშიც ყალიბდება ანალოგიური წრე ოქროპირ ბატონიშვილის ხელმძღვანელობით. ამ წრეში გაერთიანებულნი იყვნენ: დავით ორბელიანი, სოლომონ დოდაშვილი, გიორგი ერისთავი და სხვ. 1827-1829 წლებში რუსეთიდან შეთქმულების ცენტრი თბილისში გადმოვიდა. თბილისის ცენტრის დაარსებაში დიდი როლი ითამაშეს ელიზბარ ერისთავმა, სოლომონ დოდაშვილმა, ალექსანდრე ჩოლოყაშვილმა, ოქროპირ და თამარ ბატონიშვილებმა. მალე მათ შეუერთდა ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ალექსანდრე ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, ფილადელფოს კიკნაძე და სხვ. თბილისის ამ ორგანიზაციას 1830-1832 წლებში

ხელმძღვანელობდა ალექსანდრე ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი და სოლომონ დოდაშვილი. შეთქმულები გეგმავდნენ, რომ იმპერიული რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მთელი კავკასია ჩაებათ.

შეთქმულები კონსპირაციის მიზნით აწარმოებდნენ ფარულ მიმოწერას ე.წ. საიდუმლო ანბანის მეშვეობით. მათ ჰქონდათ ორგანიზაციის წესდება ,,აქტი გონიერი", რომელიც ფილადელფოს კიკნაძემ შეადგინა. ფარული საზოგადოების ახალ წევრს აუცილებლად უნდა წაეკითხა ეს წესდება.

1832 წლის შეთქმულების ძირითადი მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. ისინი წინასწარ მუშაობდნენ პროგრამაზე, თუ რა გზით უნდა მოეპოვებინათ ეს და რა უნდა მოჰყოლოდა მას, მაგრამ პროგრამის დასრულება ვერ მოასწრეს, რაც მათ ქაოტურ მუშაობას იწვევდა. აღნიშნული პროგრამიდან აღსანიშნავია რამდენიმე საკვანძო საკითხი:

1. ცარისტული რუსეთის ბატონობისაგან საქართველოს განთავისუფლების გზები. უნდა ითქვას, რომ შეთქმულებს ბოლომდე შეუჯერებული ერთი გზა, რომელიც საქართველოს განთავისუფლებამდე მიიყვანდა, არ ჰქონდათ. ფიგურირებდა რამდენიმე მოსაზრება ამ საკითხზე. შეთქმულების ერთი ნაწილის აზრს გამოხატავდა ივანე აფხაზი, რომლის რწმენითაც ას წელზე ადრე არ შეიძლებოდა საქართველოს რუსეთიდან გამოყოფა. ამ ხნის მანძილზე უნდა მომხდარიყო ქვეყნის გაძლიერება. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლებოდა რუსეთის კლანჭებიდან თავსახსნილი სქართველო ოსმალეთისა და ირანის კლანჭებში მოექცეულიყო. შეთქმულთა მეორე ნაწილის აზრს ახმიანებდა გრიგოლ ორბელიანი, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებას შესაძლებლად მიიჩნევდა. მისი აზრით, საქართველო შეძლებდა დამოუკიდებლობის მოპოვებას და მის შენარჩუნებასაც. რაც შეეხება შეთქმულთა მესამე ნაწილის აზრს, ალექსანდრე ორბელიანი შემდეგნაირად გამოსატავდა: ქართფელებს უნდა დაერწმუნებინათ რუსეთის იმპერატორი, რომ საქართველოს მიეღო ავტონომიური სამეფოს სტატუსი.

2. შეთქმულების სოციალური ბაზა. შეთქმულთა აზრით, საქართველოს ყველა სოციალური ფენა უნდა ჩართულიყო ამ მოძრაობაში.

3. 1832 წლის შეთქმულების ორგანიზატორთა აზრით, მათ შესაძლო მოკავშირედ შეიძლება გამხდარიყო პოლონეთი, რომელიც რუსეთის იმპერიის კოლონიურ უღელს ვერ ეგუებოდა. მოკავშირედ მოიაზრებდნენ ჩეჩნეთსა და დაღესტანსაც. რაც შეეხება საგარეო ასპარეზზე პოტენციურ მოკავშირედ მიიჩნევდნენ საფრანგეთსა და ინგლისს. რაც შეეხება ოსმალეთსა და ირანს, ისინი არასანდოდ ითვლებოდა.

4. **სახელმწიფოს მოწყობის საკითხი და პოლიტიკური მმართველობის ფორმა საქართველოში. შეთქმულები ბოლომდე ვერ შეჯერდნენ მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს მოწყობის საკითხთან დაკავშირებით. ისინი ძირითადად სახელმწიფო მოწყობის სამ ფორმას განიხილავდნენ. ესენი იყო: მონარქია, კონსტიტუციური მონარქია (შეზღუდული მონარქია) და რესპუბლიკა. როგორც მოსალოდნელი იყო, მონარქიას ძირითადად მხარს უჭერდა ბატონიშვილები, რომლებიც ოცნებობდნენ ბაგრატოვანთა დინასტიის აღდგენაზე, რომელსაც ბუნებრივად მოყვებოდა ერთიანი ქართული სამეფოს შექმნაც. კონსტიტუციური მონარქიის მხარდამჭერთა აზრით, საქართველოში უნდა ჩამოყალიბებულიყო ორპალატიანი პარლამენტი. ზედა პალატის თავმჯდომარე იქნებოდა მეფე, წევრები კი _ მინისტრები. ქვედა პალატის დეპუტატები იქნებოდნენ არჩეულნი საქართველოს სხვადასხვა სოციალური ფენებიდან, რომლებიც დაიცავდნენ თავიანთი სოციალური ფენის ინტერესებს. სოლომონ დოდაშვილმა წამოაყენა**

პროექტი, რომელშიც საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმად რესპუბლიკა იყო დასახელებული.

შეთქმულთა უმრავლესობა კონსტიტუციურ მონარქიას უჭერდა მხარს. მეფედ შეთქმულებს ალექსანდრე ბატონიშვილი ჰყავდათ არჩეული. ჰყავდათ სავარაუდო მინისტრების კანდიდატებიც: ალექსანდრე ჭავჭავაძე (სამხედრო მინისტრი), ნიკოლოზ ფალავანდიშვილი (ფინანსთა მინისტრი), კონსტანტინე მუხრანბატონი (იუსტიციის მინისტრი), იაგორ ჭიბლაშვილი (შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრი) და სხვა.

1832 წლის შეთქმულების ორგანიზატორთა აზრით აღნიშნული გამოსვლა უნდა დაწყებულიყო საგანგებოდ შერჩეულ დღეს, რომელიც აგრეთვე იქნებოდა მოსახერხებელი და მისაღები მათთვის. 1832 წლის ნოემბერში შეთქმულებმა შეიმუშავეს ე.წ. ,,პირველი ღამის განკარგულება'', რომლის თანახმადაც აჯანყებულებს უნდა დაეკავებინათ ციხე და გაენიარაღებინათ თბილისსა და მის გარეუბანში მდგომი რუსეთის საჯარისო ქვედანაყოფები. შეთქმულებმა აჯანყების დრო რამდენჯერმე შეცვალეს. საბოლოო გეგმის თანახმად ლუარსაბ ორბელიანის სახლში უნდა მოეწვიათ საქართველოს მთავარმართებელი და მაღალი რანგის სამოქალაქო და სამხედრო პირები. ისინი ბანკეტზევე უნდა დაეპატიმრებინათ. ხელმძღვანელის გარეშე დარჩენილი ჯარისკაცების განიარაღება ადვილი იქნებოდა. აჯანყება 1832 წლის შეთქმულებმა ჯერ 6 დეკემბრისათვის დანიშნეს, მაგრამ შემდეგ 20 დეკემბრისათვის გადადეს. აღნიშნული შეთქმულება 9 დეკემბერს მისმა ერთ-ერთმა წევრმა _ იესე ფალავანდიშვილმა გასცა. მისი ძმა – ნიკოლოზ ფალავანდიშვილი იყო თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი. შეთქმულებმა იესეს მისი ძმის გადმობირება დაავალეს. ნიკოლოზმა კი პირიქით, იესე დაარწმუნა, რომ შეთქმულება მაინც განწირული იქნება და თუ ის შეთქმულებას გასცემდა, ამით საკუთარ თავს გადაარჩენდა. იესე ძმის ზეგავლენის ქვეშ მოექცა.

ნელ-ნელა ამ შეთქმულებაში მონაწილე ყველა პირის დაპატიმრება შესძლო რუსეთის საიმპერატორო კარმა. გამოძიების შემდეგ გაასამართლეს 38 კაცი. ამ შეთქმულების აქტიურ წევრებს ჯერ მიესაჯათ სიკვდილი, მაგრამ შემდეგ განაჩენი შეცვალეს და ისინი სხვადასხვა ვადით რუსეთის სხვადასხვა გუბერნიაში გადაასახლეს. გადასახლებულთა შორის იყვნენ: ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ორბელიანი, სოლომონ დოდაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი ერისთავი, სოლომონ რაზმაძე და სხვა. ამ შემსუბუქებით რუსეთის ხელისუფლება ქართველების კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობდა.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ 1832 წლის შეთქმულებამ უზარმაზარი კვალი დატოვა ქართველი ერის ისტორიაში. ამრიგად, 1825-1832 წლების თავადაზნაურთა პატრიოტული მოძრაობა საერთოქართული მასშტაბისა იყო და ასედაც შევიდა ისტორიაში.

საქართველოს ისტორიული ტერიტორიების დაბრუნების საკითხი

<u>XIX საუკუნის ირან-რუსეთის და ოსმალეთ-რუსეთის ომები და საქართველო.</u> იმის შემდეგ რაც რუსეთის ცარისტიულმა სახელმწიფომ მოახდინა ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია, გეგმაზომიერად შეუდგა კავკასიის მიწების დაპყრობას. რუსეთისათვის არ წარმოადგენდა სიძნელეს სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიებზე არსებული წვრილი სახანოების ანექსია, მაგრამ ამაში მათ ხელს უშლიდნენ კავკასიის ძველი დამპყრობლები _ ოსმალეთი და ირანი. მთელი XIX საუკუნის მანძილზე რუსეთმა 6 დიდი

ომი აწარმოა ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მხრიდან ომები დამპყრობლურ ხასიათს ატარებდა. ოსმალეთისა და ირანის წინააღმდეგ წარმოებულ ომებში გამარჯვების შედეგად რუსეთმა შემოიერთა საქართველოს ისტორიული ოლქები, ამიტომ ქართველები კავკასიის ამ სამ დამპყრობელს შორის მაინც უპირატესობას რუსეთს ანიჭებდნენ. ამის მთავარი მიზეზი იყო ის, რომ საუკუნეების მანძილზე საქართველოსათვის მებრძოლი ოსმალეთი და ირანი ხშირად ერთმანეთს უზავდებოდნენ და მათ შორის დადებული ზავის თანახმად საქართველოს (მათი ინტერესებისდა მიხედვით) იყოფდნენ, რუსეთის დიდი იმპერია კი მას მთლიანად უპირებდა შეერთებას და არავისთან არ აპირებდა გაყოფას. ეს კი ობიექტურად დადებითი იქნებოდა ქართველობისთვისაც. თუგინდ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, მაგრამ მაინც, იქმნებოდა პერსპექტივა საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთს დაშორებული ქართველების დაახლოებისა, ერთიანი ქართული სულის აღდგენისა, რაც, ბენებრივია, იქნებოდა ერთიანი ეროვნული ღირებულებების აღორძინების საწინდარი. სწორედ ამით იყო ნაკარნახევი ის, რომ ქართველი გენერლები (გიორგი ერისთავი, გრიგოლ ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ივანე ანდრონიკაშვილი და სხვ), ჩადგნენ რუსეთის სახელმწიფოს სამსახურში.

<u>ირან-რუსეთის 1804-1813 წლების ომის შედეგები.</u> 1804-1813 წლებში მიმდინარეობდა რუსეთ-ირანის ომი, რომელიც გულისტანის ზავით დამთავრდა. ზავის თანახმად ირანმა ცნო აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში რუსეთის მმართელობის დამყარება. იმპერიის ხელში გადავიდა აზერბაიჯანის სახანოები (ყარაბაღი, განჯა, შირვანი, შაქი, ბაქო, დარუბანდი, ყუბა, თალიში) და დაღესტანი. რუსეთის მფლობელობაში აღმოჩნდა აგრეთვე საქართველოს ისტორიული ტერიტორიის დაკარგულ-მიტაცებული მხარე _ საინგილო იგივე ჭარ-ბელაქანი, თუმცა ამ პერიოდში რუსეთს აქ ჯარი არ შეუყვანია. გარდა ამისა, კასპიის ზღვაზე სამხედრო ფლოტის ყოლის უფლება მხოლოდ რუსეთს ჰქონდა.

<u>ირან-რუსეთის 1826-1828 წლების ომის შედეგები.</u> რუსეთსა და ირანს შორის ომი 1826-1828 წლებშიც მიმდინარეობდა, რომელშიც ისევ რუსეთმა გაიმარჯვა. ამჯერად, რუსეთისა და ირანის სახელმწიფოებს შორის გაფორმდა თურქმენჩაის ზავი, რომლის თანახმადაც ირანმა დაადასტურა პირობა გულისტანის ხელშეკრულებისა, კერძოდ, ჭარ-ბელაქნის (საინგილოს) რუსეთის მფლობელობაში გადასვლის შესახებ. შემდგომში ჭარ-ბელაქანი, ზოგიერთ სხვა ტერიტორიასთან ერთად (კაკ-ენისელი) _ ზაქათალის ოკრუგის სახით თბილისის გუბერნიაში იქნა შეყვანილი. იმპერიალისტური რუსეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა აგრეთვე აღმოსავლეთი სომხეთის ტერიტორიაც (ერევნისა და ნახიჩევანის სახანოები).

<u>ოსმალეთ-რუსეთის 1806-1812 წლების ომის შედეგები.</u> 1806-1812 წლებში რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომი ერთდროულად მიმდინარეობდა _ კავკასიისა და ბალკანეთის ფრონტებზე. ომში აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს მოსახლეობაც. 1809 წელს გურიის სახალხო ლაშქარმა მდინარე მალთაყვასთან დაამარცხა თურქების ჯარი, რომელიც ტრაპიზონიდან მიდიოდა ფოთის გარნიზონის დასახმარებლად. ამ ომში გამარჯვება რუსეთს ერგო. მეომარ მხარებს შორის დაიდო ბუქარესტის ზავი. ომში გამარჯვებულმა რუსეთმა ამ ზავით მიიღო სოხუმი და მდინარე ხობის შესართავთან მდებარე რედუტ-კალე (ყულევი), აგრეთვე, ამ ორ პუნქტს შორის მოქცეული შავი ზღვის სანაპირო. ყველაზე მთავარი ის იყო, რომ ოსმალეთმა ოფიციალურად ცნო ქართლ-კახეთისა და დასავლურ ქართული სამთავროების გადასვლა რუსეთის ხელში. მაგრამ

1812 წელს უკიდურესად დაიძაბა ურთიერთობა რუსეთსა და საფრანგეთს შორის. საფრანგეთის იმპერატორი, ნაპოლეონ I, ემზადებოდა რუსეთზე თავდასასხმელად. ამით ისარგებლა თურქეთმა და რუსეთი აიძულა დათმობებზე წასულიყო. ოსმალეთს დაუბრუნდა რუსების მიერ ომის დროს დაკავებული ფოთი, ახალქალაქი და ანაპა.

<u>ოსმალეთ-რუსეთის 1828-1829 წლების ომის შედეგები</u>. მორიგი ომი რუსეთსა და ოსმალეთს შორის 1828-29 წლებში გაიმართა. ომი თავდაპირველად 1828 წელს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე დაიწყო. სწორედ აქ გეგმავდა რუსეთი მთავარ სამხედრო ოპერაციებს. კავკასიის ფრონტი კი რამდენადმე მეორეხარისხოვნად ითვლებოდა. ამ ომში რუსეთის მხარეს იბრძოდა ქართული სახალხო ლაშქარი. 1828 წელს რუსეთის ჯარებმა აიღეს ყარსი, ფოთი, ახალქალაქი, ახალციხე, იმავე წელვე ალექსანდრე ჭავჭავაძის სარდლობით დაიკავეს ბაიაზეთის საფაშო. პარალელურად ქართულმა სახალხო ლაშქარმა შეტევა წამოიწყო ქობულეთ-ბათუმის მიმართულებით. მიუხედავად დიდი წადილისა, რუსებმა ვერ შეძლეს ციხისძირის აღება. ომის ბედი ბალკანეთის ფრონტზე გადაწყდა. რუსები კონსტანტინეპოლს უახლოვდებოდნენ, ამიტომაც ოსმალეთმა ზავი ითხოვა. ეს ზავი რუსეთსა და ოსმალეთს შორის 1829 წელს ანდრიანოპოლში გაფორმდა. ადრიანოპოლის ზავმა რუსეთს მოუპოვა ფოთი, ახალციხე, ახალქალაქი, ასპინძა, აწყური, ხერთვისი, ქვაბლიანი, აბასთუმანი, ჭაჭარაქი. უმთავრესად ეს იყო ყოფილი ახალციხის საფაშოს მნიშვნელოვანი ტერიტორია. რუსეთის ხელში აღმოჩნდა აგრეთვე შავი ზღვის სანაპირო ზოლი რიონის შესართავიდან ყუბანის შესართავამდე. შემდგომში, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში მოქცეული სამცხე-ჯავახეთის მიწები თბილისის გუბერნიაში შევიდა. ოსმალეთს დაბრუნდა ომის დროს რუსეთის ჯარების მიერ დაკავებული ყარსი, ბაიაზეთი და ერზრუმი.

<u>ყირიმის ომი (1853-1856 წწ.) და მისი მნიშვნელობა საქართველოსათვის</u>. რუსეთს მთელი XIX ს-ის მანძილზე სურდა შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვაში გამავალი დარდანელისა და ბოსფორის სრუტეების ხელში ჩაგდება. ამით რუსეთი მთლიანად გაბატონდებოდა შავ ზღვაზე. რუსეთის იმპერატორი კარგად ხვდებოდა, რომ მისი იმპერიის ზომაზე მეტად გაძლიერებას წინა აღუდგებოდა ინგლისი და საფრანგეთი. ამიტომ ნიკოლოზ I შეეცადა წინასწარ მორიგებოდა ინგლისს. იმპერატორის ვარაუდით ამ ომში საფრანგეთი ვერ ჩაერეოდა, მაგრამ მისი ეს ვარაუდები არ გამართლდა. 1853 წელს რუსეთ-ოსმალეთსს შორის დაწყებულ ომში ინგლისიცა და საფრანგეთიც ჩაერთო და მათ ოსმალეთის მხარე დაიჭირეს. გარდა ამისა, რუსეთისადმი აშკარად მტრული პოზიცია დაიკავა ავსტრიამ. იმის გამო, რომ ამ ომის მთავარი ბრძოლები ყირიმის ნახავარკუნძულზე მიმდინარეობდა, ამ ომსაც ყირიმის ომი ეწოდა.

1853 წელს საომარი მოქმედებები რუსეთმა ოსმალეთის წინააღდეგ. ერთდროულად წამოიწყო შავ ზღვაზე, ბალკანეთის ნახევარ კუნძულსა და ამიერკავკასიაში. 1853 წლის ნოემბერში რუსეთის ფლოტმა ადმირალ ნახიმოვის სარდლობით სინოპის ყურეში გაანადგურა ოსმალეთის ფლოტი. ამ დამარცხებამ განაპირობა ოსმალეთის მხარეზე ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო ფლოტის მონაწილეობა. კავკასიის ფრონტზე რუსეთის ჯარების სერიოზული წარმატებები ოსმალთა წინააღმდეგ, მნიშვნელოვან წილად ქართული სახალხო ლაშქრისა და პარტიზანული რაზმების ბრძოლამ განაპირობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია: იმერეთისა და გურიის მილიციელების 1853 წლის 20 დეკემბრის ბრძოლა ოსმალების წინააღმდეგ. ოსმალები თავს დაესხნენ შეკვეთილთან ქართული მილიციის

ქვედანაყოფებს, რომელთაც მტკიცე პოზიცია ეჭირათ ჭახათის ხიდთან. მათ მიერ მოწინააღმდეგის შეტევა ბრწყინვალედ იქნა მოგერიებული და უკუგდებული.

ყირიმის ომს რუსეთისათვის კავკასიის ფრონტზე ცვლილებები არ მოუტანია, თუმცა ქართველმა ხალხმა დიდი მსხვერპლი გაიღო.

<u>ოსმალეთ-რუსეთის 1877-1878 წლების ომის შედეგები.</u> ყირიმის ომში (1853-1856 წწ.) დამარცხების შემდეგ რუსეთი რევანშისათვის ემზადებოდა. რუსეთის სახელმწიფოს მიზანს, ხელში ჩაეგდო ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები და კონსტანტინეპოლი, გარდა ოსმალებისა ეწინააღმდეგებოდა ინგლისი და საფრანგეთი.

რუსეთ-ოსმალეთის ახალი ომი რამდენადმე დააჩქარა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრები სლავი ერების აჯანყებამ ოსმალების წინააღმდეგ, რომელიც 1875 წელს დაიწყო. ბრწყინვალე პორტამ აჯანყებულების წინააღმდეგ დამსჯელი ექსპედიციები მიავლინა. რუსეთმა ოსმალებს სადამსჯელო ოპერაციებისაგან თავის შეკავება მოსთხოვა, რაც მათ ყურად არ იღეს. ყოველივე ეს გახდა ომის დაწყების მიზეზი და 1877 წლის აპრილში რუსეთმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს.

საომარი ოპერაციები რუსეთსა და ოსმალეთს შორის ერთდროულად დაიწყო ბალკანეთსა და ამიერკავკასიაში კერძოდ, საქართველოში. ამ ომმა ქართველ ინტელიგენციას აჭარისა და მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დედასამშობლო-სთან დაბრუნების იმედი გაუჩინა. ამასთან დაერთო ისიც, რომ ოსმალები შეეცადნენ აჭარაში ჯარის შეკრებას და მათ საომრად გაგზავნას აჯანყებული ბალკანელი სლავების წინააღმდეგ. აჭარლებმა ეს ბრძანება არ შეასრულეს. როგორც ჩანს, აჭარაში დიდი ანტიოსმალური მოძრაობა იყო გაჩაღებული. ამ ომის დაწყებისთანავე საქართველოში სახალხო ლაშქრის შედგენა დაიწყო, რომელშიც 38 000-ზე მეტი ადამიანი იქნა ჩაწერილი.

ომი კავკასიის ფრონტზე 1877 წლის აპრილში დაიწყო. რუსებმა აიღეს ქალაქები ბაიაზეთი და არტაანი. ბათუმის მიმართულებით დაწყებული შეტევა წარუმატებელი აღმოჩნდა. რუსებმა ისევ ვერ აიღეს ციხისძირი, სადაც ოსმალებს 35 000-იანი ჯარი ყავდათ ჩაყენებული. მარცხი განიცადა რუსებმა აფხაზეთშიც, რომელიც მალევე იქნა გამოსწორებული და რუსებმა სოხუმი აიღეს.

განსაკუთრებით წარმატებით ვითარდებოდა ბრძოლები ბალკანეთის ფრონტზე. რუსების ჯარი სტამბოლს მიუახლოვდა. ოსმალებმა ზავი ითხოვა. 1878 წლის 3 მარტს სან-სტეფანოში რუსეთსა და ოსმალეთს შორის ზავი იქნა გაფორმებული. სან-სტეფანოს ზავით დამოუკიდებლობა მიიღო ბულგარეთმა, ჩერნოგორიამ და რუმინეთმა. რუსეთს უნდა გადასცემოდა ევროპაში ბესარაბია, აზიაში კი _ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (ყარსი, ბაიაზეთი, არტაანი და რაც მთავარია _ აჭარა ბათუმითურთ) ისტორიული ტერიტორიები. ბერლინის კონგრესზე ევროპული ქვეყნების დიპლომატიური ზეწოლის შემდეგ რუსეთი მთელ რიგ დათმობებზე წავიდა. მიუხედავად ამისა, მის შემადგენლობაში შევიდა ოსმალების მიერ მიტაცებული ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწები: აჭარა ბათუმითურთ, შავშეთი, კლარჯეთი, იმერხევი, კოლა-არტაანი და ოლთისი. აღნიშნული ტერიტორიები რუსეთმა ბათუმის, ყარსის და არტაანის ოლქებად დაყო. აჭარის უდიდესი ნაწილი ბათუმის ოლქში შევიდა, რომელიც ადმინისტრაციულად ქუთაისის გუბერნიას დაექვემდებარა. აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნება უდიდესი მოვლენა იყო ქართველი ერისათვის. ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ინიციატივით აჭარის დებუტაცია თბილისში იქნა მიწვეული და მის საპატივცემულოდ გაიმართა ბანკეტი. აჭარიდან ჩასულებს მიესალმენ გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, აკაკი

წერეთელი და სხვები. საპასუხო სიტყვა კარგი გამართული ქართულით წარმოთქვეს შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილმა და ჰუსეინ-ბეგ ბეჟანიძემ.

ბათუმის საკითხი სან-სტეფანოს, ლონდონისა და ბერლინის კონფერენციებზე

რუსეთის იმპერიისათვის მთელი XIX საუკუნის მანძილზე მეტად მნიშვნელოვანი იყო ბათუმის შემოერთების საკითხი, რომელიც იმხანად თურქეთის შემადენლობაში იმყოფებოდა. 1804 წელს რუსი გენერალი პავლე ციციანოვი წერდა იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრს ჩორტოროცკის, რომ ბათუმი `ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე უნდა გვეკუთვნოდეს ჩვენ და იგი ჩვენს ხელში უნდა იყოსო''.

ბათუმის შემოერთების საკითხი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში დაისვა 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროსაც. თვით ნიკოლოზ პირველს უთქვამს, რომ `ბათუმი და ყარსი ღირს იმად, რომ მათვის გავწიროთ რამდენიმე მილიონი''-ო. ამ ომში რუსეთმა გაიმარჯვა, ადრიანოპოლის ზავით მის ხელში აღმოჩნდა შავი ზღვის სანაპირო ზოლი რიონის შესართავიდან ყუბანის შესართავამდე. მაგრამ ბათუმი ისევ ოსმალების ხელში დარჩა.

რუსეთი მთელი XIX საუკუნის მანძილზე იბრძოდა ბათუმის შემოერთებისათვის, რადგანაც მისი შემოერთების შემთხვევაში ერთის მხრივ რუსეთი შავ ზღვაზე ბრძოლის მნიშვნელოვან პლაცდარმს დაიკავებდა და მეორეს მხრივ ბათუმის პორტის დასაკუთრება დიდ ეკონომიკურ წარმატებას უქადდა.

რუსეთისათვის ბათუმის შემოერთების აუცილებლობა რომ მთელი XIX საუკუნის მანძილზე ინარჩუნებდა აქტუალობას, კარგად ჩანს მე-19 საუკუნის 60-იან წლებში რუსეთის კაპიტან სტეპანოვის ნაწერებიდანაც: `ოცნება ბათუმის შესახებ ხელახლა წამოიჭრა, როგორც კი გურია შევიდა რუსეთის ქვეშევრდომობაში. ჩვენი სურვილი იყო მისი დაბრუნება, გარდა ამისა ბათუმს ჰქონდა ჩინებული სტრატეგიული მნიშვნელობა, როგორც საუკეთესო ყურეს, რადგან შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მთელს სიგრძეზე ყველა დანარჩენი ხვეულები სახმელეთო ნაპირებისა, ძალზე უმნიშვნელოა და მოწყობის გარეშე არ შეუძლია თავშესაფარი იყოს დიდი გემებისათვის''.

განსაკუთრებით დაიძაბა ვითარება რუსეთსა და ოსმალეთს შორის XIX საუკუნის 70-იან წლებში, აშკარად ჩანდა, რომ მათ შორის ომი გარდაუვალი იყო. ოსმალეთის ზურგს უკან ინგლისი იდგა, რომელსაც თავის მხრივ ავსტრია-უნგრეთი და საფრანგეთი უჭერდა მხარს, რუსეთის იმპერიის მხარდამჭერებად კი გერმანია და იტალია მოიაზრებოდა.

ომი რუსეთსა და ოსმალეთს შორის 1877 წლის 12 აპრილს გამოცხადდა და მიმდინარეობდა კავკასიისა და ბალკანეთის ფრონტებზე. კავკასიის ფრონტზე ამ ორ იმპერიას შორის ატეხილი ომის მნიშვნელოვანი საკითხი კვლავდაკვლავ ბათუმის საკითხი გახლდათ. თავდაპირველად რუსეთისათვის განსაკუთრებით წარმატებული გამოდგა ბალკანეთის ფრონტი, სადაც რუსების ჯარები თვით კონსტანტინეპოლსაც კი მიუახლოვდნენ.

კავკასიის ფრონტზე 1877 წლის ივლისიდან 1878 წლის იანვრამდე რუსეთსა და ოსმალეთს შორის მხოლოდ დაზვერვა და ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები წარმოებდა. რუსეთის იმპერიის მთავარსარდლობა ბათუმის აღებას 1878 წლის 18 იანვრს შეეცადა. შეტევა ღამის სამ საათზე დაიწყო, ორივე მხრიდან ძლიერი ცეცხლი გაიხსნა და მსხვერპლიც დიდი იყო. რუსეთის მხრიდან დაწყებული ეს შეტევა მარცხით დასრულდა, მაგრამ ოსმალეთი იძულებული გახდა ზავი მოეთხოვა. დაძაბული საგარეო ურთიერთობების გამო ზავი რუსეთსაც აწყობდა და 1878 წლის 3 მარტს რუსეთსა და

ოსმალეთს შორის სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდო, რომელიც სან-სტეფანოს პრელიმინარული საზავო ხელშეკრულების სახელითაა ცნობილი. ეს ხელშეკრულება მოიცავდა 21 მუხლს და მთლიანად ცვლიდა ბალკანეთის პოლიტიკურ სახეს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სან-სტეფანოს ხელშეკრულების მე-19 მუხლი, რომელშიც განსაზღვრული იყო ოსმალების მიერ რუსეთისათვის მიყენებული ზარალის სანაცვლოდ გადასახდელი თანხა ათასოთხასათი მილიონი მანეთის ოდენობით. იქვე ნათქვამია: `ოსმალეთში არსებული ფინანსური კრიზისის და სულთნის სურვილის გათვალისწინებით რუსეთის იმპერატორი თანახმაა ბრწყინვალე პორტადან გადასახდელი თანხის სანაცვლოდ მიიღოს გარკვეული ტერიტორიები". მართლაც რუსეთის იმპერიას ამ ზავის თანახმად გადაეცა ტერიტორიები ბალკანეთში და კავკასიაშიც (არდაგანი, ყარსი, ბათუმი, და ტერიტორიები სოღანლუღამდე).

რუსეთსა და ოსმალეთს შორის გაფორმებული ეს საზავო ხელშეკრულება თავიდანვე მიუღებელი აღმოჩნდა ევროპის სახელმწიფოებისათვის, რადგან ამით რუსეთი ზომაზე მეტად ძლიერდებოდა. ჯერ კიდევ ზავის გაფორმებამდე ავსტრია-უნგრეთმა მოითხოვა მისი გადაცემა საერთაშორისო კონფერენციისათვის განსახილველად. დიდი ბრიტანეთის მთავრობამ 1878 წელსვე შესთავაზა რუსეთს ცვლილებები შეეტანათ სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებაში, რათა ის მისაღები ყოფილიყო ინგლისის მთავრობისათვისაც.

`პირველი მემორანდუმი"-ს თანახმად, რომელიც გაფორმდა რუსეთის იმპერიასა და დიდ ბრიტანეთს შორის ლონდონში 1878 წლის 30 მაისს, სან-სტეფანოს პრელიმინარულ საზავო ხელშეკრულებაში შეიტანეს მთელი რიგი ცვლილებები. ეს მემორანდუმი შეეხო ბათუმსაც, მაგრამ ის კვლავ რუსეთის შემადგენლობაში დარჩა. ამ მემორანდუმში ბათუმთან დაკავშირებით ნათქვამია: `არ ვეწინააღმდეგებით (იგულისხმება დიდი ბრიტანეთი _ა.შ.) რუსეთის იმპერატორის სურვილს, რომელსაც სურს ბათუმის პორტი და სომხეთის რიგი ტერიტორიების შეერთება. რუსეთის იმპერატორი არ მალავს და აღიარებს, რომ შესაძლებელია რუსეთის იმპერიის საზღვრების ასეთმა გაფართოებამ გამოიწვიოს ალბათობა იმისა, რომ ოსმალები ვერ მოისვენებენ ამ დანაკარგების გამო. მაგრამ რუსეთის იმპერატორს ღრმად სწამს, რომ დიდი ბრიტანეთი იქნება გარანტი იმისა, რომ ოსმალები კვლავ არ შეეცდებიან ამ დაკარგული ტერიტორიების უკან დაბრუნებას, რადგან ამ ომის სიმძიმე ევროპამაც იწვნია".

ამ მემორანდუმშიც კარგად სჩანს, თუ როგორი დიდი მნიშვნელობა აქვს ბათუმის საკითხს, რომ რუსეთის იმპერია შიშობს არ დაკარგოს ის მომავალში და ოსმალეთის დამპყრობლური სურვილების საწინააღმდეგოდ დიდი ბრიტანეთის გარანტიებიც კი მოითხოვა.

ლონდონის მემორანდუმი არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ ევროპა შეგუებოდა სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებას და რუსეთისათვის დაეთმო საკმაოდ დიდი ტერიტორიები, ამიტომაც გადაწყდა მოეწვიათ საერთაშორისო კონგრესი. რუსეთი იძულებლი გახდა დათანხმებოდა მას. მართლაც 1878 წლის 13 ივნისს ბერლინში გერმანიის კანცლერის ბისმარკის თავჯდომარეობით ოფიციალურად გაიხსნა კონგრესი. მას ესწრებოდნენ ბალკანეთის იმ ქვეყნების წარმომადგენლებიც რომლებთა ტერიტორიაც უნდა გადასცემოდა რუსეთს, მაგრამ ისინი არ მონაწილეობდნენ კონგრესის მუშაობაში.

ბერლინის კონგრესზე მრავალ მწვავე პრობლემათა შორის ერთ-ერთი გახლდათ ბათუმის საკითხი, რომელიც პრინციპული მნიშვნელობისა იყო. განსაკუთრებულად იყო დაინტერესებული ბათუმით დიდი ბრიტანეთი, რადგანაც მისი დასაკუთრებით რუსეთი ძლიერ პოზიციებს შეიქმნიდა შავ ზღვაზე და შესაძლო იყო ბოსფორისა და დარდანელის

სრუტეები ჩაეკეტა მას, რაც დიდი ბრიტანეთის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა _ სოლსბერიმ ბერლინის კონგრესზე განაცხადა, რომ `ინგლისი უკანასკნელ პირობად რუსეთს განუცხადებს, რომ მან უარი სთქვას ბათუმზეო''. თავის მხრივ, რუსეთის ელჩმა ლონდონში შუვალოვმა, რომელიც აგრეთვე ესწრებოდა ბერლინის კონგრესს, სოლსბერის ამ განცხადებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ: `კონგრესის ყველა დადგენილებას რუსეთი სისრულეში მაშინ მოიყვანდა, როდესაც სულთანი ბათუმს რუსეთს გადასცემდა''. რუსეთის მხრიდან, ბათუმთან დაკავშირებით, ასეთი შეურიგებელი დამოკიდებულების გამო დიდი ბრიტანეთის პრემიერმა ბიკონსფილდმა წამოაყენა წინადადება ბათუმის თავისუფალ ქალაქად გამოცხადების შესახებ. ამ წინადადების გამო ისე განაწყენებულა რუსეთი, რომ შეეცადა საერთოდ ჩაეშალა ბერლინის კონგრესი, მაგრამ ბისმარკის მოქნილობით იგი იძულებული გახდა დაჰყოლოდა დიდი ბრიტანეთის ამ წინადადებას, რათა არ გაემწვავებინა ურთიერთობა მასთან. თუმც კარგად ხვდებოდა, რომ ბათუმის თავისუფალ ქალაქად გამოცხადებით სერიოზულ დათმობაზე მიდიოდა.

ბერლინის კონგრესის მემორანდუმი შედგებოდა 59 მუხლისაგან, რომლებშიც მთლიანად იქნა გადასინჯული სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება. რუსეთი იძულებუ-ლი შეიქნა მთელ რიგ დათმობებზე წასულიყო. ამ კონგესზე კიდევ ერთხელ დაფიქსირდა და ხაზი გაესვა ბათუმის საკითხს. ბერლინის ტრაქტატის 58-ე მუხლით `ბრწყინვალე პორტა უთმობს რუსეთის იმპერიას აზიაში შემდეგ ტერიტორიებს: არდაგანს, ყარს და ბათუმს პორტითურთ''. 59-ე მუხლში კი ნათქვამი იყო, რომ `რუსეთის იმპერატორი აცდადებს, რომ მისი სურვილი _ ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებისა არის ეკონომიკური ინტერესებით ნაკარნახევი'' .

ბერლინის კონგრესის შემდეგაც საკმაოდ დიდხანს გაჭიანურდა ბათუმის რუსეთისათვის გადაცემის საკითხი. ბათუმი მხოლოდ 1878 წლის 25 აგვისტოს შევიდა მის შემადგენლობაში.

ამრიგად, რუსეთმა ბერლინის ტრაქტატით აისრულა საუკუნოვანი ოცნება. მას გადაეცა ბათუმი მისი პორტიტურთ. მართალია, ბათუმი გადაეცა პორტო-ფრანკოს სტატუსით, მგარამ ეს სტატუსი რუსეთმა გააუქმა 1886 წელს.

ლექცია #XIII

საქართველო XIX საუკუნის მეორე ნახევარში

ბატონყმობის გაუქმება საქართველოში. XIX საუკუნის 60-70 წლების რეფორმები.

<u>ბატონყმობის გაუქმება საქართველოში.</u> XIX ს-ის შუა პერიოდში რუსეთში ბატონყმურ-ფეოდალური სისტემა აშკარად აფერხებდა ქვეყნის განვითარებას. რუსეთის ჩამორჩენილობა განსაკუთრებით თვალში საცემი გახდა ყირიმის ომის მსვლელობისას (1853-1856 წწ). რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-ემ ბატონყმობის გაუქმების შესახებ პროექტის შემუშავება დაავალა რუსეთის თავად-აზნაურობას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავად-აზნაურობის აზრი ორად გაიყო. უმრავლესობა მხარს უჭერდა გლეხობის უმიწოდ გათავისუფლებას. ამ შემთხვევაში ყოფილი ყმა მაინც მემამულეზე მიჯაჭვული რჩებოდა. თავად-აზნაურობის მცირე ნაწილი მხარს უჭერდა იმას, რომ გამოსასყიდის ფასად გლეხობისათვის პირად თავისუფლებასთან ერთად მიწაც გადაეცათ. ამ შემთხვევაში გლეხს შესაძლებლობა ეძლეოდა პირად საკუთრებაში მყოფ მიწაზე ფერმერული მეურნეობა განევითარებინა, რაც სოფლად კაპიტალიზმის განვითარებას შეუწყობდა ხელს. საბოლოოდ გადაწყდა, რომ გლეხისათვის მიენიჭებინათ პირადი თავისუფლება, გადაეცათ მცირე ნაკვეთი (ნადელი) ოღონდ გამოსასყიდის ფასად. ეს ის მიწა იყო, რომელზეც გლეხი ისედაც სახლობდა და ფაქტობრივად ბატონყმობის გაუქმებამდეც ფლობდა, ანუ ამ რეფორმით რუსეთში მემამულური მიწათმფლობელობა უმნიშვნელო ცვლილებებით ისევ ხელუხლებელი რჩებოდა.

რუსეთში ბატონყმობა 1861 წელს გაუქმდა. ამრიგად, გლეხი იურიდიულად თავისუფალი გახდა. გლეხისათვის გადასაცემი მიწის ოდენობა დგინდებოდა ცალკეულ მემამულესა და მის გლეხს შორის მოლაპარაკებით. ზოგ შემთხვევაში გლეხს იმაზე ნაკლები მიწა ერგო, ვინემ განთავისუფლებამდე ქონდა. ფაქტობრივად გლეხმა მიწა დაკარგა. არსებული დებულებით ის მცირეოდენი მიწაც კი, რომელიც, გლეხმა მიიღო, საკმაოდ დიდი გამოსასყიდის ფასად უჯდებოდა. გლეხს ამ გამოსასყიდი თანხის 80 %-ს სახელმწიფო ხაზინა უფარავდა. 20 %-ს კი თვითონ იხდიდა. იგი მას 1900 წლისათვის უნდა დაეფარა. სანამ ყოველ კონკრეტულ გლეხსა და მემამულეს შორის მიწის გადაცემის თაობაზე ხელშეკრულება დაიდებოდა, გლეხი დროებით ვალდებულად ითვლებოდა. დროებით ვალდებული გლეხი ყმა აღარ იყო, მაგრამ მას ზოგიერთი მოვალეობის შესრულება მაინც უწევდა.

ამის შემდეგ რუსეთის საიმპერატორო კარი თავის კოლონიურ მხარეებშიც შეუდგა საგლეხო რეფორმის გატარებას. საქართველოში რეფორმის გატარებასთან დაკავშირებით გამოკითხულ იქნა 240 მემამულე. შემუშავდა 2 პროექტი _ უმრავლესობისა და უმცირესობის. უმრავლესობის პროექტი დიმიტრი ყიფიანის მიერ იქნა შედგენილი და მას მხარს უჭერდა 226 მემამულე. ამ პროექტის თანახმად მიწის ის ნაკვეთი რომელიც გლეხობას ბატონყმობის დროს ეჭირა მათთვის უნდა დაეტოვებინათ ხელუხლებლად, მაგრამ არა საკუთრების უფლებით _ მიწა კვლავ მემამულეთა საკუთრებაში რჩებოდა. ამ მიწით სარგებლობისათვის გლეხს გარკვეული გადასახადი უნდა გადაეხადა. უმცირესობის პროექტის მიხედვით, რომელსაც 14 მემამულე უჭერდა მხარს, გლეხობისათვის მიწის საკუთრებაში გადაცემას უარყოფდნენ, თუმც ყმებს აძლევდნენ სრულ უფლებას საცხოვრებელ სახლსა და სამეურნეო ნაგებობებზე. უმრავლესობისა და

უმცირესობის პროექტისაგან განსხვავდებოდა კონსტანტინე მამაცაშვილის მოსაზრება, გლეხებისათვის საკუთრებაში გადაეცათ მიწის ის ნაკვეთი, რომელსაც, ფაქტობრივად ისინი ბატონყმობის გაუქმებამდე ფლობდნენ.

ბატონყმობის გაუქმებასთან დაკავშირებით თავისი აზრი გამოთქვა ილია ჭავჭავაძემაც. მან 1864 წელს სხვისი (ნიკო ჭავჭავაძის სახელით) დაწერა ,,კრიტიკული შენიშვნები'', რომელშიც ილია აღნიშნავდა, რომ აუცილებელი იყო გლეხებისათვის მიწის საკუთრებაში დატოვება. ის მთელი კატეგორიულობით მოითხოვდა გლეხთა და მემამულეთა შორის ყველა იმ ძაფის გაწყვეტას, რომელიც ყოფილ ბატონსა და ყმას ერთმანეთთან იძულებით დააკავშირებდა.

ბატონყმობის გაუქმება მთელ საქართველოში ერთდროულად არ მომხდარა. თბილისის გუბერნიაში (აღმოსავლეთ საქართველოში) ბატონყმობა 1864 წელს გაუქმდა, ქუთაისის გუბერნიაში (იმერეთი, რაჭა, გურია) _ 1865 წელს, სამეგრელოში _ 1867 წელს, აფხაზეთში _ 1870 წელს, სვანეთში _ 1871 წელს.

არსებული დებულებით საქართველოში მემამულისაგან მიწის გამოსყიდვა სავალდებულოდ არ იქნა მიჩნეული. დროებითმა ვალდებულებამ მუდმივი ხასიათი მიიღო და იგი კანონით მხოლოდ 1912 წელს გაუქმდა, თუმცა პრაქტიკულად 1917 წლამდე იარსება.

მიუხედავად ყოველივესა ბატონყმობის გაუქმება საქართველოში მაინც პროგრესული მოვლენა იყო.

XIX საუკუნის 60-70-იანი წლების რეფორმები

რუსეთის საიმპერატორო კარი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მარტო ბატონყმობის გაუქმება, რუსეთში მკვეთრ სოციალ-ეკონომიკურ აღმავლობას და კაპიტალიზმის განვითარებას ვერ უზრუნველყოფდა. ამიტომაც XIX ს-ის 60-70-იან წლებში განხორციელდა საერობო, სასამართლო, სასოფლო და საქალაქო მმართველობის რეფორმები.

საქართველოში გატარდა მხოლოდ სასოფლო მმართველობის, სასამართლო და საქალაქო რეფორმები.

<u>სასოფლო მმართველობის რეფორმა.</u> 1865 წელს საქართველოში გატარდა სოფლის მმართველობის რეფორმა. სოფლის მმართველობა განაგებდა სამეურნეო და ადმინისტრაციულ საქმეებს. ამ დაწესებულებაში გლეხების გარდა სოფლის მოსახლეობის სხვა ფენები (თავად-აზნაურობა, ვაჭრები და აშ.) მონაწილეობას ვერ ღებულობდნენ. სოფლის საზოგადოება აერთიანებდა ერთ დიდ ან რამოდენიმე პატარა სოფელს. ამ სოფლის მმართველობის უმაღლეს განმკარგულებელ ორგანოს სოფლის ყრილობა წარმოადგენდა, რომლის მუშაობაში ყოველი სასოფლო კომლის უფროსს ქონდა მონაწილეობის მიღების უფლება. სოფლის აღმასრულებელ ხელისუფლებას მისი ყრილობის მიერ არჩეული მამასახლისი წარმოადგენდა, რომლის მოადგილე (ნაცვალი) ძირითადად გადასახადების აკრეფით იყო დაკავებული. არჩეულ მამასახლისს გუბერნატორი ამტკიცებდა, რომელსაც მისი გადაყენების უფლებაც ჰქონდა. სოფლის ყრილობა ირჩევდა სოფლის მოსამართლეებსაც, რომელთაც უფლება ჰქონდათ გაერჩიათ გლეხთა სამოქალაქო საქმეები 100 მანეთის ღირებულების ფარგლებში. რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეების გარჩევას, ამის უფლება მათ არ ჰქონდათ.

სასამართლო რეფორმა. რეფორმის გატარებამდე რუსეთის სასამართლოებს ხელისუფლების მიერ თავად-აზნაურთა წრიდან დანიშნული პირები განაგებდნენ, ხოლო გამოძიებას პოლიციის მოხელენი ახორციელებდნენ. ამრიგად, სასამართლო მთლიანად ხელისუფლებასა და პოლიციაზე იყო დამოკიდებული.

1864 წელს რუსეთში სასამართლო რეფორმა გატარდა, რომლის მიხედვითაც დაწესდა ყველა წოდებისა და სოციალური ფენისათვის საერთო სასამართლო. სასამართლო გათავისუფლდა როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი და ადმინისტრაციული ხელისუფლების კონტროლისაგან. საქმის ძიება პოლიციელების ნაცვლად გადაეცათ სასამართლო გამომძიებლებს, რომლებსაც აუცილებლად უნდა ქონოდათ იურიდიული განათლება. რეფორმის თანახმად შემოღებული იქნა ღია სასმართლოები და საჯარო პროცესები, რაც დემოკრატიული ელემენტების ზრდაზე მეტყველებდა. მხარეებს შეეძლოთ თავიანთი ინტერესების დაცვა ადვოკატებისათვის მიენდოთ. ბრალმდებლად პროკურორი დაინიშნა. ამ რეფორმის დიდ პლიუსად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ დაწესდა მოსამართლეთა არჩევითობა, რომელსაც საბოლოო ვერდიქტი არ გამოჰქონდა. ეს ნაფიცი მსაჯულების პრეროგატივა იყო.

1868 წლიდან საქართველოში გატარდა სასამართლო რეფორმის შეკვეცილი ვარიანტი. გაუქმდა წოდებრივი სასამართლოები და დაწესდა ყველა ფენისა და სოციალური ჯგუფისათვის საერთო სასამართლო. საქართველოში არ შემოუღიათ მოსამართლეთა არჩევითობა და არ იქნა დამკვიდრებული ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. ეს კი ნიშნავდა იმას, რომ დამოუკიდებელი სასმართლოების ნაცვლად შეიქმნა ხელისუფლების ინტერესების დამცველი სასამართლოები.

საქალაქო მმართველობის რეფორმა. რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-ემ 1870 წელს ხელი მოაწერა უმაღლეს ბრძანებას, რომლის თანახმადაც იმპერიაში საქალაქო მმართველობის რეფორმა უნდა გატარებულიყო. საქალაქო თვითმმართველობაში (სათათბიროში) ქალაქის მოსახლეობა ირჩევდა ხმოსნებს (დეპუტატებს). სათათბირო თავისი წევრებიდან ირჩევდა გამგეობას, რომელსაც ქალაქის თავი თავმჯდომარეობდა. დიდ ქალაქებში ქალაქის თავს რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ამტკიცებდა. საქალაქო მეურნეობის ცალკეული დარგების ხელმძღვანელობისათვის სათათბირო ნიშნავდა მუდმივ ან დროებით კომისიებს. თვითმმართველობის ფუნქციებს განეკუთვნებოდა: ქალქის კომუნალური მეურნეობა, ქალაქის არქიტექტურა, ბაზრების კეთილმოწყობა, ჯანმრთელობის დაცვასა და განათლებაზე ზრუნვა, ადგილობრივი ვაჭრობა-მრეწველობის მეთვალყურეობა და სხვა. ამ სათათბიროს ყველა დადგენილებას გუბერნატორი ეცნობოდა. ამით ხელისუფლებას თვითმმართველობის გაკონტროლების საშუალება ეძლეოდა.

1874 წელს თბილისში ჩატარდა სათათბიროს ხმოსანთა (დეპუტატთა) არჩევნები. თბილისში სათათბიროში ოთხი წლის ვადით არჩეულ იქნა 75 ხმოსანი. 1875 წელს ჩატარდა ქუთაისის სათათბიროს არჩევნები, 1876 წელს _ გორისა და ახალციხის თვითმმართველოს არჩევნები, 1882 წელს _ ფოთის, 1888 წელს _ ბათუმის.

მიუხედავად მთელი რიგი ნაკლოვანებებისა საქალაქო მმართველობის რეფორმას მაინც დიდი მნიშვნელობა ქონდა.

საქართველოს ეკონომიკა XIX საუკუნის 60-90-იან წლებში

სოფლის მეურნეობა. სოფლად კაპიტალიზმის განვითარებას რამდენიმე მიზეზი აფერხებდა: 1. მიწის უდიდესი ნაწილი ისევ მემამულეების ხელში რჩებოდა, რომელთა

უმეტესობას არ ჰქონდა საშუალება ახლებური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენის და დაქირავებული შრომის გამოყენებისა. 2. გლეხები მართალია განთავისუფლდა ყმობისაგან, მაგრამ ის მცირე მიწის ნაკვეთი, რომელიც მას ერგო წილად არ აძლევდა საშუალებას დამოუკიდებლად მოეწყო მეურნეობა. 3. იმის გამო, რომ მრეწველობა საქართველოს ქალაქებში ძალიან დაბალი ტემპებით ვითარდებოდა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის დიდი რაოდენობით ქალაქის ბაზარზე გატანას აზრი ეკარგებოდა, ვინაიდან საქართველოს ქალაქების მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა დაბალი იყო.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ სოფლად დიდი სოციალური ცვლილებები მოხდა. მხოლოდ დიდი მიწების მქონე მემამულეებმა შესძლეს მომგებიანი მეურენეობის აწყობა. თავად-აზნაურობის უმეტესობა იმის გამო, რომ თავიანთ მიწაზე დიდი შემოსავალი ვერ მიიღეს ყიდდა ან ბანკში აგირავებდა მამულს. ქართველი თავად-აზნაურების მიწები, ძირითადად, სომხურმა ბურჟუაზიამ შეისყიდა. ქართველი გლეხებიც სამ ფენად დაიყო: უღარიბესი, საშუალო და მდიდარი.

XIX ს-ის 60-90-იან წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობაში წამყვანი ადგილი მარცვლეულ კულტურას ეკავა. ეს იყო პური (ძირითადად აღმოსავლეთ საქართველო) და სიმინდი (ძირითადად, დასავლეთ საქართველო). პური და სიმინდი ექსპორტზეც გადიოდა.

საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი მისდევდა მეღვინეობა-მევენახეობას. მევენახეობა განსაკუთრებით აღმავლობას განიცდიდა ქართლში, ხოლო მეღვინეობა _ კახეთში.

საქართველოს მთიან რაიონებში რადიციულად მისდევდნენ მეცხოველეობას. ამავე პერიოდში საქართველოში აღმავლობას განიცდიდა მეაბრეშუმეობა, მეთამბაქოეობა, მებოსტნეობა და მეხილეობა.

<u>მრეწველობა.</u> XIX საუკუნის 60-90-იან წლებში საქართველოში ნელ-ნელა მკვიდრდება კაპიტალისტური მანუფაქტურა და მსხვილი მანქანური წარმოება.

საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებას ხელი შეუწყო რკინიგზის მშენებლობამ. 1872 წელს დასრულდა რკინიგზის ხაზის მშენებლობა ფოთსა და თბილისს შორის. ხოლო 1883 წელს რკინიგზის ხაზით ერთმანეთს დაუკავშირდა თბილისი და ბაქო. იმავე წელს დასრულდა სამტრედია-ბათუმის სარკინიგზო მაგისტრალი. მალე ამიერკავკასიის მთავარ სარკინიგზო მაგისტრალს დაუკავშირდა ჭიათურა და ტყიბული.

XIX ს-ის 60-90-იან წლებში თბილისში მუშაობდა მექანიკური ქარხანა, თამბაქოსა და ფეხსაცმლის ფაბრიკები. თბილისის შემდეგ მნიშვნელოვანი სამრეწველო ცენტრი გახდა ბათუმი. რომლის ნავსადგურის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა იმის შემდეგ, რაც ბათუმი იქცა ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის ვაჭრობის უმნიშვნელოვანეს პუნქტად. ბათუმის მნიშვნელობას ზრდიდა აგრეთვე ბაქოს ნავთობის ექსპორტიც.

გაიზარდა ტყიბულის საბადოებში ქვანახშირის მოპოვება. 1879 წლიდან მანგანუმის ამოღება დაიწყო ჭიათურაში. რომლის ინიციატორიც გახლდათ ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე აკაკი წერეთელი.

თბილისის, ბათუმის, ტყიბულისა და ჭიათურის გარდა მრეწველობის განვითარების კვალობაზე აღმავლობას განიცდიდა ქუთაისი, თელავის, გორისა და ფოთის საქალაქო ცხოვრება.

ეროვნული მოძრაობა საქართველოში. XIX საუკუნის II ნახევარში

ეროვნული მოძრაობის პროგრამა. XIX ს-ის 60-იან წლებიდან საქართველოში ეროვნული მოძრაობის ახალი და დიდი ტალღა დაიწყო. მისი პროგრამა მდგომარეობდა შემდეგში: 1. ეროვნული მოძრაობა უნდა ყოფილიყო არა ლოკალური (რომელსაც ადგილი ქონდა XIX ს-ის I მეოთხედში), არამედ საერთო ქართული. მთავარი მიზანი იყო ქართველობისა და საქართველოს გადარჩენა. 2. ეროვნული მოძრაობის პროგრამას ქართველი ერი ეტაპობრივად უნდა მიეყვანა სახელმწიფოებრიობის აღდგენამდე.

ეროვნული მოძრაობის ბირთვს წარმოადგენდა ქართელი არისტოკრატია, რომელიც ყველა სოციალური ფენის და წოდების სულისკვეთებას გამოხატავდა. მათი აზრით, საერთო ქართული აჯანყება უახლოეს მომავალში არ უნდა დაწყებულიყო. ამისათვის საჭირო იყო ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარების შერჩევა. ეროვნული მოძრაობის ლიდერების მთავარ მიზანს წარმოადგენდა საქართველოში რუსეთის სამოცწლიანი კოლონიური პოლიტიკის დამღუპველი შედეგების ლიკვიდაცია.

XIX ს-ის 60-80-იანი წლების ეროვნული მოძრაობის აღიარებული ლიდერი გახლდათ ილია ჭავჭავაძე. ძირითადად სწორედ მისი შემუშავებული უნდა იყოს ამ პერიოდის ეროვნული მოძრაობის პროგრამაც საქართველოში. ილია ჭავჭავაძე თავგამოდებით იბრძოდა აღნიშნული ეროვნული მოძრაობის პროგრამის განსახორციელებლად. ამ საქმეში მისი თანამებრძოლნი იყვნენ: დიმიტრი ყიფიანი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და სხვები. ქართულ ისტორიოგრაფიაში მათ ,,სამოციანელებს'' და ,,თერგდალეულებს'' უწოდებენ, რომელნიც ასევე ,,პირველი დასის'' სახელწოდებითაც არიან ცნობილნი. შემდგომში მათ შეუერთდნენ სერგეი მესხი, ვაჟა ფშაველა და სხვები.

ეროვნული მოძრაობის ქართველი ლიდერები კარგად ხვდებოდნენ, რომ მთავარი იყო ქართული ეროვნული ცნობიერების აღორძინება, რომელსაც ცარისტულმა რუსეთმა დიდი დარტყმა მიაყენა. ეროვნული ცნობიერების აღორძინების უმთავრეს პირობად ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა ქართულ სინამდვილეში ქართული ენის დაბრუნება, ენის კანონიერი უფლებების აღდგენა და მისი სიწმინდის დაცვა. ილია ჭავჭავაძემ თავისი ეროვნულ-საპროგრამო დებულებებში მთავარი მოთხოვნები წამოაყენა. რომლებიც მისი სიტყვებით შემდეგნაირად ჟღერდა: ,,სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხი გავცეთ შთამომავლობას?''. ილია ჭავჭავაძის აზრით, ქართული ენის შენარჩუნება და მისი სიწმინდის დაცვა ქართველი ერის სამკვდრო-სასიცოცხლო, მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი იყო. იგი წერდა: `ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა. მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს''.

ქართული ეროვნული ცნობიერების აღორძინების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა განათლებას. მთავარი პრობლემა გახლდათ ის, რომ საქართველოს განათლების სისტემა რუსიფიკატორების ხელში იყო ჩავარდნილი. აქედან გამომდინარე, რეალურად საქართველოში დამკვიდრებული იყო რუსული სკოლები, რომლებშიც ქართველი ბავშვი ეროვნული ცნობიერების საზრდოს ვერ იპოვიდა. სწორედ ამ მიზნით 1879 წელს დაარსებული იქნა ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება'', რომლის მთავარი მიზანიც გახლდათ ქართული სკოლების გახსნა. საზოგადოების დაარსების ინიციატორები იყო: დიმიტრი ბაქრაძე, გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი და სხვები. 1885 წლიდან მოყოლებული საზოდაების უცვლელი თავმჯდომარე იყო ილია ჭავჭავაძე.

ქართული ეროვნული ცნობიერების აღორძინების საქმეში უზარმაზარი როლი ითამაშა იაკობ გოგებაშვილის ,,დედა-ენამ''. ამას დაემატა იაკობ გოგებაშვილის მიერ შექმნილი სახელმძღვანელოები ,,ქართული ენის ანბანი'' და ,,პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეებისათვის''.

ეროვნული ცნობიერების ერთგვარი ბალავარი გახლდათ საქართველოს XIX ს-ის 60-იანი წლების პრესაც. 1863 წელს ილია ჭავჭავაძემ დააარსა ჟურნალი ,,საქართველოს მოამბე'', რომელმაც მართალია სულ ერთი წელი იარსება, მაგრამ უზარმაზარი როლი ითამაშა ქართული ეროვნული ცნობიერების აღმავლობის საქმეში. ეროვნულ მოძრაობას დიდი ღვაწლი დასდო გაზეთმა ,,დროებამ''-აც (1866-1885 წწ.). 1877-1906 წლებში გამოდიოდა ,,ივერია'', რომელსაც ილია ჭავჭავაძე ედგა სათავეში. ,,ივერია'' ნამდვილი ეროვნული მოძრაობის და ეროვნული ცნობიერების გაღვივების ბირთვად იქცა იმ პერიოდის საქართველოში. ეროვნული მოძრაობის აღორძინებისათვის ასევე დიდი მნიშვნელობა ქონდა გაზეთ `კვალს'' (1893-1904 წწ.), ჟურნალ `მოამბეს'' (დაარსდა 1894 წელს), გაზეთ `ცნობის ფურცელს'' (1896-1906 წწ.).

ეროვნული აღორძინების საქმეში ასეთივე დიდი როლი ენიჭებოდა ქართულ თეატრს, რომელიც თავიდანვე ეროვნულ ნიადაგზე იდგა. 1850 წელს გიორგი ერისთავის მიერ დაარსებული პირველი ქართული თეატრი 1856 წელს დაიხურა. ის მხოლოდ 1879 წელს იქნა აღდგენილი. დრამატური თეატრი 1880 წელს ქუთაისშიც იქნა დაარსებული.

ეროვნული ცნობიერების გამოღვიძებისა და ეროვნული ღირსების აღდგენისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოს ისტორიის გაყალბების წინააღმდეგ ბრძოლას, რისი ბრწყინვალე ნიმუშიც გახლავთ ილია ჭავჭავაძის `აი ისტორია'' (1879 წ.), რომელიც მიმართულია რუსული ხალხოსნური მოძრაობის ცნობილი წარმომადგენლის ივანე ჯაბადარის წინააღმდეგ. ეს უკანსკნელი რუსეთის იმპერიალისტური მანქანის წისქვილზე ასხამდა წყალს და საქართველოს ისტორიას არაფრის ვარგისად (სამარცხვინოდ) აცხადებდა. ილია ჭავჭავაძემ სამართლიანად უარყო ივანე ჯაბადარის ყველა უსაფუძვლო ბრალდება. სომეხი და მათი თანამოაზრე მეცნიერების მხრიდან საქართველოს ისტორიის გაყალბების წინააღმდეგ მიმართულია ილია ჭავჭავაძის შესანიშნავი ნაშრომი `ქვათა ღაღადი'', რომელიც დღესაც მეცნიერული კრიტიკის უბადლო ნიმუშია.

XIX საუკუნის 60-იან წლებში კაპიტალისტური ურთიერთობების ჩასახვამ მძიმე დღეში ჩააგდო ქართული არისტოკრატია. ახალმა დროებამ ფულის დიდი საჭიროება წარმოშვა. არისტოკრატიის მხოლოდ მცირე ნაწილი ღებულობდა სახელმწიფოსაგან შემოსავალს, დიდი ნაწილი კი საკუთარი მიწის ნაკვეთებიდან აღებული თანხით საზრდოობდა. ხშირად უსახსროდ დარჩენილი ქართველი არისტოკრატია სომხური ბურჟუაზიისაგან ფულს სესხულობდა, შემდეგ კი ვალის დასაფარად კუთვნილ მიწას ყიდდა, რომლის მყიდველი, ძირითადად, ისევ სომეხი იყო. ასე იკარგებოდა ქართული მიწები და ის სომხების ხელში ვარდებოდა. ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამოაზრეებმა შესძლეს ეპოვნათ გამოსავალი ამ უმძიმესი სიტუაციიდან. მათ მიერ დაარსებული იქნა თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკები. თბილისის საადგილმამულო სათავადაზნაურო ბანკი გაიხსნა 1875 წელს, რომლის თავმჯდომარედ იქნა არჩეული ილია ჭავჭავაძე. თბილისა და ქუთაისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკებმა იხსნა ქართული მიწა გასხვისებისაგან. ამ ბანკების დაარსების შემდეგ ქართული არისტოკრატია მათ აკითხავდა ფულის სასესხებლად და თუ ფულის მსესხებელი ვალს ვერ დაუბრუნებდა მათ, მისი მამული ბანკის საკუთრება ხდებოდა და არა სომეხი

ბურჟუაზიისა. თანაც ბანკის საკუთრებაში გადასული მამული, მის ძველ მესაკუთრეს, ისევ შეეძლო დაებრუნებინა, მისი საფასურის გადახდის შემთხვევაში (ანუ მიწები არ იკარგებოდა).

ილია ჭავჭავაძისა და იმ პერიოდის ეროვნული ბირთვის წარმომადგენელთა მიერ შემუშავაბულ პროგრამაში აშკარად არ იყო გამოკვეთილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი. თუმც ილია ჭავჭავაძე `მგზავრის წერილების" (1861 წ.) გმირს, ლელთ ღუნიას, ათქმევინებს შემდეგ სიტყვებს: `ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს". როგორც ჩანს ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება იყო მათი პროგრამის საბოლოო მიზანი. მაგრამ იმ ეტაპისათვის, XIX საუკუნის 60-80-იან წლებში ეროვნული მოძრაობის მიზანი, მაინც იყო ქართველი ერის მომზადება სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის.

<u>ეროვნული მოძრაობის შიგნით გაჩენილი წინააღმდეგობა. მეორე დასი.</u> XIX ს-ის 60-იანი წლების ეროვნული მოძრაობის ბირთვში ძირითად საპროგრამო საკითხებთან დაკავშირებით არ არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა. ძირითადად, ამ დასის საპროგრამო დოკუმენტების შემუშავებაში თავიდანვე გამოირჩეოდა სამი მოღვაწე: ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი. თუმცა, ჩვენ ის არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს რითიმე ნაკლები იყოს სხვა თერგდალეულების (დიმიტრი ყიფიანი, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და სხვა) ღვაწლი ქართველი ერის წინაშე.

XIX ს-ის 70-იანი წლების დამდეგიდან სამოციანელთა საპროგრამო დებულებებში უკვე გარკვეული წინააღმდეგობები და აზრთა სხვადასხვაობები შეონიშნებოდა. ილია ჭავჭავაძეს აშკარად დაუპირისპირდა ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი, რომლებსაც სერგეი მესხიც მიემხრო. საპროგრამო დებულებებში შეუთანხმებლობა რამდენიმე საკითხმა გამოიწვია:

1. უთანხმოება თერგდალეულთა შორის დაიწყო ეროვნული მოძრაობის პროგამაში სოციალური საკითხის ასახვასთან დაკავშირებით. ილია ჭავჭავაძე თვლიდა, რომ თუკი მოხდებოდა ეროვნული მოძრაობის პროგრამაში სოციალური საკითხის ასახვა, ეს ზიანს მოუტანდა ზოგადად ქართულ ეროვნულ მოძრაობას. ზიანის მოტანა იმაში მდგომარეობდა, რომ ის გათიშავდა ერს და დააქუცმაცებდა მას. ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთელისა და სერგეი მესხის აზრით კი აუცილებელი იყო სოციალური პრობლემის გადაჭრისთვის ბრძოლა.

2. უთანხმოება თერგდალეულთა შორის ეროვნული ბურჟუაზიისა და მისი როლის განსაზღვრამაც განაპირობა. იმის გამო, რომ XIX ს-ის 60-იან წლებისათვის ქართული ეროვნული ბურძუაზია არ არსებობდა, ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, რომ ეროვნული ბურჟუაზია ვერ შეასრულებდა საქართველოში ისეთივე როლს, როგორსაც ასრულებდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი მიიჩნევდნენ, რომ ძალიან ახლო პერიოდში ქართული ეროვნული ბურჟუაზია გაძლიერდებოდა და მოსპობდა ძველ სოციალურ და ეკონომიკურ წყობას და გადამწყვეტ როლს ითამაშებდა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

3. თერგდალეულთა ბანაკში ვერ შეთანხმდნენ, თუ რომელი იქნებოდა მომავალში საქართველოსათვის სანიმუშო პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემა. ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი ყველაფერს დასავლეთ ევროპულს აღიარებდნენ. ილია ჭავჭავაძე კი ყოველგვარ შემოტანილ ღირებულებას ქართულთან მიმართებაში განიხილავდა.

ამრიგად, თერგდალეულთა წრეში ერთი საერთო აზრი ვერ იქნა შეჯერებული. ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი დაუპირისპირდნენ ილია ჭავჭავაძეს. 1894 წელს გიორგი წერეთელმა მათ ,,მეორე დასი'' უწოდა. ხოლო XIX ს-ის 60-იანი წლების დამდეგის მოღვაწეებს ,,პირველი დასი''.

ხალხოსნობა საქართველოში. ხალხოსნობა (ნაროდნიკობა) ჩაისახა რუსეთში. ის გახლდათ სოციალისტური იდეოლოგიის ერთ-ერთი მიმდინარეობა და მიზნად ისახავდა თანასწორთა საზოგადოების შექმნას. რუს ხალხოსნებს თანასწორობის მიღწევად მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობა და მიწის თანასწორი განაწილება მიაჩნდათ.

გამოჩენილი რუსი ხალხოსნები იყვნენ: მიხეილ ბაკუნინი, პეტრე ლავროვი, პეტრე ტკაჩოვი და სხვა. მათი აზრით რუსეთში უნდა მოსპობილიყო არსებული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სისტემა და უნდა დამყარებულიყო სოციალიზმი. ამისათვის ბრძოლის მთავარ საყრდენად გლეხობა მიაჩნდათ. რუსი ხალხოსნების აზრით გლეხი ბუნებით სოციალისტი იყო და მისთვის მისაღები იქნებოდა ხალხოსნების იდეები.

რუსი ხალხოსნები შეეცადნენ გლეხობის აჯანყებას, მაგრამ ვერ შეძლეს. 1874 წელს რუსმა ხალხოსნებმა ჩამოაყალიბეს ,,სრულიად რუსეთის სოციალ-რევოლუციური ორგანიზაცია'' (,,მოსკოველთა წრე''). ამ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდნენ ცნობილი რუსი ნაროდნიკები: ლიდია ფიგნერი, სოფია ბარდინა, ვერა ლუბატოვი და ქართველი ხალხოსნები: ივანე ჯაბადარი, მიხეილ ჩიკოიძე და ალექსანდრე ციციშვილი. მალე ამ ორგანოიზაციის თავკაცები დაიჭირეს და 1877 წელს პეტერბურგში გაასამართლეს.

რუსეთში მიმდინარე მოვლენების პარალელურად საქართველოშიც ჩნდება ხალხოსნური მოძრაობა, მაგრამ საქართველოში მან დიდი ,,პოპულარობა'' ვერ პოვა. ხალხოსნური ორგანიზაციები საქართველოში 1873-1874 წლებში შეიქმნა. ეს ორგანიზაცია ჩამოაყალიბა პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიული აკადემიის სტუდენტმა ისიდორე ქიქოძემ და სხვებმა (ივანე ჯაბადარი, რომანოზ ფავლენიშვილი და ეგნატე იოსელიანი) ხალხოსნებმა. საქართველოში გლეხობა გულგრილად შეხვდა ხალხოსნების პროპაგანდას და მათ მხარი არ დაუჭირა. 1876 წელს 80-ზე მეტი ხალხოსანი დააპატიმრეს საქართველოში. ამის შემდგ ხალხოსნურმა მოძრაობამ გაქანება ვერ პოვა საქართველოში.

საქართველო XIX საუკუნის 80-90-იან წლებში

იმპერატორ ალექსანდრე III-ეს რეაქციული კურსის გამოძახილი საქართველოში. 1881 წელს რუსმა ხალხოსნებმა მოკლეს ლიბერალური რეფორმების გამტარებელი იმპერატორი ალექსანდრე II. რუსეთის ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე III-ემ დაიწყო კონტრრეფორმების გატარება, რომელსაც მოყვა რეაქციული ხანა.

პოლიტიკური რეაქცია იმპერიის მთელი მასშტაბით წარიმართა. განსაკუთრებით დაიწყო შეტევა რევოლუციური და დემოკრატიული მოძრაობის მონაწილეთა მიმართ. ალექსანდრე III-ის რეაქციული კურსი გულისხმობდა დაბყრობილი ერებისადმი ჩაგვრის გაძლიერებას და რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებას. იმპერატორი შეეცადა გაეუქმებია ფინეთისა და პოლონეთის ავტონომია. 1882 წელს მან გააუქმა კავკასიის სამეფისნაცვლო და აღადგინა კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობა. ამით კავკასიამ დაკარგა ადმინისტრაციული ავტონომია. მთავარმართებელი შინაგან საქმეთა მინისტრს დაექვემდებარა. აღდგა გენერალ-გუბერნატორის თანამდებობა. თბილისისა დაქუთაისის გუერნიები პირდაპირ პეტერბუგს დაექვემდებარა. გუბერნიები დაიყო მაზრებად, რომელსაც ერთპიროვნულად განაგებდა მაზრის უფროსი. საპოლიციო-ადმინისტრაციული მმართველობის გაუმჯობესების მიზნით ქვეყანა დაიყო ნაწილებად (უჩასტკებად), რომელსაც სათავეში პრისტავი ანუ ბოქაული ჩაუდგა. საქართველოს

მთავარმართებლად 1882-1890 წლებში დაინიშნა გენერალი დუნდუკოვ-კორსაკოვი, რომელმაც საქართველოს ეგზარქოსად დანიშნა არქიეპისკოპოსი პავლე და სასწავლო ოლქის მზრუნველად იანოვსკი. აღნიშნული რუსი ჩინოვნიკები განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ქართველი ერის ზიზღით და მათი პოლიტიკური რეაქცია მიმართული იყო ძირითადად ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ.

მთავარი დარტყმა რუსეთის იმპერიალისტურმა ძალებმა მიიტანეს ქართულ ენაზე. ქართული ენის დევნა დაკავშირებულია კავკასიის სასწავლო ოლქის უფროსის კირილე იანოვსკის სახელთან. 1881 წელს იანოვსკის მიერ გაცემული ბრძანების თანახმად საქართველოში, ყველა ტიპის სკოლაში რუსული ენის შესწავლა უნდა დაეწყოთ პირველივე კლასებიდან. ქართული ენის სწავლება კი არასავალდებულოდ იქნა მიჩნეული. ქართული ენა, ფაქტობრივად გაიდევნა სკოლიდან.

იანოვსკის მზაკვრული გეგმის თანახმად მეგრული ანბანი შეადგინეს რუსულის საფუძველზე. დაიწყეს საღვთო წიგნების მეგრულად თარგმნა. განიზრახეს სამეგრელოს ეკლესიებში ღვთისმსახურება მეგრულ ენაზე ეწარმოებინათ. ამან აღაშფოთა მთელი ქართული საზოგადოებრიობა და განსაკუთრებით სამეგრელოს მოსახლეობა. აშკარა იყო, რომ ამ მზაკვრული გეგმის თანახმად რუსებს სურდათ საქართველოს კიდევ მეტად დაქუცმაცება, მაგრამ ქართველთა სწორი პოზიციების წყალობით ეს გეგმა ჩაეშალათ.

ქართული ეროვნული მოძრაობის ბირთვი წინ აღუდგა ქართული ენის დევნა-შევიწროების ცდებს. ამ ბრძოლას სათავეში ედგა ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვა.

XIX ს-ის II ნახევარში მძიმე ვითარება შეიქმნა აფხაზეთშიც. აფხაზი ხალხი რუსული კოლონიური რეჟიმის დამყარებას მედგარ წინააღმდეგობას უწევდა და მათ წინააღმდეგ ფართომაშტაბიანი შეიარაღებული აჯანყებებს აწყობდა 1821-1827; 1840-1842; 1866; 1877 წლებში, რომლებსაც რუსები მთელი სისასტიკით ახშობდნენ. აჯანყების სისხლში ჩახშობას თან სდევდა აფხაზთა იძულებითი მიგრაცია ოსმალეთის იმპერიაში. 1864 წელს კავკასიის მთიელი ხალხების დამარცხების შემეგ რუსეთის მთავრობა შეუდგა მთიელთა განდევნას მშობლიური მიწა-წყლიდან, განსაკუთრებით შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან. მაშინ აიძულეს ოსმალეთში გადასახლებულიყო ასობით ათასი ჩერქეზი, უბიხი, აფხაზი, დაღესტნელი და სხვა მთიელი. სამშობლოდან განდევნილებს `მუჰაჯირებს'' უწოდებდნენ, რაც არაბულად `გადასახლებულს'' ნიშნავს. 1864 წელს მუჰაჯირთა შორის აფხაზთა რაოდენოა 20 000 აღემატებოდა. დაახლოებით ამდენივე აფხაზი გადასახლდა ოსმალეთში 1866 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ, ხოლო 1877 წელს აჯანყების შემდეგ აფხაზეთი დატოვა კიდევ 30-40 ათასმა ადამიანმა. მთლიანეთში ოსმალეთში გადასახლებული აფხაზების საერთო რაოდენობა 80 000 გადააჭარბა. მართალია, 15 000 კაცი უკან გაბრუნდა, მაგრამ უმრავლესობა ოსმალეთში დარჩა.

ამრიგად, რუსეთის აფხაზეთში გაბატონებასა და აფხაზთა შეიარაღებული წინააღმდეგობის შედეგი იყო აფხაზი ხალხის დიდი ნაწილის სამშობლოდან გაძევება. XIX საუკუნის მუჰაჯირთა შთამომავლები დღეს ცხოვრობენ თურქეთში, სირიაში, იორდანიასა და სხვა ქვეყნებში, რომლებიც ადრე ოსმალეთის იმპერიაში შედიოდნენ.

აფხაზეთის დაცარიელებულ ადგილებში რუსეთის ხელისუფლება ასახლებდა კოლონისტებს: რუსებს, სომხებს, ბერძნებს, გერმანელებს და სხვა. რათა მათი სახით აქ მთავრობას ერთგული მოსახლეობა გაჩენილიყო.

ანტიქართული პოლიტიკის განხორციელებაში დიდი იყო საქართველოს ეგზარხოსის პავლეს და თბილისის მართლმადიდებელთა რუსული სემინარიის რექტორის დეკანოზი

ჩუდეცკის როლი. მათ მიერ სემინარიაში დამკვიდრებულმა ქართული ენისა და კულტურის დევნამ იქ მყოფ მოსწავლეთა პროტესტი გამოიწვია. სემინარელმა სილიბისტრო ჯიბლაძემ დეკანოზი ჩუდეცკი სცემა და აივნიდან გადაგდება დაუპირა. ჩუდეცკი მაშინ გადარჩა მაგრამ მისი ანტიქართული საქმიანობის გამო ის მოკლა სემინარიიდან გარიცხულმა იოსებ ლაღიაშვილმა. ამასთან დაკავშირებით საქართველოს ეგზარქოსმა პავლემ ხელისუფლების უმაღლეს პირთა თანდასწრებით წყევლით მოიხსენია ის წრე და გარემო სადაც იოსებ ლაღიაშვილისნაირი ადამიანები ჩნდებიან. იოსებ ლაღიაშვილის მშობელი გარემო და წრე ქართველი ერი და საქართველო იყო. გამოდიოდა, რომ საქართველოს ეგზარქოსი პავლე თავისივე სამწყსოს წყევლიდა. ქართველი ერის ღირსების დაცვა თავს დიმიტრი ყიფიანმა იდო და პავლეს მიწერილ წერილში მოუწოდა სასწრაფოდ დაეტოვებია საქართველო. ამას მოყვა ის, რომ 1886 წელს დიმიტრი ყიფიანი გადააყენეს ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშლის (წინამძღოლის) თანამდებობიდან და ქალაქ სტავროპოლში გადაასახლეს. ღრმად მოხუცი დიმიტრი ყიფიანი 1887 წელს სტავროპოლშივე იქნა მოკლული. მის მკვლელობაში ბრალი კავკასიის მთავარმართებელ დონდუკოვ-კორსაკოვს და საქართველოს ეგზარქოს პავლეს დასდეს. რუსეთის ხელისუფლებამ პავლეს საქართველოში დატოვება მიზანშეუწონლად ჩათვალა და ის 1887 წელსვე გაიყვანა აქედან.

ეროვნული მოძრაობა XIX საუკუნის 90-იან წლებში. ,,მესამე დასი”

XIX ს-ის 90-იანი წლების დამდეგიდან ქართული ეროვნული მოძრაობა ცალკეულ მიმდინარეობებად იშლება. ამ მიმდინარეობებიდან ყველაზე ძლიერი იყო ილია ჭავჭავაძის დასი (გაზეთ ,,ივერიის” ბანაკი). ისინი XIX ს-ის 60-იან წლებში შემუშავებული ეროვნული პროგრამის ერთგულნი რჩებოდნენ და ცდილობდნენ თავის ირგვლივ გაეერთიანებინათ მთელი ეროვნული მოძრაობა. მეორე მიმდინარეობას წარმოადგენდა ნიკო ნიკოლაძის თანამოაზრეები (ჟურნალ ,,მოამბის” ბანაკი). ნიკო ნიკოლაძე კვლავ ღმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ საქართველოს გადარჩენა ქართულ ეროვნულ ბურჟუაზიის გაძლიერებაზე იყო დამყარებული. ეროვნული მოძრაობის მესამე მიმდინარეობას წარმოადგენდა გიორგი წერეთელის თანამოაზრეები (გაზეთი ,,კვალის” ბანაკი). გიორგი წერეთელი თავიდანვე განიცდიდა სოციალისტური იდეოლოგიის ზეგავლენას. ის XIX ს-ის 90-იანი წლების დამდეგისათვის იწონებდა ნაციონალ-სოციალიზმის (ეროვნული სოციალიზმის) იდეებს. მისი აზრით, ქართველმა ერმა სოციალიზმის ინტერესებზე მაღლა უნდა დააყენოს ეროვნული ინტერესები, მაგრამ მის პარალელურად უნდა იქნას გადაწყვეტილი სოციალისტური პრობლემებიც.

ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარების პარალელურად დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და რუსეთში სულ უფრო მეტად მწვავდებოდა სოციალური საკითხი. მძიმე სოციალური და ეკონომიკური პირობები მუშებს აიძულებდა ემოქმედა თავისი ინტერესების დასაცავად. მუშათა მხრიდან ადგილი ჰქონდა სოციალური პროტესტის სხვა და სხვა ფორმებს (გაფიცვა, დემონსტრაცია და სხვა).

1848 წელს გამოქვეყნდა კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის საპროგრამო ხასიათის ბროშურა `კომუნისტური პარტიის მანიფესტი”. ამ ნაშრომმა საფუძველი ჩაუყარა სოციალიზმის ერთ-ერთ ძირითად მიმდინარეობას _ მარქსიზმს, რომელიც ჯერ ევროპაში გავრცელდა, შემდეგ რუსეთში. მარქსიზმის ძირითადი დოქტრინა იყო პროლეტარიატის (მუშათა კლასის) დიქტატურის დამყარება. მარქსის თეორიის მიხედვით, XIX ს-ის

კაპიტალისტური საზოგადოება შედგებოდა მჩაგვრელი და ჩაგრული კლასებისაგან. ჩაგრული კლასების ბრძოლას სათავეში უნდა ჩასდგომოდა მუშათა კლასი-პროლეტარიატი, რომელიც დაამხობდა ბურჟუაზიის ბატონობას, დაამყარებდა თავის დიქტატურას და დაამხობდა კაპიტალისტურ სისტემას. ამის შემდეგ პროლეტარიატის მეთაურობით შეიქმნებოდა უკლასო და თანასწორი საზოგადოება –კომუნიზმი. სოციალისტური მოძღვრების ერთ-ერთ მიმდინარეობას წარმოადგენდა სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგია.

1892-1893 წლებში მარქსისტულად განწყობილმა ქართველი ახალგაზრდების ჯგუფმა, ეგნატე ნინოშვილის, ნოე ჟორდანიას, ისიდორე რამიშვილის, სილიბისტრო ჯიბლაძის, ფილიპე მახარაძის, ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძის, ვლადიმერ დარჩიაშვილის და სხვათა შემადგენლობით შექმნეს პირველი სოციალურ-დემოკრატილი ორგანიზაცია საქართველოში. ახლადშექმნილ ორგანიზაციას მოგვიანებით ეწოდა ,,მესამე დასი'', რომლის წინამძღოლიც გახლდათ ნოე ჟორდანია. მათ შორის არ იყო ერთსულოვნება. მათი ნაწილი იზიარებდა ევროპის სოციალ-დემოკრატიულ იდეებს, ნაწილი კი რუსულს. დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიული იდეების მიმდევრები იყვნენ: ნოე ჟორდანია, ისიდორე რამიშვილი, ვლადიმერ დარჩიაშვილი და სხვ. მათი აზრით ბურჟუაზიული წყობილების ფარგლებში უნდა გატარებულიყო რეფორმა და უნდა გაუმჯობესებულიყო მოსახლეობის უმრავლესობის (საშუალო ფენის) მდგომარეობა. ისინი წინააღმდეგი იყვნენ რევოლუციის გზით ბურჟუაზიული წყობილების დამხობისა და სოციალისტურის დამყარებისა. რუსული სოციალ დემოკრატიული იდეოლოგიის მიმდევარი საქართველოში ძირითადად გახლდათ მიხა ცხაკაია. რომელიც გადაჭრით მოითხოვდა რევოლუციის გზით ბურჟუაზიული წყობილების მოსპობას. სერიოზული განსხვავება იყო დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიისა და რუსული სოციალ-დემოკრატიული იდეების მიმდვრებს შორის საქართველოში _ ნოე ჟორდანია და მისი თანამოაზრენი დიდ ყურადღებას უთმობდნენ ეროვნულ საკითხს და ხაზს უსვამდნენ ქართველი ერის თავისუფლებას. მიხა ცხაკაია და მისი მიმდევრები კი იმთავითვე კოსმოპოლიტურ პოზიციებზე იდგნენ და საერთოდ უგულველყოფდნენ ეროვნულ პრობლემებს. მათთვის სოციალიზმის იდეები იყო უმთავრესი და არა ქართველი ერის სატკივარი.

ლექცია #XIV

საქართველო XX საუკუნის პირველ ნახევარში

პოლიტიკური პარტიები 1900-1917 წლების საქართველოში

<u>სოციალ-დემოკრატიული პარტია.</u> საქართველოს სოციალ-დემოკრატების პირველი საჯარო გამოსვლა მოხდა 1894 წლის 8 მაისს, ეგნატე ნინოშვილის დაკრძალვაზე. XX ს-ის დასაწყისამდე საქართველოში სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას დამოუკიდებელი ხასიათი ჰქონდა. 1900 წლიდან კი განსაკუთრებით გაძლიერდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის გავლენა. რუსი სოციალ-დემოკრატები ცდილობდნენ შეექმნათ ერთიანი სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელშიც გაერთიანდებოდნენ იმპერიის ხალხების მარქსისტული ორგანიზაციები.

1903 წელს ლონდონში ჩატარდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) II ყრილობა. მისმა გადაწყვეტილებებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს საქართველოს სოციალ-დემოკრატებზე. 1903 წლიდან რუსეთისა და საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში ორი ფრაქცია ჩამოყალიბდა: ბოლშევიკები და მენშევიკები. რუსი და მათი გავლენის ქართველი მარქსისტებიც, რომლებიც ამიერიდან რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შედიოდნენ, ეროვნული თავისუფლების საკითხს მეორეხარისხოვან პრობლემად მიიჩნევდნენ და უარყოფდნენ ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის აუცილებლობას.

სოციალ-ფედერალისტთა პარტია. ეს პარტია შეიქმნა 1904 წელს. 1903-1905 წლებში `ფედერალისტები'' პარიზში გამოსცემდნენ ქართულ-ფრანგულ გაზეთს `საქართველო''.

1905 წლის შემოდგომაზე საზღვარგარეთ მცხოვრებმა ქართველმა ფედერალისტებმა შეიძინეს ჰოლანდიური გემი `სირიუსი'' და 7 000 თოფით დატვირთული საქართველოსაკენ საიდუმლოდ გამოამგზავრეს. გემის ეკიპაჟი ფრანგი და ჰოლანდიელი ანარქისტებისაგან შედგებოდა. გემი იმავე წლის ნოებერში ფოთს მოადგა. იარაღის ნაწილი პოლიციას ჩაუვარდა ხელში, მაგრამ მისი დიდი ნაწილი ფედერალისტებმა მათ თანამოაზრე მოსახლეობას დაურიგა. 1906 წელს ფედერალისტები თავს დაესხნენ დუშეთის მაზრის ხაზინას და გაიტაცეს 315 000 მანეთი. ფედერალისტთა მთავარი კომიტეტის გადაწყვეტილებით მოეწყო თავდასხმა თბილისის პოლიციის უფროსზე. იგი დაიჭრა, ხოლო თავდამსხმელი ლევან ხერხეულიძე კაზაკებმა ხმლებით აკუწეს.

სოციალ-ფედერალისტთა ორგანიზაცია იყო პირველი ეროვნული მიმართულების პოლიტიკური პარტია საქართველოში. ამ პარტიამ თავის რიგებში გააერთიანა სხვა პატრიოტული მიმდინარეობებიც: ანარქისტები, ეროვნულ-დემოკრატები. ამავე დროს თავის გარშემო დარაზმა ქართული ინტელიგენციის დიდი ნაწილი. 1907 წელს გამართულ სოციალ-ფედერალისტთა პარტიის III კონფერენციის დროს ანარქისტებმა მიიღეს გადაწყვეტილება, გასულიყვნენ ბლოკიდან. ამ კონფერენციამ მიიღო სოციალ-ფედერალისტთა პარტიის პროგრამა, ხოლო კონფერენციას `დამფუძნებელი'' ეწოდა.

ესერთა (სოციალ-რევოლუციონერთა) ორგანიზაციები საქართველოში. რუსეთის სოციალ-რევოლუციონერთა პარტიამ გააერთიანა ხალხოსნური ჯგუფები და ორგანიზაციები. ნეოხალხოსნური წრეების გაერთანებით 1901 წლიდან საქართველოში ჩამოყალიბდა ესერთა ორგანიზაცია. თუმც, ეს ორგანიზაცია არ ქცეულა რაიმე მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალად საქართველოში.

ანარქიზმი საქართველოში. ანარქიზმი გახლავთ ერთ-ერთი სოციალისტური მიმდინარეობა. მისი მთავარი იდეოლოგია სახელმწიფოს უარყოფაა. სახელმწიფოს მოსპობა ანარქისტებს სოციალიზმის დამყარების აუცილებელ პირობად მიაჩნიათ. ანარქიზმი საქართველოში ევროპაში ემიგრაციაში მყოფმა ქართველმა ანარქისტებმა შემოიტანეს. ესენი გახლდათ : ვარლამ ჩერქეზიშვილი, კომანდო (გიორგი) გოგელია და მიხაკო წერეთელი. ანარქიზმს საქართველოში დიდი გამოძახილი არ ქონია.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის თანმიმდევრულად იღწვოდა ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობა, რომლის პოლიტიკურ პარტიად გაფორმებაც მოგვიანებით, 1917 წლის ივნისში მოხდა. ეს იყო ეროვნული მიმართულების ორგანიზაცია, რომელიც ილია ჭავჭავაძის იდეურ მემკვიდრედ მიიჩნევდა თავს. პარტიის შექმნის პროცესში თვით ილია ჭავჭავაძეც იღებდა მონაწილეობას.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა დაემყარა სამ ძირითად დებულებას. პირველი იყო ეროვნული სუვერენობის იდეა, მეორე _ სოციალური ცხოვრების კერძო საკუთრების ნიადაგზე შენება და მესამე _ სახელმწიფოებრივი წყობის აგება მთელი ერის, მთელი ხალხის უფლება-მოვალეობათა თანასწორობის საფუძველზე''.

რუსეთის იმპერიაში 1905-1907 წწ-ში მიმდინარე ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ მძლავრად შეარყია მონარქია, მაგრამ ვერ შესძლო მისი დამხობა. მიუხედავად ამისა, იმპერატორი ნიკოლოზ II იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. 1905 წლის 17 ოქტომბერს მან გამოსცა მანიფესტი, რომლის შედეგად იმპერიის ფარგლებში დაუშვეს დემოკრატიული თავისუფლებები: კრების, პოლიტიკური პარტიების, სინდისის,

პიროვნების ხელშეუხებლობის, სიტყვის. გამოცხადდა რუსეთის პალამენტის _ სახელმწიფო სათათბიროს (დუმის) არჩევნები. რუსეთი, ფაქტობრივად, კონსტიტუციური მონარქიის გზას დაადგა. რუსეთის ხელისუფლება მკაცრად გაუსწორდა რევოლუციური და ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს. საქართველოში მიმდინარე რეპრესიების, არეულობის, ტერორისა და სამოქალაქო დაპირისპირების ერთ-ერთი მსხვერპლი აღმოჩნდა დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწე და ეროვნული მოძრაობის აღიარებული წინამძღოლი ილია ჭავჭავაძე. 1907 წლის 30 აგვისტოს ილია სოფელ წიწამურთან მოკლეს. მისმა მკვლელობამ უფრო მიზანდასახული და გამოკვეთილი გახადა ეროვნული სახელმწიფოს აღდგენისათვის ბრძოლა საქართველოში.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე ვერსია. პირველი ვერსიის თანახმად ილიას მკვლელობა განხორციელდა რუსეთის იმპერიის ჟანდარმერიის მიერ. ამ ვერსიას განსაკუთრებისთ უჭერდა მხარს ქართველი სოციალ-დემოკრატები. მეორე ვერსიის თანახმად მკვლელობის ორგანიზებაში მონაწილეობა მიიღეს სოციალ-დემოკრატებმა, რომლებიც ილიას მის სიცოცხლეშივე ებრძოდნენ გაზეთ ,,მოგზაურის'' ფურცლებზე.

<u>ჰააგის II საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენცია.</u> ჰააგის I და II საერთაშორისო კონფერენციები გაიმართა 1899 და 1907 წლებში რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ II (1894-1918 წწ.) ინიციატივით. მათი მიზანი იყო: მსოფლიოში მშვიდობის დამყარება. II კონფერენცია მუშაუბდა 1907 წლის 15 ივნისიდან 18 ოქტომბრამდე. მასში მონაწილეობდა 44 ქვეყანა. ქართველმა პატრიოტებმა გადაწყვიტეს სპეციალური პეტიციით მიემართათ კონფერენციისათვის. ვარლამ ჩერქეზიშვილმა, გიორგი გვაზავამ და მიხაკო წერეთელმა მოამზადეს პეტიციის ტექსტი, რომელსაც ეწოდებოდა `საქართველოს ხალხის მემორანდუმი''. მას ხელს აწერდა 2000 ქართველი (პოლიტიკოსები, საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, ხელოვანნი, მეცნიერები, მუშები, გლეხები). იმ დროს ინგლისში შეიქმნა `საქართველოს დახმარების ინგლისური კომიტეტი'', რომლის მეშვეობითაც `მემორანდუმი'' გადაეცა ჰააგის საერთაშორისო კონფერენციას.

`საქართველოს ხალხის მემორანდუმის'' თანახმად, 1783 წელს საქართველოსა და რუსეთს შორის დაიდო საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც რუსეთი უნდა დახმარებოდა საქართველოს. სანაცვლოდ, რუსეთმა დაიპყრო და გააუქმა ქართული სახელმწიფო, რითაც დაარღვია საერთაშორისო სამართალი. ქართველები ევროპელებს სთხოვდნენ დახმარებას დარღვეული სამართლიანობის აღდგენაში.

`საქართველოს ხალხის მემორანდუმის'' ტექსტი დასავლეთი ევროპისა და აშშ-ს წამყვანმა გაზეთებმა სწორედ იმ დღეს გამოაქვეყნეს, როცა ჰააგის სამშვიდობო კონფერენცია გაიხსნა. სამწუხაროდ, ევროპული სახელმწიფოები მოერიდნენ რუსეთის სახელმწიფოს გაღიზიანებას, რის გამოც `მემორანდუმი'' სამშვიდობო კონფერენციის დღის წესრიგში არ შეუტანიათ. მიუხედავად ამისა აღნიშნულმა დოკომენტმა საფუძველი ჩაუყარა ქართული სახელმწიფოს აღდგენისათვის სამართლებრივ ბრძოლას ევროპაში. ეს პროცესი შემდგომ წლებშიც გაგრძელდა.

<u>რუსეთის 1905 წლის რევოლუცია.</u> XX ს-ის დამდეგიდან რუსეთში სულ უფრო მწვავედ იდგა სოციალ-ეკონომიკური პრობლემები. მსგავსი პრობლემები საქართველოშიც შეინიშნებოდა, რომლის გამოძახილიც იყო მუშათა გამოსვლები თბილისსა და ბათუმში და აგრარული მოძრაობა გურიაში. ვითარება კიდევ უფრო დაძაბა 1904 წელს დაწყებულმა რუსეთ-იაპონიის ომმა. ამ ომში რუსეთისათვის წარუმატებელმა საომარმა მოქმედებებმა საბოლოოდ შეარყია ხელისუფლების ავტორიტეტი რუსეთში.

1905 წლის 9 იანვარს, კვირას, პეტერბურგში მოეწყო მუშათა მრავალათასიანი მშვიდობიანი დემონსტრაცია. დემონსტრანტებს სურდათ პეტიცია წარედგინათ იმპერატორისათვის. ხელისუფლების ბრძანებით პოლიციამ და ჯარმა ცეცხლი გახსნა. ,,სისხლიანმა კვირამ'' რუსეთის საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი დარწმუნდნენ, რომ იმპერიაში ყველა უსამართლობის სათავე მონარქია იყო. რუსეთში დაიწყო რევოლუცია, რომელმაც გამოხმაურება ჰპოვა საქართველოშიც. 1905 წლის იანვარში გაიფიცა თბილისის ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოს მუშები. დემონსტრანტები მოითხოვდნენ მონარქიის დამხობას. თბილისის მოვლენებმა გამოხმაურება პოვა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში: ქუთაისი, ფოთი, ტყიბული, შორაპანი, ჭიათურა. საქართველოში უფრო რადიკალური იყო გლეხთა გამოსვლები. განსაკუთრებით გაძლიერდა ეს მოძრაობა გურიაში. რევოლუციის დასაწყისშივე ოზურგეთის მაზრაში შეიქმნა გლეხთა რევოლუციური კომიტეტები, რომლებიც აუქმებდნენ სოფლის ადმინისტრაციულ დაწესებულებებს და თვითონ ანხორციელებდნენ რევოლუციის პრინციპებს. კავკასიის ადმინისტრაციამ გურიაში გაგზავნა დამსჯელი რაზმი ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით. მთელი საქართველო წინ აღუდგა ამ გადაწყვეტილებას და კავკასიის ადმინისტრაციამ თავი შეიკავა სამხედრო რეპრესიებისაგან.

1905 წლის გაზაფხულიდან რუსეთის საიმპერატორო კარმა გადაწყვიტა კავკასიაში დაწყებული რევოლუციური მოძრაობა როგორმე დაემშვიდებია და გარკვეულ დათმობებზე წავიდა. კერძოდ აღდგენილ იქნა კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობა. რომელსაც უფრო ფართო ადმინისტრაციული უფლებები მიენიჭა. კავკასიის ახალი მეფისნაცვალი, გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი დაპირდა კავკასიის ერებს, რომ გაატარებდა რეფორმებს. მაგრამ რევოლუცია კავკასიაში ვერც ამან შეაჩერა.

რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ II მოჩვენებით დათმობებზე წავიდა. მან 1905 წლის აგვისტოში ,,უმაღლესი მანიფესტით'' რუსეთის მოსახლეობას არჩევითი სათათბირო ორგანო უბოძა. ეს იყო ხელისუფლების მხრიდან გადადგმული მნივნელოვანი დათმობა, რომელიც სახელმწიფო სისტემის რეფორმების საწინდარი გახდებოდა. 1905 წლის აგვისტოს ბოლოს თბილისში გამგეობის დარბაზში აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით შეიკრიბა მრავალი ქართველი. ამ შეკრების ინიციატორებს სურდათ რუსეთში პარლამენტარიზმის დამკვიდრებისათვის მხარი დაეჭირათ, მაგრამ ბოლშევიკების მიერ შეგზავნილმა პროვოკატორებმა კრება ჩაშალეს. კრების მონაწილეებს მოუხდათ პოლიციასთან შეტაკება. დაიღუპა რამდენიმე ათეული კაცი და დაიჭრა უამრავი.

1905 წლის სექტემბერ-ოქტომბერი გახდა რუსეთის რევოლუციის პიკი. იმპერატორი ნიკოლოზ II იძულებული შეიქნა 1905 წლის 17 ოქტომბერს ხელი მოეწერა ,,სახელმწიფოებრივი წესრიგის სრულყოფის შესახებ'' მანიფესტისათვის. ამ მანიფესტით, ფაქტობრივად, დასრულდა აბსოლუტური მონარქიის ეპოქა რუსეთში. მანიფესტი ხალხს ანიჭებდა პიროვნების ხელშეუხებლობას, სინდისის, სიტყვის, კრების, კავშირების (ორგანიზაციების) შექმნის თავისუფლებას. საზოგადოების ყველა ფენას ქონდა უფლება მონაწილეობა მიეღო სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში. ხოლო სათათბიროს მოწონების გარეშე არც ერთი კანონი არ დამტკიცდებოდა. რუსეთის იმპერია, ფაქტობრივად, კონსტიტუციური მონარქიისაკენ მიმავალ გზას დაადგა.

1905 დეკემბერში მოსკოვში შეიარაღებული აჯანყება მოხდა. ეს იყო რევოლუციის კულმინაცია. აჯანყება დამარცხდა. მოსკოველთა მხარდასაჭერად 1905 წლის დეკემბერში

თბილისშიც მოეწყო გამოსვლები. 1906 წლის დასაწყისიდან რევოლუცია დაღმავლობის გზას დაადგა.

რევოლუციის პერიოდში საქართველოს ეროვნული მოძრაობის ბირთვში ჩაისახა საქართველოს ავტონომიის იდეა. რომელსაც მხარს უჭერდა ქართველი ინტელიგენცია, წვრილბურჟუაზიული ფენები, ლიბერალური თავადაზნაურობა და სხვა.

1905 წლის აპრილში მოეწყო თბილისის სათავადაზნაურო კრება, რომელმაც მხარი დაუჭირა საქართველოს ავტონომიის იდეას. 1906 წელს მოსკოვში მოწვეულ საეროზო და საქალაქო წარმომადგენელთა ბიუროზე სოხუმის ქალაქის თავმა ნიკოლოზ (ნიკო) თავდგირიძემ გააკეთა სპეციალური მოხსენება და აშკარად მოითხოვა საქართველოსთვის ავტონომიის მინიჭება, თუმც მას რაიმე რეალური შედეგები არ მოყოლია.

რუსეთის პირველი სათათბიროს არჩევნები მთელი იმპერიის მასშტაბით გაიმართა 1906 წელს. საქართველოში ჩატარებულ არჩევნებში დიდი გამარჯვება მოიპოვეს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა (მენშევიკებმა). საქართველოში არჩეული 8 დეპუტატიდან 5 იყო სოციალ-დემოკრატი. სათათბიროში აირჩიეს: ნოე ჟორდანია, ისიდორე რამიშვილი და სხვები. სათათბიროში არჩეულ იქნა სოციალ-ფედერალისტი იოსებ ბარათაშვილი.

პირველი სათათბირო ძლიერ ოპოზიციური გამოდგა და დეპუტატები პირდაპირ აკრიტიკებდნენ ხელისუფლებას, რამაც გამოიწვია ნიკოლოზ II-ეს განაწყენება და მან სახელმწიფო სათათბირო დათხოვნილად გამოაცხადა. დანიშნა ახალი სათათბიროს არჩევნები.

მეორე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები მიმდინარეობდა 1907 წელს. საქართველოდან არჩეულ 8 დეპუტატიდან ყველა სოციალ-დემოკრატი იყო. ესენი გახლდათ: ირაკლი წერეთელი, არჩილ ჯაფარიძე და სხვა.

ხელისუფლება ისევ უარყოფითად იყო განწყობილი სათათბიროს მიმართ და მის დასათხოვნად საბაბს ეძებდა. საბაბიც მალე გამოჩნდა. ჟანდარმერიას მიუვიდა ცნობა, რომ სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრები ფარულად ხვდებოდნენ პეტერბურგის გარნიზონის ჯარისკაცებს. ხელისუფლებამ იმ მოტივით, რომ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები ამზადებდნენ სახელმწიფო გადატრიალებას, 1907 წლის ივნისში დააპატიმრა სოციალ-დემოკრატები, მათ შორის ირაკლი წერეთელი და სხვა ქართველი დეპუტატები, რომლებიც ციმბირში იქნენ გადასახლებულნი. 1907 წლის 3 ივნისს ნიკოლოზ II-ემ სახელმწიფო სათათბირო ოფიციალურად დათხოვნილად გამოაცხადა. მეორე სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნასთან ერთად დასრულდა რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციაც.

საქართველო 1907-1917 წლებში

<u>პოლიტიკური დაძაბულობა 1907-1910 წლებში.</u> რუსეთის მესამე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები გაიმართა 1908 წელს. საქართველოდან დეპუტატებად არჩეული იქნენ: ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე (სოციალ-დემოკრატი), ევგენი გეგეჭკორი (სოციალ-დემოკრატი), პროკოფი შერვაშიძე (მონარქისტი).

ცარისტული რუსეთი მთელი სიმკაცრით გაუსწორდა 1905-1907 წლების რევოლუციის მონაწილეებს. რამოდენიმე ათასი კაცი სიკვდილით დასაჯეს და უამრავი ციხეებსა და გადასახლებებში დაიღუპა. მთელი იმპერიის მასშტაბით ამუშავდა სამხედრო-საველე სასამართლოები, რომლებიც ყოველგვარი სასამართლოსა და განაჩენის გარეშე სიკვდილით სჯიდა რევოლუციურ აქტიობაში ოდნავ ეჭვმიტანილებსაც კი. ანალოგიური

პროცესი იყო საქართველოშიც. თბილისსა და ქუთაისი გუბერნიებიდან მარტო 1907 წელს ყოველგვარი სასამართლოს გარეშე გადაასახლეს რამოდენიმე ათასი კაცი.

პოლიტიკური რეაქცია რევოლუციური მოძრაობის განადგურებასთან ერთად მიმართული იყო ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგაც. 1907 წლის 30 აგვისტოს, საიდუმლო ვითარებაში სოფელ წიწამურთან მოკლეს ქართველი ერის სულიერი მამა და ეროვნული მოძრაობის სულიერი მედროშე ილია ჭავჭავაძე. აღნიშნული შეთქმულება გახლდათ მთელი საქართველოსა და, ზოგადად, ქართველი ერის წინააღმდეგ მიმართული.

1910 წლიდან პოლიტიკურმა დაძაბულობამ ნელ-ნელა იკლო, თუმც ცარისტული რუსეთისათვის არასასურველი პოლიტიკური პარტიებისა და ცალკეული პირების დევნა ისევ გრძელდებოდა.

<u>სოციალურ-ეკონომიკური ვითარება 1907-1914 წლებში.</u> 1905-1907 წლების რევოლუციის დასრულების შემდეგაც რუსეთის საიმპერატორო კარი ძველ სოციალ-ეკონომიკურ სისტემას ხელუხლებლად ტოვებდა. არადა სოფლად პრობლემები ისევ სახეზე იყო. გლეხს უფლება არ ჰქონდა მის სარგებლობაში არსებული მიწა გაესხვისებინა, ხოლო იმის გამო, რომ მიწაზე სათემო საკუთრება ისევ დარჩა თემიდან წასვლის შემთხვევაში გლეხი მიწაზე ყოველგვარ უფლებას კარგავდა. ამ დროს გამოდის ასპარეზზე პეტრე სტოლიპინი. 1906-1910 წლებში შეიმუშავა კანონები, რომლის თანახმადაც სასოფლო თემი დაიშალა და ყოფილ თემში შემავალ ყოველ ოჯახს მის სარგებლობაში არსებული მიწა პირად საკუთრებად გაუფორმდა. რაც შეეხება საქართველოს, მას სტოლიპინის აგრარული რეფორმის ძირითადი ნაწილი არ შეხებია. 1912 წლის კანონით ქართველმა დროებით ვალდებულმა გლეხებმა მიიღეს უფლება თავიანთი მიწების გამოსყიდვისა. განსხავება ადრე მიღებულ კანონსა და ამ კანონს შორის ის იყო, რომ, ადრე მემამულის სურვილზე იყო გლეხის მიწის გამოსყიდვის საკითხი დამოკიდებული, ხოლო 1912 წლის კანონით ეს სავალდებულო გახდა.

საქართველოში გაძლირედა უცხოტომელთა ჩამოსახლება, რომელსაც მიზანმიმართული ხასიათი ქონდა. 1908-1915 წლებში საქართველოში ჩამოსახლდა 66 000 რუსი, რომლებმაც ასამდე რუსული დასახლება შექმნეს.

<u>საქართველოს საზოგადოება 1907-1914 წლებში.</u> 1905-1907 წლების რევოლუციის შემდეგ საქართველოში ყველაზე ძლიერ პოლიტიკურ ძალას სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) წარმოადგენდნენ, რომელთაგანაც გამოირჩეოდნენ: ნოე ჟორდანია, ისიდორე რამიშვილი, ნოე რამიშვილი, კარლო ჩხეიძე, ევგენი გეგეჭკორი და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ სათათბიროს ყველა არჩევნებში ეს პოლიტიკური მოძრაობა იმარჯვებდა.

საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, რომლის ლიდერებიც იყვნენ არჩილ ჯორჯაძე, გიორგი ლასხიშვილი და სხვა.

XIX ს-ის განმავლობაში ევროპელებმა თითქმის არაფერი იცოდნენ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ვითარება შეიცვალა 1903 წლიდან, როდესაც არჩილ ჯორჯაძემ და გიორგი დეკანოზიშვილმა პარიზში ქართულ და ფრანგულ ენებზე გამოსცეს გაზეთი `საქართველო”. ამ გაზეთმა ევროპულ საზოგადოებრიობას პირველად გააცნო ქართველი ხალხის მთავრი საზრუნავი _ როვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის მოთხოვნა. ამავდროულად, გაზეთმა მხარდაჭერისაკენ მოუწოდა ევროპელ პოლიტიკოსებსა და საზოგადო მოღვაწეებს. ქართულ-ფრანგული გაზეთის გამოსვლა და ქართველი ხალხის პოლიტიკურ მოთხოვნებს არა ერთი ცნობილი ფრანგი, იტალიელი,

ინგლისელი, რუსი და სხვა ეროვნების პოლიტიკოსი, მწერალი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე გამოეხმაურა და მიესალმა.

აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას მისდევდა ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობა. ამ მიმდინარეობაში აქტიურ როლს თამაშობდა იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, გიორგი გვაზავა და სხვა. ისინი შემოკრებილნი იყვნენ ჟურნალ `ერის~ გარშემო. 1912 წელს რევაზ გაბაშვილის ინიციატივით დაარსდა ჟურნალი ,,კლდე'', რომელშიც თავი მოიყარა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მომავალმა ბირთვმა.

პირველი მსოფლიო ომი და საქართველო

<u>პირველი მსოფლიო ომის დაწყების მიზეზები.</u> პირველი მსოფლიო ომი, რომელიც 1914-1918 წლებში მიმდინარეობდა, წარმოშვა დიდი სახელმწიფოების კოლონიური ინტერესების დაპირისპირებამ, მსოფლიოს ნედლეულისა და გასაღების ბაზრის გადანაწილებამ. მსოფლიო ამ ომამდე მიიყვანა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-იანი წლების შემდეგ დაგროვილმა უამრავმა მიზეზმა. მსოფლიოში დაიწყო სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების ჩამოყალიბება. სამხედრო-პოლიტიკური კავშირი გაფორმდა ავსტრია-უნგრეთსა და გერმანიას შორის, რომელსაც 1882 წელს იტალიაც შეუერთდა. ასე შეიქმნა ევროპაში პირველი სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, რომელსაც ,,სამთა კავშირს'' უწოდებენ. პარალელურად ყალიბდება მეორე სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანება (ინგლისი-საფრანგეთი და რუსეთი), რომელიც ,,ანტანტის'' სახელითაა ცნობილი. სამთა კავშირს შემდეგ თურქეთიც შეუერთდა.

პირველი მსოფლიო ომის უშუალო საბაბი გახლდათ სერბი გავრილო პრინციპის მიერ ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრისა და მისი ცოლის მკვლელობა, რასაც შედეგად მოყვა ,,ბოსნიის კრიზისი'' და ევროპაში ჯარების მობილიზაცია.

პირველი მსოფლიო ომი ელვისებური სისწრაფით გავრცელდა. ომში სულ 33 სახელმწიფო იღებდა მონაწილეობას. ისტორიაში აქამდე არნახული მასშტაბის სამხედრო დაპირისპირება 4 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. მან 10 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, 20 მილიონამდე კი დაინვალიდდა.

პირველი მსოფლიო ომი 1914 წლის ივლის-აგვისტოს მიჯნაზე დაიწყო. 1915 წლიდან ,,სამთა კავშირის'' (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, ბულგარეთი, ოსმალეთი) მონაწილე იტალია ანტანტისა და მისი მოკავშირეების (ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სერბია, საბერძნეთი) მხარეზე გადავიდა. ამ უკანასკნელს 1917 წელს აშშ-ც მიემხრო. სამაგიეროდ, გერმანიის სასარგებლოდ ომში ჩაებნენ ოსმალეთი და ბულგარეთი.

პირველი მსოფლიო ომი დაიწყო იმით, რომ 28 ივლისს ავსტრია-უნგრეთმა ომი გამოუცხადა სერბიას. ამას მოყვა 30 ივლისს ჯარების მობილიზაცია რუსეთში. საპასუხოდ 1 აგვისტოს გერმანიამ ომი გამოუცხადა რუსეთს. 2 აგვისტოს დაიწყო ჯარების მობილიზაცია საფრანგეთში. 3 აგვისტო _ გერმანიის ჯარები ნეიტრალურ ბელგიის ტერიტორიაზე შეიჭრენ. გერმანია ომს უცხადებს საფრანგეთს. 4 აგვისტს დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გაერთიანებული სამეფო ომს უცხადებს გერმანიას. 2 ნოემბერს ომში ჩაერთო ოსმალეთიც.

რაც შეეხება რუსეთის ხელისუფლებას მან თავის მრავალ მილიონიან არმიაში რუსებთან ერთად გაიწვია იმპერიის დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობაც. საქართველოდან ომის სხვადასხვა ფრონტებზე მობილიზებულ იქნა 200 000-მდე ოფიცერი და ჯარისკაცი.

ამით არ ამოწურულა საქართველოს მონაწილეობა პირველ მსოფლიო ომში. 1914 წლის ოქტომბერში ოსმალეთი თავს დაესხა რუსეთის შავიზღვისპირა ნავსადგურებს, რის საპასუხოდაც რუსეთმა იმავე წლის 2 ნოემბერს ომი გამოუცხადა ოსმალეთს. საქართველო რუსეთ-ოსმალეთის ფრონტისპირა ქვეყნად იქცა, რამაც დამატებითი სიძნელეები შეუქმნა ქვეყნის მოსახლეობას. ომის ერთ-ერთი ეპიზოდის დროს ოსმალეთის არმიის ნაწილები ბათუმის სანაპირო რაიონებშიც კი შეიჭრენ. საფრთხემ მას შემდეგ გადაიარა, რაც რუსეთის ჯარმა 1914 წლის დეკემბერში სარიყამიშის ბრძოლებში დაამარცხა ოსმალეთის მესამე არმია. 1915-1916 წლებში რუსეთ-ოსმალეთის ფრონტზე მიმდინარე ბრძოლები პოზიციურ ხასიათს ატარებდა. ორივე მხარე ერიდებოდა შეტევით ოპერაციებს და ცდილობდა შეენარჩუნებინა დაკავებული პოზიციები.

<u>საქართველოს საზოგადოება და ეროვნული მოძრაობა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში.</u> საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი უარყოფითად იყო განწყობილი მიმდინარე ომის მიმართ, რომელსაც ქვეყნისთვის ნგრევა და დიდი ადამიანური მსხვერპლი მოჰქონდა. ამავე დროს საქართველოს საზოგადოებისა და ეროვნული მოძრაობის ერთმა ნაწილმა სცადა მიმდინარე ომის ქვეყნის ინტერესებისთვის გამოყენება. პატრიოტული ძალები ფიქრობდნენ, რომ თუ რუსეთის მოწინააღმდეგე გერმანიას დაუკავშირდებოდნენ, მისი დახმარებით მიაღწევდნენ რუსეთის იმპერიისგან საქართველოს განთავისუფლებას. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი აშკარად თუ ფარულად მხარს უჭერდა გერმანიას.

საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიები რეპრესიების შიშით პროგერმანული ორიენტაციის დაკავებას მოერიდნენ და ანტანტის დაჯგუფების გამარჯვებას დაუჭირეს მხარი. ასე მოიქცნენ სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) და სოციალ-ფედერალისტები. უფრო პრინციპული პოზიცია დაიკავეს ევროპაში მყოფმა ქართველმა ეროვნულ-დემოკრატებმა. ესენი იყვნენ: პეტრე სურგულაზე, ლეო და გიორგი კერესელიძეები, ნესტორ მაღალაშვილი და სხვა. ეროვნულ-დემოკრატებმა ჟენევაში 1913 წელს ჩამოაყალიბეს ჯგუფი ,,თავისუფალი საქართველო'' და გამოსცეს ამავე სახელწოდების ჯურნალი. ამავე ჯგუფის აქტიური წევრები იყვნენ გიორგი მაჩაბელი და მიხეილ (მიხაკო) წერეთელი. 1914 წლის ოქტომბერში მათ ჟენევაში შექმნეს ,,საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი'', რომელიც შემდეგ გადავიდა ბერლინში. ორგანიზაციის მიზანი იყო: 1. საქართველოს დამოუკიდებლობის პროპაგანდა სამშობლოში; 2. იარაღის შემოტანა და გერმანიის სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერით საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა; 3. ქართული ლეგიონის ჩამოყალიბება საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მისი შემდგომი გამოყენების მიზნით; 4. საქართველოში მოღვაწე ქართული პოლიტიკური ძალების მისწრაფების გაცნობა;

1915 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნულმა კომიტეტმა გერმანიის მთავრობასა და მის მოკავშირე სახელმწიფოებთან გააფორმა ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების პირობებით გერმანია და მისი მოკავშირეები გამარჯვების შემთხვევაში ვალდებულებას კისრულობდნენ დახმარებოდნენ ქართველებს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, ხოლო თუ მიზანი მიღწეული იქნებოდა _ ეცნოთ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო და დაეცვათ მისი სუვერენიტეტი.

გერმანელებმა ნაკისრი ვალდებულებები პირნათლად შეასრულეს. მათ რამდენჯერმე შემოიტანეს იარაღი საქართველოში. დაეხმარნენ ქართველებს ეროვნული ლეგიონის შექმნაში, რომელსაც ოსმალეთის ტერიტორიიდან უნდა ებრძოლა რუსეთის არმიის წინააღმდეგ. 1917 წელს ნოე ჟორდანიას გადაეცა გერმანიის მიერ გამოყოფილი 15 ათასი

ოქროს მანეთი, რომელიც ეროვნული მოძრაობისათვის იყო განკუთვნილი. საერთოდ პირველი მსოფლიო ომის პერიოდში საქართველოში ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლა გაძლიერდა. მეორე მხრივ ომმა სამეურნეო-ეკონომიკური ნგრევა მოუტანა როგორც ევროპის ისე რუსეთის იმპერიის ხალხებსა და საქართველოს.

1915 წლის II ნახევარში ქუთაისში შედგა დამოუკიდებლობის კომიტეტის წარმომადგენლის გიორგი მაჩაბლის შეხვედრა-თათბირი საქართველოს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან. შეხვედრას ესწრებოდნენ: ნოე ჟორდანია, ევგენი გეგეჭკორი (სოციალ-დემოკრატები), გრიგოლ რცხილაძე, სამსონ ფირცხალავა (სოციალისტ-ფედერალისტი), რევაზ გაბაშვილი, შალვა ამირეჯიბი (ეროვნულ-დემოკრატები). განიხილეს საგარეო ორიენტაციის, რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შესაძლებლობის საკითხები.

ნოე ჟორდანიამ თათბირის დროს აღნიშნა შემდეგი: საგარეო ორიენტაციის საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ისევ ანტანტის მხარეს დავიჭერთ, ხოლო დამოუკიდებლობის კომიტეტი გერმანიის სამხედრო-პოლიტიკურ მხარდამჭერად დარჩეს, ,,ან ერთი გაგვიყვანს, ან მეორე''.

1916 წელს შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში გაიმართა ერთა მესამე კონგრესი. პირველი მსოფლიო ომის წლებში პოპულარული გახდა ერთა თვითგამორკვევის ლოზუნგი. გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და რუსეთის მსგავსი მრავალეროვანი სახელმწიფოების პირობებში ამ პრინციპის ცხოვრებაში გატარება ნიშნავდა სახელმწიფოში მცხოვრები ყველა ერის თანასწორუფლებიანობას, ავტონომიების შექმნას, მრავალეროვანი სახელმწიფოებიდან ცალკეული ერების გამოყოფასა და დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნას. კონგრესზე სიტყვით გამოვიდა მიხეილ წერეთელი, რომელმაც აღნიშნა, რომ საერთაშორისო სამართლის წესთა თანახმად და ისტორიული რეალობის გათვალისწინებით საქართველოს სრული უფლება აქვს აღიდგინოს ეროვნული დამოუკიდებლობა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-1921 წლებში

<u>რუსეთის მონარქიული იმპერიის დაცემა</u>. პირველი მსოფლიო ომის უკანასკნელ ეტაპზე 1917-1918 წლებში ევროპის პოლიტიკურ რუკაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა.

1917 წლის თებერვალ-მარტში რუსეთში დემოკრატიულმა რევოლუციამ გაიმარჯვა, რის შედეგადაც ტახტიდან გადადგა რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი ნიკოლოზ II რომანოვი. დემოკრატიული რუსეთის ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა დროებითი მთავრობა. რევოლუციამ ხელსაყრელი პირობები შექმნა იმპერიაში მცხოვრები დაპყრობილი ხალხების გათავისუფლებისათვის. გაუქმდა კავკასიის სამეფისნაცვლო. მხარის მართვა-გამგეობა დროებითმა მთავრობამ ჩააბარა ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს (ოზაკომს), რომელიც 8 თვის განმავლობაში ფუნქციონირებდა.

1917 წლის 7 ნოემბერს რუსეთში ბოლშევიკებმა ვლადიმერ ლენინის მეთაურობით განახორციელეს კონტრრევოლუცია და დაამხეს დროებითი მთავრობა.

საქართველოს გავლენიანმა პოლიტიკურმა ძალებმა (სოციალ-დემოკრატებმა, სოციალ-ფედერალისტებმა და ეროვნულ-დემოკრატებმა) არ ცნეს საბჭოთა რუსეთის მთავრობა. ცხადი იყო, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობა შეეცდებოდა თავისი ძალაუფლება გაევრცელებინა ამიერკავკასიაზეც. ამიტომაც ამიერკავკასიის პოლიტიკურმა ძალებმა დაასწრეს მათ და 1917 წლის 15 ნოემბერს ჩამოაყალიბეს ამიერკავკასიის

კომისარიატი. ამიერკავკასიის კომისარიატში გაერთიანდნენ: აკაკი ჩხენკელი, ევგენი გეგეჭკორი (თავმჯდომარე) და სხვა. ამრიგად, ამიერკავკასია ოფიციალურად გაემიჯნა საბჭოთა რუსეთს. ყველა პოლიტიკოსი დიდ იმედებს ამყარებდა არჩეულ დამფუძნებელ კრებაზე. სწამდათ, რომ ეს კრება ხელში აიღებდა ძალაუფლებას და ამით რუსეთი დემოკრატიისაკენ მიმავალ გზას დაადგებოდა, მაგრამ ეს იმედებიც არ გამართლდა და რუსეთის დამფუძნებელი კრება დათხოვნილ იქნა. ამის საპასუხოდ, 1918 წლის 10 თებერვალს ამიერკავკასიის კომისარიატმა მოიწვია ამიერკავკასიის სეიმი. იგი დაკომპლექტებულ იქნა რუსეთის დამფუძნებელი კრებისათვის არჩეული ამიერკავკასიელი დეპუტატებისაგან. სეიმის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე. ამიერკავკასიის სეიმმა მკაფიოდ გაუსვა ხაზი ამიერკავკასიის გამოყოფას საბჭოთა რუსეთისაგან, თუმც იურიდიულად ეს მოგვიანებით იქნა გაფორმებული.

<u>საქართველოს I ეროვნული ყრილობა.</u> 1917 წლის აპრილში საქართველოს პოლიტიკურმა პარტიებმა (ბოლშევიკურის გარდა) ჩამოაყალიბეს ,,ინტერპარტიული საბჭო", რომლის მიზანი იყო პარტიების შეთანხმებული მოქმედების უზრუნველყოფა. იმავე წლის 19 ნოემბერს თავადაზნაურობის საკრებულოს თავმა, კოტე აფხაზმა საჯაროდ განაცხადა, რომ თავადაზნაურობა მთელ თავის უძრავ-მოძრავ ქონებას, რომელიც მილიონობით მანეთს შეადგენდა, უსასყიდლოდ გადასცემდა საქართველოს საზოგადოებრიობას. ეს გახდა საბაბი საქართველოს I ეროვნული ყრილობის მოწვევისა. 1917 წლის 19 ნოემბერს სახაზინო თეატრში შეიკრიბა რჩეული საზოგადოება. ყველა არსებულ პარტიასა და (ბოლშევიკთა გამოკლებით) და საზოგადოებას წარმოადგენდა 324 დელეგატი. მოწვეულნი იყვნენ უცხოეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლები, ცნობილი ხელოვანები და მოღვაწეები. ,,ინტერპარტიული საბჭოს" სახელით შეკრება გახსნა ყრილობის მოწვევის ერთ-ერთმა ინიციატორმა აკაკი ჩხენკელმა. პირველმა ეროვნულმა ყრილობამ აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო, რომლის თავმჯდომარედაც არჩეულ იქნა ნოე ჟორდანია. ყრილობამ მოიწონა თავადაზნაურობის საკრებულოს გადაწყვეტილება. საქართველოს I-მა ეროვნულმა ყრილობამ დაადგინა შემდეგი: 1) საქართველო უნდა იყოს დამოუკიდებელი სახელმწიფო. 2) დაუყოვნებლივ იქნას გამორკვეული მეზობლებთან დამოკიდებულების ფორმები, 3) არჩეული იქმნას ეროვნული საბჭო 120 წევრის შემადგენლობის, რომელსაც ევალება სასწრაფოდ მოამზადოს ნიადაგი დამოუკიდებლობის გამოსაცხადებლად და სათანადო მომენტში იგი აღიაროს.

<u>საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა.</u> 1917 წლის რევოლუციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა იყო. 1811 წლიდან. მას შემდეგ რაც რუსეთის იმპერატორის ბრძანებით გაუქმდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და რუსეთში გადაასახლეს უკანასკნელი კათალიკოს-პატრიარქი ანტონ I-ი, საქართველოს ეკლსიას რუსი ეროვნების მღვდლები (ეგზარქოსები) განაგებდნენ, რომელთა უმეტესობას ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა საქართველოს ისტორიასა და კულტურაზე. 1917 წლის 12 მარტს წარმატებით დაგვირგვინდა მრავალწლიანი ბრძოლა ავტოკეფალიის აღსადგენად. ამ დღეს სვეტიცხოვლის ტაძარში თავი მოიყარა 10 000-მდე ადამიანმა _ სამღვდელოებამ, ხალხის წარმომადგენლებმა, საზოგადო მოღვაწეებმა და ინტელიგენციამ. წირვის შემდეგ, რომელიც ჩაატარა ეპისკოპოსმა ლეონიდემ, საჯაროდ გამოცხადდა ავტოკეფალიის აღდგენა, ხოლო 17 სექტემბერს სიონის ტაძარში შეკრებილმა სამღვდელოებამ საქართველოს

მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქად აირჩია კირიონი _ გამოჩენილი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე და სწავლული.

<u>საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.</u> სამხრეთი კავკასიის არც ერთ ქვეყანაში ბოლშევიკებს მნიშვნელოვანი გავლენა არ გააჩნდათ. საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ყველაზე ძლიერ პოლიტიკურ პარტიებს წარმოადგენდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები, სომეხი დაშნაკებისა და აზერბაიჯანელი მუსავატის პარტიები.

პირველ მსოფლიო ომში საბჭოთა რუსეთი დამარცხდა და 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში გერმანიასა და მის მოკავშირეებთან გააფორმა სეპარატისტული ზავი. ზოგადად ზავის პირობები საბჭოთა რუსეთისათვის ძალზე მძიმე იყო. ზავის ერთ-ერთი პირობის თანახმად, რუსეთი ოსმალეთის სასარგებლოდ თმობდა ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქებს.

ოსმალეთი მაშინვე შეუდგა ბრესტ-ლიტოვსკის ზავით მინიჭებული უფლებების რეალიზებას. ამიერკავკასიის კომისარიატი და სეიმი დიპლომატიური გზით შეეცადა კონფლიქტის მოგვარებას და გადაწყვიტა ოსმალეთთან ეწარმოებინა მოლაპარაკება. ასეთ ვითარებაში გაემართა ამიერკავკასიის დელეგაცია ტრაპიზონში. სეიმის მთავრობამ პროტესტი გამოთქვა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობების გამო, მაგრამ ოსმალების წინსვლა არ შეჩერებულა; იმავე წლის 1 აპრილს ისინი ბათუმში შევიდნენ, დაიკავეს ოზურგეთი, მესხეთი. მოვიდნენ თითქმის ბორჯომამდე. ოსმალების შეჩერება მხოლოდ მდინარე ჩოლოქზე გახდა შესაძლებელი, რადგან ამიერკავკასია ფორმალურად ჯერ კიდევ რუსეთის ნაწილად ითვლებოდა, მას არ შეეძლო საზავო მოლაპარაკების დამოუკიდებლად წარმოება. 1918 წლის 22 აპრილს სამხრეთ კავკასიამ ოფიციალურად გამოაცხადა დამოუკიდებლობა. შეიქმნა ახალი სახელმწიფო: ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა. ომი მეორე დღეს შეწყდა, ხოლო 28 აპრილს აკაკი ჩხენკელმა _ ამიერკავკასიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა მიიღო _ შეტყობინება, რომ ოსმალეთმა სცნო ამიერკავკასიის სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და აცნობა ეს თავის მოკავშირეებს.

სამი ქვეყნის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება არ იყო მყარი. ამ გაერთიანებას ხელს არ უწყობდა მაშინდელი საერთაშორისო ვითარებაც. სამხრეთ კავკასიაში გავლენის მოსაპოვებლად იბრძოდნენ გერმანია, ოსმალეთი და ანტანტის სახელმწიფოები. ასეთ ვითარებაში სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საგარეო ორიენტაცია ერთმანეთისაგან განსხვავებული აღმოჩნდა. აზერბაიჯანლები მხარს უჭერდნენ ოსმალეთს; სომხები ანტანტის ორიენტაციის პოზიციაზე დადგნენ, ხოლო ქართველები გერმანიის დახმარებით ფიქრობდნენ ოსმალეთის აგრესიის შეჩერებას. ოსმალეთი აღარ კმაყოფილდებოდა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობებით და დამატებით ითხოვდა რკინიგზის დათმობას. ამიერკავკასიის დელეგაციის პროტესტის საპასუხოდ ისინი ნელ-ნელა იკავებდნენ ახალ ტერიტორიებს. ქართველი ეროვნული ძალები ცდილობდნენ რთული მდგომარეობიდან გამოსავალი ეპოვნათ. საქართველოს მცირერიცხოვან შეიარაღებულ ძალებს არ შეეძლოთ წინააღმდეგობა გაეწიათ ოსმალეთის აგრესიისთვის. ამიტომ ქვეყნის ეროვნულ-პოლიტიკურმა ძალებმა გადაწყვიტეს ოსმალეთის წინააღმდეგ მისივე მოკავშირე გერმანია გამოეყენებინათ.

ბათუმში ოსმალეთსა და გერმანიას შორის გაიმართა მოლაპარაკება. ამ მოლაპარაკებაზე მყოფი აკაკი ჩხენკელი 1918 წლის 25 მაისს წერდა საქართველოს ეროვნულ საბჭოს: ,,დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომი გაჭიანურება გამოიწვევს გამოუსწორებელ

შედეგს. გერმანელების შუამავლობის ცდა არ გამოგვივიდა. დაგვრჩენია ერთი რამ: ოსმალეთის შემოტევას დავუპირისპიროთ საქართველოს დამოუკიდებლობა, რომელსაც მხარს უჭერს Gგერმანია.''

1918 წლის 25 მაისს გაიმართა ამიერკავკასიის სეიმის სხდომა, რომელზეც მიიღეს შემდეგი დადგენილება: ,,ვინაიდან ომისა და ზავის საკითხში აღმოჩნდა ძირითადი განსხვავებანი იმ ხალხებს შორის, რომელთაც შექმნეს ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკა და ამიტომ შეუძლებელი გახდა ერთი ავტორიტეტული ხელისუფლების გამოსვლა, რომელსაც შეეძლოს ამიერკავკასიის სახელით ლაპარაკი. სეიმი ადასტურებს ამირეკავკასიის დაშლას და თავის უფლებამოსილებას თავიდან იხსნის.''

ყოველივე ამის შემდეგ 1918 წლის 26 მაისს, კვირას, დღის 4 საათსა და 50 წუთზე, კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში გაიხსნა საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა, რომელსაც წარმართავდა საბჭოს თავმჯდომარე ნოე ჟორდანია. ნოე ჟორდანიამ შესავალი სიტყვის შემდეგ წაიკითხა ,,საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი'', რომლის ძალითაც ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა. დეკლარაციის ტექსტი გააცნეს სასახლესთან შეკრებილ უამრავ ხალხს. სიონის ტაძრის გუგუნით აღინიშნა 117 წლის შემდეგ ქვეყნის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის გამოცხადება.

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა ,,საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი'', რომლის მიღების შემდეგ ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი კოალიციური მთავრობის შემადგენლობა:

1. ნოე რამიშვილი _ მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი;
2. აკაკი ჩხენკელი _ საგარეო საქმეთა მინისტრი;
3. გრიგოლ გიორგაძე _ სამხედრო მინისტრი;
4. გიორგი ჟურული _ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი;
5. გიორგი ლასხიშვილი _ სახალხო განათლების მინისტრი;
6. ნოე ხომერიკი _ მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი;
7. შალვა მესხიშვილი _ იუსტიციის მინისტრი;
8. ივანე ლორთქიფანიძე _ გზათა მინისტრი;

საქართველოს ეროვნლი საბჭოს სხდომის დამთავრების შემდეგ მთავრობის თავმჯდომარემ ნოე რამიშვილმა მსოფლიოს სახელმწიფოთა მთავრობებს ტელეგრაფით ამცნო ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს _ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბება.

<u>საქართველო დემოკრატიული რეფორმების გზაზე.</u> დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქცია დაეკისრა ეროვნულ საბჭოს, რომლის თავმჯდომარედ ნოე ჟორდანიას ნაცვლად არცეულ იქნა ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე. დამტკიცებულ იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ნოე რამიშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც 1918 წლის ივნისში შეცვალა ნოე ჟორდანიამ. საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობა იქნა დაკომპლექტებული შემდეგი პირებისაგან: საგარეო საქმეთა მინისტრი _ აკაკი ჩხენკელი, სამხედრო საქმეთა მინისტრი _ გრიგოლ გიორგაძე, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი – გიორგი ჟურული, განათლების მინისტრი _ გიორგი ლასხიშვილი, მიწათმოქმედების მინისტრი _ ნოე ხომერიკი, იუსტიციის მინისტრი – შალვა ალექსი-მესხიშვილი, გზათა მინისტრი _ ივანე ლორთქიფანიძე.

ქვეყნის მთავრობა დაკომპლექტდა კოალიციური პრინციპით, რადგან მასში შედიოდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები: რვა მინისტრიდან ოთხი იყო სოციალ-დემოკრატი, ორი სოციალისტ-ფედერალისტი, ერთი ეროვნულ-დემოკრატი და ერთი სოციალისტ-რევოლუციონერი. 1918 წლის ოქტომბერში ეროვნულ საბჭოს ეწოდა საქართველოს პარლამენტი. 1919 წლის თებერვალში ჩატარდა დამოუკიდებელი საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს _ დამფუძნებელი კრების პირველი მრავალპარტიული არჩევნები. არჩევნებში მონაწილეობდა მოსახლეობის 60 %-ზე მეტი. ადგილები ასე გადანაწილდა: სოციალ-დემოკრატები _ 109, ეროვნულ-დემოკრატები _ 8, სოციალისტ-ფედერალისტები _ 8, სოციალისტ-რევოლუციონერები _ 5 ადგილი. დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა გაიმართა 1919 წლის 12 მარტს.

საქართველოს დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ 1918 წელს შეიმუშავა სახელმწიფო სიმბოლიკები (გერბი, დროშა, ჰიმნი). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშისა და გერბის ავტორები არიან იაკობ ნიკოლაძე და იოსებ შარლემანი. რომლებსაც კონსულტაცია გაუწია დიდმა ქართველმა მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილმა. დამფუძნებელთა კრებამ ორი წლის მუშაობის მანძილეზე მრავალი უმნიშვნელოვანესი კანონი მიიღო, რომლებმაც საფუძველი მოუმზადეს დემოკრატიულ რეფორმებს. მათ შორის აღსანიშნავია კანონები: მოქალაქეობის, ქართული ენის, შეიარაღებული ძალების შექმნისა, და სხვათა შესახებ.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, რომლის უმთავრესი საკითხი იყო ფულად-საფინანსო სისტემის გამართულად ფუნქციონირება. ამ მიზნით შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო ბანკი და მოიჭრა ქართული ფული (ბონი).

ქვეყანაში უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას წარმოადგენდა სასამართლო სისტემის რეფორმა. შეიქმნა საქართველოს უმაღლესი სასამართლო _ სენატი. საქართველო დაიყო ადმინისტრაციულ ერთეულებად: თბილისის გუბერნია შვიდ მაზრად, ქუთაისის გუბერნია შვიდ მაზრად, სოხუმის, ზაქათალასა და ბათუმის ოლქებად. ჩატარდა მაზრების (რაიონების) და ქალაქების თვითმმართველობების (ერობების) არჩევნები და ჩამოყალიბდა ადგილობრივი მმართველობის ორგანოები.

დიდი ყურადღება მიექცა ქვეყნის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას. 1918 წლის 26 იანვარს გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტი, რომელიც დამოუკიდებლობის პერიოდში სახელმწიფო უნივერსიტეტად გარდაიქმნა. ამავე პერიოდში გაიხსნა არაერთი ეროვნული სამეცნიერო, კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრი: საქართველოს მუზეუმი, სამხატვრო გალერეა, ცენტრალური სამეცნიერო არქივი. მიიღეს კანონი, რომელიც კრძალავდა საქართველოდან ხელოვნების ნიმუშებისა და ისტორიული მნიშვნელობის ნივთების გატანას.

უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახლდათ საქართველოს კონსტიტუციის მიღება, რომელიც საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა 1921 წლის 21 თებერვალს.

პირველი რესპუბლიკის მთავრობის საშინაო პოლიტიკა ორიენტირებული იყო ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესების დაცვაზე. იგი გულისხმობდა კერძო, სახელმწიფო და კოოპერატიული ეკონომიკური სექტორების თანაბარ განვითარებას. სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენების მდგომარეობის გაუმჯობესებას. მაგალითად, შექმნილი იყო ე.წ. სალიკვიდაციო კომისია, რომლის ნებართვის გარეშე არ შეიძლებოდა მუშა-მოსამსახურეების თვითნებური განთავისუფლება ან დათხოვნა; ფაბრიკა-ქარხნების ან

დაწესებულებების შემცირება-გაჩერება. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრარული რეფორმის გატარებას, რომლის განხორციელებაც რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა. დადგინდა, რომ ყოფილიყო სახაზინო, საიჯარო, საუფლისწულო, საეკლესიო და კერძო პირთა მიწები განსაზღვრული ნორმის ზემოთ _ გადასცემოდა მცირემიწიან ან უმიწო გლეხებს. 1919 წლის იანვარში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი ფერმერული მეურნეობის შექმის შესახებ.

განსაკუთრებული ზრუნვის საგანი გახდა მრეწველობის აღორძინება. ხელისუფლებამ სცადა უცხოური კაპიტალი მოეზიდა. თავდაპირველად გერმანულ კაპიტალზე აიღეს ორიენტაცია. 1918 წლის ზაფხულში სწორედ გერმანელების დახმარებით განახლდა ჭიათურის მანგანუმის ამოღება და ექსპორტი. იმისათვის, რომ მრეწველთა ინტერესები გათვალისწინებულიყო, მთავრობის დახმარებით შეიქმნა ქართულ-გერმანული სააქციო საზოგადოება. მას უნდა განეხორციელებინა მანგანუმის ექსპორტის მონოპოლიური უფლება. მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებისა და საქართველოდან წასვლის შემდეგ, ხელისუფლებამ მანგანუმის საწარმოების ნაციონალიზაცია გამოაცხადა. მისი ექპორტი სახელმწიფოს ხელში გადავიდა. ნაციონალიზებული იქნა აგრეთვე ტყიბულის ქვანახშირის საბადოები და სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები. მიუხედავად სერიოზული ცდებისა, დროის სიმცირისა და რთული გეოპოლიტიკური ვითარების გამო, ქვეყნის მრეწველობა-მეურნეობის აღმავლობის მიღწევა ვერ მოხერხდა.

<u>ბრძოლა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის.</u> საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას თავისი არსებობის პირველივე დღიდანვე მოუწია ბრძოლა ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის. საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის აგენტურა აღვივებდა საქართველოში (აფხაზეთი, სამცხე-საათაბაგო, აჭარა, საინგილო) სეპარატიზმს. ისინი ცდილობდნენ სეპარატისტული მოძრაობისათვის ხან ეთნიკური და ხან რელიგიური ხასიათი მიეცათ. სინამდვილეში ისინი საქართველოს ისტორიული ტერიტორიების დანაწევრებას ცდილობდნენ.

საბჭოთა რუსეთის წაქეზებით 1918 წლის მარტში აფხაზმა ბოლშევიკებმა მოითხოვეს აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება და მისი რუსეთთან შეერთება. აფხაზეთში საბჭოთა რუსეთიდან შევიდა წითელი არმია, რომელმაც დაიკავა სოხუმი. 1918 წლის მაისში საქართველოს სახალხო გვარდიამ ვალიკო ჯუღელის მეთაურობით დაამარცხა აფხაზი სეპარატისტები და მათ დასახმარებლად მოსული თურქეთის სადესანტო ნაწილები.

1918 წლის ივნისში საქართველოს მთავრობამ სპეციალური ხელშეკრულებით აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის ფუნქცია დააკისრა აფხაზეთის სახალხო საბჭოს. აფხაზი სეპარატისტებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა ეს ხელშეკრულება და მათ სრული დამოუკიდებლობა მოითხოვეს. მათ ეხმარებოდათ საბჭოთა რუსეთის წითელი არმიაც. ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა გენერალ გიორგი მაზნიაშვილის ხელმძღვანელობით 1918 წლის ივნის-ივლისში ზედიზედ დაიკავა ქალაქები: გაგრა, ადლერი, სოჭი, ტუაფსე. კიდევ ერთხელ დაამარცხა აფხაზური სეპარატიზმი. საქართველოს ტერიტორიების მიტაცებას აფხაზეთის მიმართულებით ცდილობდა როგორც ბოლშევიკური რუსეთი, ისე მის წინააღმდეგ მებრძოლი თეთრგვარდიელი ანტონ დენიკინი (1872-1947 წწ.). მალე საქართველოს თეთრგვარდიული რუსეთი დაუმეზობლდა და ახლა მან განიზრახა აფხაზეთის საქართველოსგან ჩამოცილება. საბოლოოდ რუსეთში მიმდინარე სამოქალაქო ომში დენიკინის არმია დამარცხდა.

ანალოგიური სეპარატისტული და ანტიქართული მოძრაობა მძვინვარებდა ცხინვალის რეგიონშიც. რუსი სეპარატისტები მოითხოვდნენ ე.წ. ,,სამხრეთ ოსეთის'' ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთებას. ოსმა სეპარატისტებმა დაიწყეს საქართველოს დემოკრატიული მთავრობის წინააღმდმეგ მიმართული პოლიტიკური და სამხედრო გამოსვლები. რასაც სრულიად სამართლიანად დაუპირისპირა ქართულმა სახელმწიფომ ეროვნული სახალხო გვარდია, რომელმაც 1918 წელს ჩაახშო ოს სეპარატისტთა ამბოხება. ოსს სეპარატისტთა გამოსვლები ამის შემდეგაც არ ჩამქრალა. 1920 წელს ისინი მოითხოვდნენ ე.წ. ,,სამხრეთ ოსეთის'' რუსეთის შემადგენლობაში შესვლას, ხოლო რაც შეეხება მთლიანად საქართველოს, ის რუსეთის შემადგენლობაში უნდა შესულიყო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების სახით. ქართული სახალხო გვარდიის სამხედრო მეთაურმა ვალიკო ჯუღელმა ეს აჯანყება იმავე 1920 წელს ჩაახშო.

საკმაოდ მძიმე მდგომარეობა იყო საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. 1918 წლის 26 მაისისათვის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი თურქების მიერ იყო ოკუპირებული. იმის შემდეგ, რაც პირველ მსოფლიო ომში თურქეთი დამარცხდა და 1918 წლის ოტომბერში მუდროსის ზავს მოაწერა ხელი, ის იძულებული შეიქმნა თავისი სამხედრო ჯარები გაეყვანა აჭარიდან, რომელსაც აქ 1918 წლის დეკემბერში ინგლისის ჯარები ჩაენაცვლა. ინგლისელთა საოკუპაციო რეჟიმი 1920 წლის ივნისამდე გაგრძელდა. ამ პერიოდის აჭარის ქართული ეროვნული ორიენტაციის ინტელიგენციის დარაზმაში დიდი როლი ითამაშა მემედ ბეგ აბაშიძემ, ასლან ბეგ აბაშიძემ, ზია ბეგ აბაშიძემ და სხვამ. მემედ ბეგ აბაშიძის ინიციატივით და მისი უშუალო წინამძღოლობით 1919 წლის 31 აგვისტოს ბათუმში შედგა ქართველ მაჰმადიანთა წარმომადგენლების ყრილობა, რომელმაც მიიღო შემდეგი დადგენილება: ,,ქალაქ ბათუმის ოლქის მკვიდრნი, სარწმუნოებით მუსლიმები, ისტორიით, სისხლითა და ხორცით, ენით, კულტურით და ადათებით ქართველები ვართ. მუსლიმი ქართველები და ტერიტორიულად და ეკონომიკურად ყოველთვის ჩვენი მხარე, დედასამშობლოს, საქართველოს განუყოფელ მხარეს შეადგენდა... გამოვთქვამთ შეურყეველ ნებისყოფას და მტკიცე გადაწყვეტილებას: ამიერიდან და სამარადისოდ ბათუმი და ბათუმის ოლქი შეუერთდეს თავის ბუნებრივ სამშობლოს საქართველოს რესპუბლიკას სამუსლიმანო საქართველოს ფართო ავტონომიის ნიადაგზე...''

საქართველოს საშინაო საქმეების დაძაბულობის ფონზე 1918 წლის 7 დეკემბერს სომხეთის ჯარებმა ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე დაიკავეს სანაინისა და ალავერდის ტერიტორიები, მოშალეს რკინიგზის ხაზები, ხოლო სომხეთის მთავრობამ საქართველოს მთავრობას მოსთხოვა ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრებიდან ჯარების გაყვანა. საქართველოს პარლამენტმა იმავე წლის 17 დეკემბრის სხდომაზე მიიღო დადგენილება აღეკვეთა სომხეთის აგრესიული ქმედებანი. 19 დეკემბერს საქართველოს სახალხო გვარდიასა და არმიასათან შეტაკებაში სომხეთის არმია დამარცხდა და უკან დაიხია. ინგლისის მხედრობის ამიერკავკასიის სარდლობამ საქართველოს მთავრობას მოსთხოვა ჯარებისაგან დაეცალა ბორჩალოს და ახალციხის მაზრები, რომლებსაც თავად დაიკავებდა საზავო მოლაპარაკებამდე.

მართალია ოსმალეთი დამარცხდა პირველ მსოფლიო ომში, მაგრამ მას ისევ შესწევდა ძალა, რომ საქართველოს საქმეები აერია. თურქების აშკარა მხარდაჭერითა და წაქეზებით ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში 1919 წლიდან დაიწყო ანტიქართული მოძრაობა, რომელსაც სათავეში სერვერ ბეგ ათაბაგი ჩაუდგა. სერვერ ბეგმა შექმნა არარსებული ,,სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის'' მთავრობა. 1919 წელს ქართულმა ჯარმა გიორგი

კვენტაძის სარდლობით მთლიანად გაანთავისუფლა სეპარატისტებისაგან ახალციხე და ახალქალაქი.

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ შეძლო ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვა.

<u>საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა.</u> საქართველოს დემორატიული რესპუბლიკის ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის უმთავრესი მიზანი გახლდათ, მიეღწია ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საერთაშორისო ცნობისათვის. სახელმწიფოს საერთაშორისო იურიდიული ცნობის ორი ფორმა არსებობს: დე-ფაქტო და დე-იურე. დე-ფაქტო ცნობა ოფიციალურია, მაგრამ არასრული აღიარებაა. დე-იურე კი _ სრული მოცულობით ოფიციალურ აღიარებას წარმოადგენს. თავდაპირველად საქართველოში გერმანიის გავლენა დამყარდა. გერმანიამ და მისმა მოკავშირეებმა: ავსტრია-უნგრეთმა, ოსმალეთმა და ბულგარეთმა, ოფიციალურად ცნეს საქართველოს დე-ფაქტო დამოუკიდებლობა. 1918 წლის ნოემბერში I მსოფლიო ომი გერმანიისა და მისი მოკავშირეების დამარცხებით დასრულდა.

პირველი მსოფლიო ომის შედეგები უნდა შეჯამებულიყო პარიზის (ვერსალის) საზავო კონფერენციაზე, რომელიც გაიხსნა 1919 წლის 18 იანვარს და 1920 წლის 21 იანვრამდე მიმდინარეობდა. აღნიშნული კონფერენციის მთავარი მიზანი იყო შეემუშავებინა გერმანიასა და სხვა დამარცხებულ სახელმწიფოებთან საზავო ხელშეკრულებები.

საქართველოს სახელმწიფომ პარიზში მიავლინა თავისი დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ნიკოლოზ ჩხეიძე და ირაკლი წერეთელი. დელეგატებად იყვნენ წარდგენილნი: გრიგოლ რცხილაძე, ნიკოლოზ ჯაყელი, ივანე ჯავახიშვილი და გენერალი ივანე ოდიშელიძე. აღნიშნლ დელეგაციას პარიზის კონფერენციაზე დამსწრე ქვეყნებისთვის უნდა გაეცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სურვილი საერთაშორისო სამართლის სუბიექტად აღიარების შესახებ. დელეგაციამ პარიზში იმუშავა 1919 წლის მარტიდან 1920 წლის დამლევამდე. მან ,,მოკავშირეთა საბჭოს” (რომელშიც შედიოდნენ: საფრანგეთი, ინგლისი, აშშ და იაპონიის ორ-ორი წარმომადგენელი.) წარუდგინა მემორანდუმი, რომელშიც ოფიციალურად ითხოვდა საქართველოს საერთაშორისო სამართლსუბიექტად აღიარებას.

საქართველოს საერთაშორისო სამართლსუბიექტად აღიარება მეტად მძიმე პირობებში მიმდინარეობდა. საქართველოს პირველი რესპუბლიკის აღიარების დინამიკა შემდეგი იყო: 1918 წელს საქართველო დე-ფაქტოდ ცნო გერმანიამ, ოსმალეთმა, ავსტრია-უნგრეთმა, სომხეთმა და აზერბაიჯანმა. 1919 წელს დე-ფაქტოდ სცნო დანიამ და შვეციამ, ხოლო დე-იურედ არგენტინამ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა. 1920 წლის 12 იანვარს ვერსალის კონფერენციაზე მოქმედმა გამარჯვებული ქვეყნების უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს დე-ფაქტო დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ. საბოლოოდ, 1920 წლისათვის, საქართველო დე-ფაქტოდ ცნო შემდეგმა ქვეყნებმა: ინგლისმა, საფრანგეთმა, აშშ-მ, იტალიამ, იაპონიამ, ლიბერიამ, სპარსეთმა, ესპანეთი, ნიდერლანდი, შვეიცარია, საბერძნეთი, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, თურქეთი, ლატვიამ, ლიტვამ, ესტონეთმა, ფინეთმა და უკრაინამ. პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული სახელმწიფოები თავს იკავებდნენ საქართველოს დე-იურედ ცნობისაგან. ამის მიზეზი იყო ის, რომ ისინი ერიდებოდნენ რუსეთის გაღიზეანებას, რომელიც კავკასიას საკუთარ ტერიტორიად მოიაზრებდა. ინგლისი პირდაპირ აფიქსირებდა თავის პოზიციას საქართველოს სახელმწიფოს დე-ფაქტოდ აღიარების საკითხთან დაკავშიებით, თუ ამის წინააღმდეგი იქნებოდა რუსეთი, ინგლისი არ ცნობდა საქართველოს საერთაშორისო

სამართლსუბიექტად. მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა მას შემდეგ, როცა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთმა მოახდინა საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დე-ფაქტოდ აღიარება.

1920 წლის 12 იანვარს პარიზის საზავო კონფერენციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველო დამოუკიდებლობა დე-ფაქტოდ იქნა აღიარებული. 1921 წლის 27 იანვარს საქართველო სრულ დე-იურედ სცნეს ვერსალის უმაღლესი საბჭოს შემადგენელმა ქვეყნებმა: ინგლისმა, საფრანგეთმა და იტალიამ. საქართველო დე-იურედ 1921 წელს სხვა სახელმწიფოებმაც სცნეს ესენი იყვნენ: იაპონია, ბელგია, პოლონეთი, ავსტრია, რუმინეთი, ლუქსენბურგი, ლიბერია, ჰაიტი, მექსიკა, პანამა და სიამი.

დასავლეთის ქვეყნებისათვის აშკარა გახდა, რომ რუსეთი კავკასიის დაპყრობას გეგმავდა და შეცადნენ აქ გარკვეული ღონისძიებები გაეტარებინა, მათი აგრესიული გეგმების შესაჩერებლად. ამიტომაც პარიზის კონფერენციაზე განიხილებოდა რეგიონში აშშ-ს პროტექტორატის დაწესების ვარიანტიც. მცირე ხნის განმავლობაში კავკასიაში ანტანტის ქვეყნების უმაღლეს კომისრად ამერიკელი პოლკოვნიკი ჰასკელიც კი დაინიშნა. მაგრამ შემდეგ ეს გეგმა ჩაიშალა.

<u>ერთა ლიგა და საქართველოს პირველი რესპუბლიკა.</u> აშშ-ს პრეზიდენტმა თომას ვუდრო ვილსონმა 1918 წლის 8 იანვარს მიმართA აშშ-ს კონგრესს, რომელსაც გააცნო 14 პრინციპი. სწორედ ამ 14 პრინციპის საფუძველზე უნდა დაწყებულიყო სამშვიდობო მოლაპარაკებები პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულ გერმანიასა და მის მოკავშირეებთან. აშშ-ს პრეზიდენტ თომას ვუდრო ვილსონის პროგრამის მე-14 პუნქტი ასეთი იყო: ,,უნდა შეიქმნას ერთა ლიგა სპეციალური შეთანხმების საფუძველზე, რომელთა ერთადერთი მიზანია, როგორც დიდი, ისე პატარა სახელმწიფოების პოლიტიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა.''

პარიზის (ვერსალის) სამშვიდობო კონფერენციის I პლენარულ სხდომაზე (1919 წლის 25 იანვარი) მონაწილე მხარეებმა განიხილეს და მოიწონეს ერთა ლიგის დაარსების იდეა. თავდაპირველად ერთა ლიგის სამდივნო ლონდონში განთავსდა. ერთა ლიგის დაარსების ოფიციალურ თარიღად ითვლება ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულბის ხელმოწერის დღე _ 1919 წლის 28 ივნისი. ლიგის საბჭოს I სხდომა 1920 წლის 16 იანვარს გაიხსნა პარიზში. ლიგის საქმიანობა შეწყდა 1940 წელს, ხოლო ოფიციალურად გაუქმდა 1946 წელს.

ერთა ლიგის ძირითადი მიზანი იყო: 1. მსოფლიოში კონფლიქტური კერების ნეიტრალიზება და ლიგის წევრი ქვეყნების ურთიერთდახმარების უზრუნველყოფა; 2. საერთაშორისო სასამართლოს შექმნა, რომელიც შეუწყობს ხელს მსოფლიოში სამართლიანობის პრიბციპებების დაცვას; 3. ზრუნვა ჩამორჩენილ ქვეყნებზე;

ერთა ლიგის წესდება შედგებოდა 26 მუხლისგან და წარმოადგენდა ვერსალის საზავო ხელშეკრულების I ნაწილს. ლიგის წესდებაზე მუშაობდა 19 წევრისაგან შემდგარი საერთაშორისო კომისია აშშ-ს პრეზიდენტის ვუდრო ვილსონის თავმჯდომარეობით. აღნიშნული წესდება ძალაში შევიდა 1920 წლის 10 იანვარს ვერსალის საზავო ხელშეკრულების ტექსტთან ერთად. ერთა ლიგის პირველი ანსამბლეა ჟენევაში 1920 წლის 15 ნოემბერს გაიხსნა და მუშაობდა იმავე წლის 18 დეკემბრამდე. ერთა ლიგის მუშაობის პერიოდში, გარდა სხვა საკითხებისა, უნდა განხილულიყო ერთა ლიგაში ახალი სახელმწიფოების მიღების საკითხებიც. 1919 წლის 21 მარტს საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციამ ითხოვა ერისა და მთავრობის სახელით საქართველოს მიღება ერთა ლიგაში.

მეორედ საქართველოს ხელისუფლებამ ერთა ლიგაში გაწევრიანების სურვილი გამოთქვა 1920 წლის 1 სექტემბერს.

1920 წლის დკემბერში ერთა ლიგის V განსაკუთრებულმა კომისიამ განიხილა საქართველოს ერთა ლიგის წევრად მიღების საკითხი. 1920 წლის 16 დეკემბერს ჟენევაში მიმდინარე ერთა ლიგის I ანსამბლეის მუშაობის დროს საქართველოს ერთა ლიგაში გაწევრიანების თაობაზე ჩატარდა კენჭრისყრა. აღნიშნულ პერიოდში ერთა ლიგის წევრი იყო 42 სახელმწიფო. საქართველოს საკითხზე კენჭისყრაზე მონაწილეობდა 23. მომხრე იყო 10: სამხრეთი აფრიკა, ბოლივია, კოლუმბია, იტალია, ნორვეგია, პარაგვაი, სპარსეთი, პორტუგალია, შვეიცარია და ჩილე. ხოლო მოწინააღმდეგენი იყვნენ: ავსტრალია, ახალი ზელანდია, კანადა, კუბა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ესპანეთი, ნიდერლანდი, ჩეხოსლოვაკია და დანია. დანარჩენებმა თავი შეიკავეს. ამრიგად საქართველო კენჭისყრის შედეგებით ვერ გახდა ერთა ლგის წევრი. იმავე დღეს 16 დეკემბერს ერთა ლიგის წევრები გახდნენ ბულგარეთი, კოსტა რიკა, ფინეთი, ლუქსენბურგი. ხოლო 17 დეკემბრის სხდომაზე _ ალბანეთი.

საქართველოსათვის ერთა ლიგაში მიღებაზე უარის თქმა, გამოწვეული იყო იმ საერთაშორისო ვითარებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა XX საკუნის 20-იანი წლების დასაწყისში. კერძოდ კი, დასავლეთის ქვეყნებმა ვერ გაბედეს იმხანად სამოქალაქო ომში გამარჯვებულ საბჭოთა რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირება. ამიტომაც სამხრეთი კავკასიის სახელმწიფოები _ აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო საერთაშორისო იზოლაციაში აღმოჩნდნენ.

<u>საქართველოს დამოკრატიული რესპულიკის ანექსია საბჭოთა რუსეთის მიერ.</u> 1920 წლისათვის საბჭოთა ხელისუფლებამ საბოლოოდ გაიმარჯვა სამოქალაქო ომში და რუსეთის იმპერიის ძველ საზღვრებში აღდგენას შეუდგა. 1920 წლის აპრილში XI წითელი არმია აზერბაიჯანის დამოუკიდებელ რესპუბლიკაში შეიჭრა და დაიპყრო, ხოლო 1920 წლის ნოემბრის თვეში რუსეთის იმავე არმიამ სომხეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გააუქმა. 1918-1921 წლებში რუსეთმა რამდენჯერმე სცადა საქართველოს ოკუპაცია. მოსკოვის ხელისუფლების დასაყრდენს წარმოადგენდა რუსეთის კომუნისტური პარტიის კავკასიის ბიურო და ადგილობრივი ბოლშევიკები: სერგო ორჯონიკიძე, ფილიპე მახარაძე და სხვა. რომლებიც საბჭოთა რუსეთის აგენტურას წარმოადგენდნენ. საქართველოში მყოფი ბოლშევიკები ქვეყნის სხვადასხვა ადგილას ანტისახელმწიფოებრივ გამოსვლებს აწყობდნენ.

1920 წლის აპრილში, მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანის ოკუპაცია მოახდინა, საბჭოთა რუსეთმა სცადა საქართველოს წინააღმდეგ პირდაპირი აგრესია განეხორციელებინა. XI წითელი არმია აზერბაიჯანიდან საქართველოსკენ დაიძრა, მაგრამ საქართველოს არმიის ნაწილებთან ბრძოლაში დამარცხდნენ და უკან დაიხიეს. მას შემდეგ, რაც ანტისახელმწიფოებრივი ბოლშევიკურ-კომუნისტური აჯანყების პროვოცირებით მიზანს ვერ მიაღწია, საბჭოთA რუსეთმა საქართველოსთან ურთიერთობის ტაქტიკა შეცვალა. XI არმიის საქართველოს შეიარაღებულ ძალებთან მარცხის შემდეგ რუსეთს აღარ სურდა ფართომასშტაბიანი ომი. იმხანად საბჭოთა რუსეთი პოლონეთთან ომს აწარმოებდა და საქართველოსთან ურთიერთობის მშვიდობიანად მოგვარება გადაწყვიტა. 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთსა და დამოუკიდებელ, დემოკრატიულ საქართველოს შორის სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდო. რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ლევ კარახანმა და საქართველოს ელჩმა რუსეთში გრიგოლ ურატაძემ.

რუსეთის იმპერიის ბოლშევიკურ ხელისუფლებას, მიუხედავად სამშვიდობო ხელშეკრულების დადებისა, ერთი წუთითაც არ გადაუფიქრებია საქართველოს დაპყრობა. იგი მხოლოდ ხელსაყრელ საერთაშორისო ვითარებას ელოდა. პირველი მსოფლიო ომისა და ეკონომიკური კრიზისისგან დასუსტებულ ევროპას რუსეთის აგრესიისგან საქართველოს დაცვის ღონე აღარ შესწევდა. საქართველო საერთაშორისო იზოლაციაში აღმოჩნდა.

საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ აგრესია დაიწყო ლორეს ნეიტრალური ზონიდან საქართველო-სომხეთის საზღვარზე. ლორეს ზონიდან საქართველოს ჯარები უნდა გასულიყო 13 თებერვალს. ამიტომ ე.წ. ,,აჯანყება'' საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ რუსი კოლონისტების სოფლებში დაიწყო 11 თებერვლის ღამეს. 16 თებერვალს იქმნება საქართველოს რევკომი ,,აჯანყების ხელმძღვანელობისთვის'', რომელიც დახმარებისთვის მოსკოვს მიმართავს. მაგრამ ეს იურიდიული გაფორმება დაგვიანებული იყო _ 11 თებერვალს ბრძოლებს უკვე აწარმოებდა რუსეთის წითელი არმია. თბილისის მიმართულებით დაიძრა მე-20, 32-ე და მე-9 ქვეითი დივიზიები, მე-12 საკავალერიო დივიზია, 5 ჯავშნოსანი მატარებელი, 4 ჯავშნოსანი, 4 ტანკი და 16 თვითმფრინავი. 19 თებერვალს მე-9 არმიის 31-ე დივიზია სოჭიდან სოხუმის მიმართულებით დაიძრა. საქართველოს რეგულარული ჯარის ნაწილები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ მტერს. განსაკუთრებით თავგანწირული ბრძოლები თბილისის დაცვისათვის გაიმართა კოჯორ-ტაბახმელის მიდამოებში. მოწინააღმდეგეს ძალების დიდმა რიცხობრივმა უპირატესობამ თავისი გაიტანა საბჭოთა არმიის ნაწილები კახეთის გზით თბილისს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მოექცნენ. საქართველოს არმიას ალყაში მოქცევის საშიშროება დაემუქრა. ამ ვითარებაში მთავარსარდალმა გიორგი კვინიტაძემ თბილისის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო, იმ იმედით, რომ XI არმიას ქვეყნის სიღრმეში გაუწევდა წინააღმდეგობას. 1921 წლის 25 თებერვალს თბილისში XI წითელი არმიის ნაწილები შევიდნენ. ოკუპანტების წინააღმდეგ ძალების ორგანიზება ვერც შემდგომში მოხერხდა. 1921 წლის 17 მარტს ქუთაისში შედგა მოლაპარაკება საქართველოს რესპუბიკის მთავრობის რწმუნებულს გრიგოლ ლორთქიფანიძესა და ახლადშექმნილ საქართველოს რევკომს შორის. იმავე წლის 17 მარტს ქალაქ ბათუმის თვითმმართველობის შენობაში ნიკოლოზ ჩხეიძის თავმჯდომარეობით ჩატარდა საქართველოს დამფუძნებელი კრების უკანასკნელი სხდომა. სხდომამ შემდეგი გადაწყვეტილებები მიიღო: 1) დროებით შეაჩერა საქართველოს კონსტიტუციის მოქმედება; 2) მოახდინა მთავრობის რეორგანიზაცია და მისი წევრების რიცხვი ოთხამდე შეამცირა (ნოე ჟორდანია, ევგენი გეგჭკორი, ნოე რამიშვილი, კონსტანტინე კანდელაკი); 3) წინადადება მისცა მთავრობას დაეტოვებინა საქართველო, გამგზავრებულიყო ევროპაში და იქ გაეგრძელებია ბრძოლა ოკუპირებული საქართველოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. 1921 წლის 18 მარტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დამფუძნებელი კრების დეპუტატთა ერთი ნაწილის თანხლებით დატოვა საქართველო და პარიზში დაფუძნდა.

პირველი რესპუბლიკა დაეცა. საბჭოთა რუსეთმა საქართველოში ძალდატანებითი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ფორმით საქართველოს ოკუპაცია და ანექსია განახორციელა.

ლექცია №XV

საქართველო XX საუკუნის 40-80-იან წლებში

<u>რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის დამყარება საქართველოში.</u> 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის მხრიდან განხორციელებული ანექსიის ლოგიკური შედეგი გახლდათ ის, რომ ქვეყანაში დამყარდა რუსეთის საოკუპაციო რეჟიმი.

რუსეთი უზარმაზარი სახელმწიფო გახლდათ. მას დაპყრობილი ჰქონდა უკრაინა, ბელორუსია, შუა აზიის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნები, რომელსაც განაგებდა

კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის სათავეში მყოფი პიროვნებების მცირე ჯგუფი. ამ მმართველ ჯგუფს ცენტრალური კომიტეტი ეწოდებოდა. ამას მოჰყვა ის, რომ ბოლშევიკებმა ყველა სხვა პოლიტიკური პარტიის საქმიანობა აკრძალეს უზარმაზარ სივრცეში და ერთპარტიული კომუნისტური დიქტატურა დაამყარეს.

საბჭოთა კავშირის მმართველობის იერექიას ჰქონდა შემდეგი სახე: ხელისუფლების უმაღლეს რგოლს წარმოადგედა _ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე (გენერალური მდივანი), რომელსაც ექვემდებარებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

1921 წლის 16 თებერვალს მოსკოვში შეიქმნა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი (რევკომი), რომელმაც მიმართა საბჭოთა რუსეთს და ითხოვა საქართველოში `აჯანყებულ მშრომელთა დახმარებისათვის'' წითელი არმიის შემოყვანა. მაგრამ რამდენადმე პარადოქსია, რომ ეს `იურიდიული გაფორმება'' დაგვიანებული გახლდათ, რადგან უკვე 12 თებერვალს ჰქონდა გადმოლახული საქართველის რესპუბლიკის საზღვრები XI არმიას, რომელიც ქვეყნის შუაგულისაკენ ბრძოლით იკვლევდა გზას. აღნიშნულმა რევკომმა 26 თებერვალს მიიღო დეკრეტი მთელი სახელმწიფო ხელისუფლების თავის ხელში აღების შესახებ. რევკომი ფორმალურად წარმოადგენდა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს, მაგრამ რეალურად იგი ემორჩილებოდა რკპ (ბ) ცკ-ს კავკასიის ბიუროსა და საქართველოს კომპარტიის ცკ-ს.

1921 წლის 11 მარტს რევკომმა გამოსცა დეკრეტით, რომლის ძალითაც დაშლილად იქნა გამოაცხადა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (პირველი რესპუბლიკის) არმია და სახლახო გვარდია. რომლის სანაცვლოდ დაიწყო წითელი არმიის ჩამოყალიბება.

1921 წლის 24 მარტს საქართველოს რევკომის ბრძანებით დათხოვნილად იქა გამოაცხადებული საქართველოს დამფუძნებელი კრებაი რის შემდეგაც საქართველოს რევკომმა საკუთარ თავს მიანიჭა უმაღლესი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და მაკონტროლებელი ფუნქციები. ქვეყანაში შეიქმნა სახალხო კომისარიატები. გაუმდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სასამართლო სისტემა და შეიქმნა სახალხო მოსამართლეთა დროებითი საბჭო. ეკონომიკას კი ხელმძღვანელობდა რევკომთან არსებული სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო. საბჭოთა რუსეთსა და საბჭოთა საქართველოს შორის 1921 წლის 21 მაისს დაიდო `მუშურ-გლეხური სამოკავშირეო ხელშეკრულება''. ორივე ქვეყანა აღიარებდა ერთმანეთს თვითგამორკვევასა და სუვერენულ უფლებებს. ორივე ქვეყანას შორის დამყარდა სამხედრო და სამეურნეო კავშირები. რუსეთი ვალდებულებას იღებდა დახმარება გაეწია საქართველოსთვის ადგილობრივი წითელი არმიის ჩამოყალიბების საქმეში.

ამის შემდეგ, რაც საქართველოს რევკომი იქნა ჩამოყალიბებული შეიქმნა თბილისის, აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის რევკომები. 1921 წლის 8 აპრილის დეკრეტით, ადგილობრივ ხელისუფლებას განასახიერებდნენ სამაზრო, საქალაქო და სათემო რევკომები. რევკომების შექმნა იყო დროებითი, რომელსაც უნდა მოემზადებინა საფუძველი საბჭოთა ხელისუფლების დასამკვიდრებლად. 1921 წლის ნოემბრიდან საქართველოში იწყება მზადება ახალი არჩევნებისთვის. 1921 წლის 10 დეკემბერს ჩატარდა თბილისის საბჭოს პირველი საზეიმო სხდომა. იმავე წილლს 15 დეკემბერს (დაჩქარებული წესით) იქმნება ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელსაც უნდა ეზრუნა საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობის მოწვევაზე, რომელიც ჩატარდა 1922 წლის 25 თებერვალს. ამ ყრილობას ესწრებოდა 380 დელეგატი და მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები _

მიიღო საქართველოს სსრ პირველი კონსტიტუცია, აირჩია ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. ამით საქართ-ველოს რევკომის საქმიანობა ამოიწურა.

საქართველოში ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციები მიენიჭა საქართველოს საბჭოების ყრილობას. ყრილობიდან ყრილობამდე უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციებს ასრულებდა ყრილობის მიერ არჩეულ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველ სესიაზევე იწყებს ჩამოყალიბებას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობა _ ე. წ. სახალხო კომისართა საბჭო, რომელსაც უნდა ეხელმძღვანელა კომისარიატების ანუ იგივე სამინისტროების მუშაობისათვის.

რუსეთში დაიწყეს ახალი ფედერაციული სახელმწიფოს ჩამოყალიბება. ოფიციალურად ეს სახელმწიფო უნდა ყოფილიყო დაფუძნებული თანასწორუფლებიანობის პრინციპზე და ფედერაციის სუბიექტებს უნდა შეძლებოდათ (კონსტიტუციურად მინიჭებული უფლების თანახმად) ამ კავშირის საკუთარი ნებით დატოვებაც. მაგრამ ყველასათვის ნათელი იყო, რომ მსგავს სურვილს სისრულეში მოყვანა არ ეწერა.

1922 წლის 30 დეკემბერს გამოცხადდა ახალი სახელმწიფოს _ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნა. რომელშიც იყო გაერთიანებული ოთხი მოკავშირე ფედერაციული რესპუბლიკა. მასში შედიოდნენ: რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიისა და სამხრეთ კავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები. საქართველო სომხეთთან და აზერბაიჯანთან ერთად გააერთიენეს `ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში: და ამის შემდეგ _ საბჭოთა კავშირში". ცალკე მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსი საქართველომ მხოლოდ 1936 წელს კონსტიტუციით მიიღო.

საბჭოთა კავშირში დაიწყო საზოგადოების სოციალუსტური გარდაქმნები, რომელსაც ძალდატანებითი ხასიათი ქონდა. გარდაქმნები მიმდინარეობდა ძირითადად ხუთი მიმართულებით: 1) კერძო საკუთრების მოსპობა; 2) ფაბრიკა-ქარხნების ჩამორთმევა კერძო მესაკუთრეებისათვის და მათი ნაციონალიზაცია; 3) ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია; 4) კოლექტივიზაცია სოფლად; 5) კულტურული რევოლუცია (სოციალისტური რეალიზმის გაბატონება ხელოვნებაში

ეროვნული მოძრაობა 20-იანი წლების პირველ ნახევარში. 1924 წლის აჯანყება

<u>ეროვნული მოძრაობის დასაწყისი.</u> ქართველი ერი არ შეჰგუებია დამოუკიდებლობის დაკარგვას. 1921 წელსვე საქართველოში დაიწყო ეროვნული მოძრაობა, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ.

1921 წლის ზაფხულში მთელი სვანეთი მოიცვა აჯანყებამ. ადგილობრივი რევკომები დაამხეს, მილიციის პუნქტები განაიარაღეს, სვანეთისაკენ მიმავალი გზები და ბილიკები შეკრეს. აჯანყების ცეცხლი სვანეთიდან რაჭა-ლეჩხუმს გადაედო. აჯანყებულთა დელეგაციამ თბილისში დელეგაცია წარგზავნა. მათ საქართველოს რევკომს შემდეგი მოთხოვნები წაუყენეს: რუსეთის ჯარების გაყვანა საქართველოდან და თავისუფალი არჩევნების გამოცხადება.

სვანეთის აჯანყება გასცდა არა მარტო საქართველოს ერთი კუთხის ფარგლებს, არამედ საქართველოს საზღვრებსაც და მსოფლიო საზოგადოების განხილვის საგნად იქცა. ამას დაემატა ისიც, რომ 1921 წლის 15 აპრილს საბჭოთა ხელისუფლებამ გამოსცა დეკრეტი, რომლის ძალითაც ეკლესია, ფაქტობრივად, კანონგარეშედ გამოცხადდა და დაკარგა ყოველგვარი საკუთრების უფლება. 1922 წლის გაზაფხულზე მიმდინარეობდა გენუის

საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციას მემორანდუმი გაუგზავნა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ. ამბროსი ხელაიას მემორანდუმის წყალობით რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ აჯანყებული ქართველი ერის სატკივარი მთელი მსოფლიოსათვის გახდა ცნობილი. ამბროსი ხელაია მოითხოვდა: 1) რუსეთის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას საქართველოდან; 2) ქართველი ერისათვის თავისი ცხოვრების დამოუკიდებლად მოწყობის უფლების მინიჭებას; კათალიკოსი ამბროსი დააპატიმრეს და ციხეში დიდხანს იტანჯებოდა. სასამართლო პროცესზე მან შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: ,,მე არ მეშინია თქვენი განჩინებისა. სული ჩემი ეკუთვნის უზენაესს, გული ჩემი _ ჩემს საყვარელ საქართველოს, ხოლო გვამი ჩემი მიიღეთ და მოექეცით როგორც გენებოთ.''

საკავშირო მთავრობის დადგენილებით, კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი ვადამდე გაათავისუფლეს (1925 წელს). გარდაიცვალა იგი 1927 წელს. დაკრძალულია თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში. საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი წმინდანად შერაცხა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობასა და საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ დამფუძნებელ კრებაში შემავალ პოლიტიკურ პარტიებს შორის ურთიერთბრალდებები კარგა ხანს გაგრძელდა. მიუხედავად დაპირისპირებისა, ყველა პარტია აღიარებდა შეთანხმებისა და გაერთიანების აუცილებლობას. 1922 წლის აპრილ-მაისს შეთანხმებაც მიღწეული იქნა. შეიქმნა ინტერპარტიული ორგანო, რომელიც ისტორიაში შევიდა სახელწოდებით _ `საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი'' (დამკომი). იგივე `პარიტეტული კომიტეტი''. `საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტში'' შევიდნენ: სოციალ-დემოკრატიული პარტიის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, სოცია-ლისტ-ფედერალისტთა პარტიის, სოციალისტ-რევოლუციონერების (ესერების), `სხიველების'' (დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატების) წარმომადგენლები.

ხელშეკრულების თანახმად `საქართველობის დამოუკიდებლობის კომიტეტში'' ყოველი პარტიიდან თითო წევრი შედიოდა. აქედან გამომდინარეომდა ამ ორგანოს პარიტეტული ხასიათი. კომიტეტს მუდმივად თავმჯდომარეობდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. `საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის'' პირველი თავმჯდომარე იყო გოგიტა ფაღავა, შემდეგ იგი შეცვალა ნიკოლოზ ქარცივაძემ. კომიტეტის ბოლო თავმჯდომარე კი კონსტანტინე ანდრონიკაშვილი იყო.

`საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი'' გახდა ეროვნული მოძრაობის პოლიტიკური ცენტრი საქართველოში. ჯერ კიდევ `საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის'' ჩამოყალიბებამდე, 1922 წლის მარტში შეიქმნა ორგანიზაცია სახელწოდებით `სამხედრო ცენტრი'', რომელშიც შედიოდნენ: გოგიტა ფაღავა, ივანე ნარიკელაძე, კონსტანტინე აფხაზი, როსტომ მუსხელიშვილი და სხვები. ამრიგად, `საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის'' (დამკომის) მუშაობასთან ერთად ამოქმედდა საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის `სამხედრო ცენტრი''.

1922 წლის დამდეგიდან პარტიზანულ ბრძოლებს იწყებს ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის რაზმი. 1922 წლის ივლის-აგვისტოში ამბოხება დაიწყო კახეთსა და ფშავ-ხევსურეთში. აჯანყების ცენტრი დუშეთი იყო. აჯანყების მეთაურებს ასეთი გეგმა ჰქონდათ: როგორც კი რუსეთის ჯარი ქაქუცა ჩოლოყაშვილთან შესაბრძოლებლად დუშეთისკენ გაეშურებოდა, მაშინვე მას ზურგიდან ქართველთა რაზმით თავს დაესხმოდა მიხეილ ლაშქარაშვილი. მტრის განადგურების შემდეგ გამარჯვებულები ქაქუცა ჩოლოყაშვილის წინამძღოლობით პირდაპირ თბილისის ასაღებად დაიძვრებოდნენ.

პარალელურად აჯანყებები უნდა მომხდარიყო გურიაში, სამეგრელოში, სვანეთში, ქართლსა და კახეთში.

რუსეთის ჯარი, ახალი რაზმებით შევსებული და გამაგრებული, შეტევაზე გადავიდა და აჯანყებულთა რაზმი ალყაში მოაქცია. ქაქუცა ჩოლოყაშვილმა გააფთრებული იერიშით ალყა გაარღვია და კახეთისკენ გასწია. ოკუპანტებმა ხევსურეთის სოფლები სასტიკად ააოხრეს. აჯანყებულები დამარცხდნენ.

შეიარაღებული გამოსვლის ჩახშობის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ სასტიკი რეპრესიები გააჩაღა. ოდნავ ეჭვმიტანილებსაც კი იჭერედნენ და ხვრეტდნენ. 1923 წლის დამდეგს დააპატიმრეს მთელი `სამხედრო ცენტრი". 1923 წლის მაისში დახვრეტის განაჩენი გამოუტანეს გენერლებს კოტე აფხაზს, ალექსანდრე ანდრონიკაშვილს, ვარდენ წულუკიძეს, როსტომ მუსხელიშვილს, პოლკოვნიკ გიორგი (გოგი) ხიმშიაშვილს და სხვებს. `სამხედრო ცენტრის" გარდა ძლიერი დარტყმა განიცადა `პარიტეტულმა კომიტეტმა" _ პატიმრობაში აიყვანეს მისი თავმჯდომარე ნიკოლოზ ქარცივაძე. დამსჯელმა რაზმებმა ააოხრეს კახეთი, სვანეთი, გურია, მთელი საქართველო.

1922 წლის ნოემბერში ემიგრაციიდან დაბრუნდა ნოე ხომერიკი. მისი ჩამოსვლის შემდეგ აჯანყებისათვის მზადება გამოცოცხლდა. ისევ ამოქმედდა `პარიტეტული კომიტეტი". ნოე ხომერეიკის ინიციატივით აქტიურად ამუშავდა `სამხედრო კომისია". `სამხედრო კომისიის" საქმიანობას წარმართავდნენ ნოე ხომერიკი (სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან) და მიხეილ ჯავახიშვილი (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან).

აჯანყების მზადების პერიოდში იდგა საკითხი დანარჩენ კავკასიურ ქვეყნებთან ურთიერთობისა და რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის დასამხობად ერთიანი კავკასიური აჯანყების შესახებ. 1923 წლის ნოემბერში საგანგებო კომისიამ ნოე ხომერიკი დააპატიმრა. მისი ადგილი დაიკავა გოგიტა ფაღავამ, რომელმაც აქტიურად განაგრძო წინამორბედის საქმიანობა.

<u>1924 წლის აჯანყება.</u> აჯანყების დაწყების დროდ `პარიტეტულმა კომიტეტმა" განსაზღვრა 1924 წლის თებერვალი. თებერვლის შუა რიცხვებში ერთიმეორის მიყოლებით პატიმრობაში აიყვანეს გოგიტა ფაღავა, გიორგი წინამძღვრიშვილი და სხვები. ამით, ფაქტობრივად, `სამხედრო კომისია" ჩავარდა.

1924 წლის ივლისის დამდეგს `პარიტეტულმა კომიტეტმა" საგანგებო სხდომა გამართა, რომელიც აჯანყებისათვის მზადებას მიეძღვნა. აჯანყების დღედ დაინიშნა 1924 წლის 17 აგვისტო, მთავარსარდლად _ გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე. გამოსვლა უნდა დაწყებულიყო ყველგან ერთდროულად. 7 აგვისტოს, აჯანყებამდე 10 დღით ადრე, პატიმრობაში აიყვანეს ვალიკო ჯუღელი _ აჯანყების ერთერთი მთავარი ხელმძღვანელი.

საქართველოს ხელისუფლებამ სამხედრო წვრთნაზე გაშვებული ჯარი სასწრაფოდ დედაქალაქში დააბრუნა. თბილისში საგანგებო წესები გამოცხადდა. ოდნავ საეჭვო პირებს იჭერდნენ და ციხეში სვამდნენ. პარალელურად, ბოლშევიკებმა რეპრესიები გააჩაღეს აჯანყების მეორე ცენტრში _ ბათუმში. შეიპყრეს აჯანყების მეთაურად საგულვებელი ყველა პირი. შეიარაღებული გამოსვლა რამოდენიმე დღით კიდევ გადაიდო. ,,პარიტეტულ კომიტეტში" აჯანყების თარიღის განსაზღვრისას, ასევე სხვა საკითხების გამო, განხეთქილება დაიწყო. ერთიანი აზრის შემუშავება შეუძლებელი გახდა.

აჯანყება 1924 წლის 29 აგვისტოს 2 საათის ნაცვლად ერთი დღით ადრე _ 28 აგისტოს 2 საათზე დაიწყო ჭიათურაში. ამ აჯანყების შესახებ არაფერი იცოდა არც ,,პარიტეტულმა კომიტეტმა" და არც აჯანყების რომელიმე ხელმძღვანელმა.

ჭიათურის ამბები უმალვე შეიტყო საოკუპაციო ხელისუფლებამ. სერგო ორჯონიკიძემ ჭიათურას დამსჯელი რაზმები მიუსია. მთელ საქართველოში ხელისუფლებამ საგანგებო წესები გამოაცხადა. დამსჯელი რაზმები განსაკუთრებული სიმკაცრით მოქმედებდნენ თბილისსა და ბათუმში. უსასტიკესმა ტერორმა მოიცვა მთელი ქვეყანა.

29 აგვისტოს აჯანყება მაინც დაიწყო საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. ეს ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო გამოსვლა ერთიან ხელმძღვანელობას მოკლებული აღმოჩნდა. აჯანყებულებმა ვერ შეძლეს თბილისზე დაგეგმილი შეტევის განხორციელება. რამდენიმე დღეში დამსჯელმა ექსპედიციებმა ჩაახშვეს აჯანყებები გურიაში, იმერეთში, სამეგრელოში, სვანეთში და კახეთში. 1924 წლის სექტემბრის დამდეგს შეიპყრეს ,,საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" (,,პარიტეტული კომიტეტის") თავმჯდომარე **კონსტანტინე ანდრონიკაშვილი** და მდივანი **იასონ ჯავახიშვილი.**

რეპრესიები მთელ საქართველოში აჯანყების დამარცხების შემდეგაც გაგრძელდა. აჯანყების ბევრი მონაწილე თუ ეჭვმიტანილი ყოველგვარი გამოძიებისა თუ გასამართლების გარეშე დახვრიტეს. მოსკოვში გამოსვლისას სერგო ორჯონიკიძემ განაცხადა: ,,მივმართეთ მასობრივ დახვრეტებს, იქნებ ცოტა გადავაჭარბეთ, მაგრამ ამას ახლა რაღა ეშველება". სულ რეპრესიების შედეგად 4 000 ადამიანი დაიღუპა. თითქმის ერთი წელი მიმდინარეობდა აჯანყების მეთაურთა საქმის ძიება. 1925 წელს გაიმართა სასამართლო პროცესი. აჯანყების ცოცხლად გადარჩენილ ხელმძღვანელებსა და მონაწილეებს ხანგრძლივი ვადით ციმბირში გადასახლება მიესაჯათ.

1921-1924 წლების ეროვნული მოძრაობისა და 1924 წლის აჯანყების მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. ამ აჯანყებას უნდა გადაეწყვიტა საქართველოს მომავალი. 1924 წლის აჯანყებას წარმოუდგენლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ერის ისტორიაში. იგი გმირობისა და თავდადების მაგალითს აძლევდა მომავალ თაობებს.

<u>რუსული სოციალიზმის მშენებლობა საქართველოში.</u> ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ 20-იანი წლების შუახანებიდან შეიმუშავა საბჭოთა კავშირში სოციალისტური სისტემის შექმნის კონკრეტული გეგმა. იგი ემყარებოდა სამი ფუნდამენტური ამოცანის პრაქტიკულ განხორციელებას: პირველი იყო ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, მეორე _ კოლექტივიზაცია, ხოლო მესამე _ კულტურული რევოლუცია. სამივე ამოცანა ძალდატანებით, მოსახლეობისა და საზოგადოების იძულების გზით უნდა მომხდარიყო.

ინდუსტრიალიზაცია ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირში საკუთარი მძიმე მრეწველობის შექმნას. ეს უნდა მომხდარიყო კაპიტალისტური სახელმწიფოების დახმარების, სესხის თუ ინვესტიციების გარეშე. ყველა რესპუბლიკის მოსახლეობას დაეკისრა ფიზიკური, მატერიალური თუ ფინანსური რესურსების გაღება. ხელისუფლებამ ისეთი ფსიქოლოგიური გარემო შექმნა, რომ მოსახლეობის ნაწილმა ენთუზიაზმით მიიღო მონაწილეობა დიდი სამრეწველო ობიექტების, საწარმოების, რკინიგზების მშენებლობაში. 1927-1937 წლებში, ე.წ. პირველი და მეორე ხუთწლედების პერიოდში, საქართველოში არაერთი მსხვილი საწარმო აშენდა: ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური, რიონჰესი, თბილისის ჩარხმშენებელი და ლითონკონსტრუქციების საწარმოები და სხვა. 30-იანი წწ-ის ბოლოს საქართველოს ეროვნული შემოსავლის 75 %-ზე მეტს მრეწველობა იძლეოდა.

ძირითადად XX ს-ის 30-იან წწ-ში საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოში მიმდინარეობდა სოციალიზმის მეორე შემადგენელი რგოლის _ კოლექტივიზაციის პროცესი. ძალდატანებით მოხდა სოფლის გლეხური მოსახლეობის მდიდარი ან საშუალო

ფენებისათვის მიწების ჩამორთმევა. ისინი გადაეცა ე.წ. კოლექტიურ მეურნეობებს (შემოკლებით – კოლმეურნეობებს), რაც ქვეყნის სოფლის მეურნეობისათვის ვარგისი მიწის მთელი ფონდის სახელმწიფო საკუთრებაში გადასვლას ნიშნავდა. კოლმეურნეობებში იძულებით გაერთიანებული გლეხობა ახლა უკვე არა საკუთარ, არამედ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწას ამუშავებდა და ანაზღაურებას სახელმწიფოს მიერ დაწესებული ხელფასის სახით იღებდა. კერძო საკუთრებაში გლეხს მხოლოდ მცირე მოცულობის საკარმიდამო ნაკვეთი დაუტოვეს, რომლიდანაც მიღებული პროდუქცია მინიმალურადაც კი ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას. გლეხის საკოლმეურნეო შრომის შედეგად შექმნილი პროდუქციის ერთპიროვნულ განმკარგველად სახელმწიფო იქცა. ქვეყნის გლეხური მოსახლეობა თავგანწირულ წინააღმდეგობას უწევდა მიწების ჩამორთმევის პროცესს, მაგრამ მას სისხლიანი რეპრესიებითა და გადასახლებით უპასუხებდნენ ხოლმე. კოლექტივიზაციის ერთ-ერთი შედეგი იყო გლეხური მოსახლეობის ძალდატანებითი სოციალური და ქონებრივი გათანაბრება.

საბჭოთა სოციალიზმის მესამე ფუნდამენტის _ ,,კულტურული რევოლუციის'' მთავარ მიზნად გამოცხადდა ბურჟუაზიული კულტურის ლიკვიდაცია და ახალი, სოციალისტური კულტურის მშენებლობა. კულტურისა და ხელოვნების ყველა სფეროში გაბატონდა ე.წ. სოციალისტური რეალიზმის მეთოდი. იგი უკრძალავდა ხელოვანს თავისუფალ აზროვნებას, შემოქმედებას და აიძულებდა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დაკვეთილი თემების დამუშავებას. შემოქმედს, მწერალს, მხატვარს, კომპოზიტორს თუ ნებისმიერ სხვა სფეროს წარმომადგენელს ხოტბა უნდა შეესხა საკოლმეურნეო შრომისათვის, ინდუსტრიალიზაციის პროცესისათვის, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი რგოლისთვის და მისი სრული მორჩილების იდეა უნდა ექადაგა. უნდა აღზრდილიყო ახალი საბჭოთა ადამიანი, რომლისთვისაც ეროვნულ _ ტრადიციული ღირებულებები დრომორჭმული და მეორეხარისხოვანი ხდებოდა, ხოლო უპირველესი ღირებულება იყო საერთო-საბჭოთა ინტერნაციონალური ერთობა. არსობრივად, აღნიშნული პროცესი გულისხმობდა ეროვნული ნიშნების თანდათანობით ლიკვიდაციას და სხვა ერების გათქვეფას რუს ერში, რუსული ენისა და კულტურის შეუზღუდავი პრიორიტეტის პირობებში.

30-იანი წწ-ის ბოლოს საბჭოთა კავშირში სოციალისტური საზოგადოება და სისტემა _ სოციალიზმი-აშენებულად გამოცხადდა.

საქართველოს XX საუკუნის 30-იანი წლებში

<u>ახალი ქვეყნის შენება.</u> გასაბჭოების პირველი წლების შემდეგ სახელმწიფომ მთელ საბჭოთა კავშირში დაიწყო კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის პროგრამების განხორციელება.

1924 წლის აჯანყებამ შეიწირა თავადაზნაურობისა და ოფიცრობის დიდი ნაწილი. კერძო საკუთრების მოსპობასთან დაკავშირებით ვაჭარ-მრეწველებმა საქართველოს ფარგლები თავად დატოვეს. განკულაკებამ შეძლებული და საშუალო გლეხების დიდი ოჯახები საბოლოოდ დაშალა. მათი უდიდესი, გაღატაკებული ნაწილი ქალაქებისკენ დაიძრა და მუშურ მასას შეერია. თბილისში იწყო დენა საქართველოს სხვადასხვა ქალაქის ინტელიგენციამ. სადაც ისინი წლების განმავლობაში ადგილობრივ კულტურულ ძალას შეადგენდნენ. თბილისში იყო თავმოყრილი ქვეყნის ყველა ძირითადი უმაღლესი სასწავლებელი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს პოლიტექნიკური

ინსტიტუტი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, სამედიცინო ინსტიტუტი, სამხატვრო აკადემია, კონსერვატორია, საოპერო სტუდია.

მწერლებს პარტია ავალებდათ დაეგმოთ ,,ძველი დროის გადმონაშთი'' _ ნაციონალური გრძნობების გამაღვიძებელი მწერლობა. დაეცინათ ეროვნული ღირებულებებისათვის, ექოთ და ედიდებინათ რევოლუცია, მშრომელი მასების ,,გმირული'' შრომა, შეექმნათ ,,ახალი'' საბჭოთა ადამიანის უნაკლო სახე.

მმართველმა ორგანოებმა `ურჩ'' მწერლებს დაუპირისპირეს ე.წ. `პროლეტარული მწერლები'', რომელთა სახელები დღეს აღარავის ახსოვს მაგრამ მაშინ მათ მთავრობის მხრიდან დიდი მხარდაჭერა ჰქონდათ. `მე მამას მოვკლავ, დავახრჩობ დედას, რევოლუციამ თუ კი მიბრძანა'', _ ერთ-ერთი `პროლეტარი მწერლის'' ეს სალექსო სტრიქონი პარტიულ თანამოაზრეთა წრეში მაღალი მორალის საუკუთესო გამოხატულებად იყო მიჩნეული.

<u>პოლიტიკური რეპრესიები.</u> ხელისუფლება იმთავითვე უნდობლად უყურებდა განათლებულ ინტელიგენციას, რომელიც აღტაცებით არ ხვდებოდა რევოლუციურ ლოზონგებს. ხედავდა, რომ საბჭოთა ლოზუნგებს არაფერი ჰქონდა საერთო ადამიანის დემოკრატიულ უფლებებთან და ეროვნულ ინტერესებთან. მალე დარწმუნდა, რომ ადამიანის მატერიალური კათილდღეობა უიმედოდ შორს იყო დაპირებულისაგან, რომ სახელმწიფოს მკაცრი ცენტრალიაცია ადამიანის შემოქმედებით ნებას, აზრის თავისუფლებას უკიდურესად ბოჭავდა. თვით ძველი პარტიული ელიტაც, მშიერი მასების მაცქერალი, თანდათან კარგავდა კომუნისტური იდეალებისადმი რწმენას. ყოველივე ამას მმართველი პარტიაც ხედავდა და ამიტომ ძალაუფლების განსამტკიცებლად სხვადასხვა საშუალებებს მიმართა _ გააძლიერა განათლების სფეროზე კონტროლი, დაიწყო ბელადის კულტის დანერგვა, შექმნა რეპრესიული მანქანა.

საბჭოთა პროპაგანდა, რომელიც მიზნად ისახავდა ,,ახალი ადამიანის'' ფორმირებას, 1920-იან წლებში ასე თუ ისე იტანდა კრიტიკულ აზრს, 30-იანი წლებიდან კი მისდამი სრული შეურიგებლობა გამოცხადდა. რეპრესიები საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში დაიწყო, მაგრამ არნახულ მაშტაბს მიაღწია 1930-იან წლებში, მას შემდეგ, რაც საქართველოს კომუნისტური მთავრობის ხელმძღვანელობა ლავრენტი ბერიამ ჩაიბარა.

განსაკუთრებით გაძლიერდა რეპრესიები 1937 წელს. ყველა, ვინც პარტიული ხელმძღვანელების ეჭვს იწვევდა, ,,ხალხის მტრად'' ცხადდებოდა. ,,ხალხის მტერი'' _ ამ იარლიყის მიწებებით ფიზიკურად, მატერიალურად და მორალურად ნადგურდებოდა ათი ათასობით ოჯახი. ასეთი ოჯახების წევრებისათვის დახშული იყო სახელმწიფო დაწესებულებების კარები, მათ არ იღებდნენ სასწავლებლად უმაღლეს სასწავლებლებში.

იმდროინდელი გაზეთების ნომრებში თითქმის ყოველდღიურად იბეჭდებოდა საბრალდებო დასკვნები მორიგი მსხვერპლის მისამართით და მშრომელთა კოლექტიური გამოხმაურებები.

XX საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიების მსხვერპლნი გახდნენ: მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი, ლიტერატურათმცოდნე ვახტანგ კოტეტიშვილი, პოეტები _ ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, დირიჟორი ევგენი მიქელაძე, რეჟისორი სანდრო ახმეტელი, მხატვარი პეტრე ოცხელი. გარდა ამისა 30-იანი წლების რეპრესიებს შეეწირნენ თვით კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებიც: მამია ორახელაშვილი, ბუდუ მდივანი, მიხეილ კახიანი და სხვა.

<u>მეორე მსოფლიო ომის დაწყების მიზეზები.</u> მეორე მსოფლიო ომი (1939-1945 წწ) ფაქტობრივად იმ წინააღმდეგობებზე აღმოცენდა, რომელიც I-მა მსოფლიო ომმა (1914-1918 წწ) დატოვა. I მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის საერთაშორისო ურთიერთობები იმით დამთავრდა, რომ 30-იანი წწ-ის შუა ხანებისათვის ჩამოყალიბდა გერმანია-იტალია-იაპონიის სამხედრო პოლიტიკური კავშირი. ასეთ ვითარებაში, 1939 წელს, უშედეგოდ დამთავრდა ინგლის-საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნის ცდა. ევროპაში ანტიგერმანული კოალიციის შექმნის მცდელობის ჩაშლის შემდეგ გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა ერთმანეთთან მორიგება არჩიეს. 1939 წლის 23 აგვისტოს მოსკოვში ხელი მოაწერეს გერმანია-საბჭოთა კავშირის თავდაუსხმელობის პაქტს 10 წლის ვადით. პაქტის ძალით გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა გავლენის სფეროები გადაინაწილეს. ანტიგერმანული კოალიციის ჩაშლამ და საბჭოთა კავშირთან დადებულმა თავდაუსხმელობის პაქტმა ხელ-ფეხი გაუხსნა გერმანიას. აგრესიული გეგმების განხორციელებაში შეუზღუდავი რჩებოდა საბჭოთა კავშირიც. 1939 წლის 1 სექტემბერს გერმანია თავს დაესხა პოლონეთს. 3 სექტემბერს მოკავშირეზე თავდასხმის საპასუხოდ ინგლისმა და საფრანგეთმა ომი გამოუცხადეს გერმანიას. ასე დაიწყო II მსოფლიო ომი. გერმანიას პოლონეთის დაპყრობა ჯერ კიდევ დამთავრებული არ ჰქონდა, როცა 1939 წლის სექტემბერში საბჭოთა კავშირმა პოლონეთის აღმოსავლეთი ოლქების (დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის) ოკუპაცია მოახდინა. საბჭოთა კავშირის მხრიდან ნეიტრალიტეტის პირობებში 1940 წელს გერმანიამ საფრანგეთი დაიპყრო, თუმც ვერ მოახერხა ინგლისის დამარცხება. თავის აგრესიულ მისწრაფებას ახორციელებდა საბჭოთა კავშირიც, რომელმაც 1940 წელს ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოები დაიპყრო. გერმანიისა და საბჭოთა კავშირის შეთანხმება მტკიცე და ხაგრძლივი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ინგლისთან ომში ადოლფ ჰიტლერმა იოსებ სტალინისაგან დაპირებული დახმარება ვერ მიიღო და 1940 წლის დასასრულისათვის გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაც დაიძაბა. ჰიტლერმა გადაწყვიტა ინგლისთან ომში გამარჯვებამდე დაემარცხებინა საბჭოთა კავშირი. სტალინს შექმნილ სიტუაციაში იმის იმედი ჰქონდა, რომ აშშ-თან დაპირისპირებული იაპონია 1940 წელს საბჭოთა კავშირისათვის დაპირებულ ნეიტრალიტეტს არ დაარღვევდა და საბჭოთა კავშირს ორ ფრონტზე (გერმანიასთან და იაპონიასთან) ომმი არ მოუხდებოდა.

<u>გერმანიის თავდასხმა საბჭოთა კავშირზე, საქართველო სამამულო ომის საწყის ეტაპზე.</u> 1941 წლის 22 ივნისს გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. ეს ომი საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ სამამულო ომად გამოაცხადა. საბჭოთა კომუნისტური იდეოლოგია მიიჩნევდა, რომ ომი სამამულო იყო არა მარტო რუსი ერისათვის, არამედ რუსეთის მიერ დაპყრობილი და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ძალით გაერთიანებული ერების, მათ შორის ქართველებისათვისაც.

1941 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე წარმოებულ ბრძოლებში გერმანიამ დიდ წარმატებებს მიაღწია. დაიპყრო ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ბელორუსია, თითქმის მთელი უკრაინა, მოლდავეთი, რუსეთის ფედერაციის დასავლეთი ოლქები. გერმანელები მიუახლოვდნენ მოსკოვსა და ლენინგრადს. ომის დაწყებიდან მალე, 1941 წლის 30 ივნისს, შეიქმნა საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი იოსებ სტალინის თავმჯდომარეობით. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ხელში გადავიდა მთელი სახელმწიფო ხელისუფლება.

გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის პირველი დღეებიდანვე საქართველოში, მოსკოვის დირექტივების თანახმად, დაიწყო სამხედრო-სამობილიზაციო ღონისძიებების გატარება. ომის დაწყებიდან სულ რაღაც ერთი კვირის განმავლობაში ფრონტზე გაიგზავნა დაახლოებით 100 000 ადამიანი, მათ შორის რამდენიმე ათასი ქალი. 1942 წლის გაზაფხულისათვის კი საქართველოდან ფრონტზე მობილიზებული იყო 350 000-ზე მეტი ადამიანი. ფრონტზე გაწვევა ჩვენი ქვეყნიდან არც ომის შემდგომ ეტაპზე შეწყვეტილა.

მძიმე გამოდგა საქართველოსათვის ეკონომიკის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნა. ომის დაწყების შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ისეთი წიაღისეულის მოპოვებას, რომელიც აუცილებელი იყო სამხედრო ინდუსტრიისათვის. კერძოდ გაიზარდა მანგანუმის, ქვანახშირის, ნავთობის, თეთრი დარიშხანისა და სხვათა მოპოვება. დიდი დატვირთვით ამუშავდა ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხანა. თბილისის ფაბრიკა-ქარხნებისა და სხვა საწარმოების უმრავლესობას დაევალა სამხედრო შეიარაღებებისა (პისტოლეტები, ავტომატები, ტყვიამფრქვევები, ნაღმსატყორცნები და სხვა) და სამხედრო საჭურვლის (ვაზნები, ყუმბარები და სხვა) წარმოება. 1941 წელს თბილისში ამოქმედდა საავიაციო ქარხანა, რომელიც ავიაგამანადგურებლებს უშვებდა.

ომის პირველსავე თვეებში საქართველოში საბჭოთა კავშირის დასავლეთი რაიონებიდან, რომელთაც ოკუპაციის საფრთხე ემუქრებოდათ, ათასობით ლტოლვილი საქართველოში გადმოიყვანეს. ძალზე გაძნელდა ჩამოსულთა ბინით, სამუშაო ადგილითა და სურსათით უზრუნველყოფა. სოფლის მოსახლეობა თითქმის შიმშილობდა. ქალაქადაც და სოფლადაც გაჩნდა დიდი დეფიციტი პირველადი მოხმარების საგნებზე.

გერმანია-საბჭოთა კავშირის ომმა უკვე პირველივე თვეებიდანვე ძალზე დაამძიმა ეკონომიკური და სოციალური ვითარება საქართველოში.

<u>ქართველები გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის ფრონტებზე, პარტიზანულსა და ევროპის წინააღმდეგობის მოძრაობაში.</u> გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის დაწყების მომენტისათვის ათასობით ქართველი სავალდებულო სამხედრო სამსახურს გადიოდა საბჭოთა არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტში. მათ დაემატა ომის პირველ ხანებში მობილიზაციით ფრონტზე გაწვეულები. ასე რომ 1941 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე მძიმე თავდაცვით ბრძოლებში ათეულ ათასობით ქართველი მონაწილეობდა.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ გერმანიასთან ომის დაწყების შემდეგ დაიწყო ეროვნული სამხედრო ფორმირებების შექმნა. 1942 წლის დამლევამდე შეიქმნა 3 ქართული დივიზია. რომლებმაც მძიმე ბრძოლები გადაიტანეს ყირიმის ნახევარკუნძულზე, კავკასიის დაცვისთვის წარმოებულ ბრძოლებში და ომის სხვა ფრონტებზე. კავკასიის დაცვისათვის ბრძოლებში განსაკუთებით გამოიჩინა თავი არმიის სარდალმა გენერალმა კონსტანტინე ლესელიძემ. მასთან ერთად ომის წლებში სახელი გაითქვეს გენერლებმა ვლადიმერ ნანეიშვილმა, პორფირე ჩანჩიბაძემ, ერმალოზ კობერიძემ და მრავალმა სხვამ. ქართველი ჯარისკაცებისა და ოფიცრების დიდმა ნაწილმა სახელი გაითქვა მოსკოვისა (1941-1942 წწ.) და ლენინგრადის დაცვაში (1941-1943 წწ.). მათ სახელი გაითქვეს აგრეთვე სტალინგრადთან (1942 წ.) და კურსკთან (1943 წ.) გამართულ ბრძოლებში, აგრეთვე გერმანიის მიერ ოკუპირებული საბჭოთა ტერიტორიის განთავისუფლებაში (1943-1944 წწ.), გერმანიის საბოლოო დამარცხებისათვის წარმოებულ ბრძოლებში (1944-1945 წწ.), და ბოლოს, ბერლინის ოპერაციაში (1945 წლის აპრილ-მაისი). აღსანიშნავია, რომ ბერლინის აღების დროს გერმანიის რაიხსტაგის (პარლამენტის) შენობაზე საბჭოთა წითელი დროშა აღმართეს რუსმა ეგოროვმა და ქართველმა მიხეილ ქანთარიამ.

1941 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე, გერმანიის წარმატებული შეტევის პერიოდში, საბჭოთა არმიის ერთი ნაწილი ალყაში მოხდა. ჯარისკაცები და ოფიცრები, რომელთაც თავი ვერ დააღწიეს ალყას, პარტიზანულ ბრძოლებზე გადავიდნენ. მათ შორის იყვნენ ქართველებიც. ალყაში მოხვედრილი საბჭოთა არმიის ჯარისკაცებისა და ოფიცრების დიდი ნაწილი ტყვედ ჩავარდა. სხვადასვა დროს საბჭოთა კავშირის ოკუპირებულ ტერიტორიაზე გერმანელთა მიერ შექმნილი ტყვეთა ბანაკებიდან გაქცეულებმა ასევე შექმნეს პარტიზანული რაზმები. ამ რაზმებშიც დიდი რაოდენობით იყვნენ ქართველები. საბოლოო ჯამში, 1942-1944 წლებში უკრაინის, ბელორუსიის და რუსეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ბევრი ქართველი პარტიზანი აღმოჩნდა. უკრაინაში წარმოებულ პარტიზანულ ბრძოლებში სახელი გაითქვა დავით ბაქრაძემ, ბელორუსიაში _ ივანე შუბითიძემ და ვლადიმერ თალაკვაძემ. ქართველი მებრძოლების ნაწილი ევროპის ტერიტორიაზე არსებული ტყვეთა ბანაკებიდან გაიქცა და ჩაება ევროპის ქვეყნებში დაწყებულ წინააღმდეგობის მოძრაობაში. პოლონეთის წინააღმდეგობის მოძრაობაში თავი ისახელეს: ვლადიმერ ძნელაძემ, შალვა კობიაშვილმა და სხვებმა, საფრანგეთის წინააღმდწეგობის მოძრაობაში _ ოთარ იშხნელმა, ნიკოლოზ ტაბაღუამ, სტეფანე ხატიაშვილმა და სხვებმა, იტალიაში _ ფორე მოსულიშვილმა, ნოე კუბლაშვილმა და სხვებმა. ფორე მოსულიშვილი იტალიის ეროვნული გმირიც კი გახდა.

ქართული პოლიტიკური ემიგრაცია ომის წლებში. ქართველები გერმანიის სამხედრო ფორმირებებში . ართული პოლიტიკური ემიგრაცია სხვადასვაგვარად აფასებდა მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდის საერთაშორისო ვითარებას. სოციალ-დემოკრატები (ნოე ჟორდანია, ირაკლი წერეთელი, აკაკი ჩხენკელი, ევგენი გეგეჭკორი და სხვები) გერმანიაში ნაციონალ-სოციალიზმის გაძლიერებას საშიშ მოვლენად განიხილავდნენ. ეროვნულ-დემოკრატები (სპირიდონ კედია, რევაზ გაბაშვილი, ზურაბ ავალიშვილი და სხვა) აღნიშნულ ვითარებას ყურადღებას არ აქცევდნენ და მას არ აფასებდნენ, როგორც გერმანიასთან ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ურთიერთობის შემაფერხებელ მოვლენას.

გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის წლებში ბევრი ქართველი იბრძოდა უშუალოდ გერმანიის არმიასა და გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობას დაქვემდებარებულ სხვადასხვა სამხედრო ფორმირებაში.

1941 წლის ბოლოდან გერმანიის საგარეო დაზვერვის სამსახურმა ქართველი ემიგრანტებისა და ქართველი სამხედრო ტყვეებისაგან დაიწყო სპეციალური სამხედრო ფორმირებების შექმნა. სულ შეიქმნა 2 ბატალიონი _ `თამარ I" და `თამარ II". შემდეგში ასეთი სამხედრო ფორმირებების არსებობა გაუმართლებლად იქნა მიჩნეული. გერმანიის საგარეო დაზვერვის სამსახური მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კავკასიაში საბრძოლველად, ასევე გერმანიის მიერ კავკასიის ოკუპაციის შემდეგ, იქ სამსახურისათვის მიზანშეწონილი იყო სპეციალური სამხედრო ფორმირების _ `ბერგმანის" _ შექმნა. `ბერგმანს" შემდეგ შეუერთდა `თამარ II". `ბერგმანი" ქართველი ემიგრანტებისა და ქართველი სამხედრო ტყვეებისაგან კომპლექტდებოდა. მასში ყველა მნიშვნელოვან თანამდებობაზე გერმანელები ინიშნებოდნენ. იგი არ იყო ქართველთა ეროვნული ფორმირება. კავკასიის მთავარი ქედის მისადგომებთან განცდილი მარცხის შემდეგ (1943 წ.) `ბერგმანს" ძველი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის წლებში, კერძოდ 1941 წლის ბოლოდან და 1942 წლის დამდეგიდან გერმანიის მიერ ოკუპირებულ პოლონეთის ტერიტორიაზე ფორმირებას იწყებს `ქართული ბატალიონი", ე.წ. `ოსტლეგიონი". ამ საქმეს გერმანიის

მხრიდან ერთ პერიოდში კურირებდა გენერალი შალვა მაღლაკელიძე, რომელიც იმხანად გერმანიის სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა. სულ შეიქმნა 7 ქართული ლეგიონი. 2 მათგანი 1942-1943 წლებში გერმანიის სარდლობამ `ბერგმანთან" ერთად კავკასიისათვის ბრძოლებში გამოიყენა. ომის ბოლო ეტაპზე 1 ქართული ბატალიონი გერმანიის სარდლობამ ჰოლანდიის კუნძულ ტექსელზე გადასხა და ინგლისელთა დესანტისაგან კუნძულის დაცვა დაავალა. 1945 წლის მაისის დამდეგს ქართულმა ბატალიონმა კუნძულზე გერმანიის წინააღმდეგ ამბოხება დაიწყო. გერმანელთა დამსჯელი ექსპედიცია სასტიკად გაუსწორდა აჯანყებულ ქართველებს.

<u>ეროვნული მოძრაობა ომის წლებში.</u> გერმანია საბჭოთა კავშირის ომის საწყის პერიოდში (1941 წლის ზაფხული-შემოდგომა) გერმანიის დიდმა გამარჯვებებმა იმედი ჩაუნერგა ეროვნულ ძალებს საქართველოში. გაჩნდა ომში საბჭოთა კავშირის დამარცხებისა და საქართველოს განთავისუფლების იმედი. სასტიკი პოლიტიკური რეჟიმისა და სპეცსამსახურების აგენტურის ფართო ქსელის არსებობის პირობებში ძნელი იყო ეროვნული ძალების გაერთიანება და კონკრეტულ გეგმებზე მსჯელობა. მიუხედავად ამისა, 1941 წლიდანვე ქართული ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები: შალვა ნუცუბიძე, გიორგი წერეთელი, სიმონ ყაუხჩიშვილი და სხვები ერთმანეთს ხვდებიან და იწყებენ სამოქმედო გეგმის შემუშავებას. ამ შემთხვევაში საქმე არ ეხებოდა რუსეთის წინააღმდეგ ქართველი ერის აჯანყებას, ან თუნდაც გერმანიის არმიისადმი რაიმე დახმარების აღმოჩენას. იხილებოდა საქართველოში გერმანიის არმიის შემოჭრის შემთხვევაში საოკუპაციო ხელისუფლებასთან თანამშრომლობის საკითხი. თბილისში მოქმედმა ეროვნულმა ძალებმა სასტიკი რეჟიმის გამო ვერ შეძლეს კავშირის დამყარება ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასთან.

ომის სასწორის საბჭოთა კავშირის მხარეზე გადახრის შემდეგ თბილისში ეროვნულ ძალთა აქტიურობა კლებულობს. 1943 წლის გაზაფხულის შემდეგ შალვა ნუცუბიძის, გიორგი წერეთლისა და მათი თანამოაზრეების მოღვაწეობა პრაქტიკულად შეწყდა.

გერმანია-საბჭოთა კავშირის ომმა გარკვეული იმედი აღუძრა სამშობლოს ბედზე დაფიქრებულ ახალგაზრდობას. განსაკუთრებით აქტიურობდა სტუდენტობა. 1941 წლიდან გიორგი იმერლისშვილი, კონსტანტინე ხიმშიაშვილი და კონსტანტინე ჯოგლიძე იწყებენ საიდუმლო ორგანიზაციის შექმნას. მისი მიზანი საქართველოს განთავისუფლება იყო. ახალგაზრდები ჯერ ისევ აყალიბებდნენ ორგანიზაციას, როცა უშიშროების სამსახურის მიერ ორგანიზაციის რიგებში შეგზავნილმა პროვოკატორმა ისინი გასცა. 1941 წლის დეკემბრიდან დაიწყო დაპატიმრებები, რომელიც 1942 წელსაც გაგრძელდა. 1942 წელს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ტრიბუნალმა საიდუმლო ორგანიზაციის წევრებს: კოტე ხიმშიაშვილს, თურმან შანშიაშვილს, დიმიტრი ბურდიაშვილს, კოტე ჯოგლიძეს (სულ 17 კაცს) დახვრეტა მიუსაჯა. საიდუმლო ორგანიზაციის სხვა წევრები სხვადასხვა ვადით გადაასახლეს.

<u>ომის შედეგები საქართველოსთვის.</u> გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის (1941-1945 წწ.) შედეგები ძალზე მძიმე იყო საქართველოსათვის. 1941 წლის ივნისიდან ფრონტზე გაიწვიეს დაახლოებით 700 000 კაცი. ფრონტზე გაწვეულთა დაახლოებით ნახევარი დაიღუპა. მრავალი კი დაინვალიდდა. ომმა გაუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა ადამიანთა ფსიქიკას.

ომის წლებსა და მომდევნო ხანებში საქართველოში დემოგრაფიული სიტუაცია ქართველთა საზიანოდ შეიცვალა. მოსახლეობის კლება ძირითადად ქართველების ხარჯზე მოხდა. ამას დაემატა ისიც, რომ საქართველოში გაიზარდა არაქართული

მოსახლეობის რაოდენობა. ომის წლებში საქართველოში საბჭოთა კავშირის დასავლეთი რაიონებიდან გადმოყვანილი ლტოვლილების ნაწილი აქვე დარჩა მუდმივ საცხოვრებლად. ომის დამთავრების შემდეგ საქართველოში ასევე მუდმივ საცხოვრებლად ჩამოვიდნენ სამხედრო სამსახურიდან დემობილიზირებულები, რომელთა შორის ძირითადად იყვნენ რუსები და უკრაინელები. ომში დაღუპულთა აბსოლიტური უმრავლესობა 18 წლიდან 45 წლამდე ასაკის მამაკაცი გახლდათ. ამან კი თავისთავად გაართულა დემოგრაფიული სიტუაცია.

დიდად დაზარალდა ქვეყნის ეკონომიკა, რადგანაც ომის წლებში დიდი მასშტაბებით მიმდინარეობდა საქართველოს წიაღისეული სიმდიდრის ექსპლუატაცია. ქვეყანაში იმატა სამხედრო სამრეწველო დანიშნულების ქარხნებმა და საწარმოებმა. ყოველივე ამან საქართველოს ეკონომიკა კიდევ უფრო ძლიერად მიაჯაჭვა რუსეთის ეკონომიკას.

XX საუკუნეს 40-იანი წლების მეორე ნახევრისა და 50-იანი წლების დამდეგის რეპრესიები

საბჭოთა რეჟიმის განსაკუთრებულ თავსატეხს ინტელიგენცია უჩენდა. ინტელიგენცია იყო ის ძალა, რომელსაც შეეძლო საზოგადოებისათვის დაენახვებინა არსებული სისტემის გარდაქმნის აუცილებლობა. 1946 წლის ზაფხულიდან ფართოდ გაიშალა შეტევა იდეოლოგიურ ფრონტზე, რომელსაც გარეგნულად მიეცა ,,მედასავლეთეობის'', დასავლეთის კაპიტალისტური სამყაროს იდეალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის ფორმა. ყოველი თავისუფალი აზრი, რომელიც კომუნისტური იდეოლოგიის ჩარჩოებში არ თავსდებოდა ინათლებოდა მტრულ, ბურჟუაზიულ იდეოლოგიად, ,,საზღვარგარეთის გავლენად'', ,,ქედის მოხრად დასავლეთის წინაშე'' და სხვა. ომის შემდეგ განახლდა იდეოლოგიური რეპრესიები მხატრულ ლიტერატურასა და ხელოვნების სხვადასხვა დარგებში.

ქართველ ინტელიგენციას საბჭოთა ხელისუფლება ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებდა და მას ბურჟუაზიული ,,ნაციონალიზმის'' ბუდედ მიიჩნევდა. დაიწყო ქართულ ინტელიგენციაზე პრაქტიკული ანგარიშწორება. 1948 წელს დააპატიმრეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 11 სტუდენტი. მათგან 9 გაასამართლეს და ყველას 25 წლის ვადით პატიმრობა მიუსაჯეს. მათ ბრალი საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში ედებოდათ. ხელისუფლების მიზანი იყო ეროვნული მოძრაობის პოტენციის დაკნინება და ჩახრშობა, ანტისაბჭოთა სულისკვეთების ლიკვიდაცია.

საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებით საშიში ძალად მიიჩნევდა ყოფილ სამხედრო ტყვეებს, საზღვარგარეთიდან დაბრუნებულებს, ემიგრანტების ნათესავებს. ეს ადამიანები ხომ დიდი ხნით მოსწყდნენ საბჭოთა სინამდვილეს და ფლობდნენ ინფორმაციას დასავლეთის ცხოვრებაზე. მათ შეეძლოთ ამის შესახებ მოეთხროთ თავიანთი ახლობლებისა და ნაცნობებისათვის. 1951 წლის ბოლოსთვის ფარულად შემუშავდა საქართველოდან ამ ადამიანების გადასახლების გეგმა. წინასწარი საიდუმლო მომზადების შემდეგ გადასახლების ოპერაცია ერთი ღამის განმავლობაში, 1951 წლის 25 დეკემბერს განხორციელდა. თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში საგანგებოდ ჩაყენებულ ეშელონებში შეამწყვდიეს 20 000-მდე ადამიანი და შუა აზიასა და ყაზახეთში გადაასახლეს. ამ გადასახლებულთა ნაწილი გზაში დაიღუპა, ნაწილმა კი სიცოცხე შუა აზიასა და ყაზახეთში დაასრულა. გადარჩენილ ნაწილს კი სამშობლოში დაბრუნების უფლება მხოლოდ 1954 წელს მიცეს. საქართველოდან გადასახლებულთა უდიდეს ნაწილს ინტელიგენცია და მათი ოჯახის წევრები შეადგენდნენ.

1951 წლის ბოლოს დაიწყო ე.წ. ,,მეგრელთა საქმე''. რომლის ყველა დეტალი დღესაც არ არის ცნობილი. იგი საიდუმლოდ მომზადდა უშუალოდ იოსებ სტალინის ხელმძღვანელობით. საქმე იმაში იყო, რომ სტალინის მმართველობის ბოლო წლებში ლავრენტი ბერია აშკარად ძალაუფლებისაკენ მიისწრაფოდა. სტალინს კი მისი შეჩერება სურდა. სავარაუდოა, რომ ,,მეგრელთა საქმე'' სწორედ ბერიას წინააღმდეგ მომზადდა.

შეიქმნა არა ერთი ყალბი ბრალდება მეგრული წარმოშობის ხელმძღვანელი მუშაკების წინააღმდეგ. ამ ჯგუფს ბრალად ედებოდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს გამოყოფისა და თურქეთთან შეერთების მისწრაფება, აგრეთვე უცხოეთის დაზვერვასთან კავშირი. დააპატიმრეს მეგრული წარმოშობის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები: მიხეილ ბარამია, ნინო ჟვანია, ალექსანდრე მირცხულავა და სხვანი. აშკარა იყო, რომ ე.წ. `მეგრელთა საქმე" სიყალბე იყო, მაგრამ ტოტალური დიქტატურის პირობებში ხმის ამოღებას ვერავინ ბედავდა. თუმც, აქვე უნდა დავძინოთ, რომ ეს იყო დიქტატორული რეჟიმის მმართველი ელიტის შიგნით გაჩენილი დაპირისპირება და მისი არც ერთ მხარე არ ზრუნავდა საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვაზე.

პოლიტიკური ვითარება და ეროვნული მოძრაობის აღმავლობა 50-60-იან წლებში

1953 წლის 5 მარტს იოსებ სტალინი გარდაიცვალა. დამთავრდა საბჭოთა კავშირის ტოტალიტარული რეჟიმის ეპოქა. დაიწყო ბრძოლა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი თანამდებობისათვის. ჩამოყალიბდა ე.წ. ,,სამეული" (,,ტრიუმვირატი" _ გიორგი მალენკოვი, ლავრენტი ბერია, ნიკიტა ხრუშჩოვი). ხელისუფლებამ სწორედ მათ ხელში მოიყარა თავი. მათ დაიკავეს ქვეყნის ხელმძღვანელობის სამი საკვანძო პოსტი: გიორგი მალენკოვს საბჭოთა კავშირის მინისტრტა საბჭოს თავმჯდომარეობა ერგო, ლავერნტი ბერიას _ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა, ნიკიტა ხრუშჩოვი კი სათავეში ჩაუდგა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

ნიკიტა ხრუშჩოვმა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ჩამოიცილა ლავრენტი ბერია, გიორგი მალენკოვი და სხვები. ის ქვეყნის ერთპიროვნული მმართველი გახდა. ხრუშჩოვმა პოპულისტური გზა აირჩია. მან საბჭოთა კავშირში შემნილი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემები სტალინსა და მის გარემოცვას დააბრალა. მათვე დაბრალდა პოლიტიკური რეპრესიებიც. ხრუშჩოვი უცვლელად ტოვებდა 20-30-იან წლებში დამკვიდრბულ დიქტატორულ რეჟიმს და ტოტალიტარულ სისტემას. ის მხოლოდ მის გარეგნულ შელამაზებას ცდილობდა. ხრუშჩოვის მიერ სტალინის პიროვნების კრიტიკამ ფართო ხასიათი მიიღო. ეს კრიტიკა ქართველი ერის ლანძღვასა და დამცირებაში გადაიზარდა. ხელისუფლება სტალინის კრიტიკას ისე აწვდიდა ხალხს თითქოს სტალინის მიერ განხორციელებულ რეპრესიებში მნიშვნელოვან როლს ქართული ფენომენი ასრულებდა. ბუნებრივია, ეს სრული სიცრუე იყო, რადგან 30-იანი და შემდგომი წლების რეპრესიების დროს საქართველო არც ერთ რესპუბლიკაზე ნაკლებად არ დაზარალებულა.

ამიტომაც სრულიად სამართლიანად აღიქვა ქართველმა ახალგაზრდობამ, რომ სტალინის კრიტიკა მათი ეროვნული ღირსების დამცირება იყო. საქართველოში საპროტესტო მოძრაობა იოსებ სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავზე დაიწყო. 1956 წლის 3 მარტიდან თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში იმართებოდა ცალკეული მანიფესტაციები, რომლებიც სწარაფად იღებდა საყოველთაო ხასიათს. 5 მარტს სტუდენტები ქუჩაში გამოვიდნენ. მათ თბილისის მოსახლეობამაც აუბა მხარი. 1956 წლის 5-9 მარტს მიტინგებმა და დემონსტაციებმა უწყვეტი ხასიათი მიიღო, საპროტესტო მოძრაობა მოედო მთელს საქართველოს.

მომიტინგეები მოითხოვდნენ: იოსებ სტალინის კრიტიკისა და ქართველი ერის შეურაცყოფის შეწყვეტას; ხრუშჩოვის გადადგომას და მოლოტოვის სათავეში მოსვლას. 1956 წლის 9 მარტს, ღამით, თბილისის ცენტრში საბჭოთა არმიის ნაწილებმა ტანკების გამოყენებით იერიში მიიტანეს დემონსტრანტებზე. მათ 150-ზე მეტი ახლგაზრდა მოკლეს და მრავალი დაჭრეს.

ამ ტრაგედიამ ძლიერი ბიძგი მისცა ქართული საზოგადოების ცნობიერებას. დაიწყო ეროვნული მოძრაობის ახალი ეტაპი, რომლის მიზანი საქართველოს განთავისუფლება იყო. საქართველოში გაჩნდა არალეგალური ორგანიზაციები და არარეგალური გამოცემები. 50-იან წლებში ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ინიციატივით ჩამოყალიბდა არალეგალური ორგანიზაცია ,,გორგასლიანი", რომლის მიზანს წარმოადგენდა ხალხში ეროვნული თავისუფლებისაკეს მისწრაფების გაღვიძება და გაღვივება. ასეთივე არალეგალური ორგანიზაცია იყო ,,სიღნაღის ახალგაზრდა გვარდია",

რომელიც 1956 წელ სიღნაღში შეიქმნა. მან არალეგალურად ჟურნალ `სიმების'' რამდენიმე ნომერიც კი გამოსცა.

არალეგალური ორგანიზაციები იქმნებოდა XX საუკუნის 60-იან წლებშიც. თბილისში ჩამოყალიბდა ,,სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი კავშირი''. ორგანიზაციის უშუალო ამოცანად საქართველოს განთავისუფლება და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა იყო.

ამრიგად, 1956 წლის ტრაგედიის შემდეგ შექმნილი არალეგალური ორგანიზაციების პროგრამები და პრაქტიკული მოღვაწეობა ცხადყობს, რომ ეროვნული მოძრაობა გრძელდებოდა და ამზადებდა ნიადაგს დიდი გამარჯვებისათვის.

საქართველოს ეკონომიკური განვითარება 1965-1985 წლებში

ხრუშოვის შემდეგ სკკპ ცკ-ის პირველ მდივნად აირჩიეს ლეონიდ ბრეჟნევი (1965-1982 წწ.). მან 1967 წელს გამოაცხადა, რომ საბჭოთA კავშირში შენდებოდა `განვითარებული სოციალიზმი'', რომელიც შემდეგ გადაიზრდებოდა კომუნიზმში. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ალექსეი კოსიგინმა ქვეყანაში დაიწყო რეფორმები, მაგრამ ის წარუმატებელი აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა ბრეჟნევისთვის მთავარი იყო შექმნილი მდგომარეობის შენარჩუნება, რაც `უძრაობად'' გადაიქცა.

სწოედ ამიტომაც, 1965-1985 წლები, საბჭოთა კავშირში ,,უძრაობის'' პერიოდის სახელითაა ცნობილი. საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელისუფლების ცდა_ეკონომიკური რეფორმებით როგორმე მიეღწია სახალხო მეურნეობის სტაბილური განვითარებისა და აღმავლობისათვის, უშედეგოდ იყო. ქვეყანაში არსებულმა ერთპარტიულმა და დიქტატორულმა მმართველობამ, რომელსაც ემატებოდა დემოკრატიული ელემენტების ნაკლებობა ეკონომიკური რეფორმების განხორციელება შეუძლებელი გახადა. შენელდა საბჭოთა კავშირის ეკონომიკური განვითარების ტემპები. ქვეყნის წინაშე სულ უფრო მწვავედ იდგა სოციალური პრობლემები: დაბალი ხელფასები, გადაუჭრელი საბინაო საკითხები, ფართო მოხმარების საგნების დეფიციტი და სხვა. ყოველივე ამის გამო მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა დღითი-დღე უარესდებოდა. ამას მოჰყვა შედეგად ის, რომ საზოგადოებამ დაკარგა ხელისუფლების რწმენა.

XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან საბჭოთა კავშირი მძიმე პოლიტიკური კრიზისის წინაშე იდგა. ეს ერთი მხრივ იმაში გამოიხატა, რომ ხელისუფლება სრულიად უძლური აღმოჩნდა ქვეყნის წინაშე მდგომი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრაში. მეორეს მხრივ ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში ფეხი მოიკიდა კორუფციამ, სიყალბემ და ბიუროკრატიამ.

ამას დაემატა საბჭოთა კავშირის საგარეო მდგომარეობის გაუარესება. რომელიც გამოიწვია XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის მიერ გატარებულმა არასწორმა საგარეო პლიტიკამ. მას უაღრესად არასასურვლი შედეგები მოყვა. გაძლიერდა დაძაბულობა დასავლეთთან. პირველ რიგში კი აშშ-სთან. განახლდა ატომური და ტექნოლოგიური უპირატესობისათვის შეჯიბრი. ეს მოითხოვდა უზარმაზარ სახსრებს. საბჭოთა კავშირში ყველაფერი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს ხმარდებოდა. რამაც კიდევ უფრო თვალში საცემი გახადა ქვეყნის ეკონომიკური პრობლემები.

დაინგრა მითი საბჭოთა კავშირის მშვიდობის მოყვარეობის შესახებ. 1979 წელს საბჭოთა კავშირის უზარმაზარი არმია შეიჭრა ავღანეთში. თითქოს და ავღანეთის დაცვის მიზნით. სინამდვილეში ეს იყო საბჭოთა იმპერიის დამპყრობლური ომი. ომმა შთანთქა ქვეყნის ისედაც შესუსტებული მატერიალური რესურსები და შეიწირა ათიათასობით ადამიანის სიცოცხლე.

1982 წელს გარდაიცვალა ლეონიდ ბრეჟნევი. მისი გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირისა და პარტიის სათავეში მოვიდა ჯერ იური ანდროპოვი და შემდეგ კონსტანტინე ჩერნენკო. მათი მართველობის ხანამ 3 წელიწადზე მეტ ხანს ვერ გასტანა. რადგან ისინი მოხუცებული იყვნენ და მალე გარდაიცვალნენ.

XX საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანიდან საბჭოთა კავშირში დაიწყო მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც ისტორიაში ,,გარდაქმნის" სახელწოდებთ არის ცნობილი. გარდაქმნა ითვალისწინებდა საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ლიბერალიზაციას. მის გამტარებლად გვევლინება მიხეილ გორბაჩოვი, რომელიც საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ლიდერი გახდა 1985 წლიდან. საბოლოო ჯამში გარდაქმნის კურსმაც განიცადა კრახი და აშკარა გახდა, რომ საბჭოთა სისტემის სიცოცხლის გახანგრძლივება რეფორმებით შეუძლებელი იყო.

1965 წლიდან საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა შეუდგა ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას. რეფორმები, პირველ რიგში სოფლის მეურნეობაში დაიწყო. რეფორმები გულისხმობდა დაგეგმის სისტემის სრულყოფას და მართვის ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედებას. რეფორმები, რომლებიც მრეწველობაში უნდა გატარებულიყო, მიზნად ისახავდა მხოლოდ დაგეგმვის სისტემის სრულყოფას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგების დაგეგმვა კვლავ მოსკოვიდან ხდებოდა. მოსკოვი კი ყურადღებას არ აქცევდა ისტორიული, ტრადიციული დარგების განვითარებას. მისთვის მთავარი იყო ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების განვითარება. საბჭოთა კავშირში წარმოებული ჩაის 95 % ქართულ ჩაიზე მოდიოდა. კოლმეურნეთა შემოსავლის მთავარ წყაროდ პირადი, საკარმიდამო მეურნეობა რჩებოდა. აუტანელი მდგომარეობა სოფლად მიზეზი იყო სოფლის მოსახლეობის რიცხვის შემცირებისა, მათი ქალაქად გადინების ხარჯზე.

XX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოს სოფლის მეურნეობაში დაწყებული ეკონომიკური რეფორმები ვერ განხორციელდა. სოფლის მოსახლეობის შემცირებამ ნელ-ნელა გამოიწვია სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიმცირე.

უკეთესი მდგომარეობა არც მრეწველობაში იყო. რეფორმებმა შედეგი ვერ გამოიღო. სამრეწველო საწარმოთა დიდი ნაწილი წამგებიანი რჩებოდა.

საქართველო XX საუკუნის 70-იან წლებსა და 80-იანი წლების პირველ ნახევარში. საბჭოთა სისტემის რღვევის დასაწყისი

XX საუკუნის 70-იანი წლების დამდეგისათვის საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ საჭიროდ ჩათვალა საქართველოში საკადრო ცვლიებების გატარება. 1972 წელს მოსკოვმა გაათავისუფლა ვასილ მჟავანაძე და მის ადგილას _ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულ იქნა ედუარდ შევარდნაძე. მოგვიანებით შეიცვალა საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელობაც.

ახალ ხელმძღვანელობას ერთ-ერთ ასეთ უპირველეს გზად მიაჩნდა მასებში კომუნისტური პარტიის მუშაობის გაძლიერება. მეორე უმნიშვნელოვანეს გზად მიაჩნდა ,,გადამწყვეტი" ბრძოლა საზოგადოებრივი ცხოვრების ე.წ. ნეგატიურ მოვლენებთან (მავნე ტრადიციებთან და კერძო მესაკუთრულ ტენდენციებთან). XX ს-ის 70-80-იან წლებში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლამ უზარმაზარი ფიზიკური და სულიერი ძალები შეიწირა. შედეგი კი საწინააღმდეგო მოყვა.

1965-1985 წლებში ,,უძრაობის" პერიოდის სახელითაა ცნობილი. საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელისუფლების ცდა _ ეკონომიკური რეფორმებით მიეღწია სახალხო მეურნეობის სტაბილური განვითარებისა დ აღმავლობისათვის, უშედეგოდ დამთავრდა. მთელმა რიგმა ობიექტურმა თუ სუბიექტურმა მიზეზებმა ეკონომიკური რეფორმების განხორციელება შეუძლებელი გახადა. შენელდა საბჭოთა კავშირის ეკონომიკური განვითარების ტემპები. მწვავედ იდგა სოციალური პრობლემები: დაბალი ხელფასები, გადაუჭრელი საბინაო საკითხები, ფართო მოხმარების საგნების დეფიციტი და სხვა. ყოველივე ამის გამო მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა დღითი-დღე უარესდებოდა. საზოგადოებამ დაკარგა ხელისუფლების რწმენა.

საბჭოთა კავშირი მძიმე პოლიტიკური კრიზისის წინაშე იდგა. ეს ერთი მხრივ იმაში გამოიხატა, რომ ხელისუფლება სრულიად უძლური აღმოჩნდა ქვეყნის წინაშე მდგომი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრაში. მეორეს მხრივ ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში ფეხი მოიკიდა კორუფციამ და სიყალბემ. არნახულ დონეს მიაღწია ბიუროკრატიზმმა ცენტრსა და ადგილებზე. უმაღლეს ნომენკლატურულ თანამდებობეს იკავებდნენ ახლობლობის, ნათესაობის მიხედვით.

გაუარესდა საბჭოთა კავშირის საგარეო მდგომარეობაც. XX ს-ის 70-იანი წწ-ის ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის მიერ გატარებულ საგარეო პოლიტიკას უაღრესად არასასურვლი შედეგები მოჰყვა. გაძლიერდა დაძაბულობა დასავლეთთან, პირველ რიგში კი აშშ-სთან. განახლდა ატომური და ტექნოლოგიური უპირატესობისათვის შეჯიბრი. ეს მოითხოვდა უზარმაზარ სახსრებს. საბჭოთა კავშირში ყველაფერი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს ხმარდებოდა.

დაინგრა მითი იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა კავშირი იყო მსოფლიოში ყველაზე მშვიდობისმოყვარე. 1979 წელს საბჭოთა კავშირის უზარმაზარი არმია შეიჭრა ავღანეთში, თითქოსდა მისი დაცვის მიზნით. სინამდვილეში ეს იყო საბჭოთა იმპერიის დამპყრობლური ომი. ომმა შთანთქა ქვეყნის მატერიალური რესურსები და შეიწირა ათიათასობით ადამიანის სიცოცხლე. ავღანეთში დაიღუპა მრავალი ქართველი.

XX საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანიდან საბჭოთა კავშირში დაიწყო მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელმაც ისტორიაში მიიღო ,,გარდაქმნის'' სახელწოდება. გარდაქმნა ითვალისწინებდა საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ლიბერალიზაციას. მის გამტარებლად გვევლინება მიხეილ გორბაჩოვი, რომელიც საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ლიდერი გახდა 1985 წლიდან. საბოლოო ჯამში გარდაქმნის კურსმა კრახი განიცადა. საბჭოთა სისტემის სიცოცხლის გახანგრძლივება რეფორმებით შეუძლებელი იყო. გორბაჩოვმა ქვეყნისთვის კატასროფის თავიდან აცილების მიზნით მოხსნა კომუნისტური იდეოლოგიური წნეხი, რასაც მაშინვე მოჰყვა საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებში ეროვნული მოძრაობის დაწყება _ ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნით.

1990 წლიდან საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების სათავაში ზოგან დისიდენტები მოვიდნენ. ადგილიბრივი ორგანოების არჩევნების შემდეგ დაიწყო რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესი. დამოუკიდებლობის შესახებ დეკლარაცია ყველა რესპუბლიკამ, მათ შორის რსფსრ-მაც მიიღო.

ქვეყნის ხელმძღვანელობამ საბჭოთა კავშირის შენარჩუნება სცადა ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებით, რომელიც ფედერაციულ საწყისებზე უნდა აგებულიყო და ყველა რესპუბლიკისათვის თანაბარი პირობები უნდა შეექმნა. მაგრამ, კონსერვატორებისათვის ის მიუღებელი იყო. ისინი კარგავდნენ ძალაუფლებას და პრივილეგიებს. 1991 წლის აგვისტოში მათ სცადეს ამბოხების მოწყობა. მათ დამარცხებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ბორის ელცინს. პუტჩმა კიდევ უფრო დააჩქარა საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესი. გორბაჩოვმა უარი თქვა სკკპ ცკ-ის გენერალური მდივნის თანამდებობაზე და დაშალა ცენტრალური კომიტეტი.

მან სცადა მოკავშირე რესპუბლიკებთან კიდევ უფრო კომპრომისული ვარიანტის სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება, მაგრამ უშედეგოდ.

1991 წლის 8 დეკემბერს ბრესტთან ბელოვეჟის ნაკრძალში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა, უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კრავჩუკმა და ბელორუსის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ სერგეი შუშკევიჩმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომლის ძალითაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა შეწყვიტა არსებობა.

იმავე 1991 წლის 21 დეკემბერს ალმა-ათაში ბელოვეჟის შეთანხმების მხარდასაჭერად მიღებულ დეკლარაციას ხელი მოაწერა 11 დამოუკიდებელი სახელმწიფოს მეთაურმა. რომლის თანახმადაც შეიქმნა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ). 25 დეკემბერს მიხეილ გორბაჩოვი გადადგა არარსებული სახელმწიფოს პრეზიდენტის თანამდებობიდან

საერთაშორისო თანამეგობრობამ სცნო ყველა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

ეროვნულ-დისიდენტური მოძრაობა

1973-1975 წლებში ჟენევაში მიმდინარეობდა ,,ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის'' მონაწილე სახელმწიფოების თათბირი, რომლის მესამე ეტაპი გაიმართა ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში (დასრულდა 1975 წლის 1 აგვისტოს). ევროპის ქვეყნების, აშშ-სა და კანადის ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს თათბირის დასკვნით აქტს (ხელი მოაწერა სულ 35-მა სახელმწიფომ). ამ დოკუმენტის პირველ კარში ჩამოყალიბებული იყო ის პრინციპები, რომლითაც ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები იხელმძღვანელებდნენ ერთმანეთთან უყრთიერთობის დროს (სულ იყო 10 ძირითადი პრინციპი). ეს პრინციპებია: სუვერენული თანასწორობა, ერთა თვითგამორკვევის უფლება, ძალის გამოუყენებლობა, საზღვრების ურღვეობა, სახელმწიფოთა ტერიტორიეული მთლიანობა, დავის მშვიდობიანი მოწესრიგება, სახელმწიფოთა შინაგან საქმეებში ჩაურევლობა, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა, საერთაშორისო სამართლის სავალდებულო ნორმების დაცვა.

საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოების წარმომადგენლებმაც მოაწერეს ხელი ჰელსინკის ხელშეკრულებას. მათთვის განსაკუთრებით არასასურველი იყო ამ დოკუმენტის ერთ-ერთი პრინციპი, რომელიც ითვალისწინებდა ადამიანის უფლებების, აზრის, სინდისის, რელიგიის, რწმენის თავისუფლების პატივისცემას. აგრეთვე ხალხთა თანასწორუფლებიანობასა და საკუთარი ბედის გამგებლობის უფლებას.

ადამიანის უფლებებისა და მისი დაცვის ვალდებულებების აღიარებამ მსოფლიოს წინაშე საბჭოთა კავშირის კომუნისტური ხელისუფლება იძულებული გახადა შერიგებოდა პირველი არაკომუნისტური ორგანიზაციების შექმნას. საბჭოთა კავშირის რიგ ქალაქებსა და რესპუბლიკებში წარმოიქმნა ადამიანის უფლებათა დამცველი ჯგუფები, ორგანიზაციები _ ე.წ. ჰელსინკის ჯგუფები. ასე აღმოცენდა საბჭოთა კავშირში დისიდენტური მოძრაობა. ჰელსინკის ჯგუფები ინფორმაციას ავრცელებდნენ საკუთარი მთავრობისა და ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ. ეს ინფორმაცია მსოფლიოს ქვეყნებს მიეწოდებოდა.

ჰელსინკში დაწყებულმა მნიშვნელოვანმა პროცესებმა გაგრძელება ჰპოვეს ,,ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის'' შემდეგ კონფერეციებზე, რომლებიც გაიმართა ბელგრადში (1977 წ.), მადრიდში (1980-1983 წწ.), ვენაში (1986 წ.) და პარიზში (1990წ.).

1976 წელს საქართველოში შეიქმნა ,,ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი''. რომელმაც იმავე წელს ოფიციალურად დააარსა ,,ჰელსინკის ჯგუფი''. 1989 წელს ჯგუფს ,,ჰელსინკის კავშირი'' ეწოდა. ჰელსინკის ჯგუფში შედიოდნენ ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვიქტორ რცხილაძე, ბეგო ბეჟუაშვილი და სხვ. 1976 წელს საქართველოს ჰელსინკის ჯგუფმა ზვიად გამსახურდიას რედაქტორობით გამოსცა ჟურნალ ,,საქართველოს მოამბის'' პირველი ნომერი. შემდგომში ჯგუფმა გამოსცა ხელნაწერი ჟურნალები: ,,ოქროს საწმისი'', `საღვთისმეტყველო კრებული'' და სხვ. ქართველი დისიდენტების წერილები იბეჭდებოდა რუსულ დისიდენტურ გამოცემებში და საზღვარგარეთულ პრესაში. აღნიშნულ გამოცემებში ჰელსინკის ჯგუფი ამხელდა საქართველოში მიმდინარე ანტიეროვნულ პროცესებს, იცავდა ქართველი ერის ინტერესებს, ენას, კულტურის ძეგლებს, აგრეთვე დევნილთა და პოლიტპატიმართა უფლებებს და სხვა.

ჰელსინკის ჯგუფის საქმიანობამ ხელისუფლების მწვავე კრიტიკა დაიმსახურა. 1978 წლის მაისში ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა დააპატიმრეს და გაასამართლეს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი არ იყო მრავალრიცხოვანი, მისმა საქმიანობამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე _ ქართველ ინტელიგენციასა და სტუდენტ ახალგაზრდობის ეროვნულ-პოლიტიკურ შეხედულებებზე.

ქართველ ინტელიგენციასა და სტუდენტ ახალგაზრდობაში პატრიოტული განწყობილების სიძლიერე ცხადად დაადასტურა 1978 წლის აპრილის მოვლენებმა.

1978 წელს საქართველოში უნდა მიეღოთ ახალი კონსტიტუცია. ძველისაგან განხვავებით ახალი კონსტიტუციის პროექტში ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი აღარ ჰქონდა მინიჭებული. ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის შესანარჩუნებლად აღდგა ქართველი სტუდენტობა და ინტელიგენციის პატრიოტულად განწყობილი ნაწილი. კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს ქართული ენის დაცვის მიზნით საზოგადოების დარაზმვაში დიდი წვლილი შეიტანა ცნობილმა კრიტიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ აკაკი ბაქრაძემ.

1978 წლის 12 აპრილიდან თბილისში დაიწყო დემონსტრაციები და მიტინგები. მათში მონაწილეობას იღებდნენ დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები და საშუალო სკოლათა უფროსი კლასების მოსწავლეები. დემონსტრაციებს ხელმძღვანელობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები (თამარ ჩხეიძე, მარიამ ბაღდავაძე და სხვები.). 14 აპრილს სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ თავი მოიყარა ათასობით სტუდენტმა. მათ შორის იყვნენ პროფეროს-მასწავლებლები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. დემონსტრაცია მთავრობის სახლისკენ დაიძრა. მას გზად სხვა უმაღლესი სასწავლებლების ათასობით სტუდენტი და სკოლის მოსწავლე შეუერთდა. მთავრობის სახლის წინ ათიათასობით დემონსტრანტმა მოიყარა თავი. მათი მტკიცე მოთხოვნა იყო ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის აღდგენა.

რესპუბლიკის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ უდიდესი ტაქტი და პასუხისმგებლობა გამოიჩინა. გამორიცხული არ იყო, რომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას გადაწყვეტილება მიეღო მომიტინგეთა სამხედრო გზით დაშლის შესახებ, მაგრამ ამჯერად მოსკოვმა დათმობა ამჯობინა _ ახალ კონსტიტუციაში ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი აღდგა. ეს იყო ეროვნული მოძრაობის დიდი გამარჯვება.

1992 წელს საქართველოც შეუერთდა ჰელსინკის პროცესს.

ეროვნული მოძრაობის აღმავლობა საქართველოში. 1989 წლის 9 აპრილი

საბჭოთა კავშირში დაწყებული გარდაქმნის პროცესი, უპირველეს ყოვლისა, საჯაროობის კურსის გატარებას ნიშნავდა. გზა უნდა გაეხსნათ აზრის, შეხედულებების თავისუფლად გამოთქმისათვის, დასაბუთებისათვის. საჯაროობის პრინციპმა ხელი შეუწყო საზოგადოებრივი აზრის თავისუფლებას. დაიწყო სხვადასვა მიზნების და შეხედულებების გამომხატველი პოლიტიკური ჯგუფებისა და ორგანიზაციების ჩამოყალიბება.

საქართველოში ერთ-ერთი პირველი პოლიტიკური ორგანიზაცია _ ილია ჭავჭავაძის საზოგადოება _ შეიქმნა 1987 წელს. საზოგადოების მიზანი იყო ბრძოლა საქართველოს თავისუფლებისათვის, დემოკრატიისა და კაპიტალისტური ეკონომიკისათვის. ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში თავი მოიყარა მომავალში არა ერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერმა. 1988-1989 წლებში სამოღვაწეო არენაზე გამოვიდნენ: ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, ეროვნული სამართლიანობის კავშირი, სახალხო ფრონტი, წმინდა ილია მართლის საზოგადოება, შოთა რუსთაველის საზოგადოება, საქართველოს მწვანეთა პარტია და სხვა. ზოგიერთი პოლიტიკური პარტია ადრე იყო შექნილი და ახლა მათ ლეგალური საქმიანობის შესაძლებლობა მიეცათ. ასეთი პარტიები იყვნენ: რესპუბლიკური პარტია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და სხვა. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ ახალგაზრდა ძალები. ზვიად გამსახურდიასთან და მერაბ

კოსტავასთან ერთად ეროვნულ მოძრაობაში წამყვან როლს ასრულებდნენ: ირაკლი შენგელაია, თამარ ჩხეიძე, გიორგი ჭანტურია, ირაკლი წერეთელი, ირაკლი ბათიაშვილი და სხვები. ეროვნული მოძრაობა ძლიერდებოდა ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში და სხვა ქალაქებში.

ეროვნულმა მოძრაობამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო 1988 წლიდან. ამ წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა დავით-გარეჯის მუზეუმ-ნაკრძალის მიმდებარე ტერიტორიიდან საბჭოთა ძალების საარტილერიო პოლიგონის გადატანა მოითხოვეს. თავისი მაშტაბით უპრეცედენტო იყო 1988 წლის ნოემბრის გამოსვლები. 1988 წელს მიხეილ გორბაჩოვის ხელისუფლებამ გადაწყვიტა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში შეეტანა შესწორებები. გორბაჩოვის მთავარი მიზანი იყო არ დაეშვა საბჭოთა იმპერიის დაშლა. საზოგადოების დიდი ნაწილი მოითხოვდა აღნიშნული მუხლების შეცვლას და რესპუბლიკებისათვის საბჭოთა კავშირიდან გასვლის თავისუფალი არჩევნის უფლების აღდგენას.

1988 წლის ნოემბერში თბილისში, მთავრობის სახლის წინ, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ინიციატივით ახალგაზრდობის ერთმა ჯგუფმა დაიწყო შიმშილობა. საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა ანგარიში გაეწია მომიტინგეებისათვის და საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოითხოვა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციიდან რესპუბლიკების უფლებების შემზღუდავი შესწორების ამოღება. მოსკოვმა უკან დაიხია და შესწორებები უარყო.

1989 წლის გახაფხულზე ვითარება დაძაბა აფხაზი სეპარატისტების გააქტიურებამ. 1989 წლის მარტში აფხაზმა სეპარატისტებმა სოფელ ლიხნში გამართულ მრავალათასიან ყრილობაზე მიიღეს მიმართვა საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფისა და მისი რუსეთთან შეერთების შესახებ. აფხაზი სეპარატისტების მოთხოვნამ დიდი აღშფოთება გამოიწვია საქართველოში. 1989 წლის 4 აპრილს მთავრობის სახლის წინ უწყვეტი მიტინგები დაიწყო. მომიტინგეებმა მოითხოვეს აფხაზეთის ავტონომიის გაუქმება. ეს იყო რეაქცია აფხაზი სეპარატისტების ანტიქართულ ქმედებებზე. ნელ-ნელა აფხაზეთის ავტონომიის გაუქმების მოთხოვნა მეორეხარისხოვნად იქცა და მომიტინგეებმა წამოაყენეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნა. მიტინგი ხალხმრავალ მანიფესტაციად იქცა. რამდენიმე ათეულმა მომიტინგემ შიმშილობა დაიწყო.

პოლიტიკური მოთხოვნების რადიკალიზაციამ ეროვნული მოძრაობისა და ხელისუფლების სრული დაპირისპირება გამოიწვია. საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა გადამჭრელი ზომებისათვის მიემართა. საქართველოს ეროვნული მოძრაობა საბჭოთა იმპერიის ყველაზე მთავარ მონაპოვარს _ იმპერიის ტერიტორიულ მთლიანობას დაემუქრა. 1989 წლის 8 აპრილს მოსკოვის ზეგავლენით საქართველოს რესპუბლიკური აქტივის კრებამ მხარი დაუჭირა მომიტინგეთა მიმართ მკაცრი ზომების მიღების წინადადებას.

თბილისში, მთავრობის სახლის წინ მიმდინარე მიტინგის დასასშლელად 1989 წლის 9 აპრილის დილისათვის მზად იყვნენ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილები და მოსკოვიდან თვითმფრინავებით გადმოსროლილი საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარების სპეცდანიშნულების რაზმი. მიტინგის დაშლას უშუალოდ მეთაურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალი იგორ როდიონოვი.

1989 წლის გამთენიის 4 საათზე მომიტინგეებს დამსჯელმა ნაწილებმა ყველა მხრიდან შემოარტყეს ალყა. დამსჯელები შეიარაღებულნი იყვნენ ხელკეტებით, ალესილი ნიჩბებით, მომწამვლელი გაზით. დამსჯელმა ნაწილებმა შეუბრალებლად დაუწყეს ჩეხვა მომიტინგეებს. დამრბევთა სისასტიკემ მოლოდინს გადააჭარბა. მოიერიშეებმა მომიტინგეები მოედნიდან გაყარეს და მოკლეს 19 ადამიანი, აქედან 16 იყო ქალი. უამრავი მომიტინგე დაიჭრა. 2000-ზე მეტი ადამიანი გაზით მოიწამლა. სისხლიანი ანგარიშსწორების შემდეგ ხელისუფლებამ თბილისში საგანგებო წესები შემოიღო.

9 აპრილის ტრაგედიით გამოწვეულ დიდ ტკივილს უფრო აძლიერებდა მოსკოვის საინფორმაციო საშუალებების (პრესა, რადიო, ტელევიზია) ცილისმწამებლური გამოხტომები და ჯარის თარეში თბილისში.

1989 წლის 9 აპრილის მოვლენებს, ტრაგიკული ხასიათის მიუხედავად, გარდამტეხი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მან ქართველი საზოგადოების რადიკალიზაცია გამოიწვია. საქართველოს კომუნისტურ ხელისუფლებას საბოლოოდ გაუტყდა სახელი.

ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა შექმნეს ეროვნული ხსნის კომიტეტი. მასში გაერთიანდნენ: ჰელსინკის კავშირი (თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია), ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (გიორგი ჭანტურია), ეროვნულ-სამართლიანობის კავშირი (ირაკლი შენგელაია) და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია (ირაკლი წერეთელი). ეროვნული ხსნის კომიტეტის მთავარი მიზანი იყო საქართველოს გამოყვანა საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან და დამოუკიდებლობის მოპოვება, რაც ეტაპობრივად უნდა განხორციელებულიყო. ეტაპობრივი ბრძოლა ითვალისწინებდა საბჭოთა ხელისუფლების სტრუქტურების თანდათანობით გაუქმებას, ბრძოლის საშუალებად კი მიჩნეულ იქნა საპროტესტო მშვიდობიანი მოძრაობა (გაფიცვები, მიტინგები, შიმშილობა).

1990 წლის მარტში თბილისში გაიმართა სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა საგანგებო კონფერენცია. კონფერენციაზე შეიქმნა ეროვნული ფორუმი, რომელსაც სათავეში ედგნენ ეროვნული მოძრაობის ლიდერები. გარკვეული მიზეზების გამო, სამწუხაროდ, ეროვნული ფორუმი მალე გაითიშა. ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა ეროვნული ფორუმი დატოვეს და შექმნეს ახალი პოლიტიკური გაერთიანება (შემდგომში საარჩევნო ბლოკი `მრგვალი მაგიდა _ თავისუფალი საქართველო'), რომელშიც შედიოდნენ: საქართველოს ჰელსინკის კავშირი, წმინდა ილია მართლის საზოგადოება, მერაბ კოსტავას საზოგადოება, ტრადიციონალისტთა კავშირი, ეროვნული ფრონტი _ რადიკალური კავშირი, ეროვნულ-ლიბერალური კავშირი. ეროვნულ ფორუმში დარჩენილმა პოლიტიკურმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა 1990 წლის მაისში გიორგი ჭანტურიასა და ირაკლი წერეთლის ხელმძღვანელობით საქართველოს ეროვნული ყრილობა მოიწვიეს და ეროვნული კონგრესის არჩევნების ჩატარება გადაწყვიტეს. ეროვნული კონგრესის არჩევნები იმავე 1990 წელს ჩატარდა. ეროვნულმა კონგრესმა მოითხოვა საქართველოდან რუსეთის საოკუპაციო ჯარების გაყვანა, საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების გაუქმება და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლამ თვისობრივად ახალი ხასიათი შეიძინა.

ეროვნულმა მოძრაობამ გამოიყენა 1921 წელს იძულებით ემიგრაციაში წასული საქართველოს კანონიერი მთავრობის მიერ დაკავებული სწორი იურიდიული პოზიცია (დამპყრობლების წინაშე კაპიტულაციაზე უარი) და მშვიდობიანი ბრძოლის ფორმების გამოყენებით აიძულა საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება არსებული კანონების დაცვით თავი, ფაქტობრივად, უკანონოდ გამოეცხადებინა. 1990 წლის 9 მარტს საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება `სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ', რომელშიც ნათქვამია: `საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო ადასტურებს, რომ 1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება სამართლებრივი თვალსაზრისით _ წარმოადგენდა სამხედრო ჩარევას (ინტერვენცია) და ოკუპაციას არსებული პოლიტიკური წყობის დამხობის მიზნით, ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით ფაქტობრივ ანექსიას; გმობს საქართველოს ოკუპაციას და ფაქტობრივად ანექსიას საბჭოთა რუსეთის მიერ, როგორც საერთაშორისო დანაშაულს''.

ამდენად, საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ საქართველოში 1921 წელს საბჭოთა რუსეთის აგრესიის შედეგად დამყარებული თითქმის 70-წლიანი მმართველობა გამოცხადდა უკანონოდ.

ყოველივე აღნიშნული გახდა სამართლებრივი საფუძველი საქართველოში ახალი, კანონიერი, მრავალპარტიული არჩევნების ჩატარებისა.

მიუხედავად არსებული ხელისუფლების წინააღმდეგობისა, `მრგვალი მაგიდის" მეთაურობით მოქმედმა ეროვნულმა ძალებმა, უდიდესი ძალისხმევის შედეგად, 1990 წლის მარტში მაინც მიაღწიეს სასურველ საარჩევნო კანონის მიღებას. საქართველოში საყოველთაო, მრავალპარტიული, შეუზღუდავი და დემოკრატიული არჩევნები უნდა ჩატარებულიყო.

ქართველმა ერმა და სრულიად საქართველოს მოსახლეობამ 1990 წლის 28 ოქტომბერს გამართულ საქართველოს უზანაესი საბჭოს არჩევნებში ხმა მისცა პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანება `მრგვალი მაგიდა _ თავისუფალი საქართველო"-ს საარჩევნო ბლოკს. ამით 70-წლიანი კომუნისტური მმართველობის ისტორიაში პირველად ქვეყნის სათავეში მოვიდა კანონიერი, ჭეშმარიტად დემოკრატიული გზით არჩეული, ეროვნული ხელისუფლება.

1990 წლის 14 ნოემბერს საქართველოს უზანაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მუშაობას შეუდგა რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესია. ფარული კენჭისყრით ზვიად გამსახურდია არჩეულ იქნა საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ. პირველივე სესიაზე მიღებულ იქნა კანონი `საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ".

ამავე სესიის სხდომაზე აგრეთვე დამტკიცდა საქართველოს რესპუბლიკის კანონები: საქართველოს რესპუბლიკის სახელწოდების შეცვლის, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის შესახებ.

შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისია, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეჩერებულ იქნა სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ საბჭოთა კავშირის კანონის მოქმედება.

1990 წლის დეკემბერში, საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონის ძალით, საქართველოს ტერიტორიაზე შეწყდა საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილება, ხოლო 1991 წლის იანვარში გაუქმდა ადგილობრივი საბჭოების სისტემა და მიღებულ იქნა კანონი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების _ საკრებულოების_ არჩევნების შესახებ.

1991 წლის 31 მარტს ჩატარდა რეფერენდუმი 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო ხმის უფლების მქონე მოსახლეობის 90,3 %-მა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას მხარი დაუჭირა ამომრჩეველთა 98,9 %-მა, ანუ ხმის უფლების მქონე მოსახლეობის 89,3 %-მა.

რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილს, 12 საათსა და 30 წუთზე მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

1991 წლის 14 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებით ზვიად გამსახურდია არჩეულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად. 1991 წლის 26 მაისს ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები. ზვიად გამსახურდიამ მოაგროვა არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 86,52 % და გახდა საქართველოს რესპუიბლიკის პირველი პრეზიდენტი.

ძირითადი თარიღები

1) ძვ. წ. 1112 წ. _ ტიგლათფილესერის ლაშქრობა ჩრდილოეთით, დაიაენის მეფის სიენის დატყვევება;
2) ძვ. წ. 750 წ. _ სარდურ II-ის ლაშქრობა კოლხაში;
3) ძვ. წ. 676 წ. _ ფრიგიის იგივე მუშქების სამეფოს განადგურება;
4) ძვ. წ. 590 წ. _ ურარტუს სახელმწიფოს განადგურება;
5) ძვ. წ. 65 წ. _ რომაელი სარდლის პომპეუსის ლაშქრობა ქართლში;
6) 35 წ. _ აჯანყების დაწყება პართიაში და ქართლის მეფის ჯარის შეჭრა სომხეთში ფარსმანის მეთაურობით;
7) 63 წ. _ პონტოსა და კოლხეთის სამეფოების გაუქმება;
8) 69 წ. _ ანიკეტის აჯანყება;
9) 313 წ. _ `მილანის ედიქტის'' მიღება;
10) 325 წ. _ ნიკეას პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება;
11) 326 წ. _ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება ქართლში;
12) 395 წ. _ თეოდოსის მიერ რომის ორად გაყოფა;
13) 449 წ. _ ვახტანგ გორგასლის გამეფება;

14) 482 წ. _ ვარსქენის მოკვლა; ირანელთა წინააღმდეგ აჯანყების დაწყება ვახტანგ გორგასლის მეთაურობით;
15) 502 წ. _ ვახტანგ გორგასლის გარდაცვალება;
16) 532 წ. _ `უვადო ზავი'' გაფორმდა ბიზანტიასა და ირანს შორის;
17) 542 წ. _ `დიდი ომიანობის'' დაწყება ეგრისში;
18) 545 წ. _ ირანსა და ბიზანტიას შორის დაიდო ხუთწლიანი ზავი
19) 549 წ. _ `დიდი ომიანობის'' განახლება ეგრისში;
20) 550 წ. _ აბაზგების აჯანყება ბიზანტიელთა წინააღმდეგ;
21) 555 წ. _ მისიმიელების აჯანყება ბიზანტიელთა წინააღმდეგ;
22) 554 წ. _ გუბაზ II-ის მკვლელობა ბიზანტიელი მთავარსარდლების მიერ;
23) 562 წ. _ `დიდი ომიანობის'' დასასრული ეგრისში;
24) 527-565 წწ. _ ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანეს მმართველობა;
25) 531-579 წწ. _ ირანის შაჰის ხოსრო I ანუშირვანის მმართველობა;
26) 608 წ. _ საეკლესიო განხეთქილება ქართველებსა და სომხებს შორის;
27) 627 წ. _ თბილისის ალყა ბიზანტიელებისა და ხაზარების მიერ;
28) 628 წ. _ ხაზართა მიერ თბილისის აღება;
29) 654 წ. _ `დაცვის სიგელის'' დადება არაბი სარდლის ჰაბიბ იბნ-მასლამასა და ქართლის მეფე სტეფანოს II შორის;
30) 697 წ. _ არაბების გადასვლა დასავლეთ საქართველოში;
31) 735 წ. _ მურვან ყრუს ლაშქრობა საქართველოში;
32) 786 წ. _ აბო თბილელის სიკვდილით დასჯა;
33) 826 წ. _ აშოტ კურაპალატის მკვლელობა;
34) 853 წლის 5 აგვისტო _ ბუღა თურქის მიერ თბილისის აღება;
35) 888 წ. _ ადარნასე ბაგრატიონმა მიიღო ქართველთა მეფის ტიტული;
36) 914 წ. _ აბულ კასიმის ლაშქრობა საქართველოში;
37) 922-957 წწ. _ გიორგი II აფხაზთა მეფის ზეობის წლები;
38) 975 წ. _ ბაგრატ III-ის ქართლის მმართველად დასმა;
39) 978-114 წწ. _ ბაგრატ III ერთიანი ქართული მონარქიის პირველი მეფე;
40) 979 წ. _ დავით კურაპალატი დაეხმარა ბიზანტიის იმპერატორ ბასილ II-ს;
41) 1001 წ. _ დავით კურაპალატის გარდაცვალება;
42) 1008-1010 წწ. _ კახეთ-ჰერეთის შემოერთება ბაგრატ III-ის მიერ;
43) 1014-1027 წწ. _ გიორგი I-ის მეფობის წლები;
44) 1021 წ. _ შირიმნის ბრძოლა;
45) 1023 წ. _ ზავი საქართველოსა და ბიზანტიას შორის;
46) 1027-1072 წწ. _ ბაგრატ IV-ის მეფობის ხანა;
47) 1028 წ. _ ბიზანტიელთა მორიგი ლაშქრობა საქართველოში;
48) 1032 წ. _ თბილისის ამირა ჯაფარის შეპყრობა;
49) 1037-1039 წწ. _ თბილისის ალყა ბაგრატ IV-ის დროს;
50) 1058 წ. _ სულა კალმახელის მიერ ლიპარიტ ბაღვაშის შეპყრობა;
51) 1064 წ. _ თურქ-სელჩუკთა პირველი ლაშქრობა საქართველოში;
52) 1068 წ. _ თურქ-სელჩუკთა მეორე ლაშქრობა საქართველოში;
53) 1071 წ. _ მანასკერტის ბრძოლა;
54) 1072-1089 წწ. _ გიორგი II-ის მეფობის წლები;
55) 1073 წ. _ ფეოდალთა აჯანყება გიორგი II-ის წინააღმდეგ;
56) 1080 წ. _ ,,დიდი თურქობა'';
57) 1083 წ. _ გიორგი II-ემ იკისრა ხარკის გადახდა;
58) 1089-1125 წწ. _ დავით IV აღმაშენებლის მეფობა საქართველოში;
59) 1099 წ. _ ჯვაროსნებმა აიღეს იერუსალიმი. დავით IV-ემ შეუწყვიტა ხარკი თურქ-სელჩუკებს;
60) 1104 წ. _ რუის-ურბნისის საეკლესიო კრება. ერწუხის ბრძოლა;
61) 1106 წ. _ გელათის დაარსება;
62) 1110 წ. _ სამშვილდის განთავისუფლება;
63) 1115 წ. _ რუსთავის განთავისუფლება;
64) 1117 წ. _ გიშის განთავისუფლება;
65) 1118 წ. _ ლორეს განთავისუფლება. ყივჩაღების საქართველოში ჩამოსახლება;

66) 1121 წლის 12 აგვისტო _ დიდგორის ბრძოლა;
67) 1122 წ. _ თბილისის განთავისუფლება;
68) 1123 წ. _ დმანისის განთავისუფლება;
69) 1124 წ. _ ანისისა და შარვანის დაკავება;
70) 1125-1156 წწ. _ დემეტრე I-ის მეფობის წლები;
71) 1130 წ. _ შეთქმულება დემეტრე I-ის წინააღმდეგ;
72) 1138 წ. _ განძის აღება დემეტრე I-ის მიერ;
73) 1155 წ. _ დავით V-ის გამეფება;
74) 1156-1184 წწ. _ გიორგი III-ის მეფობის წლები;
75) 1177 წ. _ დემნა უფლისწულის აჯანყება;
76) 1179 წ. _ თამარი თანამოსაყდრედ დახმა;
77) 1179-1213 წწ. _ თამარის მეფობის წლები;
78) 1179 წ. _ საგანგებო კრება, რომელზეც მირებულ იქნა კანონი ქურდებისა და ავაზაკების წინააღმდეგ;
80) 1184 წ. _ თამარის ხელმეორედ კურთხევა;
81) 1185 წ. _ თამარის დაქორწინება გიორგი რუსზე;
81) 1188 წ. _ თამარის დაქორწინება დავით სოსლანზე;
82) 1195 წ. _ შამქორის ბრძოლა;
83) 1202 წ. _ ბასიანის ბრძოლა;
84) 1204 წ. _ ტრაპიზონის იმპერიის შექმნა;
85) 1206 წ. _ დავით სოსლანის გარდაცვალება. ლაშა-გიორგის თანამოსყდრედ დასმა;
86) 1210 წ. _ ქართველთა ლაშქრობა ჩრდილოეთ ირანში;
87) 1213-1223 წწ. გიორგი IV-ის მეფობა საქართველოში;
88) 1220 წ. _ მონღოლების პირველი გამოჩენა საქართველოში;
89) 1223-1245 წწ. _ რუსუდანის მეფობა საქართველოში;
90) 1225 წ. _ გარნისის ბრძოლა;
91) 1226 წ. _ ჯალალ ად-დინის მიერ თბილისის აღება;
92) 1243 წ. _ ზავის დადება ქართველებსა და მონღოლებს შორის;
93) 1247 წ. _ დავით ულუსა და დავით ნარინის დაბრუნება საქართველოში;
94) 1247-1270 წწ. _ დავით ულუს მეფობა საქართველოში;
95) 1247-1293 წწ. _ დავით ნარინის მეფობა საქართველოში;
96) 1254-1256 წწ. _ საყაენოს აღწერა მონღოლთა მიერ;
97) 1260 წ. _ დავით ულუს აჯანყება;
98) 1263 წ. _ საქართველოს საეკლესიო კრება;
99) 1266 წ. _ საქართველოსაგან სამცხის გამოყოფა;
100) 1270-1289 წწ. _ დემეტრე II-ის მეფობა საქართველოში ;
101) 1289-1292 წწ. _ ვახტანგ II-ის მეფობა საქართველოში ;
102) 1293-1311 წწ. _ დავით VIII-ის მეფობა საქართველოში;
103) 1302-1308 წწ. _ ვახტანგ III-ის მეფობა საქართველოში;
104) 1318-1346 წწ. _ გიორგი V ბრწყინვალის მეფობა საქართველოში;
105) 1346-1360 წწ. _ დავით IX-ის მეფობა საქართველოში;
106) 1360-1393 წწ. _ ბაგრატ V-ის მეფობა საქართველოში;
107) 1386-1403 წწ. _ თემურ-ლენგის ლაშქრობები საქართველოში;
108) 1393-1407 წწ. _ გიოორგი VII-ის მეფობა საქართველოში;
109) 1403 წ. _ ზავი გაფორმება გიორგი VII-ს და თემურ-ლენგს შორის;
110) 1407-1412 წწ. _ კონსტანტინე II-ის მეფობა საქართველოში;
111) 1412-1442 წწ. _ ალექსანდრე I -ის მეფობა საქართველოში;
112) 1416 წ. _ ყარა-იუსუფის ლაშქრობა სამცხეში;
113) 1438 1439 წწ. _ ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრება;
114) 1442-1446 წწ. _ ვახტანგ IV-ის მეფობა საქართველოში;
115) 1446-1466 წწ. _ გიორგი VIII-ის მეფობა საქართველოში;
116) 1453 წ. _ ოსმალების მიერ კონსტანტინეპოლის აღება;
117) 1461 წ. _ ოსმალების მიერ ტრაპიზონის აღება;
118) 1462 წ. _ გიორგი მეფეს აუჯანყდა იმერეთის ერისთავი ბაგრატი;
119) 1463 წ. _ ჩიხორის ბრძოლა;
120) 1465 წ. _ ფარავნის ბრძოლა;

121) 1466-1478 წწ. _ ბაგრატ VI გახდა ქართლისა და იმერეთის მეფე;
122) 1476-1511 წწ. _ ალექსანდრე I კახთა მეფე;
123) 1478-1505 წწ. _ კონსტანტინე II ქართლის მეფე;
124) 1484-1510 წწ. _ ალექსანდრე II იმერეთის მეფე;
125) 1490 წ. _ ქართლის სამეფოს დარბაზმა აღიარა საქართველოს დაშლა;
126) 1505-1525 წწ. _ დავით X ქართლის მეფე;
127) 1510-1565 წწ. _ ბაგრატ III იმერეთის მეფე;
128) 1511-1513 წწ. _ ავ-გიორგი კახეთის მეფე;
129) 1518-1574 წწ. _ ლევან კახთა მეფე;
130) 1525-1527 წწ. _ გიორგი IX ქართლის მეფე;
131) 1527-1556 წწ. _ ლუარსაბ I ქართლის მეფე;
132) 1535 წ. _ მურჯახეთის ბრძოლა;
133) 1541-1554 წწ. _ შაჰ-თამაზის ლაშქრობები ქართლში;
134) 1545 წ. _ სოხოისტას ბრძოლა;
134) 1555 წ. _ ამასიის ზავი;
135) 1556 წ. _ გარისის ბრძოლა;
136) 1556-1600 წწ. _ სვიმონ ქართლის მეფე;
137) 1569 წ. _ ყიზილბაშების მიერ სვიმონ I-ის დატყვევება;
138) 1574-1605 წწ. _ ალექსანდრე II კახთაA მეფე;
139) 1579 წ. _ ჩილდირის საფაშოს შექმნა;
140) 1582 წ. _ მუხრანის ბრძოლა. აჯანყება სამცხეში;
141) 1587 28 სექტემბერი _ ,,ფიცის წიგნის'' დადება;
142) 1589 წ. _ ,,წყალობის წიგნი'';
143) 1590 წ. _ ზავი ირანსა და ოსმალეთს შორის;
144) 1595 წ. _ ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის'' შექმნა;
145) 1599 წ. _ გორის განთავისუფლება'
146) 1600 წ. _ ოსმალებმა დაატყვევეს სვიმონი;
147) 1600-1606 წწ. _ გიორგი X ქართლის მეფე;
148) 1603 წ. _ შაჰ-აბასმა ომი დაუწყო ოსმალეთს;
149) 1604-1639 წწ. _ გიორგი III იმერეთის მეფე;
150) 1606-1648 წწ. _ თეიმურაზ I კახეთის მეფე;
151) 1606-1614 წწ. _ ლუარსაბ II ქართლის მეფე;
152) 1609 წ. _ ტაშისკარის ბრძოლა;
153) 1611-1657 წწ. _ ლევან II დადიანი;
154) 1614-1617 წწ. _ შაჰ-აბასის ლაშქრობები კახეთში;
155) 1616-1619 წწ. _ ბაგრატ ხანი ქართლის მეფე;
156) 1622 წ. _ შაჰ-აბას I-ის ბრძანებით მოკლეს ქართლის მეფე ლუარსაბ II;
157) 1624 წლის 12 სექტემბერს _ აწამეს ქეთევან დედოფალი;
158) 1625 წლის 25 მარტს _ მარტყოფის ბრძოლა;
159) 1625 წლის 1 ივლისი _ მარაბდის ბრძოლა;
160) 1626 წ. _ ბაზალეთის ბრძოლა;
161) 1633-1358 წწ. _ როსტომ ხანი ქართლის მეფე;
162) 1639-1660 წწ. _ ალექსანდრე III იმერეთის მეფე;
163) 1648 წ. _ როსტომმა კახეთიდან გააძევა თეიმურაზი;
164) 1653 წ. _ თეიმურაზმა თავისი შვილისშვილი ერეკლე გააგზავნა რუსეთში;
165) 1656 წ. _ კახეთი როსტომს ჩამოართვეს და გადასცეს განძის ხანს;
166) 1658-1675 წწ. _ ვახტანგ V ქართლის მეფე;
167) 1660 წ. _ ბახტრიონის აჯანყება;
168) 1662 წ. _ ბიძინა ჩოლოყაშვილის, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავების წამება;
169) 1664-1674 წწ. _ არჩილი კახეთის მეფე;
170) 1675-1688 წწ. _ გიორგი XI ქართლის მეფე;
171) 1688-1703 წწ. _ ერეკლე I ქართლის მეფე;
172) 1703 წ. _ ვახტანგის ჯანიშინად დანიშვნა;
173) 1705 წ. _ მოსკოვში დაიბეჭდა ,,დავითნი'';
174) 1709 წ. _ თბილისში გაიხსნა სტამბა;
175) 1709-1722 წწ. _ დავით II კახეთის მეფე;

176) 1714-1716 წწ. _ სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა ევროპაში;
177) 1716 წ. _ ვახტანგი გამაჰმადიანდა და დაინიშნა ქართლის მეფედ;
178) 1719 წ. _ ვახტანგ VI დაბრუნდა ქართლში;
179) 1724 წ. _ ვახტანგ VI 1200 კაცთან ერთად რუსეთში წავიდა;
180) 1721-1752 წწ. _ ალექსანდრე V იმერეთის მეფე;
181) 1722-1732 წწ. _ კონსტანტინე II კახეთის მეფე;
182) 1723-1735 წწ. _ ,,ოსმალობა";
183) 1737-1747 წწ. _ ,,ყიზილბაშობა;
184) 1745 წლის 1 ოქტომბერი _ თეიმურაზი გახდა ქართლის მეფე;
185) 1751 წლის 28 ივლისი _ ყირბულახის ბრძოლა;
186) 1752 წლის სექტემბერი _ ერეკლემ დაამარცხა აჯი-ჩალაბი;
187) 1752-1784 წწ. _ სოლომონ I იმერეთის მეფე;
188) 1754 წ. _ მჭადიჯვრის ბრძოლა;
189) 1755 წ. _ ყვარლის ბრძოლა;
190) 1757 წლის 14 დეკემბერი _ ხრესილის ბრძოლა;
191) 1758 წ. _ დაიდო ხელშეკრულება თეიმურაზ II-ეს, ერეკლე II-ეს და სოლომონ I-ს შორის;
192) 1759 წ. _ საეკლესიო კრება იმერეთში;
193) 1762 წ. _ თეიმურაზ II გარდაიცვალა პეტერბურგში; ერეკლე II გახდა ქართლ-კახეთის მეფე;
194) 1765 წ. _ შეთქმულება ერეკლე II-ის წინააღმდეგ;
195) 1768-1774 წწ. _ რუსეთ-თურქეთის ომი;
196) 1770 წლის 20 აპრილი _ ასპინძის ბრძოლა;
197) 1772 წ. _ ანტონ კათალიკოსისა და ლევან ბატონიშვილის ელჩობა რუსეთში;
198) 1773 წ. _ ერეკლე II-ემ და სოლომონ I-მა აღადგინეს ურთიერთდახმარების ხელშეკრულება;
199) 1774 წ. _ მორიგე ჯარის შექმნა;
200) 1782 წ. _ ერეკლემ მფარველობაში მიღება სთხოვა ეკატერინე II-ს;
201) 1783 წლის 24 ივლისი _ გეორგიევსკის ტრაქტატი;
202) 1784 წ. _ ერეკლე II-ემ ხელი მოაწერა ტრაქტატს;
203) 1785 წ. _ ომარ ხანის შემოსევა ქართლ-კახეთში;
204) 1789 წ. _ იმერეთის შემოერთების საკითხის განხილვაქართლ-კახეთის დარბაზის მიერ;
205) 1790 წ. _ ,,ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართა";
206) 1791 წ. _ ტახტის მემკვიდრეობის შესახებ კანონის შეცვლა;
207) 1795 - წლის 11 სექტემბერი _ კრწანისის ბრძოლა;
208) 1798-1800 წწ. _ გიორგი XII ქართლ-კახეთის მეფე;
209) 1800 წლის 12 დეკემბერი _ პავლე I-ის მანიფესტი;
210) 1801 წლის 12 სექტემბერი _ ალექსანდრე I-ის მანიფესტი;
211) 1802 წლის 12 აპრილი _ თბილისში გამოცხადდა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება;
212) 1802 წლის მაისი _ თბილისში ძალაში შევიდა რუსული მმართველობა;
213) 1802 წლის ივლისი _ პოლიტიკური გამოსვლები კახეთში;
214) 1803 წ. _ სამეგრელოს სამთავრო შევიდა რუსეთის ქვეშევრდომობაში;
215) 1804 წ. _ გურიის სამთავრო შევიდა რუსეთის ქვეშევრდომობაში;
216) 1804 წლის მაისი _ დაიწყო აჯანყება მთიულეთში;
217) 1804-1813 წწ. _ რუსეთ-იარანის ომი;
218) 1806-1812 წწ. _ რუსეთ-თურქეთის ომი;
219) 1810 წ. _ ქუთაისში იმერეთის ხელისუფლების გაუქმების გამოცხადება;
220) 1810 წ. _ იმერეთის მეფის სოლომონ II-ის ბრძოლა რუსეთის ჯარებთან;
221) 1810 წ. _ რუსეთისი იმპერატორმა საფარ-ბეგ (გიორგი) შერვაშიძე სცნო აფხაზეთის მთავრად;
222) 1811 წ. _ რუსებმა გააუქმეს მცხეთის საკათალიკოსო;
223) 1812 წლის იანვარი _კახეთში დაიწყო აჯანყება;
224) 1812 წლის მარტი _ ჩუმლაყის ბრძოლა;
225) 1812 წლის ოქტომბერი _ შილდის ბრძოლა;
226) 1812 წლის ნოემბერი _ მანავის ბრძოლა;
227) 1812 წ. _ ბუქარესტის ზავი;
228) 1813 წ. _ გიულისტანის ზავი;
229) 1814 წ. _ რუსეთის მიერ აფხაზეთის საკათალიკოსოს გაუქმება;
230) 1819 წლის ივნისი _ აჯანყების დაწყება იმერეთში;
231) 1819-1821 წწ. _ გამოდიოდა ,,საქართველოს გაზეთი";

232) 1825 წ. _ დიმიტრი ბატონიშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა პეტერბურგის საიდუმლო ორგანიზაცია (წრე);
233) 1826 წ. _ ოქროპირ ბატონიშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა მოსკოვის საიდუმლო ორგანიზაცია (წრე);
234) 1826-1828 წწ. _ რუსეთ-ირანის ომი;
235) 1827-1829 წწ. _ შეთქმულების ცენტრი რუსეთიდან გადმოვიდა თბილისში;
236) 1828 წ. _ თურქმანჩაის ზავი;
237) 1829 წ. _ ადრიანოპოლის ზავი;
238) 1829 წ. _ გურიის სამთავროს გაუქმება;
239) 1832 წ. _ გამოდიოდა ჟურნალი ,,სალიტერატურო ნაწილი ტფილისის უწყებათა'';
240) 1832 წლის 9 დეკემბერი _ იესე ფალავანდიშვილმა გასცა შეთქმულება;
241) 1841 წლის მაისი _ გურიაში დაიწყო აჯანყება;
242) 1844 წ. _ დაარსდა კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობა;
243) 1844-1854 წწ. _ მიხეილ ვორონცოვის მეფისნაცვლობის ხანა;
244) 1846 წ. _ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების შექმნა;
245) 1850 წლის 2(14) იანვარი _ ქართული თეატრის დაარსება;
246) 1852-1853 წწ. _ გამოდიოდა ჟურნალი ,,ცისკარი;
247) 1853-1856 წწ. _ ყირიმის ომი;
248) 1856 წ. _ პარიზის ზავი;
249) 1857 წ._ სამეგრელოს სამთავროს გაუქმება;
250) 1857 წ. _ სვანეთის სამთავროს იურიდიული გაუქმება;
251) 1861 წ. _ ბატონყმობის გაუქმება სვანეთში;
252) 1863 წ. _ ჟურნალ ,,საქართველოს მოამბის'' გამოცემა;
253) 1864 წ. _ გაუქმდა აფხაზეთის სამეფო;
254) 1864 წ. _ ბატონყმობა გაუქმდა თბილისის გუბარნიაში;
255) 1865 წ. _ ბატონყმობა გაუქმდა ქუთაისის გუბერნიაში (იმერეთი, რაჭა, გურია);
256) 1865 წ. _ საქართველოში გატარდა სასოფლო მმართველების რეფორმა;
257) 1866 წ. _ გაზეთ `დროების~ (1866-1885 წწ.) დაარსება;
258) 1867 წ. _ სამეგრელოს სამთავროს იურიდიული გაუქმება;
259) 1868 წ. _ საქართველოში გატარდა სასამართლო რეფორმა;
260) 1870 წ. _ ბატონყმობა გაუქმდა აფხაზეთში
261) 1871 წ. _ ბატონყმობა გაუქმდა სვანეთში;
262) 1874 წ. _ გაიმართა თბილისის სათათბიროს არჩევნები;
263) 1875 წ. _ დაარსდა თბილისი სათავადაზნაურო ბანკი;
264) 1876 წ. _ გამოვიდა იაკობ გოგებაშვილის დედაენა;
265) 1877 წ. _ დაარსდა `ივერია~ (1877-1906 წწ.);
266) 1877-1878 წწ. _ რუსეთ-თურქეთის ომი;
267) 1878 წლის 3 მარტი _ სან-სტეფანოს ზავი;
268) 1878 წლის ივნის-ივლისი _ ბერლინის კონგრესი;
269) 1878 წლის 25 აგვისტო _ რუსეთის ჯარების შესვლა ბათუმში;
270) 1879 წ. _ დაარსდა `ქართვლთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგაოება'';
271) 1879 წ. _ აღდგა ქართული თეატრი;
272) 1882 წ. _ გაუქმდა კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობა;
273) 1883 წ. _ დასრულდა თბილისი-ბაქო რკინიგზის მშენებლობა;
274) 1886 წ. _ ჯურნალი ივერია გადაკეთდა ყოველდღიურ გაზეთად;
275) 1886 წ. _ იოსებ ლაღიაშვილმა მოკლა დეკანოზი ჩუდეცკი;
276) 1887 წ. _ სტავროპოლში მოკლეს დიმიტრი ყიფიანი;
277) 1903 წ. _ გამოვიდა გაზეთი `საქართველო'';
278) 1903 წ. _ გაიმართA რსდმპ II ყრილობა;
279) 1904 წ. _ შეიქმნა სოციალ-ფედერალისტთა პარტია;
280) 1905 წ. _ აღდგა კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობა;
281) 1905 წლის დეკემბერი _ მოხდა შეტაკება თბილისის მუშებსა და ჯარს შორის;
282) 1906 წ. _ ნიკოლოზ თავდგირიძემ წამოაყენა საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა;
283) 1907 წლის 30 აგვისტო _ წიწამურთან მოკლეს ილია;
284) 1912 წ. _ ქართველ გლეხებს უფლება მიეცათ გამოესყიდათ მიწები;
285) 1912 წ. _ შეიქმნა `ქართველი ხალხის უფლებების დაცვის კავშირი'';

286) 1913 წ. _ ჟენევაში შეიქმნა ჯგუფი `თავისუფალი საქართველო;
287) 1914 წ. _ `საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი~ ჟენევიდან ბერლინში გადავიდა;
288) 1917 წლის 15 ნოემბერი _ შეიქმნა ამიერკავკასიის კომისარიატი;
289) 1917 წლის 19 ნოემბერი _ გაიხსნა საქართველოს I ეროვნული ყრილობა;
290) 1917 წ. _ შეიქმნა მწერალთა კავშირი;
291) 1917 წლის 12 მარტი _ აღდგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია;
292) 1917 17 სექტემბერი _ კირიონ II აირჩიეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად;
293) 1918 წლის 26 იანვარი _ გაიხსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
294) 1918 წლის 10 თებერვალი _ თბილისში მოწვეულ იქნა ამიერკავკასიის სეიმი;
295) 1918 წლის 22 აპრილი _ შეიქმნა ამიერკავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკა;
296) 1918 წლის 26 მაისი _ საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის დღე;
297) 1918 წ. _ ქართულმა ჯარმა ჩაახშო ოსი სეპარატისტების ამბოხება;
298) 1918 წ. _ საქართველო-სომხეთის ომი;
299) 1919 წლის 31 აგვისტო _ ბათუმში გაიმართა ქართველ მაჰმადიანთა ყრილობა;
300) 1919 წ. _ ქართულმა ჯარმა დაამარცხა სერვერ-ბეგ ათაბაგის ჯარები;
301) 1920 წ. _ პარიზი კონფერენციის უმაღლესმა საბჭომ დე-ფაქტოდ აღიარა საქართველოს სახელმწიფო;
302) 1920 წლის 7 მაისი _ დაიდო საქართველოსა და რუსეთს შორის ხელშეკრულება;
303) 1920 წლის 16 დეკემბერი _ საქართველოს უარი უთხრეს ერთა ლიგის წევრობაზე;
304) 1921 წლის 21 თაბერვალი _ დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა კონცტიტუცია;
305) 1921 წლის 25 თებერვალი _ საბჭოთა კავშირის XI არმია შემოვიდა თბილისში;
306) 1922 წლის 30 დეკემბერი _ შეიქმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი;
307) 1922 წ. _ გენიუს სამშვიდობო კონფერენცია;
308) 1922 წ. _ შეიქმნა `საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი";
309) 1922 წ. _ მოხდა დიდი აჯანყებაNკახეთსა და ფშავ-ხევსურეთში;YEA
310) 1924 წლის 28 აგვისტოს _ დაიწყო აჯანყება ჭიათურაში;
311) 1925 წ. _ 1924 წლის აჯანეყების მონაწილეთა სასამართლო პროცესი;
312) 1934-1938 წწ. _ გატარდა რეპრესიაები;
313) 1936 წ. _ შეიქმნა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი (ენიმკი);
314) 1941 ს. _ შეიქმნა მეცნიერებათა აკადმია;
315) 1941 წლის 22 ივნისი _ Gერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს;
316) 1941-1942 წწ. _ შეიქმნა `ქართული ბატალიონები"
317) 1945 წ. _ კუნძულ ტექსელზე (ჰოლანდია) აჯანყდა ქართული ბატალიონი;
318) 1948 წ. _ დააპატომრეს თბილისის უნივერსიტეტის 11 სტუდენტი;
319) 1951 წ. _ 20 ათასამდე ადამიანი გადაასახლეს შუა აზიაში;
320) 1951 წ. _ ე. წ. `მეგრელთა საქმის" გამო დაიწყო რეპრესიები;
321) 1953 წლის 5 მარტი _ გარდაიცვალა იოსებ სტალინი;
322) 1956 წლის 9 მარტი _ თბილისში დახვრიტეს დემონსტანტები;
323) 1976 წ. _ ზვიად გამსახურდიამ, მერაბ კოსტავამ და სხვებმა შექმეს `ჰელსინკის ჯგუფი";
325) 1976 წ. _ ზვიად გამსახურდიამ გამოსცა ჟურნალი `საქართველოს მოამბე";
326) 1977 წლის 23 დეკემბერი _ მეთორმეტე საეკლესიო კრებამ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია ილია II;
327) 1978 წლის 14 აპრილი _ თბილისში ქართული ენის დასაცავად გაიმართა მრავალ-ათასიანი დემონსტრაცია;
328) 1988 წლი ნოემბერი _ თბილისში მთავრობის სახლის წინ დაიწყო შიმშილობა;
329) 1989 წლის 4 აპრილი _ თბილისში მთავრობის სახლის წინ მოითხოვეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა;
330) 1989 წლის 9 აპრილი _ მთელი სისასტიკით დაარბიეს თბილისში მთავრობის სახლის წინ შეკრებილი მშვიდობიანი მომიტენგეები;
331) 1990 წლის 28 ოქტომბერი _ ჩატარდა საქართველოს უზენაესი საბჭოს მრავალპარტიული არჩევნები;
332) 1990 წლის 14 ნოემბერი _ მუშაობას შეუდგა საქართველოს უზენაესი საბჭოსსესია. ზვიად გამსახურდია არჩეულ იქნა საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ;
333) 1991 წლის 31 მარტი _ საქართველოში დამოუკიდებლობის თაობაზე ჩატარდა რეფერენდუმი;
334) 1991 წლის 9 აპრილი _ გამოცხადდა საქართველოს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა;
335) 1991 წლის 26 მაისი _ ზვიად გამსახურდია აირჩიეს საქართვეოს პრეზიდენტად;

336) 1991 წლის 11 დეკემბერი _ შეიქმნა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა;
337) 1991 წლის 22 დეკემბერი _ თბილისში დაიწყო სამხედრო პუტჩი;
338) 1992 წლის იანვარი _ სამხედრო პუტჩის შედეგად საქართველოში დაემხო კანონიერი ხელისუფლება;
339) 1992 წლის მარტი _ ედუარდ შევარდნაძე ჩამოვიდა საქართველოში;
340) 1992 წლის ივლლისი _ საქართველო გახდა გაეროს წევრი;
341) 1993 წლის დეკემბერი _ საქართველო ხდება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი;
342) 1995 წ. _ საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კონსტიტუცია;

საქართველოს ისტორიის ტესტები

საქართველო უძველესი დროიდან XIV საუკუნემდე

1. რამდენ კმ^2-ს შეადგენს საქართველოს ფართობი?
ა) 67,2 ათასს ბ) 80,5 ათასს გ) 69.7 ათასს დ) 73 ათასს

2. რომელი ქედი ყოფს საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად?
ა) შავშეთის ბ) კავკასიონის გ) თრიალეთის დ) ლიხის

3. ზღვის დონიდან 1000 მეტრზე მაღლა მდებარეობს ქვეყნის ტერიტორიის:

ა) ნახევარზე მეტი ბ) ნახევარზე ნაკლები
გ) ერთი მესამედი დ) ნახევარი

4. გეოგრაფიულად საქართველო მდებარეობს:
ა) რუსეთისა და ევროპის საზღვარზე ბ) ევროპისა და თურქეთის საზღვარზე
გ) ევროპისა და აზიის საზღვარზე დ) თურქეთისა და ირანის საზღვარზე

5. ჰერეთი ერქვა:
ა) დღევანდელ საინგილოს ბ) იმერეთს გ) კახეთს დ) აჭარას

6. შიდა ქართლი მოიცავს ტერიტორიას:
ა) ლიხის ქედიდან მდ. არაგვამდე და კავკასიონის ქედიდან თრიალეთის ქედამდე
ბ) ლიხის ქედიდან ჰერეთამდე და კვკასიონის ქედიდან ლორე-ბამბაკის ქედამდე
გ) მდ. არაგვიდან მდ. ალაზნამდე და კავკასიონის ქედიდან კლარჯეთამდე

7. ქვემო ქართლი მოიცავს ტერიტორიას:
ა) თრიალეთის ქედიდან ლორე-ბამბაკის ქედამდე
ბ) კავკასიონის ქედიდან ტაშისკარამდე
გ) კლარჯეთიდან ტაომდე

8. ზემო ქართლის, ანუ მესხეთის ტერიტორია მოიცავდა:
ა) მდ. მტკვრისა და მდ. ჭოროხის ხეობებს
ბ) ტაშისკარსა და მდ. მტკვრის ხეობას
გ) ტაშისკარიდან სამხრ-დას-ით მდ. მტკვრის ზემო წელსა და ჭოროხის მთელ ხეობას

9. ზემო ქართლში, ანუ მესხეთში გაერთიანებული იყო:
ა) სამცხე, ჯავახეთი, შავშეთი ბ) სამცხე, ჯავახეთი, კოლა, არტაანი
გ) სამცხე, ართვინი, არტაანი დ) ჯავახეთი, სამცხე, შავშეთი, არტაანი

10. ფშავ-ხევსურეთის ისტორიული სახელწოდება არის:
ა) ფხოვი გ) ჯიქეთი ბ) დვალეთი დ) ლეჩხუმი

11. თაკვერი არის ისტორიული სახელწოდება:
ა) რაჭა-ლეჩხუმის გ) ტაო-კლარჯეთის ბ) აჭარა-გურიის დ) რაჭა-სვანეთის

12. კაცობრიობის ისტორიის პირველ პერიოდს ეწოდება:
ა) ქვის ხანა ბ) ბრინჯაოს ხანა გ) სპილენძის ხანა დ) რკინის ხანა

13. ადამიანთა პირველ გაერთიანებას ეწოდება:
ა) თემი ბ) პირველყოფილი ჯოგი გ) გვარი დ) ტომი

14. რას გულისხმობს „ნეოლითური რევოლუცია”?
ა) ადამიანებმა ისწავლეს კაჟისა და ქვის დამუშავება ბ) ადამიანებმა ისწავლეს ნადირობა გ) ადამიანი გახდა მწარმოებელი

15. ქართველ ავტორთაგან ვინ მიიჩნევდა კავკასიის ხალხებს საერთო წარმომავლობისად?

ა) ლეონტი მროველი ბ) ჯუანშერი
ბ) დავითის ისტორიკოსი გ) ჟამთააღმწერელი

16. ძველ ავტორთაგან ვინ უკავშირებს ქართველთა წარმომავლობას ბიბლიურ პერსონაჟებს?
ა) ქსენოფონტი ბ) იოსებ ფლავიუსი
გ) სტრაბონი დ) ტაციტუსი

17. ივანე ჯავახიშვილი ქართველურ ენებს მიაკუთვნებს:
ა) ინდო-ევროპულ ენათა ჯგუფს
ბ) იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფს
გ) სემიტურ ენათა ჯგუფს

18. ქართველური ენები იყოფა:
ა) საკუთრივ ქართულ, მეგრულ-ჭანურ და სვანურ ენებად
ბ) საკუთრივ ქართულ, მეგრულ და აფხაზურ-ადიღეურ ენებად
გ) საკუთრივ ქართულ, მეგრულ-ჭანურ, სვანურ და ალბანურ ენებად

19. რომელმა ქვეყნებმა მოუღეს ბოლო დიაოხის სახელმწიფოს?
ა) ურარტუმ და კოლხამ ბ) ასურეთმა და ურარტუმ
გ) ასურეთმა და კოლხამ დ) ბაბილონმა და ფრიგიამ

20. რომელ ძველ ქართულ სახელმწიფოსთანაა დაკავშირებული არგონავტების მითი?
ა) დიაოხი ბ) ქართლი გ) ასურეთი დ) კოლხა

21. ვინ არის ავტორი ნაწარმოებისა „მედეა”?
ა) სოფოკლე ბ) აპოლონიოს როდოსელი
გ) ესქილე დ) ევრიპიდე

22. აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა” მოგვითხრობს:
ა) ძველი კოლხას შესახებ ბ) ქართლის შესახებ
გ) დიაოხის შესახებ დ) ურარტუს შესახებ

23. როდის და ვინ გაანადგურა ურარტუს სამეფო?
ა) ძვ. წ. 590 წელს სკვითებმა ბ) ძვ. წ. 575 წელს კოლხამ
გ) ძვ. წ. 550 წელს კიმერიელებმა დ) ძვ. წ. 590 წელს მიდიამ

24. ჰეროდოტეს მიერ მოხსენებული სასპერები იყო:
ა) ქართული ტომი ბ) ძველი სომხური ტომი გ) ეგვიპტელები დ) ბერძნები

25. რომელი ქართული ტომია განსაკუთრებით ცნობილი რკინის მეტალურგიით?
ა) მუშქები ბ) ხალიბები გ) თუბალები დ) კარდუხები

26. აფსაროსი მდებარეობდა:
ა) მდ. ფაზისის შესართავთან ბ) მდ. ჭოროხის შესართავთან
გ) მდ. მტკვრის შესართავთან დ) მდ. ჭოროხის შუა წელში

27. პიტიუნტი არის ძველი სახელწოდება:
ა) სოხუმის ბ) ოჩამჩირის გ) ბიჭვინთის დ) სოჭის

28. რომელი მნიშვნელოვანი ბერძნული კოლონია მდებარეობდა დღევანდელი ფოთის მახლობლად?
ა) პიტიუნტი ბ) ფაზისი გ) დიოსკურია დ) აფსაროსი

29. რომელი ბერძნული კოლონია იყო გაშენებული სოხუმის მახლობლად?
ა) ფაზისი ბ) აფსაროსი გ) პიტიუნტი დ) დიოსკურია

30. სად მდებარეობდა ბერძნული ახალშენები: პანტიკაპეიონი, ოლვია, ხერსონესი?
ა) ხმელთაშუა ზღვის აუზში ბ) ბოსფორის სრუტესთან
გ) სამხრეთ შავიზღვისპირეთში დ) ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში

31. ბერძნული კოლონიზაციის უმთავრესი მიზეზი იყო:
ა) მოსახლეობის სიჭარბე
ბ) საშინაო კონფლიქტები
გ) ნავიგაციის განვითარება

32. როგორი ურთიერთობები ყალიბდებოდა კოლონიასა და მეტროპოლისს შორის?
ა) კოლონია ცდილობდა სრული დამოუკიდებლობის მოპოვებას
ბ) კოლონია ინარჩუნებდა მჭიდრო ეკონომიკურ კავშირს მეტროპოლისთან
გ) კოლონია ინარჩუნებდა მჭიდრო პოლიტიკურ კავშირს მეტროპოლისთან

33. „მოქცევაÁ ქართლისაÁს” გადმოცემით, ვის სახელს უკავშირდება მცხეთაში კერპების _ „გაც” და „გაიმ” _ დამკვიდრება?
ა) აზონს ბ) ქუჯის გ) სამარას დ) ფარნავაზს

34. ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც “არიან-ქართლი” მდებარეობდა:
ა) მაკედონიაში ბ) ირანში გ) ეგვიპტეში დ) მცირე აზიაში

35. ფარნავაზმა ქართლი დაყო:
ა) 5 საერისთავოდ და ერთ სასპასპეტოდ ბ) 7 საერისთავოდ და ერთ სასპასპეტოდ
გ) 8 საერისთავოდ დ) 8 საერისთავოდ და ერთ სასპასპეტოდ

36. „მოქცევაÁ ქართლისაÁს” მიხედვით, ვინ იყო აზო?
ა) ეგრისის მმართველი ბ) არიან ქართლის მეფის ძე
გ) პონტოს სამეფოს მკვიდრი დ) ალექსანდრე მაკედონელის სარდალი

37. როდის და როგორ დასრულდა პონტოს მეფე მითრიდატე VI-ის მეფობა?
ა) ძვ. წ. 62 წ. უცნობ ვითარებაში ბ) ძვ. წ. 63 წ. ბუნებრივი სიკვდილით
გ) ძვ. წ. 65 წ. რომაელებთან ბრძოლაში დ) ძვ. წ. 63 წ. თვითმკვლელობით

38. რა შედეგი მოჰყვა პომპეუსის ლაშქრობას ქართლში?
ა) ქართლი გახდა რომის იმპერიის პროვინც
ბ) ქართლში დაინიშნა რომაელი მმართველი
გ) ქართლი გახდა რომის ვასალი

39. ვინ დანიშნა პომპეუსმა კოლხეთის მმართველად?
ა) პლუტარქე ბ) ბაკური გ) გუბაზი დ) არისტარქე

40. რომის რომელი იმპერატორის მიწვევა არ მიიღო ფარსმან II-მ
ა) ვესპასიანეს ბ) კალიგულას
გ) ოქტავიანეს დ) ადრიანეს

41. ლეონტი მროველის ცნობით, ვინ მოწამლა რომიდან ქართლში დაბრუნებული ფარსმან ქველი?

ა) შვილმა ბ) კოლხებმა გ) ირანელებმა დ) ალბანელებმა

42. რომელ წელს დაიდო ნისიბინის ზავი?

A ა) 290 წ. ბ) 300 წ. გ) 305 წ. დ) 298 წ.

43. ნისიბინის ზავის მიხედვით ქართლი და სომხეთი მოექცა:

ა) რომის გავლენის ქვეშ ბ) პონტორს სამეფოს გავლენის ქვეშ
გ) კოლხეთის გავლენის ქვეშ დ) ირანის გავლენის ქვეშ

44. ტრადიციულად ქართლის ტახტის მემკვიდრედ ითვლებოდა:

ა) უმცროსი ძე ბ) უფროსი ძე გ) უფროსი ძმა დ) გვარში უფროსი

45. რომელი ციხე იცავდა მცხეთას ჩრდილოეთიდან?

ა) ზადენციხე ბ) არმაზის ციხე გ) უფლისციხე დ) კლდეკარი

46. ქართული მითოლოგიის უზენაეს ღვთაებად ითვლებოდა:

ა) მთვარე ბ) მზე გ) მარსი დ) იუპიტერი

47. მთვარის წმინდა ცხოველად ქართული მითოლოგია თვლიდა:

ა) ცხენს ბ) მგელს გ) დათვს დ) ხარს

48. როგორ ჰყავდათ წარმოდგენილი მთვარის ღვთაება ქართველებს უძველეს დროში?

ა) მშვილდოსანი ქალის სახით ბ) მეომარი მამაკაცის სახით
გ) ძუ ლომის სახით დ) დათვის სახით

49. ვის სახელს უკავშირდება არმაზის კულტის საფუძვლად წარმოდგენილი მთვარის ღვთაების საქართველოში შემოტანა?

ა) ასურულ კულტურას ზიარებულ სასპერებს
ბ) ბერძნულ კულტურას ზიარებულ კოლხებს
გ) ხეთურ კულტურას ზიარებულ მესხურ ტომებს

50. ძვ. წ. IV ს-ის ბოლოსა და III ს-ის დასაწყისში აზომ მცხეთაში აღმართა კერპები:

ა) არმაზი და ზადენი ბ) გაც, გაიმ და არმაზი
გ) გაც და გაიმ დ) გაც, გაიმ და ზადენი

51. ფარნავაზის მიერ ქართლში დამკვიდრებული უზენაესი ღვთაებაა:

ა) არმაზი ბ) გაც გ) გაიმ დ) ზადენი

52. როდის და ვინ აკრძალა არმაზის კერპისათვის ბავშვების მსხვერპლად შეწირვა?

ა) III ს-ში ფარსმან II-მ ბ) III ს-ში რევმა.
G გ) II ს-ში ქართამმა დ) II ს-ში მირდატ III-მ

53. ვის სახელს უკავშირდება ქართლში ზადენის კერპის შემოღება?

ა) კოლხების ბ) მესხების გ) ალბანელების დ) ჰერების

54. კლდეში ნაკვეთ უძველეს ქართულ ქალაქს წარმოადგენს:

ა) ზადენციხე ბ) სამშვილდე გ) არმაზციხე დ) უფლისციხე

55. "ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ვის სახელს უკავშირდება ციხე გოჯის აშენება?

ა) აზონის ბ) ფარნავაზის გ) საურმაგის დ) ქუჯის

56. რომელმა იმპერატორმა გამოსცა ბრძანება ქრისტიანობის აკრძალვის შესახებ რომში?

ა) ტიბერიუსმა ბ) კლავდიუსმა გ) ტრაიანემ დ) დიოკლეტიანემ

57. რომელი იმპერატორის დროს შეწყდა ქრისტიანობის დევნა რომში?
ა) კონსტანტინეს ბ) იულიანას გ) თეოდოს I-ის დ) კომოდის

58. რომელ წელს იქნა მიღებული „მილანის ედიქტი”?
ა) 303 წ. ბ) 310 წ. გ) 313 წ. დ) 318 წ.

59. რას გულისხმობდა „მილანის ედიქტი”?
ა) ქრისტიანობის დევნას ბ) ქრისტიანობის თავისუფლებას გ) პოლითეიზმის აკრძალვას

60. როდის და სად იქნა მოწვეული პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება?
ა) 325 წ. მილანში ბ) 330 წ. ქალკედონში გ) 340 წ. ეფესოში დ) 325წ. ნიკეაში

61. რომის რომელმა იმპერატორმა გამოსცა ბრძანება წარმართული ტაძრების დახურვის შესახებ?
ა) თეოდოსიუსმა ბ) რომულუსმა გ) ოქტავინიანემ დ) ვალენტინიანემ

62. როდის დაიწყო ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში?
ა) II ს-ში ბ) III ს-ში გ) IV ს-ში დ) I ს-ში

63. ვინ იქადაგა პირველად საქართველოში ქრისტიანობა?
ა) ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა
ბ) ანდრია პირველწოდებულმა და ნინო კაპადოკიელმა
გ) ნინო კაპადოკიელმა

64. ვინ დაესწრო საქართველოდან იესოს ჯვარცმას?
ა) ელიოზ მცხეთელი და სიდონია
ბ) ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი
გ) ლონგინოზ კარსნელი და სიდონია

65. ვინ ჩამოიტანა ქრისტეს კვართი საქართველოში?
ა) ასურელმა მამებმა ბ) სტრატოფილემ გ) სიდონიამ დ) ელიოზ მცხეთელმა

66. ვის საფლავზე აშენდა პირველი ხის სვეტიცხოველი?
ა) მატათას ბ) ანდრია პირველწოდებულის
გ) სიდონიას დ) სვიმონ კანანელის

67. ქართლის ეკლესიის პირველი მამამთავარი იყო:

ა) იოანე ბ) პეტრე გ) მელქისედეკი დ) კირიონი

68. რომელ წელს გამოცხადდა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად ქართლის სამეფოში?
ა) 325 წ. ბ) 326 წ. გ) 320 წ. დ) 350 წ.

69. ვინ ესწრებოდა ნიკეის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებას საქართველოდან?
ა) მცხეთის ეპისკოპოსი იოანე ბ) ჭყონდიდის ეპისკოპოსი გიორგი
გ) მთავარეპისკოპოსი მიქაელი დ) ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე

70. რომელმა იმპერატორმა გადმოიტანა რომის იმპერიის დედაქალაქი აღმოსავლეთში?
ა) მარტინიანემ ბ) ნეპოციანიმგ) სილვანამ დ) კონსტანტინემ

71. ვინ იყო ქვემო ქართლის პიტიახში, რომელსაც სპარსეთის შაჰმა მოსთხოვა ქრისტიანობის უარყოფა და მაზდეანობის გავრცელება ქართლში?

ა) არშუშა ბ) ვარსქენი გ) ბაკური დ) ამაზასპი

72. ვინ გამოაყოლა სპარსეთის შაჰმა ქვემო ქართლის პიტიახშს ქართლში მაზდეანობის გასავრცელებლად?
ა) ქურუმები ბ) დერვიშები გ) მისიონერები დ) მოგვები

73. რომელ წელს გაიმართა ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრება?
ა) 445 წ. ბ) 448 წ. გ) 451 წ. დ) 460 წ.

74. ქართლის ეპისკოპოსი, რომელიც დაუპირისპირდა ვახტანგ გორგასალს, იყო:
ა) მელქისედეკი ბ) კირიონი გ) მიქაელი დ) მალაქია

75. რომელ წელს მოაკვლევინა ვახტანგ გორგასალმა ქართლის პიტიახში ვარსქენი?
ა) 476 წ. ბ) 482 წ. გ) 486 წ. დ) 478 წ.

76. რომელ ბრძოლაში დაიჭრა ვახტანგ გორგასალი სასიკვდილოდ?
ა) დიდგორის ველზე ბ) გომბორის ველზე
გ) მარაბდის ველზე დ) სამგორის ველზე

77. სად გარდაიცვალა ვახტანგ გორგასალი?
ა) არტანუჯში ბ) ნარიყალაში გ) უჯარმაში დ) უფლისციხეში

78. ბიზანტიასა და ირანს შორის დადებული „უვადო ზავის" შედეგად ქართლი დარჩა:
ა) ირანის გამგებლობაში
ბ) ბიზანტიის გამგებლობაში
გ) დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად

79. ქართლის მმართველ ირანელ მოხელეს V ს-ში ერქვა:
ა) სატრაპი ბ) ერისთავი გ) ვაზირი დ) მარზპანი

80. VI ს-ის 30 წლებში სირიიდან ქართლში მოსულ საეკლესიო მოღვაწეთა ჯგუფს ეწოდება:
ა) ასურელი ბერები ბ) ასურელი მამები
გ) სირიელი მამები დ) ანტიოქიელი მამები

81. რომელ წელს დაიწყო "დიდი ომიანობა" ეგრისში?
ა) 540 წ. ბ) 542 წ. გ) 544 წ. დ) 545 წ.

82. ლაზიკის რომელმა მეფემ მოიწვია ირანელები ბიზანტიელთა წინააღმდეგ საბრძოლვე-ლად?
ა) გურგენმა ბ) წათე II-მ გ) გუბაზ II-მ დ) გუარამმა

83. რას ისახავდა მიზნად ბიზანტიელთა წინააღმდეგ ლაზიკის დასახმარებლად წასული ხოსრო I ანუშირვანი?
ა) ლაზიკაში ფეხის მოკიდებას, ადგილობრივი მოსახლეობის აყრასა და ირანელი მოსახლეობის ჩამოსახლებას
ბ) ბიზანტიელთა განდევნას და ლაზიკისთვის დამოუკიდებლობის მინიჭებას
გ) ეგრის-იბერიის გაერთიანებას ერთიან ქართულ სახელმწიფოდ

84. ა ერქვა ლაზ დიდებულს, რომელსაც დაევალა გუბაზ II-ის მოკვლა?
ა) ფარსადანი ბ) სვიმონი გ) გრიგოლიდ) ფარსანსი

85. რომელ წელს მოკლეს ლაზიკის მეფე გუბაზ II?
ა) 552 წ. ბ) 557 წ. გ) 556 წ. დ) 554 წ.

86. ვინ მოკლა ლაზიკის მეფე გუბაზ II?

ა) ირანელებმა ბ) ტახტის მემკვიდრეებმა გ) ბიზანტიელმა სარდლებმა

87. ვინ იყო გუბაზ II-ის სიკვდილის შემდეგ ლაზი დიდებულების შეკრებაზე ბიზანტიური ორიენტაციის მომხრე?
ა) ფარტაძე ბ) აიეტი გ) ფარსმანი დ) სვიმონი

88. რომელ წელს დასრულდა „დიდი ომიანობა" ეგრისში?
ა) 572 წ. ბ) 562 წ. გ) 568 წ. დ) 570 წ.

89. რა ეწოდებოდა ქართლის მმართველს VI ს-ის 70-იანი წლებიდან?
ა) მამასახლისი ბ) პიტიახში გ) ერისმთავარი დ) მეფე

90. რომელ წელს მოხდა საეკლესიო განხეთქილება სომხებსა და ქართველებს შორის?
ა) 608 წ. ბ) 610 წ. გ) 612 წ. დ) 606 წ.

91. როდის ილაშქრა ბიზანტიის იმპერატორმა ჰერაკლემ თბილისზე?
ა) 624 წ. ბ) 627 წ. გ) 629 წ. დ) 623 წ.

92. ვინ იყვნენ ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლეს მოკავშირეები თბილისზე ლაშქრობისას?
ა) ხაზარები ბ) ალანები გ) გოთები დ) ჭანები

93. რომელ წელს აიღეს ხაზარებმა თბილისი?
ა) 632 წ. ბ) 626 წ. გ) 628 წ. დ) 630 წ.

94. რას უწოდებენ მომთაბარე არაბებს?
ა) მუჰაჯირებს ბ) ყურეიშიტებს გ) ისმაილიტებს დ) ბედუინებს

95. სად და რომელ წელს დაიბადა წინასწარმეტყველი მუჰამადი?
ა) 570 წ. მედინაში ბ) 580 წ. მექაში გ) 580 წ. მედინაში დ) 570 წ. მექაში

96. რომელ წელს გადავიდა მუჰამადი მექადან მედინაში?
ა) 612 წ. ბ) 620 წ. გ) 622 წ. დ) 624 წ.

97. რას ნიშნავს ტერმინი „ჰიჯრა" ქართულ თარგმანში?
ა) მოგზაურობას ბ) გადასახლებას გ) წასვლას დ) მოვლინებას

98. რომელი წლიდან იწყება და რასთან არის დაკავშირებული ისლამური წელთაღრიცხვა?
ა) 570 წლიდან _ მუჰამადის დაბადებასთან
ბ) 632 წლიდან _ მუჰამადის გარდაცვალებასთან
გ) 622 წლიდან _ მუჰამადის გადასვლასთან მექადან მედინაში

99. ვინ მოვიდა არაბთა სახელმწიფოს სათავეში მუჰამედის გარდაცვალების შემდეგ?
ა) ხალიფები ბ) იმამები გ) სულთნები დ) ფადიშაჰები

100. რა ერქვა არაბთა მთავარსარდალს, რომელსაც ქართლის ერისმთავარმა სტეფანოზ II-მ დაზავება შესთავაზა?
ა) ჰაბიბ იბნ-მასლამა ბ) მურვან იბნ-მუჰამადი
გ) აბულ კასიმი დ) საჰაკი

101. არაბთა შემოსევის დროს ქართველთა და არაბთა დაზავების საფუძველი გახდა:

ა) ,,მეგობრობის სიგელი'' ბ) ,,საზავო ტრაქტატი''
გ) ,,წიგნი ფიცისა'' დ) ,,დაცვის სიგელი''

102. რა რაოდენობის გადასახადი დაუწესეს არაბებმა ქართველებს თითოეულ კომლზე?
ა) 1,5 დინარი ბ) 2 დინარი გ) 1 დინარი დ) 2,5 დინარი

103. რა შემთხვევაში თავისუფლდებოდა ქართველი არაბთა ბატონობისაგან?
ა) არაბთა ჯარში სამსახურის დროს
ბ) ისლამის მიღების შემთხვევაში
გ) არაბთა ბატონობაზე უარის თქმის შემთხვევაში
დ) კომლთა შეერთების შემთხვევაში

104. რა ერქვა არაბ სარდალს, რომელიც VIII ს-ის 20-იან წლებში ხალიფამ გამოაგზავნა ხაზართა დასამარცხებლად?
ა) მურვან ყრუ ბ) იბნ მასლამა გ) ჯარაჰი დ) ჯაფარი

105. რა ერქვა არაბთა მიერ ქართველ მოსახლეობაზე დაწესებულ სულადობრივ გადასახადს?
ა) ბეგარა ბ) ხარკი გ) ავარიზი დ) ჯიზია

106. რომელ წელს შემოვიდა მურვან ყრუ საქართველოში?
ა) 743 წ. ბ) 732 წ. გ) 739 წ. დ) 735 წ.

107. ვინ იყვნენ არგვეთის მთავრები, რომლებიც აწამა მურვან ყრუმ?
ა) დავით და ნერსე ბ) არჩილ და მირი
გ) დავით და კონსტანტინე დ) კონსტანტინე და ლეონ

108. მურვან ყრუს ლაშქრობის შემდეგ არაბთა მიერ ქართლში დანიშნულ მოხელეს ეწოდებოდა:
ა) ვაზირი ბ) ამირა გ) იმამი დ) ფაშა

109. გააუქმეს თუ არა არაბებმა ქართლში ერისმთავრობა ამირას დანიშვნის შემდეგ?
ა) გააუქმეს
ბ) არ გაუუქმებიათ. პირიქით, გაუზარდეს მას უფლებები
გ) არ გაუუქმებიათ; იგი დაუქვემდებარეს თბილისის ამირას

110. ვინ არის ავტორი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებისა ,,აბო თბილელის წამება''?
ა) გიორგი მერჩულე ბ) გიორგი მთაწმინდელი
ბ) იაკობ ცურტაველი დ) იოანე საბანისძე

111. რომელ წელს აწამეს აბო თბილელი?
ა) 780 წ. ბ) 786 წ. გ) 788 წ. დ) 790 წ.

112. ქართული ტრადიციით, რამდენი წელი გავიდა სამყაროს შექმნიდან ქრისტეს შობამდე?
ა) 5598 ბ) 5604 გ) 5608 დ) 5610

113. რამდენი წელიწადია ერთ მოქცევაში?
ა) 530 ბ) 531 გ) 532 დ) 533

114. რა არის ქორონიკონი?
ა) მოქცევის თითოეული წელი ბ) მოქცევის ნახევარი გ)მოქცევის ასწლეული

115. სად არის ნაპოვნი ჩვენამდე მოღწეული ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუში?

ა) მცხეთაში ბ) ათონში გ) სირიაში დ) პალესტინაში

116. რომელი წლებით თარიღდება ჩვენამდე მოღწეული ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუში?
ა) V ს-ის 10-იანი წლებით ბ) V ს-ის 20-იანი წლებით
გ) V ს-ის 30-იანი წლებით დ) V ს-ის 40-იანი წლებით

117. რომელ წელს არის შესრულებული ბოლნისის სიონის წარწერა?
ა) 473-474 წწ. ბ) 483-484 წწ. გ) 463-464 წწ. დ) 493-494 წწ.

118. რა ეწოდება ქართული დამწერლობის უძველეს სახეს?
ა) არამეული ბ) ნუსხურ-ხუცური
გ) მხედრული დ) მრგვლოვანი, ანუ ასომთავრული

119. რა ეწოდება თანამედროვე ქართულ ანბანს?
ა) ასომთავრული ბ) ნუსხურ-ხუცური გ) მხედრული დ) მრგვლოვანი

120. რომელ საუკუნეს ეკუთვნის ჩვენამდე მოღწეული უძველესი ქართული ლიტერატურული ძეგლი „შუშანიკის წამება”?
ა) IV ს-ის ბოლოს ბ) V ს-ის გ) VI ს-ის დასაწყისი დ) VII ს-ის ბოლოს

121. „შუშანიკის წამების” ავტორია:
ა) გიორგი მერჩულე ბ) იაკობ ცურტაველი
გ) იოანე საბანისძე დ) უცნობია

122. რა არის გამოსახული ბოლნისის სიონის უძველეს ბარელიეფზე?
ა) ხარის თავი რქებს შუა ჯვრით ბ) ამაღლების სცენა
გ) მირიან მეფე და ნანა დედოფალი დ) ყურძნის მტევნები

123. რომელი მეფის დროს მიიღო ავტოკეფალია საქართველოს ეკლესიამ?
ა) მირიანის ბ) დავით აღმაშენებლის
გ) ვახტანგ გორგასლის დ) ბაგრატ III-ის

124. რაში დაადანაშაულა ვახტანგ გორგასალმა ეპისკოპოსი მიქაელი, რომელმაც მეფეს ქრისტიანობის უარყოფა დასწამა?
ა) ვერცხლისმოყვარეობაში ბ) ნაკლებ განსწავლულობაში
გ) მაზდეანობისადმი ლოიალობაში

125. ვინ იყო საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის პირველი კათოლიკოსი?
ა) პეტრე ბ) იოანე გ) გლონოქორი დ) სამოელი

126. ვინ იყო ეროვნებით ქართველი პირველი კათოლიკოსი და რომელ წლებში მწყემსმთავრობდა იგი?
ა) თავფაჩაგ (თავფეჩაღ) I _ VI ს-ის 10-იანი წლები
ბ) ჩიმაგა (ჩერმაგ) I _ VI ს-ის 10-20-იანი წლები
გ) საბა (დასაბია) I _ VI ს-ის 20-30-იანი წლები
დ) ევლალე (ევლათი) I _ VI ს-ის 20-30-იანი წლები

127. ვინ იყო სომეხთა კათალიკოსი 608 წელს?
ა) ვაზგენი ბ) მოვსესი გ) აბრაამი დ) რუბენი

128. ვინ არის ავტორი თხზულებისა ქართველ-სომეხთა საეკლესიო განხეთქილების შესახებ _ ,,განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა”?
ა) ილარიონ ქართლის კათოლიკოსი ბ) არსენ I დიდი (საფარელი)
გ) კათოლიკოსი გაბრიელ II დ) სომეხი ისტორიკოსი უხტანესი

129. ვინ იყო აფხაზთა ერისთავი VIII ს-ის II ნახევარში, რომელმაც გაავრცელა საკუთარი ხელისუფლება მთელს დასავლეთ საქართველოზე და მიიღო ,,აფხაზთა მეფის” ტიტული?
ა) თეოდოს I ბ) ლეონ I გ) დემეტრე II დ) ლეონ II

130. აფხაზთა სამეფოს სატახტო ქალაქი იყო:
ა) სოხუმი ბ) გონიო-აფსაროსი გ) ქუთაისი დ) ფაზისი

131. როდის ჩამოყალიბდა ტაო-კლარჯეთის სამთავრო?
ა) VII ს-ის ბოლოს ბ) VIII ს-ში
გ) IX ს-ის დასაწყისში დ) IX-X სს-ის მიჯნაზე

132. ვის სახელს უკავშირდება ტაო-კლარჯეთის სამთავროს ჩამოყალიბება?
ა) დავით კურაპალატის ბ) აშოტ კუხის
გ) ლეონ II-ის დ) აშოტ ბაგრატიონის

133. ვინ იყო ქართლის ბოლო ერისმთავარი?
ა) აშოტ ბაგრატიონი ბ) ბაგრატ I გ) გურგენი დ) ადარნასე შავლიანი

134. ტაო-კლარჯეთის სამთავრობო რეზიდენცია მდებარეობდა:
ა) არტაანში ბ) ხანძთაში გ) არტანუჯში დ) სპერში

135. რა ტიტული მიანიჭა ბიზანტიის იმპერატორმა აშოტ ბაგრატიონს?
ა) მაგისტროსის ბ) კურაპალატის გ) სევასტოსის დ) პატრიკიოსის

136. აშოტ კურაპალატის დროს ტაო-კლარჯეთის სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა:
ა) შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, სამცხე, ჯავახეთი, არტაანი, შიდა ქართლი
ბ) მხოლოდ ტაო და კლარჯეთი
გ) შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, სამცხე, თბილისი
დ) შავშეთი, ტაო, კლარჯეთი, სამცხე, კახეთი, ჰერეთი

137. რომელ წელს და სად მოკლეს აშოტ კურაპალატი?
ა) 830 წ. ხანძთაში ბ) 823 წ. იშხანში
გ) 822 წ. არტაანში დ) 826 წ. არტანუჯში

138. როდის აიღო და გადაწვა თბილისი ბუღა თურქმა?
ა) 851 წლის 20 ივლისს ბ) 853 წლის 5 აგვისტოს
გ) 852 წლის 7 აპრილს დ) 854 წლის 24 სექტემბერს

139. რა ბედი ეწია თბილისის ამირა საჰაკს ბუღა თურქის მიერ თბილისის აღების შემდეგ?
ა) შემოირიგეს ბ) ბრძოლაში დაიღუპა
გ) გაქცევით უშველა თავს დ) თავი მოჰკვეთეს

140. რომელ წელს შემოიჭრა საქართველოში აბულ-კასიმი?
ა) 902 წ. ბ) 908 წ. გ) 914 წ. დ) 920 წ.

141. რის გამო დაიმსახურა აფხაზთა მეფე გიორგი II-მ კონსტანტინოპოლის პატრიარქის მადლობა?
ა) ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელების ხელშეწყობისათვის
ბ)დას. საქართველოს ეკლესიის მცხეთის კათოლიკოსისადმი დაქვემდებარებისათვის

გ) თბილისის ამირას წინააღმდეგ წარმართული ბრძოლისათვის

142. ვინ გამეფდა აფხაზეთში 975 წელს?
ა) ბაგრატ II ბ) დავით I გ) დავით II დ) თეოდოს II

143. იოანე მარუშისძე იყო:
ა) კახეთის ქორეპისკოპოსი ბ) კლარჯეთის ერისთავი
გ) აფხაზთა მეფე დ) აფხაზთა მეფის ერისთავი

144. ბაგრატიონთა რომელ შტოს ეკუთვნოდა დავით III კურაპალატი?
ა) ტაოელ ბ) არტანუჯელ გ) აფხაზეთის დ) სპერის

145. რომელ წელს დასვა დავით III კურაპალატმა ბაგრატ III ქართლში მმართველად?
ა) 967 წ. ბ) 971 წ. გ) 973 წ. დ) 975 წ.

146. სად და როდის ეკურთხა ბაგრატ III „აფხაზთა მეფედ”?
ა) ციხე-გოჯში 977 წელს ბ) ქუთაისში 978 წელს
გ) ქუთაისში 980 წელს დ) მცხეთაში 978 წელს

147. ბიზანტიის რომელმა იმპერატორმა სთხოვა დახმარება დავით III კურაპალატს მის წინააღმდეგ დაწყებული აჯანყების ჩასახშობად?
ა) ნიკიფორე ფოგამ ბ) კონსტანტინე VII-მ
გ) ბასილი I-მა დ) ბასილი II-მ

148. ვინ აუჯანყდა ბიზანტიის იმპერატორს 976 წელს?
ა) ბარდა სკლიაროსი ბ) ბარდა ფოკა გ) რომანოზი დ) ალექსანდრე

149. რომელმა ქართველმა მწერალმა მიუძღვნა პოემა დავით III-ის აჯანყების ჩახშობაში ბიზანტიის იმპერატორისადმი დახმარების თემას?
ა) ილია ჭავჭავაძემ ბ) გრიგოლ ორბელიანმა
გ) ლადო ასათიანმა დ) აკაკი წერეთელმა

150. რა პირობით მიიღო ბიზანტიის იმპერატორისაგან მიწები დავით III კურაპალატმა 976 წლის აჯანყების ჩახშობაში გაწეული დახმარებისათვის?
ა) ისინი სამუდამოდ რჩებოდა დავით III-ს და მის შთამომავლობას
ბ) ათი წლის შემდეგ დავით III-ს უკან უნდა დაებრუნებინა
გ) მიწები არ გადაეცემოდა დავით III-ის შთამომავლობას

151. ვის დაავალა ბიზანტიის იმპერატორმა 976 წლის აჯანყების ჩახშობა?
ა) თორნიკე ერისთავს ბ) ჯოჯიკს გ) ბარდა ფოკას დ) დავით III-ს

152. ვინ აუჯანყდა ბიზანტიის იმპერატორს 987 წელს?
ა) ბარდა ფოკა ბ) ბარდა სკლიაროსი გ) ალექსანდრე დ) რომანოზი

153. ვის სთხოვა დახმარება ბასილი II-მ 987 წლის აჯანყების ჩახშობაში?
ა) დავით III კურაპალატს ბ) ბაგრატ III-ს
გ) გურგენ ქართლის მეფეს დ) კიევის მთავარ ვლადიმირს

154. რომელ წელს გამოცხადდა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად კიევის რუსეთში?
ა) 986 წ. ბ) 996 წ. გ) 988 წ. დ) 990 წ.

155. რომელ წელს გარდაიცვალა დავით III კურაპალატი?
ა) 999 წ. ბ) 1008 წ. გ) 1001 წ. დ) 1004 წ.

156. ბაგრატ III-მ მამისგან მემკვიდრეობით მიიღო:
ა) კლარჯეთი, ჯავახეთი, იმიერტაო
ბ) შავშეთი, კლარჯეთი, სამცხე, ჯავახეთი, ამიერტაო
გ) აფხაზეთის სამეფო
დ) შიდა ქართლი, შავშეთი, კლარჯეთი

157. რამდენი ტახტის მემკვიდრე იყო ბაგრატ III?
ა) ერთის ბ) ორის გ) სამის დ) ოთხის

158. გაერთიანებული ქართული სამეფოს სატახტო ქალაქი ბაგრატ III-ის მეფობის დროს იყო:
ა) ქუთაისი ბ) მცხეთა გ) თბილისი დ) არტანუჯი

159. რომელ წლებში მეფობდა გიორგი I?
ა) 1012-1022 წწ. ბ) 1014-1020 წწ. გ) 1014-1027 წწ. დ) 1014-1025 წწ.

160. ისარგებლა რა ომით ბიზანტიელებსა და ბულგარელებს შორის, გიორგი პირველმა შემოიერთა:
ა) თბილისის საამირო ბ) კლარჯეთი გ) იმიერ ტაო დ) ლორე-ტაშირი

161. ვის დაუკავშირდა გიორგი I ანტიბიზანტიური კოალიციის შექმნის მიზნით?
ა) ალეპოს მმართველ ილ-ღაზს ბ) ეგვიპტის სულთან ალ-ჰაქიმს
გ) თბილისის ამირას დ) სელჩუკთა სულთან მალქ-შაჰს

162. რომელ წელს დამარცხდა გიორგი I ბიზანტიელების წინააღმდეგ ბრძოლაში შირიმნთან?
ა) 1019 წ. ბ) 1021 წ. გ) 1022 წ. დ) 1023 წ.

163. რომელ წელს დაიდო ზავი გიორგი I-სა და ბიზანტიის იმპერატორ ბასილი II-ს შორის?
ა) 1025 წ. ბ) 1020 წ. გ) 1022 წ. დ) 1023 წ.

164. რა ბედი ეწია იმიერ ტაოს გიორგი I-სა და ბიზანტიის იმპერატორ ბასილი II-ს შორის დადებული ზავით?
ა) იმიერ ტაო დარჩა ბიზანტიას ბ) იმიერ ტაო შემოიერთა გიორგი I-მა
გ) იმიერ ტაოს საკითხი შეუთანხმებელი დარჩა

165. სად არის დაკრძალული გიორგი I?
ა) არტანუჯში ბ) მცხეთაში გ) ქუთაისშიდ) უჯარმაში

166. რომელ წლებში მეფობდა ბაგრატ IV?
ა) 1026-1068 წწ. ბ) 1027-1058 წწ. გ) 1027-1072წწ. დ) 1027-1040 წწ.

167. ვინ ხელმძღვანელობდა 1031 წელს კონსტანტინოპოლში ზავის დასადებად ჩასულ საქართველოს ელჩობას?
ა) დედოფალი ელენე ბ) დედოფალი მარიამი გ) გიორგი მთაწმინდელი

168. რა იყო ბაგრატ IV-სა და ლიპარიტ IV ბაღვაშს შორის დაპირისპირების მთავარი მიზეზი?

ა) ლიპარიტ ბაღვაშის სურვილი დაეკავებინა საქართველოს ტახტი
ბ) ლიპარიტ ბაღვაშის სურვილი გამოეყო კლდეკარის საერისთავო ერთიანი სამეფოსაგან
გ) თბილისის საამიროს საკითხის გადაწყვეტაში წამოჭრილი უთანხმოებანი

169. ვინ შეარიგა ბაგრატ IV და ლიპარიტ IV ბაღვაში?
ა) მცხეთის კათოლიკოსმა მელქისედეკმა
ბ) თბილისის ამირა ჯაფარმა
გ) ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე IX-მ

170. რა ბედი ეწია ლიპარიტ IV ბაღვაშს შეპყრობის შემდეგ?
ა) ბერად აღკვეცეს გ) სიკვდილით დასაჯეს
გ) თვალები დასთხარეს დ) შემოირიგა ბაგრატ IV-მ

171. სელჩუკთა რომელი ბეგი აღიარა ბაღდადის ხალიფამ პირველ სულთნად?
ა) ალფ-არსლანი ბ) ყილიჩ-არსლანი
გ) თოღრულ ბეგი დ) იაბღუ

172. რომელ წელს და ვისი სარდლობით შემოვიდნენ სელჩუკები საქართველოში პირველად?
ა) 1054 წ. თოღრულ ბეგის ბ) 1064 წ. ალფ-არსლანის
გ) 1068 წ. მელიქ შაჰის დ) 1072 წ. ყილიჩ-არსლანის

173. რომელ ქართულ ქალაქში შემოიჭრნენ სელჩუკები პირველად?
ა) ლორეში ბ) ახალციხეში გ) დმანისში დ) ახალქალაქში

174. რომელ წლებში მეფობდა გიორგი II?
ა) 1072-1098 წწ. ბ) 1072-1089 წწ. გ) 1074-1086 წწ. დ) 1071-1079 წწ.

175. რომელ წელს დაიწყო საქართველოში "დიდი თურქობა"?
ა) 1076 წ. ბ) 1078 წ. გ) 1080 წ. დ) 1082 წ.

176. სელჩუკთა რომელ სულთანს სთხოვა გიორგი II-მ ზავი მოხარკეობის პირობით?
ა) თოღრულ ბეგს ბ) ალფ-არსლანს გ) მელიქ-შაჰს დ) ყილიჩ-არსლანს

177. რომელ წელს დადო ზავი გიორგი II-მ სელჩუკებთან?
ა) 1081 წ. ბ) 1083 წ. გ) 1085 წ. 1086 წ.

178. რამდენი წლისა გამეფდა დავით IV აღმაშენებელი?
ა) 17 ბ) 22 გ) 15 დ) 16

179. რომელ წლებში მეფობდა დავით IV აღმაშენებელი?
ა) 1089-1125 წწ. ბ) 1089-1123 წწ. გ) 1091-1125 წწ. დ) 1091-1124 წწ.

180. რა ვითარებაში დასრულდა გიორგი II-ის მეფობა?
ა) გადააყენეს ტახტიდან ბ) დაიღუპა ბრძოლაში
გ) ბერად აღიკვეცა დ) აღესრულა ბუნებრივი სიკვდილით

181. რომელ წელს შეუწყვიტა დავით აღმაშენებელმა სელჩუკებს ხარკის გადახდა?
ა) 1099 წ. ბ) 1100 წ. გ) 1096 წ. დ) 1997 წ.

182. რომელ წელს მოიწვიეს რუის-ურბნისის საეკლესიო კრება?
ა) 1104 წ. ბ) 1102 წ, გ) 1106 წ. დ) 1107 წ.

183. ვინ და რა მიზეზით ჩამოიყვანა გიორგი მთაწმინდელი საქართველოში?
ა) დავით აღმაშენებელმა _ საეკლესიო რეფორმის ჩასატარებლად
ბ) ბაგრატ IV-მ _ საეკლესიო რეფორმის ჩასატარებლად
გ) გიორგი I-მა _ ბიზანტიასთან ურთიერთობის მოსაგვარებლად

184. რომელ წელს და საიდან გადმოასახლა დავით აღმაშენებელმა ყივჩაყები?
ა) 1117 წ. მცირე აზიიდან ბ) 1119 წ. შუა აზიიდან
გ) 1118 წ. ჩრდილოეთ კავკასიიდან დ) 1120 წ. ირანიდან

185. სად ინახებოდა დავით აღმაშენებლის ნაქონი ძელი ცხოველისაგან დამზადებული ჯვარი?
ა) ვატიკანში, პეტრეს ტაძარში ბ) იერუსალიმის ჯვრის მონასტერში
გ) სვეტიცხოვლის ტაძარში დ) პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში

186. ვინ სარდლობდა თურქ-სელჩუკთა ჯარს დიდგორის ბრძოლაში?
ა) მაჰმუდ მოჰამედის ძე ბ) ილ-ღაზი
გ) ჯელალ ედ-დინი დ) რუქნადინი

187. რა რაოდენობის ლაშქარი ჰყავდა დიდგორის ბრძოლაში მტრის კოალიციას?
ა) 100 ათასი ბ) 50 ათასი გ) 300 ათასი დ) 200 ათასი

188. ქართველთა ლაშქრის რაოდენობა დიდგორის ბრძოლაში იყო:
ა) 55600 ბ) 45500 გ) 100100 დ) 70500

189. როდის მოხდა დიდგორის ბრძოლა?
ა) 1119 წ. 5 მაისს ბ) 1122 წ. 20 აგვისტოს
გ) 1123 წ. 2 აპრილს დ) 1121 წ. 12 აგვისტოს

190. ვინ მთავარსარდლობდა ქართველთა ლაშქარს დიდგორის ომში?
ა) დავითის ძე დემეტრე ბ) გიორგი ჭყონდიდელი გ) დავით აღმაშენებელი

191. რომელ წელს გაათავისუფლა დავით აღმაშენებელმა თბილისი?
ა) 1122 წ. ბ) 1121 წ. გ) 1123 წ. დ) 1124 წ.

192. საიდან გადმოიტანა დავით აღმაშენებელმა სატახტო ქალაქი თბილისში?
ა) მცხეთიდან ბ) ქუთაისიდან გ) სამშვილდედან დ) არტანუჯიდან

193. რომელ წლებში მეფობდა გიორგი III?
ა) 1157-1169 წწ. ბ) 1156-1172 წწ. გ) 1156-1184 წწ. დ) 1155-1179 წწ.

194. რა ერქვა სომხეთის ძველ დედაქალაქს, რომლის შემოერთებაც გიორგი III-მ ვერ შეძლო?
ა) ტიგრანაკერტი ბ) ერევანი გ) ტაშირი დ) დვინი

195. რომელ წელს აუჯანყდა დემნა ბატონიშვილი გიორგი III-ს?
ა) 1164 წ. ბ) 1177 წ. გ) 1172 წ. დ) 1168 წ.

196. დემნა ბატონიშვილი იყო გიორგი III-ის:

ა) ძმიშვილი ბ) შვილი გ) ბიძაშვილი დ) ძმა

197. ვინ იყო საქართველოს ამირსპასალარი გიორგი III-ის დროს, რომელმაც აქტიურად დაუ-ჭირა მხარი აჯანყებულ დემნა ბატონიშვილს?
ა) ზაქარია მხარგრძელი ბ) შალვა ახალციხელი
გ) ივანე ორბელი დ) სადუნ მანკაბერდელი

198. რა რაოდენობის სამხედრო ძალა უჭერდა მხარს გიორგი III-ის წინააღმდეგ აჯანყებულ დემნა ბატონიშვილს?
ა) 10 000 კაცი ბ) 30 000 კაცი გ) 50 000 კაცი დ) 60 000 კაცი

199. როგორ დასაჯა საქართველოს მეფე გიორგი III-მ დემნა ბატონიშვილი აჯანყების ჩახშობის შემდეგ?
ა) ბერად აღკვეცა ბ) დაასაჭურისა და თვალები დასთხარა
გ) თავი მოჰკვეთა დ) ჩამოახრჩო

200. რა ერქვა ყივჩაყ სარდალს, რომელიც ერთ-ერთი პირველი დაუდგა გვერდით გიორგი III-ს დემნა ბატონიშვილის აჯანყების ჩასახშობად?
ა) ათრაქა ბ) შარაღანი გ) არსლანი დ) ყუბასარი

201. საქართველოს ამირსპასალარი ივანე ორბელი იყო დემნა ბატონიშვილის:
ა) ცოლისძმა ბ) სიმამრი გ) სიძე დ) ბიძა

202. რა ბედი ეწია ივანე ორბელს გიორგი III-ის მიერ აჯანყების ჩახშობის შემდეგ?
ა) თვალები დასთხარეს და დაასაჭურისეს ბ) შემოირიგეს
გ) ბერად აღიკვეცა დ) სიკვდილით დასაჯეს

203. რა თანამდებობა უბოძა გიორგი III-მ ყუბასარს აჯანყების ჩახშობაში მხარდაჭერისათ-ვის?
ა) ამირსპასალარ-მანდატურთუხუცესის ბ) მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის
გ) მეჭურჭლეთუხუცესის დ) მსახურთუხუცესის

204. რომელ წელს აკურთხა გიორგი III-მ თამარი თანამოსაყდრედ?
ა) 1172 წ. ბ) 1179 წ. გ) 1182 წ. დ) 1184 წ.

205. რომელი ვაზირები გადააყენა თამარმა დიდებულთა მოთხოვნით?
ა) შალვა და ივანე ახალციხელები ბ) ტარსაიჭ ორბელი
გ) სარგის ჯაყელი და ზაქარია მხარგრძელი დ) ყუბასარი და აფრიდონი

206. რა თანამდებობა ეკავა ყუთლუ არსლანს თამარის კარზე?
ა) ამირსპასალარ-მანდატურთუხუცესის ბ) მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის
გ) მეჭურჭლეთუხუცესის დ) მსახურთუხუცესის

207. ისნის „კარავი” მიზნად ისახავდა:
ა) მეფისთვის რჩევების მიწოდებას ბ) მეფის ხელისუფლების შეზღუდვას
გ) საგარეო საქმეების მოგვარებას დ) სასამართლო საქმეების წარმოებას

208. რომელი ქართველი ისტორიკოსი გვაწვდის ცნობებს დავით სოსლანის ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოსთან ნათესაობის თაობაზე?
ა) ვახუშტი ბაგრატიონი ბ) პაპუნა ორბელიანი
გ) ფარსადან გორგიჯანიძე გ) ომან ხერხეულიძე

209. რომელ წელს მოხდა შამქორის ბრძოლა?

ა) 1194 წ. ბ) 1195 წ. გ) 1196 წ. დ) 1197 წ.

210. ვინ დაამარცხა თამარმა შამქორის ბრძოლაში?
ა) აბუ ბექრი ბ) ჯელალ ედ-დინი გ) სალაჰ ად-დინი დ) რუქნ ად-დინი

211. ვინ გამოუგზავნა თამარ მეფეს შეურაცხმყოფელი წერილი, რომლის ელჩსაც, წერილის შინაარსით აღშფოთებულმა, ზაქარია მხარგრძელმა სილა გააწნა?
ა) ეგვიპტის სულთანმა სალაჰ ად-დინმა ბ) ჩინგიზ ყაენმა
გ) რუმის სულთანმა რუქნ ად-დინმა დ) ხვარზმ-შა მუჰამედმა

212. რომელ წელს გაიმართა ბასიანის ბრძოლა?
ა) 1200 წ. ბ) 1206 წ. გ) 1202 წ. დ) 1204 წ.

213. ვინ მეთაუროზდა ქართველთა ჯარს ბასიანის ბრძოლაში?
ა) დავით სოსლანი ბ) ივანე მხარგრძელი
გ) შალვა ახალციხელი დ) ივანე ახალციხელი

214. რაში გაცვალეს ქართველებმა ბასიანის ბრძოლაში ტყვედ ჩავარდნილი რუქნადინის ძმა?
ა) ცხენის უნაგირში ბ) ჯორის ერთ ნალში გ) ცხენის ნალში დ) ხმალში

215. რომელ წელს შეიქმნა ტრაპიზონის იმპერია?
ა) 1201 წ. ბ) 1203 წ. გ) 1204 წ. დ) 1206 წ.

216. ვინ იყო ტრაპიზონის პირველი იმპერატორი?
ა) ალექსი კომნენოსი ბ) ანდრონიკე I გ) კონსტანტინე დ) ბასილი

217. 1210 წლის ქართველთა ლაშქრობა ირანში ატარებდა:
ა) მარბიელ ხასიათს ბ) დაპყრობით ხასიათს გ) სადამსჯელო ხასიათს

218. რატომ იდგა საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში ,,მეფე აფხაზთა" პირველ ადგილზე?
ა) დანარჩენ ქართულ სამთავროებზე აფხაზთა სამეფოს ჰეგემონობის ხაზგასმის გამო
ბ) აფხაზთა სამეფოდან დაიწყო საქართველოს გაერთიანება და ბაგრატ III-მ სწორედ ეს ტიტული მიიღო პირველად
გ) ბიზანტიის იმპერიის მიერ აფხაზთა სამეფოსადმი პრივილეგიის მინიჭების გამო

219. რა ეწოდებოდა ფეოდალურ საქართველოში მეფის სათათბირო ორგანოს?
ა) კარავი ბ) დარბაზი გ) საბჭო დ) მეჯლისი

220. რა ფუნქცია გააჩნდა სავაზიროს ფეოდალურ საქართველოში?
ა) რელიგიური საკითხების მოწესრიგება
ბ) ქვეყნის საზღვრების გაკონტროლება
გ) ქვეყნის ყოველდღიური მართვა

221. სადაური წარმოშობის სიტყვაა ვაზირი?
ა) სპარსული ბ) ბერძნული გ) არაბული დ) სომხური

222. ვინ იყო ვაზირთა შორის უპირველესი ფეოდალურ საქართველოში?
ა) მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი ბ) ამირსპასალარი
გ) მანდატურთუხუცეს-მსახურთუხუცესი დ) ათაბაგი

223. ვინ ავიდა საქართველოს სამეფო ტახტზე თამარის გარდაცვალების შემდეგ?
ა) რუსუდანი ბ) ლაშა-გიორგი გ) დავითი დ) დემეტრე II

224. რას უწოდებს ჟამთააღმწერელი ლაშა-გიორგის ,,თანამოჰასაკენთ"?
ა) რინდებს ბ) ტრუბადურებს გ) დამქაშებს დ) თამამეინახეებს

225. რომელ წელს აირჩიეს მონღოლთა ყაენად თემუჩინი?
ა) 1204 წ. ბ) 1206 წ. გ) 1208 წ. დ) 1209 წ.

226. რა სახელით არის ცნობილი თემუჩინი მონღოლთა ყაენად არჩევის შემდეგ?
ა) ჩაღატა ბ) ბათუ გ) თენგიზი დ) ჩინგიზი

227. ჩამოთვლილთაგან რომელ სარდლებს დაავალა ჩინგიზ ყაენმა კასპიის ზღვის კუნძუ-ლებზე გაქცეული ხორეზმშაჰის შეპყრობა და სიკვდილით დასჯა?
ა) ჩაღატას და ჩარმაღანს ბ) ჯებესა და სუბუდაის გ) ბათუსა და ჰულაგუს

228. ვინ ჩაუდგა სათავეში მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლას ხორეზმშაჰ მუჰამედის გარდაც-ვალების შემდეგ?
ა) ჯალალ ად-დინი ბ) აბულ კასიმი გ) რუქნ ად-დინი

229. რომელ წელს შემოიჭრნენ მონღოლები საქართველოში პირველად?
ა) 1219 წ. ბ) 1220 წ. გ) 1221 წ. დ) 1223 წ.

230. რამდენჯერ მოხდა ქართველთა და მონღოლთა შეტაკება პირველი შემოსევის დროს?
ა) 2-ჯერ ბ) 3-ჯერ გ) 4-ჯერ დ) 5-ჯერ

231. რომელ წელს გარდაიცვალა ლაშა-გიორგი?
ა) 1222 წ. ბ) 1219 წ. გ) 1224 წ. დ) 1223 წ.

232. რა გახდა ერთიანი საქართველოს მეფის გიორგი IV-ის გარდაცვალების მიზეზი?
ა) მოწამლეს ბ) მონღოლებთან ბრძოლაში მიღებული ჭრილობა
გ) მოკლეს ღალატით დ) გარდაიცვალა ბუნებრივი სიკვდილით

233. ვინ დაამარცხეს საქართველოდან ჩრდილოეთ კავკასიაში გადასულმა მონღოლებმა?
ა) რუსთა და ყივჩაყთა გაერთიანებული ლაშქარი
ბ) ხაზართა და პაჭანიკთა გაერთიანებული ლაშქარი
გ) რუსთა და ბულგართა გაერთიანებული ლაშქარი

234. სად და როდის გაიმართა ბრძოლა ქართველებსა და ჯალალ ად-დინს შორის?
ა) 1224 წ. ალგეთთან ბ) 1125 წ. ფარავნის ტბასთან
გ) 1225 წ. გარნისთან დ) 1226 წ. ახალციხესთან

235. რამ განაპირობა ქართველების მარცხი ჯალალ ად-დინთან?
ა) ხვარაზმელთა აშკარა უპირატესობამ
ბ) ამირსპასალარ ივანე მხარგრძელის შეცდომამ
გ) ქართული ჯარის მოუმზადებლობამ

236. სად გარდაიცვალა ქართველთა მოწინავე ლაშქრის სარდალი შალვა ახალციხელი?
ა) ბრძოლის ველზე
ბ) ტყვეობაში სიკვდილით დასაჯეს
გ) თბილისის ალყის დროს

237. რას ასახელებს ჟამთააღმწერელი საქართველოს ამირსპასალარის ივანე მხარგრძელის ჯალალ ად-დინთან ბრძოლისას დაშვებული შეცდომის ერთ-ერთ მიზეზად?

ა) ჯალალ ად-დინის მხედრული ნიჭის შეუფასებლობას
ბ) არასაკმარის საბრძოლო გამოცდილებას
გ) შალვა და ივანე ახალციხელების მიმართ აშკარა შურს

238. გადმოცემის თანახმად ვის ეძღვნება ქართული მხედრული სიმღერა „შავლეგო"?

ა) ივანე ახალციხელს ბ) ივანე მხარგრძელს
გ) შალვა ახალციხელს დ) ზოგადად ქართულ ლაშქარს

239. ვის დაავალა თბილისის დაცვა რუსუდანმა ჯალალ ად-დინის შემოტევისაგან?

ა) ივანე მხარგრძელს ბ) თავის მეუღლეს
გ) პირადად ხელმძღვანელობდა დ) ბოცო და მემნა ბოცოსძეებს

240. სად იმყოფებოდა მეფე რუსუდანი ჯალალ ად-დინის თბილისთან გამოჩენის ჟამს?

ა) პირადად ხელმძღვანელობდა ქალაქის დაცვას
ბ) მიატოვა ქალაქი და გაიხიზნა ქუთაისში
გ) მიატოვა ქალაქი და გაიხიზნა კახეთში

241. რომელ წელს აიღო ჯალალ ად-დინმა თბილისი?

ა) 1226 წ. ბ) 1227 წ. გ) 1225 წ. დ) 1228 წ.

242. რამ განაპირობა თბილისის დაცემა ჯალალ ად-დინის შემოსევისას?

ა) ქართველი მთავარსარდლების შეუთანხმებელმა მოქმედებამ
ბ) რუსუდანის არასწორმა ტაქტიკურმა ხელმძღვანელობამ
გ) შინაგამცემლობამ

243. რამდენი თბილისელი დახოცა ჯალალ ად-დინმა ქალაქის აღების შემდეგ?

ა) 20 ათასი ბ) 80 ათასი გ) 100 ათასი დ) 115 ათასი

244. როგორ დაასრულა სიცოცხლე ხვარაზმშა ჯალალ ად-დინმა?

ა) ეგვიპტეში გაიხიზნა და იქ გარდაიცვალა
ბ) თავი მოიწამლა
გ) მონღოლთა დევნილობაში დაიღუპა

245. როდის გამოჩნდნენ მონღოლები საქართველოში მეორედ?

ა) 1232 წ. ბ) 1235 წ. გ) 1242 წ. დ) 1245 წ.

246. რა ხერხი დაუპირისპირეს ქართველებმა მონღოლებს მეორედ შემოსევისას?

ა) რუსუდანმა დაიწყო მოლაპარაკება რომის პაპთან ჯვაროსანთა დახმარებაზე
ბ) ქართველთა ლაშქარი რუსუდანის ხელმძღვანელობით გაემართა მონღოლთა დასახ-ვედრად
გ) ქართველი დიდებულები გამაგრდნენ საკუთარ ციხე-სიმაგრეებში და იქიდან აპირებ-დნენ ბრძოლის წარმოებას

247. ქართველ დიდებულთაგან ვინ დაუზავდა პირველი მონღოლებს და აღიარა მათი მფარვე-ლობა?

ა) ავაგ მხარგრძელი ბ) გრიგოლ სურამელი
გ) ყვარყვარე ჯაყელი დ) ცოტნე დადიანი

248. ქართველ დიდებულთაგან ერთადერთი, ვინც ბოლომდე გაუწია წინააღმდეგობა მონღო-ლებსა და მხოლოდ რუსუდან მეფის თანხმობით შეწყვიტა ბრძოლა, იყო:

ა) ვარამ გაგელი ბ) ყვარყვარე ჯაყელი
გ) გამრეკელ-თორელი დ) ეგარასლან ბაკურციხელი

249. რომელ წელს დაიდო ზავი საქართველოსა და მონღოლებს შორის?
ა) 1243 წ. ბ) 1244 წ. გ) 1245 წ. დ) 1247 წ.

250. რა რაოდენობის ხარკი უნდა გადაეხადა ზავის პირობით საქართველოს მონღოლთათვის?
ა) 20 ათასი პერპერა ბ) 30 ათასი პერპერა
გ) 50 ათასი პერპერა დ) 80 ათასი პერპერა

251. ვინ გაგზავნა რუსუდან მეფემ მონღოლთა ყაენთან საქართველოს მეფედ დასამტკიცებლად?
ა) თავისი ძმიშვილი დავით ლაშას ძე
ბ) თავისი ძე დავითი
გ) თავისი ქალიშვილი თამარი

252. როდის გარდაიცვალა საქართველოს მეფე რუსუდანი?
ა) 1243 წ. ბ) 1250 წ. გ) 1247 წ. დ) 1245 წ.

253. რა ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყვეს მონღოლებმა საქართველოს ტერიტორია რუსუდანის გარდაცვალების სემდეგ?
ა) ოლქებად ბ) ხასინჯუებად გ) დუმნებად დ) სატრაპიებად

254. ვინ ჩაუყენეს მონღოლებმა მათ მიერ საქართველოში შემოღებულ ახალ ადმინის-ტრაციულ ერთეულებს სათავეში?
ა) მონღოლი ბასკაკები ბ) ქართველი თავადები გ) მონღოლი სარდლები

255. რა მიზანს ისახავდა კოხტასთავის შეთქმულება?
ა) მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყების მოწყობას
ბ) მონღოლებისათვის გადასახადების გადახდაზე უარის თქმას
გ) მონღოლთა ლაშქრობებში მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმას

256. საქართველოს რომელ კუთხეში მდებარეობს კოხტასთავი?
ა) ქართლში ბ) კახეთში გ) ჯავახეთში დ) კლარჯეთში

257. კოხტასთავის შეკრების მონაწილე რომელი დიდებულები გადაურჩნენ მონღოლებისაგან შეპყრობას?
ა) ცოტნე დადიანი და ვარამ გაგელი
ბ) სარგის თმოგველი და ყვარყვარე ჯაყელი
გ) ეგარასლან ბაკურციხელი და ავაგ მხარგრძელი
დ) რაჭის ერისთავი კახაბერისძე და ცოტნე დადიანი

258. ვისმა გმირულმა საქციელმა იხსნა კოხთასთავის შეთქმულები?
ა) ცოტნე დადიანის ბ) კახაბერ კახაბერისძის
გ) დავით რუსუდანის ძის დ) დავით ლაშას ძის

259. სად წაიყვანეს მონღოლებმა საწამებლად კოხტასთავს შეპყრობილი ქართველი დუმენისთავები?

ა) სარაი ბერქეში ბ) ყარაყორუმში გ) ანისში დ) თბილისში

260. სად გააგზავნეს ქართველმა დიდებულებმა დავით ლაშას ძე?
ა) სარაი ბერქეში ბ) ანისში გ) ყარაყორუმში დ) ბუხარაში

261. სად იმყოფებოდა დავით ლაშას ძე ყაენთან გაგზავნამდე?
ა) თავის მამიდაშვილ თამართან რუმის სასულთნოში
ბ) ბიზანტიის იმპერატორთან
გ) სპარსეთში
დ) დასავლეთ საქართველოში

262. რატომ დაამტკიცეს მონღოლებმა საქართველოს სამეფო ტახტზე ორი დავითი (რუსუდანის ძე და ლაშას ძე) მეფეებად?
ა) საქართველოს გაძლიერების მიზნით
ბ) საქართველოს დასაქუცმაცებლად და იოლად სამართავად
გ) მონღოლური წესით ტერიტორიული მოწყობის გამო

263. როგორი სახის სამხედრო ბეგარა დაუწესეს საქართველოს მოსახლეობას მონღოლებმა?
ა) ფულის გადამხდელი თავისუფლდებოდა სამხედრო სამსახურიდან
ბ) ყოველი ბრძოლისუნარიანი მამაკაცი მონაწილეობდა მონღოლთა ლაშქრობებში
გ) ყოველ ცხრა სრულფუძიან კომლს უნდა გამოეყვანა ერთი მეომარი
დ) ყოველ ხუთ სრულფუძიან კომლს უნდა გამოეყვანა ერთი მეომარი

264. რა რაოდენობის ჯარი უნდა გამოეყვანა საქართველოს მონღოლურ ლაშქრობებში მონაწილეობისათვის?
ა) 40 ათასი ბ) 90 ათასი გ) 25 ათასი დ) 100 ათასი

265. რომელი რელიგიის მიმდევრები იყვნენ მონღოლები ურდოს ჩამოყალიბების პროცესში?
ა) შამანიზმის ბ) ისლამის გ) ბუდიზმის დ) ქრისტიანობის

266. როდის აუჯანყდა დავით ნარინი მონღოლებს?
ა) 1259 წ. ბ) 1260 წ. გ) 1261 წ. დ) 1257 წ.

267. რომელ წელს აუჯანყდა მონღოლებს დავით ულუ?
ა) 1256 წ. ბ) 1258 წ. გ) 1260 წ. დ) 1257 წ

268. როდის გაიყო საქართველო ორ ცალკეულ სამეფოდ?
ა) დავით ულუს აჯანყების შემდეგ ბ) კოხტასთავის შეთქმულების ჩავარდნის შემდეგ
გ) რუსუდანის სიკვდილის შემდეგ დ) დავით ნარინის აჯანყების შემდეგ

269. ჩამოთვლილთაგან რომელმა დიდებულმა დაუჭირა მხარი და ბოლომდე უერთგულა დავით ულუს მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებაში?
ა) ცოტნე დადიანმა ბ) სარგის ჯაყელმა
გ) კახაბერ კახაბერისძემ დ) გრიგოლ სურამელმა

270. რა იყო მიზეზი დავით ულუსა და ბასილ ჭყონდიდელ უჯარმელის ურთიერთობის გამ-წვავებისა?
ა) ბასილმა მოინდომა ახალი საეკლესიო რეფორმების გატარება
ბ) ბასილი აქტიურად მხარს უჭერდა მონღოლურ პოლიტიკას
გ) ბასილი ეწინააღმდეგებოდა მეფის მიერ ეკლესიისათვის შეწირული მიწების გამოწი-რვას

271. რატომ დაუპირისპირდა დავით ულუ მის ერთგულ დიდებულს სარგის ჯაყელს?
ა) სარგის ჯაყელი გადავიდა დავით ნარინის მხარეს
ბ) ეჭვიანი დავით ულუ დაარწმუნეს, რომ ყაენი სარგის ჯაყელის გამეფებას აპირებდა
გ) სარგის ჯაყელმა უარი განაცხადა მეფესთან ერთად დამდგარიყო სიბაზე

272. რას ითვალისწინებდა მონღოლური გადასახადის ერთ-ერთი ფორმა სიბაზე დგომა?
ა) ოქროს ურდოსგან თავდაცვის მიზნით კავკასიონის ქედზე თავდაცვითი ზღუდეების შექმნას და მუდმივ მორიგეობას
ბ) ლიხის ქედის გამაგრებასა და დავით ნარინის შემოტევების მოგერიებას
გ) საეკლესიო მიწების სახელმწიფო საკუთრებაში გადასვლაზე მხარდაჭერას

273. რომელ წელს ჩამოშორდა `ხასინჯუს" წესით სამცხე საქართველოს სამეფოს?
ა) 1269 წ. ბ) 1265 წ. გ) 1267 წ. დ) 1266 წ.

274. რას ითვალისწინებდა ილხანთა ბატონობის დროს სამცხისათვის `ხასინჯუს" სტატუსის მინიჭება?
ა) სამცხე გაუნაწილდა ორ მფლობელს
ბ) ფორმალურად შენარჩუნებული იყო საქართველოს მეფის უფლებები
გ) სამცხე მთლიანად გამოვიდა საქართველოს იურისდიქციიდან და უშუალოდ დაემორ-ჩილა ილხანთა ყაენს

275. რომელია საქართველოს მეფის დემეტრე II-ის მეფობის წლები?
ა) 1271-1288 წწ. ბ) 1272-1290 წწ. გ) 1270-1279 წწ. დ) 1270-1289 წწ.

276. რომელ სავაზირო სახელოს ფლობდა სადუნ მანკაბერდელი?
ა) ამირსპასალარ-მანდატურთუხუცესის ბ) ამირსპასალარ-ათაბაგის
გ) მანდატურთუხუცეს-მეჭურჭლეთუხუცესის დ) მსახურთუხუცესის

277. რომელი ტაძრის მშენებლობა უკავშირდება დემეტრე II-ის სახელს?
ა) იშხანის ხელახალი მშენებლობა ბ) თბილისის სიონის საკათედრო ტაძრის
გ) თბილისში მეტეხის ღვთისმშობლის ტაძრის დ) ტბეთის საკათედრო ტაძრის

278. რომელ წელს დასაჯეს სიკვდილით მონღოლებმა დემეტრე II?
ა) 1289 წ. 12 მარტს ბ) 1290 წ. 6 მაისს
გ) 1288 წ. 1 თებერვალს დ) 1289 წ. 4 იანვარს

279. სად გაატარა ბავშვობა საქართველოს მომავალმა მეფემ გიორგი V-მ?
ა) ბაბუასთან, ბექა აღბუღასთან _ სამცხეში
ბ) ძმასთან, დავით VIII-სთან _ მთიულეთში
გ) ილხანთა ურდოში _ არღუნ ყაენთან
დ) მის მეურვესთან _ თბილისში

280. ვინ შექმნა ფეოდალური ქართული სამართლის ძეგლი ,,წიგნი სამართლისა კაცთა შეცო-დებისა ყოვლისავე"?
ა) XIII ს-ის ანონიმმა ავტორმა ბ) ბექა ჯაყელმა და მისმა შვილიშვილმა აღბუღამ
გ) ყაზან ყაენის მოხელეებმა დ) გიორგი V-ის შედგენილმა კომისიამ

281. რა იყო ილხანთა მიერ საქართველოზე გამავალი სავაჭრო-საქარავნო გზების სამხრეთით გადატანის მიზეზი?
ა) ქართველებისადმი უნდობლობა
ბ) სელჩუკთა ბეილიქებისათვის სავაჭრო ინიციატივის წართმევა
გ) ბიზანტიისაკენ მიმავალი გზების კონტროლი
დ) ოქროს ურდოს შიში

282. რომელ წელს ავიდა გიორგი V მეორედ და საბოლოოდ საქართველოს სამეფო ტახტზე?
ა) 1316 წ. ბ) 1318 წ. გ) 1319 წ. დ) 1320 წ.

283. როდის გაგზავნა გიორგი V-მ ელჩობა ეგვიპტის სულთანთან?
ა) 1316-1317 წწ. ბ) 1318-1319 წწ. გ) 1320-1321 წწ.
დ) 1321-1322 წწ.

284. რა შედეგით დასრულდა საქართველოს მეფის გიორგი V-ის გაგზავნილი ელჩობის მო-ლაპარაკება ეგვიპტის სულთანთან?
ა) სულთანმა აღუთქვა ქართველებს დახმარება მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლაში
ბ) ქართველი ვაჭრები განთავისუფლდნენ ბაჟისაგან
გ) ქართველებმა დაიბრუნეს იერუსალიმის ჯვრის მონასტერი
დ) სულთანმა უარი განაცხადა ქართველების მიღებაზე და უკან გამოისტუმრა ისინი

285. სად მიიწვია გიორგი ბრწყინვალემ სადარბაზოდ ურჩი ერისთავები, რომლებიც შემდეგ სიკვდილით დასაჯა?
ა) ცივის მთაზე ბ) გომბორის მთაზე გ) თიანეთში დ) კლდეკარში

286. რომელ წელს აღადგინა გიორგი V ბრწყინვალემ სამხრეთ საქართველოს შემოერთებით ქვეყნის ერთიანობა?
ა) 1331 წ. ბ) 1332 წ. გ) 1333 წ. დ) 1334 წ.

287. რა ერქვა გიორგი ბრწყინვალის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით შექმნილ სამართლის წიგნს, რომელიც ქართლის მთიანეთისათვის იყო გათვლილი?
ა) `ხელმწიფის კარის გარიგება'' ბ) `კათოლიკოსთა სამართლის წიგნი''
გ) `ძეგლის დადება'' დ) `სამართალი კაცთა შეცოდებისა ყოვლისავე''

288. რა ერქვა გიორგი ბრწყინვალის მეფობის პერიოდში შექმნილ სამართლის ძეგლს, რომელშიც განისაზღვრა სამეფო კარის ეტიკეტი და მოხელეთა უფლება-მოვალეობანი?
ა) `ხელმწიფის კარის გარიგება'' ბ) `კათოლიკოსთა სამართლის წიგნი''
გ) `დასტურლამალი'' დ) `ძეგლის დადება''

289. რას უწოდებენ გიორგი ბრწყინვალის დროს მოჭრილ ვერცხლის მონეტას?
ა) გიორგაული თეთრი ბ) ქართული თეთრი
გ) ქართული ლარი დ) გიორგაული ლარი

290. რამ მისცა საშუალება გიორგი ბრწყინვალეს საბოლოოდ გაეძევებინა საქართველოდან მონღოლთა ჯარი?
ა) ეგვიპტის სულთნის დახმარებამ
ბ) სელჩუკთა ბეილიქებთან ანტიმონღოლური კოალიციის შექმნამ
გ) მოსკოვის სამეფოსთან კავშირმა
დ) საილხანოში დაწყებულმა შინააშლილობამ

291. რომელ პაპთან ჰქონდა მიმოწერა და დიპლომატიური ურთიერთობა გიორგი ბრწყინ-ვალეს?

ა) იოან XXII-სთან ბ) გრიგოლ XIII-სთან გ) პიუს IX-სთან დ) იოანე XX-სთან

292. რომის პაპის ბრძანებით გიორგი ბრწყინვალის მეფობის დროს საიდან გადმოიტანეს კათოლიკური საეპისკოპოსო ცენტრი თბილისში?
ა) სმირნიდან ბ) კონსტანტინოპოლიდან გ) ტრაპიზონიდან დ) ანტიოქიიდან

293. ეგვიპტის სულთნის თანხმობით გიორგი ბრწყინვალეს მიეცა უფლება აეშენებინა ახალი ეკლესია:
ა) ალექსანდრიაში ბ) კაიროში გ) დამასკოში დ) იერუსალიმში

294. რომელ წელს შემოიჭრა საქართველოში თემურ-ლენგი პირველად?
ა) 1385 წ. ბ) 1386 წ. გ) 1387 წ. დ) 1388 წ.

295. ვინ იყო ოქროს ურდოს მმართველი XIV ს-ის 80-90-იან წლებში?
ა) ყაზან ყაენი ბ) თოხთამიში გ) არღუნ ყაენი დ) ბათო ყაენი

296. რამდენ წელიწადს მიმდინარეობდა ომი ოქროს ურდოსა და თემურ-ლენგს შორის?
ა) 7 ბ) 17 გ) 10 დ) 15

297. რა იყო ერთ-ერთი მიზეზი თემურ-ლენგის საქართველოში პირველი ლაშქრობისა?
ა) საქართველოდან მონღოლთა ჯარების განდევნა
ბ) ქართულ-ოსმალური კავშირით შექმნილი საფრთხე
გ) ბაგრატ V-ის კავშირი ოქროს ურდოსთან

298. რომელ წელს შემოიჭრა საქართველოში თემურ-ლენგი მეორედ?
ა) 1385 წ. ბ) 1387 წ. გ) 1386 წ. დ) 1390 წ.

299. რომელ წელს ილაშქრა თემურ-ლენგმა საქართველოში მესამედ?
ა) 1390 წ. ბ) 1392 წ. გ) 1394 წ. დ) 1396 წ.

300. საქართველოს მეფე გიორგი VII-ის მეფობის წლებია:
ა) 1393-1407 წწ. ბ) 1390-1401 წწ. გ) 1395-1407 წწ. დ) 1397-1409 წწ.

301. როდის დაარბია და ააოხრა თემურ-ლენგმა კახეთ-ჰერეთი?
ა) 1399 წ. ბ) 1398 წ. გ) 1400 წ. დ) 1402 წ.

302. რომელ წელს დაარბია და ააოხრა თემურ-ლენგმა ქვემო ქართლი, თბილისი, ქსნის ხეობა, არაგვის ხეობა და სამცხე?
ა) 1399 წ. ბ) 1398 წ. გ) 1400 წ. დ) 1402 წ.

303. რომელ წელს დაიდო ზავი გიორგი VII-სა და თემურ-ლენგს შორის?
ა) 1400 წ. ბ) 1403 წ. გ) 1404 წ. დ) 1401 წ.

304. რომელ წელს გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა თურქ-ოსმალებსა და თემურ-ლენგს შორის?
ა) 1402 წ. ბ) 1401 წ. გ) 1403 წ. დ) 1404 წ.

305. ვინ იყო ოსმალთა სულთანი, რომელიც თემურ-ლენგმა ბრძოლის შემდეგ ტყვედ ჩაიგდო?

ა) ოსმანი ბ) ორჰანი გ) ბაიაზეთი დ) სულეიმანი

306. რომელ წელს შემოიჭრა თემურ-ლენგი საქართველოში მერვედ?
ა) 1402 წ. ბ) 1403 წ. გ) 1404 წ. დ) 1405 წ.

307. რა პირობით უნარჩუნებდა თემურ-ლენგი ქართველებს ქრისტიანობას მერვე ლაშქრობის შემდეგ ქართველებთან დადებული ზავით?
ა) საჭიროების შემთხვევაში ჯარის გამოყვანის ბ) ხარკის გადახდის
გ) ორივე პასუხი სწორია დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი

308. რომელ წელს გარდაიცვალა თემურ-ლენგი?
ა) 1404 წ. ბ) 1405 წ. გ) 1406 წ. დ) 1407 წ.

309. რომელ წლებში მეფობდა კონსტანტინე I?
ა) 1405-1414 წწ. ბ) 1407-1411 წწ. გ) 1409-1418 წწ. დ) 1420-1428 წწ.

310. რა ერქვა შავბატკნიან თურქმანთა მმართველს, რომელიც გაძლიერდა კონსტანტინე I-ის მეფობის პერიოდში?
ა) დელი იუსუფი ბ) ყარა ჰასანი გ) უზუნ ჰასანი დ) ყარა იუსუფი

311. ვინ შედიოდა შავბატკნიანთა წინააღმდეგ შექმნილ კოალიციაში კონსტანტინე I-თან ერთად?
ა) შარვაშაჰი და შაქის მმართველი ბ) ოსთა მთავარი
ბ) დურძუკთა და დიდოელთა მმართველი დ) დაღესტნის შამილი

312. როგორ დამთავრდა კონსტანტინე I-ის ბრძოლა შავბატკნიან თურქმენთა წინააღმდეგ?
ა) კონსტანტინე I-ის გამარჯვებით ბ) კონსტანტინე I-ის ბრძოლაში დაღუპვით(თავი მოკვეთეს ყარა იუსუფის ბრძანებით) ბ) კონსტანტინე I-ის ტყვედ ჩავარდნით დ) ზავით

313. რომელ წლებში მეფობდა ალექსანდრე I?
ა) 1411-1436 წწ. ბ) 1412-1442 წწ. გ) 1418-1442 წწ. დ) 1428-1434 წწ.

314. რა ერქვა სამცხის ათაბაგს, რომელიც ალექსანდრე I-ის მეფობის პერიოდში ცდილობდა სამცხის ჩამოშორებას საქართველოსგან?
ა) მანუჩარი ბ) ყვარყვარე გ) ქაიხოსრო დ) ივანე

315. რამდენი იყო 1425-1440 წლებში შემოღებული სპეციალური საკომლო გადასახადი, რომელიც თემურ-ლენგის მიერ დანგრეული ქვეყნის აღსადგენად იყო განკუთვნილი?
ა) 30 თეთრი ბ) 35 თეთრი გ) 40 თეთრი დ) 50 თეთრი

316. რომელ წელს გაიხსნა საეკლესიო კრება ფერარაში?
ა) 1436 წ. ბ) 1442 წ. გ) 1438 წ. დ) 1439 წ.

317. რომელი ქვეყნის ქალაქია ფერარა?
ა) იტალიის ბ) საფრანგეთის გ) ინგლისის დ) ესპანეთის

318. რა სახელწოდებით არის ცნობილი ფერარას საეკლესიო კრება?
ა) ფერარა-ფლორენციის ბ) ფერარა-ვენეციის
გ) ფერარა-გენუის დ) ფერარა-მილანის

319. რას ისახავდა მიზნად ფერარაში ჩატარებული საეკლესიო კრება?
ა) ანტიოსმალური კოალიციის შექმნას
ბ) კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიების გაერთიანებას რომის პაპის მეთა-ურობით
გ) კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიების გაერთიანებას რომის პაპის დაქ-ვემდებარებაში
დ) კონსტანტინოპოლის განთავისუფლებას

320. როგორ დასრულდა ალექსანდრე I-ის მეფობა?
ა) ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა ბ) მოწამლეს
გ) ტახტიდან გადადგა და ბერად აღიკვეცა დ) ბრძოლაში დაიღუპა

321. რომელ წლებში მეფობდა გიორგი VIII?
ა) 1446-1466 წწ. ბ) 1442-1452 წწ. გ) 1448-1466 წწ. დ) 1445-1464 წწ.

322. როდის დაიპყრეს ოსმალებმა კონსტანტინოპოლი?
ა) 1452 წ. 26 ოქტომბერს ბ) 1453 წ. 5 მარტს
გ) 1453 წ. 29 მაისს დ) 1454 წ. 3 მაისს

323. რომელი სულთნის წინამძღოლობით აიღეს ოსმალებმა კონსტანტინოპოლი?
ა) მეჰმედ II-ის ბ) სელიმ I-ის გ) სულეიმან I-ის დ) ბაიაზიდ I-ის

324. ვინ იყო ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორი?
ა) კონსტანტინე XI ბ) რომან დიოგენე გ) კონსტანტინე IX დ) ანდრონიკე

325. რით დასრულდა ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორის მეფობა?
ა) დამარცხებულმა თავი მოიწამლა ბ) ბრძოლის დროს ტყვედ ჩავარდა
გ) დაიღუპა კონსტანტინოპოლის დაცვისას დ) გაქცევით უშველა თავს

326. რომელ წელს დაიპყრეს ოსმალებმა ტრაპიზონი?
ა) 1459 წ. ბ) 1461 წ. გ) 1460 წ. დ) 1463 წ.

327. რომელ წელს დაიკავეს ოსმალებმა შავი ზღვის ჩრდილოეთი სანაპიროები?
ა) 1480 წ. ბ) 1475 წ. გ) 1472 წ. დ) 1468 წ.

328. ოსმალთა მიერ მთელი შავიზღვისპირეთის დაპყრობის შემდეგ შავ ზღვას უწოდებდნენ?
ა) `ოსმალეთის ზღვას" ბ) `შავ ტბას" გ) ,,ოსმალეთის ტბას" დ) ,,დიდ ტბას"

329. ვინ წამოაყენა მართლმადიდებლურ სამყაროში პირველობის პრეტენზია ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ?
ა) საქართველომ ბ) მოსკოვის სამთავრომ
გ) ბულგარელებმა დ) იერუსალიმმა

330. რას გულისხმობდა „მესამე რომის” თეორია?

ა) ყველა კათოლიკეს მფარველად თავის გამოცხადებას
ბ) ოსმალეთისადმი ომის გამოცხადებას
გ) ყოველი ქრისტიანის მფარველად თავის გამოცხადებას
დ) ყოველი მართლმადიდებლის მფარველად თავის გამოცხადებას

331. ვინ იყო სამცხის მთავარი, რომელიც უპირისპირდებოდა გიორგი VIII-ს?

ა) მანუჩარი ბ) ყვარყვარე გ) მზეჭაბუკი დ) ქაიხოსრო

332. ვინ იყო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გიორგი VIII-ის მეფობის დროს, რომელმაც მოახერხა საქართველოს ეკლესიის მთლიანობის შენარჩუნება?

ა) დავით IV ბ) მარკოზი გ) შიო II დ) დავით V

333. როდის დაიწყო ევროპაში მორიგი ანტიოსმალური კოალიციის შექმნა, რომელშიც საქარ-თველოს მონაწილეობაც იყო გათვალისწინებული?

ა) XVI ს-ის 50-იან წლებში ბ) XV ს-ის 30-იან წლებში
გ) XIV ს-ის ბოლოს დ) XVI ს-ის დასაწყისში

334. ვისი ელჩი იყო საქართველოში ანტიოსმალური კოალიციის შექმნის იდეით ჩამოსული ლუდოვიკო ბოლონიელი?

ა) ესპანეთის მეფის ბ) საფრანგეთის მეფის
გ) ვენეციის დოჟის დ) რომის პაპის

335. რომელმა ქართველმა მეფემ განაცხადა თანხმობა ანტიოსმალურ კოალიციაში მონაწი-ლეობის მიღებაზე?

ა) გიორგი VII-მ ბ) ალექსანდრე I-მა
გ) ვახტანგ IV-მ დ) გიორგი VIII-მ

336. როდის აუჯანყდა გიორგი VIII-ს იმერეთის ერისთავი ბაგრატი?

ა) 1462 წ. ბ) 1470 წ. გ) 1468 წ. დ) 1460 წ.

337. რომელ წელს გაიმართა იმერეთის ერისთავ ბაგრატსა და საქართველოს მეფე გიორგი VIII-ს შორის ბრძოლა ჩიხორთან, რომელიც გიორგი VIII-ის მარცხით დასრულდა?

ა) 1460 წ. ბ) 1463 წ. გ) 1464 წ. დ) 1467 წ.

338. რომელ წელს და ვის შორის გაიმართა ფარავნის ბრძოლა, სადაც საქართველოს მეფე ტყვედ ჩავარდა?

ა) 1466 წ. _ გიორგი VIII-სა და იმერეთის მთავარ ბაგრატს შორის
ბ) 1470 წ. _ გიორგი VIII-სა და ოსმალებს შორის
გ) 1465 წ. _ გიორგი VIII-სა და სამცხის ათაბაგ ყვარყვარეს შორის
დ) 1471 წ. _ გიორგი VIII-სა და ირანელებს შორის

339. როდის და სად გამოაცხადა თავი მეფედ ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ გიორგი VIII-მ?

ა) 1471 წ. _ აფხაზეთში ბ) 1470 წ. _ იმერეთში
გ) 1468 წ. _ ქართლში დ) 1466 წ. _ კახეთში

340. ვინ იყო XV ს-ის 50-იანი წლებიდან თეთრბატკნიანების მმართველი?

ა) უზუნ ჰასანი ბ) ისმაილი გ) ყარა იუსუფი დ) სელიმი

341. რამდენჯერ ილაშქრეს XVI ს-ის 50-იან წლებში თეთრბატკნიანმა თურქმანებმა საქართ-ველოში?

ა) 2-ჯერ ბ) 3-ჯერ გ) 5-ჯერ დ) 7-ჯერ

342. სად მეფობდა ბაგრატ VI 1466 წლიდან?

ა) იმერეთში ბ) ქართლ-იმერეთში გ) ქართლში დ) კახეთში

343. ქვეყნის ერთიანობისა და სახელმწიფოებრივი ინტერესების საწინააღმდეგო რა ღონისძიე-ბა განახორციელა ბაგრატ VI-მ XV-ს-ის 70-იან წლებში?

ა) ვასალურ-მოხარკეობრივი ზავი გააფორმა ოსმალეთის იმპერიასთან

ბ) გიორგი VII-ის საწინააღმდეგოდ ქართლი დაუქვემდებარა თეთრბატკნიან თურქმანებს

გ) დასავლეთ საქართველო ეკლესიურად ჩამოაშორა მცხეთის საკათალიკოსო ტახტს

344. რომელ წელს გარდაიცვალა ბაგრატ VI?

ა) 1478 წ. ბ) 1480 წ. გ) 1468 წ. დ) 1485 წ.

345. რომელ ბრძოლაში და რომელ წელს დაამარცხა სამცხის მთავარმა ყვარყვარემ ქართ-ლის მეფის კონსტანტინე II-ის ლაშქარი, რითაც ისარგებლა ალექსანდრე ბაგრატის ძემ, და იმერეთში გამეფდა?

ა) არადეთის ბრძოლაში _ 1483 წ. ბ) აწყურის ბრძოლაში _ 1880 წ.

გ) სამშვილდის ბრძოლაში _ 1485 წ. დ) ციხისჯვარის ბრძოლაში _ 1488 წ.

346. რომელ წელს დაადასტურა სამეფო დარბაზმა საქართველოს დაშლა?

ა) 1493 წ. ბ) 1489 წ. გ) 1495 წ. დ) 1490 წ.

347. სად და ვისი ინიციატივით მოიწვიეს სამეფო დარბაზი საქართველოს მომავლის განსასა-ზღვრავად?

ა) თელავში _ კახეთის მეფე გიორგი VIII-ის

ბ) თბილისში _ ქართლის მეფე კონსტანტინე II-ის

გ) ქუთაისში _ იმერეთის მეფე ალექსანდრე ბაგრატის ძის

დ) არტანუჯში _ სამცხის მთავარ ყვარყვარეს

348. რომელ პოლიტიკურ ერთეულებად დაიშალა საქართველოს ერთიანი სამეფო?

ა) ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხის სამთავროდ

ბ) ქართლ-კახეთის, იმერეთის, სამცხის სამეფოებად და ოდიშის სამთავროდ

გ) ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხის, სვანეთისა და გურიის სამთავ-როებად

დ) ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხის და ოდიშის სამთავროდ

349. ვინ უწოდა საქართველოს ისტორიის ასწლოვანი მატიანის ავტორს ,,ჟამთააღმწერელი”?

ა) ივანე ჯავახიშვილმა ბ) ექვთიმე თაყაიშვილმა

გ) დავით ბაქრაძემ დ) ნიკო მარმა

350. საქართველოს ისტორიის რომელი პერიოდია აღწერილი ჟამთააღმწერელის თხზულებაში?

ა) ბაგრატ IV-ის მეფობიდან _ დემეტრე II-ის მეფობამდე

ბ) თამარის მეფობიდან _ გიორგი ბრწყინვალის მეფობამდე

გ) დემეტრე I-ის მეფობიდან _ დემეტრე II-ის მეფობამდე

დ) გიორგი IV ლაშას გამეფებიდან _ გიორგი ბრწყინვალის გამეფებამდე

უპასუხეთ კითხვებზე დადებითად (კი), ან უარყოფითად (არა)

- 1 -

ა) ქართლის ცხოვრების მიხედვით თარგამოსის ბაბუა იყო ნოეს შვილი ქამი
ბ) ქეთევან დედოფალი აწამეს ოსმალეთში
გ) კონსტანტინოპოლი ოსმალებმა აიღეს 1453 წლის 29 მაისს
დ) ქორონიკონი ეწოდება მოქცევის ყოველ ათწლეულს

- 2 -

ა) შავი ზღვის ბერძნული კოლონიზაცია დაიწყო ძვ. წ. IV-III სს-ში
ბ) ბათუმის კონფერენცია გაიმართა 1918 წელს
გ) საქართველოს ეკლესია თვლის, რომ ქართლის სამეფოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელი-იად გამოცხადდა 326 წელს
დ) ბელოვეჟის შეთანხმებით (1991 წ. 8 დეკემბერი) დაიშალა საბჭოთა კავშირი

- 3 -

ა) 298 წ-ის ნისიბინის ზავით ქართლი დარჩა ირანის გავლენის ქვეშ
ბ) დავით ულუს აჯანყება მოხდა 1259 წელს
გ) რუსებმა მცხეთის საკათალიკოსო გააუქმეს 1811 წელს
დ) ამასიის ზავი დაიდი ოსმალეთსა და რუსეთს შორის 1555 წელს

- 4 -

ა) სოხოისტას ბრძოლა გაიმართა 1545 წელს
ბ) არმაზის კერპი ქართლში შემოიღო ფარნავაზმა
გ) ვარდების რევოლუცია მოხდა 2003 წლის მარტში
დ) ქართულ წარმართულ პანთეონში მზე იყო მამაკაცი, ანუ მამა

- 5 -

ა) დიდგორის ბრძოლა გაიმართა 1121 წლის 15 სექტემბერს
ბ) სტრაბონის ცნობით ლევკოთეას ტაძარი მდებარეობდა მესხების ქვეყანაში
გ) რომის რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა ახ. წ. 30 წელს
დ) ბათუმში რუსთა და ქართველთა გაერთიანებული ლაშქარი შევიდა 1878 წლის 25 აგვისტოს

- 6 -

ა) საქართველო-სომხეთის ომი გაიმართა 1918 წელს
ბ) ჰეროდოტეს აზრით კოლხები იყვნენ ეგვიპტელების შთამომავლები

გ) ურარტუს დედაქალაქი იყო ილდამუსა
დ) მიდიამ ურარტუ გაანადგურა ძვ.წ. 500 წ.

-7-

ა) ჰეროდოტე თვლიდა, რომ კოლხები და იბერები ეგვიპტელების ნათესავები იყვნენ
ბ) საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანი კაცობრიობის დასაბამიდან ცხოვრობდა
გ) 483 წელს ვახტანგ გორგასალმა მოაკვლევინა ვარსქენ პიტიახში
დ) ქართველებს მონღოლებთან პირველი შეტაკება ჰქონდათ რუსუდანის მეფობაში

-8-

ა) პაპმა გრიგოლ IX-მ სამხედრო დახმარება აღუთქვა რუსუდანს
ბ) დიდგორის ველზე დავით აღმაშენებლის ლაშქარში 15 ათასი ყივჩაღი იყო
გ) სოხოისტა დღევანდელი თურქეთის ერზრუმის პროვინციაშია

დ) ჯალალ ად-დინი საქართველოს შემოესია 1225 წლის ადრიან გაზაფხულზე

-9-

ა) ქართლის მეფე ფარნავაზმა შექმნა 8 საერისთავო და ერთი სასპასპეტო
ბ) 654 წელს საქართველოში შემოჭრილი ჰაბიბ იბნ მასლამა იყო ირანელი სარდალი
გ) ამიერკავკასიის სეიმმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1918 წლის 22 აპრილს
დ) აღა-მაჰმად ხანმა თბილისი აიღო 1795 წლი 11 აგვისტოს

-10-

ა) აზონის წინააღმდეგ ბრძოლაში ფარნავაზს მხარს უჭერდა სელევკიდური სირია
ბ) მონა ანიკეტის აჯანყება კოლხეთში მოხდა ძვ. წ. 69 წელს
გ) ვახტანგ გორგასლის დედა იყო ქართლის მარზპანის ასული
დ) ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩახშობაში მონაწილეობდა საქართველოს მეფე ბაგრატ III

-11-

ა) 554 წელს ეგრისის მეფე გუბაზი მოკლეს ირანელთაგან დაქირავებულმა პირებმა
ბ) 888 წელს ბაგრატ კურაპალატმა მიიღო "ქართველთა მეფის" ტიტული
გ) ხრესილის ბრძოლა მოხდა 1757 წლის 14 დეკემბერს
დ) ნოე ჟორდანია იყო საქართველოს რესპუბლიკის პირველი მთავრობის თავმჯდომარე

-12-

ა) 1605 წელს კონსტანტინე მირზამ სიცოცხლეს გამოასალმა კახეთის მეფე ალექსანდრე II
ბ) გარნისის ბრძოლაში მარცხი განაპირობა ივანე ახალციხელის ღალატმა
გ) სააჯო კარი იყო უმაღლესი ინსტანციის სასამართლო ორგანო
დ) ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე იყო აკაკი ჩხენკელი

-13-

ა) მურვან ყრუმ წამებით მოაკვდინა არგვეთის მთავრები გიორგი და კონსტანტინე
ბ) ფარსმან II ქანდაკება დაიდგა რომში იმპერატორ ადრიანეს დროს
გ) ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება ჩატარდა 325 წელს
დ) თურქეთმა პირველმა აღიარა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა

-14-

ა) გვაროვნულ საზოგადოებას საფუძველი ეყრება ენეოლითის ხანაში
ბ) წმინდა ნინო იყო იერუსალიმის პატრიარქის დისწული
გ) გიორგი სააკაძეს ცოლად ჰყავდა მეფე თეიმურაზ I-ის და
დ) გიორგი XII-ის გარდაცვალებით სრულდება ქართველ მეფეთა ისტორია

-15-

ა) გრიგოლ ხანძთელი იყო ქართლის ერისთავის ნერსეს ძმისწული
ბ) რუსეთის მთავრობამ ტოტლებენთან ერთად საქართველოდან გაიწვია რუსეთის ჯარიც
გ) 1804 წლის მთიანეთის აჯანყებისას რუსეთბმა შეიპყრეს ფარნაოზ და იულონ ბატონიშვილები
დ) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი შეიქნმა 1922 წლის 30 დეკემბერს

-16-

ა) აშოტ დიდი კურაპალატი მოკლეს 826 წელს ეკლესიაში
ბ) საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოცხადდა 1989 წლის 9 აპრილს
გ) მონღოლებმა აღმოსავლეთ საქართველო დაიპყრეს ლაშა-გიორგის მეფობისას
დ) ყუთლუ არსლანის დასის გამოსვლას მოჰყვა მეფის უფლებების მნიშვნელოვანი შეზღუდვა

-17-

ა) 1569 წლის ფარცხისის ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ
ბ) მწიგნობართუხუცესი იყო მეფის შემდეგ პირველი პირი ქვეყანაში
გ) ლუდოვიკო ბოლონიელი იყო საქართველოში გამოგზავნილი რომო პაპის ელჩი
დ) ასპინძის ბრძოლაში ერეკლე II-ს სამხედრო დახმარებას უწევდა გენ. ტოტლებენი

-18-

ა) ათაბაგის თანამდებობა საქართველოში პირველად გაჩნდა მეფე რუსუდანის დროს
ბ) 1956 წლის 9 მარტს ქართველმა ხალხმა დაიცვა ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი
გ) დიდგორის ველზე ქართველთა მხარდამხარ იბრძოდა 1000 ფრანგი ჯვაროსანი
დ) ვახტანგ V იყო მუხრანელ ბაგრატიონთა პირველი წარმომადგენელი საქართველოს ტახტზე

-19-

ა) პომპეუსის ლაშქრობისას ქართლში მეფობდა ადერკი
ბ) XIX საუკუნის 60-70-იანი წლების სასამართლო რეფორმას მოყვა საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის გაჩენა
გ) სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისია ევროპაში წარმატებით დასრულდა
დ) რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ მონღოლებმა საქართველო 8 დუმნად დაყვეს

-20-

ა) "დიდი ომიანობა" ეგრისში გაგრძელდა 20 წელი
ბ) "მორიგე ჯარის" ორგანიზატორი იყო ერეკლეს ვაჟი ლევან ბატონიშვილი
გ) 1705 წლიდან ვახტანგ VI დაინიშნა ქართლის ჯანიშინად
დ) აჭარა საქართველოს დაუბრუნდა 1853-1856 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად

-21-

ა) მატრიარქატი დასრულდა შუა ბრინჯაოს ხანაში
ბ) გაცისა და გაიმის კერპები საქართველოში შემოიტანა ფარნავაზმა
გ) აშოტ დიდი კურაპალატის სახელს უკავშირდება სამხრეთ საქართველოში დიდი სამონასტრო მშენებლობის დაწყება
დ) ერეკლე პირველი ისტორიაში ცნობილია ნაზარალი-ხანის სახელით

-22-

ა) 1924 წლის აჯანყების ორგანიზატორი იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილი
ბ) II მსოფლიო ომი დასრულდა 1945 წლის 2 სექტემბერს
გ) საქართველოს საბჭოთა კონსტიტუციაში ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის შენარჩუნების მიზნით მასობრივი აქცია თბილისში მოეწყო 1980 წლი 14 აპრილს
დ) დავით ნარინი იყო ლაშა-გიორგის უკანონო შვილი

-23-

ა) ბაგრატ IV-მ საქართველოს მშვიდობა სელჩუკთათვის ხარკის მიცემით მოუპოვა
ბ) ამასიის 1555 წლის ზავით რუსეთმა და ოსმალეთმა საქართველო გაინაწილეს
გ) ბერლინის კონგრესის (1878 წელი) გადაწყვეტილებით ბათუმი გამოცხადდა თავისუფალ ქალაქ-ნავსადგურად (პორტო-ფრანკო)
დ) აფხაზთა მეფის ტიტული პირველად გაჩნდა ბაგრატ III-ს მეფობაში

-24-

ა) 1920 წლი 7 მაისს ხელი მოეწერა საქართველო-რუსეთს შორის სამშვიდობო ხელშეკრულებას
ბ) კათოლიკური ეკლესიის ცენტრი აღმოსავლეთში სმირნადან თბილისში გადმოიტანეს რუსუდანის მეფობისას

გ) დემეტრე თავდადებული მონღოლებმა სიკვდილით დასაჯეს 1289 წლის 12 მარტს
დ) ბასიანის ბრძოლა გაიმართა 1195 წელს

-25-

ა) ვახტანგ გორგასალი გარდაიცვალა უჯარმაში და დაკრძალეს მცხეთაში
ბ) რუის-ურბნისის დიდი საეკლესიო კრება ჩატარდა 1105 წელს
გ) საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტი გამოსცა იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა
დ) "დიდი თურქობა" დაიწყო გიორგი III-ის მმართველობის პერიოდში

-26-

ა) მითში არგონავტების შესახებ ასახვა ჰპოვა კოლხეთისა და იბერიის ისტორიულმა სინამდვილემ
ბ) არაბთა სახალიფო შეიქმნა VI საუკუნის ბოლოს
გ) მარზპანის ინსტიტუტი საქართველოში შემოვიდა არაბთა მმართველობის ხანაში
დ) აქემენიდური ირანის მე-18 და მე-19 სატრაპიებში მოქცეული იყო ქართველი ტომებით დასახლებული ტერიტორია

-27-

ა) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1921 წლის მარტში
ბ) ქართლის მეფე სიმონ I გარდაიცვალა ირანის ტყვეობაში
გ) ტრაპიზონის საკეისრო ოსმალებმა დაიპყრეს კონსტანტინეპოლის აღებამდე
დ) დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა 8 თებერვალი

-28-

ა) დემნა ბატონიშვილისა და ორბელთა აჯანყება მოხდა 1178 წელს
ბ) კოხტასთავის შეთქმულება მოხდა საქართველოში უმეფობის წლებში
გ) 1832 წლის შეთქმულება გასცა თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის ძმამ იასე ფალავანდიშვილმა
დ) სამხრეთ საქართველოში სომეხთა კომპაქტური დასახლებების შექმნა უკავშირდება გენ. ერმოლოვის სახელს

-29-

ა) საქართველოში სოციალისტური იდეების პროპაგანდა უკავშირდება I დასის სახელს
ბ) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს ერქვა დამფუძნებელი კრება
გ) რუსეთსი საარტილერიო საქმის გამართვა პეტრე I-ის იმპერატორობისას უკავშირდება ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონის სახელს
დ) ბახტრიონის აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო ბიძინა ჩოლოყაშვილი

-30-

ა) რუსეთთან შეერთების მანიფესტი ქართულ საზოგადოებას გააცნეს ქაშუეთის ტაძარში
ბ) მურვან ყრუმ თბილისი ააოხრა 735 წელს
გ) თამარის პირველი მეუღლე იყო მოსკოვის დიდი მთავრის ვაჟი იური
დ) მარტყოფის ბრძოლა გაიმართა 1625 წლის 25 მარტს, ხარება დღეს

დაალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით

1. უძველესიდან უახლესისაკენ

ა) ბაგრატ III

ბ) დავით აღმაშენებელი
გ) ვახტანგ გორგასალი
დ) ალექსანდრე I დიდი
ე) რუსუდანი
ვ) დემეტრე II

2. უახლესიდან უძველესისაკენ
ა) ფარნავაზი
ბ) გიორგი XII
გ) გიორგი VI მცირე
დ) დემეტრე I
ე) ვახტანგ VI
ვ) თეიმურაზ II

3. ბრძოლები უძველესიდან უახლესისაკენ
ა) სოხოისტა
ბ) მარტყოფი
გ) ბასიანი
დ) ჩილდირი
ე) დიდგორი
ვ) მარაბდა

4. ზავები უახლესიდან უძველესისაკენ
ა) გულისტანის
ბ) სანსტეფანოს
გ) ნისიბინის
დ) ამასიის
ე) ადრეანოპოლის
ვ) პარიზის

5. ბრძოლები უძველესიდან უახლესისაკენ:
ა) აპინძის
ბ) გარისის
გ) ჩილდირის
დ) კრწანისის
ე) ხრესილის
ვ) ბასიანის
ზ) ერწუხის
თ) შამქორისB
ი) მანასკერტის

6. რა თანმიმდევრობით გაუქმდა ბატონყმობა: :
ა) სამეგრელო
ბ) იმერეთი, გურია, რაჭა
გ) აფხაზეთი
დ) თბილისის გუბერნია (აღმ. საქართველო)
ე) სვანეთი

7. უძველესიდან უახლესისაკენ
ა) ნეოლითი
ბ) ბრინჯაოს ხანა

გ) პალეოლითი
დ) ენეოლითი
ე) რკინის ხანა
ვ) მეზოლითი

8. საქართველოს მეფეები (უძველესიდან უახლესისაკენ)
ა) ბაგრატ II
ბ) კონსტანტინე I
გ) გუბაზ I
დ) ფარსმან ქველი
ე) დავით III
ვ) დავით ნარინი

9. საქართველოს დამპყრობლები (უძველესიდან უახლესისაკენ)
ა) აღა-მაჰმად ხანი
ბ) თემურ ლენგი
გ) პომპეუსი
დ) ჰაბიბ იბნ მასლამა
ე) შაჰ აბას I
ვ) ჩინგიზ ხანი

10. ეროვნული და სოციალური გამოსვლები (უძველესიდან უახლესისაკენ)
ა) იმერეთის ანტირეჟიმული აჯანყება
ბ) გურიის გლეხთა აჯანყება
გ) კახეთის აჯანყება
დ) თიანეთის აჯანყება
ე) სამეგრელოს გლეხთა აჯანყება
ვ) ქელმენჩურის შეთქმულება

11. დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა (უძველესიდან უახლესისაკენ)
ა) ტაოს დაბრუნება
ბ) ყივჩაღთა ჩამოსახლება
გ) ერწუხის ბრძოლა
დ) კლდეკარის საერისთავოს დამხობა
ე) დიდგორის ბრძოლა
ვ) ანისის შემოერთება

12. თამარის მეფობა (უძველესიდან უახლესისაკენ)
ა) შამქორის ბრძოლა
ბ) თამარის მეორედ ქორწინება
გ) ჩრდილოეთ ირანში ლაშქრობა
დ) ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა
ე) ტრაპიზონის იმპერიის შექმნა
ვ) გიორგი რუსის აჯანყება

13. მონღოლთა ასწლოვანი ბატონობა (უძველესიდან უახლესისაკენ)
ა) სამცხის ხას-ინჯუდ გამოყოფა
ბ) დავით ნარინის გარდაცვალება
გ) შეთქმულება კოხტასთავს
დ) დავით ულუს აჯანყება
ე) საქართველოს გაერთიანება
ვ) არღუნის მიერ საქართველოს აღწერა

14. ერეკლე II-ის მეფობა (უძველესიდან უახლესისაკენ)

ა) მორიგე ჯარის შექმნა
ბ) პაატა ბატონიშვილი შეთქმულება
გ) ნურსალ ბეგის შემოსევა
დ) ქართველ მეფე-მთავართA ტრაქტატი
ე) ომარ-ხანის შემოსევა
ვ) ტოტლებენის საქართვე;ლოში გამოჩენა

15. ქართული სამეფო-სამთავროების გაუქმება და მათი რუსეთთან მიერთება

ა) გურიის სამთავრო
ბ) იმერეთის სამეფო
გ) ქართლ-კახეთის სამეფო
დ) სვანეთის სამთავრო
ე) აფხაზეთის სამთავრო
ვ) სამეგრელოს სამთავრო.

პრობლემის ანალიზი

-1-

1117-1118 წლებში დავით აღმაშენებელმა თურქული მოდგმის ყივჩაღთა 40 ათასი ოჯახი ჩამოასახლა საქართველოში. ყივჩაღთა თითო ოჯახს საქართველოსთვის ცხენ-იარაღით აღკაზმული თითო მეომარი უნდა მიეცა. 1121 წლის 12 აგვისტოს, გადამწყვეტ ბრძოლაში დიდგორის ველზე, დავით IV-მ მხოლოდ 15 ათასი ყივჩაღი მეომარი გაიყვანა.

ა) მოიყვანეთ რამდენიმე არგუმენტი დავით აღმაშენებლის მიერ ყივჩაღთა საქართველოში ჩამოსახლების სასარგებლოდ.

ბ) ჩამოთვალოთ მიზეზები, რის გამოც ყივჩაღთა საქართველოში ჩამოსახლება პოტენციურად ქვეყნისათვის საფრთხის შემცველი იყო.

-2-

1225 წელს ხორეზმის შაჰი ჯალალ ად-დინი საქართველოს საზღვრებს მოადგა. გადამწყვეტი ბრძოლა ერევნის ახლოს, სოფ გარნისთან გაიმართა. ქართველები, რომლებიც რიცხობრივად რამდენიმეჯერ ჩამოუვარდებოდნენ მტერს, მაღლობში იყვნენ გამაგრებულნი. მეწინავე ლაშქრის სარდლებმა შალვა და ივანე ახალციხელებმა პირველებმა შეუტიეს მტერს და დასამარცხებლად განწირულებმა დახმარება სთხოვეს მთავარსარდალს. თუმცა, ივანე ათაბაგი, ახალციხელებისადმი შურის გამო, ლაშქრის ძირითადი ნაწილით განერიდა ბრძოლას. ქართველები დამარცხდნენ.

a) შეაფასეთ მთავარსარდალ ივანე ათაბაგის საქციელი.

b) შეეცადეთ ივანე ათაბაგის გამართლებას და მოიყვანეთ არგუმენტები მისი პოზიციის სასარგებლოდ.

-3-

1783 წლის 24 ივლის ხელი მოეწერა გეორგიევსკის ტრაქტატს, რომელსაც საქართვე-ლოსთვის მშვიდობა და უსაფრთხოება უნდა უზრუნველეყო. სამწუხაროდ, რუსეთმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა, რასაც მოჰყვა ჯერ 1795 წელს აღა-მაჰმად ხანის მიერ თბილისის აოხრება, ერეკლე II-ის გარდაცვალებიდან 3 წლის შემდეგ კი (1801 წელს) ქართლ-კახეთის სამეფოს აუქმება და ქვეყანაში რუსული მმართველობის დამყარება.

ა) რამდენად იყო გამართლებული გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერა? მოიყვანეთ ტრაქტატის დადების სასარგებლო და საწინააღმდეგო არგუმენტები.

ბ) ერეკლე II-ის მხრიდან რა ღონისძიებების გატარებით შეიძლებოდა აღნიშნული ტრაგედიის თავიდან აცილება?

-4-

XVI საუკუნე საქართველოს ისტორიაში ცნობილია ქართლში ლუარსაბ I-სა და სიმონის, კახეთში კი – ლევანისა და ალექსანდრე I-ის მეფობით. ასევე ცნობილია, რომ ქართლისა და კახეთის სამეფოები განსხვავებულ საგარეო პოლიტიკურ კურსს ატარებენ: თუკი კახეთის მეფენი გაძლიერებული ირანისათვის ხარკის გადახდით და მისდამი ვასალობის აღიარებით ცდილობენ ქვეყნისთვის მშვიდობის მოპოვებას, ქართლის მეფენი ირანისადმი შეურიგებელ პოლიტიკას აწარმოებენ, რასაც ქვეყნის დანგრევა-განადგურება და დიდი სისხლისღვრაც ახლდა თან.

ა) შეეცადეთ გააანალიზოთ, თუ რაში მდგომარეობს ქართლისა და კახეთის განსხვავებული საგარეო პოლიტიკური კურსის მიზეზები?

ბ) შეაფასეთ აღნიშნული ორი განსხვავებული პოლიტიკური კურსის დადებითი და უარყოფოთი მხარეები

-5-

542 წელს ეგრისში დაიწყო ე.წ. "დიდი ომიანობა". თავიდან ეგრისელები ირანელების მხარდამხარ იბრძვიან ბიზანტიელების წინააღმდეგ, შემდეგ კი, ირანელთაგან შევიწროვებულნი, მათი მზაკვრული გეგმების წინააღმდეგ ბიზანტიელებს თხოვენ დახმარებას. 554 წელს ბიზანტიელი სარდლებისაგან დაქირავებულმა პირებმა სიცოცხლეს გამოასალმეს ეგრისის მეფე გუბაზი. კოლხეთის მოსახლეობის აზრი ორად გაიყო: ერთნი (რომელთა აზრასაც გამოხატავდა კოლხი დიდებული აიეტი) ბიზანტიელებთან კავშირის გაწყვეტას და ისევ ირანელთა მიმხრობას მოითხოვდნენ, მეორენი კი (მათ პოზიციას ფარტაძი გამოხატავდა) ამას დაუშვებლად მიიჩნევდნენ და ბიზანტიის ხელისუფლებისაგან მკვლელობის ორგანიზატორთა დასჯას მოითხოვდნენ.

ა) მოიყვანეთ პირველი (აიეტის) პოზიციის სასრგებლო არგუმენტები

ბ) შეეცადეთ გაამართლოთ მეორე (ფარტაძის) პოზიცია

-6-

1801 წელს რუსეთმა გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო, რასაც ქართველთა მხრიდან მოჰყვა აჯანყებების სერია. 1812 წელს რუსეთის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ აჯანყდა კახეთის მოსახლეობის ყველა წოდება და სოციალური ფენა. აჯანყებამ გამოძახილი ჰპოვა ქართლში, არაგვისა და დარიალის ხეობის მოსახლეობაშიც. ეს იყო საერთო ეროვნული აჯანყება დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით. სამწუხაროდ, რუსეთის ხელისუფლებამ ქართველთა ეს გამოსვლა სისხლში ჩაახშო.

ა) თქვენი აზრით, იყო თუ არა იმდროინდელ საქართველოში აჯანყების წარმატებით განვითარებისათვის ყველა საჭირო პირობა?

ბ) გაიხსენეთ და დაასაბუთეთ, თუ რა ხელშემწყობი საგარეო ფაქტორები არსებობდა 1812 წლისათვის რუსეთის ბატონობისაგან თავის დასაღწევად?

-7-

1783 წელს ქართლ-კახეთსა და რუსეთს შორის დაიდო გეორგიევსკის ტრაქტატი, რომლის ერთ-ერთი მუხლითაც რუსეთმა ივალდებულა საქართველოსათვის ისტორიულად კუთვნილი ტერიტორიების დაბრუნება. მიუხედავად ამისა, 1801 წელს რუსეთმა ცალმხრივად დაარღვია აღნიშნული შეთანმება და გააუქმა ქართული

სახელმწიფოებრიობა. XIX საუკუნის პირველ მესამედში საქართველოში არაერთი ანტირუსული აჯანყება თუ შეთქმულება მოეწყო, რომლებიც სამწუხაროდ უშედეგოდ დასრულდა. პარალელურად კი ქართველები რუსების მხარდამხარ მონაწილეობას იღებდნენ XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის მიერ ირანთთან თუ ოსმალეთთან წარმოებულ ყველა ომში, რომლის ერთ-ერთი ასპარეზიც კავკასია იყო.

ა) გაიაზრეთ, რამ განაპირობა ქართველთა მონაწილეობა რუსების მხარდამხარ აღნიშნულ ომებში, ვისი და რა ინტერესების დაკმაყოფილებას ემსახურებოდა მათი ეს ქმედება?

ბ) თქვენი აზრით, რა ინტერესები ამოძრავებდა რუსეთს კავკასიაში და ირან-ოსმალეთთან წარმოებული ომები ემსახურებოდა თუ არა გეორგიევსკის ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულების რეალიზაციას? მოიყვანეთ შესაბამისი არგუმენტები.

-8-

1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მსოფლიოს მრავალმა სახელმწიფომ ცნო როგორც დე ფაქტო, ისე დე იურედ, თუმცა ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა რუსეთის მხრიდან მისი სუვერენიტეტის აღიარება. 1920 წლის 7 მაისს რუსეთ-საქართველოს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლითაც ბოლშევიკურმა რუსეთმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, თუმცა, საქართველოც იძულებული გახდა ეკისრა მისთვის არასასურველი ვალდებულებები, რამაც მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი ბოლშევიკური აგრესიისა და საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის განხორციელებას.

ა) თქვენი აზრით, რატომ დასჭირდა საბჭოთა რუსეთს საქარველოს დამოუკიდებლობის აღიარებისთვის თითქმის ორი წელი და რატომ გაიწელა ეს პროცესი დროში?

ბ) რომელი იყო 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებაში ის მუხლი, რომელმაც საქართველოს საზიანოდ იმუშავა და რამ აიძულა ქვეყანა ამ დათმობაზე წასულიყო? მოიყვანეთ შესაბამისი არგუმენტები.

-9-

მას შემდეგ, რაც 1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, იგი ფაქტობრივად და იურიდიულად აღიარა მსოფლიოს მრავალმა სახელმწიფომ. მათ შორის, 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთმაც. 1920 წლის დეკემბერში ერთა ლიგის სხდომაზე განიხილეს საქართველოს წევრად მიღების საკითხი. სამწუხაროდ, საქართველომ ვერ მოაგროვა საჭირო რაოდენობის ხმები, რაც იყო ქვეყნის საგარეო პოლიტიკის დიდი მარცხი. 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა მოახდინა საქართველოს ანექსია.

ა) როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ მოაგროვა საქართველომ ერთა ლიგის წევრობისათვის საჭირო რაოდენობის ხმები? მოიყვანეთ შესაბამისი არგუმენტები.

ბ) იმსჯელეთ, რატომ იყო აუცილებელი საჭიროება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის ერთა ლიგაში გაწევრიანება? დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია.

-10-

1712 წელს ირანის შაჰმა ვახტანგ VI ირანში დაიბარა და ქართლის მეფედ დანიშვნის პირობად მაჰმადიანობის მიღება მოსთხოვა. ვახტანგმა ისლამის მიღებაზე უარი განაცხადა, რის გამოც რამდენიმე წელი ირანის საპატიო ტყვეობაში გაატარა. მალე, ვახტანგმა დახმარების თხოვნით ევროპაში მიავლინა სულხან-საბა ორბელიანი, რომლის მისიაც სამწუხაროდ წარუმატებელი აღმოჩნდა. ამის შემდეგ ვახტანგი მოჩვენებით იღებს მუსლიმანობას, ბრუნდება ქართლში მეფედ და რუსეთთან კავშირების გააქტიურებას ცდილობს. 1722 წელს ვახტანგ VI-მ, სამეფო დარბაზის წინააღმდეგობის მიუხედევად

რუსეთის იმპერატორ პეტრე I-თან ერთად ირანის წინააღმდეგ ერთობლივი ლაშქრობა დაგეგმა. სამწუხაროდ, ვახტანგი რუსეთისაგან მოტყუებული აღმოჩნდა, რაც მას ტახტის დაკარგვად დაუჯდა.

ა) თქვენი აზრით, რას მოელოდა ვახტანგ VI ევროპისაგან და რატომ აღმოჩნდა სულხან-საბა ორბელიანის მისია წარუმატებელი?

ბ) როგორ ფიქრობთ, რატომ იყო სამეფო დარბაზი იმ ეტაპზე რუსეთთან კავშირში ანტიირანული კამპანიის წარმოების წინააღმდეგი და რამდენად დიპლომატი აღმოჩნდა ქართლის მეფე? მოიყვანეთ შესაბამისი არგუმენტები.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. ანთელავა ილ., ლევან II დადიანი, თბ., 1990;
2. ახალი ქართლის ცხოვრება, III ტექსტი, წიგნი ქართლის ცხოვრება, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1959;
3. აკოფაშვილი გ., ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი – ნიკიფორე ირბახი, თბ., 1977;
4. ასათიანი ნ., საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე), თბ., 2006
5. ასათიანი ნ., მასალები XVII ს-ის საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1973;
6. ასათიანი ნ., გზა გამოხსნა აღდგომისაკენ (რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა უძველესი დროიდან ტრაქტატამდე), თბ., 1983;
7. ბატონიშვილი ვ., აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1973;
8. ბენდიანიშვილი ალ., საქართველოს ისტორია (1801-1921), თბ., 1999.
9. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1973;
10. ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, I ტექსტი, წიგნი ქართლის ცხოვრება, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1959;
11. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965;
12. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, თბ., 1971;
13. გაბაშვილი ვ., ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (მსკი) ნაკვეთი, თბ., 1954;
14. გაბაშვილი ვ., ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, საქართველო და ანტიოსმალური კოალიციები XVI_XVII სს, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ., 31, თბ., 1954;
15. გვრიტიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, II, თბ., 1965;
16. გელაშვილი გ., რაინეგსი საქართველოში და მისი დიპლომატიური საქმიანობა, - ქართული დიპლომატია, წელიწდეული, II, თბ., 1995;
17. გელაშვილი ნ., ქართლ-კახეთის სამეფოთა ურთიერთობა ირანთან XVI ს-ის 70-80-იან წლებში, - ქართული დიპლომატია, წელიწდეული, II, თბ., 1995;
18. გეორგიევსკის ტრაქტატი, გამოკვლევა, დოკუმენტები და ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, თბ., 1973;
19. ვაჩნაძე მ; გურული ვ., საქართველო-რუსეთის ურთიერთობა, ისტორია, შედეგები, გაკვეთილები, თბ., 2001;
20. ვაჩნაძე მ., გურული ვ., რუსეთთან ერთად და ურუსეთოდ, თბ., 2007;
21. კაჭარავა დ., ვახტანგ V საგარეო პოლიტიკის საკითხისათვის, კრებული ,,ქართული სამეფო-სამთავროების საგრეო პოლიტიკის ისტორიიდან", ტ. I, თბ., 1970;
22. კაკაბაძე ს., საქართველოს ისტორია (ახალი საუკუნეების ეპოქა), თბ., 1922;
23. მაჭარაძე ვ., ასპინძის ბრძოლა, თბ., 1957;

24. მაჭარაძე ვ., გეორგიევსკის ტრაქტატი, თბ., 1983;
25. მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობანი XV ს-ის II ნახევარსა და XVI ს-ში, თბ., 1981;
26. მენთეშაშვილი ა., საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის ისტორია, წიგნი I, უძველესი დროიდან - 1799 წლამდე, თბ., 2000;
27. მენთეშაშვილი ა., საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის ისტორია, წიგნი II, 1799 წლიდან 1918 წლამდე, თბ., 2002;
28. ორბელიანი პაპუნა, ამბავი ქართლისანი, ე. ცაგარეიშვილის გამოცემა, თბ., 1981;
29. პაიჭაძე გ., ვახტანგ მეექვსე, თბ., 1981;
30. პაპაშვილი მ., საქართველოს საგრეო პოლიტიკური ურთიერთობანი (XVIII ს-ის პირველი მეოთხედი), თბ., 1992;
31. საქართველოს ისტორია, ს. ჯანაშიას რედაქციით, თბ., 1948;
32. საქართველოს ისტორია, I-II, თბ., 2006-2008;
33. საქართველოს ისტორია 4 ტომად, უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე, რედ. აკად. მ. ლორთქიფანიძე, თბ., 2012.
34. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I-VI, თბ., 1971-1986;
35. საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბ., 2004;
36. საქართველოს ისტორია (XX საუკუნე), თბ., 2003;
37. სურგულაძე ა; სურგულაძე პ., საქართველოს ისტორია, თბ., 1991;
38. ტივაძე თ., თეიმურაზ I საგარეო პოლიტიკა, თბ., 1990;
39. ტივაძე თ., საქართველოს და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1977;
40. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1998;
41. ქართული დიპლომატიის ისტორია, ქრესტომათია, თბ., 2004;
42. ქიქოძე გ., ერეკლე მეორე, თბ., 1958;
43. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბ., 1967;
44. ჯავახიშვილი ივ, ქართველი ერის ისტორია, ტ. V, თბ., 1953;
45. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი, ტ. XII, თბ., 1998;
46. ჯამბურია გ., გიორგი სააკაძე, თბ., 1964;
47. ჯანელიძე ო., საქართველოს ისტორია, XIX საუკუნე, არასპეც. ფაკ. სტუდ. / [რედ.: ნოდარ ასათიანი] ; ისტ. და ეთნოლ. ინ-ტი. - თბ. : [მემატიანე], 2005
48. ჯანელიძე ო., საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია : [მე-19 ს. დამდეგიდან დღემდე] / ოთარ ჯანელიძე ; [რედ. ალექსანდრე ბენდიანიშვილი]. - თბ. უნივერსალი, 2009.
49. ჯანელიძე ო., უკანასკნელი თერგდალეული:[ნიკო ნიკოლაძე]/ოთარ ჯანელიძე ; [რედ. ზაზა აბზიანიძე]; ისტორიის, ეთნოლ., რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნ. ცენტრი. - თბ. : უნივერსალი, 2010
50. Вачнадзе М., Гурули В., Бахтадзе М. История Грузии (с древнейших времен до наших дней) (ელექტრონული ვერსია იხ. საიტზე http://www.gumer.info/bibliotek_Buks/History/Vachn/index.php)

საქართველოს ისტორიის ტესტები (პასუხები)

1 _ გ
2 _ დ
3 _ ა
4 _ გ
5 _ ა
6 _ ა
7 _ ა
8 _ გ
9 _ ბ
10 _ ა
11 _ ა
12 _ ა
13 _ ბ
14 _ გ
15 – ა
16 – ბ
17 _ ბ
18 – ა
19 – ა
20 _ დ
21 _ დ
22 _ ა
23 _ დ
24 _ ა
25 – ბ
26 _ ბ
27 _ გ
28 _ ბ
29 _ დ
30 –დ
31 – ა
32 – ა
33 _ ა
34 _ ბ
35 _ დ
36 _ ბ
37 _ დ
38 _ გ
39 _ დ
40 - დ
41 _ გ
42 _ დ
43 _ დ
44 _ ბ
45 – ბ
46 _ ა
47 _დ
48 _ ბ
49 – გ
50 – გ
51 _ ა
52 _ ბ
53 _ ბ
54 _დ
55 –დ
56 _დ
57 _ ა
58 _ გ
59 _ ბ
60 _დ
61 _ ა
62 _დ
63 _ ა
64 _ ბ
65 _დ
66 _ გ
67 _ ა
68 _ ბ
69 _დ
70 _დ
71 _ ა
72 _დ
73 _ გ
74 _ გ
75 _ ბ
76 _დ
77 _ გ
78 _ ა
79 _დ
80 _ ბ
81 _ გ
82 _ ა
83 _ ა
84 _დ
85 _დ
86 _ გ
87 _ ა
88 _ ბ
89 _ გ
90 _ ა
91 _ ბ
92 _ ა
93 _ გ
94 _დ
95 _დ
96 _ გ
97 _ ბ
98 _ გ
99 _ ა
100 _ ა
101 _დ
102 _ გ
103 _ ბ
104 _ გ
105 _დ
106 _დ
107 _ გ
108 _ ბ
109 _ გ
110 _დ
111 _ ბ
112 _ ბ
113 _ გ
114 _ ა
115 _დ
116 _ გ
117 _დ
118 _დ
119 _ გ
120 _ ბ
121 _ ბ
122 _ ა
123 _ გ
124 _ ა
125 _ ა
126 _ გ
127 _ გ
128 – ბ
129 _დ
130 _ გ
131 _ გ
132 _დ
133 _ ა
134 _ გ
135 _ ბ
136 _ ა
137 _დ
138 _ ბ
139 _დ
140 _ გ
141 _ ა
142 _დ
143 _დ
144 _ დ
145 _დ
146 _ ბ
147 _დ
148 _ ა
149 _დ
150 _ გ
151 _ გ
152 _ ა
153 _დ
154 _ გ
155 _ გ
156 _ ბ
157 _ გ
158 _ ა
159 _ გ
160 _ გ
161 _ ბ
162 _ ბ
163 _დ
164 _ ა
165 _ გ
166 _ გ
167 _ ბ
168 _ გ
169 _ გ
170 _ ა
171 _ გ
172 _ ბ
173 _დ
174 _ ბ
175 _ გ
176 _ გ
177 _ ბ
178 _დ
179 _ ა
180 _ ა
181 _ ა
182 _ ა
183 _ ბ
184 _ გ
185 _დ
186 _ ბ
187 _ გ
188 _ ა
189 _დ
190 _ გ
191 _ ა
192 _ ბ
193 _ გ
194 _დ
195 _ ბ
196 _ ა
197 _ გ
198 _ ბ
199 _ ბ
200 _დ
201 _ ბ
202 _დ
203 _ ა
204 _ ბ
205 _დ
206 _ გ
207 _ ბ
208 _ ა
209 _ ბ
210 _ ა
211 _ გ
212 _ გ
213 _ ა
214 _ ბ
215 _ გ
216 _ ა
217 _ ა
218 _ ბ
219 _ ბ
220 _ გ
221 _ გ
222 _ ა
223 _ ბ
224 _ ა
225 _ ბ
226 _დ
227 _ ბ
228 _ ა
229 _ ბ
230 _ ბ
231 _დ
232 _ ბ
233 _ ა
234 _ გ
235 _ ბ
236 _ ბ
237 _ გ
238 _ გ
239 _დ
240 _ ბ
241 _ ა
242 _ გ
243 _ გ
244 _ გ
245 _ ა
246 _ გ
247 _ ა
248 _ ბ
249 _ ა
250 _ გ
251 _ ბ
252 _დ
253 _ გ
254 _ ბ
255 _ ა
256 _ გ
257 _დ
258 _ ა
259 _ გ
260 _ გ
261 _ ა
262 _ ბ
263 _ გ
264 _ ბ
265 _ ა
266 _ ა
267 _ გ
268 _დ
269 _ ბ
270 _ გ
271 _ ბ
272 _ ა
273 _დ
274 _ გ
275 _დ
276 _ ბ
277 _ გ
278 _ ა
279 _ ა
280 _ ბ
281 _დ
282 _ ბ
283 _ ა
284 _ გ
285 _ ა
286 _დ
287 _ გ
288 _ ა
289 _ ა
290 _დ
291 _ ა
292 _ ა
293 _დ
294 _ ბ
295 _ ბ
296 _დ
297 _ გ
298 _ ბ
299 _ გ
300 _ ა
301 _ ა
302 _ გ
303 _დ
304 _ ა
305 _ გ
306 _ ბ
307 _ გ
308 _ ბ
309 _ ბ
310 _დ
311 _ ა
312 _ ბ
313 _ ბ
314 _დ
315 _ გ
316 _ გ
317 _ ა
318 _ ა
319 _ ბ
320 _ გ
321 _ ა
322 _ გ
323 _ ა
324 _ ა
325 _ გ
326 _ ბ
327 _ ბ
328 _ გ
329 _ ბ
330 _დ
331 _ ბ
332 _ ა
333 _ ა
334 _დ
335 _დ
336 _ ა
337 _ ბ
338 _ გ
339 _ დ
340 _ ა
341 _ გ
342 _ ბ
343 _ გ
344 _ ა
345 _ ა
346 _დ
347 _ ბ
348 _ ა
349 _ ა
350 -დ